თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული XVII

ეძღვნება აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას დაბადებიდან 70 და სამეცნიერო – პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წელს

მთავარი რედაქტორი

რამაზ აბესაძე

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია

გ. ბერულავა, ნ. ბიბილაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ვ. ბურდული, თ. გოგოხია, ლ. დათუნაშვილი, გ. ერქომაიშვილი, ლ. თოთლაძე, ე. კაკულია, მ. კვარაცხელია, თ. ლაზარაშვილი, ვლ. პაპავა, მ. ხუსკივაძე, რ. ჯავახიშვილი

თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა
თბილისი 2024

UDC (უაკ) 061.62: 33(479.22)(045)

ბ - 121

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულში ქვეყნდება ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა და საქართველოს მეცნიერ-ეკონომისტთა ნაშრომები, რომლებიც ეძღვნება თანამედროვე აქტუალურ ეკონომიკურ პრობლემებს.

კრებული განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის და დახმარებას გაუწევს არა მხოლოდ სპეციალისტებს, არამედ ეკონომიკის საკითხებით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს.

რედაქციის შეხედულება შესაძლოა არ ემთხვეოდეს ავტორის აზრს და იგი პასუხს არ აგებს ინფორმაციის სიზუსტეზე

© თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა
2024

ISSN 1987 – 6904

PROCEEDINGS OF SCIENTIFIC WORKS

OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS OF TSU

XVII

Dedicated to the 70th Anniversary of the Birth of Academician Vladimir Papava and the 50th Anniversary of his Scientific and Pedagogical Activity

Editor-in-chief

Ramaz Abesadze

Scientific-Editorial Board

G. Berulava, N. Bibilashvili (executive secretary), V. Burduli, L. Datunashvili, G. Erkomaishvili, T. Gogokhia, R. Javakhishvili, E. Kakulia, M. Khuskivadze, M. Kvaratskhelia, T. Lazarashvili, V. Papava, L. Totladze

PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS OF TSU

TBILISI 2024

UDC (ეროვ) 061.62: 33(479.22)(045)
ბ – 121

The proceedings of scientific works of Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University publishes the works of Institute researchers and scientists-economists of Georgia dedicated to current actual economic problems.

The proceedings are intended for a wide range of readers and will assist not only professionals but those concerned with issues of economy.

The views of scientific-editorial board do not necessarily reflect author's option and it accepts no responsibility for the accuracy of information

© Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics of TSU
2024

ISSN 1987 - 6904

ვლადიმერ (ლადო) პაპავა – 70

გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, პედაგოგს, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანს, თსუ პროფესორს, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარ მეცნიერ თანამშრომელს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, აკადემიკოს ვლადიმერ (ლადო) პაპავას დაბადებიდან 70 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წელი შეუსრულდა.

თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი გულმხურვალედ ულოცავს ბატონ ვლადიმერს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და შემდგომ წარმატებებს უსურვებს!

ვლადიმერ (ლადო) პაპავა დაიბადა 1955 წლის 25 მარტს თბილისში, პედაგოგების ოჯახში.

1972 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის მე-15 საშუალო სკოლა.

1972 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკური კიბერნეტიკის სპეციალობით, რომლის სრული კურსიც წარჩინებით დაამთავრა 1977 წელს.

1982 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია (მოსკოვში, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ ეკონომიკურ-მათემატიკურ ინსტიტუტში), 1989 წელს კი – სადოქტორო დისერტაცია.

ვლადიმერ პაპავა 1991 წლიდან ეწევა დიდ სამეცნიერო, სახელმწიფო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. იგი 1991-1996 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი; 1994-2000 წლებში - საქართველოს ეკონომიკის მინისტრი, ხოლო 2004-2008 წლებში - საქართველოს პარლამენტის წევრი. 1997 წლიდან არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 2013 წლიდან აკადემიის ნამდვილი წევრი. იგი არის საქართველოს განათლების სამინისტროს რესპუბლიკური პრემიის (1987), მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საქართველოს სახელმწიფო პრემიის (2004) და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის პრემიის (2008) ლაურეატი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო და სასწავლო პროცესის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის ვლადიმერ პაპავა ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით დაჯილდოვდა (2022).

ვლადიმერ პაპავა ეწევა ნაყოფიერ საზოგადოებრივ, სამეცნიერო-კვლევით და პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ვლადიმერ პაპავა არის ავტორი 500-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა, რომლებიც ეძღვნება თეორიული ეკონომიკის, ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკის მათემატიკური მოდელირების, მაკროეკონომიკის, ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის, საქართველოსა და კავკასიის ეკონომიკურ პრობლემებს. მათგან აღსანიშნავია: *პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტი-*

კური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, „პდპ“, 2002; *Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism*. New York, iUniverse, 2005; *The Central Caucasus: Essays on Geopolitical Economy*. Stockholm, CA&CC Press, 2006 (თანაავტორი ელდარ ისმაილოვი); *ცენტრალური კავკაზია (გეოპოლიტეკონომიური ნარკვევი)*. თბილისი, „სიახლე“, 2009; *ნეკროეკონომიკის ზომბირება (გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენა შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებზე)*. თბილისი, „პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2010; *Economic Reforms in Post-Communist Georgia: Twenty Years After*. New York, Nova Science Publishers, 2013; Laffer-Keynesian Synthesis and Macroeconomic Equilibrium. New York, Nova Science Publishers, 2014 (თანაავტორი იური ანანიაშვილი); *არატრადიციული ეკონომიკსი: მეთოდოლოგია და მეთოდიკა*. თბილისი, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, „პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2020; *Becoming European: Challenges for Georgia in the Twenty-First Century*. Bloomington, iUniverse, 2020; *From Retroeconomics to Sanctionomics: Essays on Unconventional Economics*. Bloomington, IN, iUniverse, 2024.

აკადემიკოს **ვლადიმერ პაპავას** მეცნიერული სიახლეებიდან შეიძლება აღინიშნოს: დაასაბუთა, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი არის წარმოების მეხუთე ფაქტორი, ხოლო ირიბი გადასახადები - შესაბამისი ფაქტორული შემოსავალი. (ქართველი მეცნიერის ეს შედეგი ასახულია ''გამოყენებითი ეკონომიკის'' ცნობილ ბრიტანულ სახელმძღვანელოში, რითაც აღიარებულია მისი წვლილი ზოგადად ეკონომიკური მეცნიერების თეორიული საფუძვლების განვითარებაში); ჩამოაყალიბა ნეკროეკონომიკის თეორია, როგორც პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტეკონომიის საფუძველი, ასევე - რეტროეკონომიკის თეორია, ჩრდილოვანი პოლიტეკონომიის საფუძვლები (ნოდარ ხადურთან ერთად),

საბაზრო თანასწორობის დოქტრინა, მილსადენების ჰარმონიზაციის კონცეფცია (მიხეილ თოქმაზიშვილთან ერთად); გამოყო და დაასაბუთა ადამიანის ახალი ტიპების არსებობა ეკონომიკაში - ჰომო ტრანსფორმატიკუსი და ზომბი ეკონომიკუსი (მათგან პირველი პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი ეკონომიკის, ხოლო მეორე ზომბი ეკონომიკის მთავარი შემოქმედია), შემოიღო ნაწილობრივ პროდუქტიული მატრიცის ცნება, ინფლაციის გაზომვის არატრადიციული მაჩვენებლები და მისი კომპლექსური თარგეთირების რეჟიმი (ვახტანგ ჭარაიასთან ერთად); განავითარა ეკონომიკის ზომბირების თეორია (ერთმანეთისაგან გამიჯნა ორთოდოქსული და ჰეტეროდოქსული ზომბი ეკონომიკა); შექმნა გადასახადების გარეშე ეკონომიკის მოდელი, საგადასახადო კორუფციის ინდექსები, სანქციონომიკის თეორიის საფუძვლები; ააგო ლაფერის ეფექტის ამსახველი ახალი მრუდები, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები მკვეთრი ზრდის ეფექტის ზეგავლენის გამორიცხვის გზით; საფუძველი ჩაუყარა ლაფერ-კეინზიანურ სინთეზს (შემდგომში განავითარა იური ანანიაშვილთან ერთად); შეიმუშავა (ელდარ ისმაილოვთან ერთად) ცენტრალური კავკასიისა (ცენტრალურ კავკასიას ქმნის აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი, ხოლო სამხრეთ კავკასია აერთიანებს თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ და ირანის ჩრდილო-დასავლეთ რეგიონებს, რომელთაგან პირველი ეთნიკური ქართველებით, ხოლო მეორე ეთნიკური აზერბაიჯანელებითაა დასახლებული) და ცენტრალური კავკაზიის (ამ რეგიონს ქმნის ცენტრალური აზიის და ცენტრალური კავკასიის ქვეყნები) გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური კონცეფციები. მისი ნაშრომები გამოქვეყნებულია ქართულ, ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ, გერმანულ, ჩინურ, არაბულ, აზერბაიჯანულ, ჩეხურ და უკრაინულ ენებზე.

ვლადიმერ პაპავას ხელმძღვანელობით 10 ასპირანტს მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო 2 დოქტორანტს - ეკონომიკის დოქტორის ხარისახი.

აკადემიკოს **ვლადიმერ პაპავა** 2013-2016 წლებში იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი. 2023 წლიდან ის არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, ასევე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი. არის თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, რონდელის ფონდის - საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდის უფროსი მკვლევარი.

ვლადიმერ პაპავას, როგორც საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის წევრს ხელი აქვს მოწერილი საქართველოს კონსტიტუციაზე, რომელიც 1995 წელს იქნა მიღებული.

აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა ეწევა მრავალმხრივ საზოგადოებრივ საქმიანობას. იგი ყოველთვის ეხმიანება ქვეყანაში არსებულ საჭირბოროტო პრობლემებს, ეკუთვნის უამრავი სატელევიზიო, რადიო თუ საგაზეთო ინტერვიუ, არის საერთაშორისო თუ ეროვნული მაღალრეიტინგული სამეცნიერო ჟურნალებისა და სანეცნიერო კრებულების კოლეგიათა წევრი და ა. შ.

აკადემიკოს ვლადიმერ პაპავა საქმიანობის შესახებ გამოცემულია ორი წიგნი: Greer N. P. (ed.). *Vladimer Papava*. Beau Bassin, Patho Publishing, 2012; Russell J., Cohn R. *Vladimer Papava*. Edinburgh, LENNEX Corp, 2012.

თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი კიდევ ერთხელს ულოცავს აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას დაბადებიდან 70 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წელს და წარმატებებს უსურვებს მის მრავალმხრივ და ნაყოფიერ საქმიანობაში!

ᲬᲘᲜᲐᲡᲘᲢᲧᲕᲐᲝᲑᲐ

2022 წელს თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტმა მუშაობა დაიწყო სამინისტროს მიერ დამტკიცებულ შვიდწლიან პროგრამაზე (2022-2028) „საქართველოს ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების სტრატეგია“ (პროექტის ხელმძღვანელი – ემდ, პროფ. რამაზ აბესაძე).

პროექტის ფარგლებში 2024 წელს დამუშავდა შემდეგი სამეცნიერო თემები:

პრობლემა 1. საქართველოს ფინანსური უსაფრთხოება: საქართველოს ფინანსური სისტემა და მასთან დაკავშირებული ფინანსური საფრთხეები; საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემა და მასთან დაკავშირებული ფინანსური საფრთხეები; ინფლაციის თარგეთირება და მასთან დაკავშირებული ფინანსური საფრთხეები: საქართველოს გამოწვევები; საქართველოში ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობის მიკროეკონომიკური საფრთხეები და მათი დაძლევის გზები; საქართველოს საგადასახადო სისტემა და მასთან დაკავშირებული ფინანსური საფრთხეები; საქართველოს საგარეო ვალი და ფინანსური უსაფრთხოების პრობლემები; საქართველოს საპენსიო ფონდი და მასთან დაკავშირებული ფინანსური საფრთხეები; ევროკავშირის ციფრული ტრანსფორმაციის პროგრამები საქართველოში და მათ განხორციელებასთან დაკავშირებული ფინანსური საფრთხეები; ფირმის ფინანსურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და საფრთხეები საქართველოში; საქართველოში საერთაშორისო ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებული ფინანსური უსაფრთხოების პრობლემები; პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მისი გავლენა საქართველოს ფინანსურ უსაფრთხოებაზე; ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე ფინანსური კრიზისების გავლენის შესახებ ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატების შრომებში; თანამედროვე ტექნოლოგიები საქართველოს ფინანსურ სექტორში და მასთან დაკავშირებული საფრთხეები; საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი და მასთან დაკავშირებული ფინანსური საფრთხეები.

პრობლემა 2. რეგიონული ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოება საქართველოში: საქართველოს რეგიონებში ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების მდგომარეობა და არსებული ეკონომიკური საფრთხეები; საქართველოს რეგიონების ეკოლოგიური საფრთხeეeბი და მათი დაძლევის ძირითადი მიმართულებები; რეგიონების ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემები; საქართველოც რეგიონებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დონე და არსებული ეკონომიკური საფრთხეები; საქართველოს რეგიონებში მშენებლობის განვითარების პრობლემები და მათთან დაკავშირებული ეკონომიკური საფრთხეები; საქართველოს რეგიონებში ტურიზმის განვითარების ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემები; საქართველოს რეგიონებში უმუშევრობისა და სიღარიბის დონე და არსებული ეკონომიკური საფრთხეები; საქართველოს რეგიონებში მიწის რესურსების გამოყენების დონე და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური საფრთხეები; საქართველოს რეგიონებში წყლის რესურსების გამოყენების დონე და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური საფრთხეები; საქართველოს რეგიონებში მინერალური რესურსები, მათი გამოყენების დონე და შესაბამისი ეკონომიკური საფრთხეები.

თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მიერ 2024 წელს, გარდა გეგმური თემებისა, შესრულდა შემდეგი მნიშვნელოვანი სამუშაოები

I. ინსტიტუტში 2024 წელს გამოიცა:

1. საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალ (ინდექსირებულია **ERIH PLUS**-ში და მინიჭებეული აქვს DOI კოდი) **„ეკონომისტის“** 4 ნომერი;

2. **`თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული"**, ტ. XVI;

3. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონო-

მიკის ინსტიტუტის დაარსებიდან მე-80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "მსოფლიოს ეკონომიკური განვითარების ტენდენციები ახალ გეოპოლიტიკურ რეალობაში: საქართველოს ადგილი და გამოწვევები" მასალათა კრებული.

4. პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან მე-80 წლისთავისადმი მიძღვნილი წიგნი.

II. 2024 წელს სულ გამოიცა 87 ნაშრომი, მათ შორის:

1. scopyc-ში ინდექსირებულ ჟურნალში – 2;
2. ERIH PLUS-ში ინდექსირებულ ჟურნალში – 11;
3. მონოგრაფია საზღვარგარეთ - 1;
4. სტატიები ჟურნალებსა და სამეცნიერო შრომათა კრებულებში – 45;
   3.1. საქართველოში – 40;
   3.2. საზღვარგარეთ – 5;
5. სტატიები საერთაშორისო კონფერენციათა კრებულებში – 41;
   4.1. საქართველოში – 39;
   4.2. საზღვარგარეთ – 2.

III. გრანტის წარდგენა:

6. ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსში წარდგენილ იქნა 5 საგრანტო პროექტი.

IV. **ინსტიტუტის ორგანიზებით ჩატარდა:**

1. პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან მე-80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთა-შორისო სამეცნიერო კონფერენცია "მსოფლიოს ეკონომი-კური განვითარების ტენდენციები ახალ გეოპოლიტიკურ რეალობაში: საქართველოს ადგილი და გამოწვევები".
2. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომები, რომელზე-დაც მოსმენილი იქნა 30-ზე მეტი სამეცნიერო მოხსენება.

3. გამოქვეყნდა საგაზეთო სტატიები და ინტერვიუ, ასევე გადაიცა არაერთი სატელევიზიო ინტერვიუ.
4. გაგრძელდა მუშაობა „დიდი ქართული ეკონომიკური ენციკლოპედიის გამოსაცემად“.
5. ინსტიტუტის გამომცემლობის მიერ მომზადდა 2 სამეცნიერო შრომათა კრებული, 1 ბროშურა, ჟურნალ „ეკონომისტის“ 4 ნომერი.
6. ინსტიტუტის თანამშრომლები არიან არაერთი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალისა და შრომათა კრებულების სარედაქციო კოლეგიის წევრები, სადისერტაციო და სამაგისტრო ნაშრომების რეცენზენტები, სადსერტაციო კოლეგიის წევრები, ლექციებს კითხულობენ თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში და სხვა.

რამაზ აბესაძე

თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სამეცნიერო ნაშრომები

რამაზ აბესაძე,
ეთერი კაკულია,
ნანა ბიბილაშვილი

საქართველოს ფინანსური სისტემა და ფინანსური საფრთხეები

ანოტაცია. *ნაშრომში გამოკვლეულია საქართველოს ფინანსური სისტემა და მისთვის დამახასიათებელი ფინანსური საფრთხეები. საქართველოში სუვერენიტეტის აღდგენის შემდეგ ჩაისახა და განვითარდა დამოუკიდებელი ფინანსური სისტემა, რომელიც დღეისათვის საკმაოდ სრულყოფილად ფუნქციონირებს. იგი მოიცავს* ***ფინანსურ ბაზრებს (ფულადი ბაზარი, სავალუტო ბაზარი, ფასიანი ქაღალდების ბაზარი), ფინანსურ შუამავლებს, ფინანსურ ინსტრუმენტებსა და ფინანსური მომსახურებით დაკავებულ ორგანიზაციებსა და ინსტიტუტებს (ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, საპენსიო ფონდები, საინვესტიციო ბანკები და ა.შ.),*** *რომელთა დახმარებითა და ხელშეწყობით შინამეურნეობები, კერძო კომპანიები და სამთავრობო დაწესებულებები ახდენენ მიღებული ფინანსური გადაწყვეტილებების თავისუფალ და ეფექტიან რეალიზებას. საქართველოს ფინანსური სისტემა ძირითადად* ***ორიენტირებულია ბანკებზე,*** *თუმცა ასევე ფუნქციონირებს ფასიანი ქაღალდების ბაზრიც. საქართველოში მოქმედი ერთადერთი ლიცენზირებული საფონდო ბირჟაა* ***„საქართველოს საფონდო ბირჟა“*** *(სსბ), რომელიც დაფუძნდა 1999 წლის 12 იანვარს წამყვანი საბროკერო კომპანიების, კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და საინვესტიციო ფონდების ინიციატივით.*

2000 წლის 14 იანვარს ფასიანი ქაღალდების ბაზრის სახელმწიფო მარეგულირებელმა ორგანომ განახორციელა სსბ-ის ლიცენზირება და იმავდროულად მიანიჭა მას <u>საქართველოში</u> პირველი თვითრეგულირებადი ორგანიზაციის სტატუსი. 2000 წლის 23 მარტიდან სსბ-ზე მიმდინარეობს რეგულარული საბირჟო ვაჭრობები. 2000 წლის 15 სექტემბერიდან არის <u>ევრაზიის საფონდო ბირჟების ფედერაციის</u> (FEAS) ნამდვილი წევრი. საქართველოში ფინანსური ბაზარი ჯერ კიდევ განვითარების სტადიაშია. ბიზ-

ნესისთვის ფინანსური რესურსის მოზიდვის ძირითად წყაროს კომერციული ბანკებიდან აღებული სესხი წარმოადგენს, ხოლო სააქციო კაპიტალით დაფინანსების წყარო შედარებით გამოუყენებელია.

საქართველოს ფინანსურ სისტემაში არსებული საფრთხეები შეიძლება დაიყოს გლობალურ, საბაზრო, საკრედიტო, საინვესტიციო, ლიკვიდობის, საოპერაციო და იურიდიულ საფრთხეებად. თანამედროვე ეტაპზე ფინანსური საფრთხეები შეიძლება წარმოიშვას გლობალური ფაქტორებით (პანდემიები, ომები და სხვ.) გამოწვეული ქვეყნის ეკონომიკის ტურბულენტობის გამო.

საკვანძო სიტყვები. *ფინანსური სისტემა, ფინანსური ბაზარი,* საფონდო ბაზარი, სავალუტო ბაზარი, ფინანსური საფრთხეები.

შესავალი

ფინანსები (ფრანგული finances – ფულადი სახსრები, ფული) არის ეკონომიკური ურთიერთობების ერთობლიობა, რომელიც წარმოიქმნება საჯარო (ცენტრალიზებული) და კერძო (დეცენტრალიზებული) სახსრების ფორმირების, განაწილებისა და გამოყენების პროცესში [Леонова 2023]. თავის მხრივ, საჯარო (ცენტრალიზებულ) ფინანსებს განეკუთვნება სახელმწიფო და მუნიციპალური ფინანსები, კერძოს კი – კორპორატიული (ორგანიზაციული) და საოჯახო (პირადი და ოჯახის) ფინანსები. საჯარო და კერძო ფინანსებს განსხვავებული მიზნები აქვთ. კერძო ფინანსების მთავარი მიზანია მოგების მიღება, საჯარო ფინანსების კი – ეროვნულ და რეგიონულ დონეზე მოხმარებული პროდუქციის განაწილება და გადანაწილება.

ფინანსური სისტემა არის ისეთი ინსტიტუტების ერთობლიობა, როგორიცაა ბანკები, სადაზღვევო კომპანიები და საფონდო ბირჟები, რომლებიც იძლევა სახსრების გაცვლის საშუალებას. ფინანსური სისტემები არსებობს ფირმის, რეგიონული და გლობალური დონის. მსესხებლები, გამსესხებლები და ინვესტორები ცვლიან მიმდინარე სახსრებს პროექტების დასაფინანსებლად როგორც მოხმარებისთვის, ასევე პროდუქტიული ინვესტიციებისთვის და თავიანთი ფინანსური აქტივების ანაზღაურებისთვის. ფინანსური სისტემა ასევე მოიცავს წესებისა და პრაქტიკის ერთობლიობას, რომელსაც მსესხებლები და კრედიტორები იყენებენ იმისთვის, რა-

თა გადაწყვიტონ, რომელი პროექტები დაფინანსდება, ვინ აფინანსებს პროექტებს და ფინანსური გარიგების პირობებს. ნებისმიერი სხვა ინდუსტრიის მსგავსად, ფინანსური სისტემა შეიძლება ორგანიზებული იყოს ბაზრების, ცენტრალური დაგეგმვის ან ორივეს ნაზავის გამოყენებით [Financial... 2024]. ფინანსების მეშვეობით შესაძლებელია განხორციელდეს საინვესტიციო საქმიანობა, მოგების მიღება, რესურსების ოპტიმიზაცია, შიდა კონტროლი.

ფინანსური სისტემა აერთიანებს **ფინანსურ ბაზრებს** (საფონდო, სასაქონლო და სავალუტო ბაზრები), **ფინანსურ შუამავლებს, ფინანსურ ინსტრუმენტებსა** (აქციები, ობლიგაციები, ოფციონები, ფიუჩერსული კონტრაქტები, დერივატივები და ა.შ.) **და ფინანსური მომსახურებით დაკავებულ ორგანიზაციებსა და ინსტიტუტებს** (ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, საპენსიო ფონდები, საინვესტიციო ბანკები და ა.შ.); **გადახდისა და ანგარიშსწორების სისტემებს; მარეგულირებელ ორგანოებს; ფინანსურ ინფრასტრუქტურას** (ელექტრონული საბანკო სისტემები, სავაჭრო პლატფორმები, კლირინგისა და ანგარიშსწორების სისტემები, საკრედიტო ბარათები და სხვ.), რომელთა დახმარებითა და ხელშეწყობით შინამეურნეობები, კერძო კომპანიები და სამთავრობო დაწესებულებები ახდენენ მიღებული ფინანსური გადაწყვეტილებების რეალიზებას.

ცნობილია ორი ტიპის ფინანსური სისტემა. პირველ ტიპს შეიძლება ეწოდოს **ბანკებზე ორიენტირებული ფინანსური სისტემა**. იგი დამახასიათებელია კონტინენტური ევროპისა და იაპონიისათვის. მისი განსაკუთრებული ნიშნებია: ფინანსური ბაზრების განვითარების შედარებით დაბალი ხარისხი; მოსახლეობის დანაზოგები ძირითადად ტრანსფორმირდება მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან კრედიტებად კომერციული ბანკებისა და შემნახველი დაწესებულებების ქსელის მეშვეობით; ფინანსური კონტრაქტების უმეტესი ნაწილი კონცენტრირებულია ბანკებში; მარეგულირებელი მოთხოვნები კომერციული ბანკებისადმი კაპიტალდაბანდებების არჩევანთან დაკავშირებით შედარებით ლიბერალურია; სახელმწიფო, საჭიროების შემთხვევაში, მხარს უჭერს კომერციულ ბანკებს. ფინანსური სისტემის მეორე ტიპს **ბაზარზე ორიენტირებულ ფინანსურ სისტემას** უწოდებენ, გავრცელებულია აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში და მისთვის დამახასიათებელი განსა-

კუთრებული ნიშნებია: კაპიტალის ბაზრების განვითარების შედარებით მაღალი დონე; მოსახლეობა თავის დანაზოგების უდიდეს ნაწილს აბანდებს წარმოებაში არასაბანკო ფინანსური შუამავლების მეშვეობით; ბანკები ახდენენ კორპორაციათა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ძირითადად მოკლევადიანი დაკრედიტების მიმართულებით; მოსახლეობის დანაზოგები ძირითადად ტრანსფორმირდება გრძელვადიან კრედიტებში საფონდო ბირჟების მეშვეობით. **ფინანსური სისტემის მთავარი ამოცანაა** ფინანსური რესურსების ეფექტიანი განაწილება. მისი **ბაზისური ფუნქციებია:** ეკონომიკური რესურსების ერთი გეოგრაფიული რეგიონიდან მეორეში, აგრეთვე ეკონომიკის ერთი დარგიდან მეორეში გადაადგილების უზრუნველყოფა; კომპანიებსა და ორგანიზაციებში ფინანსური რესურსების გაერთიანებისა და დაყოფის შესაბამისი მექანიზმებით უზრუნველყოფა; ეკონომიკის სხვადასხვა დარგებისა და სფეროების მიერ ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების მიზნით ფასების შესახებ ინფორმაციით უზრუნველყოფა; ეკონომიკური სუბიექტების სტიმულირების პრობლემების გადაწყვეტის უზრუნველყოფა [ჩუთლაშვილი... 2016].

საქართველოს ფინანსური სისტემა

ქვეყნის ფინანსური სისტემა იყოფა სამ ძირითად სფეროდ: **საჯარო (სახელმწიფო) ფინანსები**, რომელიც მოიცავს ცენტრალურ და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს, არასაბიუჯეტო და სხვა სპეციალურ ფონდებს. საჯარო ფინანსების ძირითადი მიზანია ცენტრალიზებული ფინანსური რესურსების ფორმირება და მისი განაწილება საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დასაფინანსებლად; **სამეურნეო სუბიექტების (კორპორაციების) ფინანსები,** რომელიც მოიცავს იურიდიული პირების (საწარმოების, ფირმების, კორპორაციების) ფინანსებს. სამეურნეო სუბიექტების ფინანსების ძირითადი მიზანია ფინანსური რესურსების ფორმირება იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია სამეურნეო საქმიანობის მიმდინარე ოპერაციებისა და წარმოების გაფართოება-განვითარების დასაფინანსებლად; **საოჯახო მეურნეობების (შინამეურნეობების) ფინანსები, რომელიც** მოიცავს ცალკეული ოჯახების ფინანსებს. მისი მთავარი მიზანია ცალკეული ოჯახების (მოქალაქეების) ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილის ფორმირება და

გამოყენება ოჯახის (შინამეურნეობის) მიმდინარე მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და დაგროვების უზრუნველსაყოფად.

საქართველოს ფინანსური სისტემა მოიცავს: ფინანსურ ბაზრებსა და ინსტიტუტებს.

ფინანსური ბაზრები წარმოადგენს ფინანსური სისტემის ძირითად ელემენტს, მოიცავს მსესხებლებს, კრედიტორებსა და ინვესტორებს, რომლებიც აწარმოებენ მოლაპარაკებებს სესხებსა და სხვა ტრანზაქციების შესახებ. ფინანსური ბაზრები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საბაზრო ეკონომიკის გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობაში, ბიზნესისა და მეწარმეებისთვის ლიკვიდურობის შექმნის მეშვეობით. ბაზრები მყიდველებსა და გამყიდველებს უადვილებს ვაჭრობას თავიანთი ფინანსური ჰოლდინგით. არსებობს რამდენიმე სხვადასხვა ტიპის ბაზარი. თითოეული მათგანი ფოკუსირებულია მასზე ხელმისაწვდომი ინსტრუმენტების ტიპებსა და კლასებზე [Financial... 2024].

საქართველოს ფინანსური ბაზარი შედგება **ფულადი, სავალუტო და ფასიანი ქაღალდების ბაზრისგან**.

ფულადი ბაზარი არის ბანკთაშორისი, სადეპოზიტო-საკრედიტო ბაზარი, სადაც ბანკები ვაჭრობენ მოკლევადიანი ჭარბი ლიკვიდობით. როგორც წესი, ფულის ბაზრები ვაჭრობენ მაღალი ლიკვიდური მოკლევადიანი (ერთ წელზე ნაკლები) პროდუქტებით, ხასიათდება უსაფრთხოების მაღალი ხარისხით და შედარებით დაბალი პროცენტის ანაზღაურებით, ვიდრე სხვა ბაზრები. საბითუმო დონეზე ფულის ბაზრები მოიცავს დიდი მოცულობის ვაჭრობას ინსტიტუტებსა და ტრეიდერებს შორის. საცალო დონეზე ისინი მოიცავს ფულადი ბაზრის ურთიერთდახმარების ფონდებს, რომლებიც შეძენილია ინდივიდუალური ინვესტორებისა და ბანკის მომხმარებლების მიერ გახსნილი ფულის ბაზრის ანგარიშებით. ფულადი ბაზრის ძირითადი მონაწილეები არიან ბანკები, კორპორაციები, მთავრობები და ინდივიდუალური ინვესტორები. ის ასევე მოიცავს ისეთ სავაჭრო ინსტრუმენტებს, როგორიცაა სახაზინო თამასუქები, სადეპოზიტო სერტიფიკატები და კომერციული ქაღალდები.

სავალუტო ბაზარი არის ფინანსური ბაზრის შემადგენელი ნაწილი, რომელზეც ხორციელდება უცხოური ვალუტისა და მისი საგადასახადო დოკუმენტების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები მოთ-

ხოვნა-მიწოდების საფუძველზე და სავალუტო კურსის განსაზღ-ვრა [**პიტიურიშვილი**... 2017]. საქართველოში შიდა სავალუტო ბაზრის განვითარება ჩქარი ტემპებით წარიმართა. შიდა სავალუ-ტო აგენტებად საქართველოში უნდა განვიხილოთ ეროვნული ბანკი, კომერციული ბანკები და ვალუტის გადამცვლელი ჯიხუ-რები. საქართველოს შიდა სავალუტო ბაზრის წყობის ერთ-ერთი არსებითი თავისებურებაა ეროვნული ბანკის, როგორც სავალუტო ბაზრის აგენტის აქტიური როლი. ამასთან ქვეყნის ეროვნულ ბანკთან ერთად კომერციული ბანკები ქმნიან საქართველოში ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის ფუნდამენტს, რომელიც შიდა სავალუტო ბაზრის ერთ-ერთი მთავარი სეგმენტია და მოიცავს ორ კომპონენტს**: საბირჟო და სადილინგო ბაზრებს. საბირჟო ბაზარი** სხვა არაფერია თუ არა ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის სავაჭრო მოედანზე დადებული გარიგებები. **სადილინგო ბაზარი** წარ-მოადგენს ბირჟის გარეშე, პირდაპირ კომერციულ ბანკებს შორის განხორციელებულ საკონვერსიო ოპერაციებს [].

1995 წლიდან 1997 წლამდე საქართველოში მოქმედებდა ფიქსირებული გაცვლითი კურსის რეჟიმი, რომელიც 1997 წლიდან მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმით შეიცვალა. მსგავსი რეჟიმის არსებობის პირობებში გაცვლითი კურსი ხასიათდება მერყეობით მოკლევადიან პერიოდში, მაგრამ იმავდროულად მოქნილობის გამო იგი თამაშობს შოკების შემწოვ როლსაც და შესაბამისად სტა-ბილურია გრძელვადიან პერიოდში. ბუღალტრული და სხვა ოფი-ციალური მიზნებისათვის ხშირად გამოიყენება ლარის ოფიცია-ლური გაცვლითი კურსი, რომელიც გაიანგარიშება ბლუმბერგის ელექტრონული სავაჭრო სისტემის მეშვეობით. Bmatch პლატფორ-მაზე ხდება მის მონაწილეს შორის უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის გარიგებების დადება. ამ პლატფორმაზე მონაწილეობის უფლება აქვთ ბლუმბერგის სისტემის მოსარგებლე ადგილობრივ კომერციულ ბანკებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, ასევე, ეროვნული ბანკის თანხმობით, სხვა ადგილობრივ და უცხოური კომპანიებს. ყოველ სამუშაო დღეს პლატფორმის მონაწილეთა მიერ ხდება საკუთარი ყიდვა-გაყიდვის კურსების (კოტირებების) გა-მოქვეყნება ეროვნული ბანკის ვებგვერდზე ამ სისტემის ყველა მონაწილისათვის.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი. ფასიანი ქაღალდი არის მიმოქცევაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტი, რომლის საჯარო შეთავაზება შესაძლებელია წილობრივი (აქციები) თუ სასესხო (ობლიგაციები) ფასიანი ქაღალდების ან მათი კომბინირებული ვარიანტის სახით. ფასიანი ქაღალდების ერთობლიობა ქმნის ფასიანი ქაღალდების ბაზარს. ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეები არიან: ფიზიკური და იურიდიული პირები – ინვესტორები; ფასიანი ქაღალდების გამომშვები სტრუქტურები, ანუ ემიტენტები და ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი (საფონდო ბირჟა, ცენტრალური დეპოზიტარი, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი და ფასიანი ქაღალდების საბროკერო კომპანია) მონაწილეები და აუდიტორები. ფასიანი ქაღალდის ფუნქციებია: მოსახლეობაში არსებული ფულადი დანაზოგების აკუმულირება და ორგანიზაციების დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების მობილიზება ხარჯების დასაფინანსებლად; ფულადი მიმოქცევის რეგულირება; ფინანსური რისკების გადანაწილება; არის ინვესტიციების წყარო როგორც ახლის შექმნის, ისე არსებული საწარმოების განვითარებისათვის; გამოიყენება როგორც ინსტრუმენტი საკრედიტო-საანგარიშსწორებო ოპერაციების შესრულებისას. ეკონომიკის სფეროებსა და დარგებს შორის ფულადი საშუალებების გადანაწილება ხორციელდება სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების იმდაგვარი ემისიის გზით, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფოს წინაშე მდგარი მოკლე და გრძელვადიანი ამოცანების შესრულებას. ფასიანი ქაღალდის გამოშვებით სახელმწიფო ქმნის სახელმწიფო ვალს. ფასიანი ქაღალდების ბაზარი რეგულირებადი და ლიცენზირებადი საკმაოდ რთული ორგანიზაციულ-სამართლებრივი სისტემაა [ბარბაქაძე ხ., ასლანიშვილი დ. 2024]. საფონდო ბირჟა ფინანსური ინსტიტუტია, რომელიც ხელს უწყობს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობას დადგენილი წესების შესაბამისად. საფონდო ბირჟა საშუამავლო დაწესებულებაა და ერთმანეთთან აკავშირებს ფასიანი ქაღალდების მყიდველებსა და გამყიდველებს, უწევს მათ ყველა იმ მომსახურებას, რაც ხელს უწყობს გარიგების დადებას. საქართველოში მოქმედი ერთადერთი ლიცენზირებული საფონდო ბირჟაა – **საქართველოს საფონდო ბირჟა** (სსბ), რომელიც დაფუძნდა 1999 წლის 12 იანვარს წამყვანი საბროკერო კომპანიების, კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და

საინვესტიციო ფონდების ინიციატივით. სსბ-ის წესები, პროცედურები და სისტემები შემუშავდა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დახმარებით და წამყვანი ამერიკელი სპეციალისტების რეკომენდაციების საფუძველზე. 2000 წლის 14 იანვარს ფასიანი ქაღალდების ბაზრის სახელმწიფო მარეგულირებელმა ორგანომ განახორციელა სსბ-ის ლიცენზირება და იმავდროულად მიანიჭა მას საქართველოში პირველი თვითრეგულირებადი ორგანიზაციის სტატუსი. 2000 წლის 23 მარტიდან სსბ-ზე მიმდინარეობს რეგულარული საბირჟო ვაჭრობები, 2000 წლის 15 სექტემბერიდან კი გახდა ევრაზიის საფონდო ბირჟების ფედერაციის (FEAS) ნამდვილი წევრი*.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი და საბანკო სფერო თავიანთი არსით ერთმანეთის კონკურენტები არიან, ვინაიდან ორივე საკუთარი ინსტრუმენტებით ცდილობს იტვირთოს ერთგვარი შუამავლის როლი, მათ შორის, ერთი მხრივ იმასთან, ვისაც მოეპოვება დროებითი თავისუფალი ფულადი სახსრები და, მეორე მხრივ, იმ სუბიექტებთან, ვისაც ფულადი სახსრები ესაჭიროებათ (შონია... 2009).

საქართველოში ფინანსური ბაზარი ჯერ კიდევ განვითარების სტადიაშია. ბიზნესისთვის ფინანსური რესურსის მოზიდვის ძირითად წყაროს კომერციული ბანკებიდან აღებული სესხი წარმოადგენს, ხოლო სააქციო კაპიტალით დაფინანსების წყარო შედარებით გამოუყენებელია.

საქართველოს ფინანსური სისტემის ინსტიტუტებია*:

საქართველოს ეროვნული ბანკი – იგი საქართველოს ცენტრალური ბანკია და წარმოადგენს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მარეგულირებელ ორგანოს. ცენტრალურ ბანკებს ევალება მონეტარული პოლიტიკის ფორმირება და განხორციელება, ფულის მასის კონტროლი და ფინანსური სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფა. მისი საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა, რაც გულისხ-

* https://ka.wikipedia.org/wiki/საქართველოს–საფონდო–ბირჟა.

* https://finedu.gov.ge/storage/files/doc/ფინანსური%20სისტემა%20და%20ფინანსური%20შუამავლები.pdf

მობს ქვეყანაში ინფლაციის, ანუ ფასების საერთო დონის ზრდის, ზომიერი და წინასწარ განსაზღვრული განაკვეთის შენარჩუნებას. ის ზედამხედველობას უწევს საფინანსო სექტორს, რაც მიზნად ისახავს მისი სტაბილურობის, გამჭვირვალობის, გამართული და უსაფრთხო ფუნქციონირების უზრუნველყოფას.

კომერციული ბანკები – ისინი ასრულებენ დამზოგველებსა და მსესხებლებს შორის შუამავლის ფუნქციას, იღებენ რა დეპოზიტებს, რის სანაცვლოდაც დამზოგველებს საპროცენტო სარგებელს უხდიან. ამის შემდეგ კი ბანკები მოზიდულ სახსრებს სესხის სახით გასცემენ, სანაცვლოდაც მსესხებლებისგან იღებენ საპროცენტო სარგებელს. ისინი მომხმარებლებს ასევე სთავაზობენ თანხის გადარიცხვასა და ფულადი გზავნილების განხორციელებას მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში; კომუნალური და სხვა გადასახადების გადახდას როგორც ბანკის ფილიალში, ისე დისტანციურად, ინტერნეტბანკის საშუალებით; საგადახდო ბარათების გაცემას, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელია სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში და ინტერნეტით თანხის გადახდა; ბანკომატით დღის ნებისმიერ მონაკვეთში ფულის განაღდება; ვალუტის კონვერტაცია და სხვა.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები – ისინი ბანკის მსგავსად გასცემენ სესხს ფიზიკურ პირებსა და კომპანიებზე და სთავაზობენ მათ სხვადასხვა მომსახურებას, როგორიცაა ვალუტის კონვერტაცია და ფულადი გადარიცხვები. თუმცა მიკროსაფინანსო ორგანიზაციას არ აქვს დეპოზიტების მიღებისა და 100,000 ლარზე მეტი მოცულობის სესხების გაცემის უფლება. 2019 წლის ნოემბრის მდგომარეობით, საქართველოში 50-მდე მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფუნქციონირებს.

სადაზღვევო კომპანიები – დაზღვევა ფინანსური ინსტრუმენტია, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია პოტენციური რისკების დადგომისას წარმოქმნილი ზარალის შემცირება ან თავიდან აცილება. სადაზღვევო კომპანიები ფიზიკურ და იურიდიულ პირებს იმ რისკებისაგან აზღვევენ, რომელთა წინაშეც ისინი შეიძლება აღმოჩდნენ, სანაცვლოდ კი დაზღვეული პირები სადაზღვევო კომპანიას ფულად შენატანს უხდიან, რასაც სადაზღვევო პრემია ეწოდება.

სალიზინგო კომპანიები – სალიზინგო კომპანია ფინანსური ინსტიტუტია, რომელიც ბიზნესს ე

ხმარება დაფინანსების მოპოვებაში. თუმცა ბანკისგან განსხვავებით სალიზინგო კომპანია ფულს პირდაპირი სახით არ გასცემს. ამისთვის ის თავად ყიდულობს ბიზნესის განვითარებისთვის საჭირო აქტივს და გადასცემს მას საჭირო ვადით. ამ ვადის განმავლობაში ბიზნესი სარგებლობს მისთვის გადაცემული აღჭურვილობით, იღებს შემოსავალს და სანაცვლოდ სალიზინგო კომპანიას უხდის გადასახადს. ლიზინგის ვადა, საპროცენტო განაკვეთი და პირობები განსაზღვრულია ხელშეკრულებით, რომელსაც ორივე მხარე (სალიზინგო კომპანია და ბიზნესი) აწერს ხელს.

საკრედიტო კავშირი არის კოოპერატივის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით შექმნილი არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება, რომელიც აერთიანებს განსაზღვრული რაოდენობის ადამიანებს და რომელსაც შეუძლია, გასცეს სესხი ან მოიზიდოს ანაბარი მხოლოდ მისი წევრებისგან. ანუ ეს არის ერთობა, რომლის წევრების ერთ ნაწილს თანხის სესხება, მეორეს კი მისი გასესხება აინტერესებს. საქართველოში საკრედიტო კავშირის წევრების მინიმალური რაოდენობა განისაზღვრება 50 ადამიანით (მაღალმთიანი რეგიონებისთვის 10 წევრიც დასაშვებია), ხოლო წევრთა მაქსიმალური ოდენობა 200 ადამიანია. საკრედიტო კავშირის სტატუსის მისაღებად საჭიროა ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის გავლა შესაბამისი საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვით.

ფინანსური საფრთხეები

ფინანსური საფრთხეები გამოწვეულია ბაზრის ცვალობადობით, რაც გამოწვეულია უამრავი ფაქტორით. ფინანსური საფრთხეები შეიძლება დაიყოს სხვადასხვა ტიპებად, ესენია: გლობალური, საბაზრო, საკრედიტო, საინვესტიციო, ლიკვიდობის, საოპერაციო და იურიდიული საფრთხეები.

გლობალური საფრთხეებიდან აღსანიშნავია გლობალური ვაჭრობისა და გლობალური ეკონომიკური ზრდის შენელება; გლობალური ეკონომიკის ტურბულენტობა; გეოპოლტიკური ცვლილებები; გლობალური კატასტროფები და პანდემიები; დიგიტალიზაციის, ტექნოლოგიური განვითარებისა და მზარდი გეო-

პოლიტიკური დაძაბულობის ფონზე კიბერრისკების ზრდა; გადაუჭრელი გლობალური პრობლემები (ენერგეტიკული, სასურსათო, ბუნებრივი რესურსების ამოწურვის და ა. შ.). გლობალური საფრთხეების ფაქტორებიდან ასევე აღსანიშნავია ის, რომ თუ ადრე მსოფლიო ეკონომიკა აგებული იყო შრომის დანაწილებასა და ფართო თანამშრომლობაზე, ახლა ქვეყნები კონკურენციის საკითხებზე ამახვილებენ ყურადღებას და ზღუდავენ კონკურენტების წვდომას მათ ეკონომიკასა და ტექნოლოგიებზე; ფინანსურ სისტემას საფრთხეს უქმნის აგრეთვე კრიპტოვალუტის გავრცელება, რომელიც დროთა განმავლობაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ეროვნული ვალუტის ნაცვლად მთელ მსოფლიოში. **სავალუტო საფრთხეები** დაკავშირებულია გაცვლითი კურსის რყევებთან. **ინფლაციური საფრთხეები** გამოწვეულია ფულის გაუფასურებით ან გამყარებით. **საბაზრო საფრთხეები** წარმოიქმნება ფინანსური ინსტრუმენტების (აქციები, ობლიგაციები) ფასების ცვლილებით ან ბაზრის არასტაბილურობით. **საკრედიტო საფრთხეები** წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ადამიანი ვერ ასრულებს თავის ვალდებულებებს კონტრაგენტების მიმართ. საკრედიტო საფრთხეები შეიძლება დაიყოს სუვერენულ და ანგარიშსწორების საფრთხეებად. სუვერენული საფრთხეები ჩვეულებრივ წარმოიქმნება რთული სავალუტო პოლიტიკის გამო, ანგარიშსწორების კი მაშინ, როდესაც ერთი მხარე ასრულებს, ხოლო მეორე მხარე ვერ ასრულებს ვალდებულებებს. **ლიკვიდურობის საფრთხეები** დაკავშირებულია ტრანზაქციების შესრულების შეუძლებლობასთან. **საოპერაციო საფრთხეები** წარმოიქმნება ოპერაციული წარუმატებლობის, ანუ არასწორი მართვის ან ტექნიკური გაუმართაობის გამო, **იურიდიული საფრთხეები** კი წარმოიქმნება სამართლებრივი შეზღუდვების, ანუ სასამართლო პროცესის* გამო. საფრთხეები შეიძლება ასევე წარმოშვას **საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილებამ და**

* https://www.simplilearn.com/financial-risk-and-types-rar131-article

დეფოლტმა. დეფოლტები ძირითადად ხდება ვალის ან ობლიგაციების ბაზარზე, როდესაც ემიტენტები ან კომპანიები ვერ იხდიან სავალო ვალდებულებებს. დეფოლტები სერიოზულ ზიანს აყენებს ინვესტორებს.

ფინანსური საფრთხეები შეიძლება მომდინარეობდეს მთავრობის მოქმედებითაც მაშინ, როდესაც არ ტარდება სწორი ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, კარგავს კონტროლს ინფლაციაზე, არღვევს თავის ობლიგაციებს და სხვ. ფინანსური უსაფრთხოების მისაღწევად, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ეკონომიკური სტაბილურობა.

Ramaz Abesadze,
Eteri kakulia,
Nana Bibilashvili

FINANCIAL SYSTEM OF GEORGIA AND FINANCIAL THREATS

Summary

This paper investigates the financial system of Georgia and the financial threats characteristic of it. Then, the establishment and development of an independent financial system took place. **At present, Georgia has a well-developed financial system in operation.** It includes financial markets (the money market, foreign exchange market, and securities market) as well as financial intermediaries, financial instruments, and organizations and institutions engaged in financial services (banks, credit unions, insurance companies, pension funds, investment banks, etc.). Through their assistance and support households, private companies, and government institutions make and implement financial decisions freely and efficiently. Georgia's financial system is primarily a bank-oriented financial system, although a securities market is also in operation. The only licensed stock exchange operating in Georgia is the "Georgian Stock Exchange" (GSE), which was established on January 12, 1999, through the initiative of leading brokerage firms, commercial banks, insurance companies, and investment funds. On **January 14, 2000,** Georgia's state regulatory authority for the securities market officially granted a license to the **GSE** and at the same time granted it the status as the first self-regulatory organization in Georgia. Since **March 23, 2000,** regular stock

exchange trading has been conducted on the **GSE.** Since **September 15, 2000,** it has been a full member of the **Federation of Euro-Asian Stock Exchanges (FEAS).** The financial market in Georgia is still in the development stage. The primary source of financial resources for businesses is loans obtained from commercial banks, while the source of financing with equity capital is relatively unused. Risks within Georgia's financial system can be classified into several categories, including global, market, credit, investment, liquidity, operational, and legal risks. At the current stage, financial risks may arise due to economic turbulence caused by global factors (pandemics, wars, etc).

رامازْ აბესაძე,
თამარ თაფლაძე,
ქრისტინე კურატაშვილი

საქართველოს მონეტარული პოლიტიკა და მასთან კავშირებული საფრთხეები

ანოტაცია. *ნაშრომში გამოკვლეულია საქართველოს მონეტარული სისტემა და პოლიტიკა. "საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" ორგანული კანონის მიხედვით ქვეყნის მონეტარულ პოლიტიკას ეროვნული ბანკი წარმართავს. მისი მთავარი მანდატი ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფაა. ამ მიზნის მისაღწევად იგი კონსტიტუციით მინიჭებული უფლების საფუძველზე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და უფლებამოსილია მონეტარული პოლიტიკა დამოუკიდებლად წარმართოს. ინფლაციის დაბალ და ზომიერ დონეზე შენარჩუნება გულისხმობს, განვითარების არსებულ ეტაპზე, საქართველოს ეკონომიკისათვის ინფლაციის ოპტიმალური,* ***3%-იანი,*** *დონის შენარჩუნებას. მონეტარული პოლიტიკის განხორციელება* ***ინფლაციის თარგეთირების*** *რეჟიმს ეყრდნობა, რომლის პირობებშიც მისი მთავარი ინსტრუმენტი* ***მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთია.*** *ასევე ეროვნული ბანკი უფლებამოსილია აწარმოოს ოპერაციები ღია ბაზარზე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით, რისთვისაც ფლობს, ინახავს და მართავს* ***ოფიციალურ საერთაშორისო რეზერვებს.***

მონეტარული პოლიტიკის განხორციელებისას წარმოიქმნება მთელი რიგი მაკროეკონომიკური საფრთხეები, რომელთაგან მთავარია: სავალუტო, საპროცენტო და ინფლაციური საფრთხეები. ხშირად ეს საფრთხეები ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებულია.

ნაშრომში ასევე შესწავლილია საქართველოს მონეტარულ პოლიტიკაზე მოქმედი ფაქტორები და შედეგები. ამ მხრივ საქართველოს რეალობაში ყველაზე მნიშვნელოვანია 2020-2024 წლები, ვინაიდან ამ პერიოდში მოხდა ეკონომიკაში ტურბულენტობის გამომწვევი გლობალური მოვლენები, – პანდემია და რუსეთ-უკრაინის ომი, რამაც დიდი გავლენა იქონია როგორც მსოფლიო, ისე ეროვნულ ეკონომიკებზე და, ბუნებრივია, მონეტარულ პოლიტიკაზეც. ნაშრომში გამოკვლეულია ამ წლებში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გატარებული მონეტარული პოლიტიკა და მისი შედეგები.

საკვანძო სიტყვები: *მონეტარიზმი, მონეტარული პოლიტიკა, რეფინანსირების განაკვეთი, ინფლაციის თარგეთირება.*

შესავალი

ტერმინი **„მონეტარიზმი“** (monetarism) პირველად გამოიყენა ამერიკელმა ეკონომისტმა კარლ ბრუნერმა 1968 წელს. მონეტარიზმი არის ერთ-ერთი ძირითადი <u>მაკროეკონომიკური</u> თეორია, რომელიც იკვლევს <u>ფულის</u> მრავალწახნაგოვან ასპექტებს და მის გავლენას ეროვნულ <u>ეკონომიკაზე</u>. მონეტარული თეორიის წარმომადგენლები (<u>მ. ფრიდმანი</u>, ფ. კეიგანი, ა. მელტცერი, ფ. ჰაიეკი და სხვ.) იცავენ დებულებას ეკონომიკური სისტემის თვითრეგულირების შესახებ, ხოლო ეკონომიკის არასტაბილურობას ფულადი სისტემის მერყეობით ხსნიან. ტერმინი მონეტარიზმი შემოიღო კარლ ბრუნერმა 1968 წელს და გამოიყენება იმ შეხედულების გამოსახატავად, რომლის მომხრეებიც თვლიან, რომ ერთობლივი ფულადი შემოსავლის დონის ცვლილებას ძირითადად განაპირობებს ფულადი მასის მოცულობის ცვლილება. მონეტარიზმის ფუძემდებლად აღიარებულია მილტონ ფრიდმანი, რომელმაც ნაშრომებში – „ფულის რაოდენობრივი თეორია. ახალი ფორმულირება” და „ფულის მიმოქცევის ისტორია ამერიკის შეერთებულ შტატებში 1867-1960 წლებში” (ა. შვარცთან ერთად) – დაასაბუთა ფულის ახალი როლი

თანამედროვე ეკონომიკაში, ფულად-საკრედიტო რეგულირების პრიორიტეტი ეკონომიკის სტაბილიზაციაში. მისი არსი გამოიხატება შემდეგში: ფული საბაზრო მეურნეობის მთავარი მამოძრავებელი ძალაა. მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობა განმსაზღვრელ ზემოქმედებას ახდენს წარმოების დინამიკასა და ფასების დონეზე. ამიტომ ეკონომიკის სტაბილიზაციისათვის საკმარისია სახელმწიფომ გაატაროს აქტიური ფულადი პოლიტიკა და არ გამოიყენოს საბიუჯეტო-საგადასახადო ბერკეტები. ცენტრალურმა ბანკმა ზემოქმედება უნდა მოახდინოს ფულად მიწოდებაზე. ფულადი მასის მატების ტემპი წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს 3-5%-ს. წინააღმდეგ შემთხვევაში კერძო მეწარმეობის მექანიზმი დაინგრევა და ინფლაცია გაიზრდება. ეკონომიკაზე სახელმწიფოს ზემოქმედება შემოიფარგლება ფულადი მასის მუდმივი ზრდის ტემპების შენარჩუნებით [**ასათიანი... 2012**].

მონეტარული პოლიტიკა არის ინსტრუმენტების ერთობლიობა, რომელსაც იყენებს ქვეყნის ცენტრალური ბანკი ფულის მთლიანი მიწოდების გასაკონტროლებლად ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიზნით. მონეტარული პოლიტიკის საბოლოო (მთავარი) მიზანია ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა [Monetary... 2024]. ძირითადად განასხვავებენ სამი ტიპის მონეტარულ ინსტრუმენტს: რეფინანსირების ოპერაციები; ოპერაციები ღია ბაზარზე; მინიმალური რეზერვების რეგულირება, რაც ავალდებულებს კომერციულ ბანკებს მოზიდული სახსრების ნაწილის განთავსებას ცენტრალური ბანკის ანგარიშებზე.

მონეტარული პოლიტიკის დადებითი მხარეებია: შინაგანი დროითი ლაგის არარსებობა (ექსპანსიური მონეტარული პოლიტიკის დროს არ არსებობს გამოდევნის ეფექტი, რაც გულისხმობს საპროცენტო განაკვეთის შემცირებას. ეს თავის მხრივ ზრდის ინვესტიციების სტიმულირებას და დადებითად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე) და მულტიპლიკატორის არსებობა. **მონეტარული პოლიტიკის უარყოფითი მხარეებია:** ინფლაციის საშიშროება, გარეგანი დროითი ლაგის არსებობა, ასიმეტრია.

საქართველოს მონეტარული სისტემა და პოლიტიკა

მონეტარული (ფულად-საკრედიტო) სისტემა არის ქვეყნის ეკონომიკის კომპონენტი, საკრედიტო და ფინანსური ინსტიტუტების კომპლექსი, რომელიც აგროვებს და ახდენს ფინანსების მობი-

ლიზებას, ასევე მოიცავს სესხის გაცემის ფორმებსა და მეთოდებს. მისი ძირითადი ფუნქციაა მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის უზრუნველყოფა, რაც რეალიზდება მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობის ცვლილებით.

ფულად-საკრედიტო სისტემის სტრუქტურის ძირითადი ელემენტებია: **ეროვნული (ცენტრალური) ბანკი** – ქვეყნის მთავარი ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც აკონტროლებს საბანკო სისტემას, არეგულირებს მონეტარულ პოლიტიკას, აკონტროლებს ინფლაციას, მართავს სავალუტო რეზერვებს და არის კომერციული ბანკების კრედიტორი; **კომერციული ბანკები** – იღებენ დეპოზიტებს, გასცემენ სესხებს, ასრულებენ ანგარიშსწორების ოპერაციებს და სთავაზობენ სხვა ფინანსურ მომსახურებას ფიზიკურ პირებსა და ბიზნესს; **საინვესტიციო ბანკები** – უშვებენ ფასიან ქაღალდებს, აძლევენ კონსულტაციებს, მართავენ აქტივებს და ახორციელებენ ოპერაციებს ფინანსურ ბაზრებზე; **საკრედიტო კავშირები და კოოპერატივები** – ფინანსური ინსტიტუტებია, რომლებსაც ფლობენ და მართავენ მათი წევრები. ისინი სთავაზობენ სესხებს, იღებენ დეპოზიტებს და ეწევიან მათი წევრების ინტერესებზე ორიენტირებულ სხვა ფინანსურ მომსახურებას; **მიკროსაფინანსო ორგანიზაციები** – აძლევენ მცირე სესხებს მცირე ბიზნესსა და ფიზიკურ პირებს; **არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტები** – სადაზღვევო კომპანიები, საპენსიო ფონდები და სხვა ორგანიზაციები უშუალოდ არ არიან დაკავშირებული საბანკო საქმიანობასთან; **ფინანსური ბაზრები** – სადაც ვაჭრობენ ისეთი ფინანსური ინსტრუმენტებით, როგორებიცაა: აქციები, ობლიგაციები, ვალუტები და წარმოებულები*.

ბანკები დიდ როლს ასრულებენ ნებისმიერი სახელმწიფოს ფულად-საკრედიტო სისტემაში. მათი მთლიანობა ეკონომიკური სისტემის ნაწილია.

"საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" ორგანული კანონის [საქართველოს...2009] მიხედვით, ეროვნული ბანკის მთავარი მანდატი ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფაა. ამ მიზნის მისაღწევად საქართველოს ეროვნული ბანკი, კონსტიტუციით მინიჭებული უფლების საფუძველზე, დამოუკიდებლად წარმარ-

* https://www.gazprombank.ru/knowledge-base/term/struktura-kreditnoj-sistemy/

თავს მონეტარულ პოლიტიკას, რაც ინფლაციის დაბალ და ზომიერ დონეზე შენარჩუნებას გულისხმობს. განვითარების არსებულ ეტაპზე, საქართველოს ეკონომიკისათვის ოპტიმალურია ინფლაციის 3%-იანი დონე. მონეტარული პოლიტიკის განხორციელება **ინფლაციის თარგეთირების** რეჟიმს ეყრდნობა. ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი ფასების სტაბილურობის მისაღწევად საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაა, რომელიც 1990 წელს პირველად გამოიყენა ახალი ზელანდიის ცენტრალურმა ბანკმა, 1991 წ. – კანადამ, 1992 წ. – დიდმა ბრიტანეთმა, 1993 წ. კი – შვედეთმა, ფინეთმა და ავსტრალიამ. ამ რეჟიმის ფარგლებში საქართველოს ეროვნულ ბანკს წინასწარ აქვს განსაზღვრული ინფლაციის თარგეთი (3%) და მონეტარულ პოლიტიკას წარმართავს იმგვარად, რომ საშუალოვადიან პერიოდში ინფლაცია მასთან ახლოს იყოს. ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის პირობებში, მონეტარული პოლიტიკის მთავარი ინსტრუმენტი **მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთია.** მისი ცვლილება საპროცენტო განაკვეთის, საკრედიტო მოლოდინებისა და გაცვლითი კურსის არხით აისახება ეკონომიკაზე. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მთავარი ორიენტირი საპროგნოზო ინფლაციაა, რადგანაც მიღებული გადაწყვეტილების ეკონომიკაზე სრულად ასახვას გარკვეული დრო სჭირდება. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ცვლილება ეკონომიკაზე გავლენას ეტაპობრივად ახდენს და მისი ეფექტი სრულად 4-6 კვარტალში რეალიზდება. ამის გათვალისწინებით, თუ პროგნოზირებული ინფლაცია მიზნობრივ დონეს აღემატება, ეროვნული ბანკი მონეტარულ პოლიტიკას გაამკაცრებს და რეფინანსირების განაკვეთს გაზრდის. რეფინანსირების განაკვეთის მატება საბაზრო საპროცენტო განაკვეთებს გადაეცემა. შედარებით მაღალი საპროცენტო განაკვეთის პირობებში სესხებზე მოთხოვნა მცირდება და ამ არხით ერთობლივი მოთხოვნა იზღუდება. შედარებით დაბალი მოთხოვნა საბოლოოდ ინფლაციას ამცირებს. ამის საპირისპიროდ, როდესაც საპროგნოზო ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელს ჩამორჩება, ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკას არბილებს და რეფინანსირების განაკვეთს ამცირებს. შედარებით დაბალი საპროცენტო განაკვეთის პირობებში სესხებზე მოთხოვნა იზრდება, რაც ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირებას განაპირობებს. საბოლოოდ, მა-

ღალი ერთობლივი მოთხოვნის პირობებში, ფასები იზრდება და ინფლაცია მის მიზნობრივ მაჩვენებელს უბრუნდება. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთზე გადაწყვეტილება ეკონომიკის მიმდინარე მდგომარეობის ანალიზსა და მაკროეკონომიკურ პროგნოზებს ეყრდნობა*. მონეტარული პოლიტიკის ერთ-ერთ ინსტრუმენტს ასევე **ღია ბაზრის ოპერაციები** წარმოადგენს, რომელთა საშუალებითაც არაპირდაპირი გზით ხდება მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთებზე ზეგავლენა და მოკლევადიანი ლიკვიდობის მიწოდება ამოღებით. აღნიშნული ოპერაციებისთვის გამოიყენება რეფინანსირების სესხები, ღია ბაზრის ერთთვიანი ინსტრუმენტი, ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატები, მთავრობის სახაზინო ვალდებულებები და სახაზინო ობლიგაციები. ფასიანი ქაღალდების გაყიდვა საშუალებას აძლევს ეროვნულ ბანკს ამოიღოს საშუალოვადიანი ჭარბი ლიკვიდური სახსრები საბანკო სისტემიდან. ეროვნული ბანკისა და სახაზინო ფასიანი ქაღალდების ემისია ხელს უწყობს ფულადი ბაზრის განვითარებას. ერთ-ერთი მონეტარული ინსტრუმენტია **მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები.** ეროვნული ვალუტით მოზიდული საშუალო სახსრებისთვის კომერციული ბანკები ვალდებულები არიან 14-დღიანი დასაცავი პერიოდის განმავლობაში ეროვნულ ბანკში საკორესპონდენტო ანგარიშზე საშუალო ნაშთის სახით იქონიონ მინიმალური სარეზერვო თანხა, რომელიც დაბლოკილია. უცხოური ვალუტით საშუალო მოზიდული სახსრებისთვის მინიმალური სავალდებულო რეზერვების შენახვა წარმოებს უცხოური ვალუტის სარეზერვო ანგარიშებზე. სარეზერვო მოთხოვნების ცვლილებით ეროვნულ ბანკს შეუძლია გავლენა იქონიოს ბანკების მიერ დაკრედიტების მოცულობასა და საპროცენტო განაკვეთებზე. მონეტარული პოლიტიკის შემდეგი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია **სავალუტო აუქციონი**. ამ ინსტრუმენტის მეშვეობით ეროვნული ბანკი ყიდის ან ყიდულობს უცხოურ ვალუტას ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე. სავალუტო აუქციონის მიზანია საერთაშორისო რეზერვების შევსება, კაპიტალის დროებითი ჭარბი (ან პირიქით) შემოდინების გაცვლით კურ-

* https://nbg.gov.ge/page/მონეტარული-პოლიტიკის-განაკვეთი

სზე ზეგავლენის აღმოფხვრა, ასევე კერძო და სახელმწიფო საგარეო სალდოს დაბალანსება*.

ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი და მონეტარული პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტები განსაზღვრულია **„ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებში**“, რომელიც ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის მიერ ყოველწლიურად მუშავდება და საქართველოს პარლამენტის მიერ მტკიცდება*. **საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ** ორგანული კანონის შესაბამისად ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ქმნის **ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტს,** რომლის წევრები არიან ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ყველა ვიცე-პრეზიდენტი და ეროვნული ბანკის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები. კომიტეტის წევრები შეიძლება იყვნენ ეროვნული ბანკის სხვა თანამშრომლები და მოწვეული პირები. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის ფუნქციაა ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. ის უფლებამოსილია: შეიმუშაოს ქვეყნის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა; განსაზღვროს ღია ბაზრისა და სხვა ფულად-საკრედიტო და სავალუტო ოპერაციების, საკუთარი ფასიანი ქაღალდების ემისიისა და მიმოქცევის, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების გაანგარიშებისა და დაცვის წესები; დაადგინოს საპროცენტო განაკვეთები ეროვნული ბანკის სასესხო, სადეპოზიტო და სხვა ფულად-საკრედიტო ოპერაციებზე, გარდა ბოლო ინსტანციის სესხისა; განსაზღვროს მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ნორმები; შეასრულოს მონეტარულ და სავალუტო პოლიტიკასთან დაკავშირებული სხვა ფუნქციები. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილება მონეტარული პოლიტიკის შესახებ უნდა ეფუძნებოდეს საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის შენარჩუნებას.

მონეტარული პოლიტიკის განხორციელებისას ეროვნული ბანკი უფლებამოსილია აწარმოოს ოპერაციები ღია ბაზარზე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით, ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდებითა და საერთაშორისო ფინანსური

* https://nbg.gov.ge/page/სავალუტო-აუქციონები

* https://nbg.gov.ge/monetary-policy

ინსტიტუტების მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდებით მათი პირდაპირი შეძენის ან გაყიდვის გზით, ან მათი შემდგომი გასხვისების ან გამოსყიდვის პირობით (რეპო და უკურეპო ოპერაციები).

ეროვნული ბანკი უფლებამოსილია კომერციულ ბანკზე, მიკრობანკსა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებაზე, რომლებსაც ეროვნულ ბანკში ანგარიშები აქვთ გახსნილი, გასცეს კრედიტები თავის მიერ დადგენილი წესითა და პირობებით და შესაბამისი უზრუნველყოფით.

ეროვნული ბანკი ფლობს, ინახავს და მართავს ოფიციალურ საერთაშორისო რეზერვებს, რომლებიც შეიძლება შედგებოდეს შემდეგი აქტივებისაგან: მონეტარული ოქრო; უცხოური ვალუტა მონეტებისა და ბანკნოტების სახით; სხვა ქვეყანაში საბანკო ანგარიშებზე რიცხული უცხოური ვალუტის ნაშთები; საერთაშორისო სავალუტო ფონდის სესხების სპეციალური უფლებები (SDR) და სარეზერვო პოზიცია სავალუტო ფონდში; უცხოური ვალუტით დენომინირებული და ასანაზღაურებელი თამასუქები და სადეპოზიტო სერტიფიკატები; უცხო ქვეყნების, ცენტრალური ბანკების, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და კერძო კომპანიების მიერ გამოშვებული სავალო ვალდებულებები; უცხოური ვალუტით გამოხატული და ასანაზღაურებელი დერივატივები და შეთანხმებები ფასიანი ქაღალდების შეძენის შესახებ, მათი შემდგომი გასხვისების პირობით (უკურეპო ოპერაციები); ნებისმიერი სხვა საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სარეზერვო საშუალებები.

ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების მართვის ამოცანების შესასრულებლად ისესხოს უცხოური ვალუტა საკუთარი სახელით, 1 წლამდე ვადით, საერთაშორისო რეზერვებში შემავალი აქტივების უზრუნველყოფით ან დადოს შეთანხმებები ფასიანი ქაღალდების გასხვისების შესახებ, მათი ან მათი ეკვივალენტური ფასიანი ქაღალდების წინასწარ შეთანხმებულ ფასად შემდგომი გამოსყიდვის პირობით (რეპო ოპერაციები).

ეროვნული ბანკი დამოუკიდებლად ადგენს ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელს. არა უგვიანეს ყოველი წლის 1 ოქტომბრისა ეროვნული ბანკი საქართველოს პარლამენტს წარუდგენს მომავალი სამი წლის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების პროექტს, ხოლო საქართველოს პარლამენტი მიმდინარე წლის ბოლომდე ამტკიცებს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. თუ საქართველოს პარლამენტმა არ დაამტკიცა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წარდგენილი ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების პროექტი, ეროვნული ბანკი მოქმედებს თავისივე შემუშავებული პროექტის ფარგლებში. ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების პროექტში უნდა აღინიშნოს ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი; მონეტარული პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტები, რომლებსაც ეროვნული ბანკი გამოიყენებს მიზნობრივი ინფლაციის მისაღწევად; შესაძლო რისკების მიმოხილვა. ყოველწლიურად, საფინანსო წლის დამთავრებიდან არაუგვიანეს 4 თვისა, ეროვნული ბანკი საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ანგარიშგებას ფულად-საკრედიტო, სავალუტო და საზედამხედველო პოლიტიკის განხორციელების შესახებ. ეროვნული ბანკი წლიურ ანგარიშში ასახავს საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო საქმიანობის „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონთან და ეროვნული ბანკის მოთხოვნებთან შესაბამისობას. საქართველოს პარლამენტი ამტკიცებს წარდგენილ ანგარიშგებას.

საქართველოს მონეტარულ პოლიტიკაზე მოქმედი ფაქტორები და შედეგები

მსოფლიო გამოცდილება აჩვენებს, რომ მთავარი ფაქტორები მონეტარული პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელებისა არის*: მისი განხორციელების მაკროეკონომიკური პირობები, გარე ეკონომიკური ფაქტორები, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა, სტრუქტურული ცვლილებები ეკონომიკაში, საბიუჯეტო

* https://cyberleninka.ru/article/n/faktory-formirovaniya-effektivnoy-denezhno-kreditnoy-politiki-rossii

სფეროს მდგომარეობა, ინფორმაციის გაურკვევლობა, ფინანსური ბაზრის მდგომარეობა მისი ლიბერალიზაცია და გლობალიზაცია.

მონეტარული პოლიტიკის მიმართებით ყველაზე მნიშვნელოვანია 2020-2024 წლები, ვინაიდან ამ პერიოდში მოხდა ეკონომიკაში ტურბულენტობის გამომწვევი გლობალური მოვლენა, პანდემია და რუსეთ-უკრაინის ომი, რამაც დიდი გავლენა მოახდინა როგორც მსოფლიო, ისე ეროვნულ ეკონომიკებზე, ბუნებრივია, მონეტარულ პოლიტიკაზეც.

2020 წელი მიზნობრივზე მაღალი ინფლაციით დაიწყო, რაც დიდწილად 2019 წლის ზაფხულში რუსეთის მიერ ფრენების აკრძალვის ფონზე, ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის გაუფასურების ინფლაციაზე გადაცემას უკავშირდებოდა. 2019 წელს მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების შედეგად 2020 წლის დასაწყისიდან წლიურმა ინფლაციამ კლება დაიწყო, თუმცა შემდგომ პანდემიით გამოწვეულმა შოკმა ინფლაცია გააძლიერა, რაც პანდემიის შესაკავებლად დაწესებული შეზღუდვების შედეგად მიწოდების ჯაჭვების მოშლას, პანდემიის თანმდევი გაზრდილი ხარჯების საბოლოო ფასში ასახვას, მსოფლიოში საერთაშორისო ტურიზმის პრაქტიკულად გაჩერებითა და ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის გაუფასურებით იყო გამოწვეული. შედეგად, ინფლაციის მაჩვენებელმა პიკს – 6.9 პროცენტს – აპრილში მიაღწია. წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შემცირებული ერთობლივი მოთხოვნა ინფლაციის მაჩვენებელზე კლების მიმართულებით მოქმედებდა, ამიტომ მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა გამკაცრებული პოლიტიკიდან ეტაპობრივი გამოსვლა დაიწყო და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი აგვისტოში 8 პროცენტამდე შეამცირა. მომდევნო პერიოდში ინფლაციის გაზრდის ხელშემწყობი არაერთი ფაქტორი წარმოიშვა (სავალუტო ბაზრებზე გაზრდილი მერყეობა, მიზნობრივზე მაღალი ინფლაციის მაჩვენებლის ხანგრძლივად შენარჩუნება, ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის გაუფასურების შედეგად იმპორტული პროდუქციის ფასებზე წნეხის შექმნა, დოლარიზაციის მაღალი დონე), მაგრამ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი იგივე დარჩა და დეკემბერში ინფლაცია 2.4 პროცენტამდე შემცირდა, რაც, ძირითადად, მთავრობის მიერ კომუნალური გადასახადების სუბსიდირებით იყო გამოწვეული [მონეტარული... 2020].

პანდემიიდან გამოწვეულმა არაორდინარულმა მოვლენებმა მსოფლიო მასშტაბით მაღალინფლაციური გარემო წარმოშვა. საერთაშორისო ბაზრებზე სურსათისა და ნავთობის გაზრდილმა ფასებმა, ტრანსპორტირების ხარჯების გაძვირებამ და წარმოების მხარეს არსებულმა შეფერხებებმა გლობალურად ფასების ზრდა განაპირობა. პანდემიის გამოწვევებს 2021 წელს გლობალურად სამომხმარებლო ფასების ინფლაციის მნიშვნელოვანი ზრდა დაემატა. აღნიშნულის მიზეზი, ერთი მხრივ, ეკონომიკებში დაწყებული აღდგენის პროცესია, რომელიც მძლავრი ფისკალური სტიმულის, საკრედიტო აქტივობისა და დაგროვილი ჭარბი დანაზოგების ხარჯვის არხით აღმავალ ზეწოლას ახდენდა ფასებზე, მეორე მხრივ კი, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, ინფლაციის განმაპირობებელი ფაქტორი მიწოდების მხარეს არსებული შეფერხებები და საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე მკვეთრად გაზრდილი ფასებია. ეს უკანასკნელი

მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ადგილობრივ სამომხმარებლო ფასებზე ისეთ ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოშიც, სადაც მაღალია იმპორტირებულ საკვებ ნედლეულსა და საწვავზე დამოკიდებულება. ამ მოვლენებმა, ცხადია, ადგილობრივი ბაზრის ფასებზეც იმოქმედა. ამის ფონზე მოკლევადიანმა ინფლაციურმა მოლოდინებმაც მოიმატა. საბოლოოდ 2021 წელს ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელზე (3%) მეტად გაიზარდა და 12,3% შეადგინა. ინფლაციური მოლოდინების შემცირების მიზნით, ეროვნულმა ბანკმა გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა შეინარჩუნა (10%). პოლიტიკის გამკაცრებული პოზიცია მაღალი ინფლაციის მის მიზნობრივ მაჩვენებელთან დროული დაბრუნების მოლოდინის გამტკიცებას ისახავდა მიზნად. იმავე წელს გლობალურად კორონავირუსის წინააღმდეგ ვაქცინაციის ტემპების დაჩქარებამ და შეზღუდვების შემსუბუქებამ ეკონომიკური აქტივობები გამოაცოცხლა, განსაკუთრებით კი მომსახურების ისეთ დარგებში, რომლებიც პანდემიამ მნიშვნელოვნად დააზარალა. ეკონომიკის ეტაპობრივმა გახსნამ და მიწოდების ჯაჭვების თანდათანობით აღდგენამ საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბრუნვაზე დადებითად იმოქმედა. შიდა მოთხოვნის გამოცოცხლებასთან ერთად არსებითად გაიზარდა საქონლის იმპორტიც. საყოველთაო ვაქცინაციის წყალობით საერთაშორისო ტურიზმი გააქტიურდა და უცხოელი ვიზიტო-

რებიდან მიღებულმა შემოსავლებმა ეტაპობრივი აღდგენა დაიწყო. ნაწილობრივ გლობალურად გაუმჯობესებული ეკონომიკური აქტივობის წყალობით გაიზარდა სწრაფი ფულადი გზავნილებიც. ჯამში, ზრდადი საგარეო შემოდინებების გავლენით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი გაუმჯობესდა. 2021 წლის მესამე კვარტალში ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი წინა კვარტალთან შედარებით აშშ დოლარის მიმართ 6.2%-ით, ხოლო ევროსთან 8.1%-ით გამყარდა. ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი წლიურად კი 1.4%-ით გამყარდა. რაც შეეხება ეკონომიკურ ზრდას, წინა წელს დიდი ვარდნის შემდეგ, 2021 წელს რეალური ეკონომიკა სწრაფი ტემპით აღდგენას განაგრძობდა და ეკონომიკურმა ზრდამ 10% შეადგინა [მონეტარული... 2021].

2022 წელს ინფლაციის შემცირება იყო მოსალოდნელი. პანდემიით გამოწვეული მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსი, მიწოდების ჯაჭვების მოშლა და ლოჯისტიკური შეფერხებების ფონზე გაძვირებული ტრანსპორტირება ეტაპობრივად უნდა დარეგულირებულიყო. ამ ფაქტორების მილევის ფონზე კი გლობალურად შერბილდებოდა ინფლაციური წნეხ,. თუმცა 24 თებერვალს რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ დაწყებული ომის შედეგად, ჯერ კიდევ პანდემიით გამოწვეული რეცესიიდან გამოსვლის პროცესში მყოფი მსოფლიოს ეკონომიკა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ახალი შოკის ფონზე საერთაშორისო ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსი მეტად გაღრმავდა. რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების გამო, ნავთობის მიწოდების მნიშვნელოვანი ვარდნის მოლოდინები გაჩნდა. ამის ფონზე 2022 წლის დასაწყისში, ნავთობის ფასები მკვეთრად გაიზარდა და პიკს ივნისში მიაღწია. ამავდროულად მარცვლეულის ფასებმაც მკვეთრად მოიმატა, რადგანაც ომამდე, რუსეთი და უკრაინა მარცვლეულის ყველაზე მსხვილი ექსპორტიორი ქვეყნები იყვნენ. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემების მიხედვით, სურსათის საერთაშორისო ფასებმა პიკს 2022 წლის მარტში მიაღწია. ამ მოვლენების განვითარების შედეგად, გლობალურად ინფლაცია მკვეთრად გაიზარდა. საქართველო, როგორც მცირე ზომის ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანა, გლობალურად მიმდინარე მოვლენების მიმართ მოწყვლადია და მსოფლიო მასშტაბით გაზრდილი ფასები ადგილობრივ ბაზარზეც აისახა. შესაბამისად, წლის

დასაწყისში ინფლაცია მაღალ დონეზე შენარჩუნდა და ინფლაციის შემდგომი შემცირების ტემპი ომამდე მოსალოდნელზე ნაკლები იყო. კერძოდ, 2022 წლის იანვარში ინფლაცია 13.9 პროცენტი იყო, წლის ბოლოს, დეკემბერში კი ორნიშნა მაჩვენებელს ჩამოცდა, თუმცა მაინც მაღალ ნიშნულზე, 9.8 პროცენტზე დაფიქსირდა. ინ-ფლაციის შემცირება დიდწილად იმპორტირებული ინფლაციის კლებამ განაპირობა. კერძოდ, ომის შედეგად საერთა-

შორისო სასაქონლო ბაზრებზე წარმოქმნილი თავდაპირ-ველი დისბალანსი წლის განმავლობაში ეტაპობრივად დარეგუ-ლირდა. სასაქონლო ბაზრებზე ფასების შემცირებაში მნიშვნელო-ვანი წვლილი, ევროკავშირის მიერ შექმნილ ჰუმანიტარულ დე-რეფნებთან ერთად, შავი ზღვის პორტებში მარცვლეულის ექსპორ-ტის შეთანხმებამ შეიტანა. უკრაინიდან მარცვლეულის ექსპორტზე დაწესებული შეზღუდვები, შეთანხმების შედეგად, ივლისში მო-იხსნა, რამაც მარცვლეულის ფასები ივლისშივე შეამცირა და კლე-ბის ტენდენცია შემდეგ თვეებშიც გაგრძელდა. წლის მეორე ნახევ-რიდან ნავთობის ფასებმაც შემცირება დაიწყო და წლის ბოლოს, 2022 წლის ივნისის პიკურ მაჩვენებელთან შედარებით, 34.3 პრო-ცენტით შემცირდა. ამავდროულად, წლის განმავლობაში საერთა-შორისო გადაზიდვების ღირებულებაც მცირდებოდა. ამ ტენდენ-ციებისა და გამყარებული გაცვლითი კურსის ფონზე, 2022 წლის განმავლობაში იმპორტირებული ინფლაციის კლება მთლიან ინ-ფლაციას ამცირებდა. თავის მხრივ, გაცვლითი კურსის გამყარება საგარეო მოთხოვნის მოსალოდნელზე მეტად ზრდის შედეგი იყო, რაც რუსეთის, ბელარუსისა და უკრაინის მოქალაქეების დიდი რაოდენობით შემოდინებამ და ტურიზმის ეტაპობრივმა აღდგენამ განაპირობა. მაღალინფლაციური გარემოს პირობებში ეროვნული ბანკი ინფლაციის შემცირებაზე ფოკუსირებული დარჩა და წლის განმავლობაში მონეტარული პოლიტიკა გამკაცრებული იყო, რაც ინფლაციის შემცირებას უწყობდა ხელს. აქედან გამომდინარე, 2022 წლის 30 მარტის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 10.5 პროცენტიდან 11.0 პრო-ცენტამდე გაიზარდა და წლის მანძილზე გამკაცრებული პოლი-ტიკა ამ დონეზე შენარჩუნდა. რაც შეეხება მინიმალური სარეზერ-ვო მოთხოვნებს, ის 2022 წელს ლარით მოზიდული სახსრების-თვის არ შეცვლილა. 2022 წლის განმავლობაში ქვეყნის ეკონომიკის

სწრაფმა აღდგენამ, ტურიზმის სექტორის წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვანმა ზრდამ და ომში მონაწილე ქვეყნებიდან მიგრანტების ზრდამ გამოიწვია ფულადი გზავნილების არსებითი მატება და დამატებითი სავალუტო შემოდინებები. 2022 წლის განმავლობაში სავალუტო კურსის მკვეთრი რყევების შემცირების მიზნით, და რეზერვების ადეკვატურ დონეზე შესანარჩუნებლად საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სავალუტო ბაზარზე ინტერვენციები ხორციელდებოდა, სავალუტო აუქციონების და BMatch პლატფორმის მეშვეობით. სავალუტო აუქციონების მეშვეობით, 2022 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაყიდულ იქნა 93.8 მლნ აშშ დოლარი და ნაყიდი იქნა 80.0 მლნ აშშ დოლარი [საქართველოს.. 2022].

2023 წელს, ეკონომიკაში მდგომარეობის გაუმჯობესების გამო, დასაწყისიდანვე ინფლაციამ შემცირება დაიწყო, თუმცა ინფლაციური წნეხი კვლავ ნიშანდობლივი რჩებოდა, რის გამოც ეროვნულმა ბანკმა კვლავ მკაცრი მონეტარული პოლიტიკა შეინარჩუნა. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 11 პროცენტზე დატოვა. მაისიდან კი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის შემცირება ეტაპობრივად, მცირე ბიჯებით ხდებოდა. რამაც ინფლაციური მოლოდინების ნორმალიზებას და მთლიანობაში, ინფლაციის შემცირებას შეუწყო ხელი. დეკემბერში, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წინა წლის პიკთან შედარებით (11%), 1.5 პროცემტული პუნქტით შემცირდა და 9.5 პროცენტი შეადგინა. შედეგად ფინანსური სისტემის საკრედიტო აქტივობა შედარებით გაიზარდა, რამაც ეკონომიკურ ზრდას შეუწყო ხელი. იმ პერიოდისათვის გლობალურად გამკაცრებული ფინანსური პირობების ადგილობრივ ეკონომიკაზე გავლენის შესამსუბუქებლად, უცხოური ვალუტის მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ნორმის ზედა ზღვარი 25 პროცენტიდან 20 პროცენტამდე შემცირდა, რამაც ადგილობრივ ბაზარზე უცხოური ვალუტით დაკრედიტება წაახალისა. 2023 წლის განმავლობაში სავალუტო კურსის მკვეთრი რყევების შემცირების მიზნით და საერთაშორისო სავალუტო რეზერვების ადეკვატურ დონეზე შესანარჩუნებლად, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სავალუტო ბაზარზე ინტერვენციები ხორციელდებოდა, სავალუტო აუქციონების და BMatch პლატფორმის მეშვეობით. BMatch პლატფორმის მეშვეობით ძირითადად განხორციელდა

უცხოური ვალუტის შესყიდვის ოპერაციები და შესყიდვის წმინდა მოცულობამ 1,445.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სავალუტო აუქციონების მეშვეობით ეროვნული ბანკმა 166.8 მლნ აშშ დოლარი გაყიდა. ამდენად, საანგარიშო წელს, ეროვნულმა ბანკის წმინდა შესყიდვებმა მთლიანობაში 1,278.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი საანგარიშო პერიოდისათვის მნიშვნელოვნად გამყარდა. 2023 წელს ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი წლიურად 14.8 პროცენტით, ხოლო რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი კი წლიურად პროცენტით გამყარდა. 2023 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის მთლიანი საერთაშორისო რეზერვების მოცულობა, გასულ წელთან შედარებით, 108.1 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 5.01 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა [საქართველოს... 2023].

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი ჯამურად, 2023 წლის მაისის შემდეგ, 3.0 პროცენტული პუნქტით 8 პროცენტამდე შეამცირა და 2024 წელსაც იგივე დატოვა, ვინაიდან საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობისა და სურსათის ფასების მერყეობა გაზრდილი და უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებებისა და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე გეოპოლიტიკური დაძაბულობის გამო, გაურკვევლობა მაღალი იყო. 2024 წლის მე-3 კვარტალში სამომხმარებლო ფასები წლიურად საშუალოდ 1.1%-ით გაიზარდა, რითაც უწყვეტად გაგრძელდა ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში მიზნობრივზე დაბალი ინფლაციის ტენდენცია. აღნიშნული ტენდენცია მიწოდების მხარეს არსებული ფაქტორების ნორმალიზაციის, ეკონომიკაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებებისა და ადეკვატური მონეტარული პოლიტიკის შედეგია. მოსალოდნელია, მოკლევადიან პერიოდში, ინფლაცია დაბალ დონეზე შენარჩუნდება და ეტაპობრივად დაუახლოვდება მიზნობრივ მაჩვენებელს. ეროვნული ბანკის საბაზო პროგნოზის მიხედვით, 2024 წელს საშუალო ინფლაცია 1.2 %-ს, ხოლო 2025 წელს კი – 2.9 %-ს შეადგენს. მძლავრი დაკრედიტების ფონზე, მიმდინარე ეკონომიკური აქტივობა მოსალოდნელზე მაღალი აღმოჩნდა, რის გამოც ეროვნულმა ბანკმა 2024 წლის რეალური ზრდის პროგნოზი 8.5%-მდე გაზარდა [მონეტარული... 2024].

მონეტარული პოლიტიკის საფრთხეები

მონეტარული პოლიტიკის განხორციელებისას წარმოიქმნება მთელი რიგი მაკროეკონომიკური საფრთხეები, რომელთაგან **მთავარია: სავალუტო, საპროცენტო და ინფლაციური საფრთხეები.** უფრო კონკრეტულად ეს საფრთხეებია: **ინფლაციის ზრდა მიზნობრივზე (მოსალოდნელზე) მაღალია; ეროვნული კონკურენტუნარიანობისა დდდა ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირება; საბანკო სექტორის სტაბილურობის დაქვეითება.** ხშირად ეს საფრთხეები ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებულია. ბოლო პერიოდში საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობისა და სურსათის ფასების მერყეობა გაზრდილია. გარდა ამისა, უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე გეოპოლიტიკური დაძაბულობის გამო გაურკვევლობა მაღალია. ასევე მოსალოდნელია ტრანსპორტირების ხარჯების ზრდაც. ყოველივე ეს ქმნის ინფლაციურ საფრთხეებს. რადგან საქართველო სურსათისა და საწვავის იმპორტზე დამოკიდებული ქვეყანაა, დიდია **იმპორტირებული ინფლაციის** საფრთხეები, როდესაც უცხოეთიდან შემოტანილი საქონლისა და მომსახურების ფასების ზრდის შედეგად წარმოიქმბნება. ასევე ინფლაციური საფრთხეებია მოსალოდნელი მიგრანტების ზრდის შედეგად მომსახურების სფეროში ფასების ზრდის გამო (განსაკუთრებით ბინის ქირის, კაფეებისა და რესტორნების გაძვირების გამო). ეროვნული კონკურენტუნარიანობისა და ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირება ამცირებს შემოსავლებს და დანაზოგებს, რაც უარყოფითად აისახება საფინანსო სისტემაზე. საბანკო სექტორის სტაბილურობის დაქვეითება ეს გამოწვეულია ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის მკვეთრი ცვლილებებით. საპროცენტო განაკვეთის რისკები წარმოიქმნება როგორც საგარეო ბაზრებზე სავალუტო რესურსები ღირებულების, ისე ეროვნული ვალუტის კურსის მოულოდნელი ცვლილებების შედეგად [**Мальцев 2024**].

ლიტერატურა

1. **ასათიანი რ. 2012.** თანამედროვე ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბ., „სიახლე“
2. ინფლაციის გამომწვევი მიზეზები საქართველოში. 2023 https://komentari.ge/article/inphlatsiis-gamomtsvevi-mizezebi-saqarthveloshi
3. **<u>საქართველოს ორგანული კანონი</u> <u>საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ</u>. 2009**
4. **საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში. 2020**

https://nbg.gov.ge/fm/პუბლიკაციები/ანგარიშები/წლიური–ანგარიში/2019/annual-report-geo-f7d20c2a.pd

5. **საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში. 2020**
6. https://nbg.gov.ge/fm/პუბლიკაციები/ანგარიშები/წლიური–ანგარიში/2020/annual-report-2020-geo.pdf?v=
7. **საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში. 2021**
1. https://nbg.gov.ge/fm/პუბლიკაციები/ანგარიშები/წლიური–ანგარიში/2021/annual-report-geo.pdf?v=7wo9j
2. საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში. 2022
3. https://nbg.gov.ge/fm/პუბლიკაციები/ანგარიშები/წლიური–ანგარიში/2022/წლიური-ანგარიში-2022.pdf?v=
8. **საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში. 2023**
4. https://nbg.gov.ge/fm/პუბლიკაციები/ანგარიშები/წლიური–ანგარიში/2023/annual-geo-2023.pdf?v=0uaxi
9. **მონეტარული პოლიტიკის ანგარიში. საქართველოს ეროვნული ბანკი. ოქტომბერი 2024**

https://nbg.gov.ge/fm/პუბლიკაციები/ანგარიშები/მონეტარული–პოლიტიკის–ანგარიში/2024/2024q4-geo.pdf?v=7c8jr

10. Monetary Policy Meaning, Types, and Tools. 2024

<u>https://www.investopedia.com/terms/m/monetarypolicy.asp</u>

11. **Мальцев Г. Н. Риски денежно-кредитной и валютной политики 2024**

<u>https://cyberleninka.ru/article/n/riski-denezhno-kreditnoy-i-valyutnoy-politiki/viewer</u>

Ramaz Abesadze,
Tamar Tapladze,
Kristine Kuratashvili

GEORGIAN MONETARY POLICY AND THREATS RELATED TO IT

Summary

During the implementation of monetary policy, a range of macroeconomic risks arise, the most significant of which include: exchange rate risk, interest rate risk, and inflationary risk. More specifically, these risks include: inflation surpassing its expected level, a decline in national competitiveness and economic growth rates, a decline in the stability of the banking sector. These threats are often interconnected and interdependent. In recent periods, in the international markets the price instability of the oil and food has increased. Moreover, due to the ongoing military conflict in Ukraine and rising geopolitical instability in the Middle East has led to increased uncertainty. Transportation costs are expected to increase, the above mentioned factors contributing to inflationary threats. Due to Georgia's economy depends on food and fuel imports, the threat of imported inflation is considerable, arising from price increases of goods and services imported from abroad. Inflationary risks are also expected due to the increase the amount of migrants, leading to higher prices in the service sector (especially in housing rents and the costs of cafes and restaurants). A decrease in national competitiveness and the rate of economic growth leads to lower incomes and savings which has a negative effect on the financial system. A decrease in the stability of the banking sector is due to sharp changes in the national currency's exchange rate. Interest rate risks are generated by fluctuations in the value of foreign currency resources in external markets , as well as unexpected changes in the exchange rate of the national currency. [Maltsev 2024]

ვლადიმერ პაპავა

ინფლაციის თარგეთირება და მასთან დაკავშირებული ფინანსური საფრთხეები: საქართველოს გამოწვევები

ანოტაცია. *ნაშრომში გამოკვლეულია ინფლაციის თარგეთირების მექანიზმი, რის საფუძველზეც ნაჩვენებია მისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ძლიერ მხარეს მიეკუთვნება ის, რომ ცენტრალურ ბანკებს გააჩნიათ ერთობლივი მოთხოვნის ზრდით გამოწვეული ინფლაციის დარეგულირების ქმედითი ინსტრუმენტები. იგივე ინსტრუმენტები გამოიყენება დანახარჯების ზრდით გამოწვეული ინფლაციის დარეგულირებისათვის, რაც, საბოლოო ჯამში, უარყოფითად აისახება ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობებზე. იმპორტდამოკიდებულ ქვეყნებში, ხდება როგორც ინფლაციის იმპორტი, ისე ეროვნული ვალუტის გაუფასურების გზით იმპორტის გაძვირება. სწორედ ესაა ინფლაციის თარგეთირების სუსტი მხარე იმპორტდამოკიდებული ქვეყნებისთვის და, მათ შორის, საქართველოსთვისაც. ინფლაციის თარგეთირებასთან დაკავშირებული უმთავრესი ფინანსური საფრთხე უშუალოდაა მის ამ სუსტ მხარესთან დაკავშირებული. კვლევის შედეგად შემოთავაზებულია გამოყენებულ იქნეს ინფლაციის კომპლექსური თარგეთირების მექანიზმი, როცა მიზნობრივ მაჩვენებლებად განისაზღვრება არა მარტო ინფლაციის, არამედ იმპორტირებული საქონლით გამოწვეული ინფლაციის, ანუ იმფლაციის მაჩვენებელი.*

საკვანძო სიტყვები: *ინფლაცია, ინფლაციის თარგეთირება, ფინანსური საფრთხეები, იმფლაციის მაჩვენებელი.*

შესავალი

მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტებისა და ფინანსური უსაფრთხოების პრობლემის ერთიან კონტექსტში განხილვა განსაკუთრებით აქტუალური 2008-2009 წლების გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ გახდა (მაგალითად, [Arestis, 2017; Stark, 2011]).

მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტებს შორის განსაკუთრებული ადგილი ინფლაციის თარგეთირებას უკავია (მაგალითად, [IMF, 2018]), რომელიც განვითარებადი ეკონომიკის მქონე

ქვეყნებშიც ფართოდ გამოიყენება (მაგალითად, [Brito, Bystedt, 2010]).

საყურადღებოა, რომ ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის გამოყენებამდე მონეტარული პოლიტიკის სისტემები ემყარებოდა ან ფულის მასის ან ეროვნული ვალუტის გაცლითი კურსის მიზნობრივ მაჩვენებლებად გამოყენებას. გაცვლითი კურსისა და ინფლაციის თარგეთირების ურთიერთკავშირის საკითხი კვლევის განსაკუთრებული ინტერესის სფეროს წარმოადგენს (მაგალითად, [Cabral et al., 2016; Edwards, 2006]).

ზოგიერთ ქვეყანაში ინფლაციის თარგეთირების რეჟიმთან ერთად სავალუტო რეგულირებაც გამოიყენება. კერძოდ, ჩეხეთში, ინფლაციის თარგეთირებასთან ერთად ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის ზედა ზღვარიცაა განსაზღვრული, რის შედეგადაც არსებობს ე.წ. ორმაგი მიზნობრივი მაჩვენებელი – ინფლაცია და გაცვლითი კურსი [Golovnin, 2017, p. 81]. მონეტარული პოლიტიკის ამ რეჟიმს, როდესაც ინფლაციის მაჩვენებელთან ერთად ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის მაჩვენებელიც მიზნობრივია, ჰიბრიდული (ე.ი. შერეული) ინფლაციის თარგეთირება ეწოდება [Kartaev, 2017, p. 70].

2008-2009 წლების გლობალურმა ფინანსურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა, შემდეგ კი COVID-19-ის პანდემიით გამოწვეულმა ეკონომიკურმა კრიზისმა საკმაოდ აქტუალური გახადა ინფლაციის თარგეთირების რეჟიმისა და ფინანსური საფრთხეების კვლევის საკითხი. ამ კუთხით განსაკუთრებით საინტერესოა მონეტარული პოლიტიკის ამ რეჟიმის მიმართება ფინანსურ სტაბილურობასთან და ეკონომიკურ ზრდასთან (მაგალითად, [Adrian et al., 2023; Agénor, Pereira da Silva, 2013; Ayres et al., 2014; Barro, 1995; Burdekin et al., 2004; Di, Qian, 2022; Heise, 2019; Mollick et al., 2011; Romdhane et al., 2023; Vredin, 2015; Woodford, 2012]).

ეს პრობლემები საქართველოსთვისაც აქტუალურია, რომელიც მონეტარული პოლიტიკის ინფლაციის თარგეთირების რეჟიმზე გადასულია 2009 წლიდან.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია იმის შესწავლა, თუ რატომ ქმნის ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი ფინანსურ საფთხეებს და რა არის ამ პრობლემის შესაძლო გადაწყვეტის ქმედითუნარიანი გზა.

ინფლაციის თარგეთირების სუსტი მხარეების შესახებ

მსოფლიოში ინფლაციის თარგეთირების რეჟიმზე პირველად 1967 წელს ახალი ზელანდია გადავიდა. მაშინ იქ საშუალოწლიური ინფლაცია 15%, ხოლო მაქსიმალური 20% იყო [Sherwin, 1997, p. 261]. შემდეგ ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი ავსტრალიაში, დიდ ბრიტანეთში, კანადაში, ესპანეთში, ფინეთსა და შვედეთშიც იქნა შემოღებული [Debelle et al., 1988]. 2022 წლისთვის კი ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი მსოფლიოს 75 ქვეყანაში გამოიყენებოდა [CBN, 2024].

ინფლაციის თარგეთირების ეკონომიკურ ზრდაზე ზეგავლენის შესწავლით ერთმნიშვნელოვანი შედეგი არ დამდგარა: საწყისმა კვლევებმა აჩვენა რომ მონეტარული პოლიტიკის ამ რეჟიმს ეკონომიკურ ზრდაზე დადებითი ზეგავლენა საერთოდ არ ჰქონდა, ხოლო შედარებით მოგვიანებით ჩატარებულმა კვლევებმა კი აჩვენა, რომ ამ ზეგავლენის დადებითი შედეგი საშუალოდ სამწლიანი დროითი ლაგის შემდეგ დგება [Kartaev, 2017, p. 64–65].

ინფლაციის თარგეთირების ნაკლოვანი მხარეები განსაკუთრებით მწვავედ XX საუკუნის 90-იანი სავალუტო კრიზისების ფონზე გამოჩნდა [Frankel, 2012]. ითვლება, რომ ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი ხშირად ეწინააღმდეგება ფინანსური სტაბილურობის მიღწევას [Jones, 2016; Tovar, ed., 2010]. ასევე ითვლება, რომ ხსენებული რეჟიმი არც ფინანსურ ციკლებს ითვალისწინებს [Weber, 2015].

ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატი ჯოზეფ სტიგლიცი თვლის, რომ ინფლაციის თარგეთირების რეჟიმზე უარის თქმა მოუწევს ყველა იმ განვითარებად ქვეყანას, რომლებიც უმთავრესად იმპორტდამოკიდებულია, რის გამოც, არც თუ იშვიათად, ინფლაციაც იმპორტირებულია, ხოლო ცენტრალური ბანკების ხელთ ამგვარი ინფლაციის კონტროლის ქმედითი მექანიზმი უბრალოდ არ არსებობს [Stiglitz, 2008]. საყურადღებოა, რომ საქართველო დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე იმპორტდამოკიდებული ეკონომიკის მქონე ქვეყნად რჩება. კერძოდ, 2023 წელს ქვეყანაში განხორციელებული იმპორტი ექპორტს 2,56-ჯერ აღემატებოდა [საქსტატი, 2024].

ჯოზეფ სტიგლიცის ამ დასკვნიდან გამომდინარე იკვეთება მინიშნება იმაზე, რომ თურმე ცენტრალური ბანკების ხელთ არ არის იმის ინსტრუმენტი, რომ ნებისმიერი ინფლაცია არეგულიროს თანმდევი უარყოფითი ეფექტების გარეშე. ამ საკითხის უფრო დეტალურად განსახილველად აუცილებელია იმის გაანალიზება, თუ რა შეიძლება იყოს ინფლაციის გამომწვევი მიზეზი.

ეკონომიკსის კლასიკური სახელმძღვანელოებიდან ცნობილია, რომ ინფლაციის გამომწვევი ორი მიზეზი არსებობს: მოთხოვნის ინფლაცია და დანახარჯების ინფლაცია [McConnell, Brue, 2008, p. 136].

მოთხოვნის ინფლაცია გამოწვეულია გაზრდილი ერთობლივი მოთხოვნით. როდესაც ერთობლივი მიწოდება ამ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს, იზრდება ფასები. ამ შემთხვევაში ბრუნვაში არსებული ფულის მასის შემცირებით შესაძლებელია ინფლაციის დონის დაბლა დაწევა. ცენტრალური ბანკების ხელთ არსებული არაერთი ეფექტიანი ინსტრუმენტი ზემოქმედებს ფულის მასის შემცირებაზე, რა გზითაც შესაძლებელი ხდება მოთხოვნის ინფლაციის შემცირება.

რაც შეეხება დანახარჯების ზრდით გამოწვეულ ინფლაციას, მისი ცენტრალური ბანკების მიერ ისე დაწევა, რომ ამას ეკონომიკისთვის არ მოჰყვეს უარყოფითი ეფექტი, პრაქტიკულად შეუძლებელია. განვიხილოთ ეს საკითხი უფრო დეტალურად.

დანახარჯების ზრდის შემთხვევაში ფირმები ცდილობენ ფასების გაზრდას, რათა მოგება არ შეუმცირდეთ. თუ ბაზარმა ეს გაზრდილი ფასები მიიღო, მაშინ ეს ინფლაციის ზრდის მანიშნებელია. იმ შემთხვევაში კი თუ ბაზარმა ეს გაზრდილი ფასები არ მიიღო, მაშინ ფირმები, რომლებსაც არ ენდომებათ ნაკლები მოგების მიღება (რომ არაფერი ვთქვათ იმ შემთხვევაზე, როცა ფირმები წაგებას ნახავენ), იძულებული იქნებიან დატოვონ ბაზარი, რის შედეგადაც შემცირდება მიწოდება, რაც, რა თქმა უნდა, ინფლაციის ზრდით აისახება.

დანახარჯების ზრდა სხვადასხვა ფაქტორით შეიძლება იქნეს გამოწვეული, კერძოდ, ეს შეძლება მოხდეს ნედლეულის ან/და ენერგიის გაძვირებით, პროფკავშირების მოთხოვნით ფირმაში დასაქმებულთა ხელფასების ზრდით და, რა თქმა უნდა, იმპორტის გაძვირებითაც. ეს უკანასკნელი კი შეიძლება მოხდეს საერთაშორი-

სო ბაზრებზე მოცემული ქვეყნისთვის საჭირო იმპორტული საქონლის გაძვირებით ან/და ეროვნული ვალუტის გაუფასურებით.

მოთხოვნის ზრდით გამოწვეული ინფლაციის შემთხვევაში ცენტრალურ ბანკებს, როგორც ზემოთ აღინიშნა, ხელეწიფებათ ინფლაციის „მოთოკვა“ ფულის გაძვირების საფუზველზე ფულის მასის შეცირებით. დანახარჯების ზრდით გამოწვეული ინფლაციის შემთხვევაშიც ცენტრალური ბანკები ზუსტად იმავე მექანიზმს იყენებენ, რათა შემცირებული ერთობლივი მიწოდების დონემდე დაიყვანონ ერთობლივი მოთხოვნა. ეს გასაგებიცაა, რადგანაც ცენტრალურ ბანკებს არ გააჩნიათ რაიმე ინსტრუმენტი რითაც შეეძლება ერთობლივი მიწოდების გაზრდა, ამიტომ ისინი იძულებულნი არიან ისევ და ისევ ერთობლივი მოთხოვნა შეამცირონ. ფულის გაძვირება კი, თავის მხრივ, ქმნის სერიოზულ ბარიერს ერთობლივი მიწოდების გაზრდისათვის.

მაშასადამე, ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი რამდენადაც ქმედითუნარიანია მოთხოვნის ზრდით გამოწვეული ინფლაციის დარეგულირებაში, იმდენად დამაბრკოლებელია მიწოდების ზრდისთვის მაშინ, როცა გვაქვს დანახარჯების ზრდით გამოწვეული ინფლაცია. სწორედ ეს არის ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის უმთავრესი სისუსტე, რომელიც იმავდროულად ქმნის „ხაფანგს“ ეკონომიკური ზრდისთვის. მართლაც, როცა შემცირებულია ერთობლივი მიწოდება ფულის გაძვრებით ერთობლივი მოთხოვნის „დაყვანა“ ამ შემცირებულ ერთობლივ მიწოდებამდე, სწორედ ფულის გაძვრების გამო აფერხებს ერთობლივი მიწოდების ზრდას. მაშასადამე, თუ ფულის გაძვირებით შესაძლებელია ერთობლივი მოთხოვნის შემცირება, იმავე მექანიზმით შეუძლებელია ისედაც შემცირებული ერთობლივი მოთხოვნის მატება. სხვა სიტყვებით, თუ დანახარჯების ზრდით გამოწვეული ინფლაციის შემთხვევაში ინფლაციის თარგეთირების რეჟიმში მყოფ ცენტრალურ ბანკებს შეუძლიათ ერთობლივი მოთხოვნის შემცირება, პრაქტიკულად ეს მექანიზმი საფრთხეს უქმნის ეკონომიკურ ზრდას და იწვევს დანახარჯების ზრდით გამოწვეულ ინფლაციას.

ინფლაციის თარგეთირება და პოსტკომუნისტური საქართველოს გამოცდილება

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოსთვის ერთ-ერთ ურთულეს პრობლემას ჰიპერინ-ფლაცია წარმოადგენდა [Gurgenidze, Lobzhanidze, Onoprishvili, 1994; Wang, 1999]. 1994-1995 ჩატარებული ეკონომიკური რეფორმების შედეგად შესაძლებელი გახდა ჰიპერინფლაციური სპირალიდან გამოსვლა და ქვეყანაში მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღ-წევა [Khaduri, 2005; Papava, 1995, 1996; Wellisz, 1999].

ჰიპერინფლაციის მწარე გამოცდილების გათვალისწინებით საქართველოს ეროვნული ბანკისთვის პრიორიტეტული გახდა ფასების სტაბილურობის შენარჩუნება [Kakulia, Gigineishvili, 2005], რაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, საბოლოო ჯამში გამოიხატა იმით, რომ საქართველო 2009 წელს ინფლაციის თრგეთირების რეჟიმზე გადავიდა.

ინფლაციის თარგეთირების შემოღებიდან დღემდე მიზნობ-რივი ინფლაციის მაჩვენებელი ეტაპობრივად მცირდებოდა. კერ-ძოდ, თუ მონეტარული პოლიტიკის მოცემულ რეჟიმზე გადასვ-ლის საწყის ეტაპზე მიზნობრივი ინფლაცია 6,0%-ის დონეზე განისაზღვრა, 2015 წლიდან მიზნობრივი ინფლაციის დონე 5,0%-მდე, ხოლო 2017 წელს 4,0%-მდე შემცირდა; 2018 წლიდან კი ინ-ფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი 3,0%-ია და მისი გადახედვა მოცემულ ეტაპზე გათვალისწინებული არ არის [სებ, 2024ა].

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევის იმის შესწავლა, თუ მიზნობრივი ინფლაციის დონესთან რა თანაფარდობაშია ინფლა-ციის ფაქტობრივი მაჩვენებელი. ამ მიზნით ცხრილში წლების მიხედვითაა მოცემული როგორც მიზნობრივი ინფლაციის, ასევე ფაქტობრივი ინფლაციის მაჩვენებლები.

ცხრილი

საქართველოს მიზნობრივი და ფაქტობრივი ინფლაციის მაჩვენებლები 2009-2024 წლებში[1]

წლები	მიზნობრივი ინფლაცია	ფაქტობრივი ინფლაცია

[1] ფაქტობრივი ინფლაციის მაჩვებლების წყაროა [სებ, 2024ბ].

2009	6,0%	3,0%
2010	6,0%	11,2%
2011	6,0%	2,0%
2012	6,0%	-1,4%
2013	6,0%	2,4%
2014	6,0%	2,0%
2015	5,0%	4,9%
2016	5,0%	1,8%
2017	4,0%	6,7%
2018	3,0%	1,5%
2019	3,0%	7,0%
2020	3,0%	2,4%
2021	3,0%	13,9%
2022	3,0%	9,8%
2023	3,0%	0,4%
2024[2]	3,0%	1,3%

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2009 წლიდან 2023 წლამდე, ანუ 15 წლის განმავლობაში ფაქტობრივი ინფლაცია 4,9%-ის დონეზეა, მხოლოდ ერთხელ 2015 წელს დაუახლოვდა მიზნობრივ ინფლაციას 5,0%-ს. სხვა წლებში კი დაშორება ინფლაციის მიზნობრივ და ფაქტობრივ დონეებს შორის საკმაოდ დიდია. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს 2012 წელი, როცა მიზნობრივი 6,0%-იანი ინფლაციის პირობებში ფაქტობრივად დაფიქსირდა უარყოფითი ინფლაცია, ანუ დეფლაცია 1,4%-ის დონეზე. 2024 წელსაც დიდი ალბათობით მოსალოდნელია, რომ ფაქტობრივი ინფლაცია დაახლოებით 2-ჯერ ნაკლები იყოს მიზნობრივი ინფლაციის დონესთან შედარებით.

განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ეს განსხვავება ინფლაციის მიზნობრივ და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის გრაფიკულ გამოსახულებაში აღიქმება (იხ. გრაფიკი).

[2] 2024 წლის ინფლაციის ფაქტობრივი მაჩვენებელი ასახავს ინფლაციიის დონეს 2023 წლის ნოემბრიდან 2024 წლის ნოემბრამდე.

გრაფიკი



ცხრილისა და გრაფიკის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ინფალაციის მიზნობრივი დონის განსაზღვრას რეალურად რაიმე არსებითი მნიშვნელობა ინფლაციის ფაქტობრივ რეგულირებასთან, სამწუხაროდ, არ ჰქონია. თანაც აქ ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ COVID-19-ის პანდემიის დროს მიწოდების გლობალური ჯაჭვები გაწყდა და შემცირდა ერთობლივი მიწოდება, რამაც ე.წ. „ნაკლებწარმოების ინფლაციის“ განვითარებას შეუწყო ხელი [Papava, 2022]. 2020 წელს მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების გზით შესაძლებელი გახდა წლიური ინფლაციის 2,4%-მდე შემცირება, თუმცა 2021 და 2022 წლებში მაინც დაფიქსირდა წლიური ინფლაციის საკმაოდ მაღალი დონე, რომელიც მიზნობრივ ინფლაციას, შესაბამისად, 4,6-ჯერ და 3,3-ჯერ აღემატებოდა.

ფაქტია, რომ ინფალციის თარგეთირების საქართველოს გამოცდილება ადასტურებს მის პრაქტიკულ გამოუსადეგარობას: რა აზრი აქვს მიზნობრივი ინფლაციის დონის განასაზღვრას, თუ 16 წლის განმავლობაში ფაქტობრივი ინფლაცია მიზნობრივს მხოლოდ ერთხელ დაუახლოვდა?

იმპორტდამოკიდებულ ქვეყანაში იმფლაციის მაჩვენებელი და ინფლაციის კომპლექსური თარგეთირება

იმოპორტდამოკიდებულ ქვეყნებში, როგორც ზემოთ აღინიშნა, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ინფლაციის დონის რეგულირებას, არამედ იმპორტირებულ საქონელზე ინფლაციის შეფასებას. ამ მიზნით გამოიყენება *იმფლაციის* მაჩვენებელი, რომელიც გაიანგარიშება როგორც სამომხმარებლო კალათაში შემავალი მხოლოდ იმპორტირებული საქონლის საშუალო ფასების დონის მატება [Charaia, Papava, 2017a, 2017b; 2018].

როგორც ზემოთ აღინიშნა, იმპორტირებულ საქონელზე ფასების ზრდა შეიძლება გამოწვეული იყოს ამ საქონელზე საერთაშორისო ფასების მატებით ან/და ეროვნული ვალუტის დევალვაციით (მაგალითად, [Jabara, 2009]). ორივე შემთხვევაში იმფლაციის მაჩვენებელი მატულობს. თანაც აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ მომხმარებლებისთვის, განსაკუთრებით იმპორტდამოკიდებულ ქვეყნებში, მნიშვნელობა აქვს იმპორტულ საქონელზე ეროვნულ ვალუტაში ფასების მატებას და ნაკლებად სანუგეშოა მისთვის იმის ცოდნა, თუ რის გამო მოხდა ეს მატება საერთაშორისო ფასების ზრდით, ეროვნული ვალუტის დევალვაციით, თუ ორივე ამ მიზეზის ერთდროული მოქმედებით. იმავდროულად, ცენტრალური ბანკებისთვის ქმედითუნარიანი მონეტარული პოლიტიკის გატარებისთვის ამ ინფორმაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

იმფლაციის გაანგარიშება შესაძლებელია შემდეგი ფორმულით [Papava, Charaia, 2019]:

$$I_t^m = \frac{E_t}{E_{t-1}} P_t^f ,$$

სადაც I_t^m იმფლაციის ინდექსია t პერიოდისთვის;

E_t – ეროვნული ვალუტის უცხოურ ვალუტაზე (როგორც წესი, ეს აშშ დოლარია) გაცვლის საშუალო ნომინალური კურსი;

P_t^f – იმპორტზე ფასების დონის მაჩვენებელი t პერიოდისთვის, რომელიც, როგორც წესი, აშშ-ის დოლარებშია გამოხატული.

იმფლაციის მაჩვენებლის არსიდან გამომდინარე, თუ კი მას ექნება მიზნობრივი მაჩვენებლის დატვირთვა, ცენტრალური ბანკი მის ხელთ არსებული ინსტრუმენტებით შეძლებს ფაქტობრივი იმფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელთან დაახლოებას. ასეთი მიდგომა სულაც არ ნიშნავს ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებლად გამოყენებაზე უარის თქმას.

რეალურად ცენტრალური ბანკებისთვის, განსაკუთრებით კი იმპორტდამოკიდებულ ქვეყნებში, დიდი მნიშვნელობა ექნება ორივე მაჩვენებლისთვის ინფლაციისა და იმფლაციისთვის ერთდროულად მიზნობრივი დატვირთვის მინიჭებას. ამ შემთხვევაში ცენტრალური ბანკები შეძლებენ უფრო კომპლექსურად მიუდგნენ მონეტარული პოლიტიკის ფორმირებასა და გატარებას. აქედან გამომდინარე, როცა მონეტარული პოლიტიკის იმ რეჟიმს, დაეფუძნება ერთდროულად ინფლაციისა და იმფლაციის ორ მიზნობრივ მაჩვენებელს, შეიძლება *ინფლაციის კომპლექსური თარგეთირების რეჟიმი* ეწოდოს [Papava, Charaia, 2019].

აშკარაა, რომ ინფლაციის თარგეთირების რეჟიმთან შედარებით ინფლაციის კომპლექსური თარგეთირების რეჟიმი ბევრად უფრო შეესაბამება საქართველოს, როგორც იმპორტდამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკის წინაშე არსებულ გამოწვევებს.

აქვე მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ, ჩემი აზრით, მონეტარული პოლიტიკის ფორმირება შესაძლოა დაეფუძნოს კიდევ უფრო გაფართოებულ მიდგომასაც, როცა მიზნობრივ მაჩვენებლებად აღებული იქნება არა ერთი ან თუნდაც ორი, არამედ მეტი მაჩვენებელი, რაც ამ ტიპის მონეტარულ პოლიტიკას ბევრად უფრო კომპლექსურ ხასიათს მიანიჭებს, რასაც დამოუკიდებელი კვლევა ესაჭიროება.

დასკვნა

თანამედროვე მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მონეტარულ პოლიტიკაში ინფლაციის მაჩვენებელს ცენტრალური ბანკებითვის მიზნობრივი დატვირთვა აქვს.

ინფლაციის თარგეთირების რეჟიმზე, მის ეფექტიანობაზე დაგროვდა არაერთი კვლევა, რომლთა საფუძველზეც, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, სულ უფრო მკაფიოდ იკვეთება მისი სუსტი მხარეები.

ცნობილია, ინფლაციის გამომწვევი ორი მიზეზი: ერთობლივი მოთხოვნის ზრდა და წარმოების დანახარჯების ზრდა, რაც იწვევს ერთობლივი მიწოდების შემცირებას და ქმნის ნაკლებწარმოების ინფლაციას. ამ ორი მიზეზიდან ცენტრალური ბანკების ხელთ არის მხოლოდ ერთობლივი მოთხოვნის ზრდით გამოწვეული ინფლაციის დარეგულირების მექანიზმი. რაც შეეხება ერთობლივი მიწოდების შემცირებას, ცენტრალურ ბანკებს შეუძლიათ მხოლოდ და მხოლოდ იმავე მექანიზმის გამოყენება, რომელიც გამოიწვევს ისევ და ისევ ერთობლივი მოთხოვნის შემცირებას, რაც ვერანაირად ვერ უზრუნველყოფს ერთობლივი მიწოდების ზრდას, ხოლო ფულის გაძვირების გამო ამ მიწოდების ზრდისთვის პირიქით, ბარიერსაც კი შექმნის. ეს რეალურ საფრთხეს უქმნის ეროვნული ეკონომიკის გაჯანსაღებას, მის ზრდას.

ყველაზე მკაფიოდ ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის სუსტი მხარე იმპორტდამოკიდებულ ქვეყნებში იკვეთება, სადაც საქონლის იმპორტთან ერთად ინფლაციის იმპორტიც ხორციელდება. საქართველოსთვის, როგორც იმპორტდამოკიდებული ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის, ეს პრობლემა აშკარად ანგარიშგასაწევ საკითხთა რიცხვს განეკუთვნება.

საქართველო ინფლაციის თარგეთირების რეჟიმზე 2009 წელს გადავიდა. საყურადღებოა, რომ ამ დროიდან მოყოლებული 2024 წლის ჩათვლით, ანუ თექვსმეტი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ, 2015 წელს გახდა შესაძლებელი წლიური ინფლაციის ფაქტობრივი მაჩვენებლის მიზნობრივთან დაახლოება. ეს კი აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, პრაქტიკულად არ არის ქმედითუნარიანი.

იმპორტდამოკიდებული ქვეყნისთვის ინფლაციის მაჩვენებელთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა იმფლაციის მაჩვენებელსაც ენიჭება, რომელიც სამომხმარებლო კალათაში შემავალი იმპორტირებული საქონლის ფასების საშუალო დონის მატებას აფიქსირებს.

იმპორტდამოკიდებული ქვეყნისთვის, უწინარეს ყოვლისა, ძალზე მნიშვნელოვანია ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელთან ერთად იმფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის გამოყენებაც. ამ

შემთხვევაში ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი ინფლაციის კომპ-ლექსური თარგეთირების რეჟიმად გარდაიქმნება.

კომპლექსური მიდგომა მონეტარული პოლიტიკის მიმართ საჭიროებს მიზნობრივი მაჩვენებლების უფრო ფართო სპექტრის გამოყენებას, რაც კვლევის ცალკე მიმართულებას წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

საქსტატი. 2024. "საქონლით საგარეო ვაჭრობა." *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*, <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/765/sakonlit-sagareo-vachroba>

სებ. 2024 ა. „ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი." *საქართველოს ეროვნული ბანკი*, <https://nbg.gov.ge/page/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A9%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98>

სებ. 2024 ბ. „ფასების ინდექსები." *საქართველოს ეროვნული ბანკი*, <https://nbg.gov.ge/statistics/statistics-data>.

Adrian T., Natalucci F., Wu J. 2023. "Inflation Remains Risk Confronting Financial Markets." *IMF Blog*, July 27, <https://www.imf.org/en/Blogs/Articles/2023/07/27/inflation-remains-risk-confronting-financial-markets>.

Agénor P.-R., Pereira da Silva L. A. 2013. *Inflation Targeting and Financial Stability: A Perspective from the Developing World*. Banco Central do Brasil Working Paper 324, <https://www.bcb.gov.br/pec/wps/ingl/wps324.pdf>.

Arestis P. 2017. "Monetary Policy Since the Global Financial Crisis." In: *Economic Policies since the Global Financial Crisis*, Arestis P., Sawyer M., eds. Cham, Palgrave Macmillan.

Ayres K., Belasen A. R., Kutan A. M. 2014. "Does Inflation Targeting Lower Inflation and Spur Growth?" *Journal of Policy Modeling*, Vol. 2, No. 36.

Barro R. J. 1995. *Inflation and Economic Growth*. NBER Working Paper 5326, <https://www.nber.org/system/files/working–papers/w5326/w5326.pdf>.

Brito R. D., Bystedt B. 2010. "Inflation Targeting in Emerging Economies: Panel Evidence." *Journal of Development Economics*, Vol. 91, No. 2.

Burdekin R. C., Denzau A. T., Keil M. W., Sitthiyot T., Willett T. D. 2004. "When does Inflation Hurt Economic Growth? Different Nonlinearities for Different Economies." *Journal of Macroeconomics*, Vol. 26, No. 3.

Cabral R., Carneiro F. G., Mollick A. V. 2016. *Inflation Targeting and Exchange Rate Volatility in Emerging Markets*. World Bank Group Policy Research Working Paper, 7712, <http://documents.worldbank.org/curated/en/404741467995904010/pdf/WPS7712.pdf>.

CBN. 2024. "Inflation Targets." *Central Bank News*, <https://www.centralbanknews.info/p/inflation-targets.html>.

Charaia V., Papava V. 2017a. "From Inflation to Imflation, Agflation and Munflation." *The Market Oracle*, April 16, <https://www.marketoracle.co.uk/Article58686.html>.

Charaia V., Papava V. 2017b. "The Role of Inflation and Its Targeting for Low-Income Countries (Lessons from Post-Communist Georgia)." *European Journal of Economic Studies*, Vol. 6, No. 2, <http://ejournal2.com/journals–n/1504096069.pdf>.

Charaia V., Papava V. 2018. "Agflation and Other Modifications of Inflation (The Cases of Georgia and Its Neighboring Countries). *Annals of Agrarian Science*, Vol. 16, Issue 2, <https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S1512188718300897?via%3Dihub>.

Debelle G., Masson P., Savastano M., Sharma S. 1988. "Inflation Targeting as a Framework for Monetary Policy." *IMF Economic Issues*, No. 15, <https://www.imf.org/external/pubs/ft/issues/issues15/>.

Di G., Qian Z. 2022. "Inflation Targeting and Financial Crisis." *Applied Economics*, Vol. 54, Issue 41, <https://doi.org/10.1080/00036846.2022.2036685>.

Edwards S. 2006. *The Relationship Between Exchange Rates and Inflation Targeting Revisited*. NBER Working Paper 12163, <https://www.nber.org/papers/w12163.pdf>.

Frankel J. 2012. "The Death of Inflation Targeting. *Project Syndicate*," May 12, <https://www.project-syndicate.org/commentary/the-death-of-inflation-targeting?barrier=accesspaylog>.

Golovnin M. Yu. 2017. "The Monetary Policy in Countries of Central and Eastern Europe in the Globalization Context: Regimes and Tools." *Bulletin of the Financial University*, Vol. 21, No. 1, <https://financetp.fa.ru/jour/article/view/328/255>. (In Russian.)

Gurgenidze L., Lobzhanidze M., Onoprishvili D. 1994. "Georgia: From Planning to Hyperinflation." *Communist Economies & Economic Transformation*, Vol. 6, No. 2.

Heise M. 2019. *Inflation Targeting and Financial Stability. Monetary Policy Challenges for the Future*. Berlin, Springer Nature.

IMF. 2018. *Annual Report on Exchange Arrangements and Exchange Restrictions 2017*. Washington, DC, International Monetary Fund, April 30, <https://www.imf.org/~/media/Files/Publications/AREAER/areaer-2017-overview.ashx>.

Jabara C. L. 2009. *How Do Exchange Rates Affect Import Prices? Recent Economic Literature and Data Analysis*. U.S. International Trade Commission, Office of Industries Working Paper No. ID-21, <https://www.usitc.gov/publications/332/ID-21.pdf>.

Jones C. 2016. "BIS Warns of too Much Focus on Inflation." *The Financial Times*, June 26, <https://www.ft.com/content/5e4d0560-3a13-11e6-9a05-82a9b15a8ee7>.

Kakulia M., Gigineishvili N. 2005. "The Primary Objectives and Priorities of Monetary Policy in Georgia." *Problems of Economic Transition*, Vol.48, No. 4.

Kartaev Ph. 2017. "Is Inflation Targeting Useful for Economic Growth?" *Economic Issues*, No. 2. (In Russian.)

Khaduri N. 2005. "Mistakes Made in Conducting Economic Reforms in Post-Communist Georgia." *Problems of Economic Transition*, Vol. 48, No. 4.

McConnell C. R., Brue S. 2008. *Economics: Principles, Problems, and Policies* (17th ed.). New York, McGrawHill/Irwin.

Mollick A., Cabral R., Carneiro F. 2011. "Does Inflation Targeting Matter for Output Growth? Evidence from Industrial and Emerging Economies." *Journal of Policy Modeling*, Vol. 33, No. 4.

Papava V. 1995. "The Georgian Economy: Problems of Reform." *Eurasian Studies*, Vol. 2, No. 2.

Papava V. 1996. "The Georgian Economy: From 'Shock Therapy' to 'Social Promotion'." *Communist Economies & Economic Transformation*, Vol. 8, No. 2.

Papava V. 2022. "The Underproduction Inflation: An Acute Challenge for Post-Pandemic World." *Eurasia Review*, February 7, <https://www.eurasiareview.com/07022022-the-underproduction-inflation-an-acute-challenge-for-post-pandemic-world-oped/>

Papava V., Charaia V. 2019. "On Complex Inflation Targeting and Modified Inflation Indicators (Experience of Georgia)." *Finance: Theory and Practice*, Vol. 23, No. 3, DOI: 10.26794/2587-5671-2019-23-3-16-34, <https://financetp.fa.ru/jour/article/view/855/575>

Romdhane I. B., Chakroun M. A., Mensi S. 2023. "Inflation Targeting, Economic Growth and Financial Stability: Evidence from Emerging Countries." *Quantitative Finance and Economics*, Vol. 7, Issue 4, doi: 10.3934/QFE.2023033.

Sherwin M. 1997. "Inflation Targeting – The New Zealand Experience." In: *Price Stability, Inflation Targets and Monetary Policy*. Proceedings of a conference – May 1, 1997. Ottawa, Bank of Canada, <https://www.bankofcanada.ca/1997/05/price-stability-inflation-targets-monetary-policy/>

Stark J. 2011. "The Global Financial Crisis and the Role of Monetary Policy." Speech at the 13th Annual Emerging Markets Conference. *European Central Bank*, September 24, <https://www.ecb.europa.eu/press/key/date/2011/html/sp110924.en.html>

Stiglitz J. E. 2008. "The Failure of Inflation Targeting." *Project Syndicate*, May 6, <https://www.project-syndicate.org/commentary/the-failure-of-inflation-targeting>

Tovar C. E., ed. 2010. *Perspectives on Inflation Targeting, Financial Stability and the Global Crisis*. BIS Paper, 51, <https://www.bis.org/publ/bppdf/bispap51.pdf>

Vredin A. 2015. *Inflation Targeting and Financial Stability: Providing Policymakers with Relevant Information*. BIS Working Paper 503, <https://www.bis.org/publ/work503.pdf>

Wang J.-Y. 1999. *The Georgian Hyperinflation and Stabilization*. IMF Working Paper WP99/65, May 1, <https://www.imf.org/en/Publications/WP/Issues/2016/12/30/The-Georgian-Hyperinflation-and-Stabilization-3020>

Weber A. 2015. "Rethinking Inflation Targeting." *Project Syndicate*, June 8, <https://www.project-syndicate.org/commentary/rethinking-inflation-targeting-price-stability-by-axel-weber-1-2015-06>

Wellisz S. 1999. "Georgia: A Brief Survey of Macroeconomic Problems and Policies." *Russian & East European Finance and Trade*, Vol. 35, No. 1.

Woodford M. 2012. *Inflation Targeting and Financial Stability*. NBER Working Paper 17967, <https://www.nber.org/system/files/working–papers/w17967/w17967.pdf>

Vladimer Papava

INFLATION TARGETING AND RELATED FINANCIAL THREATS: CHALLENGES FOR GEORGIA

Summary

The paper examines the inflation targeting mechanism, on the basis of which its strengths and weaknesses are demonstrated. Its strength lies in the fact that central banks have effective tools to control inflation caused by rising aggregate demand. The same instruments are used to regulate cost-push inflation, which ultimately has a negative impact on economic

growth potential. In import-dependent countries, inflation is imported and import prices rise due to the devaluation of the national currency. This is the weakness of inflation targeting for import-independent countries, such as Georgia. The main financial threat to inflation targeting is directly related to this shortcoming. The study proposes to use a complex inflation targeting mechanism, where not only inflation, but also inflation caused by imported goods, i.e., imflation, are defined as target indicators.

გიორგი ბერულავა

საქართველოში ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობის მიკროეკონომიკური საფრთხეები და მათი დაძლევის გზები

ანოტაცია. *ფინანსებზე ხელმისაწვდომობა ეკონომიკური განვითარების კრიტიკული მამოძრავებელი ძალაა როგორც მაკრო-, ისე მიკროდონეზე. ფიზიკური პირებისთვის და მცირე ბიზნესისთვის ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა წარმოადგენს მნიშვნელოვან მიკროეკონომიკურ საფრთხეს, რომელიც აფერხებს ზრდას, ინოვაციებს და სიღარიბის დაძლევას. ეს ნაშრომი იკვლევს მიკროეკონომიკურ გამოწვევებს, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსებზე შეზღუდულ ხელმისაწვდომობასთან და დეტალურად შეისწავლის მათ ნეგატიურ გავლენას ეკონომიკურ აგენტებზე. საქართველოში მოსახლეობის მნიშვნელოვანი, განსაკუთრებით კი სოფლად მცხოვრები ნაწილი ფინანსური სერვისების წვდომის ბარიერებს აწყდება. ეს ბარიერები მოიცავს არაადეკვატურ ფინანსურ ინფრასტრუქტურას, დაბალ ფინანსურ წიგნიერებას და მარეგულირებელ დაბრკოლებებს, რაც ზღუდავს ხელმისაწვდომობას კრედიტებზე, დანაზოგებსა და სადაზღვევო პროდუქტებზე. კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე ნაშრომში დასახულია ამ საფრთხეების და მათი ნეგატიური გავლენის აღმოფხვრვის გზები, კერძოდ, ფინანსური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (განსაკუთრებით სოფლად), ციფრული ფინანსური სერვისების განვითარების ხელშეწყობა, ფინანსური წიგნიერების გაღრმავება, მარეგული-*

რეგელი რეფორმების გატარება, ფინტექის (Fintech) გადაწყვეტილებების ხელშეწყობა და მიკროსაფინანსო ინსტიტუტების გაფართოება. ეს ღონისძიებები მიზნად ისახავს ფინანსური ჩართულობის გაძლიერებას, სიღარიბის შემცირებას და ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას.

***JEL კლასიფიკაცია**: D14; G21; G32; L26; O16.*

***საკვანძო სიტყვები:** ფინანსებზე ხელმისაწვდომობა; მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში; ფინანსური წიგნიერება; მიკროეკონომიკური საფრთხეები.*

შესავალი

ფინანსებზე ხელმისაწვდომობა წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და სტაბილურობის მნიშვნელოვან მამოძრავებელ ძალას, როგორც მაკრო-, ისე მიკროდონეზე. ფიზიკური პირებისთვის და მცირე ბიზნესისთვის ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა წარმოადგენს მნიშვნელოვან მიკროეკონომიკურ საფრთხეებს, რომლებიც აფერხებს ზრდას, ინოვაციებს და სიღარიბის დაძლევას. საქართველოში ფინანსურ სერვისებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა განისაზღვრა როგორც ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ბარიერი, განსაკუთრებით მიკროეკონომიკურ დონეზე.

საქართველომ, რომელიც სტრატეგიულად მდებარეობს ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე, განიცადა მნიშვნელოვანი ეკონომიკური ტრანსფორმაცია 1991 წელს, საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. ქვეყანამ გაატარა ფართომასშტაბიანი რეფორმები გეგმური ეკონომიკიდან ბაზარზე ორიენტირებულ ეკონომიკაზე გადასასვლელად. ეს რეფორმები მიზნად ისახავდა მაკროეკონომიკური გარემოს სტაბილიზაციას, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას. გარდა ამისა, XXI საუკუნის დასაწყისიდან საქართველო აღიარებულია თავისი ამბიციური ეკონომიკური რეფორმების დღის წესრიგით. მთავრობა ორიენტირებული იყო ეკონომიკის ლიბერალიზაციაზე, სახელმწიფო საწარმოების პრივატიზებაზე და ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნაზე. ეს რეფორმები მოიცავდა შემდეგ კომპონენტებს:

- ***დერეგულაცია და ბიზნესის კეთების გამარტივება***: საქართველომ გაამარტივა ბიზნესის რეგისტრაციისა და ლიცენზირების პროცესი, რაც მეწარმეებს გაუადვილებს ბიზნესის დაწყებას და ოპერირებას. ქვეყანა, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, მუდმივად იკავებს მოწინავე ადგილს ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსში.
- ***საგადასახადო რეფორმები:*** მთავრობამ დანერგა გამარტივებული საგადასახადო რეჟიმი დაბალი საგადასახადო განაკვეთებით, რაც მიზნად ისახავდა ბიზნესისა და ფიზიკური პირების საგადასახადო ტვირთის შემცირებას. ეს მოიცავს საშემოსავლო გადასახადის თანაბარ განაკვეთს და რამდენიმე გადასახადის გაუქმებას.
- ***ანტიკორუფციული ღონისძიებები***: მნიშვნელოვანი ძალისხმევა გატარდა კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად, განსაკუთრებით საჯარო ადმინისტრაციისა და სამართალდამცავი ორგანოების ფარგლებში. ამ ზომებმა გააუმჯობესა საზოგადოების ნდობა და მოიზიდა უცხოური ინვესტიციები.

ამ რეფორმების შედეგად საქართველომ განიცადა სტაბილური ეკონომიკური ზრდა. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 2010-დან 2020 წლამდე ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა ყოველწლიურად საშუალოდ 4,5%-ს შეადგენდა[3]. ამ ზრდის ხელშემწყობი ძირითადი სექტორებია ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა და მომსახურება.

მიუხედავად ამ ძალისხმევისა, საქართველო კვლავ რამდენიმე გამოწვევის წინაშე დგას, განსაკუთრებით ფართო ფინანსური ჩართულობის მიღწევასა და ინკლუზიური ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად. ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვან გამოწვევებს უქმნის საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას, განსაკუთრებით მიკროეკონომიკურ დონეზე. ადეკვატური ფინანსური სერვისების ნაკლებობა გავლენას ახდენს მცირე ბიზნესებზე, მეწარმეებსა და შინამეურნეობებზე, რაც ხელს უშლის მათ შესაძლებლობას, განახორციელონ ინვესტიციები, გააფართოვონ თავიანთი საქმიანობა და ხელი შეუწყონ

[3] https://databank.worldbank.org/source/world-development-indicators

მთლიან ეკონომიკას. ამ გამოწვევების გაცნობიერება და გადაწყვეტილებების პოვნა აუცილებელია საქართველოს მდგრადი ეკონომიკური წინსვლისთვის. ეს ნაშრომი იკვლევს მიკროეკონომიკურ გამოწვევებს და საფრთხეებს, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსებზე შეზღუდულ ხელმისაწვდომობასთან, და შეისწავლის ამ გამოწვევებთან გამკლავების გზებს.

ფინანსური ჩართულობის მიკროეკონომიკური გავლენა: თეორიული მიმოხილვა.

მიკროეკონომიკური თეორია გვთავაზობს ჩარჩოს იმის გასაგებად, თუ როგორ იღებენ გადაწყვეტილებებს ინდივიდები, ოჯახები და ფირმები რესურსების განაწილებასთან, წარმოებასთან და მოხმარებასთან დაკავშირებით შეზღუდვების (მათ შორის ფინანსური შეზღუდვების) არსებობის შემთხვევაში. ფინანსებზე ხელმისაწვდომობა ფუნდამენტურია კაპიტალის დაგროვებისა და ინვესტიციისთვის. მიკროეკონომიკური თეორიის მიხედვით, ინვესტიცია ფიზიკურ და ადამიანურ კაპიტალში აუცილებელია პროდუქტიულობის ამაღლებისა და ეკონომიკური ზრდისთვის. ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტები ხელს უწყობენ ამ პროცესს ინვესტიციებისთვის საჭირო სახსრების მიწოდებით. ამრიგად, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა ამ ჩარჩოს გადამწყვეტი ასპექტია, რომელიც გავლენას ახდენს სხვადასხვა მიკროეკონომიკურ აქტივობებზე და შედეგებზე. ქვემოთ განხილულია ფინანსური ჩართულობის ძირითადი მიკროეკონომიკური შედეგები.

ეკონომიკური ზრდა და განვითარება. ფინანსებზე ხელმისაწვდომობა ეკონომიკური ზრდისა და განვითარების კრიტიკული მამოძრავებელი ძალაა, რადგანაც ის განაპირობებს ინვესტიციების ხელშეწყობას. ეს საშუალებას აძლევს ინდივიდებს, ბიზნესს და მთავრობებს ინვესტიციები განახორციელონ იმ შესაძლებლობის ფარგლებში, რომელიც ხელს უწყობს პროდუქტიულობას, ინოვაციებს და მთლიან ეკონომიკურ სტაბილურობას. საკრედიტო და სხვა ფინანსურ სერვისებზე წვდომა საშუალებას აძლევს ბიზნესს ინვესტიციები განახორციელოს ახალ ტექნოლოგიებში, კაპიტალურ ქონებაში, როგორიცაა მანქანები და აღჭურვილობა, რამაც შეიძლება გაზარდოს პროდუქტიულობა, საშუალება მისცეს ბიზნესს გააფართოოს ოპერაციები და გავიდეს ახალ ბაზრებზე.

ფინანსური რესურსები ასევე ხელს უწყობს კვლევისა და განვითარების საქმიანობას, ინოვაციებისა და ახალი პროდუქტებისა და სერვისების განვითარებას. ამან, თავის მხრივ, შეიძლება უზრუნველყოს უფრო მაღალი კონკურენტუნარიანობისა და ეკონომიკური დივერსიფიკაციის დონის მიღწევა. სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებული ემპირიული კვლევები ხაზს უსვამს ფინანსურ განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის არსებულ პოზიტიურ კავშირს. კერძოდ, არსებობს ემპირიული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური განვითარება, რომელიც იზომება ისეთი ინდიკატორებით, როგორიცაა ფინანსური ბაზრებისა და ინსტიტუტების სიღრმე და წვდომა, დადებითად არის დაკავშირებული ეკონომიკურ ზრდასთან (King and Levine, 1993). კერძოდ, *კინგმა და ლევინმა* (King and Levine, 1993) დაადგინეს, რომ კრედიტზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობით ფინანსური ჩართულობა ხელს უწყობს კაპიტალის ფორმირებას და სამეწარმეო საქმიანობას, რაც აუცილებელია ეკონომიკური მდგრადი ზრდისა და სტაბილურობისთვის. ამ საფუძვლიანმა კვლევამ გვიჩვენა, რომ უფრო ძლიერი ფინანსური სისტემების მქონე ქვეყნები უფრო სწრაფად ვითარდებიან, რადგან ფინანსური განვითარება ხელს უწყობს ინვესტიციებსა და ინოვაციებს. ანალოგიურად, *ლევინის* (Levine, 2005) კვლევამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კარგად განვითარებული ფინანსური სისტემების მქონე ქვეყნები უფრო სწრაფად იზრდებიან, ვიდრე განუვითარებელი ფინანსური სისტემების მქონე ქვეყნები. ასევე ეს კვლევა ავლენს ფინანსური შუამავლების როლს ინოვაციების ხელშეწყობაში მეწარმეებისა და მცირე ბიზნესისთვის კრედიტის გაცემის მეშვეობით. ფინანსური ჩართულობა ხელს უწყობს ეკონომიკურ დინამიზმს და საშუალებას აძლევს ბიზნესებს ინვესტიციები განახორციელონ ახალ ტექნოლოგიებსა და ინოვაციურ პრაქტიკაში, რაც განაპირობებს ეკონომიკურ ზრდას და სტაბილურობას. მაგალითად, *საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF)* კვლევა (Sahay et al., 2015) ხაზს უსვამს, რომ ფინანსური ჩართულობის მაღალი დონის მქონე ქვეყნები განიცდიან უფრო სწრაფ ეკონომიკურ ზრდას და უფრო მეტ ეკონომიკურ სტაბილურობას.

სამეწარმეო საქმიანობა და ბიზნესაქტივობა. ფინანსური ხელმისაწვდომობა გადამწყვეტია მეწარმეობის ხელშეწყობისთვის. დამწყები და მცირე ბიზნესები ხშირად აწყდებიან მნიშვნელოვან

ბარიერებს საჭირო კაპიტალის მოპოვებაში თავიანთი საწარმოების დასაწყებად და გასაძლიერებლად. ფინანსებზე ხელმისაწვდომობა ხელს შეუწყობს ამ ბარიერების გადალახვას, რაც საშუალებას მისცემს მეწარმეებს გააცნობიერონ თავიანთი ბიზნესიდეები და წვლილი შეიტანონ სამუშაო ადგილების შექმნასა და ეკონომიკურ დინამიზმში. *კლაპერის, ლევენისა და რაჯანის* (Klapper, Laeven & Rajan, 2006) მიერ ჩატარებული კვლევა გვიჩვენებს, რომ ფინანსური განვითარება ამცირებს ახალი ფირმების შესვლის ბარიერებს, ხელს უწყობს სამეწარმეო საქმიანობას და ინოვაციას. უფრო მეტიც, კვლევის შედეგების მიხედვით, ფინანსური ჩართულობა ზრდის პროდუქტიულობას და ეფექტურობას, რაც საშუალებას აძლევს ბიზნესებსა და ინდივიდებს უფრო ეფექტურად გაანაწილონ რესურსები.

ეფექტური ფინანსური ბაზრები ხელს უწყობს რესურსების განაწილებას მათი ყველაზე პროდუქტიული გამოყენებისთვის. დანაზოგების ინვესტიციებში გადატანით ფინანსური ინსტიტუტები მხარს უჭერენ კაპიტალის ოპტიმალურ განთავსებას, რაც იწვევს უფრო მაღალ პროდუქტიულობას და ეკონომიკურ ზრდას. ემპირიული კვლევების შედეგები გვიდასტურებს, რომ ფირმები, რომლებსაც ფინანსებზე უკეთესი წვდომა აქვთ, მეტ ინვესტიციას ახდენენ კაპიტალში, აღწევენ მაღალ პროდუქტიულობას და უფრო სწრაფად იზრდებიან. მაგალითად, *ბეკისა* (Beck, Demirgüç-Kunt and Maksimovic, 2005) და სხვათა მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ განვითარებად ქვეყნებში ფინანსებზე ხელმისაწვდომობა დადებით ზეგავლენას ახდენს ფირმის წინსვლაზე, ანუ ფინანსებზე ხელმისაწვდომობა დადებითად აისახება მცირე და საშუალო ზომის საწარმოების (SMEs) ზრდაზე. კრედიტზე უკეთესი ხელმისაწვდომობის პირობებში ფირმების ზრდის უფრო მაღალ ტემპთან ერთად გაიზარდა ინვესტიციები და გაუმჯობესდა პროდუქტიულობა, რაც გადამწყვეტია მიკროეკონომიკური სტაბილურობისთვის. ანალოგიურად, *აიაგარისა* (Ayyagari, Beck and Demirgüç-Kunt, 2007) და სხვათა მიერ ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ფინანსური შეზღუდვები მნიშვნელოვნად ზღუდავს მცირე და საშუალო ბიზნესის ზრდას და ეფექტურობას განვითარებად ქვეყნებში. ფინანსურ სერვისებზე გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობა საშუალებას აძლევს მცირე და საშუალო ბიზნესს

ინვესტიციები განახორციელონ ტექნოლოგიაში, გააფართოონ ოპერაციები და გააძლიერონ თავიანთი კონკურენტუნარიანობა, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ სტაბილურობას. აიაგარის (Ayyagari et al., 2016) კვლევა გვიჩვენებს, რომ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა იწვევს დასაქმების ზრდას, განსაკუთრებით მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებში (MSMEs).

ეკონომიკური მდგრადობა და სტაბილურობა. ფინანსებზე ხელმისაწვდომობა ხელს უწყობს ეკონომიკურ სტაბილურობასა და მდგრადობას. ფინანსური ინსტიტუტები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ლიკვიდურობის შენარჩუნებაში, ტრანზაქციების ხელშეწყობასა და ეკონომიკის საერთო ფუნქციონირების მხარდაჭერაში. კარგად ფუნქციონირებადი ფინანსური ბაზრები უზრუნველყოფს, რომ ბიზნესებსა და ინდივიდებს ჰქონდეთ წვდომა ლიკვიდურ რესურსებზე საჭიროების შემთხვევაში, რაც თავიდან აიცილებს შეფერხებებს ეკონომიკურ საქმიანობაში. ცენტრალური ბანკები და ფინანსური მარეგულირებლები ასევე იყენებენ მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტებს ეკონომიკის სტაბილიზაციისთვის, ეყრდნობიან მყარ ფინანსურ სისტემებს ამ პოლიტიკის ეფექტურად განსახორციელებლად. ეკონომიკური ვარდნის ან კრიზისის დროს ფინანსებზე ხელმისაწვდომობა აუცილებელია ეკონოიკის აღდგენისთვის. ფინანსური მხარდაჭერა ეხმარება ბიზნესს და შინამეურნეობებს შეარბილონ ეკონომიკური შოკების გრძელვადიანი გავლენა. ზოგიერთი კვლევა იძლევა ემპირიულ მტკიცებულებებს ფინანსების ხელმისაწვდომობას, ეკონომიკურ მდგრადობასა და სტაბილურობას შორის დადებით კავშირებზე. *ალენმა* (Allen, et al., 2014) და სხვებმა შეისწავლეს ფინანსური ჩართულობის გავლენა ეკონომიკურ მდგრადობაზე განვითარებად ქვეყნებში. მათ დაადგინეს, რომ ფინანსური ინკლუზია აძლიერებს შინამეურნეობებისა და ბიზნესის უნარს, მართონ რისკები და გამოჯანმრთელდნენ ეკონომიკური შოკებისგან. ფინანსურ სერვისებზე წვდომა, როგორიცაა დანაზოგი, კრედიტი და დაზღვევა, უზრუნველყოფს უსაფრთხოების ქსელს, რომელიც აუმჯობესებს ეკონომიკურ სტაბილურობას. განაში, *კარლანისა* (Karlan et al., 2014) და სხვათა მიერ ჩატარებულ კვლევაში, გაანალიზებულია მიკროდაზღვევის როლი შინამეურნეობების სასოფლო-სამეურნეო რისკების მართვაში. კვლევის შედეგები მიუთითებს იმაზე, რომ სადაზღვევო პროდუქ-

ტებზე ხელმისაწვდომობა ამცირებს შინამეურნეობების დაუცველობას არასასურველი ამინდის პირობების მიმართ, რაც უზრუნველყოფს უფრო სტაბილურ შემოსავალს და ზრდის ინვესტიციებს პროდუქტიულ საქმიანობაში.

მოხმარების დაგლუვება და სიღარიბის შემცირება. ფინანსებზე ხელმისაწვდომობა შეიძლება დაეხმაროს ადამიანებს სიღარიბის დაძლევაში, შემოსავლის მომტან საქმიანობაში ინვესტირების საშუალებების მიწოდებით. მაგალითად, მიკროსაფინანსო ინსტიტუტები სთავაზობენ მცირე სესხებს დაბალი შემოსავლის მქონე პირებს, რომლებსაც არა აქვთ გირაოში ჩასადები ქონება და ტრადიციული საკრედიტო ისტორია, რაც მათ საშუალებას აძლევს წამოიწყონ ან გააფართოონ ბიზნესი. ფინანსური ჩართვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალებისთვის, რომლებიც ხშირად აწყდებიან უფრო დიდ ბარიერებს ფინანსურ სერვისებზე წვდომისას. ემპირიული კვლევები გვიჩვენებს, რომ ფინანსური ჩართულობა მნიშვნელოვნად ამცირებს სიღარიბის დონეს. *ბურგესის და პანდეს* (Burgess and Pande, 2005) მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ინდოეთში სოფლის ბანკების ფილიალების გაფართოებამ გამოიწვია სიღარიბის არსებითი შემცირება და არასასოფლო-სამეურნეო ეკონომიკური აქტივობის გაზრდა. ქალების გაძლიერებამ ფინანსური ხელმისაწვდომობის მიმართულებით შეიძლება უზრუნველყოს ოჯახის შემოსავლების გაზრდა, ოჯახის კეთილდღეობის გაუმჯობესება და ეკონომიკურ საქმიანობაში უფრო ფართო მასშტაბით მონაწილეობა. Grameen Bank-ის მიკროსაფინანსო მოდელი ბანგლადეშში ფართოდ იქნა შესწავლილი ფინანსურ ჩართულობასა და ეკონომიკურ სტაბილურობაზე მისი გავლენის გამო. *ხანდკერის* (Khandker,2005) კვლევა ადასტურებს, რომ მიკროსაფინანსო პროგრამებმა მნიშვნელოვნად შეამცირა სიღარიბე და გააუმჯობესა შინამეურნეობების კეთილდღეობა. მცირე სესხების ხელმისაწვდომობამ მეწარმეებს, განსაკუთრებით ქალებს, ბიზნესის წამოწყებისა და გაფართოების საშუალება მისცა, რამაც გამოიწვია ეკონომიკური აქტივობისა და სტაბილურობის გაზრდა.

ფინანსურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა აუმჯობესებს ოჯახის კეთილდღეობას განათლებაში ინვესტიციებისა და შემოსავლების დივერსიფიკაციის საშუალებით. კენიაში, *დუპასის და*

რობინსონის მიერ (Dupas and Robinson, 2013) ჩატარებულმა კვლევამ დაადგინა, რომ ოფიციალურ შემნახველ ანგარიშებზე წვდომა შინამეურნეობებს საშუალებას აძლევს უკეთ მართონ თავიანთი ფული, რის შედეგაც გაიზარდა დანაზოგი და გამოიწვია ბიზნეს-ინვესტიციებისა და მოხმარების დონის ამაღლება. უსაფრთხოდ დაზოგვის შესაძლებლობამ შეამცირა შინამეურნეობების დაუცველობა შემოსავლის შოკებისა და საგანგებო სიტუაციების მიმართ, რაც ხელს უწყობს უფრო მეტ ეკონომიკურ სტაბილურობას. გლობალური Findex-ის მონაცემთა ბაზის გამოყენებით ჩატარებულმა კვლევამ (Demirgüç-Kunt, Klapper, and Singer, 2017), გვიჩვენა, რომ ფინანსური ჩართულობა ოჯახებს შესაძლებლობას აძლევს მართონ რისკი, ინვესტიციები განახორციელონ შემოსავლის მომტან საქმიანობაში და ამით შეამცირონ სიღარიბის დონე. ფინანსურ სერვისებზე წვდომა, როგორიცაა შემნახველი ანგარიშები, კრედიტი და დაზღვევა, ეხმარება ოჯახებს უკეთ გაუმკლავდნენ ეკონომიკურ შოკებს და შეინარჩუნონ სტაბილური მოხმარების დონე.

კუმარი და ჯი (Kumar and Jie, 2023) განიხილავენ, თუ როგორ მოქმედებს ფინანსებზე არათანაბარი ხელმისაწვდომობა და უთანასწორობის სხვადასხვა ფორმები სიღარიბეზე განვითარებად ქვეყნებში. ავტორები ვარაუდობენ, რომ ქალები და ღარიბები ამ რეგიონებში კვლავაც განიცდიან დისკრიმინაციას ფინანსურ სერვისებზე წვდომისას. კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ ფინანსური ჩართულობა უფრო ეფექტურია სიღარიბის შესამცირებლად იმ ქვეყნებში, სადაც ქალებსა და ღარიბებს უფრო მეტი წვდომა აქვთ ფორმალურ ფინანსებზე. კიდევ ერთი კვლევა, რომელიც ჩატარდა ინდოეთში (Banerjee, Duflo, Glennerster and Kinnan, 2015), გვიჩვენებს, რომ მიკროსაფინანსოებზე ხელმისაწვდომობა ოჯახებს საშუალებას აძლევს მეტი ინვესტიცია ჩადონ შვილების განათლებასა და ჯანდაცვაში, რასაც გრძელვადიან პერსპექტივაში ოჯახები მიჰყავს გაუმჯობესებულ შედეგებამდე. ეს ინვესტიცია ადამიანურ კაპიტალში აძლიერებს შინამეურნეობების ეკონომიკურ სტაბილურობასა და პოტენციალს.

დასკვნის სახით, მიკროეკონომიკური თეორია იძლევა მყარ ჩარჩოს ფინანსებზე ხელმისაწვდომობის მნიშვნელობის გასაგებად. იგი ხაზს უსვამს იმას, თუ როგორ მოქმედებს ფინანსური ხელმისაწვდომობა ინვესტიციებზე, წარმოებაზე, მოხმარებასა და

მთლიან ეკონომიკურ განვითარებაზე. ბაზრის არასრულყოფილების აღმოფხვრა და ფინანსური შუამავლობის გაძლიერება გადამწყვეტია ფინანსური ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისთვის. ემპირიული კვლევები მუდმივად ავლენს პოზიტიურ კავშირს ფინანსებზე ხელმისაწვდომობასა და ეკონომიკურ ზრდას შორის. უფრო განვითარებული ფინანსური სისტემების მქონე ქვეყნები, როგორც წესი, განიცდიან უფრო მაღალი ზრდის ტემპებს, უფრო დიდ ეკონომიკურ დივერსიფიკაციას და შემცირებულ შემოსავლის უთანასწორობას. ფინანსური ჩართულობა საშუალებას აძლევს ინდივიდებს და ბიზნესს განახორციელონ ინვესტიციები იმ შესაძლებლობის ფარგლებში, რამაც შეიძლება უზრუნველყოს ეკონომიკური ზრდა და განვითარება. თუმცა ბევრ განვითარებად ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, ფინანსური ხელმისაწვდომობა შეზღუდულია სხვადასხვა ფაქტორების გამო, როგორიცაა არაადეკვატური ინფრასტრუქტურა, მარეგულირებელი ბარიერები და ფინანსური განათლების ნაკლებობა. ემპირიულმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ ფინანსურმა გარიყულობამ შეიძლება გამოიწვიოს რამდენიმე მიკროეკონომიკური პრობლემა, მათ შორის მცირე ბიზნესში ინვესტიციების შემცირება, მოხმარების შეზღუდული შესაძლებლობები და გაზრდილი დაუცველობა ეკონომიკური შოკების მიმართ. საქართველოზე ფოკუსირებული კვლევა გვიჩვენებს, რომ სოფლის მოსახლეობა და მცირე საწარმოები განსაკუთრებით განიცდიან ამ საკითხებს, რაც იწვევს სიღარიბისა და ეკონომიკური სტაგნაციის ციკლს (OECD, 2022; Conde and Gattini, 2019). ნაშრომის შემდეგ ნაწილში განვიხილავთ ძირითად გამოწვევებს და დაბრკოლებებს, რომლებსაც განვითარებადი ქვეყნები აწყდებიან ყოვლისმომცველი ფინანსური ჩართულობის მისაღწევად.

განვითარებად ქვეყნებში ფინანსური ჩართულობის სპეციფიკური გამოწვევები.

განვითარებადი ქვეყნები უამრავ დაბრკოლებას აწყდებიან ყოვლისმომცველი ფინანსური ჩართულობის მისაღწევად. ეს გამოწვევები მრავალმხრივია და მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ, ინფრასტრუქტურულ, მარეგულირებელ საკითხებს და ფინანსურ წიგნიერებასა და ნდობას.

ეკონომიკური შეზღუდვები გამოწვეულია დაბალი შემოსავლითა და არაფორმალური დასაქმების მაღალი დონით. განვითარებად ქვეყნებში მრავალ ინდივიდს და ოჯახს აქვს დაბალი და არარეგულარული შემოსავალი, რაც ართულებს მათთვის ფულის დაზოგვას ან სესხის მიღებას. ფინანსური სტაბილურობის ეს ნაკლებობა ამცირებს მათ შესაძლებლობებს ჩაერთონ ფორმალურ ფინანსურ სერვისებში. განვითარებად ქვეყნებში სამუშაო ძალის მნიშვნელოვანი ნაწილი არაფორმალურადაა დასაქმებული, არ გააჩნია სტაბილური შემოსავალი და ოფიციალური დოკუმენტაცია. ეს ართულებს ფინანსური ინსტიტუტების კრედიტუნარიანობის შეფასებას და ფინანსური სერვისების გაფართოებას (Claessens & Tzioumis, 2006; Beck & Demirgüç-Kunt, 2008).

ინფრასტრუქტურის დეფიციტი მოიცავს ფიზიკური წვდომის ნაკლებობას და განუვითარებელ ციფრულ ინფრასტრუქტურას. მრავალ სოფელში და შორეულ რაიონში არ არის ფიზიკური საბანკო ინფრასტრუქტურა, როგორიცაა ბანკის ფილიალები, ბანკომატები და გაყიდვების პუნქტები (POS). ეს გეოგრაფიული მიუწვდომლობა ბევრ ადამიანს აფერხებს ფორმალური ფინანსური სერვისების გამოყენებას. სანდო ინტერნეტსა და მობილურ ქსელებზე შეზღუდული წვდომა აფერხებს ციფრული ფინანსური სერვისების მიღებას, რაც აუცილებელია შორეულ ადგილებში ფინანსური ჩართულობის გასაძლიერებლად. *ჩამიუ* (Tchamyou et al., 2019) და სხვები შეისწავლიან საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) გავლენას შემოსავლების უთანასწორობაზე ფინანსური განვითარების სხვადასხვა ინდიკატორის დინამიკის ანალიზის საფუძველზე. კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ ფინანსური სიღრმე და ზომა ხელს უწყობს უთანასწორობის შემცირებას ICT-ის გავლენის გამო. *ჯანგი* (Zhang et al., 2023) და სხვები შეისწავლიან ჩინეთში შვიდ საპილოტე ზონაში განხორციელებული ახალი დიგიტალიზაციის პოლიტიკის გავლენას მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე (SMEs) და მათ ხელმისაწვდომობას ფინანსებზე. ამ კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ დიგიტალიზაცია უფრო ეფექტურია, ვიდრე ტრადიციული მეთოდები მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების შეზღუდვების შემსუბუქებისა და ფინანსური ჩართულობის გასაუმჯობესებლად. კერძოდ, ციფრული ფინანსური სერვისების გამოყენება, როგორიცაა გადახდები,

ფულადი სახსრები, კრედიტი, დაზღვევა და ინვესტიციები, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინფორმაციის ასიმეტრიის შემცირებაში და ხელს უწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის წვდომას ფინანსებზე. ანალოგიურად, *მუშტაქმა* (Mushtaq et al. 2022) და სხვებმა შეისწავლეს ICT-ის დანერგვა, ინოვაციებსა და მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსებზე წვდომას შორის ურთიერთობა მსოფლიო ბანკის საწარმოთა კვლევის (WBES) მონაცემების გამოყენებით, რომელიც მოიცავს 171,000 მცირე და საშუალო ბიზნესს 149 ქვეყანაში (2006-2020 წლები). ინფორმაციის ასიმეტრიის ჰიპოთეზის შესაბამისად, კვლევის შედეგად გაკეთებული დასკვნები ადასტურებს, რომ ICT-ის დანერგვა ამცირებს ინფორმაციის ასიმეტრიას მცირე და საშუალო საწარმოებსა და ბანკებს შორის, რაც ზრდის იმის ალბათობას, რომ ბანკები უზრუნველყოფენ კრედიტს და დაფინანსებას მცირე და საშუალო ბიზნესის ინოვაციური პროექტებისა და სამუშაო კაპიტალის საჭიროებისთვის.

მარეგულირებელი და ინსტიტუციური ბარიერები გამოწვეულია რთული მარეგულირებელი ჩარჩოებით და სუსტი ფინანსური ინსტიტუტებით. ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში მარეგულირებელი მოთხოვნები შეიძლება იყოს შრომატევადი და ძვირი როგორც ფინანსური ინსტიტუტებისთვის, ასევე მომხმარებლებისთვის. ეს რეგულაციები შეიძლება შეიცავდეს ვრცელი დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შესაბამისობის მაღალ ხარჯებს და სესხის გაცემის შემზღუდველ კრიტერიუმებს. განვითარებად ქვეყნებში ფინანსურ ინსტიტუტებს ხშირად არ გააჩნიათ შესაძლებლობები, ტექნოლოგია და ექსპერტიზა, რომ ეფექტურად მოემსახურონ დაბალი შემოსავლის მქონე მოსახლეობას და მცირე ბიზნესს. ეს ზღუდავს მათ შესაძლებლობას უზრუნველყონ ინკლუზიური ფინანსური პროდუქტები და მომსახურება. მაგალითად, *ზეკირჯი* (Zeqiraj et al., 2022) თავის ნაშრომი იკვლევს ინსტიტუციური ხარისხის ისეთ დინამიკურ ეფექტებს, როგორიცაა კორუფციის კონტროლი, მთავრობის ეფექტურობა, პოლიტიკური სტაბილურობა, რეგულაციის ხარისხი, კანონის უზენაესობა და ანგარიშვალდებულება ფინანსურ ჩართულობაზე განვითარებად ქვეყანებში. კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ მარეგულირებელი ინსტიტუტების მაღალი ხარისხი აძლიერებს როგორც ხელმისაწვდომობას, ისე ფორმალური ფინანსური სერვისების გამოყენებას ამ ქვეყნებში.

ანალოგიურად, *ანარფო და აბორი* (Anarfo and Abor, 2020) იკვლევენ ფინანსური რეგულირების გავლენას ფინანსურ ჩართულობაზე სუბ-საჰარის აფრიკის ქვეყნების მაგალითზე ფინანსური სტაბილურობის მოდერაციულ როლზე ფოკუსირებით. ფინანსური ჩართულობისა და ძირითადი მაკრო-პრუდენციული რეგულაციების, განსაკუთრებით კაპიტალის ადეკვატურობის, ურთიერკავშირის შესწავლით, კვლევამ აღმოაჩინა, რომ უფრო მკაცრმა პრუდენციალურმა რეგულაციებმა შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ფინანსების ხელმისაწვდომობაზე, რაც პოტენციურად ეწინააღმდეგება სუბ-საჰარის აფრიკის ეკონომიკის ფინანსური ჩართულობის მიზნებს. კერძოდ, კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნა მნიშვნელოვნად ზღუდავს ბანკების შესაძლებლობას ფინანსური მომსახურების გაწევაში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო რაციონირება და ფინანსური ჩართულობის შემცირება. ასევე *ფეგალის* (Feghali et al. 2021) კვლევა იძლევა ახალ შეხედულებებს იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს საბანკო ბაზრის სტრუქტურა რისკის აღების სტიმულებზე. მისი შედეგები ცხადყოფს, რომ უფრო კონკურენტუნარიანი საბანკო გარემო აძლიერებს კრედიტის ჩართულობის გავლენას სტაბილურობაზე.

ფინანსური წიგნიერება და ნდობა. განვითარებად ქვეყნებში ადამიანების უმეტესობას არ გააჩნია ძირითადი ფინანსური წიგნიერება, რაც ართულებს მათთვის ფინანსური პროდუქტებისა და სერვისების გამოყენებას. ამ ცოდნის ნაკლებობამ შეიძლება გამოიწვიოს უნდობლობა და ფორმალურ ფინანსურ ინსტიტუტებთან ურთიერთობის უქონლობა. ფინანსური არასტაბილურობის ისტორიამ, მათ შორის ბანკების წარუმატებლობამ და თაღლითობამ, შეიძლება გამოიწვიოს ზოგადი უნდობლობა ფორმალური ფინანსური ინსტიტუტების მიმართ. ეს უნდობლობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა სოფლად და დაბალშემოსავლიან მოსახლეობაში. *გროჰმანმ* (Grohmann et al., 2018) და სხვა მკვლევრებმა სხვადასხვა ქვეყნაში ფინანსური ჩართულობის შესწავლისას აღმოაჩინეს ფინანსური წიგნიერების მაღალი ხარისხის პოზიტიური ეფექტი. ავტორების აზრით, ფინანსური წიგნიერება სხვადასხვა როლს ასრულებს ფინანსური განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ ფინანსური განვითარების ადრეულ ეტაპებზე ფინანსური წიგნიერება ნაწილობრივ შეიძლება გახდეს

ფინანსური სიღრმის (რაც ასახავს ფინანსური ინფრასტრუქტურის განვითარებას) გაზრდის შემცვლელი. თუმცა ფინანსური განვითარების პროგრესირების მიხედვით, ფინანსური წიგნიერება აუცილებელი ხდება ხელმისაწვდომი ინფრასტრუქტურის სრულყოფილად გამოყენებისთვის. *ნუგრაჰა* (Nugraha et al., 2022) და სხვ. ავტორებმა შეისწავლეს ფაქტორები, რომლებმაც განაპირობა Fintech-ის დანერგვა ინდონეზიის მცირე და საშუალო ბიზნესში COVID-19 კრიზისის დროს. ავტორები ამტკიცებენ, რომ Fintech-ის საშუალებით ციფრულ ფინანსურ პროდუქტებზე წვდომამ მნიშვნელოვნად გაზარდა მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსური ჩართულობა, განსაკუთრებით COVID-19 პანდემიის დროს. კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ სარგებლიანობა, გამოყენების სიმარტივე, მთავრობის მხარდაჭერა, ნდობა და მომხმარებლის ინოვაციურობა დადებითად მოქმედებს მცირე და საშუალო საწარმოების განზრახვებზე, რათა დანერგონ Fintech-ი თავიანთ საწარმოებში. გარდა ამისა, ფინანსური წიგნიერებას აქვს არაპირდაპირი კავშირი Fintech-ის დანერგვასთან და ამ კავშირში მედიატორის როლს ასრულებს მომხმარებლის ინოვაციურობა. ავტორები ვარაუდობენ, რომ Fintech-ი გადამწყვეტ როლს თამაშობს ფინანსური ჩართულობის ხელშეწყობაში, რაც საშუალებას აძლევს მცირე და საშუალო ბიზნესს, რომლებსაც აქვთ დაბალი ფინანსური წიგნიერება, მიიღონ ფინანსური პროდუქტები და სერვისები ციფრული პლატფორმების საშუალებით.

სოციალური და კულტურული ფაქტორები, როგორიცაა გენდერული უთანასწორობა და კულტურული წინააღმდეგობა. განვითარებად ქვეყნებში ქალები ხშირად აწყდებიან ფინანსური ჩართულობის უფრო დიდ ბარიერებს კულტურული ნორმების, კანონიერი უფლებების ნაკლებობისა და განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობების შეზღუდული ხელმისაწვდომობის გამო. ეს გენდერული სხვაობა ფინანსურ ხელმისაწვდომობაში ამძაფრებს არსებულ უთანასწორობას. ტრადიციულმა პრაქტიკამ და ფორმალური ფინანსური სისტემებისადმი კულტურულმა წინააღმდეგობამ შეიძლება შეაფერხოს ფინანსური სერვისების მიღება. ზოგიერთ საზოგადოებაში არაფორმალურ ფინანსურ პრაქტიკას, როგორიცაა მბრუნავი შემნახველი და საკრედიტო ასოციაციები (ROSCAs), აქვს უპირატესობა ფორმალურ საბანკო საქმიანობასთან

შედარებით. მაგალითად, *ანიანგვე* (Anyangwe et al., 2022) და სხვები თავიანთ ნაშრომში იკვლევენ კულტურის გავლენას ფინანსურ ჩართულობაზე. კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ კულტურებში, რომლებსაც ახასიათებთ ხელისუფლების დისტანცირება, მეტი მამაკაცურობა და მაღალი გაურკვევლობის თავიდან აცილების სურვილი, ფინანსური ჩართულობის დონე არის ნაკლები. ამის საპირისპიროდ, კულტურები, რომლებიც უფრო ინდივიდუალისტურია, გრძელვადიან პერსპექტივაშია ორიენტირებული და თავმდაბალი, აჩვენებს ფინანსური ჩართულობის უფრო მაღალ ალბათობას. კვლევის ეს შედეგები მნიშვნელოვანია ფინანსური ჩართულობის ხელშეწყობისკენ მიმართული პოლიტიკის ჩამოყალიბებისთვის, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში. რადგან ფინანსური ჩართულობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს სიღარიბის დაძლევასა და მთლიან ეკონომიკურ განვითარებაში.

ფინანსური ჩართულობა საქართველოში: არსებული მდგომარეობა, გამოწვევები და შედეგები

საქართველო, როგორც განვითარებადი ქვეყანა, უნიკალური გარემოებებით აწყდება საკუთარ სპეციფიკურ დაბრკოლებებს ფინანსური ჩართულობის ხელშეწყობაში, რაც დაკავშირებულია მის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ კონტექსტთან. ნაშრომის ამ ნაწილში განვიხილავთ საქართველოში არსებულ ვითარებას, გამოწვევებს და ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობის შედეგებს.

საქართველოში ფინანსური ჩართულობის ძირითადი ინდიკატორების დინამიკის გასაანალიზებლად და რეგიონის სხვა ქვეყნებთან შესადარებლად ვიყენებთ Global Findex Database 2021-ის მონაცემებს, რომელიც 2011-2021 წლების პერიოდის ფინანსური ჩართულობის ძირითად ინდიკატორებს ასახავს. ფინანსური ჩართულობის შერჩეული ინდიკატორების დინამიკა საქართველოში ამ პერიოდისთვის წარმოდგენილია ცხრილში 1. ამ ცხრილის მიხედვით, განსახილველ პერიოდში საქართველოში არსებითად გაუმჯობესდა ფინანსური ჩართულობის მაჩვენებელთა უმეტესი ნაწილი.

ცხრილი 1

ფინანსური ჩართულობის ინდიკატორების დინამიკა საქართველოში 2011-2021 წწ.

N	მაჩვენებელი	წლები			
		2011	2014	2017	2021
1	ფინანსური ინსტიტუტის ანგარიში (%, ასაკი 15+)[4]	33%	40%	61%	70%
2	მობილური ფულის ანგარიში (%, ასაკი 15+)[5]	-	-	2%	8%
3	განახორციელა ან მიიღო ციფრული გადახდა (% ასაკი 15+)[6]	-	23%	54%	62%
4	დანაზოგი ფინანსურ ინსტიტუტში (%, ასაკი 15+)[7]	1%	1%	5%	8%
5	დანაზოგი მობილური ფულის ანგარიშის გამოყენებით (%, ასაკი 15+)[8]	-	-	-	1%
6	სესხი ოფიციალური ფინანსური ინსტიტუტიდან ან მობილური ფულის ანგარიშის გამოყენებით (%, ასაკი 15+)[9]	-	-	-	24%
7	სესხი ფერმის ან ბიზნესის დასაწყებად, ოპერირების ან გაფართოებისთვის (%, ასაკი 15+)[10]	-	3%	3%	-

წყარო: The World Bank Group, The Global Findex Database 2021, https://www.worldbank.org/en/publication/globalfindex/Data

[4] The percentage of respondents who report having an account (by themselves or together with someone else) at a bank or another type of financial institution.

[5] The percentage of respondents who report personally using a mobile money service in the past year.

[6] The percentage of respondents made or received a digital payment in the past year.

[7] The percentage of respondents who report saving or setting aside any money at a bank or another type of financial institution in the past year.

[8] The percentage of respondents who report saving money using a mobile money account.

[9] The percentage of respondents who report borrowing any money from a bank or another type of financial institution, or using a credit card, or using a mobile money account in the past year.

[10] The percentage of respondents who report borrowing any money to start, operate, or expand a farm or business in the past year.

ცხრილის პირველი სამი ინდიკატორი წარმოადგენს ფინანსებზე ხელმისაწვდომობის განზომილებას, ხოლო დანარჩენი ინდიკატორები აღწერს ფინანსების გამოყენებას. წარმოდგენილი მონაცემები გვიჩვენებს, რომ განსახილველ პერიოდში საქართველომ ფინანსური რესურსების გამოყენებასთან შედარებით ბევრად უკეთესი შედეგი გამოიღო ფინანსური ხელმისაწვდომობის მაჩვენებლებთან მიმართებით. მაგალითად, იმ რესპონდენტთა პროცენტი, რომლებიც აცხადებენ, რომ აქვთ ანგარიში (თვითონ ან სხვასთან ერთად) ბანკში ან სხვა ტიპის ფინანსურ ინსტიტუტში, ორჯერ გაიზარდა, 33%-დან (2011 წ.) 70%-მდე (2021 წ.). იმ რესპონდენტთა პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც პირადად იყენებდნენ მობილური ფულის სერვისს, გაიზარდა 2%-დან (2017 წელი) 8%-მდე (2021 წელი), ხოლო ციფრული გადახდის განხორციელებით ან მიღებით მოსარგებლე რესპონდენტთა პროცენტული მაჩვენებელი –23%-დან (2014 წელი) 62%-მდე (2021 წელი).

1-ელი ცხრილის მიხედვით, განსახილველ პერიოდში საქართველოში ფინანსური რესურსების გამოყენება შეიძლება შემდეგნაირად იყოს აღწერილი: რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებმაც განაცხადეს ფულის დაზოგვის ან შენახვის შესახებ ბანკში ან სხვა ტიპის ფინანსურ ინსტიტუტში, გაიზარდა 1%-დან (2011 წელი) 8%-მდე (2021 წელი). 2021 წელს გამოკითხულთა მხოლოდ ერთმა პროცენტმა განაცხადა, რომ დაზოგა ფული მობილურის ფულის ანგარიშზე, ხოლო 24%-მა გასული წლის განმავლობაში ბანკიდან ან სხვა ტიპის ფინანსური ინსტიტუტიდან ისესხა ფული ან საკრედიტო ბარათით, ან მობილური ფულის ანგარიშის გამოყენებით. ეს მაშინ, როცა იმ რესპონდენტთა პროცენტული მაჩვენებელი, რომლებმაც ფული ისესხეს ფერმის ან ბიზნესის დასაწყებად ოპერირების ან გაფართოების მიზნით, 2017 წელთან შედარებით უცვლელი დარჩა და შეადგინა 3%.

ფინანსური ჩართულობის ინდიკატორების საერთაშორისო შედარება 2021 წლისთვის წარმოდგენილია ცხრილში 2.

ცხრილი 2

ფინანსური ჩართულობის ინდიკატორების შედარება ქვეყნების და რეგიონების მეხედვით, 2021 წ.[11]

N	**მაჩვენებელი**	**ქვეყნები და რეგიონები**								
		საქართველო	სომხეთი	აზერბაიჯანი	უკრაინა	მოლდოვა	ევროპა და ცენტრალური აზია	ევროპა და ცენტრალური აზია (მაღალი შემოსავლის გამოკლებით)	უმაღლესი საშუალო შემოსავლის ქვეყნები	მსოფლიო ჯამური
1	ფინანსური ინსტიტუტის ანგარიში (%, ასაკი 15+)	70%	52%	46%	84%	64%	89%	77%	84%	74 %
2	მობილური ფულის ანგარიში (%, ასაკი 15+)	8%	17%	-	-	-	-	17%	10%	10 %
3	განახორციელა	62%	47%	43%	60%	81%	87%	74%	80%	64 %

[11] For Azerbaijan -2022

	ან მიიღო ციფრული გადახდა (% ასაკი 15+)									
4	დანაზოგი ფინანსურ ინსტიტუტში (%, ასაკი 15+)	8%	6%	4%	11%	8%	37%	13%	36%	29 %
5	დანაზოგი მობილური ფულის ანგარიშის გამოყენებით (%, ასაკი 15+)	1%	2%	-	-	-	-	2%	6%	5%
6	სესხი ოფიციალური ფინანსური ინსტიტუტი-დან ან მობილური	24%	28%	19%	13%	34%	40%	29%	35%	29 %

	ფულის ანგარიშის გამოყენებით (%, ასაკი 15+)									
7	სესხი ფერმის ან ბიზნესის დასაწყებად, ოპერირების ან გაფართ-ოების თვის (%, ასაკი 15+)	3%	17%	5%	4%	1%	3%	4%	5%	6%

წყარო: The World Bank Group, The Global Findex Database 2021, https://www.worldbank.org/en/publication/globalfindex/Data

ცხრილის მიხედვით, საქართველო მეტ-ნაკლებად შედარებადია რეგიონულ ქვეყნებთან, როგორიცაა სომხეთი, აზერბაიჯანი, მოლდოვა და უკრაინა, როგორც ფინანსებზე ხელმისაწვდომობის, ისე ფინანსური რესურსების გამოყენების კუთხით. საქართველო მაინც არსებითად ჩამორჩება საშუალო რეგიონულ [ევროპა და ცენტრალური აზია (მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნების გარეშე), უმაღლესი საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნები] და მსოფლიო მაჩვენებლებს. ამრიგად, ფინანსური ჩართულობის მაჩვენებლების დადებითი დინამიკის მიუხედავად, ბოლო პერიოდში საქართვე-

ლოს მაინც უწევს არსებითი ძალისხმევა საერთაშორისო ნიშნულებთან დაახლოების მიზნით.

მაგალითად, *კონდემ და გატინიმ* (Conde და Gattini, 2019), რომლებმაც საქართველოში შეისწავლეს დაფინანსების საკითხები, თვლიან, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების ლანდშაფტი საქართველოში წარმოადგენს როგორც გამოწვევებს, ასევე შესაძლებლობებს. სესხებზე უარის თქმა და საკრედიტო შეზღუდვები რჩება ბაზარზე, ძირითადად, ისეთი ფაქტორების გამო, როგორიცაა არასაკმარისი გირაო, საკრედიტო ისტორიის ნაკლებობა, განუზომელი რისკები და სუსტი ბიზნესგეგმები. მეორე მხრივ, ავტორების აზრით, კომპანიების არარელევანტური ფინანსური ცოდნა კვლავ რჩება მნიშვნელოვან გამოწვევად, რომელიც ზღუდავს ვაჭრობის დაფინანსებასთან დაკავშირებულ სერვისებზე მოთხოვნას. *კონდე და გატინი* (Conde და Gattini, 2019) მიუთითებენ, რომ საქართველოში საკრედიტო განვითარების დაბრკოლებები მოიცავს ტურბულენტურ მაკროეკონომიკურ პირობებს, მაღალ საპროცენტო განაკვეთებს, გირაოს მოთხოვნას და პროექტის მომგებიანობის შეფასებას. გრძელვადიანი საინვესტიციო დაფინანსება ნაკლებად ხელმისაწვდომია, ვიდრე მოკლევადიანი საბრუნავი კაპიტალის სესხები, რაც გავლენას ახდენს მცირე და საშუალო ბიზნესის გაფართოების გეგმებზე. გარე დაფინანსების წყაროები ძირითადად ბანკებია, კრედიტის გარდა სხვა ინსტრუმენტები შეზღუდულად გამოიყენება. კერძო კაპიტალის, სარისკო კაპიტალისა და საკრედიტო გარანტიის სქემები განუვითარებელია.

საქართველოში, მთავრობა მიზნად ისახავს მხარი დაუჭიროს თავის კერძო სექტორს, სადაც დომინირებს მცირე და საშუალო ბიზნესები, რომლებიც შეადგენენ ფირმების ბრუნვის, დამატებული ღირებულებისა და დასაქმების მნიშვნელოვან ნაწილს. მაგალითად, OECD (2022) კვლევის მიხედვით, 2020 წელს მცირე და საშუალო ბიზნესი შეადგენდა საქართველოში მოქმედი ბიზნესების 99.6%-ს, სადაც დასაქმებულია ბიზნესსექტორის 59.3% და რომელსაც წვლილი შეაქვს ბრუნვის 40.8%-ში და გამოშვებული პროდუქციის 58.0%-ში. ამიტომაც, საქართველოს მთავრობამ პრიორიტეტად მიიჩნია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ისეთი სააგენტოების მეშვეობით, როგორიცაა საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო და აწარმოე საქართველოში,

რომლებიც სთავაზობენ ფინანსურ მხარდაჭერას და მომსახურებას ბიზნესსექტორს (USAID Georgia, 2017; ბახტაძე და დანელია, 2020).

საქართველომ 2012 წლიდან გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების გასაუმჯობესებლად. 2016-2020 წლებში მთავრობის ეროვნული სტრატეგია მიზნად ისახავდა მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების პრობლემის შემსუბუქებას. 2021-2025 წლებში საქართველოს მთავრობა აგრძელებს ამ პოლიტიკას, შესაბამისად არსებული ხელსაყრელი ბიზნესგარემო წარმოადგენს მცირე და საშუალო ბიზნესისათვის განვითარების პოტენციალს. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდაზე ორიენტირებული ღონისძიების შედეგად საშუალო საპროცენტო განაკვეთი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის შემცირდა17.5%-დან (2010 წელი) 9.3%-მდე (2020 წელი). თვითონ ფინანსებზე ხელმისაწვდომობა გაუმჯობესდა სამართლებრივი გაუმჯობესებისა და კერძო სექტორის ინიციატივების შედეგად. 2020 წელს მცირე და საშუალო ბიზნესის სესხები გაიზარდა 23%-ით და მიაღწია 10.0 მილიარდ ლარს, თუმცა ფინანსებზე ხელმისაწვდომობა კვლავ გამოწვევად რჩება (OECD, 2022). მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ მიაღწია პროგრესს ბიზნესგარემოს გაუმჯობესების საქმეში, მისი რეიტინგი ფინანსური ბაზრის განვითარებაში უფრო დაბალია, რაც მიუთითებს კრედიტისა და ფინანსების წვდომის სირთულეებზე, შეზღუდულ ხელმისაწვდომობაზე დაფინანსების ისეთ ალტერნატიულ წყაროებზე, როგორიცაა სარისკო კაპიტალისა და კაპიტალის ბაზრები. განსაკუთრებით რთულია სიტუაცია მცირე და ახალი ფირმებისთვის, რომლებსაც არ გააჩნიათ მნიშვნელოვანი საკრედიტო ისტორიისა და გირაოს შესაძლებლობა.

საქართველოში ფინანსური ჩართულობის ზემოაღნიშნული ანალიზი ცხადყოფს ფინანსებზე ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვან ხარვეზებს, განსაკუთრებით სოფლად და მარგინალიზებულ ჯგუფებს შორის. მსოფლიო ბანკის გლობალური Findex-ის მონაცემთა ბაზის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი რჩება საბანკო სექტორის მომსახურების გარეშე, რადგან შეზღუდული წვდომა აქვთ ისეთ ოფიციალურ ფინანსურ სერვისებზე, როგორიცაა საბანკო ანგარიშები, კრედიტი და დაზღვევა. ფინანსური ხელმისაწვდომობის ეს ნაკლებობა განსაკუთ-

რებით გამოხატულია ქალებთან, დაბალშემოსავლიან შინამეურ-ნეობებსა და სოფლის მაცხოვრებლებლებთან მიმართებით, რაც ხაზს უსვამს ფინანსურ სისტემაში არსებულ ღრმა უთანასწორობას. საქართველოში შეზღუდული ხელმისაწვდომობის საკითხს კიდევ უფრო ამწვავებს მოსახლეობის ფინანსური განათლების შედარე-ბით დაბალი მაჩვენებელი. Standard & Poor's Global FinLit Survey-ის (Klapper et al., 2015) მიხედვით, საქართველოში ზრდასრულთა მხოლოდ 30% არის ფინანსებთან დამოკიდებულების მხრივ განათ-ლებული. ქვემოთ განვიხილავთ მიკროდონეზე ფინანსებზე შეზ-ღუდული ხელმისაწვდომობის ძირითად შედეგებს.

ბიზნესის ზრდისა და ინოვაციების შეზღუდვები. ფინან-სებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად აფერხებს საქართველოში მცირე ბიზნესის, მეწარმეების ზრდისა და ინო-ვაციური პოტენციალის განვითარებას. ადეკვატური დაფინანსების არარსებობა ზღუდავს ბიზნესს გააფართოვოს ახალი ტექნოლო-გიები, საინვესტიციო ოპერაციები ან შეძლოს ახალ ბაზრებზე შესვლა. ეს იწვევს დაბალ პროდუქტიულობას, კონკურენტუნა-რიანობის შემცირებას და ბიზნესის ნელ ზრდას.

შემცირებული საყოფაცხოვრებო მოხმარება და დანაზოგი. ფინანსურ სერვისებზე შეზღუდული წვდომის მქონე ოჯახებს გააჩნიათ ფინანსების ეფექტური მართვის პრობლემები. კრედიტზე ხელმისაწვდომობის გარეშე ოჯახმა შეიძლება გადადოს ისეთი მნიშვნელოვანი ხარჯები, როგორიცაა ჯანდაცვა, განათლება და სახლში საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. გარდა ამისა, უსაფრთხო დაზოგვის უუნარობამ შეიძლება ხელი შეუშალოს ოჯახებს სიმდიდრის დაგროვებაში და ფინანსური რისკების მართვაში.

არაადეკვატური ინვესტიცია ადამიანურ კაპიტალში. ფინან-სებზე ხელმისაწვდომობა გადამწყვეტია ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციებისთვის, როგორიცაა განათლება და ჯანმრთელობა. შეზღუდულმა ფინანსურმა ხელმისაწვდომობამ შეიძლება ხელი შეუშალოს ინდივიდებს უმაღლესი განათლების მიღებაში ან საჭირო სამედიცინო დახმარების მიღებაში, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს მათი გრძელვადიანი შემოსავლის პოტენციალსა და პროდუქტიულობაზე.

ბაზარზე მონაწილეობის ბარიერები. შეზღუდული ფინანსური ხელმისაწვდომობა ქმნის ბარიერებს ბაზარზე მონაწილეობისთვის, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფებისთვის, როგორიცაა ქალები, სოფლის მოსახლეობა და დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახები. საკრედიტო და სხვა ფინანსურ სერვისებზე წვდომის გარეშე ამ ჯგუფებს უჭირთ ბიზნესის წამოწყება ან გაფართოება, ბაზრებზე წვდომა და ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილეობა.

შემოსავლის უთანასწორობის გაფართოება. ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა ამძაფრებს შემოსავლების უთანასწორობას დაუცველი ჯგუფებისთვის ეკონომიკურ შესაძლებლობებზე ბარიერების შექმნით. მათ, ვისაც წვდომა აქვს ფინანსურ სერვისებზე, შეუძლიათ ინვესტირება ბიზნესში, განათლებასა და აქტივებში, ხოლო მათ, ვისაც წვდომა არ აქვს, დაბალშემოსავლიან ხაფანგში რჩებიან.

სიღარიბის გახანგრძლივება. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გარეშე, დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახები იბრძვიან სიღარიბის ციკლის გარღვევისთვის. მათ უჭირთ შემოსავლის მომტან საქმიანობაში ინვესტირება, ფინანსური რისკების მართვა და დანაზოგების დაგროვება. ეს აგრძელებს სიღარიბეს თაობებში და ზღუდავს სოციალურ მობილობას.

სოციალური გარიყულობა და მარგინალიზაცია. შეზღუდული ფინანსური ხელმისაწვდომობა ხელს უწყობს სოციალურ გარიყულობას და მარგინალიზაციას, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფებისთვის, როგორიცაა ქალები, მოხუცები და ეთნიკური უმცირესობები. ეს ჯგუფები ხშირად გამორიცხულია ფორმალური ფინანსური სისტემებიდან, რაც ზღუდავს მათ ეკონომიკურ მონაწილეობას და ხელმისაწვდომობას ძირითად სერვისებზე.

შემცირებული ცხოვრების ხარისხი. ფინანსურ სერვისებზე წვდომის შეუძლებლობა გავლენას ახდენს ცხოვრების ხარისხზე ისეთი ძირითადი სერვისების წვდომის შეზღუდვით, როგორიცაა ჯანდაცვა, განათლება და საცხოვრებელი პირობები. ფინანსურმა გარიყულობამ შეიძლება გამოიწვიოს ჯანმრთელობის ცუდი შედეგები, დაბალი განათლების დონე და არაადეკვატური საცხოვრებელი პირობები.

ნელი ეკონომიკური ზრდა. მიკრო დონეზე ფინანსური გამორიცხვის მთლიანმა ეფექტმა შეიძლება მნიშვნელოვნად შეანელოს საქართველოს მთლიანი ეკონომიკური ზრდა. ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა ზღუდავს ბიზნესის გაფართოებას, ამცირებს ინვესტიციებს ადამიანურ კაპიტალში და აფერხებს ინოვაციას, რაც ეკონომიკური ზრდის კრიტიკული მამოძრავებელი ძალაა. თუ საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის მნიშვნელოვან ნაწილს არ შეუძლია კრედიტზე წვდომა, ეკონომიკამ შეიძლება განიცადოს სამუშაო ადგილების შენელება და პროდუქტიულობის დაბალი ზრდა, რაც საბოლოოდ იმოქმედებს მშპ-ის ზრდაზე.

შემცირებული კონკურენტუნარიანობა. ფინანსურმა სისტემამ, რომელიც ვერ მოიცავს საზოგადოების ყველა სეგმენტს, შეიძლება გამოიწვიოს ეროვნული კონკურენტუნარიანობის შემცირება. ბიზნესებმა, რომლებსაც არ შეუძლიათ ფინანსებზე წვდომა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ განახორციელონ ინოვაციები და კონკურენციაში ჩაერთონ გლობალურ დონეზე, რაც ამცირებს საქართველოს საერთო კონკურენტუნარიანობას. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გარეშე პრობლემატური იქნება ახალი ტექნოლოგიების დანერგვა ან საერთაშორისო ბაზრებზე გასვლა, რაც ზღუდავს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას გლობალურ ეკონომიკაში.

გაზრდილი ეკონომიკური დაუცველობა. შეზღუდულმა ფინანსურმა ჩართულობამ შეიძლება გაზარდოს საქართველოს ეკონომიკური დაუცველობა იმით, რომ შინამეურნეობები და ბიზნესი უფრო მგრძნობიარე გახდება ფინანსური შოკების მიმართ. ფინანსურ პროდუქტებზე წვდომის გარეშე, როგორიცაა დაზღვევა და კრედიტი, მათ ნაკლებად შეუძლიათ მართონ რისკები და თავი დაიცვან ეკონომიკური ზარალისგან. ბუნებრივი კატასტროფის შემთხვევაში, როგორიცაა წყალდიდობა სოფლად, შინამეურნეობას და ბიზნესს, რომელთაც არ აქვთ კრედიტი და დაზღვევა, შეიძლება გაუჭირდეთ ზარალის აღდგენა, რაც გამოიწვევს ხანგრძლივ ეკონომიკურ გაჭირვებას.

საქართველოში ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობის ეკონომიკური და სოციალური შედეგები ღრმა კვალს ტოვებს და გავლენას ახდენს ბიზნესის ზრდაზე, შინამეურნეობების მოხმარებაზე, ადამიანური კაპიტალის ინვესტიციებზე და მიკრო-

დონეზე ბაზრის მონაწილეობაზე. ეს ზემოქმედება ხელს უწყობს უთანასწორობას, სიღარიბეს და სოციალურ გარიყულობას. გრძელვადიან პერსპექტივაში ფინანსურმა გარიყულობამ შეიძლება შეანელოს საქართველოს ეკონომიკური ზრდა, შეამციროს კონკურენტუნარიანობა, გაზარდოს ეკონომიკური დაუცველობა და გაამყაროს სოციალური უთანასწორობა. ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობის ნეგატიური შედეგების გასანეიტრალებლად აუცილებელია საქართველოში ფინანსური ჩართულობის არსებული გამოწვევების გათვალისწინება. ამ გამოწვევების მოგვარება მიზნობრივი პოლიტიკისა და ინტერვენციების მეშვეობით გადამწყვეტია საქართველოში ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისთვის.

მსოფლიო ბანკის გლობალური Findex-ის მონაცემთა ბაზის ანალიზსა და არსებული ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე (OECD, 2022; Conde and Gattini, 2019; Babych et al., 2018; Kasradze, 2020; Morgan et al., 2018; World Bank, 2023) საქართველოში შეიძლება გამოიყოს ეკონომიკისთვის დამახასიათებელი ფინანსური ჩართვის შემდეგი გამოწვევები:

ეკონომიკურ ტრანსფორმაციასთან და სტაბილურობასთან დაკავშირებული გამოწვევები. საქართველოს გადასვლა გეგმური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე სავსე იყო გამოწვევებით, მათ შორის ეკონომიკური არასტაბილურობით, სტრუქტურული რეფორმებით და ახალი ფინანსური ინსტიტუტების განვითარებით. ამ გადასვლამ შექმნა უთანასწორობა ფინანსურ ხელმისაწვდომობაში, განსაკუთრებით ქალაქსა და სოფლებს შორის. საქართველოს ეკონომიკამ განიცადა მნიშვნელოვანი მერყეობა, მათ შორის მშპ-ის ზრდის, ინფლაციისა და გაცვლითი კურსის რყევები. ეს ეკონომიკური არასტაბილურობა გავლენას ახდენს როგორც ფიზიკური პირების მხრიდან დაზოგვისა და ინვესტირების უნარზე, ასევე ფინანსური ინსტიტუტების სურვილზე, გასცენ კრედიტი.

სოფლისა და სოფლის მეურნეობის გამოწვევები. საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი დაკავებულია სოფლის მეურნეობით, რომელიც ხასიათდება დაბალი პროდუქტიულობით, მცირე მეურნეობებითა და ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობით. ფინანსური ინსტიტუტები სოფლის მეურნეობის

დაკრედიტებას მაღალი რისკის მატარებელ ფაქტორად მიიჩნევენ, რაშიც იგულისხმება ამინდზე დამოკიდებულება და ფასების ცვალებადობა. საქართველოს სოფლებში ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი დეფიციტია, მათ შორის მოუწესრიგებელი საგზაო ქსელები, შეზღუდული ინტერნეტკავშირი და საბანკო სერვისების ნაკლებობა. ეს გამოწვევები ხელს უშლის სოფლის მოსახლეობისთვის ფინანსური სერვისების მიწოდებას.

მარეგულირებელი გარემო. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები მარეგულირებელი გარემოს გასაუმჯობესებლად, გამოწვევები კვლავ რჩება. ფინანსური სერვისების მარეგულირებელი ჩარჩო შეიძლება იყოს რთული როგორც პროვაიდერებისთვის, ასევე მომხმარებლებისთვის, განსაკუთრებით დოკუმენტაციისა და შესაბამისობის მოთხოვნების თვალსაზრისით. განუვითარებელი ფინანსური სექტორი, ფინანსური პროდუქტებისა და სერვისების შეზღუდული ასორტიმენტი, რომელიც ხელმისაწვდომია დაბალშემოსავლიანი და სოფლის მოსახლეობისთვის, ზღუდავს ფინანსური ჩართულობის ძალისხმევას.

ფინანსური წიგნიერება და განათლება. მიუხედავად იმისა, რომ იყო გარკვეული ძალისხმევა ფინანსური წიგნიერების გასაუმჯობესებლად, საქართველოს ბევრ მოქალაქეს ჯერ კიდევ აკლია ფინანსური პროდუქტებისა და სერვისების ეფექტურად გამოყენებისათვის საჭირო ცოდნა და უნარები. ეს პრობლემა განსაკუთრებით გამოხატულია სოფლად და ხანდაზმულ მოსახლეობაში.

გეოპოლიტიკური და სოციალური ფაქტორები. საქართველოს გეოპოლიტიკურმა ვითარებამ, მათ შორის კონფლიქტებმა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევამ, შექმნა გაურკვევლობა და არასტაბილურობა, რაც გავლენას ახდენს ეკონომიკურ განვითარებასა და ფინანსური სექტორის სტაბილურობაზე. ამ არასტაბილურობას შეუძლია შეაჩეროს ინვესტიციები და შეზღუდოს ფინანსური ხელმისაწვდომობა. სოციალური, მათ შორის შემოსავლის, განათლებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის უთანასწორობა საქართველოში მაღალია, რასაც ხშირად ამძაფრებს ფინანსური გარიყულობა. ეს ქმნის სიღარიბის ციკლს და შეზღუდული ეკონომიკური შესაძლებლობების მარგინალიზებულ ჯგუფებს.

მიზნობრივი სტრატეგიებისა და ერთობლივი ძალისხმევის მეშვეობით ამ გამოწვევების გადაჭრით საქართველოს შეუძლია გაუმჯობესოს ფინანსური ჩართულობა და ხელი შეუწყოს უფრო მყარ ეკონომიკურ სტაბილურობასა და ზრდას. ნაშრომის შემდეგ ნაწილში განხილულია პოტენციური სტრატეგიები, რომლებიც ფოკუსირებულია ამ გამოწვევების გადაჭრაზე და საქართველოში ფინანსური ჩართულობის გაძლიერებაზე.

რეკომენდაციები საქართველოში ფინანსური ჩართულობის გასაუმჯობესებლად.

ფინანსებზე შეზღუდულ ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული მიკროეკონომიკური საფრთხეები მრავალმხრივი და შორსმიმავალია. მეწარმეობის ჩახშობა, ადამიანური კაპიტალის შეზღუდვა, მცირე და საშუალო ბიზნესის დაქვეითება, გაზრდილი დაუცველობა შოკების მიმართ, შეზღუდული ხელმისაწვდომობა საცხოვრებლებზე და ძირითად სერვისებზე, ეს ყველაფერი ხელს უწყობს ნაკლებად ინკლუზიურ და დინამიკურ ეკონომიკურ ლანდშაფტს. ამ გამოწვევების გადაჭრა მოითხოვს პოლიტიკის შემქმნელების, ფინანსური ინსტიტუტებისა და ფართო საზოგადოების ერთობლივ ძალისხმევას ფინანსური ჩართულობის ხელშეწყობისთვის, მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად და მიკროეკონომიკურ დონეზე ეკონომიკური მდგრადობის გასაძლიერებლად. საქართველოში ფინანსური ჩართულობის გასაძლიერებლად საჭირო ძირითადი პოლიტიკის პრიორიტეტები შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

მარეგულირებელი ჩარჩოს გაძლიერება. მარეგულირებელი რეფორმები და შესაბამისი პოლისი ინტერვენციები აუცილებელია ფინანსური სერვისების ღირებულების შესამცირებლად, მომხმარებელთა დაცვის გასაუმჯობესებლად და ფინანსური ინსტიტუტების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გასაძლიერებლად, რათა გაუმჯობესდეს ფინანსებზე ხელმისაწვდომობა. ასეთი რეფორმები და პოლიტიკა გულისხმობს რეგულაციების გამარტივებას და პროპორციული რეგულირების განხორციელებას. რეგულაციების გამარტივება აუცილებელია ფინანსური ინსტიტუტების ადმინისტრაციული ტვირთის შესამცირებლად, განსაკუთრებით მათთვის, რომლებიც ემსახურებიან სოფელს და დაუცველ

ტერიტორიებს, ასევე ფიზიკურ პირებსა და მცირე ბიზნესს. პროპორციული რეგულაციის დანერგვა უზრუნველყოფს, რომ მცირე ფინანსური ინსტიტუტები და მიკროსაფინანსო სუბიექტები ეფექტურად მუშაობენ შესაბამისობის ხარჯებით გადატვირთვის გარეშე. კერძოდ:

- გამარტივდეს ფინანსურ სერვისებზე წვდომის მარეგულირებელი მოთხოვნები ფიზიკური და მცირე ბიზნესის ადმინისტრაციული ტვირთის შემცირების გზით.
- წახალისდეს ფინანსური ჩართულობის ხელშემწყობი რეგულაციები, როგორიცაა ბანკებისთვის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შემცირება.
- განხორციელდეს მიზანმიმართული პოლიტიკის ინტერვენციები, როგორიცაა მთავრობის მიერ მხარდაჭერილი საკრედიტო გარანტიები და სუბსიდიები მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, რაც ხელს შეუწყობს ფინანსური ხელმისაწვდომობის ზოგიერთი ბარიერის გადალახვას.

ამ ზომებს უნდა დაემატოს ფინანსური ჩართულობის სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩოს გაძლიერების ძალისხმევა, მათ შორის ფინანსური ჩართულობის ეროვნული სტრატეგიის შემუშავება.

ფინანსური ინფრასტრუქტურის გაძლიერება. საქართველოში ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობის დასაძლევად ერთ-ერთი მთავარი სტრატეგია ქვეყნის ფინანსური ინფრასტრუქტურის გაძლიერებაა. ეს მოიცავს ფინანსური ინსტიტუტების ფიზიკური მზადყოფნის გაფართოებას, განსაკუთრებით სოფლად, და ციფრული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, მობილური ბანკინგის და სხვა ციფრული ფინანსური სერვისების დანერგვის გზით. ფინანსური სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდით მიღებულ ზომებს შეუძლია შემციროს სხვაობა ქალაქსა და სოფელს შორის და ხელი შეუწყოს უფრო მეტ ფინანსურ ჩართულობას. კერძოდ, ამ კოტექსტში შეიძლება განხორციელდეს შემდეგი პოლიტიკა:

- ბანკების წახალისება, გააფართოვონ თავიანთი ფილიალების ქსელები და ბანკომატები სოფლად ისეთი ზომებით, როგორიცაა საგადასახადო შეღავათები ან სუბსიდიები.

- ინვესტიცია ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარებაში მობილური ბანკინგის და ფინტექს გადაწყვეტილებების ხელშეწყობის მიზნით, რაც სოფლად მცხოვრებ და დაუცველ მოსახლეობას ფინანსურ სერვისებზე წვდომის საშუალებას მისცემს.
- მიკროსაფინანსო ინსტიტუტებისა და კოოპერატიული საბანკო მოდელების გაფართოების ხელშეწყობა, რომელსაც შეუძლია მცირე სესხებისა და შემნახველი პროდუქტების მიწოდება დაბალი შემოსავლის მქონე პირებისთვის და მცირე ბიზნესისთვის.
- საზოგადოებაზე დაფუძნებული ფინანსური სერვისების ზრდის მხარდაჭერა, როგორიცაა შემნახველი და საკრედიტო კოოპერატივები (SACCOs), რომლებიც მიაღწევს ფინანსური სერვისებით ნაკლებად მოსარგებლე მოსახლეობასთან.

ფინანსური წიგნიერების და განათლების ხელშეწყობა. ფინანსური წიგნიერება და განათლება გადამწყვეტია იმისთვის, რათა ინდივიდებმა და ბიზნესმა მიიღოს ინფორმირებული ფინანსური გადაწყვეტილებები და ისარგებლოს ხელმისაწვდომი ფინანსური სერვისებით. საქართველოში საჭიროა ყოვლისმომცველი ფინანსური განათლების პროგრამები, რომლებიც მოიცავს მოსახლეობის სხვადასხვა სეგმენტს, მათ შორის სტუდენტებს, მეწარმეებს და დაბალშემოსავლიან ოჯახებს. ეს პროგრამები ფოკუსირებული უნდა იყოს ფინანსური წიგნიერების ჩამოყალიბებაზე, ბიუჯეტირებისა და დაზოგვის უნარების გაძლიერებაზე და სხვადასხვა ფინანსური პროდუქტის სარგებლისა და რისკების შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე. კერძოდ:

- ფინანსური წიგნიერების ეროვნული კამპანიების წამოწყება, რომელიც მიმართულია სხვადასხვა დემოგრაფიულ სეგმენტზე, მათ შორის სკოლის მოსწავლეების, ქალებისა და სოფლის მოსახლეობის ჩათვლით.
- ფინანსური განათლების ინტეგრირება ეროვნულ სასკოლო-სასწავლო გეგმაში ადრეული ასაკიდან ფინანსური წიგნიერების ასამაღლებლად.
- საზოგადოებრივი ცენტრების, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და რელიგიური ორგანიზაციების

გამოყენება ფინანსური წიგნიერების ტრენინგისა და რესურსების ჩასატარებლად.

- ონლაინ პლატფორმებისა და მობილური აპლიკაციების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფენ ფინანსური განათლების რესურსებს და სწავლისთვის ინტერაქტიულ ინსტრუმენტებს.
- მედია კამპანიების განხორციელება მედია საშუალებებთან პარტნიორობის გზით ფინანსური წიგნიერების პროგრამების, მათ შორის რადიოგადაცემების, სატელევიზიო სეგმენტებისა და სოციალური მედიის შინაარსის გადაცემის მიზნით.

ციფრული ფინანსური სერვისების სტიმულირება. პოლიტიკის ეს ვარიანტი გულისხმობს ფინტექის (Fintech) გადაწყვეტილებების დანერგვას, განსაკუთრებით სოფლად. ასევე ციფრული ფინანსური სერვისების, მათ შორის მობილური ფულის პლატფორმების განვითარების სტიმულირების უზრუნველყოფას ფინანსური ჩართულობის გაზრდის მიზნით. კერძოდ:

- ***მობილური ფულის სერვისების*** გაფართოებას სოფლისა და სოციალურად დაუცველ მოსახლეობასთან დასაკავშირებლად, მობილური ტელეფონების ფართო გამოყენების გზით.
- ***ციფრული საფულეების*** განვითარებისა და დანერგვის წახალისებას, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსურ სერვისებზე მარტივ და უსაფრთხო წვდომას.
- ***ფინტექის ინოვაციების ჰაბებისა და ინკუბატორების*** დაარსებას ციფრული ფინანსური გადაწყვეტილებების შემმუშავებელი სტარტაპების მხარდასაჭერად.
- ***მარეგულირებელი „ქვიშის ყუთების“*** შექმნა, რათა ფინტექკომპანიებმა შეამოწმონ ახალი პროდუქტები და სერვისები კონტროლირებად გარემოში, ჩვეულებრივი მარეგულირებელი შეზღუდვების გარეშე.
- ინვესტიცია სოფლად და შორეულ რაიონებში ***ინტერნეტ-კავშირის*** გაუმჯობესება ციფრულ ფინანსურ სერვისებზე წვდომის გასაადვილებლად.

- ***კიბერუსაფრთხოების*** ზომების გაძლიერება მომხმარებლების დასაცავად და ციფრული ფინანსური პლატფორმების მიმართ ნდობის გასამყარებლად.
- ***ციფრული ფინანსური წიგნიერების*** წახალისება სასწავლო პროგრამების შემუშავების გზით, რათა დაეხმაროს მომხმარებლებს ციფრული ფინანსური სერვისების გააზრებასა და უსაფრთხოდ გამოყენებაში.

მცირე და საშუალო ბიზნესის და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მხარდაჭერა. განსაკუთრებული ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს მცირე და საშუალო ბიზნესისა და სოფლის მეურნეობის საწარმოების ფინანსური ჩართულობის ხელშეწყობაზე. კერძოდ:

- მიზნობრივი ფინანსური პროდუქტების შემუშავება, რომელიც აკმაყოფილებს მცირე და საშუალო ზომის საწარმოების (SMEs) და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების საჭიროებებს. ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს ხელმისაწვდომი საკრედიტო და სადაზღვევო ვარიანტების უზრუნველყოფაზე.
- სოფლის მეურნეობაში დიგიტალიზაციის ხელშეწყობა ფერმერებისთვის ციფრული ფინანსური სერვისების ხელმისაწვდომობის მხარდაჭერით, რაც დაეხმარება მათ პროდუქტიულობის გაზრდასა და რისკების მართვაში.

ამ პოლიტიკის რეკომენდაციების განხორციელებით საქართველოს შეუძლია გაუმკლავდეს მიკროეკონომიკურ გამოწვევებს, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსებზე შეზღუდულ ხელმისაწვდომობასთან, ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდასთან და ფინანსური სტაბილურობის გაუმჯობესებასთან მთელი ქვეყნის მასშტაბით.

საბოლოო ჯამში, საქართველოში ფინანსური ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად საჭიროა მრავალმხრივი მიდგომა. პოლიტიკოსებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ ხელსაყრელი მარეგულირებელი გარემოს შექმნაზე, რომელიც ხელს შეუწყობს ფინანსური სერვისების განვითარებას, განსაკუთრებით დაუცველ სეგმენტებში. ფინანსური წიგნიერების გაღრმავებას საგანმანათლებლო კამპანიების საშუალებით შეუძლია ინდივიდებს დაეხმაროს უკეთესი ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებასა და ხელმისაწვდომი სერვისების ეფექტურად გამოიყენებაში. ტექნო-

ლოგიების როლი ფინანსური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაში არ შეიძლება გადაჭარბებული იყოს. ციფრული ფინანსური სერვისების დანერგვის სტიმულირებამ და მხარდაჭერამ შეიძლება მნიშვნელოვნად გაზარდოს მოსახლეობის ფინანსური ჩართულობა საქართველოში.

დასკვნა

ფინანსებზე ხელმისაწვდომობა რჩება ეკონომიკური განვითარებისა და სტაბილურობის კრიტიკულ განმსაზღვრელ ფაქტორად, განსაკუთრებით მიკროეკონომიკურ დონეზე. ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიც საქართველოა, სადაც მცირე ბიზნესი, მეწარმეები და სოფელში მცხოვრები ოჯახები ქმნიან ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს, შეზღუდულმა ფინანსურმა ხელმისაწვდომობამ შეიძლება შექმნას მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომლებიც ხელს შეუშლის ეკონომიკის ზრდასა და ინოვაციებს. ამ ნაშრომი შესწავლილია ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობის მიკროეკონომიკური შედეგები საქართველოში და გამოვლენილია სხვადასხვა გზები, რომელთა მეშვეობით ამ პრობლემამ შეიძლება შეარყიოს ფიზიკური პირების, ბიზნესისა და უფრო ფართო ეკონომიკის პროგრესი.

შეზღუდული ფინანსური ხელმისაწვდომობით გამოწვეული ერთ-ერთი ძირითადი მიკროეკონომიკური საფრთხე არის ბარიერი, რომელსაც ეს პრობლემა ქმნის ინვესტიციებისა და კაპიტალის დაგროვების მიმართულებით. ამ ვითარებაში განსაკუთრებით დაუცველია მცირე ბიზნესი და მეწარმეები, რომლებსაც ხშირად არ აქვთ საჭირო კაპიტალი თავიანთი საწარმოების დასაარსებლად ან გასაფართოებლად. ადეკვატური ფინანსური რესურსების გარეშე ამ სუბიექტებს არ შეუძლიათ ინვესტიციების ჩადება ახალ ტექნოლოგიებში, ოპერაციების გაფართოებასა და პროდუქტიულობის გაუმჯობესებაში. ეს ქმნის ტალღოვან ეფექტს, რადგანაც ამის გამო ქვეყნის მთლიანი ეკონომიკური ზრდა და კონკურენტუნარიანობა არის შეფერხებული. მოცემული კვლევა მიუთითებს, რომ ფინანსურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდამ შეიძლება მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი პროდუქტიულობის ზრდას, სამუშაო ადგილების შექმნას და ეკონომიკურ დივერსიფიკაციას, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდის შენარ-

ჩუნებისთვის. უფრო მეტიც, ფინანსური ჩართულობა გადამწყვეტ როლს თამაშობს სიღარიბის შემცირებასა და სოციალურ სტაბილურობაში. ემპირიული კვლევები გვიჩვენებს, რომ ფინანსური ჩართულობა მჭიდრო კავშირშია შინამეურნეობების კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან, განათლების ინვესტიციების გაზრდასთან და ჯანმრთელობის უკეთეს შედეგებთან. საქართველოსთვის სოფლის მოსახლეობისა და მცირე საწარმოების ფინანსური გარიყულობის პრობლემასთან გამკლავება შეიძლება იყოს მთავარი მამოძრავებელი ძალა სიღარიბის ციკლის გარღვევისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობისთვის.

ბოლო პერიოდის განმავლობაში ფინანსური ჩართულობის ინდიკატორების გაუმჯობესების მიუხედავად, საქართველოს წინაშე დგას მნიშვნელოვანი გამოწვევები ფინანსებზე ყოვლისმომცველი ხელმისაწვდომობის მისაღწევად. ეს გამოწვევები მრავალმხრივია და მოიცავს ეკონომიკურ შეზღუდვებს, ინფრასტრუქტურულ დეფიციტს, მარეგულირებელ ბარიერებსა და სოციალურ ფაქტორებს. კერძოდ, საქართველოს სოფლებში ფიზიკური საბანკო ინფრასტრუქტურის ნაკლებობა ართულებს მაცხოვრებლების ოფიციალურ ფინანსურ სერვისებში ჩართულობას. გარდა ამისა, განუვითარებელი ციფრული ინფრასტრუქტურა კიდევ უფრო ამძაფრებს საკითხს, ზღუდავს ციფრული ფინანსური სერვისების მიღებას, რამაც შეიძლება სხვაგვარად გააძლიეროს ფინანსებზე წვდომა შორეულ რეგიონებში.

ამ გამოწვევების გადაჭრა მოითხოვს კოორდინირებულ ძალისხმევას როგორც მთავრობის, ისე კერძო სექტორის მხრიდან. პოლიტიკის ინტერვენციები ფოკუსირებული უნდა იყოს ფინანსური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე, განსაკუთრებით სოფლად, და ციფრული ფინანსური სერვისების დანერგვაზე. ასევე მნიშვნელოვანია მარეგულირებელი ბაზის სრულყოფა ფინანსური ჩართულობის მხარდასაჭერად. საქართველოში ფინანსური ჩართულობის გაძლიერების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ფინანსური წიგნიერების გაუმჯობესება. გარდა ამისა, ფინანსური ხელმისაწვდომობის საკითხებში ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშესაწყობად აუცილებელია გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრა. პოლიტიკამ, რომელიც ხელს უწყობს გენდე-

რულ თანასწორობას ფინანსურ ხელმისაწვდომობაში, შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ეკონომიკურ განვითარებაზე.

ამ პოლიტიკის ეფექტური განხორციელებისათვის გადამწყვეტია მთავრობის, ფინანსური ინსტიტუტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობა. ერთობლივი მუშაობით ამ დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ შეიმუშაონ ყოვლისმომცველი სტრატეგიები, რომლებიც მოაგვარებენ ფინანსური ხელმისაწვდომობის სხვადასხვა პრობლემას და უზრუნველყოფენ მდგრადი ფინანსური ჩართულობის მიწღევას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Allen, F., Carletti, E., Cull, R., Qian, J. Q., Senbet, L., & Valenzuela, P. (2014). “The African financial development and financial inclusion gaps.” *Journal of African economies*, *23*(5), pp. 614-642.
2. Anarfo, E. B., & Abor, J. Y. (2020). “Financial regulation and financial inclusion in Sub-Saharan Africa: does financial stability play a moderating role?” *Research in International Business and Finance*, *51*, 101070.
3. Anyangwe, T., Vanroose, A., & Fanta, A. (2022). “Determinants of financial inclusion: does culture matter?” *Cogent Economics & Finance*, *10*(1), 2073656.
4. Ayyagari, M., Beck, T., & Demirguc-Kunt, A. (2007). “Small and medium enterprises across the globe.” *Small business economics*, *29*, pp. 415-434.
5. Ayyagari, M., Juarros, P., Peria, M. M., & Singh, S. (2016). “Access to Finance and Job Growth.” *World Bank Policy Research Working Paper*, (7604).
6. Babych, Y., Grigolia, M., & Keshelava, D. (2018). *Financial inclusion, financial literacy, and financial education in Georgia* (No. 849). ADBI Working Paper.
7. Bakhtadze L. and S. Danelia (2020). “The Major Determinants of Innovative Environment Formation in Georgia.” Economic Alternatives, 2, pp.243-249.
8. Banerjee, A., Duflo, E., Glennerster, R., & Kinnan, C. (2015). “The miracle of microfinance? Evidence from a randomized evaluation.” *American economic journal: Applied economics*, *7*(1), pp. 22-53.
9. Beck Thorsten & Asli Demirgüç-Kunt & Vojislav Maksimovic, (2005). "Financial and Legal Constraints to Growth: Does Firm Size Mat-

ter?," *Journal of Finance*, American Finance Association, vol. 60(1), February, pp. 137-177. DOI: 10.1111/j.1540-6261.2005.00727.x

10. Beck, T., & Demirgüç-Kunt, A. (2008). "Access to finance: An unfinished agenda." *The World Bank Economic Review*, *22*(3), pp. 383-396.
11. Burgess, R., & Pande, R. (2005). "Do rural banks matter? Evidence from the Indian social banking experiment." *American Economic Review*, *95*(3), pp. 780-795. DOI: 10.1257/0002828054201242
12. Claessens, S., & Tzioumis, K. (2006). "Measuring firms' access to finance." *World Bank*, pp. 1-25.
13. Conde Joana and Luca Gattini (2019). Financing in Georgia: Small and medium enterprises and the private sector. September 2019. European Investment Bank. https://www.eib.org/attachments/efs/smes−and−private−sector−financing−in−georgia−en.pdf
14. Demirgüç-Kunt, A., Klapper, L. F., Singer, D., & Van Oudheusden, P. (2017). *The global findex database 2014: measuring financial inclusion around the world*. SSRN. Available at: https://thedocs.worldbank.org/en/doc/681361466184854434005002201 6/original/2014GlobalFindexReportDKSV.pdf (Accessed 14 August 2024).
15. Dupas, P., & Robinson, J. (2013). "Savings constraints and microenterprise development: Evidence from a field experiment in Kenya." *American Economic Journal: Applied Economics*, *5*(1), pp. 163-192.
16. Feghali, K., Mora, N., & Nassif, P. (2021). "Financial inclusion, bank market structure, and financial stability: International evidence." *The Quarterly Review of Economics and Finance*, *80*, pp. 236-257.
17. Grohmann, A., Klühs, T., & Menkhoff, L. (2018). "Does financial literacy improve financial inclusion? Cross country evidence." *World Development*, *111*, pp. 84-96.
18. Karlan, D., Osei, R., Osei-Akoto, I., & Udry, C. (2014). "Agricultural decisions after relaxing credit and risk constraints." *The Quarterly Journal of Economics*, *129*(2), pp. 597-652.
19. Kasradze, T. (2020). "Challenges facing financial inclusion due to the COVID-19 pandemic." *European Journal of Marketing and Economics*, *3*(2), 50-63.
20. Khandker, S. R. (2005). "Microfinance and poverty: Evidence using panel data from Bangladesh." *The World Bank Economic Review*, *19*(2), pp. 263-286.

21. King, R. G., & Levine, R. (1993). Finance and growth: Schumpeter might be right. *The Quarterly Journal of Economics*, *108*(3), pp. 717-737. https://doi.org/10.2307/2118406
22. Klapper, L., Lusardi, A., & Van Oudheusden, P. (2015). *Financial Literacy around the World: Insights from the S&P Global FinLit Survey*. World Bank. Washington DC: World Bank, *2*, pp. 218-237.
23. Klapper, Leora, Luc Laeven, and Raghuram Rajan. (2006). "Entry regulation as a barrier to entrepreneurship." *Journal of financial economics* 82.3, pp. 591-629.
24. Kumar, S. S., & Jie, Q. (2023). "Exploring the role of financial inclusion in poverty reduction: An empirical study." *World Development Sustainability*, *3*, 100103.
25. Levine, R. (2005). "Finance and Growth: Theory and Evidence." *Handbook of Economic Growth*, Vol. 1 part A (Ch.12), pp. 865-934
26. Morgan, P. J., Zhang, Y., & Kydyrbayev, D. (2018). *Overview of financial inclusion, regulation, financial literacy, and education in Central Asia and South Caucasus* (No. 878). ADBI Working Paper.
27. Mushtaq, R., Gull, A. A., & Usman, M. (2022). "ICT adoption, innovation, and SMEs' access to finance." *Telecommunications Policy*, *46*(3), 102275.
28. Nugraha, D. P., Setiawan, B., Nathan, R. J., & Fekete-Farkas, M. (2022). "FinTech adoption drivers for innovation for SMEs in Indonesia." *Journal of Open Innovation: Technology, Market, and Complexity*, *8*(4), 208.
29. OECD (2022). Financing SMEs and Entrepreneurs 2022. https://doi.org/https://doi.org/10.1787/e9073a0f-en
30. Sahay, M. R., Cihak, M., N'Diaye, M. P., Barajas, M. A., Mitra, M. S., Kyobe, M. A., M.Y. Mooi & Yousefi, M. R. (2015). *Financial inclusion: can it meet multiple macroeconomic goals?* International Monetary Fund.
31. Tchamyou, V. S., Erreygers, G., & Cassimon, D. (2019). "Inequality, ICT and financial access in Africa." *Technological Forecasting and Social Change*, *139*, pp. 169-184.
32. The World Bank (2023). *Georgia Accounting and Auditing Report on the Observance of Standards and Codes*. The World Bank, Washington DC.
33. USAID Georgia (2017). Innovation and Technology in Georgia. Annual Report, USAID Governing for Growth (G4G) in Georgia. Available at: https://www.pmo-

bc.com/storage/app/uploads/public/5ce/795/dba/5ce795dba596c190438918.pdf. Accessed 20 June 2020.
34. Zeqiraj, V., Sohag, K., & Hammoudeh, S. (2022). "Financial inclusion in developing countries: Do quality institutions matter?" *Journal of International Financial Markets, Institutions and Money*, *81*, 101677.
35. Zhang, X., Li, J., Xiang, D., & Worthington, A. C. (2023). "Digitalization, financial inclusion, and small and medium-sized enterprise financing: Evidence from China." *Economic Modelling*, *126*, 106410.

Giorgi Berulava

MICROECONOMIC THREATS OF LIMITED ACCESS TO FINANCE IN GEORGIA AND WAYS TO OVERCOME THEM

Summary

Access to finance is a critical driver of economic development at both the macro and micro levels. For individuals and small businesses, limited access to finance is a significant microeconomic threat that inhibits growth, innovation and poverty reduction. This paper examines the microeconomic challenges associated with limited access to finance and examines in detail their negative impact on economic agents. In Georgia significant portions of the population, particularly those in rural areas, face barriers to accessing financial services. These barriers include inadequate financial infrastructure, low financial literacy, and regulatory obstacles, all of which restrict access to credit, savings, and insurance products. Based on the results of the study, the paper outlines the ways to eliminate these threats and their negative impacts, including such measures as improving financial infrastructure, (especially in rural areas), promoting the development of digital financial services, enhancing financial literacy, undertaking regulatory reforms, stimulating expansion of fintech solutions and microfinance institutions. These measures aim to enhance financial inclusion, reduce poverty, and stimulate economic growth.

JEL Classification: D14; G21; G32; L26; O16
Keywords: access to finance; SME in Georgia; financial literacy; microeconomic threats

ვახტანგ ბურდული

რეგიონებში ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების მდგომარეობა და არსებული ეკონომიკური სირთულეები

ანოტაცია. *ნაშრომში მოცემულია ინოვაციების სახეების კლასიფიკაცია, განხილულია თანამედროვე ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების მექანიზმები, სისტემატიზებულია ინოვაციების დამუშავების ხერხები და მათი გავრცელების კოორდინაციის საერთოსახელმწიფოებრივი და რეგიონული ინსტრუმენტები, განხილულია ინოვაციების განხორციელების ძირითადი მიმართულებები თანამედროვე პერიოდში. შემდეგ განხილულია ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების კოორდინაციის მდგომარეობა საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ, ასევე საქართველოს რეგიონებში საბაზისო ინოვაციური ტექნოლოგიების გავრცელების მდგომარეობა ზოგიერთი სირთულის გამოვლენით და მათი გადალახვის გზების დასახვით. სისტემატიზებულია საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების რეგიონული კომპონენტები და მოცემულია მათი გამოყენების მდგომარეობა რეგიონებში. უკანასკნელ დანაყოფში განხილულია არსებული ეკონომიკური სირთულეები ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებისას და მათი გადალახვის ზოგიერთი გზა.*

საკვანძო სიტყვები: *ინოვაციების სახეები, ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების მდგომარეობა, ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების საერთოსახელმწიობრივი და რეგიონული მექანიზმები, არსებული სირთულეები და მათი გადალახვის გზები*

შესავალი

იმისათვის, რომ განვსაზღვროთ საქართველოს რეგიონებში ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების მდგომარეობა, უპირველეს ყოვლისა საჭიროა ინოვაციების სახეების კლასიფიკაციის, მათი დამუშავებისა და ინოვაციების გავრცელების კოორდინაციის ხერხების, მექანიზმების, ინსტრუმენტების სისტემატიზაციის შესახებ თანამედროვე შეხედულებების შესწავლა,

რაც ჩემ მიერ გაკეთებულია ნაშრომის პირველ დანაყოფში. ამასთან მხედველობაში მიღებულია, რომ რეგიონებში ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების კოორდინაცია ხდება როგორც საერთოსახელმწიფოებრივი, ასევე თავად რეგიონული კომპონენტების (დაწესებულებების, მექანიზმების, ინსტრუმენტების) მეშვეობით. აქვე ასახულია თანამედროვე პერიოდში ინოვაციების განხორციელების ძირითადი მიმართულებები, კერძოდ, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ან უფრო ფართო გაგებით, ციფრული ეკონომიკის ტექნოლოგიები), მწვანე ეკონომიკის ტექნოლოგიები (მსოფლიოში დასანერგი ინოვაციების 40%-მდე), წრიული ეკონომიკის და კომპოზიტური მასალებისა და მათგან ნაკეთობების წარმოების ტექნოლოგიები. მეორე დანაყოფში განხილულია ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების კოორდინაციის მდგომარეობა საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ. მესამე დანაყოფში განხილულია საქართველოს რეგიონებში საბაზისო ინოვაციური ტექნოლოგიების გავრცელების მდგომარეობა ზოგიერთი სირთულის გამოვლენით და მათი გადალახვის გზების დასახვით. შემდეგ სისტემატიზებულია საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების რეგიონული კომპონენტები და გაშუქებულია მათი გამოყენების მდგომარეობა რეგიონებში. უკანასკნელ დანაყოფში განხილულია არსებული ეკონომიკური სირთულეები ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებისას და მათი გადალახვის ზოგიერთი გზა. კერძოდ, განხილულია ფაქტორები, რომლებიც აფერხებენ ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას (ახალი საწარმოების შექმნის სახით ან არსებული საწარმოების ტექნოლოგიური მოდერნიზაციის სახით), და მათი დაძლევის ზოგიერთი გზა (მხედველობაში მიიღება, რომ როგორც საბაზისო, ასევე გასაუმჯობესებელი ინოვაციების აბსოლუტური უმეტესობა საქართველოში, ისევე როგორც სხვა საშუალო ან მცირე ზომის ქვეყნებში, იმპორტირდება ან საწარმოო ტექნოლოგიების შეძენის გზით, ან უცხოელ პარტნიორებთან ერთობლივი საწარმოების ორგანიზაციით).

ინოვაციების სახეებისა და მათი დამუშავების და გავრცელების ხერხების კლასიფიკაცია

ინოვაციების კლასიფიკაცია

ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებობს ინოვაციების კლასიფიკაციის მრავალი ვარიანტი [Пригожин А., 1998; Гонаренко О., 2011; Виды инноваций ...; Мухамедъяров А.; Классификация и виды ...; Классификация инноваций ..., 2016; Тема 3. ...]. მათი შესწავლის საფუძველზე და ინოვაციის ბუნებაზე თანამედროვე წარმოდგენებზე დაყრდნობით, ჩემ მიერ შედგენილია უფრო თანამედროვე კლასიფიკაცია [ბურდული ვ., 2020]. აქ ჩამოვთვლით მხოლოდ ზოგიერთ კომპონენტს, რომელიც დაგვჭირდება ამ ნაშრომის შემდეგ პარაგრაფებში.

ა) **მნიშვნელობულობის** (ან ეკონონიკაზე ზემოქმედების დონის) მიხედვით განასხვავებენ საბაზისო (რადიკალურ), გასაუმჯობესებელ და ფსევდოინოვაციებს.

საბაზისო (რადიკალური) ინოვაციები შეიძლება იყოს ახალი ან ძირეულად სრულყოფილი პროდუქტი ან მომსახურება, ასევე ახალი ან ძირეულად სრულყოფილი საწარმოო ტექნოლოგია. სხვანაირად ამ ინოვაციებს ეწოდება „რადიკალური“.

გასაუმჯობესებელი ინოვაციები ეწოდება ინოვაციებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მოქმედი ტექნოლოგიების ან გამოსაშვები პროდუქტის არსებით გაუმჯობესებას.

ფსევდოინოვაციები (ზოგიერთ წყაროში მათ ეწოდება მოდიფიკაციური), რომელიც ყველაზე გავრცელებულია, იძლევა მოქმედი ტექნოლოგიების ან გამოსაშვები პროდუქტის მაქსიმალური ეფექტიანობის მიღწევის შესაძლებლობას მათი უმნიშვნელო სრულყოფის გზით.

ბ) **გამოყენების სფეროსა და სიახლის ტიპის** მიხედვით განასხვავებენ მატერიალურ-ტექნიკურ (ტექნიკა, ტექნოლოგიები, ნედლეული), სოციალურ (საორგანიზაციო-მმართველობითი, სამართლებრივი, პედაგოგიური), ეკონომიკურ, ეკოლოგიურ (მწვანე ეკონომიკის სფეროში, წრიული ეკონომიკის სფეროში) და უტილიზაციურ ინოვაციებს, მარკეტინგულ, საინფორმაციო-საკომუნიკაციო (ამჟამად ძირითადად ციფრულ) და სხვა ინოვაციებს.

გ) საგნის და მისი გამოყენების სფეროს მიხედვით განასხვავებენ **საპროდუქტო ინოვაციებს** (ახალი პროდუქტი, მათ შორის შრომის საშუალებები, და მასალები) და **საპროცესო ინოვაციებს** (ტექნოლოგიები, წარმოების ორგანიზაციული პროცესები, მმართველობის პროცესები), ესე იგი ინოვაციებს პროდუქტის ფორმაში და ინოვაციებს ოპერაციის ფორმაში.

ერთი და იგივე ტექნოლოგია ამა თუ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს როგორც საპროდუქტო, ასევე საპროცესო ინოვაცია. მაგალითად, საწარმოს მიერ ახალი (ინოვაციური) ჩარხის გამოშვება წარმოადგენს საპროდუქტო ინოვაციას, ასეთი ჩარხის დანერგვა საწარმოო პროცესში სხვა საწარმოში კი საპროცესო ინოვაციას.

დ) ინოვაციების დანერგვის შედეგად მიღებული ეფექტის სახეობის მიხედვით განასხვავებენ მეცნიერულ-ტექნიკურ, სოციალურ, ეკოლოგიურ, ეკონომიკურ (კომერციულ) და ინტეგრალურ ეფექტებს.

ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების მექანიზმები

ინოვაციების დამუშავების ხერხები

დამმუშავებლის კრიტერიუმის მიხედვით ინოვაცია შეიძლება იყოს დამუშავებული საწარმოს ან გარე წყაროს ძალებით, მაგრამ უფრო ხშირად, განსაკუთრებით საბაზისო და გასაუმჯობესებელი ინოვაციები, მუშავდება გარე სპეციალიზებული სუბიექტების მიერ.

საბაზისო საპროდუქტო და საპროცესო ინოვაციები (უპირველეს ყოვლისა, ახალი საწარმოო ტექნოლოგიები) მუშავდებიან საწარმოებში, რომლებიც აწარმოებენ თანამედროვე საწარმოო ტექნოლოგიებს, ან სპეციალიზებულ საკონსტრუქტორო ბიუროებში, რომლებიც შეიძლება შედიოდნენ მსხვილი საწარმოების, მაგალითად ტრანსეროვნული კორპორაციების, შემადგენლობაშიც.

საბაზისო საპროდუქტო ინოვაციების შემუშავება შეიძლება ხდებოდეს როგორც მსხვილი საწარმოების შიგნით, ასევე იმ საშუალო და მცირე საწარმოებში, რომლებიც ქმნიან ინოვაციურ პროდუქტს, მათ შორის ეგრეთ წოდებულ საინოვაციო საწარმოებში.

საწარმოს სისტემური სტრუქტურის გასაუმჯობესებელი ინოვაციები და გასაუმჯობესებელი ინოვაციები საწარმოს გასასვლელზე უფრო ხშირად მუშავდება საწარმოს ძალებით, ამ მიზნით საპატენტო ლიცენზიების, ნოუ-ჰაუს, ტექნოლოგიური დოკუმენტაციის და ა.შ. შეძენით, ან/და მათი განხორციელებისათვის სპეციალიზებული ორგანიზაციების წარმომადგენლების მოზიდვის საფუძველზე.

ამის გარდა გასაუმჯობესებელი და ფსევდოინოვაციები იქმნება ინოვაციების ლაბორატორიებში, სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიებში, ინოვაციურ ცენტრებსა და მცირე საწარმოებში, რომლებიც იქმნება ინოვაციური კლასტერების ან ტექნოპარკების ფარგლებში.

განვითარებული ქვეყნების უმეტესობაში ეროვნული ინოვაციური სისტემების ბირთვს წარმოადგენს უნივერსიტეტები და სხვა სამეცნიერო ცენტრები, რომლებშიც ფუნდამენტური კვლევების გარდა ხორციელდება გამოყენებითი კვლევები, მათგან ზოგიერთი განსახიერებას პოულობს ინოვაციებში.

ინოვაციების გავრცელების კოორდინაციის საერთოსახელმწიფოებრივი და რეგიონული ინსტრუმენტები.

ინოვაციების (საბაზისო, გასაუმჯობესებელი, ფსევდო-) შიდა (საწარმოს ან ორგანიზაციის შიგნით) შემუშავების შემთხვევაშიც მათი გავრცელების პირობები მოითხოვენ საპატენტო ლიცენზიების, ტექნოლოგიური დოკუმენტაციისა და ა.შ. შესყიდვას. დაფინანსება ამ შემთხვევაში საკუთარია, მაგრამ არაა გამორიცხული სახელმწიფოს მხარდაჭერაც. ტრანსეროვნული და სხვა მსხვილი კორპორაციები დამოუკიდებლად ახდენენ თავიანთი ინოვაციური სტრატეგიის რეალიზაციას, თუმცა ხანდახან ისინიც არ ერიდებიან მხარდაჭერას სახელმწიფოს მხრიდან ან სპეციალიზებული პარტნიორების მოზიდვას (განსაკუთრებით საპროცესო ინოვაციების რეალიზაციის დროს).

სავსებით ბუნებრივია, რომ საშუალო და მცირე ორგანიზაციების უმეტესობაში (სპეციალიზებული ინოვაციური საწარმოების გამოკლებით) ინოვაციების გავრცელება ხდება საბაზისო (მათ შორის „კონტრაქტების გასაღების ჩაბარებით“) ფორმაში და სხვადასხვა სახით (მოწყობილობა, დოკუმენტაცია, ლიცენზიები, საკონსულტაციო მომსახურება და ა.შ.) გასაუმჯობესე-

ბელი და მოდიფიკაციური ინოვაციების შესყიდვის გზით, ხშირად იმ სპეციალისტების მოწვევით, რომლებიც ხელს უწყობენ მათ დანერგვას.

ბუნებრივია, რომ ინოვაციების წარმოებაში წინ წაწევის (გავრცელების) ძირითად გზას წარმოადგენს როგორც საბაზისო, ასევე გასაუმჯობესებელი, საპროდუქტო და საპროცესო ინოვაციების სესხება (ყველაზე ხშირად იმპორტი) მათი წინ წაწევის ყოველ სტადიაზე.

ჩამოვთვალოთ ძირითადი თანამედროვე მექანიზმები, რომელიც არსებობს განვითარებულ ქვეყნებში წარმოებაში ინოვაციების წინ წაწევისათვის (გავრცელებისათვის) [Абесадзе Р., Бурдули В., 2017; Abesadze R, Burduli V., 2019; Abesadze R., Burduli V., 2018].

ქვეყნის ინოვაციური პოლიტიკის უზრუნველყოფა: ა) ინოვაციური პოლიტიკის განმსაზღვრელი სამთავრობო ორგანიზაციები, სამინისტროები, უწყებები, სააგენტოები, ფონდები და სხვა მარეგულირებელი და დამაფინანსებელი ორგანიზაციები; საქართველოში განვითარებული ქვეყნების, კერძოდ, ინოვაციური პოლიტიკის საკითხებს იხილავს, უპირველეს ყოვლისა, მთავრობა [საქართველოს მთავრობა, 2018], ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო [საქართველოს რეგიონული ..., 2018], საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; შექმნილია და აქტიურად მუშაობს საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო [ქვეყნის სწრაფი ...], სოფლის განვითარების სააგენტო; „სააგენტო "აწარმოე საქართველოში" აერთიანებს ყველა სახელმწიფო პროგრამას, რომელიც მიმართულია ბიზნესსექტორის ხელშეწყობისა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისკენ. პროგრამა მიზნად ისახავს მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარებას, მეწარმეობის თანამედროვე კულტურის დამკვიდრებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას" [Турнава Натия, 2021]; ბ) ინოვაციური პოლიტიკის სტრატეგია და პროგრამები; ამ ასპექტში ინოვაციების გავრცელების პროცესში განვითარებულ ქვეყნებში დიდ როლს თამაშობს სხვადასხვა პროგრამა, რომელთა დაფინანსებაში სახელმწიფოც ღებულობს მონაწილეობას, მაგალითად, ესაა პროგ-

რამები ინოვაციური სტარტაპების ორგანიზაციის შესახებ; გ) ინოვაციური საქმიანობის სფეროში ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა იმ დებულებების ჩათვლით, რომლებიც ურთიერთობების რეგლამენტაციას ახდენს მეცნიერებას, ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის; ამასთან დაკავშირებით საქართველოში მიღებულია "საქართველოს კანონი ინოვაციების შესახებ", თუმცა სხვა კანონებშიც არის დებულებები, რომლებიც არეგულირებენ ამ საქმიანობას.

ინოვაციების წარმოება: ა) ბიზნესსექტორი (კომპანიები, რომლებიც აწარმოებენ ინოვაციურ პროდუქტს ინოვაციების შემმუშავებელი ქვედანაყოფები მსხვილ კორპორაციებში, მცირე და საშუალო საწარმოები, რომლებიც ქმნიან ინოვაციურ პროდუქტს); ბ) ინოვაციური პროდუქტის შემმუშავებელი საწარმოები, რომელთა შექმნა მთლიანად ან ნაწილობრივ დაფინანსებული იყო სახელმწიფოს მიერ (მაგალითად, სახელმწიფო ვენჩურის პრინციპის მიხედვით).

სამეცნიერო-კვლევითი სექტორი (უნივერსიტეტები და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები). განვითარებული ქვეყნების უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში დიდი ყურადღება ეთმობა სამეცნიერო შემუშავებებს, რომელიც ორიენტირებულია ინოვაციურ კვლევებზე.

ტექნოლოგიების ტრანსფერის (გადაცემის) ორგანიზაციები და ინოვაციური ინფრასტრუქტურის სხვა ელემენტები (ტექნოპარკები, ბიზნესინკუბატორები, ბიზნესაქსელერატორები, ტექნოლოგიების ტრანსფერისა და კომერციონალიზაციის ცენტრები, ინოვაციების ლაბორატორიები და ა. შ.). ყველა ამ სტრუქტურამ ხელი უნდა შეუწყოს როგორც სამამულო (რომელთა რაოდენობა პატარა ქვეყანაში მცირეა), ასევე განსაკუთრებით იმპორტული ახალი საწარმოო ტექნოლოგიების გამოვლენასა და წარმოებაში დანერგვას. ფაქტობრივად ტრანსფერში, „ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრების" გარდა, პირდაპირ ან ირიბად მონაწილეობენ ინოვაციური ინფრასტრუქტურის სხვა ელემენტებიც. მაგალითად, ბიზნესამაჩქარებლების (აქსელერატორების) ამოცანა ჩვეულებრივ მდგომარეობს ინოვაციური სტარტაპებისათვის ტექნოლოგიების დანერგვა-ათვისების მხარდაჭერაში

(მათ შორის ინვესტიციების სახით), რაც ასევე შეიძლება განიხილოს როგორც ტექნოლოგიების გადაცემის პროცესი.

საერთაშორისო ინოვაციურ გარემოსთან ურთიერთქმედების სისტემა, ესე იგი ურთიერთკავშირები უცხოელ პარტნიორებთან ინოვაციური საქმიანობის სფეროში, როგორც ქვეყანაში ახალი ტექნოლოგიების მიწოდებისა (ტრანსფერის), ასევე ერთობლივი ინოვაციური შემუშავებების ჩატარების სფეროში, მათ შორის უცხოურ პარტნიორებთან ერთობლივი ვენჩურული ინოვაციური საწარმოების შექმნის გზით.

ინოვაციური საქმიანობის დაფინანსება: ა) ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო (ცენტრალური და რეგიონული) დაფინანსება; ბ) ინოვაციური საქმიანობის დაფინანსება ბიზნესსექტორის მიერ; გ) ინოვაციური საქმიანობის დაფინანსების სფეროში სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა.

ინოვაციური კლასტერები. ტრადიციული სამრეწველო კლასტერისგან განსხვავებით, ინოვაციური კლასტერი არის მჭიდრო ურთიერთობის სისტემა არა მხოლოდ ფირმებს, მათ მომწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის, არამედ ასევე ცოდნის ინსტიტუტებს შორის, რომელთა შორის დიდი სამეცნიერო ცენტრები და უნივერსიტეტებია, მსხვილი კორპორაციების ინოვაციური ქვედანაყოფები, ინოვაციური საწარმოები და ა.შ. აღნიშნულ ობიექტებს შორის ურთიერთკავშირის სისტემის მეშვეობით ხდება შემუშავებული ინოვაციების გავრცელება არა მხოლოდ კლასტერის ფარგლებში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც.

არსებობს საერთოსახელმწიფოებრივი და რეგიონული დონის ინოვაციური კლასტერები. საჭიროა გავითვალსწინოთ, რომ კლასტერები, მიუხედავად მისი ტერიტორიული ზომისა, ყალიბდება ძირითადად გარკვეული დარგობრივი სპეციალიზაციის ფარგლებში. სახელგანთქმული კალიფორნიული სილიკონის ველის ინოვაციური საწარმოებიც კი მეთწილად სპეციალიზებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში. თშ-ის პირველი დონის რეგიონის ფარგლებში, ბუნებრივია, შეიძლება არსებობდეს რამდენიმე სხვადასხვა დარგის (დარგობრივი სპეციალიზაციის) მომცველი კლასტერი, მაგალითად, ფინეთში, არსებობს, როგორც მინიმუმი, ორი საერთოსახელმწიფოებრივი

დონის კლასტერი. მაგრამ ევროკავშირის ქვეყნებში საქმიანობის განსაზღვრულ სახეობაზე სპეციალიზებული კლასტრების უმეტესობა (რომელთა რაოდენობა უკვე 2 ათასზე მეტია) იქმნება NUTS-ის უფრო დაბალი დონის ტერიტორიული ერთეულების ფარგლებში. (დაწვრილებით იხილეთ [Abesadze R., Burduli V., 2018]- ში).

ინოვაციების განხორციელების ძირითადი მიმართულებები თანამედროვე პერიოდში

სამეურნეო დარგები (დარგები საქმიანობის სახეების ჭრილში ან დარგები მათში წარმოებული პროდუქციისა ან მომსახურების ჭრილში) ვითარდება მათში ინოვაციების (საბაზისო, გასაუმჯობესებელი, ფსევდოინოვაციების) დიფუზიის (გავრცელების) შედეგად ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, მათში ახალი ტექნოლოგიების დიფუზიის შედეგად.

თუ ვიმსჯელებთ იმ ინოვაციების (საბაზისო, გასაუმჯობესებელი, ფსევდო-) რაოდენობის თვალსაზრისით, რომლებიც ამჟამად ბევრ დარგში ვრცელდება (გავრცელების კრიტერიუმის მიხედვით), მაშინ თანამედროვე ტექნოლოგიური წყობის საკვანძო ფაქტორის ინოვაციებია: ინოვაციები, რომლებიც ვრცელდება სხვადასხვა დარგში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხაზით (ამჟამად უპირატესად ციფრული ტექნოლოგიები) ინოვაციების საერთო რაოდენობის დაახლოებით 40%; ინოვაციები, რომლებიც ვრცელდება სხვადასხვა დარგში მწვანე ეკონომიკის ხაზით ინოვაციების საერთო რაოდენობის დაახლოებით 40% (თუმცა ინოვაციები მწვანე ეკონომიკის ხაზით ნაწილობრივ ემთხვევა ინოვაციებს, რომლებიც აღირიცხება ცირკულარული ეკონომიკის და ეკოლოგიის ხაზით); ინოვაციები, რომლებიც ვრცელდება სხვადასხვა დარგში ცირკულარული ეკონომიკისა და ეკოლოგიის ხაზით; ინოვაციები, რომლებიც ვრცელდება კომპოზიტური მასალების ხაზით; ჯანდაცვის სფეროში გავრცელებადი ბიოტექნოლოგიური ინოვაციები (მიკრობიოლოგია, მოლეკულარული და უჯრედის ბიოლოგია, ბიოქიმია, ემბრიოლოგია, გენური ინჟინერია, ვირუსოლოგია და ა.შ.).

ინოვაციები, რომლებიც ვრცელდება ციფრული ტექნოლოგიების ხაზით.

სწორედ სწრაფმოქმედებამ და უნივერსალურობამ გახადა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ასეთი პოპულარული თანამედროვე მეცნიერებაში, წარმოებასა და ყოფაცხოვრებაში. კომპიუტერები, სმართფონები, სატელევიზიო ციფრული ელექტრონიკა და ა.შ. უნიკალური ფენომენია, რომელმაც ბოლო ათწლეულების განმავლობაში ძირფესვიანად შეცვალა პლანეტის ყველა მკვიდრის ცხოვრება. ამ უკვე არსებული ტექნოლოგიების სფეროში მათი მოდერნიზაცია ხდება ძირითადად გასაუმჯობესებელი და ფსევდოინოვაციების რეალიზაციის გზით.

შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმების გამოყენების შესაძლებლობებზე გადასვლა საწარმოთა მართვის ავტომატიზებული სისტემების გამოყენებით, რესურსების ეფექტიანი განაწილების, ელექტრონული ბუღალტერიის, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის, აგრეთვე წარმოების, გარემოს მონიტორინგისა და მენეჯერული და ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების მხარდაჭერის სისტემების გათვალისწინებით, ხარისხობრივი ნახტომის განხორციელებისა და არსებული ეკონომიკური პოტენციალის უფრო ეფექტიანი გამოყენების საშუალებას იძლევა. ეს გადასვლა უკვე მიმდინარეობს შესაბამისი საბაზისო და გასაუმჯობესებელი ინოვაციების რეალიზაციის გზით. ამასთან, მთელ მსოფლიოში ამ მიმართულებებით იზრდება ახალი ინოვაციური დამუშავებების მოცულობა.

თანამედროვე მკლევრები და სპეციალისტები გამოყოფენ ციფრული ტექნოლოგიების განვითარების ათ ძირითად მიმართულებას (ამ სფეროებში ხორციელდება როგორც საბაზისო, ასევე გასაუმჯობესებელი ინოვაციები, ზოგიერთი მათგანი საპროდუქტოა, მაგრამ უმეტესობა საპროცესოა, თუმცა მომსახურების სფეროში ბევრი მათგანი შეიძლება განისაზღვროს როგორც საპროდუქტო ინოვაცია): 1. ხელოვნური ინტელექტი და მანქანური სწავლება (AI and Machine Learning); 2. ბლოკჩეინი და კრიპტოვალუტები (Blockchain and Cryptocurrencies); 3. დიდი მონაცემები (Big Data); 4. ტელემედიცინა (Telemedicine); 5. დამატებული და ვირტუალური რეალობა (AR/VR); 6. ჩათ-ბოტები და ვირტუალური ასისტენტები (Bots and Virtual Assistants); 7. მო-

ბილობა და კიბერუსაფრთხოება (Mobile and Cybersecurity); 8. ნივთების ინტერნეტი (IoT – Internet of Things); 9. კომპიუტერული ხედვა (Computer Vision); 10. ხელოვნური ნეირონული ქსელები (Artificial Neural Networks) [Чеботарев А., 2018]. ამ მიმართულებების უმეტესობის მიხედვით შესაბამისი ინოვაციები შეიძლება გავრცელდეს ეკონომიკის ყველა სექტორში.

ინოვაციები, რომელიც ვრცელდება „მწვანე“ ეკონომიკის ხაზით.

„მწვანე“ ეკონომიკის განვითარების ყველა მიმართულება მოითხოვს ინოვაციების დანერგვას როგორც სრულიად ახალი ტექნოლოგიების დანერგვის სახით (საბაზისო ინოვაციები), ისე გასაუმჯობესებელი ინოვაციების დანერგვის სახით, მაგალითად, სამრეწველო მოწყობილობის ენერგოეფექტიანობის ამაღლების მიზნით. ინოვაციები „მწვანე“ ეკონომიკის ხაზით დაწვრილებით წარდგენილია სტატიაში ჩემ მიერ [Вурдули V., 2019].

„დღეისათვის მსოფლიო ინოვაციების 40% მოდის „მწვანე“ ეკონომიკაზე, მათგან 50% ენერგოდაზოგვაზე და ენერგოეფექტიანობაზე, რომლებიც მწვანე ეკონომიკაში საკვანძო ფაქტორია“, აღინიშნება [Что такое ..., 2017]- ში.

შეიძლება გამოვყოთ „მწვანე“ ეკონომიკის განვითარების შემდეგი განზოგადებული საკვანძო მიმართულებები: 1. ეკოსისტემების ზოგადი მართვა ნარჩენების მართვა, ბრძოლა წყლისა და ჰაერის დაბინძურებასთან, მიწის (ნიადაგის) აღდგენა და რაციონალური გამოყენება, ტყეების აღდგენა და დარგვა; 2. განახლებადი ენერგიის წყაროების დანერგვა; 3. მშპ-ის ენერგოტევადობის შემცირება და ენერგოეფექტიანობის გაზრდა (შენობა-ნაგებობების მშენებლობა და საბინაო-კომუნალური მეურნეობა, მრეწველობა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა); 4. ელექტროტრანსპორტის განვითარება; 5. ორგანული მიწათმოქმედება სოფლის მეურნეობაში; 6. ეკოლოგიური ტურიზმის განვითარება.

ნარჩენების მართვა. ამჟამად განვითარებულ ქვეყნებში ვითარდება მრავალმბრუნავი (წრიული) ეკონომიკა, რომლის მთავარი ამოცანაა წარმოებისა და მოხმარების ნარჩენების მეორად მიმოქცევაში ჩართვა. ასე, მაგალითად, ფინეთში, რომელიც 2016 წლის ეკონომიკური ეფექტიანობის ინდექსის მიხედვით ყველაზე მწვანე ქვეყანაა მსოფლიოში, ნარჩენების მხოლოდ 11%

მიდის ნაგავსაყრელზე, დანარჩენი დაყოფილია შემდეგ კატ-ეგორიებად: „დახარისხებული ნარჩენები“, „გადამუშავება“ და „ენერგიის გენერაცია“ [Опыт Финляндии ..., 2017]. ბუნებრივია, რომ ამ ქვესისტემებში საჭიროა თანამედროვე ინოვაციური ტექ-ნოლოგიების დანერგვა, რაც უკვე ხდება განვითარებულ ქვეყ-ნებში.

განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენება. განახ-ლებადი ენერგიის წყაროები გამოიყენება ჰიდროელექტროსად-გურებში, მზისა და ქარის ელექტროსადგურებში, ბიოსაწვავის დანადგარებსა და გეოთერმული და ზოგიერთი სხვა სახის სადგურში. მათი დანერგვა წარმოადგენს საბაზისო ინოვაციების რეალიზაციას ეკონომიკის ენერგეტიკის სექტორში. ასევე ამ ობიექტების მიხედვით განვითარებულ ქვეყნებში ხდება გასაუმ-ჯობესებელი ინოვაციების ინტენსიური შემუშავება მათი მოწ-ყობილობის კომპონენტების მოდერნიზაციის მიზნით, ამ მოწ-ყობილობის ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლებისათვის (მა-გალითად, საჭიროა იმ აკუმულატორული ბატარეების გაუმჯო-ბესება, რომლებიც აგროვებენ გამომუშავებელ ენერგიას და სხვა მოწყობილობის, რომელიც უზრუნველყოფს ელექტროენერგიის სტაბილურ გადაცემას ქსელში, რადგანაც მზისა და ქარის ელ-ექტროსადგურებში დღე-ღამის განმავლობაში გამომუშავებული ელექტროენერგიის მოცულობა არათანაბარია მზის ელექტრო-სადგურებში, რა თქმა უნდა, ელექტროენერგია ღამით არ გამო-მუშავდება, ხოლო ქარის ელექტროსადგურებში მისი მოცულო-ბა დამოკიდებულია ქარის სიძლიერეზე), მშპ-ის ენერგოტევა-დობის შემცირება და ენერგოეფექტიანობის ამაღლება.

ყველა ქვეყანაში ენერგორესურსების მოხმარების გადამე-ტებული წილი მოდის სამ დარგზე: მრეწველობა, საბინაო-კომუნალური მეურნეობა და ტრანსპორტი.

ინოვაციები, რომელიც ვრცელდება კომპოზიტური მასალების ხაზით.

ეს საკითხი ჩემ მიერ ფართოდ გაშუქებულია ნაშრომში [ბურდული ვ., 2018]. აქ მხოლოდ სისტემურად ჩამოვთვლი ინოვაციურ კომპოზიტურ მასალებს, მათი დამზადებისა და მათგან ნაკეთობების შექმნისათვის საჭირო ინოვაციურ ტექნო-ლოგიებს და დარგებს, რომლებშიც ეს ინოვაციური ნაკეთობები

ყველაზე ხშირად გამოიყენება ინოვაციური პროდუქტების წარმოებისათვის.

ექსპერტული შეფასებების მიხედვით კომპოზიტებიდან პროდუქციის ძირითადი მომხმარებლებია მანქანათმშენებლობა (უპირველეს ყოვლისა სატრანსპორტო) დაახლოებით 28%, სამშენებლო ინდუსტრია (საბინაო-კომუნალური მეურნეობისათვის მილებისა და საცავების ჩათვლით) დაახლოებით 24%, ენერგეტიკა და ელექტრონიკა, ქარის ენერგეტიკის ჩათვლით დაახლოებით 23%, ნავთობ-აირის დარგი დაახლოებით 10%, სპორტი, მედიცინა, ფერადი მეტალურგია.

ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებიხ კოორდინაცის მდგომარეობა საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ შემუშავებული ან შექმნილია რიგი ქმედითი მექანიზმი ქვეყანაში ინოვაციების გავრცელებისათვის: პროგრამები, საფინანსო მექანიზმები, ინოვაციების გავრცელების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა. 2017 წელს სააგენტო გახდა სტარტაპების ევროპული რეგიონების ქსელის (Startup Europe Regions Network – SERN) წევრი. SERN არის რეგიონული ქსელი, რომელიც მიმართულია სტარტაპების მხარდასაჭერად.

სააგენტოს პროგრამები.

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო თავის საქმიანობაში ფოკუსირებულია შექმნას და განავითაროს ის ინსტრუმენტები, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში მდგრადი და ხარისხიანი აქტორებით გაჯერებული სტარტაპ ეკოსისტემის განვითარებას. ამ მიზნით ორგანიზაცია დაინტერესებულ მხარეებს და პოტენციურ ბენეფიციარებს სთავაზობს პროდუქტების და სერვისების ერთობლიობას, რომელიც ორიენტირებულია დაეხმაროს ინოვაციებსა და ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ ანტრეპრენიორებს და სტარტაპებს, რათა მანძილი იდეიდან ფუნქციონირებად შემოსავლის მოდელებამდე ჯეროვნად გაიარონ.

მცირე გრანტების პროგრამა, სტარტაპ მეგობრული, სტარტაპ ბიტსი, ბუთქემფი, საერთო სამუშაო სივრცე, ინკუბატორი, იდეების რეესტრი, ტრენინგების პორტალი და IT მხარდამჭერთა რეესტრი პროდუქტებისა და მომსახურებების იმ ერთობლიობას წარმოადგენს, რომელიც საკვანძო ინსტრუმენტებია განვითარებული სტარტაპ ეკოსისტემის ასაშენებლად.

პროდუქტები ეხმარებიან სტარტაპებს და ინოვაციებსა და ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ მეწარმეებს როგორც იმაში, რომ იდეიდან ბაზრამდე მიმავალი გზა ნაკლები რისკებით და მეტი თავდაჯერებულობით გაიარონ, ასევე უკვე ჩამოყალიბებული შემოსავლის მოდელის მქონე ერთეულებს მიიღონ ცოდნა, კონტაქტები, ფინანსები და ზოგადი შესაძლებლობები, რამაც შესაძლოა რადიკალურად შეცვალოს მათი ზრდის ტემპი და მიმართულების ხაზი.

სააგენტოს პროგრამები შეიძლება დავყოთ განხორციელებულებად [განხორციელებული] და მიმდინარეებედ [მიმდინარე].

განხორცილებულებს შორის მოკლედ განვიხილავთ შემდეგ პროგრამებს:

ბიზნესინკუბატორი.

„ბიზნესინკუბატორი“ არის დამწყები ბიზნესის ხელშემწყობი პროგრამა, რომელიც ინოვაციური იდეის მქონე მეწარმეებს საშუალებას აძლევს, სხვადასხვა შეღავათიან პირობებში, გაიარონ საკუთარი ბიზნესიდეის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი.

სტარტაპ ბიზნესების ხელშეწყობა და ბაზარზე მათი პოზიციონირება ზრდის ქვეყანაში სტარტაპ ეკოსისტემის წინსვლისა და ფორმირების არეალს. მსგავსი წამოწყებები ქვეყანაში არის მაგალითი, თუ როგორ უნდა აქციოს დამწყებმა ბიზნესმენმა იდეა რეალობად. სტარტაპერებს ბიზნესინკუბატორის პროგრამის ფარგლებში აქვთ შანსი სრულიად უფასოდ მიიღონ ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელი მომსახურება და სერვისები, რაც მათ სწორი კურსით განვითარებას უზრუნველყოფს. ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია სტარტაპებს მიეცეთ მეტი სტიმული, რისთვისაც საჭიროა ინვესტორების მაქსიმალური ჩართულობა. დამწყებ ბიზნესმენებს სჭირდებათ შანსი, იდეა

აქციონ რეალურ პროდუქტად, გავიდნენ ბაზარზე და შექმნან კონკურენტუნარიანი ბიზნესგარემო.

სტარტაპ მეგობრული.

სტარტაპ მეგობრული არის საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ ინიცირებულ სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს (სააგენტო) ახალი პროექტი. პროექტის მიზანია ქართულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ინოვატორების და სტარტაპების სწრაფი განვითარების ხელშესაწყობად. რაც გულისხმობს, ისეთი კომპანიების მოძიებას, რომელთაც შეუძლიათ სტარტაპებისთვის სპეცპროდუქტის შეთავაზება, ხოლო, მეორე მხრივ, სტარტაპების გაფილტვრას და იმის უზრუნველყოფას, რომ პროგრამას ჰყავდეს გამიზნული, სწორად შერჩეული ბენეფიციარები.

პროექტის მიზანია ქართულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ინოვატორებისა და სტარტაპების სწრაფი განვითარების ხელშესაწყობად.

პროგრამა ისეთი კომპანიების მოძიებას გულისხმობს, რომელთაც შეუძლია სტარტაპებისთვის სხვადასხვა მომსახურების შეთავაზება.

კომპანიას შეუძლია გახდეს სტარტაპ მეგობრული იმ შემთხვევაში თუ:

1) აქვს სპეციალური შეთავაზება სტარტაპებისთვის;

2) აფინანსებს სტარტაპებს;

3) თანამშრომლობს სტარტაპებთან საერთო პროექტების/მომსახურების შექმნის მიზნით.

უპირატესობები სტარტაპებისთვის: წვდომა შეღავათიან პროდუქტებზე/სერვისებზე; წვდომა პოტენციურ ინვესტორზე; წვდომა მედია გაშუქებაზე სააგენტოსთვის არსებული რესურსით; საკონფერენციო და სატრენინგო ოთახებით სარგებლობაზე ფასდაკლება; უფასო კონსულტაციები ფინანსური, იურიდიული და მენეჯმენტის მიმართულებით.

უპირატესობა სტარტაპ მეგობრული კომპანიებისათვის: დღეს საქართველოში 200-ზე მეტი სტარტაპია და მათი რაოდენობა მუდმივად იზრდება, სამომავლოდ სტარტაპები შესაძლოა გახდნენ კომპანიების კორპორატიული კლიენტები; კომპანიას აქვს მუდმივი კომუნიკაცია მის ინდუსტრიაში მოღვაწე სტარტ-

აპებთან, რომლებთან ერთადაც შეუძლია საერთო პროექტების განხორციელება; სტატუსი „სტარტაპ მეგობრული'' დადებითად აისახება კომპანიის იმიჯზე; სტარტაპ მეგობრულ კომპანიებს ექნებათ ფასდაკლება ტექნოპარკის სერვისებსა და მომსახურებებზე. ვებგვერდზე ბენეფიციარებისა და სტარტაპ მეგობრული კომპანიების ნახვა შესაძლებელია ნებისმიერი ვიზიტორისთვის.

IT ტრენინგები.

სააგენტო ახორციელებს ტრენინგების ციკლს IT მიმართულებით, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს განათლების დონის ამაღლებას აღნიშნულ სფეროში. ტრენინგების დასრულების შემდეგ მონაწილეები შეძლებენ კონკრეტული მიმართულებით დასაქმებას და პროექტების შესრულებას.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიზანია საინფორმაციო საზოგადოებისთის პროექტების ფორმირება და სახელმწიფო პროგრამების ერთიანი პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კოორდინირება, ყველა სფეროში ინოვაციების შეღწევის ხელშეწყობა და გამოყენების ეფექტურობის ამაღლება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად სააგენტო ახორციელებს ტრენინგებს IT დისტანციური მხარდაჭერის, VOIP, Front-End, Java, Python, PHP, Android, iOS პროგრამირების, IT პროექტებისა და მათი ხარისხის მართვის, ასევე კიბერუსაფრთხოების მიმართულებით [IT ტრენინგები].

ამ პროგრამის ფარგლებში გადამზადდა 191 ტრენერი და 2500 ადამიანი.

სტარტაპ საქართველო.

პროგრამა „სტარტაპ საქართველო" ერთობლივად შემუშავდა საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს და საპარტნიორო ფონდის მიერ, რომელიც დამტკიცდა მთავრობის 2016 წლის 11 მაისის №206 დადგენილებით.

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში ინოვაციურ იდეებზე დაფუძნებული ბიზნესის განვითარებას და საერთაშორისო ბაზარზე გასვლას.

პროგრამა შედგება ორი კომპონენტისგან: ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური კომპონენტებისგან. სააგენტო ახორციელებს მაღალტექნოლოგიურ კომპონენტს და აფინანსებს

პროექტებს შემდეგი მიმართულებებით: ავიაკოსმოსური წარმოება, ავტომობილები, ხელოვნური ინტელექტი, ბიოტექნოლოგიები, ბიოინფორმატიკა, კომპიუტერული ინჟინერია, კომპიუტერული მეცნიერება, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ნანოტექნოლოგიები, ბირთვული ფიზიკა, ელექტრომაგნიტური გამოსხივება, რობოტიკა, ნახევარგამტარები.

პროგრამა სტარტაპ საქართველოს მაღალტექნოლოგიური კომპონენტის ფარგლებში მიღებული 149 განაცხადიდან კონკურსის წესით შეირჩა და დაფინანსდა 100 000 ლარის ოდენობით 20 სტარტაპი. „სტარტაპ საქართველოს“ პროექტზე სულ 726 განაცხადი შემოვიდა, აქედან 149 მაღალტექნოლოგიურ კომპონენტზე.

“მიმდინარე” პროგრამებს შორის მეტად მნიშვნელოვანია **ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროგრამა (TTPP).** ინოვაციების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების პროექტის ფარგლებში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ისეთი სამეცნიერო პროექტების კომერციალიზაციას, რომლებიც პასუხობს ბაზრის საჭიროებებს. პროგრამის ხანგრძლივობა არის სამი (3) წელი და დაიწყო 2019 წლის აპრილში. პროგრამის განმახორციელებლები არიან მსოფლიო ბანკი და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების საგენტო. პროგრამის ფარგლებში მოხდება დაკავშირება კვლევით ინსტიტუტებთან იმისათვის, რომ შეირჩეს კომერციალიზაციის პოტენციალის მქონე იდეები. შეფასებისთვის მიიღება მხოლოდ კვლევითი პროექტები, რომლებიც არიან ტექნოლოგიების მზაობის TRL4 და შემდეგ დონეზე.

საქართველოს რეგიონებში საბაზისო ინოვაციური ტექნოლოგიების გავრცელების მაგალითები, ზოგიერთი სირთულე და მათი გადალახვის გზები.

წიაღისეული ენერგორესურსების შემცირების ფონზე აქტუალური გახდა ქარის, მზის, გეოთერმული წყლების, ბიოგაზისა და სხვა ეკოლოგიურად სუფთა ენერგიის წყაროების გამოყენება ელექტროენერგიის წარმოებისა და სხვა პრაქტიკული დანიშნულებისათვის.

საქართველოში უკვე აშენდა პირველი ქარისა და მზის ინოვოვაციური ტექნოლოგიებით აღჭურვილი ელექტოსადგურები. ყველა ასეთი ინოვაცია მიეკუთვნება საბაზისო ინოვაციების კლასს.

გორის მახლობლად, თბილისიდან დაახლოებით 90 კმ-ის დაშორებით, ექვსი ქარის ტურბინა აწარმოებს ელექტროენერგიას ბოლო ოთხი წლის განმავლობაში. "ქართლის ქარის ელექტროსადგური" არის საქართველოში აგებული პირველი ქარის ელექტროსადგური საპროექტო სიმძლავრით 21,7 მგვტ, საპროექტო გამომუშავება კი არის 84,1 მლნ კვტ/სთ. მისი აგება შესაძლებელი გახდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის და ევროკავშირის, ასევე სხვა საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით ორგანიზაციის "ფონდი მწვანე ზრდისათვის" საშუალებით [გორის ქარის ..., 2018]. უკვე მოქმედების პირველ წელს ქარის ელექტროსადგურმა დაახლოებით 88 მილიონი კილოვატ-საათი ენერგია გამოიმუშავა და პროგნოზირებულ მაჩვენებელს ფაქტობრივად 3,8 მილიონი კილოვატ-საათით გადააჭარბა.

2019 წელს უნდა დაწყებულიყო რამდენიმე ახალი ქარის ელექტროსადგურის მშენებლობა: 1) თბილისისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაახლოებით 50 მეგავატი სიმძლავრის; 2) ქალაქ კასპის მიმდებარე ტერიტორიაზე დაახლოებით 50 მეგავატი სიმძლავრის; 3) იმერეთის რეგიონში დაახლოებით 100 მეგავატი სიმძლავრის; 4) ხაშურის და ხარაგაულის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე დაახლოებით 20 მეგავატის სიმძლავრის; გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაახლოებით 50 მეგავატი სიმძლავრის ნიგოზას ქარის ელექტროსადგური [2019 წელს ...]. მაგრამ რიგი მიზეზის გამო ამ ელექტროსადგურების მშენებლობა ჯერ არ დაწყებულა.

საქართველოში გაჩნდა პირველი მზის ელექტროსადგურიც. კერძოდ, პროკრედიტ ბანკმა მორიგი ინოვაციური მწვანე პროექტი დანერგა. თბილისის ცენტრში, ალექსანდრ ყაზბეგის №21, ბანკის სათავო ოფისის სახურავზე 500 კვ. მ. ტერიტორიაზე განთავსებულმა მზის პანელებმა ელექტროენერგიის გამომუშავება უკვე დაიწყო. განხორციელებული მწვანე ინვესტიციის შედეგად, დაგეგმილია წლიურად 130.000 კვტ.სთ. სუფთა ენერ-

გიის გამომუშავება, რითაც მოხმარებული სრული ენერგიის 12%-ის ალტერნატიულით ჩანაცვლებას მოახდენს.

ეკოლოგიური მიმართულება პროკრედიტ ბანკის საქმიანობის სტრატეგიული ნაწილია, რაც გამოიხატება როგორც ბანკის ყოველდღიურ საქმიანობაში, ასევე მომხმარებლისათვის მრავალფეროვანი გარემოსადმი მეგობრული სერვისების შეთავაზებაში, რომელთა შორის ამ მცირე მზის ელექტროსადგურის აგების დაფინანსებაა. ამასთან დაკავშირებით პროკრედიტ ბანკის გენერალურმა დირექტორმა განაცხადა: "მაქსიმალურად ვცდილობთ, გარემოსადმი მეგობრული ინიციატივების საკუთარ საქმიანობაში დანერგვით ხელი შევუწყოთ მის პოპულარიზებას. ენერგიაზე ჩვენი მოთხოვნა დღითიდღე იზრდება, შესაბამისად გადავწყვიტეთ მნიშვნელოვანი და მდგრადი ინვესტიცია გაგვეხორციელებინა მზის ელექტროსადგურში. განსხვავებით წიაღისეული საწვავისგან, განახლებადი ენერგია ამოუწურავია და მეტად უსაფრთხოა გარემოსთვის. ალტერნატიული ენერგია ჩვენი მომავალია და ეს მომავლის ინვესტიცია დღეს უყვე პროკრედიტ ბანკშია წარმატებულ მაგალითად წარმოდგენილი" [პროკრედიტ ბანკმა ...].

როგორც ვხედავთ, იმ ელექტროსადგურების ოდენობა, რომელიც დაფუძნებულია განახლებადი ენერგიის ძირითადი წყაროების გამოყენებაზე, კერძოდ, ქარის და მზის ელექტროსადგურების, საქართველოში უმნიშვნელოა (ჰესების გარდა). ვერც ბიზნესის წარმომადგენლები, ვერც შესაბამისი სამთავრობო ინსტიტუტები ვერ ბედავენ ინვესტიციების ჩადებას ასეთი ობიექტების მშენებლობაში. ეს ხდება იმის გამო, რომ ისინი არ გამოიმუშავებენ ელექტროენერგიას სტაბილურად მზის ელექტროსადგურები აწარმოებენ ელექტროენერგიას მხოლოდ დღის განმავლობაში და გამომუშავებული ელექტროენერგიის რაოდენობა დამოკიდებულია მზის გამოსხივების ინტენსიურობაზე, ხოლო ქარის ელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის რაოდენობა დამოკიდებულია ქარის სიძლიერეზე.

საქართველოში მზისა და ქარის ელექტროსადგურების ფართო გავრცელების პრობლემა შეიძლება გადაწყდეს მათთვის

ენერგიის შესანახი დანადგარების (ენერგიის დასაგროვებლების) შექმნით.

ტრადიციულ ენერგეტიკაში პრინციპულ როლს თამაშობს ტურბინა, სულ უფრო და უფრო პოპულარული ენერგიის განახლებადი წყაროების განვითარებისათვის კი უკიდურესად მნიშვნელოვანია ენერგიის შესანახი დანადგარები (ენერგიის დასაგროვებლები), რადგან მათ გარეშე ვერ მოგვარდება ქარისა და მზის ელექტროსადგურების ძირითადი პრობლემა ამინდის ცვალებადობაზე დამოკიდებულება [Гурков А., 2020].

ენერგიის განახლებადი წყაროებისათვის ენერგიის დასაგროვებლებად, უპირველეს ყოვლისა, გამოიყენება შესაბამისი აკუმულატორული ბატარეები (აკუმულატორები ელექტროენერგეტიკის სტაციონარული დანადგარებისათვის). უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოში მიმდინარეობს მათი ინტენსიური ინოვაციური მოდერნიზაცია, რის შედეგადაც მათი ღირებულება 2010 წლიდან 2020 წლამდე 2/3 შემცირდა. მომდევნო სამ წელიწადში მოსალოდნელია მათი უფრო სრულყოფილი ტიპების გაჩენა, ხოლო საბატარეო ტექნოლოგიების ლიდერები არიან იაპონია და სამხრეთი კორეა [Гурков А., 2020].

მსხვილი აკუმულატორული ელექტროსადგურები უკვე მუშაობს აზიის ქვეყნებში, აშშ-სა და ავსტრალიაში. მაგალითად, კარიბის კუნძულ სინტ-ესტატიუსზე (ნიდერლანდების ანტილები) 2014 წლიდან დღის განმავლობაში ადგილობრივ მოსახლეობას (დაახლოებით 4 ათასი მაცხოვრებელი) ელექტროენერგიას მზის ელექტროსადგური აწვდის, საღამოს და ღამით კი მისი აკუმულატორები, რომლებიც დაინსტალირებულია გერმანიის კომპანიის მიერ. სამრეწველო მასშტაბით ქარის გენერატორებისა და მზის პანელების მიერ გამომუშავებული ზედმეტი ელექტროენერგიის შენახვის ტექნოლოგია 2014 წლიდან მუშავდება ფრაუნგოფერის საზოგადოების ინსტიტუტში ქალაქ მაგდებურგში. მეზობლად, შვერინში, ამავე დროს ამუშავდა ფირმა ჭ-ის ევროპაში უდიდესი კომერციული აკუმულატორული ელექტროსადგური, რომლის სიმძლავრეა 10 მეგავატი [Гурков А., 2020].

განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერგიის შენახვის კიდევ ერთი მიმართულებაა ჰიდროაკუმულირებელი

ელექტროსადგურების აგება. ეს არის ელექტროენერგიის შენახვის უძველესი და კარგად დამუშავებული ტექნოლოგია. როდესაც ელექტროენერგის გამომუშავება ხდება ჭარბი ოდენობით, ელექტროტუმბო წყალს ქვემო რეზერვუარიდან ზედა რეზერვუარში ქაჩავს. ელექტროენერგიის საჭიროების შემთხვევაში წყალს ქვევით უშვებენ და მოქმედებას იწყებს ელექტროგენერატორი. ასეთი ჰიდროაკუმულირებელი ელექტროსადგური მუშაობს, მაგალითად, ჰერდექში (რურის რეგიონი, გერმანია). ამასთან ძნელია შესაფერისი წყალსატევისა და სიმაღლეთა საჭირო სხვაობის პოვნა. ჰიდროაკუმულირებელი ელექტროსადგურებისათვის ოპტიმალური პირობები არსებობს ნორვეგიის ფიორდებში. მისთვის 2020 წელს გაყვანილია მაღალვოლტიანი გადამცემი ხაზი ორდ ინკ-ი, რომლის სიგრძეა 623 კილომეტრი და 1400 მეგავატი სიმძლავრე, რომელიც გადაიტანს ელექტროენერგიის ჭარბ მოცულობას ჩრდილოეთ გერმანიის ქარის პარკებიდან ნორვეგიის კლდოვან სანაპიროზე და იქ შეინახება მანამ, სანამ არ იქნება საჭირო [Гурков А., 2020].

ამრიგად, საქართველოს ქარისა და მზის ელექტროსადგურების შექმნისას საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს **ენერგიის დასაგროვებლების** შექმნის აუცილებლობა, როგორც **აკუმულატორული ბატარეებ**ის, ასევე ჰიდროაკუმულირებელი ელექტროსადგურების, რაც უკვე საკმაოდ მისაღებია: შესაბამისი კლასის აკუმულატორული ბატარეების ღირებულება ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა, საქართველოში კი ჰიდროაკუმულირებელი ელექტროსადგურების აგებისათვის ადვილია წყალსატევებისათვის საჭირო სიმაღლეთა სხვაობის ადგილების პოვნა ან ასევე შეიძლება ჩვეულებრივი მცირე ჰიდროელექტროსადგურების წყალსაცავების გამოყენება.

ახლა განვიხილოთ, თუ რა ინოვაციური საწარმოები შეიქმნა საქართველოში კომპოზიტური მასალებისა და მათგან ნაკეთობების წარმოების ხაზით.

რამდენიმე წელიწადია საქართველოში მოქმედებს საწარმოო-კომერციული კომპანია შპს **"კომპოზიტ ჯორჯია"**, რომლის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს კომპოზიტური მასალები, ასევე თბო- და ჰიდროიზოლაცია კომპოზიტების გამოყენებით. კომპანია ახორციელებს მასალებისა და მოწყობილობების მიწო-

დებას, აწარმოებს პროდუქციას, ნაწარმის სერვისულ თანხლებას. კომპანიის ძირითადი მიმართულებაა ძირითადად იმპორტირებული კომპოზიტური მასალების საფუძველზე საქონლის წარმოება: არქიტექტურული გადაწყვეტილებები, ფასადები, კატერები, მოტორიანი ნავები, RIB ნავები, კატამარანები, კორპუსის დეტალები და ინტერიერის ელემენტები საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტისათვის და ა. შ. ასევე კომპანია ახორციელებს საქართველოში მინაპლასტიკის წარმოებისათვის მასალების მიწოდებას. კომპანიის პარტნიორები არიან კომპოზიტური მასალების უმსხვილესი მსოფლიო მწარმოებლები [kompozit-georgia].

კომპანია **"სი-ემ-ჯი ჯგუფი"** სთავაზობს მომხმარებელს კომპოზიტური მასალების ფართო არჩევანს: პოლიეფირი, ბოჭკოვანი მინა-ქსოვილი, ჯელკოტი (გელკაუტი), კალციუმის კარბონატი, საყალიბე სილიკონი და სხვა. ასევე სთავაზობს ბოჭკოვანი მინისგან პროდუქციის წარმოებას და რემონტს: ნავები, წყლის ველოსიპედები, აუზები, სამელიორაციო არხები, შენობის ფასადები და სხვა [სი-ემ-ჯი ჯგუფი გთავაზობთ].

ყველა სირთულეს, რომელიც დაკავშირებულია კომპოზიტური მასალებიდან ნაკეთობების მწარმოებელი თანამედროვე ქარხნის აშენებასა და ექსპლუატაციაში შეყვანასთან, თვალნათლივ დემონსტრირებს თბილისის თვითმფრინავებისათვის კომპოზიტური ნაკეთობების მწარმოებელი ქარხნის (ATC) მშენებლობის პროცესი.

ამ ქარხნის მშენებლობის პირველი ეტაპი დასრულდა 2018 წლის დეკემბერში. ქარხანა უცხოური კომპანიების დაკვეთით რამდენიმე ასეული მილიონი დოლარის პროდუქციას გამოუშვებს, რომლის მომხმარებლები მსოფლიო ავიაციის უმსხვილესი კომპანიები იქნებიან: Boeing-ი, Airbus-ი და Bombardier-ი.

პროექტს "საპარტნიორო ფონდი" და ისრაელის კომპანია Elbit Cyclone ერთობლივად ახორციელებენ. საწარმოში დამონტაჟდა იტალიური წარმოების დანადგარები. მონტაჟს კი ორი თვის განმავლობაში თავად იტალიური სპეციალისტები ახორციელებდნენ. მათ ასევე დააყენეს ამერიკიდან ჩამოტანილი კალიფორნიაში დამზადებული ორი ავტოკლავი, რომელთა ღირებულება რამდენიმე მილიონ დოლარს შეადგენს. თანამედროვე

ტექნოლოგიების მწარმოებელ საწარმოში დასასაქმებლად საინ-ჟინრო-ტექნიკური კადრების გადამზადება ისრაელში ხდება, კერძოდ, Elbit Cyclone-ში ამ მიზნით სწავლება ერთი წლის განმავლობაში 120-მდე სპეციალისტმა გაიარა. სამოქალაქო თვითმფრინავებისათვის კომპოზიტური მასალის ნახევარფაბრიკატები ისრაელიდან ჩამოვა. მაღალი წნევის ქვეშ პროდუქცია იპრესება, ავტოკლავებში მუშავდება და შემდგომ მყარი ნაკეთობები გამოდის. ამ პროდუქციიდან კეთდება თვითმფრინავის კარკასი, ფრთები, გარეთა ნაწილი [ბახუტაშვილი ე.].

ამ მაგალითებიდან თვალნათლივ ჩანს, რა სიძნელებთან არის დაკავშირებული ქვეყაში კომპოზიტებიდან ნაკეთობების თანამედროვე წარმოების ორგანიზაცია: მათი წარმოებისათვის საჭიროა საზღვარგარეთ ტექნოლოგიების შესყიდვა, უცხოელი სპეციალისტების მოწვევა მოწყობილობის მონტაჟისა და გამართვისათვის, საზღვარგარეთ ინჟინერულ-ტექნიკური პერსონალის სწავლება, გამოსაშვები პროდუქციის საგარეო და ადგილობრივი გასაღების წინასწარი განსაზღვრა-დათანხმება.

უსათუოა, რომ შემდგომში ამ მიზნებისათვის ქვეყანაში საჭიროა ასეთი ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობისათვის სპეციალური ორგანიზაციების შექმნა, ისეთების, როგორიცაა შესაბამისი ტექნოლოგიების ტრანსფერის ხელშეწყობის ცენტრები, შესაბამისი კონსალტინგური ფირმები და ა. შ. ასე მაგალითად, საფრანგეთში 2005 წლიდან მოქმედებს კონკურენტუნარიანობის პოლუსი (სხვანაირად რომ ვთქვათ კლასტერი) “პლასტიპოლისი”. ეს არის დარგობრივი გაერთიანება, რომელიც სარგებლობს სახელმწიფო მხარდაჭერით და აერთიანებს დაახლოებით 1000 ორგანიზაციას და საწარმოს, რომლებიც მუშაობენ კომპოზიტების სფეროში. ამ ცენტრის მიზანია (განლაგებულია რონა-ალპების რეგიონში) პლასტიკების ფრანგული დარგის (პლასტურგიე) წინ წაწევა, ახალ ბაზრებზე გასვლის დახმარების გაწევა, და ასევე კომპოზიტური მასალების გამოყენების ახალი ხერხების ძებნა სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო შემუშავებების სისტემის მხარდაჭერის საფუძველზე [Производство композиционных ..., 2011].

საქართველოში, რა თქმა უნდა, ჯერ ნაადრევია ლაპარაკი კომპოზიტური მასალების კლასტერის შექმნაზე (იმის გამო,

რომ შესაბამისი საწარმოებისა და დამხმარე ორგანიზაციების რაოდენობა ჯერ მცირეა), მაგრამ მიზანშეწონილია დავუკვირდეთ რუსეთის კომპანიის DEG Composite გამოცდილებას, რომელიც წარმოადგენს კომპოზიტებიდან ნაკეთობების წარმოებისათვის ტექნოლოგიების შემუშავებაში კომპეტენტურ ინჟინირინგულ ცენტრს. მისი მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებებია: ტექნოლოგიების შემუშავება და გადაცემა, აღჭურვილობის შერჩევა და მიწოდება, ხელშეწყობა დანერგვაში, პროცესების ათვისების მხარდაჭერა, კონსალტინგი [Баркалов Ф.].

მიმაჩნია, რომ სახელმწიფო და კერძო კაპიტალის მონაწილეობით საჭიროა კომპოზიტური მასალებისა და მათგან ნაკეთობების წარმოების დარგის მხარდაჭერისათვის სპეციალური ინოვაციური ცენტრის შექმნა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შესაბამისი საზღვარგარეთული ტექნოლოგიების ძებნა და მათი გამოკვლევა, ხელი შეუწყოს საჭირო ტექნოლოგიების ტრანსფერს დაინტერესებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში, ესე იგი მოწყობილობისა და აღკაზმვის შერჩევას და მიწოდებას, ხელი შეუწყოს ტექნოლოგიური პროცესების ათვისებასა და ინჟინერულ-ტექნიკური პერსონალის მომზადებას, ასევე მონაწილეობა მიიღოს პროდუქციის გასაღების შესაძლებლობის წინასწარ შეფასებაში როგორც შიდა ბაზარზე, ისე საზღვარგარეთ.

ქვეყანაში განსაკუთრებული ყორადღება უნდა დაეთმოს კომპოზიტების წარმოების განვითარებას მშენებლობისათვის, რადგანაც მათზე დიდია მოთხოვნა შინაურ ბაზარზე და ამ მიმართულებით შეიძლება იმპორტის ჩანაცვლებითი საწარმოების მშენებლობა. რიგი სხვა მიმართულებით კი (მაგალითად ავტომობილების მშენებლობა, ავიამშენებლობა) შეუძლებელია ქვეყანაში შესაბამისი კომპოზიტური მასალების წარმოების ორგანიზება მსხვილი ტრანსეროვნული ფირმების მონაწილეობის გარეშე, რადგან მათ გარეშე შეუძლებელი იქნება პროდუქციის ექსპორტული გასაღების უზრუნველყოფა, და, რადგანაც ქვეყანაში ამჟამად არ არსებობს საწარმოები, რომლებიც აშენებენ ავტომობილებს ან თვითმფრინავებს, შიდა ბაზარზე ასეთ პროდუქციაზე მოთხოვნა არ იქნება.

საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების რეგიონული კომპონენტების ჩამოყალიბების მდგომარეობა

თანამედროვე პირობებში ინოვაციების გავრცელებას რეგიონულ დონეზე ხელს უწყობენ საქართველოს ინივაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ხელმძღვანელობით შექმნილი ტექნოპარკები და ინოვაციური ცენტრები (ასევე რეგიონული დონის ინოვაციური კლასტერები, მაგრამ ასეთები საქართველოში ჯერჯერობით არ არსებობს), ასევე ტექნოპარკების შემადგენლობაში არსებული ლაბორატორიები (ფაბლაბები), სასწავლო ცენტრები, საერთო სამუშაო სივრცეები და სხვა კომპონენტები. განვიხილოთ ეს სისტემები რიგ წყაროებზე დაყრდნობით [ინფრასტრუქტურა; ტექნოპარკები ... ; და სხვა].

ტექნოპარკები და ინოვაციური ცენტრები ორიენტირებულია განავითარონ საქართველოში ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ეკოსისტემა, რომელიც მიმართულია ინოვაციების გავრცელებაზე.

ტექნოპარკი წარმოადგენს ფიზიკურ სივრცეს, სადაც აკუმულირებულია ტექნოლოგიური, საგანმანათლებლო და პროფესიონალური რესურსები და მიზნად ისახავს ემსახუროს საქართველოში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარებას.

ტექნოპარკი, თავისი ინფრასტრუქტურის მეშვეობით, ხელს უწყობს მაღალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ბიზნესების ჩასახვასა და ზრდას, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება, როგორც ლოკალურ, ასევე გლობალურ ბაზრებზე. აერთიანებს რა ინტელექტუალურ რესურსსა და ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურას, ტექნოპარკი წარმოადგენს ინოვაციებზე ორიენტირებული სტარტაპ ეკოსისტემის ერთ-ერთ მთავარ ელემენტს. იგი აერთიანებს ინკუბატორებს, სასწავლო ცენტრებსა და ლაბორატორიებს, ასევე საოფისე, საერთო-სამუშაო და რეკრეაციულ სივრცეებს. პარკი უზრუნველყოფს წვდომას ტრენინგ-ცენტრებსა და შოურუმებზე.

ინოვაციური ცენტრები თავის მხრივ, წარმოადგენს მინი ტექნოპარკებს და შედარებით მცირე მასშტაბით მომხმარებელს ლოკალურად სთავაზობს იმავე სერვისებს, რასაც ტექნოპარკები.

ინოვაციების ეკოსისტემის შესაქმნელად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი არის თბილისის ტექნოპარკი, რომელიც ოქროყანაში 18 ათას კვ. მ. ტერიტორიაზე მოეწყო და ის 2016 წლის 11 იანვრიდან ფუნქციონირებს. ის ორიენტირებულია ქვეყანაში ინოვაციური წარმოების შექმნასა და განვითარებაზე. ტექნოპარკი არის ფიზიკური სივრცე, სადაც თავმოყრილია ტექნოლოგიური, საგანმანათლებლო და პროფესიონალური რესურსები და წარმოადგენს ერთგვარ პლატფორმას ინოვაციებსა და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ბიზნესის განვითარებისთვის.

2016 წლის ოქტომბერში ქ. ზუგდიდში გაიხსნა მეორე ტექნოპარკი. "ეს არის მეორე ტექნოპარკი საქართველოში, რომელიც აღჭურვილია უახლესი ტექნიკით და ტექნოლოგიებით, იმაზე უფრო უახლესით, ვიდრე თბილისის ტექნოპარკში გვაქვს. 700 კვ. მ. ფართობის შენობა-ნაგებობები დღეს მთლიანად არის გახსნილი სივრცე, გახსნილი ცოდნისათვის, სიახლეებისათვის, ინოვაციებისათვის" [დიმიტრი კუმსიშვილი ..., 2016].

2018 წლის ნოემბერში, თბილისის და ზუგდიდის შემდეგ, ტექნოლოგიური პარკი თელავშიც გაიხსნა, რომლის მშენებლობა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული საქართველოს ეროვნული ინოვაციური ეკოსისტემის პროექტის ფარგლებში განახორციელა. თელავის ტექნოპარკი აღჭურვილია ყველა იმ მომსახურებითა და სერვისებით, რომლითაც საქართველოს სხვა ტექნოპარკების მომხმარებლები სარგებლობენ [თელავის ..., 2018].

ინოვაციური ცენტრები კი დღეისათვის მოქმედებს ხარაგაულში, ჭოპორტში (დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელია), ბაღდათში, ახმეტასა და რუხში.

როგორც ითქვა ტექნოპარკების აუცილებელი კომპონენტებია ფაბლაბები და საერთო სამუშაო სივრცეები, რომლებიც წარმოადგენენ ინოვაციების გავრცელების მნიშვნელოვან ხელშემწყობ მექანიზმებს.

ფაბლაბი (ფაბრიკაციის ლაბორატორია) არის მაღალტექნოლოგიური დანადგარებით აღჭურვილი სახელოსნო, რომე-

ლიც მომხმარებელს სთავაზობს ციფრულ ფაბრიკაციას. ფაბლაბის კონცეფცია 2001 წელს მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის, ბიტებისა და ატომების ცენტრის დირექტორმა, ნილ გერშენფილდმა წარმოგვიდგინა. მისი იდეა იყო შეექმნა სამრეწველო ლაბორატორიის მცირე ანალოგი, სადაც კომპიუტერით მართვადი დანადგარებით და შესაბამისი ცოდნით, ნებისმიერი მსურველი შეძლებდა საკუთარი იდეის ხორცშესხმას. ფაბლაბის შემადგენლობაში არსებული დანადგარების 3D პრინტერების, CNC რუტერების, ლაზერული მჭრელების, PCB დანადგარების და ა.შ. მეშვეობით შეიძლება შეიქმნას როგორც მარტივი, ასევე კომპლექსური და „ჭკვიანი“ ნივთები, მოვახდინოთ პროტოტიპირება, ტესტირება და მცირე წარმოებაც კი. ფაბლაბების განვითარება მნიშვნელოვანია როგორც ახალი სტარტაპ ბიზნესების ჩამოყალიბებისთვის, ასევე მცირე პერსონალური წარმოების ხელშეწყობისთვის. ეს იმას ნიშნავს, რომ სასურველი ინდივიდუალური დიზაინისა თუ ფუნქციების მქონე პროდუქტის დასამზადებლად აუცილებელი აღარ იქნება დიდ ქარხნებთან და წარმოებებთან ურთიერთობა და ეს ყველაფერი ლოკალურად, ფაბლაბების ბაზაზე მოხდება [ფაბლაბი].

ტექნოპარკის **საერთო სამუშაო სივრცე** (co-working) არის ღია ტიპის ოფისი, რომელიც ბიზნესინკუბატორის გუნდებსა და დამწყებ კომპანიებს აძლევს შესაძლებლობას უფასოდ გამოიყენონ სამუშაო საოფისე ფართი, ასევე აღნიშნულ გარემოში დამწყებ მეწარმეებს აქვთ წვდომა ბიზნესინკუბატორის წევრებთან, სხვადასხვა სფეროს სპეციალისტებთან, ხვდებიან ყველაზე წარმატებულ და გამოცდილ მენტორებს, რაც ხელს უწყობს მათ პროფესიონალურ განვითარებას და ბიზნესის წარმატებას. ტექნოპარკის საერთო სამუშაო სივრცე ქმნის სასწავლო გარემოს და აყალიბებს ძლიერ სამუშაო კულტურას. აღნიშნულ გარემოში, სივრცის წევრების დახმარებით, სტარტაპებს მიეცემათ უდიდესი შესაძლებლობები ბიზნესის განვითარების მხრივ ბიზნესის სწრაფი განვითარება; პირადი და პროფესიონალური ქსელის გაზრდა; ახალი კლიენტების მოძიება და შემოსავლის გაზრდა; ნიჭიერი სპეციალისტების დასაქმება; პროდუქტიულობა; პროფესიონალურ გარემოში მუშაობა; იზოლირებული მორგებადი სამუშაო გარემო [საერთო სამუშაო ...]. ეს ყველა-

ფერი ქმნის შესაბამის რეგიონებში სხვადასხვა ტიპის (ძირითადად საინფორმაციო-საკომუნიკაციო ანუ ციფრული ხასიათის) ინოვაციების გავრცელებისათვის ხელსაყრელ პირობებს.

არსებული ეკონომიკური სირთულეები და მათი დაძლევის ზოგიერთი გზა

იმისათვის, რომ ქვეყნის ეკონომიკა ვითარდებოდეს, წარმოება კი იზრდებოდეს და ამავე დროს შექმნას კონკურენტუნარიანი პროდუქცია როგორც შიდა, ასევე საგარეო ბაზრებზე გასაღებისათვის, საჭიროა ეკონომიკის დასახულ სექტორებში ახალი წარმოებების შექმნა (ესე იგი *საგაზისო საპროცესო ინოვაციების* განხორციელება *საგაზისო საპროდუქტო ინოვაციების* შემდგომი გამოშვებისათვის და დროდადრო, საჭიროებისამებრ, უკვე არსებული წარმოებების კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად მათში *გასაუმჯობესებელი და ფსევდოსაპროცესო (არსებული საწარმოო ტექნოლოგიების მოდერნიზაცია) და საპროდუქტო ინოვაციების* პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, მისი თვითღირებულების შემცირების, მოდერნიზაციის და ა. შ. მიზნით). ამასთან, ახალი საწარმოების შექმნის ან საწარმოო ტექნოლოგიებისა და საბოლოო პროდუქტის მოდერნიზაციის პროექტები, რათა საბოლოო შედეგში თავიდან ავიცილოთ საფინანსო კრახი, ყურადღებით უნდა იყოს გააზრებული (აწონდოწონილი) სხვადასხვა პოზიციიდან.

ინოვაციების განხორციელება (ინოვაციური საწარმოების აგება ან მათი საწარმოო ტექნოლოგიების ან წარმოებული საბოლოო პროდუქტების მოდერნიზაცია) ხდება ან უცხოური კაპიტალის დახმარებით, ან ეროვნული კაპიტალის გამოყენების საფუძველზე. ამასთან მცირე ქვეყანაში (და ნებისმიერ სხვა ქვეყანაში, შესაძლებელია აშშ-ის გარდა) ინოვაციების აბსოლუტური უმრავლესობა (საწარმოო ტექნოლოგიები, წარმოებული სამომხმარებლო პროდუქტები) ისესხება (ანუ ხდება მათი იმპორტირება) და მხოლოდ მცირე ნაწილი (ძირითადად გასაუმჯობესებელი და ფსევდოინოვაციები) მუშავდება და იწარმოება ქვეყნის შიგნით (მწარმოებელი საწარმოების ფარგლებში ან სპე-

ციალიზებულ ორგანიზაციებში შემდგომი მიყიდვით მწარმოებელი საწარმოსათვის).

მთავარ ფაქტორს, რომელიც აფერხებს ქვეყნის ეკონომიკის უმეტეს სექტორებსა და ქვესექტორებში საბაზისო ინოვაციების განხორციელებას (ანუ ახალი ინოვაციური წარმოებების მშენებლობას) წარმოადგენს მსოფლიოში საქონლის დიდი ასორტიმენტის გადამეტწარმოება. უფრო მეტიც, ბევრ პოსტსოციალისტურ ქვეყანაში 90-იან წლებში დაიხურა მრავალი თანამედროვე მძლავრი წარმოება (მაგალითად, უმსხვილესი მეტალურგიული ქარხნები ჩეხეთში და საქართველოში) შემდეგი სქემის მიხედვით: ინვესტორ-კონკურენტი ჩალის ფასად ყიდულობს მოქმედი საწარმოს აქციების საკონტროლო პაკეტს, შემდეგ მასში აწარმოებს არამიზანშეწონილ "სრულყოფებს", რათა გაზარდოს წარმოების ღირებულება და გააუარესოს პროდუქციის ხარისხი, შემდეგ აცხადების წარმოების არარენტაბელურობას და ხურავს მას. ამასთან, ის ღებულობს შესაძლებლობას გაზარდოს პროდუქციის წარმოება თავის ქარხნებში სხვა ქვეყნებში და გაზარდოს პროდუქციის ფასი, რათა მეტი მოგება მიიღოს. კონკურენტული ბრძოლის ასეთი პრაქტიკა ხანდახან ხორციელდება ტრადიციული კაპიტალისტური ქვეყნების შიგნითაც, მაგალითად, აშშ-ში (ასეთ ქმედებებს ეწოდება "hostile acquisition" ან "hostile takeover" მტრული შთანთქმა). გარკვეულ პერიოდში, კერძოდ 90-იან და 2001-2010 წლებში დასავლეთის ქვეყნების არაერთმა კომპანიამ გადაიტანა თავისი თანამედროვე საწარმოების საწარმოო სიმძლავრეების მნიშვნელოვანი ნაწილი პოსტსოციალისტურ ქვეყნებში (მაგალითად, საფრანგეთის საავტომობილო მრეწველობის დიდი სიმძლავრეები გადატანილი იყო სლოვენიაში, მაგრამ ამან გამოიწვია პროტესტი უმუშევრად დარჩენილი ფრანგი მუშაკების მხრიდან). სხვათა შორის, კომუნისტურ ჩინეთს დიდ პატივს სცემენ ჩრდილოამერიკელი ბიზნესმენები: მაღალკვალიფიციური მუშაკების დიდი რაოდენობა და მუშახელის შედარებითი სიიაფე იზიდავს ამერიკელი ბიზნესმენების საწარმოო სიმძლავრეებს და საშუალებას აძლევს მათ მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი მოგება წარმოებული პროდუქციის გაყიდვით არა მხოლოდ ჩინეთში, არამედ უფრო მეტად მის გარეთ. მაგრამ საქართველოში დღევანდელ ვითა-

რებაში ძნელია, თითქმის შეუძლებელია, უცხოური სამრეწველო საწარმოების მოზიდვა, მიუხედავად რამდენიმე წლის წინ დაწესებული საგადასახადო და სხვა პრეფერენციებისა (იხ., მაგალითად: [Грузия вошла ..., 2021]). დიდი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობით ელექტროენერგიის იაფი ტარიფის უზრუნველყოფის შესაძლებლობაც კი არ იყო გამოყენებული (ელექტროენერგიის იაფი ტარიფი, იაფ მუშახელთან ერთად, მნიშვნელოვანი არგუმენტია უცხოელი ინვესტორების მოზიდვისათვის). რამდენიმე შედარებით დიდი ჰიდროელექტროსადგური კი ისევ ჯიუტად შენდება უცხოელი ინვესტორების ხარჯზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი ექსპლუატაციიდან მიღებული მოგება ისევ საზღვარგარეთ წავა.

მთავარი პირობა, რომელიც იწვევს ქვეყანაში თანამედროვე მაღალტექნოლოგიური ინოვაციური საწარმოების განთავსების განზრახვას, არის წარმოებული პროდუქციის შემდგომი გასაღების გარანტია. გავიხსენოთ, რამდენად საფუძვლიანად იყო წინასწარ გააზრებული და შეთანხმებული მსოფლიოს თვითმფრინავების მწარმოებელ უმსხვილეს კომპანიებთან (ოეინგ, ირბუს, ომბარდიერ) პროდუქციის საექსპორტო გასაღების პრობლემები ქართული "საპარტნიორო ფონდის" და ისრაელის კომპანიის Elbit Cyclon-ის მიერ თვითმფრინავებისათვის კომპოზიტური მასალებიდან ნაწილების წარმოების თბილისის ქარხნის (ATC) ერთობლივი მშენებლობის დროს [ბურდული ვ., 2018]. მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში სამხრეთ კორეის საავტომობილო კომპანიამ Hyundai Motor-მა ააშენა მსხვილი საავტომობილო ქარხანა და ქარხანა საავტომობილო ძრავების წარმოებისათვის, მაგრამ რუსეთში არის მსხვილი შიდა ბაზარი მათი პროდუქციის გასაყიდად. ჩვენს შემთხვევაში რომელი მსხვილი უცხოური კომპანია გაბედავს საქართველოში დიდი თანამედროვე საწარმოო ობიექტის აშენებას პროდუქციის საექსპორტო რეალიზაციის გარანტიის გარეშე?

ინოვაციური საწარმოების მშენებლობის პერსპექტივები ეროვნული კაპიტალის გამოყენების ხარჯზე ან უცხოურ კაპიტალთან ერთობლივი საწარმოების მშენებლობის გზით ეკონომიკის უმეტეს სექტორებში (გარდა ზოგიერთისა, როგორიცაა სამშენებლო მასალების მრეწველობა, ქარისა და მზის ელექტ-

როსადგურები და სამრეწველო ნაწარმი მათთვის) ასევე ჯერ კიდევ მცირეა. ამ შემთხვევაში (გარდა ერთობლივი საწარმოების მშენებლობისა, სადაც მშენებლობისათვის საჭირო დამხმარე ინფრასტრუქტურის ორგანიზაციებს მოიზიდავს უცხოური პარტნიორი) მშენებლობის მხარდასაჭერად საჭიროა სპეციალიზებული ინოვაციური ინფრასტრუქტურის ორგანიზაციების არსებობა). ამასთან არ არის საჭირო მცირე ქვეყანაში ინოვაციური ინფრასტრუქტურის სპეციალიზებული ერთეულის შექმნა ეკონომიკის რომელიმე სექტორში ცალკეული (ერთადერთი) საწარმოს მშენებლობის მხარდასაჭერად, ამ შემთხვევაში საჭიროა იმ ქვეყნების შესაბამისი ორგანიზაციების გამოყენება, საიდანაც იმპორტირებულია აღჭურვილობა საწარმოს მშენებლობისათვის. ასეთი ორგანიზაციის წარმომადგენლების ამოცანებში უნდა შედიოდეს: დახმარება საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავებაში, აღჭურვილობის მონტაჟი და მუშახელის სწავლება დამონტაჟებულ მოწყობილობაზე მუშაობის ხერხების ათვისების მიზნით, უპირატესად საკუთარი ძალებით კი საჭიროა წარმოებისათვის დაგეგმილი პროდუქციის გასაღების გამოვლენა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საგარეო ბაზრებზე, მაგრამ აქაც შეუძლებელია პრობლემის გადაწყვეტა უცხოელ კოლეგებთან კონტაქტებისა და ინფორაციის გაცვლის გარეშე. მაგრამ, თუ პერსპექტივაში რომელიმე სექტორში იგეგმება რამდენიმე ობიექტის მშენებლობა (მაგალითად, მზისა და ქარის ელექტროსადგურების ან მათი აღჭურვილობის კომპონენტების წარმოება), მაშინ ამ შემთხვევაში აუცილებელია ქვეყანაში შესაბამისი ინოვაციური ინფრასტრუქტურის შექმნა.

ეკონომიკის ნებისმიერ სექტორში მოქმედი საწარმოების კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად დროდადრო, საჭიროებისამებრ, მათში საჭირო ხდება გასაუმჯობესებელი და ფსევდოინოვაციების განხორციელება. საქართველოში ამ ტიპის ინოვაციების განხორციელების ხელშესაწყობად უკვე არსებობს გარკვეული დამხმარე ინფრასტრუქტურა, გარდა რამდენიმე წლის წინ დაარსებული საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსა, ეს არის სააგენტო "აწარმოე საქართველოში", ტექნოპარკები, შექმნილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებებულების ბაზაზე ბიზნესინკუბატორები, ბიზნესამაჩქა-

რებლები, ტექნოლოგიების ტრანსფერისა და ინოვაციების კომერციონალიზაციის ცენტრები, ინოვაციების ლაბორატორიები, სადაც ბიზნესის წარმომადგენლებს ეძლევათ გარკვეული ცოდნა და უნარი ასეთი ინოვაციების განსახორციელებლად, ზოგიერთ მსხვილ საწარმოს უყვე ჰყავს საკუთარი თანამშრომლები, რომლებიც ჩართული არიან ინოვაციების განხორციელებაში. გარდა ამისა, მრავალი ახალგაზრდა სწავლობს არა მარტო საქართველოს, არამედ საზღვარგარეთის უმაღლეს ტექნიკურ საგანმნათლებლო დაწესებულებებში, მათ შორის მთელ მსოფლიოში ცნობილ ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტებში და განათლების მიღების შემდეგ ეს ახალგაზრდები შეძლებენ გამოიყენონ თავიანთი ცოდნა გასაუმჯობესებელი და ფსევდოინოვაციების განსახორციელებლად ქვეყნის საწარმოებში. მაგრამ ამავე დროს, გასათვალისწენებელია, რომ მსოფლიოში ეკონომიკის სექტორებში მუდმივად რეალიზებადი ინოვაციების გამოვლენისა და ქვეყნის საწარმოებში მათი განხორციელებისათვის ინფორმაციის (დოკუმენტაციის) მიღებისათვის (შეძენისათვის) საჭიროა სპეციალური ინფრასტრუქტურის (ან მსხვილ საწარმოები სპეციალური განყოფილებების) არსებობა, რომელთა თანამშრომლები ამ მიზნით დაამყარებენ ურთიერთობებს უცხოური ქვეყნების შესაბამის ორგანიზაციებთან (საპატენტო ბიუროები, საინფორმაციო ორგანიზაციები, ინოვაციური საწარმოები და ა. შ.).

დასკვნა

ნაშრომში თანმიმდევრულადაა განხილული საქართველოს რეგიონებში ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების საკითხები და ამ პროცესთან დაკავშირებული სირთულეები და საფრთხეები.

იმისათვის, რომ განვსაზღვროთ საქართველოს რეგიონებში ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების მდგომარეობა, უპირველეს ყოვლისა საჭიროა ინოვაციების სახეების კლასიფიკაციის და მათი დამუშავებისა და ინოვაციების გავრცელების კოორდინაციის ხერხების, მექანიზმების, ინსტრუმენტების სისტემატიზაციის შესახებ თანამედროვე შეხედულებების შესწავლა, რაც ჩემ მიერ განხილულია ნაშრომის პირველ დანაყოფში. ამასთან მხედველობაში მიღებულია, რომ რეგიონებში ინოვაცი-

ური ეკონომიკის ფორმირების კოორდინაცია ხდება როგორც საერთოსახელმწიფოებრივი, ასევე თავად რეგიონული კომპონენტები (დაწესებულებების, მექანიზმების, ინსტრუმენტების) მეშვეობით. აქვე ასახულია თანამედროვე პერიოდში ინოვაციების განხორციელების ძირითადი მიმართულებები, კერძოდ, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ან უფრო ფართო გაგებით, ციფრული ეკონომიკის ტექნოლოგიები), მწვანე ეკონომიკის ტექნოლოგიები (მსოფლიოში დასანერგი ინოვაციების 40%-მდე), წრიული ეკონომიკის, კომპოზიტური მასალებისა და მათგან ნაკეთობების წარმოების ტექნოლოგიები. მეორე დანაყოფში განხილულია ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების კოორდინაციის მდგომარეობა საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ. მესამე დანაყოფში განხილულია საქართველოს რეგიონებში საბაზისო ინოვაციური ტექნოლოგიების გავრცელების მდგომარეობა ზოგიერთი სირთულის გამოვლენით და მათი გადალახვის გზების დასახვით. შემდეგ სისტემატიზებულია საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების რეგიონული კომპონენტები და გაშუქებულია მათი გამოყენების მდგომარეობა რეგიონებში. უკანასკნელ დანაყოფში განხილულია არსებული ეკონომიკური სირთულეები ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებისას და მათი გადალახვის ზოგიერთი გზა, კერძოდ კი ფაქტორები, რომლებიც აფერხებენ ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას (ახალი საწარმოების შექმნის სახით ან არსებული საწარმოების ტექნოლოგიური მოდერნიზაციის სახით), და მათი დაძლევის ზოგიერთი გზა (მხედველობაში მიიღება, რომ საბაზისო და გასაუმჯობესებელი ინოვაციების აბსოლუტური უმეტესობა საქართველოში, ისევე როგორც სხვა საშუალო ან მცირე ზომის ქვეყნებში, იმპორტირდება ან საწარმოო ტექნოლოგიების შეძენის გზით, ან უცხოელ პარტნიორებთან ერთობლივი საწარმოების ორგანიზაციით).

ახლა თანამიმდევრულად ჩამოვთვალოთ საქართველოსა და მისი რეგიონების ეკონომიკის განვითარების ყველაზე სერიოზული არსებული სირთულეები და საფრთხეები. სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ევროკავშირის მმართველი ორგანოებისა და ევროპის ზოგიერთი ქვეყნის მთავრობების წარმომადგენელთა მიერ ინსპირირებული არეულობები, რომლებსაც მართავენ ოპო-

ზიციური ძალები. თავად ევროპელებმა განაცხადეს, რომ ისინი არ მიიღებდნენ საქართველოს ევროკავშირში 2030 წლამდე და ახლა ისინი დაუპირისპირდნენ საქართველოს მთავრობას მის მიერ უცხოური აგენტების შესახებ კანონის მიღების გამო (რომელიც ბევრ რამეში აშშ-ის ანალოგიური კანონის მსგავსია) და არ სურს ევროკავშირის ორგანოების მიერ წაყენებული ისეთი მოთხოვნების შესრულება, რომლებიც ძირს უთხრიან ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას (კერძოდ, მოთხოვნები მიმართულია ქვეყნის სუვერენიტეტის დაუშვებლობაზე და დასავლეთის ქვეყნების მითითებებზე დამორჩილებაზე, ასევე, რუსეთთან ომის დაწყებაზე, რომელსაც საქართველო მხოლოდ რამდენიმე დღე გაუძლებს. მაგრამ რა საჭიროა?).

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული არეულობებების ფონზე საქართველოს მთავრობამ 2028 წლისთვის გადადო ევროკავშირთან გაწევრიანების მოლაპარაკებები და უარი თქვა ევროპულ გრანტებზე, რომლებიც ძირითადად არეულობების დასაფინანსებლად გამოიყენებოდა. განსაკუთრებით აქტიურობს საფრანგეთის პრეზიდენტი მაკრონი, რომელსაც თავად აქვს სერიოზული პრობლემები ეკონომიკაში ასევე ყოფილ კოლონიებთან (მაგალითად, საფრანგეთის ჯარების კონტინგენტს ჩადის რესპუბლიკის ხელისუფლებამ უბრძანა მცირე დროში დაეტოვებინა ქვეყანა) და საზღვარგარეთის დეპარტამენტებში. ზურაბიშვილისა და დასავლეთის ზოგიერთი ქვეყნის მიერ დაფინანსებული ოთხი პარტიის მეშვეობით ისინი ცდილობენ საქართველო დასავლეთის კოლონიად აქციონ. სწორედ ამ პარტიებს უბიძგებენ რუსეთთან ომის დაწყებას, მაგრამ ფაქტობრივად თუ ეს მოხდება, საქართველო შეუქცევადად განადგურდება.

ახლა გაირკვა, თუ რატომ ველიკანოვი, კონსტანტინე სივკოვი და სხვები აქეზებდნენ აფსუებს (აფხაზეთი საქართველოს რეგიონია, რომელშიც უხსოვარი დროიდან აფსუების გარდა მეგრელები და სვანები ცხოვრობდნენ; თვითსახელად აფსუების ქვეყანა არის არა „აფხაზეთი“, არამედ „აფსნი“, დედაქალაქით ტუაფსეში, მდებარეობდა აფხაზეთის ჩრდილოეთით) მეგრელების რეგიონიდან განდევნისკენ, რაც ჩეჩნური ჯარების დახმარებით და რუსული არმიის ქვედანაყოფების (მათ შორის სატანკო და საარტილერიო) მონაწილეობით მოხდა. ამან გამოიწვია გარკვეუ-

ლი რაოდენობის ქართველი მასახლეობისა და ჯარისკაცების ხოცვა-ჟლეტა და დასახლებების ნგრევა (სივკოვი ამბობს, რომ ეს გააკეთეს თავად „აფხაზებმა“, ანუ აფსუებმა, მაგრამ ეს ტყუილია სამხედრო მოქმედებები რუსეთის ფედერაციის ჯარებმა და მათ მიერ შექმნილმა ჩეჩნურმა დაჯგუფებებმა განახორციელეს). რუსების მფარველობით აფსუები დადიოდნენ დასახლებებში, ძარცვავდნენ საცხოვრებელ სახლებს და ხოცავდნენ ქართველებს. ამ მდგომარეობამ [Как абхазы..., 2024; Абхазы наказали ..., 2025] აიძულა 200 ათასზე მეტი ადამიანს დაეტოვებინა აფხაზეთის რეგიონი. ცოტა ხნის წინ აფსუები აუჯანყდნენ კანონის მიღებას, რომელიც ითვალისწინებდა დიდი მიწის ნაკვეთების მიყიდვას რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებზე, ფაქტობრივად, მამულების ორგანიზებისთვის, როგორც ეს ხდებოდა რუსეთის იმპერიაში (ეს ინფორმაცია მივიღე YouTube-ით, მაგრამ მალევე წაიშალა და გადმოწერა ვერ მოვასწრე). ამის შემდეგ სივკოვი თავს დაესხა „აფხაზებს“, ანუ აფსუებს, მტკიცებით, რომ ისინი უსაქმურები არიან და რუსეთის ფედერაციის ხარჯზე ცხოვრობენ, ამიტომ ვალდებული არიან გასცენ რუსეთის მოქალაქეებზე მიწის ნაკვეთები კოტეჯების ასაშენებლად. მოაზროვნე რუსებმა სასწრაფოდ წაშალეს ეს ინფორმაცია და ეტყობა YouTube-ც საერთოდ აკრძალეს თავიანთ ქვეყანაში.

შვაბის გეგმა (საერთოდ შვაბის უკან უფრო გავლენიანი ადამიანები დგანან, მან მხოლოდ გაასაჯაროვა პროგრამა), კერძოდ, პლანეტის მოსახლეობის რიცხოვნობის ერთ მილიარდ ადამიანამდე დაყვანა (ოქროს მილიარდი), ფაქტობრივად უკვე ხორციელდება პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, უფრო სწორად, ამ გეგმის ზოგიერთი ელემენტი. ს. ზურაბიშვილისა და ოთხი ოპოზიციური პარტიის აქტივისტების სახით (არა ყველასი, ზოგს უბრალოდ არ ესმის) ჩვენ ვხედავთ დასავლეთის მიერ დაფინანსებულ ამ გეგმის გულმოდგინე შემსრულებლებს.

მნიშვნელოვანი მექანიზმი, რომელსაც დასავლეთი იყენებს პოსტსაბჭოთა ქვეყნების დასავლურ კოლონიებად გადაქცევის მიზნით, არის ტენდერების ჩატარება სამრეწველო ობიექტების მშენებლობაზე წარსული ჰიპერგლობალიზაციის წესებით, როდესაც ტენდერში გამარჯვებული ინვესტორი სთავაზობდა ქვეყანა-რეციპიენტისათვის მათი ექსპლუატაციის კაბალურ პირობებს.

ამასთან, ინვესტორი არ არის მენარდე, ანუ ობიექტის მშენებელი, არამედ თავად ქირაობს მას (ანუ ამ გზით ხდება ჭარბი ფულადი დანაზოგის განაღდება). როგორც ცნობილია, ასეთ პირობებში ორჯერ სურდათ საქართველოში ძალიან დიდი ჰიდროელექტრო-სადგურების აშენება. მაგრამ ქვეყნის საზოგადოებამ ამას წინააღმ-დეგება გაუწია. მსგავსი პრობლემების თავიდან აცილების გზები განხილულია ჩემს სტატიებში: [ბურდული ვ., ინოვაციური ..., 2023; ბურდული ვ., რეგიონული ..., 2023; Вахтанг Бурдули, 2024, стр. 41-49; ვახტანგ ბურდული, 2022, გვ, 55-114].

კიდევ ერთი მექანიზმი, რომელიც ფართოდ იქნა გამოყე-ნებული საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, არის საწარმოების შეძენა (არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის მოქალაქეების, არამედ უცხო ქვეყნების მოქალაქეების მიერ პრივატიზაციით) მათი შემდ-გომი დახურვის მიზნით (რაც განხილულია ამ ნაშრომის მეხუთე დანაყოფში). ამასთან, უპირველეს ყოვლისა, იხურებოდა წარმოე-ბის საშუალებების მწარმოებელი საწარმოები (მაგალითად, 1990 წლისთვის ახლად მოდერნიზებული თბილისის ჩარხმშენებელი ქარხანა). რა თქმა უნდა, განადგურდა მანქანათმშენებლობის სხვა საწარმოებიც (საქართველოში, მაგალითად, შეიკვეცა თბილისის ავიაციის მწარმოებელი ქარხანა, ხოლო მსუბუქ მრეწველობაში დაიხურა ძალიან დიდი თბილისის აბრეშუმის საქსოვი ქარხანა და ა. შ.).

ბოლო წლებში ფარულად აიკრძალა ზოგიერთი მოხმარების საქონლის, მაგალითად, შალის სვიტერების, რეიტუზებისა და შალის სხვა სპორტული ტანსაცმლის და ა.შ. საქართველოში ექსპორტი (ანუ იმპორტი ქვეყანაში), თავად მათი წარმოება კი ქვეყანაში გაცილებით ადრე შეწყდა. ეს მაშინ, როდესაც სსრკ-ის დაშლამდე არსებული ქარხნები აწარმოებდნენ მაღალი ხარისხის შალის (და ბამბის) სპორტულ ტანსაცმელს იმ რაოდენობით, რომ იგი მთელ საბჭოთა კავშირში ვრცელდებოდა.

შვაბის გეგმის კიდევ ერთი ელემენტი, რომლის რეალიზაცია ხდება პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმეტესობაში, წარმოადგენს მო-სახლეობისათვის სუროგატული საკვები პროდუქტების მიწოდე-ბას (ნავთობპროდუქტებისგან დამზადებული „ლორი“ და პალმის ზეთისგან დამზადებული რძის პროდუქტები). პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან მხოლოდ ბელორუსია აწარმოებს მაღალი ხარისხის

სოფლის მეურნეობის პროდუქტებს დიდი მოცულობით. მათი ექსპორტირება დიდი რაოდენობით ხდება სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც (მაგალითად, თბილისში არის რამდენიმე დიდი მაღაზია, სადაც ყიდიან ბელორუსის მაღალი ხარისხის ნატურალურ საკვებ პროდუქტებს). მაგალითად, ნიკოლაი პლატოშკინი, მიუხედავად იმისა, რომ იგი თვალს ხუჭავს ხრუშჩოვის ძირგამომთხრელ მოქმედებებზე სოფლის მეურნეობის სფეროში (მან გაანადგურა პირუტყვის სულადობის 50%), სწორად აღწერს შემდგომ მოვლენებს და აღნიშნავს, რომ სსრკ-ის დაშლის წინ მეწველი ძროხების რაოდენობა 65 მილიონი იყო, ახლა კი რუსეთის ფედერაციაში მხოლოდ 7 მილიონია. ადრე, 1965 წლიდან, მათი გამოკვებისათვის საზღვარგარეთ დაიწყო საფურაჟო მარცვლეულის შეძენა. ახლა კი რუსეთში წარმოებული საფურაჟო მარცვლეული იაფად იყიდება საზღვარგარეთ (ამასთან, საფურაჟო მარცვლეულით ადამიანებიც იკვებებიან იმ ქვეყნებში, სადაც არსებობს სურსათის უკმარისობა), ხოლო მოსახლეობის სუროგატული რძის პროდუქტებით მომარაგების მიზნით, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ზოგიერთი ქვეყნიდან დიდი მოცულობით შედის პალმის ზეთი (ნატურალური ყველი, არაჟანი, ხორცი და რძის პროდუქტები კი რუსეთის ფედერაციაში შემოდის ძირითადად ბელორუსიიდან, ევროპის სხვა ქვეყნებიდან და ბრაზილიიდანაც კი მაღალი ფასებით) [Продовольственная безопасность ..., 2023].

დასასრულს მინდა აღვნიშნო შემდეგი: არეულობებში მონაწილეობის მისაღებად ფილარმონიასთან შეკრებილი მოცეკვავეთა ჯგუფი ხორუმის მწკრივით მივიდა ოპერასთან და პარლამენტთან. მათ ბანერზე იყო წარწერა „ხორუმით ევროპისკენ“ [ქართული მოცეკვავები ..., 21.12.2024]. ამასთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო შემდეგი: საბჭოთა კავშირის დაშლამდე ცოტა ხნით ადრე, როცა ქართველებს არეულობისკენ უბიძგებდნენ, სუხიშვილისა და რამიშვილის ცეკვის ანსამბლი ნიუ-იორკში გასტროლებზე მიიწვიეს. მათ კონცერტებს აღფრთოვანებით ღებულობდა მაყურებელი, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეერთებულ შტატებში მათ კონცერტებზე არავინ დადიოდა და თანაგრძნობის ნიშნად ვენესუელაში გადაგზავნეს. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ისინი თბილისის ფილარმონიაში მართავდნენ კონცერტებს, რადგან დასავლეთში აღარავის სჭირდებოდათ. ახლა

დასავლეთის აგენტურა კვლავ უბიძგებს მოცეკვავეებს არეულობებში მონაწილეობისკენ, რათა დაეხმარონ მათ თავიანთი მიზნების მიღწევაში: გადააქციონ საქართველო მორჩილ კოლონიად, რომელიც თავს დაესხმება იმას, ვისაც დაავალებენ, მოამარაგებს დასავლეთს ენერგორესურსებით ისეთი წესით, რომ მიღებული მოგება „ინვესტორებისკენ“ გაედინოს, გააჩაღებს სამოქალაქო დაპირისპირებებს (ამჯერად მათი აგენტურა რუსეთსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში ინტერნეტში აქვეყნებენ აბსოლუტურ სიცრუეს, თითქოს იმერლები, ქართლელები, აჭარლები და საქართველოს სხვა რეგიონების მაცხოვრებლები სხვადასხვა ეროვნების ხალხია და სხვადასხვა ენაზე საუბრობენ, ხოლო მეგრული და სვანური ენები განსხვავდება საერთო ქართული ენისგან, დაახლოებით იმავე ზომით, როგორც სლავურ ენებს შორის განსხვავდებიან რუსული, უკრაინული და ბელორუსული ენები).

ანუ მოცეკვავეები და სხვა ადამიანები რუსთაველის გამზირზე თავის გამოჩენით ცდილობენ პატივი მიაგონ თავიანთ დასავლელ „ბატონებს“ იმ მიზნით, რომ ევროკავშირში მიიღონ. დასავლეთი ასეთი დაპირებების მიცემისას თითქმის ყოველთვის ატყუებს მონაწილეებს მოლაპარაკებაში ისევე, როგორც ერთ-ერთ ჰოლივუდურ ფილმში პერსონაჟი (არნოლდ შვარცენეგერი) უფსკრულში უშვებს ადამიანს, რომელიც ასრულებდა მის ბრძანებებს და ამბობს: „მე მოგატყუე“.

ასე რომ, არაა საჭირო ისეთი ლიდერების მოსმენა, როგორიცაა სოლომე ზურაბიშვილი და მიხეილ სააკაშვილი, ასურელი გიორგი ვაშაძე (ბევრი ასურელი პოსტსაბჭოთა სივრცეში დადებით როლს თამაშობს, მაგრამ ის, რა თქმა უნდა, თავისი მოწოდებებით მტრულად ექცევა ქართველ ხალხს, თუმცა თავად ეს შეიძლება არ ესმის), მემკვიდრეობითი ებრაელი ბუღალტერი მამუკა ხაზარაძე (პოსტსაბჭოთა სივრცეში უძველესი დროიდან ბევრმა ხაზარმა პოზიტიური როლი ითამაშა: მათგან წარმოიშვა ისეთი ქართული სიტყვები, როგორიცაა „ხაზინა“, კეთილშობილი ეკლესიური „ზარის რეკვა“, მაგრამ ზოგიერთ ამ სიტყვიდან („ხაზარი“) წარმოშობილ საერთაშორისო სიტყვას, მაგალითად, „კაზინოს“ და „ზარს“ (ქართულ ენაზე ხისტი აზარტული თამაშის გაგებით) აქვს ნეგატიური მნიშვნელობა) და სხვა ლიდერები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბახუტაშვილი ეკატერინე. "საპარტნიორო ფონდის" თანადაფინანსებით, საქართველოში სამოქალაქო თვითმფრინავების კომპოზიტური ნაწილების წარმოება იწყება. – ელექტრონული რესურსი:https://www.bpn.ge/article/42369-sapartnioro-pondis-tanadapinansebit-sakartveloshi-samokalako-tvitmprinavebis-kompozituri-nacilebis-carmoeba-icqeba/
2. ბურდული ვ. 2018. ინოვაციური მასალების წარმოება და მათი გამოყენება ეკონომიკაში. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტომი XI. თბილისი: 2018.
3. ბურდული ვახტანგ, ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების პრობლემები საქართველოში და მათთან დაკავშირებული სირთულეები. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტომი XVI. თბილისი: 2023.
4. ბურდული ვახტანგ, რეგიონული ეკონომიკის პრობლემები და საფრთხეები. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტომი XVI. თბილისი: 2023.
5. განხორციელებული. – ელექტრონული რესურსი: https://gita.gov.ge/geo/static/145
6. გორის ქარის ელექტროსადგური განახლებადი ენერგიის წყარო საქართველოში. 2018. ელექტრონული რესურსი: https://www.euneighbours.eu/ka/east/eu-in-action/stories/goris-karis-elektrosadguri-ganakhlebadi-energiis-cqaro-sakartveloshi
7. დიმიტრი კუმსიშვილმა ზუგდიდში ტექნოლოგიური პარკი ოფიციალურად გახსნა. 2016.10.03. – ელექტრონული რესურსი: https://commersant.ge/ge/post/dimitri-qumsishvilma-zugdidshi-teqnologiuri-parki-oficialurad-gaxsna
8. ეკონომიკური ტენდენციები და პროგნოზები აზიაში: საქართველო. ელექტრონული რესურსი: file:///C:/Users/PC/Desktop/2020-%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98/GEO%20Chapter.0326.2224%20GEO-UPDATED.pdf
9. ვახტანგ ბურდული. გლობალური ეკონომიკური საფრთხეები და მათი გავლენა ეროვნულ ეკონომიკურ

უსაფრთხოებაზე. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტომი XV. 2023, გვ. 55-114.
10. თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა. 2016-2020 სამთავრობო პროგრამის შესრულების ანგარიში. 2017. ელექტრონული რესურსი: file:///C:/Users/PC/Desktop/2020-%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98/424−63259−413148−GovernmentProgramReport2017sept4final.pdf
11. თელავში ტექნოპარკი გაიხსნა. 2018.11.24. ელექტრონული რესურსი: https://on.ge/story/30613-%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%98-%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%99%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%98%E1%83%AE%E1%83%A1%E1%83%9C%E1%83%90
12. ინფრასტრუქტურა. – ელექტრონული რესურსი: https://gita.gov.ge/geo/static/7
13. მეცნიერება. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ელექტრონული რესურსი: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/194/metsniereba
14. მიმდინარე. ელექტრონული რესურსი: https://gita.gov.ge/geo/static/147
15. პროკრედიტ ბანკმა საკუთარი მზის ელექტროსადგური წარადგინა. ელექტრონული რესურსი: https://www.interpressnews.ge/ka/article/607524-prokredit-bankma-sakutari-mzis-elektrosadguri-caradgina
16. საერთო სამუშაო სივრცე. ელექტრონული რესურსი: https://gita.gov.ge/geo/static/99
17. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება საწარმოებში. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ელექტრონული რესურსი: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/105/sainformatsio-da-sakomunikatsio-teknologiebis-gamoqeneba-satsarmoebshi
18. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება შინამეურნეობებში. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ელექტრონული რესურსი:

https://www.geostat.ge/ka/modules/categories/106/sainformatsio-da-sakomunikatsio-teknologiebis-gamoqeneba-shinameurneobebshi

19. საქართველოს მთავრობა. ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2019-2022 წლებისათვის (გადამუშავებული ვარიანტი). თბილისი, 2018. ელექტრონული რესურსი: file:///C:/Users/PC/Desktop/2020-%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98/19-22-BDD-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-2018.pdf
20. საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა. 2018-2021. ელექტრონული რესურსი: file:///C:/Users/PC/Desktop/2020-%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98/2018-2021%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1%20%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90.pdf
21. საწარმოთა ინოვაციური აქტივობა (2016-2018). საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ელექტრონული რესურსი: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/108/inovatsiuri-aktivoba
22. სი-ემ-ჯი ჯგუფი გთავაზობთ ... – ელექტრონული რესურსი: http://www.composite.ge/ka/14-- და http://www.composite.ge/ka/home/8-polyester-resin.html
23. ტექნოპარკები და ინოვაციური ცენტრები. ელექტრონული რესურსი: https://gita.gov.ge/geo/static/45/teknoparki-tbilisi

24. ფაბლაბი. ელექტრონული რესურსი: https://gita.gov.ge/geo/static/53/fablabi
25. ქართული მოცეკვავეები ოპერიდან პარლამენტამდე ხორუმის ცეკვით მიდიან. 21.12.2024. - ელექტრონული რესურსი: https://www.interpressnews.ge/ka/article/825672-kartveli-mocekvaveebi-operidan-parlamentamde-xorumis-cekvit-midian
26. ქვეყნის სწრაფი განვითარებისათვის. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო. ელექტრონული რესურსი: https://gita.gov.ge/
27. ჩვენი სტარტაპები. ელექტრონული რესურსი: https://gita.gov.ge/geo/startups
28. 2019 წელს საქართველოში 5 ახალი ქარის ელექტროსადგურის მშენებლობა დაიწყება. ელექტრონული რესურსი: https://imedinews.ge/ge/ekonomika/99626/2019-tsels-saqartveloshi-5-akhali-qaris-eleqtrosadguris-mshenebloba-daitskeba
29. Abesadze R, Burduli V. Modern State and Priorities for Forming the National Innovation System of Georgia. – ***International Journal of New Economics and Social Sciences № 1(9)2019.*** P. 12-29. – Electronic resource: https://ijoness.com **DOI: 10.5604/01.3001.0013.3013**
30. Abesadze R., Burduli V. National, Regional and Supranational Coordination of the Regional Innovation Policy in the EU Countries. – ***International Journal of New Economics and Social Sciences № 1(7)2018.*** P. 11-38. – Electronic resource: https://ijoness.com/resources/html/article/details?id=175031
31. Burduli V. 2019. Imperatives and Dorections of Development of “Green” Economy and Its Interactions with Innovative Economy. . – ***International Journal of New Economics and Social Sciences № 2(10)2019.*** P. 31-48. – Electronic resource: https://ijoness.com
32. IT ტრენინგები. - ელექტრონული რესურსი: https://gita.gov.ge/geo/static/125/it
33. kompozit-georgia. – Electronic resource: http://bigsale.ge/kompozit-georgia/index.html
34. Абесадзе Р., Бурдули В. Современное состояние и приоритеты формирования национальной инновационной системы Грузии. – Ж.: Ekonomisti, 2017, № 1 (Volume XII).
35. Абхазы наказали грузина А.Барамия отрезанием головы, а его дочь Цисико – изнасилованием ● Гагра 1992. Roganeli, Видео, 5.01.2025.

– Электронный ресурс: https://www.youtube.com/watch?v=RMpq-frM7gE
36. Баркалов Филипп. Оборудование и технологии для производства композитных материалов. – Электронный ресурс: https://docplayer.ru/45788966-Oborudovanie-i-tehnologii-dlya-proizvodstva-kompozitnyh-materialov.html
37. Вахтанг Бурдули. Проблемы турбулентного состояния мировой экономики и перспективы Грузии как малой страны. – Proceedings of Materials of International Scientific Conference Dedicated to the 80th Birth Anniversary of the foundation of Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University "THE TENDENCIES OF ECONOMIC DEVELOPMENT OF THE WORLD UNDER THE NEW GEOPOLITICAL REALITY: THE PLACE AND CHALLENGES OF GEORGIA" (20-21 October, 2024). Tbiliisi 2024. P. 41-49.
38. Виды инноваций и их классификация. – Электронный ресурс: http://www.grandars.ru/student/menedzhment/vidy-innovaciy.html
39. Глазьев С. Мировой экономический кризис как процесс смены технологических укладов. – Вопросы экономики, 2009, №3.
40. Глазьев С. Возможности и ограничения технико-экономического развития России в условиях структурных изменения в мировой экономике. – Электронный ресурс: www. spkurdyumov.narod.ru/glaziev/htm
41. Гонаренко О. И. Менеджмент инвестиций и инноваций. – М. : КНОРУС, 2011. – С. 68, 159.
42. «Грузия вернет территории» / Алиев поддержал Иванишвили? – Электронный ресурс: https://www.youtube.com/watch?v=YWlm–jYQ–x0
43. Грузия вошла в пятерку экономически свободных стран. 19.09.2021. – Электронный ресурс: https://sputnik-georgia.ru/20210919/gruziya-voshla-v-pyaterku-ekonomicheski-svobodnykh-stran-259706110.html
44. Грузинские джинсы покоряют Европу. Предприятие по пошиву одежды, предоставляющее одежду для знаменитых брендов намерено расшириться. – Электронный ресурс: https://sputnik-georgia.ru/20210911/gruzinskie-dzhinsy-pokoryayut-evropu-259517647.html
45. Гурков А. 25.09.2020. Батареи для Tesla и накопителей электроэнергии: кто лидеры инноваций? – Электронный ресурс: https://www.dw.com/ru/batarei-dlja-tesla-i-hranenija-jenergii-kto-lidery-innovacij/a-55030825

46. Как абхазы проводили «этническую чистку» грузин? ● Аҧсуа хьымзҕ ● Аҧсны Қырҵтәыла ауп! 26.12.2024. 2024. Видео. – Электронный ресурс: https://www.youtube.com/watch?v=-Dj8qKvLbUw
47. Классификации инноваций в современной экономике. Предположительно 2016 г. – Электронный ресурс: https://euroasia-science.ru/ekonomicheskie-nauki/%D0%BA%D0%BB%D0%B0%D1%81%D1%81%D0%B8%D1%84%D0%B8%D0%BA%D0%B0%D1%86%D0%B8%D0%B8-%D0%B8%D0%BD%D0%BD%D0%BE%D0%B2%D0%B0%D1%86%D0%B8%D0%B9-%D0%B2-%D1%81%D0%BE%D0%B2%D1%80%D0%B5%D0%BC%D0%B5%D0%BD%D0%BD/
48. Классификация и виды инноваций. – Электронный ресурс: http://www.grandars.ru/student/menedzhment/vidy-innovaciy.html
49. Мухамедъяров А. Инновационный менеджмент. 1.3. Классификация инноваций. – Электронный ресурс: https://econ.wikireading.ru/21827
50. Опыт Финляндии в создании «Зеленой Экономики». Инструменты финансирования. 2017. – Электронный ресурс: http://gbpp.org/wp-content/uploads/2017/08/Opyt-Finlyndii-v-sozdanii-Zelenoi-ekonomiki.pdf
51. Пригожин А.И. Нововведение: стимулы и перспективы. М.: Политиздат, 1998.
52. Продовольственная безопасность России. Володин. Платошкин. Клип. Красное радио. Август, 2023. – Электронный ресурс: https://www.youtube.com/watch?v=G9GjMJ4LkBo
53. Тема 3. Классификация (типизация) инноваций. – Электронный ресурс: https://moodle.kstu.ru/mod/book/view.php?id=15433&forceview=1
54. Турнава Натия. – Электронный ресурс: https://sputnik-georgia.ru/20210911/gruzinskie-dzhinsy-pokoryayut-evropu-259517647.html
55. Чеботарев А. 2018. Цифровые технологии настоящего и будущего. – АВИА панорама. 2018, №4 (130). – Электронный ресурс: PDF из интернета. Поиск по запросу «виды цифровых технологий».
56. Что такое «зеленая» экономика? 2017. – Электронный ресурс: https://belarus-economy.by/ru/science-ru/view/chto-takoe-zelenaja-ekonomika-460/

Vakhtang Burduli

THE STATE OF INNOVATIVE ECONOMIC FORMATION IN THE REGIONS AND EXISTING ECONOMIC DIFFICULTIES

Summary

The paper presents a classification of innovation types, examines the mechanisms of the formation of the modern innovative economy, systematizes methods of processing innovations and explores national and regional instruments for coordinating dissemination of the innovations, analyzes the primary directions of innovation implementation in the modern period. Following this, the paper explores the state of coordination in the formation of an innovative economy by the Georgian Innovation and Technology Agency, as well as the dissemination of current state of basic innovative technologies in Georgia's regions, identifying specific challenges and the formulation of strategies for overcoming them. The paper systematizes the regional components of the formation of an innovative economy in Georgia and the state of their implementation across the regions is presented. The concluding section discusses the existing economic difficulties in the formation of an innovative economy and some ways to overcome them.

მურმან კვარაცხელია

საგადასახადო სისტემა და მასთან დაკავშირებული ფინანსური საფრთხეები

ანოტაცია. *საგადასახადო სისტემა მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტაბილურობის უზრუნველოფაში. მას ორი ძირითადი ფუნქცია გააჩნია, რაც გამოიხატება ფისკალური პოლიტიკის სრულყოფასა და მისი მასტიმულირებელი როლის გაძლიერებაში. ფისკალური ფუნქციის შეს-*

რულება, ეს ფინანსური საფრთხეების თავიდან აცილების ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორიცაა. ამისთვის ყველაზე მკაცრი გზა საგადასახადო ადმინისტრირების გაძლიერებაა, მაგრამ მას მოკლე-ვადიანი ეფექტი ექნება ყოველთვის. ამიტომ მთავარია მასტიმუ-ლირებელი ბერკეტების გამოყენებისთვის უპირატესობის მინიჭება გრძელვადიან პერსპექტივაში, რითაც ფინანსური საფრთხეების რისკი საგრძნობლად დაიწევს.

საქართველოში მოქმედი საგადასახადო სისტემა დაფუძნე-ბული მის საგადასახადო შეღავათებზე, ნაკლებად უზრუნველ-ყოფს მასტიმულირებელი ფუნქციის განხორციელებას და სამარ-თლიანობის პრინციპის მუხრუჭადაც გვევლინება. ამასთან, ადმი-ნისტრირების არსებული წესები, ერთის მხრივ, უზრუნველყოფს ბიუჯეტის გარანტირებულ შემოსავლებს, თუმცა, მეორეს მხრივ, ხელს უშლის ბიზნესის განვითარებას, რაც ბიუჯეტის შევსების ხელისშემშლელ ფაქტორად შეიძლება იქცეს.

საქართველოს საგადასახადო ადმინისტრირების სისტემა რეალურად უნდა იყოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე მორგებუ-ლი. მარტო მკაცრ სანქციებზე დაყრდნობამ კიდევ შეიძლება გაზარდოს ფინანსური საფრთხეები. კვლევით თემაში ყურად-ღებითაა შესწავლილი მისი ლიბერალიზაციის ფართოდ გამოყე-ნების პრინციპები. ასეთ პირობებში აუცილებელია სამართლია-ნობის დაცვა, რის საუძველსაც იძლევა სანქციის განაკვეთების უნივერსალურობა ყველა დონის გადამხდელებისათვის.ამდენად, საგადასახადო ადმინისტრირების სრულყოფა კვლავ რჩება აქ-ტუალურ პრობლემად ფინანსური საფრთხეების თავიდან აცი-ლების კუთხით. ყოველივე ამისი შედეგი ეკონომიკური საქ-მიანობის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებაზე გადის, რაც ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირებას ხელს უწყობს. კვლევით ნაშრომში მთავარი აქცენტი გადატანილია საგადასახადო სის-ტემის ოპტიმიზაციის გზების კვლევაზე, რაც საბოლოოდ უზრუნ-ველყოფს ეკონომიკის უფრო სწრაფი ტემპით განვითარების შე-საძლებლობას. ეს კი, ბიუჯეტში გადასახადების მაქსიმალურად მობილიზების რეალური საშუალებაა.

შესავალი

ეკონომიკური უსართხოების პრობლემები კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში ერთ-ერთ გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს. თითქმის ორმოცი წლის წინ ტერმინი „მდგრადი განვითარება“ პირველად 1987 წლის გაეროს გარემოსა და განვითარების კომისიის ანგარიშში იყო მოხსენიებული. მდგრადი განვითარების განსაზღვრება, რომელიც შემდეგი 25 წლის განმავლობაში გამოიყენებოდა, მოხსენებაში ასე იყო ჩამოყალიბებული: „მდგრადი განვითარება ისეთი განვითარებაა, რომელიც აკმაყოფილებს აწმყოს მოთხოვნებს ისე, რომ არ უქმნის საფრთხეს მომავალი თაობების შესაძლებლობას, დააკმაყოფილონ თავიანთი საჭიროებები“.

ამ განმარტებას შემდგომში მდგრადი განვითარების კიდევ სამი განზომილება დაემატა: ეკონომიკური განვითარება, სოციალური ჩართულობა და გარემოს მდგრადობა. სამგანზომილებიანი მდგრადი განვითარების მნიშვნელობას ხაზი გაესვა 2012 წლის რიოს +20 კონფერენციაზე, რამაც საბოლოოდ წერტილი დაუსვა მდგრადი განვითარების ისეთ მთავარ პოსტულატს, როგორიცაა ეკონომიკური უსაფრთხოება და მისი ერთ-ერთი მთავარი მდგენელი, ფინანსური უსაფრთხოება. ისიც ნიშანდობლივია, რომ მდგრადი განვითარების საერთაშორისო პრინციპებიდან გამომდინარე, მეოთხე გადაწყვეტილების მიღების პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს ეკონომიკური საფრთხეების მინიმიზაცია.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გლობალური განვითარების 17 მიზანი პირდაპირ უკავშირდება მდგრად განვითარებას. გაეროს განვითარების პროგრამის სტრატეგიულ გეგმაში უკვე ჩამოყალიბდა მდგრადი განვითარების თეორიაც, რომელიც ფაქტობრივად, ახალი, XXI საუკუნის სოციალურ-ეკონომიკური მიმართულების თეორიაა და მიზნად ისახავს საზოგადოების განვითარების ჰარმონიული, ეკონომიკურ-ეკოლოგიური პროცესების მართვის მოგვარებაა. თანამედროვე მსოფლიოში მდგრადი განვითარება ფუნდამენტურ სტრატეგიას წარმოადგენს გლობალური ეკონომიკური და სოციალური ტრანსფორმაციის პროცესში და მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თითქმის ყველა დარგსა და სფეროში, რომელთა შორის ერთ-ერთი სენსიტიურია ფინანსური უსაფრთხოება. ეს კი

დაკავშირებულია ქვეყანაში მოქმედი საგადასახადო სისტემის სრულყოფაზე.

საგადასახადო სისტემის რეგულირებასა და მის მართვას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს წინაშე მდგარი მთელი რიგი ამოცანების შესრულებაში, რომელიც განვითარების კონკრეტული ეტაპის წინაშე დგას. საგადასახადო სისტემის მართვა გულისხმობს მისი შემადგენელი ელემენტების სახელმწიფო რეგულირებას. აქ იგულისხმება გადასახადების დაწესება, დაბეგვრის ობიექტებისა და საგნების, გადახდის და ანგარიშგების ფორმებისა და მეთოდების, დაბეგვრის პრინციპებისა და პროცედურების, გადამხდელებისა და საგადასახადო ორგანოთა თანამშრომლების უფლებების და ვალდებულებების, საგადასახადო კონტროლის სახეებისა და სხვადასხვა სამართალდარღვევებზე პასუხისმგებლობის ზომების განსაზღვრა. ამდენად გამოდის, რომ საგადასახადო სისტემის მართვის პროცესი რთულია, რომელიც ემყარება სამ ძირითად საფუძველს ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებს (საგადასახადო კანონმდებლობას), საგადასახადო ურთიერთობების სუბიექტების საქმიანობის ორგანიზაციულ ფორმებს და საგადასახადო კონტროლს. საგადასახადო ადმინისტრირება შეიძლება განვიხილოთ როგორც სახელმწიფოებრივი აქტი, რომელიც მკაცრად აკონტროლებს ძირითად ფინანსურ კანონს, რომელზეც დამოკიდებულია ხალხის კეთილდღეობის დინამიკა.

ცნობილია, რომ საბაზრო ეკონომიკა სამოქალაქო საზოგადოების უფლებებისა და ინტერესების დაცვის გაძლიერებას ემყარება. ასეთ პირობებში საგადასახადო ადმინისტრირების მექანიზმი სახელმწიფოსა და გადასახადის გადამხდელების ინტერესების დაბალანსებაზე უნდა იყოს მიმართული.

სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური უსაფრთხოების უმთავრესი ფაქტორია ბიუჯეტის ფორმირება. მისი შემოსავლების ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო კი არის გადასახადები. ამავე დროს, სახელმწიფოს მიერ ხარჯების გაწევის ვალდებულების შესრულება დიდაა დამოკიდებული საგადასახადო პოლიტიკის ეფექტიანობაზე, რასაც, თავის მხრივ, მრავალი ფაქტორი განაპირობებს. საგადასახადო ადმინისტრირების სისტემა წარმოადგენს ფისკალური პოლიტიკის უმთავრეს ბერკეტს. საგადასახადო დაბეგვრის სისტემამ უნდა უზრუნველყოს, ერთი მხრივ, ეკონომიკის განვითარება,

ბაზარზე კონკურენტუნარიანი სუბიექტების არსებობის ხელშეწ-ყობა და, მეორე მხრივ, ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ფორმი-რება, დეფიციტის შემცირება და ფინანსური სტაბილიზაციის მიღ-წევა. მაშასადამე, საგადასახადო პოლიტიკამ ერთდროულად უნდა შეასრულოს ფისკალური და მასტიმულირებელი ფუნქციები.

საგადასახადო სისტემის სტაბილურობა ნიშნავს გადასახა-დების სახეების, განაკვეთების, შეღავათების, სანქციების დადგენას და მათ ცვლილებას დროის მოთხოვნის შესაბამისად. მასზე გავ-ლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკუ-რი მდგომარეობა. ამიტომაც საჭიროა მისი მორგება განვითარების კონკრეტული ეტაპის მოთხოვნებთან, რის გამოც აღნიშნული სის-ტემის ცალკეული ელემენტები განიცდიან შესაბამის ცვლილებებს, თუმცა საგადასახადო ადმინისტრირების სისტემის სტაბილურო-ბისა და დინამიკურობის ერთდროულად უზრუნველყოფისთვის საჭიროა ცვლილებები განხორციელდეს რამდენიმე წელიწადში ერთხელ და არა ყოველწლიურად ან წელიწადში რამდენიმეჯერ. არც ისაა გამორიცხული, რომ საგანგებო მდგომარეობიდან გამომ

საგადასახადო პოლიტიკის სტრატეგიული მიზნების რეა-ლიზება ხდება საგადასახადო ადმინისტრირების მექანიზმით, რო-მელიც გულისხმობს არა მხოლოდ გადასახადების შეგროვების ინსტიტუციონალურად დადგენილი წესების არსებობას და მათ იძულებით შესრულებას, არამედ საგადასახადო ურთიერთობებში ეკონომიკური ბერკეტების, ინსტრუმენტებისა და სტიმულების, ასევე ეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების მეთოდების

საგადასახადო ადმინისტრირების სისტემის მკაცრად გამო-ყენება საგადასახადო ორგანოების საქმიანობის რეალიზაციისთვის უზრუნველყოფს გადამხდელთა მიერ საგადასახადო კანონმდებ-ლობის დაცვისა და ვალდებულებების შესრულების კონტროლს. ამასთან ქვეყნის საგადასახადო სისტემის მდგრადობის მნიშვნე-ლოვანი კრიტერიუმიცაა კონტროლის განხორციელება. მისი ოპ-ტიმალური მექანიზმი კი გულისხმობს იმ ღონისძიებების გატარე-ბას, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის საგეგმო პარამეტრების შესრულებას, ისე ქვეყნის ეკონო-მიკის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფას.

საგადასახადო სისტემის ურთიერთობათა მოწესრიგების პოლიტიკის ძირითადი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ

იგი ქმნის გადასახადის გადამხდელთა და საგადასახადო ადმინისტრაციის თანამშრომელთა შორის ურთიერთობათა კომპლექსურ სისტემას, რომლის მიზანია სხვადასხვა დონის ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილის შესრულების უზრუნველყოფა, რომ დაცული იყოს ფინანსური უსაფრთხოება ქვეყნის შიგნით.

ფინანსური უსაფრთხოების მდგრადობისთვის სახელმწიფოს პოლიტიკა საგადასახადო ადმინისტრირების სფეროში უნდა იყოს მოქნილი და პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ცვლილებებზე მორგებული. მას გარკვეულწილად სოციალური დანიშნულებაც გააჩნია, ვინაიდან ამ სისტემის მოდუნება განაპირობებს ბიუჯეტის შემოსავლების შემცირებას, საგადასახადო სამართალდარღვევათა რაოდენობის ზრდას, რაც, თავის მხრივ, საფრთხეს შეუქმნის სახელმწიფოს სოციალური ვალდებულებების შესრულებას.

საგადასახადო სისტემის ეფექტიანობის ამაღლებას დიდი მნიშვნელობა გააჩნია, რომელსაც თავისი აპრიორი პირობებიც სჭირდება. მათ განეკუთვნება: საგადასახადო ორგანოთა ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფა; საგადასახადო კონტროლის პროცესში ახალი ტექნოლოგიების გამოყენება; საგადასახადო ორგანოებსა და გადამხდელებს შორის ცივილიზებული ურთიერთობების დამყარება; თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება და მათი საქმიანობის პროფესიული სტანდარტების დამკვიდრება.

საგადასახადო ადმინისტრირების სისტემის ძირითადი ამოცანების შესრულებისთვის აუცილებელია ჯერ ერთი, ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება, რომელიც მოიცავს საბუღალტრო, საგადასახადო და სტატისტიკური ანგარიშგებების სხვადასხვაგვარ ფორმებს და მისი ანალიზის საფუძველზე განისაზღვრება საგადასახადო შემოსავლების ოდენობა გადასახადების სახეების, ბიუჯეტებისა და გადამხდელების მიხედვით, ასევე საგადასახადო კონტროლის ეფექტურობა ჩატარებული გასვლითი თუ კამერალური შემოწმებებისა და სხვა მეთოდების მიხედვით. ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი აუცილებელია არსებული სიტუაციის შეფასების და მის საფუძველზე საგადასახადო ადმინისტრირების პროცესის სრულყოფის მიმართულებების შემუშავებისთვის. ასევე დაგეგმვა და პროგნოზირება, რომელიც საჭიროა რეგიონებისა თუ სხვადასხვა დონის ბიუჯეტების მიხედვით საგადასახადო პოტენ-

ციალის განსაზღვრისათვის, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობებს. დაგეგმვა ხელს უწყობს გადასახადების ფისკალური ფუნქციის შესრულებასა და გადამხდელთა მიერ ფულადი დანაზოგების წარმოქმნასა და მათი საქმიანობის გაფართოების დაფინანსებას.

საგადასახადო რეგულირება წარმოადგენს საგადასახადო ვალდებულებების შესრულებაში სახელმწიფოს მიერ ჩარევის საშუალებების ერთობლიობას. მოცემული ამოცანის რეალიზება ხდება ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოების მიერ საგადასახადო მექანიზმის გამოყენებით. იგი გულისხმობს საანგარიშგებო დოკუმენტების შემუშავებას, შეღავათების განსაზღვრას, საგადასახადო ვალდებულებების შეუსრულებლობაზე რეაგირებას, საგადასახადო კონტროლის განხორციელებას საგადასახადო შეღავათების მართლზომიერად გამოყენებისა და სხვა ოპერაციების კანონმდებლობის დაცვით შესრულების მდგომარეობის შესასწავლად.

ამ შემთხვევაში საგადასახადო რეგულირების მეთოდები იყოფა ორ ჯგუფად: მასტიმულირებელი და არამასტიმულირებელი ანუ შემაფერხებელი. მასტიმულირებელ მეთოდებს განეკუთვნება საშეღავათო პერიოდის განსაზღვრა, სხვადასხვა სახის შეღავათებისა და საგადასახადო კრედიტის შემოღება, საგადასახადო განაკვეთების შემცირება, გადახდის ვადის გადავადება. არამასტიმულირებელი მეთოდებია ჯარიმების განსაზღვრა, საგადასახადო განაკვეთების გაზრდა, შეღავათების გაუქმება და სხვა. გარდა ამისა, აუცილებელია საგადასახადო კონტროლის განხორციელება როგორც სახელმწიფოს ფინანსური კონტროლის ერთ-ერთი ნაირსახეობისა, რომლის რეალიზებაც ხდება საგადასახადო სფეროში. იგი აერთიანებს სხვადასხვა მეთოდებს, პროცედურებს, მოქმედებებს, საშუალებებს როგორც საკონტროლო, ისე ანალიტიკური თვალსაზრისით. საგადასახადო სისტემა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რამდენადაც სახელმწიფოს ფუნქციონირება უშუალოდაა დაკავშირებული ბიუჯეტის ფორმირებასთან. სწორედ ამიტომაც უდიდესი როლი ენიჭება სწორი ადმინისტრირების სისტემის ფორმირებას, რამდენადაც იგი მორგებული უნდა იყოს კონკრეტულ ეკონომიკურ მდგომარეო-

ბაზე და ამასთან, მისი შემდგომი განვითარების საშუალებას იძ-ლეოდეს. ამ მხრივ უმთავრესი ამოცანაა პოლიტიკა იყოს მოქნილი და აკმაყოფილებდეს ორ უმთავრეს პირობას ქვეყნის ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილის უზრუნველყოფას, რომელიც ფინანსური საფრთხეების აღმოფხვრის პრევენციულ საშუალებას წარმოადენს და სამეწარმეო აქტივობის სტიმულირებას. ყოველივე ეს დამოკი-დებულია იმაზე, თუ რა წესებსა და მეთოდებს იყენებს ხელისუფ-ლება საგადასახადო ადმინისტრირების განხორციელებისას.

დასკვნა

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აუცილებე-ლი პირობაა მატერიალური დოვლათის შექმნა და მისი განაწი-ლება. ამისთვის საჭიროა შეიქმნას შესაბამისი პირობები, სამართ-ლებრივი და ეკონომიკური ბერკეტები სახელმწიფოს მიერ ფინან-სური სართხეების ასაცილებლად, რაც შესაძლებელია ქვეყანაში შემოსავლების გადანაწილების ოპტიმალური გზების მიგნებით. ეს, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს ეკონომიკური საქმიანობის სტიმუ-ლირებას, მეორე მხრივ, კი მოსახლეობის სოციალური დაცვის გარანტიას.

ამ მეტად რთული ამოცანის გადაჭრაში მნიშვნელოვანია ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი ელემენტის საგადასახადო სისტემის როლის ამაღლება, რაც შესაძლებელია შემოსავლების მაქსიმალური მობილიზებით. შემოსავლების ზრდა განაპირობებს სახელმწიფოს პოლიტიკურ და ფინანსურ მდგრადობასა და ეკონომიკურ კეთილდღეობას. შემოსავლების მობილიზების დონე გარკვეულწილად მიუთითებს საგადასახადო ადმინისტრირების ეფექტიანობაზე. საზოგადოებაში გადამხდელების გააქტიურება ეფექტიან საგადასახადო ადმინისტრირებაზეა დამოკიდებული, რაც, თავის მხრივ, დაბეგვრის სამართლიანობის პრინციპის რეა-ლიზებას გულისხმობს.

სახელმწიფოსთვის ხელსაყრელია ფინანსური სტაბილიზაც-იისთვის კონტროლის სრულყოფილ სისტემაზე გადასვლა. ამ მიზნით საჭიროა საგადასახადო ბერკეტების გამოყენება საშუალო და მცირე მეწარმეთა საქმიანობის სტუმილირებისთვის, კანონმ-დებლობის ცოდნის დონის ამაღლება და ბიუჯეტის თანხების ხარჯვისას პრიორიტეტად საერთო სახელმწიფოებრივი სიკეთის შექმნა. ასევე მნიშვნელოვანია მსოფლიოში ადაპტირებული წესე-

ბის გადმოტანა ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით და საკანონმდებლო სტაბილურობის უზრუნველყოფა, რათა იგი არ იქცეს უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელისშემშლელ ფაქტორად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კბილაძე თ., „საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაცია საგადასახადო სისტემის სრულყოფა-ჰარმონიზაციას მოითხოვს“, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი, იანვარ-თებერვალი, 2012. თბილისი;
2. შაინიძე ე., „საგადასახადო ადმინისტრირების სისტემის ფუნქციონირების მექანიზმები განვითარებულ ქვეყნებში, ჟურნალი „ეკონომისტი“, იანვარი-თებერვალი-მარტი, 2015. თბილისი;
3. „საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულების სტრატეგია 2015-2016, განთავსებულია 11 თებერვლიდან, 2015. ელ. მის.: http://rs.ge/Default.aspx?sec–id=4845&lang=1&newsid=3315.

Murman Kvaratskhelia

TAX SYSTEM AND RELATED FINANCIAL THREATS

Summary

The tax system plays a very important role in ensuring the stability of the country's economic development. It has two main functions, which are expressed in the improvement of fiscal policy and the strengthening of its stimulating role. The fulfillment of the fiscal function is also one of the most important factors in preventing financial threats.

The fulfillment of the fiscal function is also one of the most important factors in preventing financial threats. The most stringent way to do this is to strengthen tax administration, but it always has a short-term effect. Therefore, the main thing is to give preference to the use of stimulating levers in the long term, which will significantly reduce the risk of financial threats.

The current tax system in Georgia is based on tax incentives, which do not provide a stimulating function and often act as a brake on

the principle of justice. In addition, the existing rules of administration, on the one hand, provide guaranteed budget revenues, but on the other hand, they hinder business development, which can become an obstacle to filling the budget.

The Georgian tax administration system should be realistically adjusted to the economic situation. Relying solely on strict sanctions may further increase financial risks. The research topic carefully examines the principles of its widespread use. In such conditions, it is necessary to maintain fairness, which is based on the universality of sanction rates for taxpayers of all levels.

Thus, the improvement of tax administration remains an urgent problem in terms of preventing financial threats. The result of all this is to maintain the viability of economic activity, which ultimately contributes to the formation of budget revenues. The main emphasis in the research work is on researching ways to optimize the tax system, which ultimately provides the opportunity for faster economic development. This is a real way to maximize the mobilization of taxes in the budget.

რევაზ ჯავახიშვილი

საქართველოს საგარეო ვალი და ფინანსური უსაფრთხოების პრობლემები

ანოტაცია. *სავალო ურთიერთობები, როგორც საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელოვანი ფორმა, თანამედროვე ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. ნაშრომის შესავალ ნაწილში თეორიული ასპექტით განხილულია საგარეო ვალის არსი, წარმოშობის ისტორიული წანამძღვრები, მისი ფორმები, სტრუქტურა, სოციალურ-ეკონომიკური დანიშნულება და ფუნქციები, განსაზღვრულია საგარეო ვალის სიმძიმის კრიტერიუმები და მაჩვენებლები.*

ნაშრომში სათანადო ციფრობრივი და ფაქტობრივი მასალების საფუძველზე გაანალიზებულია საქართველოს საგარეო ვალის

დინამიკა, სტრუქტურა, გეოგრაფია და მისი სიმძიმის განმსაზღვრელი კრიტერიუმები და მაჩვენებლები. მასში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული საგარეო ვალის მართვის, სრულყოფის და მისი ძირითადი მიმართულებების პრობლემების კვლევაზე, რომელთა შედეგების პრაქტიკული რეალიზაცია დიდად შეუწყობს ხელს საგარეო სესხების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებას, ქვეყნის სავალუტო რეზერვების ზრდას, საფინანსო სისტემის გაჯანსაღებასა და ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

საკვანძო სიტყვები: *საგარეო ვალი, საპროცენტო დანარიცხები, კრედიტორები, შემოსავლები, ხარჯები, ბიუჯეტის დეფიციტი, ვალის სიმძიმე, გადახდისუნარიანობა, ლიკვიდუნარიანობა, ვალის პორტფელი, ინვესტორები, საინვესტიციო პროექტები, ფინანსური უსაფრთხოება.*

შესავალი

ქვეყნებს შორის სავალო ურთიერთობები საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს, რომელშიც იგულისხმება მოცემული ქვეყნის ეკონომიკური სუბიექტების საერთო დავალიანება უცხოელი კრედიტორების წინაშე. განასხვავებენ საგარეო ვალის შემდეგ ფორმებს:

1. **სახელმწიფო საგარეო ვალი** - წარმოადგენს დროის გარკვეული მომენტისთვის სახელმწიფო სექტორის მიერ აღებულ ყველა სესხს მასზე დარიცხული საპროცენტო გადასახადებით, რომელიც მოცემული მომენტისთვის არ არის დაფარული. ზოგადად, სახელმწიფო ვალი შედგება ორი ნაწილისგან: შიდა და საგარეო ვალისგან. სახელმწიფო შიდა ვალში იგულისხმება მთავრობის მიერ ქვეყნის მოქალაქეებისგან აღებული სესხი, ხოლო საგარეო ვალში, როგორც უკვე აღინიშნა, სხვა ქვეყნების მთავრობებისა და საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციებისგან აღებული სესხი, რომელიც გაიანგარიშება ვალუტაში.

2. **კორპორაციული საგარეო ვალი** იგულისხმება კერძო ან ეროვნული საწარმოების, ფირმებისა და კომპანიების უცხოური დავალიანება.

3. **კერძო საგარეო ვალი** წარმოიქმნება მოქალაქეთა მიერ სხვა ქვეყნებში გაფორმებული კრედიტების შემთხვევაში.

მოცემული ქვეყნის საგარეო ვალის ფორმირებაზე გავლენას არ ახდენს მისდამი სხვა ქვეყნის საგარეო დავალიანება. ეს დავალიანების ორი განსხვავებული ცნებაა, რომლებსაც ერთმანეთთან არანაირი ურთიერთკავშირი არ გააჩნია. რაც შეეხება სახელმწიფო და კორპორაციულ საგარეო ვალს, მათ შორის არსებობს მჭიდრო ურთიერთკავშირი, რაც იმით გამოიხატება, რომ ყველა მსხვილი კომპანიის აქციონერს, რომელთაც წვდომა აქვთ კაპიტალის მსოფლიო ბაზართან, წარმოადგენს სახელმწიფო. ამიტომ აღნიშნული კომპანიების გაკოტრების შემთხვევაში მოცემული ქვეყნის მთავრობას ეკისრება ვალდებულება უცხოელი კრედიტორების წინაშე.

ქვეყნის საგარეო ვალის წარმოქმნისა და ზრდის გამომწვევ მიზეზთა შორის, პირველ რიგში, უნდა დასახელდეს სამთავრობო ხარჯების ზრდის გამო ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტის არსებობა, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია საომარ მოქმედებებთან, ეკონომიკურ კრიზისებთან, ეკონომიკურ შოკებსა და დაქვეითებასთან. ქვეყნის ეკონომიკური გაჯანსაღების მიზნით ამის მიზეზი შეიძლება გახდეს აგრეთვე გადასახადების განაკვეთების შემცირებაც, რაც განხორციელდა აშშ-ში გასული საუკუნის 80-იან წლებში. ამან საგრძნობლად შეამცირა პირადი საშემოსავლო გადასახადი და კომპანიების მოგების გადასახადები.

არსებობს ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტის აღმოფხვრის შემდეგი გზები: გადასახადების ზრდა; დამატებითი ფულის ნიშნების დაბეჭდვა და მიმოქცევაში გაშვება; საშინაო და საგარეო ვალის აღება. ამასთან ამა თუ იმ გზის არჩევისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი გარემოებები: გადასახადების გადიდება ამცირებს მეწარმეობის სტიმულს, იწვევს მოსახლეობის, ფირმებისა და კომპანიების უკმაყოფილებას. დამატებითი ფულის ნიშნების მიმოქცევაში გაშვება კი ზრდის ეკონომიკაზე ინფლაციურ წნეხს, ამიტომ პრობლემის გადასაჭრელად სახელმწიფოები იღებენ საშინაო და საგარეო სესხებს, რის შედეგადაც წარმოიქმნება ქვეყნის საშინაო და საგარეო ვალი. სახელმწიფო სესხების აღების გზით სავალო ურთიერთობების წარმოშობას კი წინ უძღოდა ფულადსაკრედიტო ურთიერთობების განვითარების ხანგრძლივი ისტორია, რომელიც ეფუძნებოდა ფულის, როგორც გადახდის საშუალების, ფუნქციის შესრულებას.

ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური დაძაბულობის აცილების მიზნით, სახელმწიფოები ხშირად უპირატესობას ანიჭებენ საშინაო ვალის აღებას, რამდენადაც იგი ქვეყნისთვის შედარებით ნაკლები ტვირთია. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა საშინაო სესხების რეფინანსირების, გადასახადების გადიდებისა და მიმოქცევაში დამატებითი ფულადი ნიშნების გაშვების გზით დაფაროს საკუთარი ფინანსური ვალდებულებები და თავიდან აიცილოს მოსალოდნელი არასასურველი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საშინაო ვალი არავითარ ტვირთს არ აკისრებს ქვეყნის მომავალ თაობებს, რამდენადაც იგი გამორიცხავს სავალო ტვირთის სიმძიმის ერთი თაობიდან მეორეზე გადაკისრების შესაძლებლობებს, თუმცა ეს სრულებითაც არ ამართლებს საშინაო ვალის დიდი ზომით არსებობას, რამდენადაც იგი ქვეყანას რეალურად მაინც უქმნის ბევრ არასასურველ პრობლემას.

იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო შიდა სახსრების მობილიზებით ვერ ახერხებს ქვეყნის წინაშე მდგარი მაკროეკონომიკური პრობლემების მოგვარებას, იგი იძულებულია აიღოს საგარეო სესხები. სესხის აღება ხდება როგორც საზღვარგარეთის ცალკეული სახელმწიფოებიდან, პირველ რიგში, ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყნებიდან, ისე საერთაშორისო საკრედიტო-საფინანსო ორგანიზაციებიდან.

სადღეისოდ მსოფლიო დონის მრავალმხრივი კრედიტორებია: საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, ევროპის საინვესტიციო ბანკი და სხვა, რომლებიც ახდენენ ფინანსირებას მას შემდეგ, როდესაც ქვეყანა წარადგენს ეკონომიკური და სოციალური რეფორმების განხორციელების საჭიროებისთვის დასაბუთებულ განაცხადს. გარდა აღნიშნული დაწესებულებებისა, მსოფლიოში ფუნქციონირებს არაერთი არაფორმალური საკრედიტო ორგანიზაციაც, რომელთაგან აღსანიშნავია **ბანკების ლონდონური კლუბი** და **მთავრობების პარიზული კლუბი.** მათ ჰყავთ თავიანთი მუდმივი წარმომადგენლობები, რომლებიც ახორციელებენ ბანკებისა და სხვა ქვეყნების წინაშე სახელმწიფო დავალიანების რეფინანსირებას.

საგარეო ვალი ნებისმიერი ქვეყნისთვის სასარგებლოცაა და საშიშიც. იგი დიდი როლს ასრულებს ქვეყნის მაკროეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში. მას განსაკუთრებული ადგილი უკავია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური რეფორმირების, ეკონომიკური კრიზისებისა და სხვა არასასურველი მოვლენებით გამოწვეული ეკონომიკური რყევებისა და შოკების დაძლევის პროცესში. საგარეო სესხები მათი მიზნობრივი და ეფექტიანი გამოყენების შემთხვევაში მიიჩნევა როგორც ქვეყნის მდგრადი და უსაფრთხო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი.

იმავდროულად საგარეო ვალს მისი არამიზნობრივი, არაეფექტიანი გამოყენებისა და არარაციონალური მართვის შედეგად, შეუძლია სერიოზული ზიანის მოტანაც, რამდენადაც იგი ქვეყნის ეკონომიკისთვის წარმოადგენს სერიოზულ დატვირთვას.

საგარეო ურთიერთობების კვლევის პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნება ვალის სიმძიმის განსაზღვრას. ვალის სიმძიმე, პირველ ყოვლისა, დამოკიდებულია მის შემადგენლობაზე, სტრუქტურაზე, ანუ იმაზე, თუ როგორია მთლიან ვალში საგარეო და საშინაო ვალის თანაფარდობა. ამ დროს პირველ რიგში ყურადსაღებია ის გარემოება, რომ მათი მომსახურების საპროცენტო დანარიცხები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავებულია და, მეორეც, საგარეო ვალის აღება და გასტუმრება ხდება მხოლოდ და მხოლოდ უცხოურ ვალუტაში.

საგარეო ვალის სიმძიმე დამოკიდებულია არა მხოლოდ მისი აბსოლუტური მოცულობის მაჩვენებელზე, არამედ საგარეო ვალისა და ქვეყნის რეალური ეკონომიკური ზრდის /მშპ-ის/ თანაფარდობაზე. როცა მშპ-ის ზრდა წინ უსწრებს საგარეო ვალის ზრდას, მაშინ ამ უკანასკნელის სიმძიმე შედარებით მცირეა და, პირიქით. საგარეო ვალის სიმძიმის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორია მისი მომსახურების საპროცენტო დანარიცხების სიდიდე. საგარეო ვალის სიმძიმე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული, აგრეთვე, მის მიზნობრივ და ეფექტიან გამოყენებასა და დროულ გასტუმრებაზე.

საგარეო დავალიანების ანალიზის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მისი შეფასების კრიტერიუმების სწორ განსაზღვრასა და გამოყენებას, რომელთა შორის ყველაზე მნიშვ-

ნელოვანია ქვეყნის **გადახდისუნარიანობა** და **ლიკვიდუნარიანობა,** რომლებიც ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული კატეგორიებია.

ქვეყნის **გადახდისუნარიანობა** გულისხმობს მის უნარსა და შესაძლებლობას, აღებული ვალის მიზნობრივი და ეფექტიანი გამოყენებით უზრუნველყოს ეკონომიკის სწრაფი და მდგრადი განვითარება და აღებული სესხის დროული გადახდა. ეკონომიკური ზრდა თავის ასახვას პოულობს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მაჩვენებელში, რომელიც იძლევა ყველაზე სრულყოფილ სურათს ქვეყნის რეალური ეკონომიკური ზრდისა და საგარეო ვალის დროული გადახდის გარანტიის შესახებ. **ლიკვიდუნარიანობაში** კი იგულისხმება, ვალის დაფარვის დადგენილი პერიოდის შემდეგ ფულადი სახსრების საკმარისი რაოდენობის დაგროვება, რომელიც საჭიროა მიმდინარე სავალო ვალდებულებების გასტუმრებისთვის.

განსხვავება არსებობს აღნიშნული კატეგორიების მიზნებსა და დროშიც. გადახდისუნარიანობის მიზანია ეკონომიკის რეალური ზრდის მაღალი ტემპის მიღწევა, რომელიც მოითხოვს დროის უფრო ხანგრძლივ პერიოდს, ლიკვიდუნარიანობისა კი მოცემული მომენტისთვის საგარეო ვალის მიმდინარე გადასახდელებსა და ლიკვიდური სახსრების სიდიდეებს შორის რაციონალური თანაფარდობის დამყარებას [8].

გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში ქვეყნებს შორის სავალო ურთიერთობების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების სიღრმისეული დაუფლება, საგარეო ვალის სიმძიმის შეფასების კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების სწორი განსაზღვრა და გამოყენება დიდად შეუწყობს ხელს ნებისმიერ ქვეყანას საგარეო სესხების მოზიდვის, მათი მიზნობრივი, ეფექტიანი გამოყენებისა და სწორი მართვის გზით, ქვეყნის საფინანსო სისტემის გაჯანსაღების, მდგრადი და უსაფრთხო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიღწევაში.

* * *

დამოუკიდებლობის მოპოვების საწყის ეტაპზე საქართველოს საგარეო ვალი არ ჰქონდა, იგი მას მემკვიდრეობით არ მიუღია. ჩვენი ქვეყანა შედიოდა რა ერთიანი მონსტრი სახელმწიფო წარმონაქმნის საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, მისი დაშლის

შემდეგ მთელი სახელმწიფო საგარეო ვალის გადახდა იკისრა რუსეთის ფედერაციამ.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ეკონომიკური კავშირების მოშლამ განაპირობა ქვეყნის ეკონომიკის სწრაფი ვარდნა და მისი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მკვეთრი გაუარესება. სახელმწიფო ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტისა და საგადამხდელო ბალანსის უარყოფითი სალდოს სისტემატური ზრდის დასაფინანსებლად საქართველოს მთავრობამ, ქვეყნის შიდა სახსრების მობილიზებასთან ერთად, დაიწყო საგარეო სესხების გამოყენებაც. საწყის ეტაპზე საქართველოს ამ ვალების გასტუმრების შესაძლებლობა არ ჰქონდა. ამას ემატებოდა საგარეო ვალის მომსახურების საპროცენტო დანარიცხებიც, რის გამოც ქვეყნის საგარეო ვალი სწრაფად იზრდებოდა. ეს მაჩვენებელი შემდგომშიაც იზრდებოდა, რაც განპირობებული იყო, ჯერ ერთი, რუსეთ-საქართველოს ომისა და, მეორეც, პანდემიის ფონზე შექმნილ პრობლემებთან დაკავშირებული სიძნელეების დაძლევით. ყოველივე ამის შედეგად საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი მნიშვნელოვნად გაიზარდა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 24,2 მლრდ აშშ დოლარი (65,0 მლრდ ლარი), ანუ ქვეყნის მშპ-ის 79,2% შეადგინა [13].

როგორია სადღეისოდ საქართველოს საგარეო ვალის სტრუქტურა? ქვეყნის მთლიან საგარეო ვალში სახელმწიფო საგარეო ვალმა 11,2 მლრდ აშშ დოლარი /30,2 მლრდ ლარი/, ანუ მშპ-ის 36,7 პროცენტი შეადგინა. აქედან სამთავრობო სექტორის ვალია 8,7 მლრდ აშშ დოლარი (23,3 მლრდ ლარი), ანუ მშპ-ს 28,4%; ეროვნული ბანკის ვალდებულებები 874,1 მლნ აშშ დოლარი (2,4 მლრდ ლარი), ანუ მშპ-ის 2,9%, ხოლო სახელმწიფო საწარმოების ობლიგაციები და სესხები, შესაბამისად, 462,4 მლნ აშშ დოლარი (1,2 მლრდ ლარი), მშპ-ის 1,5% და 1,2 მლრდ აშშ დოლარი /3,3 მლრდ ლარი/, მშპ-ის 4%.

საბანკო სექტორის საგარეო ვალმა შეადგინა 7,3 მლრდ აშშ დოლარი (19,5 მლრდ ლარი), მშპ-ის 23,8%; სხვა სექტორების საგარეო ვალმა 4,6 მლრდ აშშ დოლარი (12,5 მლრდ ლარი), მშპ-ის 15,2% და კომპანიათაშორისო ვალმა 2,7 მლრდ აშშ დოლარი (7,3 მლრდ ლარი), მშპ-ის 8,9%. მთლიანი საგარეო ვალის 88,5% დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში [13].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული ეროვნული ბანკის ვალდებულებებიდან (874,1 მლნ აშშ დოლარი) 466,9 მლნ აშშ დოლარი არის განაწილებული ნასესხობის სპეციალური უფლება (ნსუ) სავალუტო ფონდის მიერ შექმნილი საერთაშორისო აქტივი, რომელიც ნაწილდება სავალუტო ფონდის წევრ ქვეყნებზე მათი კვოტის პროპორციულად, რომელსაც არ აქვს დაფარვის ვადა და პრაქტიკულად მისი გადახდის ვალდებულება არ დადგება მანამ, სანამ ქვეყანა იქნება საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი.

როგორც მონაცემებიდან ჩანს, ქვეყნის საგარეო ვალის მნიშვნელოვან ნაწილს (46,3%) მისი სახელმწიფო საგარეო ვალი წარმოადგენს. ამასთან, ამ ვალის მნიშვნელობა მისი მხოლოდ აბსოლუტური მნიშვნელობით როდი განისაზღვრება. იგი არის სასესხო კაპიტალის ის ნაწილი, რომელსაც თვითონ სახელმწიფო იღებს უცხოელი კრედიტორებისგან და რომლის მიზნობრივი და ეფექტიანი გამოყენება უშუალო ზემოქმედებას ახდენს ქვეყნის ბიუჯეტის დაბალანსებასა და დადებითი საგადამხდელო ბალანსის შენარჩუნებაზე. ამჟამად ქვეყნის სახელმწიფო საგარეო ვალის რაოდენობაზე ცალკეული კრედიტორების მიხედვით, ნათელ წარმოდგენას გვაძლევს 1-ელი ცხრილის მონაცემები.

ცხრილი 1

საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით [12]

კრედიტორი	**კრედიტის ვალუტა**	**ვალის ნაშთი /ათასი/**		
		კრედიტის ვალუტაში	**აშშ დოლარში**	**ლარში**
სახელმწიფო საგარეო ვალი			8.907.770	23.956.573
მთავრობის საგარეო ვალი			8.505.946	22.875.891
მრავალმხრივი კრედიტორები:			**6.393.178**	**17.193.813**
აზიის განვითარების ბანკი /ADB/	USD	419.218	419.218	1.127.444
	SDR	320.605	430.146	1.156.834
	EUR	1294.477	1438.088	3851.457
აზიის ინფრასტრუქტუ	USD	65.460	65.460	176.047
	EUR	132.116	146.161	343.085

რის საინვესტიციო ბანკი /AIIB/				
ევროსაბჭოს განვითარების ბანკი /CEB/	EUR	14.000	15.488	47.654
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი /EBRD/	EUR	214.984	237.858	639.641
ევროპის საინვესტიციო ბანკი /EIB/	EUR	1.034.061	1.143.988	3.076.641
ევროკავშირი /EU/	EUR	133.000	147.139	395.715
მსოფლიო ბანკი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი /IBRD/	USD	925.375	925.375	2.488.703
	EUR	542.167	599.803	8.613.109
მსოფლიო ბანკი, განვითარების საერთაშორისო ასოციაცია /IDA/	SDR	442.500	593.689	1.596.668
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი /IFAD/	SDR	19.470	26.123	70.255
	EUR	10.229	11.317	30.435
საერთაშორისო სავალუტო ფონდი /IMF/	SDR	147.000	197.225	530.418
სკანდინავიური გარემოს დაცვის საფინანსო კორპორაცია /NEFCO/	EUR	1.918	2.122	5.706

ორმხრივი კრედიტორები:			**1.612.768**	**4.337.379**
სომხეთი	USD	1.967	1.967	5.290
აზერბაიჯანი	USD	2.230	2.230	5.997
ავსტრია	EUR	11.639	12.876	34.629
საფრანგეთი	EUR	710.053	785.536	2.112.621
გერმანია	EUR	567.230	627.530	1.687.679
ირანი	USD	1.626	1.626	4.374
იაპონია	JPY	9.645.623	138.660	372.913
ყაზახეთი	USD	2.425	2.425	6.523
ქუვეითი	RWD	3.535	11.499	30.925
ნიდერლანდების სამეფო	EUR	46	51	136
რუსეთი	USD	15.241	15.241	40.990
თურქეთი	USD	4.342	4.342	11.677
თურქმენეთი	USD	211	211	568
ამერიკის შეერთებული შტატები	USD	8.573	8.573	23.056
ფასიანი ქაღალდები			**500.000**	**1.344.700**
ევრობონდი	USD	500.000	500.000	1.344.700
საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო ვალი			**401.830**	**1.080.082**
Aსაერთაშორისო სავალუტო ფონდი /IMF/	SDR	299.500	401.830	1.080.682

მონაცემებით დასტურდება, რომ სადღეისოდ ჩვენი ქვეყნის ძირითადი კრედიტორები არიან საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციები (მრავალმხრივი კრედიტორები), რომელთა წილი საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალში შეადგენს 71,8%-ს. აქედან ყველაზე მსხვილი კრედიტორები არიან აზიის განვითარების ბანკი 25,6%, მსოფლიო ბანკი 23,8% და ევროპის

საინვესტიციო ბანკი 12,8%. კრედიტორი ქვეყნების (ორმხრივი კრედიტორები) ხვედრითი წილი კი ქვეყნის მთლიან სახელმწიფო საგარეო ვალში უდრის 18,1%-ს. მათგან, ყველაზე მსხვილი კრედიტორი ქვეყნებია: საფრანგეთი 785,5 მლნ აშშ დოლარი, გერმანია 627,5 მლნ აშშ დოლარი და იაპონია 138,7 მლნ აშშ დოლარი, რომელთა ერთობლივი წილი ქვეყნის მთლიან სახელმწიფო საგარეო ვალში შეადგენს მხოლოდ 1,8%-ს და ორმხრივი კრედიტორების ველში კი 96,2%-ს.

საგარეო ვალის სიმძიმის განმსაზღვრელ მაჩვენებელთა შორის მთავარია არა მისი აბსოლუტური მოცულობის მაჩვენებელი, არამედ ის თუ როგორია მისი და ქვეყნის რეალური ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელთა თანაფარდობა. სწორედ იგი იძლევა პასუხს კითხვაზე, თუ რატომ არის, რომ საგარეო ვალის ზრდა ზოგ ქვეყანაში იწვევს განვითარებას, ზოგში კი ფინანსური მდგომარეობის დამძიმებასა და დეფოლტის /გაკოტრების/ საშიშროებას. სულ ცოტა ხნის წინათ მსოფლიოს ფინანსურ სამყაროში სწრაფად გავრცელდა ამბავი, რომ პირველად ბოლო ასი წლის განმავლობაში აშშ-ში სახელმწიფო ვალმა გადააჭარბა 19,5 ტრლნ, ხოლო ესპანეთში 1,1 ტრლნ აშშ დოლარს, რამაც შეადგინა მშპ-ის 100%-ზე მეტი [15]. თუმცა აღნიშნულ ქვეყნებში ამ ამბავს დიდი პანიკა არ მოჰყოლია, რამდენადაც მათთან სიტუაცია „კონტროლს ექვემდებარება“ და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები გარანტიას იძლევა, რომ ასეთი მდგომარეობა უახლოეს პერიოდში გამოსწორდება.

მეორე მხრივ, არის ქვეყნები, სადაც ფორმალური ზრდის მაჩვენებლები უკეთესია, მაგრამ ფაქტობრივად ისინი იმყოფებიან დეფოლტის ზღვარზე. ამის საუკეთესო მაგალითია ვენესუელა, სადაც საგარეო ვალი მშპ-ის 40%, ხოლო არგენტინაში 50%-ია. უკეთესი მდგომარეობა არც რუსეთშია (16%). ასეთი მდგომარეობა სხვადასხვა ფაქტორებითაა განპირობებული. აქ ეკონომიკის რეალურ ზრდასთან ერთად მთავარია არა მხოლოდ აბსოლუტური და მშპ-თან მისი ფარდობის მაჩვენებელი, არამედ ვალის მომსახურების ღირებულებაც. აშშ-ში და დიდ ბრიტანეთში ვალის მომსახურების განაკვეთი ძალზე დაბალია და არ აღემატება 0,25-0,5%-ს, რაც შეადგენს მშპ-ის მხოლოდ 1,2%-ს. სხვა ქვეყნებში კი იგი გაცილებით მაღალია, რის გამოც ვალის მომსახურება უფრო ძვირი ჯდება. ამას ემატება ისიც, რომ ბევრ მათგანს სანქციების გამო

აღარ აქვთ წვდომა კაპიტალის საერთაშორისო ბაზართან, რაც საგრძნობლად აუარესებს მათ მდგომარეობას [15].

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს ქვეყანაში?

საქართველოს რეალური ეკონომიკური ზრდა, სახელმწიფოს მთლიანი და საგარეო ვალის დინამიკა /%-ად მშპ-თან/ 2010-2023 წწ. ნაჩვენებია 1-ელ დიაგრამაზე.

დიაგრამა 1

საქართველოს რეალური ეკონომიკური ზრდა (მშპ), სახელმწიფოს მთლიანი და საგარეო ვალის დინამიკა (%-ად მშპ-თან) 2010 2023 წწ.

[12]



დიაგრამიდან ჩანს, რომ მოცემულ პერიოდში როგორც ქვეყნის რეალური ეკონომიკური, ისე მშპ-თან მიმართებით სახელმწიფოს მთლიანი და საგარეო ვალის პროცენტული თანაფარდობის მაჩვენებლები ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ამასთან, დროის ცალკეული პერიოდების მიხედვით იგი განსხვავებულია. 2010-2019 წწ. მთლიანი სახელმწიფო ვალი მშპ-თან მიმართებით 31,9%-დან 40,4%-მდეა, ხოლო საგარეო ვალმა კი 26,7%-დან 32%-მდე მოიმატა, რაც ძირითადად განპირობებული იყო ეკონომიკური ზრდის ტემპის (6,2%-დან-2,9%-მდე) შენელებით. შემდგომში პანდემიის ფონზე ეს მაჩვენებლები საგრძნობლად გაუარესდა და 2020 წელს მთლიანი ვალის მაჩვენებელი 60,2%-მდე, ხოლო საგარეო ვალისა კი 47,6%-მდე გაიზარდა. მომდევნო წლებში კი ეკონომიკური ზრდის კვალობაზე ვალის მაჩვენებლები უმჯობესდება და 2023 წელს მშპ-თან მიმართებით სახელმწიფოს მთლიანმა და საგარეო ვალმა შესაბამისად 38,2% და 27,5% შეადგინა.

ქვეყნის საგარეო ვალის სიმძიმის შეფასებისას, გარდა რეალური ეკონომიკური ზრდისა, ფართოდ გამოიყენება ქვეყნის ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების, აგრეთვე, საგარეო ვაჭრობის ექსპორტ-იმპორტის ზრდისა და მათი თანაფარდობის მაჩვენებლები, რომლებიც ნაჩვენებია მე-2 ცხრილში.

ცხრილი 2

საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის შეფასების ძირითად მაჩვენებელთა დინამიკა 2010-2023 წწ /მლნ აშშ დოლ./ [11;12]

მაჩვენებლები	**2010**	**2015**	**2019**	**2020**	**2021**	**2022**	**2023**
მშპ	12.259	14.949	17.471	15.841	19.356	26.765	29.498
საგარეო ვალი	3.284	4.315	5.741	7.539	8.205	8.346	8.908
საგარეო ვალი %-ად მშ-თან	26,8	28,9	32,9	47,6	42,6	31,2	30,2
ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები	3.290	5.027	4.579	3.989	4.885	7.177	8.005
ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები	2.730	2.967	4.050	3.525	4.316	6.439	6.632

საგარეო ვალი %-ად ბიუჯეტის შემოსავლებთან	99,8	85,8	125,4	189,0	168,1	116,3	112,8
საგარეო ვალი %-ად ბიუჯეტის ხარჯებთან	120,3	145,4	141,7	213,9	190,1	129,6	134,3
საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვა	6 934,6	9 504,3	13 315,4	11 347,7	14 342,5	19 042,9	21 529,0
მათ შორის: ექსპორტი %	1 677,5 24,2	2 204,2 23,2	3 798,4 28,5	3 342,1 29,4	4 242,7 29,6	5 592,8 29,4	6 090,6 28,3
იმპორტი %	5 251,1 75,8	7 300,1 76,8	9 316,9 71,5	8 065,6 70,0	10 099,8 70,4	13 450,1 70,6	15 438,5 71,7
იმპორტის ექსპორტით გადაფარვის %	31,9	30,2	39,9	41,7	40,8	41,3	39,5
საგარეო ვალი %-ად ექსპორტთან	195,7	195,8	151,1	225,6	193,4	149,2	146,3

მონაცემებიდან კარგად ჩანს, რომ საქართველოს აქვს ქრონიკული დეფიციტური ბიუჯეტი, რის გამოც საგარეო ვალის თანაფარდობა ბიუჯეტის როგორც შემოსავლებთან, ისე მის ხარჯებთან მიმართებით, ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ეს კი საბოლოო ჯამში აისახება საგარეო ვალის მომსახურების თანხისა და ბიუჯეტის ხარჯებში მისი წილის ზრდით.

ნეგატიურ ხასიათს ატარებს, აგრეთვე, ქვეყნის საგარეო ვალისა და საგარეო ვაჭრობის მაჩვენებელთა შორის დამოკიდებულებაც. საქმე იმაშია, რომ ქვეყნის საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვის ზრდა ძირითადად იმპორტის ხარჯზე ხორციელდება, რის გამოც სადღეისოდ მისი წილი მთლიან ბრუნვაში 71%-ს აღემატება, ხოლო ექსპორტისა კი მხოლოდ 28,3%-ს შეადგენს. ქვეყანაში ძალზე დაბალია ექსპორტით იმპორტის გადაფარვის კოეფიციენტი,

რომელიც სადღეისოდ მხოლოდ 39,5%-ია. ამასთან, ძალზე მაღალია ექსპორტთან საგარეო ვალის ფარდობის მაჩვენებელი, რომელიც ამჟამად 146%-ს აღემატება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული კი ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს ქვეყნის სავალუტო რეზერვების დაგროვებაზე, დადებითი საგადამხდელო ბალანსის შენარჩუნებაზე, საფინანსო სისტემის გაჯანსაღებასა და მისი ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე.

როცა ვლაპარაკობთ საგარეო სესხების მოზიდვაზე, მათ ეფექტიან გამოყენებასა და ამ გზით ქვეყნის ფინანსური უსაფრთხოების მიღწევაზე, არ უნდა დაგვავიწყდეს ის გარემოება, რომ მსოფლიო ბანკის კლასიფიკაციით საქართველო შედის საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყანათა ჯგუფში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანას შეღავათიან დაფინანსებაზე წვდომა ექნება მხოლოდ საშუალოვადიან პერიოდში, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში კი ეკონომიკურ ზრდასთან ერთად იგი თანდათან შემცირდება. ისიც აღსანიშნავია, რომ საგარეო სესხებზე საპროცენტო განაკვეთები მნიშვნელოვნად იზრდება და იგი საშუალოვადიან პერიოდშიც შენარჩუნდება, რის გამოც მომავალში საგარეო დაფინანსების ჩანაცვლება ეტაპობრივად უნდა მოხდეს ადგილობრივი რესურსების ხარჯზე.

სადღეისოდ საქართველოს მთავრობის ვალის პორტფელი შემდეგი მონაცემებით ხასიათდება: 2023 წლის ბოლოს მთლიანი ვალის პორტფელში საგარეო ვალის წილი უდრიდა 72%-ს, ხოლო საშინაო ვალისა 28%-ს. საგარეო ვალის დონორული დაფინანსება იყო 93%, ევრობონდი 6%, ხოლო ისტორიული ვალი 1%. საშინაო ვალის პორტფელში სახაზინო ვალდებულებების წილი იყო 93%, სახაზინო ობლიგაციების 3% და სახელმწიფო ობლიგაციების 4% [12].

საგარეო ვალის პორტფელის სავალუტო კომპოზიცია კი შემდეგი მონაცემებით ხასიათდება: ვალის 65,1% დენომინირებულია ევროში, 29% აშშ დოლარში, ხოლო დანარჩენი კი სხვა ქვეყნების ვალუტაში. აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში ევროში დენომინირებული ვალის წილი იზრდება. 2017-23 წწ-ში იგი 33,7%-დან 65,1%-მდე გაიზარდა, ხოლო აშშ დოლარის კი 51%-დან 29%-მდე შემცირდა. რაც შეეხება საგარეო ვალის პორტფელის

კომპოზიციას პროცენტის ტიპის მიხედვით, ვალის 50,2% მოდის ფიქსირებულ განაკვეთზე, ხოლო დაახლოებით ამდენივე 49,8% ცვლად განაკვეთზე. საერთოდ კი საგარეო ვალში ფიქსირებული განაკვეთის წილი მცირდება, 2015-23 წწ იგი 71,1%-დან 50,2%-მდე შემცირდა, ხოლო ცვლადი განაკვეთისა კი 28,9%-დან 49,8%-მდე გაიზარდა [12]. რა თქმა უნდა, საგარეო ვალის პორტფელში მიმდინარე ცვლილებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სავალუტო ტვირთის სიმძიმეზე, ქვეყნის საფინანსო სისტემის გაჯანსაღებასა და მის ფინანსურ უსაფრთხოებაზე.

2021-22 წლებში საქართველოს ეკონომიკურმა ზრდამ ორნიშნა ციფრს გადააჭარბა, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ქვეყნის სხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლებიც. კერძოდ, ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი პანდემიის 9,3%-დან 2022 წლის ბოლოს 3%-მდე შემცირდა, ხოლო სამთავრობო ვალი კი პანდემიამდელ ნიშნულს, 40,4%-ს ჩამოსცდა. ვალის დონის ასეთი შემცირება ძირითადად მაღალმა ეკონომიკურმა ზრდამ და გაცვლითი კურსის პოზიტიურმა დინამიკამ განაპირობა. ამასთან კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება დოლარიზაციის მაღალი მაჩვენებელი, რაც საგარეო ვალს მნიშვნელოვნად მოწყვლადს ხდის სავალუტო კურსის მერყეობის მიმართ, ამიტომ საშუალოვადიანი პერიოდის მთავარ ამოცანად ვალის პორტფელის შემდგომი გაჯანსაღება და სავალუტო რისკების შემცირება რჩება.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ სავალუტო ურთიერთობებთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა პირდაპირ კავშირშია მისი მართვის გაუმჯობესებასა და სრულყოფასთან. საგარეო ვალის მართვას ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მთავრობის საგარეო ვალის მართვის სტრატეგიის საფუძველზე, რომელიც მოიცავს შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

1. ვალის მშპ-თან ფარდობის უსაფრთხო დონეზე შენარჩუნება;
2. ვალის პორტფელში ლარში დენომინირებული ვალის წილის ზრდა;
3. საგარეო სესხების განვითარებაზე ორიენტირებულობის ზრდა;
4. ვალის პორტფელის ხარჯისა და რისკის ოპტიმიზაცია;

5. სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება [12].

1. <u>ვალის მშპ-თან ფარდობის უსაფრთხო დონეზე შენარჩუნება.</u> საქართველო ისტორიულად დაბალი ვალის მაჩვენებლის მქონე ქვეყანას წარმოადგენს, მაგრამ კოვიდ-პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური შოკისა და ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების სფეროში გაზრდილი დანახარჯების გამო მთავრობის ვალის მშპ-თან ფარდობა 2020 წელს გასცდა კანონმდებლობით განსაზღვრულ 60-პროცენტიან მაჩვენებელს. აქედან გამომდინარე, ვალის მართვის მთავარი მიზანი გახდა მისი მაჩვენებლის კრიზისამდელ დონეზე დაბრუნება.

2021 წელს, ტურიზმის კრიზისამდელი დონის აღდგენისა და ეკონომიკის გაჯანსაღების შედეგად, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლები. შესაბამისად, 2020-23 წწ. მთავრობის მთლიანი ვალის მშპ-თან ფარდობის მაჩვენებელი 60,2%-დან 38,2%-მდე შემცირდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2023-27 წწ. მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიის მიზნობრივ მაჩვენებლად განსაზღვრულია ვალის მშპ-თან ფარდობის მაჩვენებლის 40%-ის ფარგლებში შენარჩუნება [12].

2. <u>მთავრობის ვალის პორტფელში ლარში დენომინირებული ვალის წილის ზრდა.</u> საქართველოს მთავრობის ვალში უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალის წილი ისტორიულად მაღალია. 2021 წლის ბოლოს მან 80,4% შეადგინა. მიუხედავად ბოლო წლებში მისი შემცირებისა, ამჟამად იგი ჯერ კიდევ საკმაოდ მაღალია (72,1%) და მნიშვნელოვნად აღემატება რეგიონისა და სხვა შესადარისი ქვეყნის ანალოგიურ მაჩვენებელს.

როგორც უკვე აღინიშნა, ქვეყნის კრედიტუნარიანობის ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორი - საგარეო ვალის მშპ-თან ფარდობის მაჩვენებელი, განვითარებული ქვეყნების უმრავლესობას საკმაოდ მაღალი აქვს, თუმცა ვალის პორტფელის დიდი ნაწილის ადგილობრივ ვალუტაში დენომინირების გამო ეს მდგომარეობა მათთვის საგანგაშოს არ წარმოადგენს. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობის ვალის პორტფელში უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალის მაღალი მაჩვენებელი უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის სუვერენულ რეიტინგზე და მნიშვნელოვნად აფერ-

ხებს მისი საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესების შესაძლებლობასა და ვალის მართვის პოლიტიკის ეფექტიანობას.

3. <u>საგარეო სესხების განვითარებაზე ორიენტირებულობის ზრდა.</u> საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციებისა და ცალკეული ქვეყნებისგან საქართველო იღებს ორი სახის სესხს: პირველი, საინვესტიციო პროექტებზე მიბმული სესხები და მეორე პროგრამული, ანუ რეფორმების დასაფინანსებლად აღებული საბიუჯეტო სახსრები. აღნიშნული მიმართულებით ვალის მართვის სტრატეგიული მიზანია მხოლოდ მაღალი ეფექტიანობის მქონე სესხებზე აქცენტირება. აღნიშნული სტრატეგიული მიზნის მისაღწევად სესხის აღება უნდა განხორციელდეს შემდეგი პრინციპების დაცვით:

• <u>საინვესტიციო სესხის აღება უნდა მოხდეს მხოლოდ დიდი და კომპლექსური პროექტებისთვის</u>, რომელთა შესასრულებლად საჭიროა პარტნიორების მხარდაჭერა და სათანადო ექსპერტიზა. ამასთან მთავრობამ არ უნდა გააკეთოს განაცხადი საინვესტიციო სესხზე იმ პროექტებისთვის, რომელთა განხორციელებაც შესაძლოა ქვეყნის ბიუჯეტის რესურსებით.

• <u>საინვესტიციო სესხის ფარგლებში ყოველი პროექტისთვის უნდა არსებობდეს მისი ეფექტიანობის დადებითი შეფასება.</u> სესხის აღების განაცხადი უნდა გაკეთდეს მხოლოდ იმ პროექტებზე, რომელთაც გავლილი აქვთ წინასწარი შეფასების ეტაპი და მიღებული აქვთ დადებითი გადაწყვეტილება. ამასთან, სესხის ამღებ სამინისტროს ან მუნიციპალიტეტს დანერგილი უნდა ჰქონდეს თავის უწყებაში სახელმწიფო ინვესტიციების მართვის სისტემა.

• <u>სახელმწიფო საწარმოებზე გადასესხება შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს საწარმო გამოხატავს სახელმწიფო საწარმოების მიმდინარე რეფორმისადმი სათანადო მზაობას.</u> აქ იგულისხმება მთავრობის მიერ დამტკიცებული სტანდარტის შესაბამისი კორპორაციული მმართველობის დანერგვა და სსფ-თან შეთანხმებული და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული სტანდარტის მიხედვით სახელმწიფო საწარმოს რეფორმის განსახორციელებლად მზაობა.

• <u>სრულად კორპორატიზებულ საწარმოებზე მთავრობამ უნდა შეწყვიტოს გადასესხების პრაქტიკა.</u> ამით იგი წაახალისებს

კომპანიებს გავიდნენ კერძო კაპიტალის ბაზარზე და თვითონ მოპოვებული რესურსებით განახორციელონ კომპანიაში ინვესტიციები, რაც, თავის მხრივ, გაზრდის ინვესტიციებს ქვეყნის ეკონომიკაში.

4. <u>**მთავრობის ვალის პორტფელის ხარჯისა და რისკის ოპტიმიზაცია.**</u> ეს მიმართულება მოიცავს მთლიანი ვალის პორტფელისთვის რეფინანსირების რისკის მართვის პრობლემებსა და საგარეო სესხის აღების დროს გასათვალისწინებელ ფაქტორებს. რეფინანსირების საშუალოვადიან პერიოდში რისკის სამართავად მნიშვნელოვანია, რომ:

- მთავრობის მთლიანი ვალის პორტფელის საშუალო შეწონილი ვადიანობა არ ჩამოცდეს 5,5 წელს, ხოლო საშინაო ვალის 3 წელს;
- ერთ წელიწადში დასაფარი ვალის წილი არ აღემატებოდეს მთლიანი ვალის პორტფელის 15,0 %-ს [12].

საგარეო სესხების შერჩევისას ეს მიმართულება გულისხმობს სესხზე გასაწევი ხარჯებისა და მასთან დაკავშირებული რისკების ოპტიმიზაციას, რა დროსაც მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგს:

- <u>გრანტის კომპონენტი.</u> იგი განსაზღვრავს პარტნიორებისგან შეღავათიანი პირობებით მიღებულ სესხსა და საბაზრო პირობებით ალტერნატიულ სესხზე მომსახურების ღირებულებებს შორის სხვაობას. რაც უფრო მაღალია გრანტი, მით უფრო შეღავათიანია სესხი.
- <u>სესხის ვალუტა.</u> ევროკავშირთან ეკონომიკური და პოლიტიკური დაახლოებიდან გამომდინარე, ევროში სესხების წილის გადიდება სულ უფრო მეტად შეამცირებს გაცვლითი კურსის რისკს. ამასთან ოპტიმალური სავალუტო კომპოზიციის განსაზღვრის მიზნით, სამომავლოდ სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს სხვა ვალუტებშიც სესხის პორტფელის დივერსიფიცირებას.
- <u>საპროცენტო განაკვეთის ტიპი.</u> ფიქსირებული თუ ცვლადი საპროცენტო განაკვეთის შერჩევას საფუძვლად უნდა დაედოს სესხის მომსახურების ხარჯისა და რეფინანსირების რისკის ოპტიმალურობა. ამ დროს მნიშვნელოვანია, რომ საგარეო ვალის პორტ-

ფელში ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ვალის წილი არ იყოს 50%-ზე ნაკლები [12].

5. <u>სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება</u> წარმოადგენს კაპიტალის ბაზრის ფუნდამენტს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინვესტორთა მოზიდვასა და ვალის პორტფელის ლარიზაციის ზრდაში. აღნიშნული მიმართულებით ვალის მართვის სტრატეგიული მიზნებია ბაზრის ლიკვიდობის გადიდება და ინვესტორთა მოზიდვის არეალის გაფართოება, რისთვისაც საჭიროა: ფასიანი ქაღალდების გამოშვების ზრდა, ძლიერი ბენჩმარკების შექმნა, ვალდებულებების მართვის ოპერაციების აქტიური გამოყენება, მეორეული ბაზრის განვითარება, არარეზიდენტი ინვესტორების ზრდა და საცალო ფასიანი ქაღალდების ბაზრის შექმნა-განვითარება.

დაბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ საგარეო ვალის მართვის განხილული მიმართულებების პრაქტიკულ ცხოვრებაში წარმატებული რეალიზაცია დიდად შეუწყობს ხელს საგარეო სესხების მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებასა და მისი ეფექტიანობის ამაღლებას, რაც საბოლოო ჯამში პოზიტიურ ზემოქმედებას მოახდენს ქვეყნის საფინანსო სისტემის გაჯანსაღებასა და მისი ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე.

დასკვნა

ქვეყნებს შორის სავალო ურთიერთობები საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს. დამოუკიდებლობის მოპოვების საწყის ეტაპზე საქართველოს საგარეო ვალი არ ჰქონია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მთელი სახელმწიფო საგარეო ვალის გადახდა იკისრა რუსეთის ფედერაციამ. შემდგომში კი ეკონომიკური კავშირების მოშლამ განაპირობა ქვეყნის ეკონომიკის სწრაფი ვარდნა და მისი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მკვეთრი გაუარესება. სახელმწიფო ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტის დასაფინანსებლად საქართველოს მთავრობამ, ქვეყნის შიდა რესურსების მობილიზებასთან ერთად, დაიწყო საგარეო სესხების გამოყენებაც.

საწყის ეტაპზე ქვეყანას ამ ვალების გასტუმრების შესაძლებლობა არ ჰქონდა, რის გამოც საგარეო ვალი სწრაფად იზრდე-

ბოდა. შემდგომში კი მისი ზრდა დაკავშირებული იყო რუსეთ-საქართველოს ომისა და პანდემიის ფონზე წარმოქმნილი პრობ-ლემების დაძლევასთან. ყოველივე ამის შედეგად, საქართველოს საგარეო ვალი მნიშვნელოვნად გაიზარდა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 24,2 მლრდ აშშ დოლარი (65 მლრდ ლარი), ანუ ქვეყნის მშპ-ის 79,2% შეადგინა.

ქვეყნის საგარეო ვალის ძირითად ნაწილს მისი სახელმწიფო საგარეო ვალი წარმოადგენს, რომლის მიზნობრივი და ეფექტიანი გამოყენება უშუალოდ ზემოქმედებს ქვეყნის ბიუჯეტის დაბა-ლანსებასა და დადებითი საგადამხდელო ბალანსის შენარჩუ-ნებაზე. საგარეო ვალის სიმძიმის განსაზღვრისას მთავარია არა მისი აბსოლუტური მოცულობა, არამედ ის, თუ როგორია ქვეყნის რეალურ ეკონომიკურ ზრდასთან მისი ფარდობის მაჩვენებელი. მონაცემებით დასტურდება, რომ 2010-2023 წწ-ში ყველა ეს მაჩ-ვენებელი იზრდება, მაგრამ ცალკეული პერიოდების მიხედვით იგი განსხვავებულია. პანდემიამდე მშპ-თან საგარეო ვალის ფარდობის მაჩვენებლი ზრდა განპირობებული იყო ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელებით. პანდემიის ფონზე იგი საკმაოდ გაუარესდა, ხოლო მის შემდეგ, ანუ ეკონომიკური ზრდის კვა-ლობაზე, საგრძნობლად უმჯობესდება. ასეთივე ტენდენცია იკვე-თება საგარეო ვალის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებსა და ხარჯებ-თან, აგრეთვე, ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლებთან ფარდობის მიმართებაშიც.

როცა ვლაპარაკობთ საგარეო სესხების მოზიდვაზე, მათ ეფექტიან გამოყენებასა და ქვეყნის ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მსოფლიო ბანკის კლასიფიკაციით საქართველო შედის საშუალოზე მაღალი შემო-სავლის მქონე ქვეყნების ჯგუფში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანას შეღავათიან დაფინანსებაზე წვდომა ექნება მხოლოდ საშუალოვადიან პერიოდში, გრძელვადიან პერიოდში კი, ეკონო-მიკურ ზრდასთან ერთად, იგი თანდათან შემცირდება. ისიც გა-სათვალისწინებელია, რომ საგარეო სესხებზე საპროცენტო განაკ-ვეთები საგრძნობლად იზრდება და იგი საშუალოვადიან პერი-ოდშიც შენარჩუნდება, რის გამოც სამომავლოდ საგარეო დაფი-ნანსების ჩანაცვლება ეტაპობრივად უნდა მოხდეს ადგილობრივი რესურსების ხარჯზე.

საქართველოს საგარეო ვალის სავალუტო კომპოზიცია შემდეგი ტენდენციით ხასიათდება: ბოლო დროს ევროში დენომინირებული ვალის წილი იზრდება, ხოლო აშშ დოლარისა კი მცირდება. პროცენტის ტიპის მიხედვით საგარეო ვალი თითქმის თანაბრად ნაწილდება ფიქსირებულ და ცვლად განაკვეთებზე. ამასთან, საგარეო ვალში ფიქსირებული განაკვეთის წილი მცირდება, ცვლადი განაკვეთისა კი იზრდება. ცხადია, საგარეო ვალის პორტფელში მიმდინარე ცვლილებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სავალო ტვირთის სიმძიმეზე, ქვეყნის საფინანსო სისტემის გაჯანსაღებასა და მის ფინანსურ უსაფრთხოებაზე.

ბოლო პერიოდში საქართველოს ეკონომიკურმა ზრდამ ორნიშნა ციფრს გადააჭარბა, რის შედეგადაც საგრძნობლად გაუმჯობესდა ქვეყნის სხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლებიც. კერძოდ, ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი პანდემიის 9,3%-დან 2022 წლის ბოლოს 3%-მდე შემცირდა, ხოლო სამთავრობო ვალი კი პანდემიამდელ ნიშნულს 40,4%-ს ჩამოცდა. ვალის დონის ასეთი შემცირება ძირითადად მაღალმა ეკონომიკურმა ზრდამ და გაცვლითი კურსის პოზიტიურმა დინამიკამ განაპირობა. ამასთან, კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება დოლარიზაციის მაღალი მაჩვენებელი, რაც სამთავრობო ვალს მნიშვნელოვნად მოწყვლადს ხდის სავალუტო კურსის მერყეობის მიმართ, ამიტომ საშუალოვადიანი პერიოდის მთავარ ამოცანად ვალის პორტფელის შემდგომი გაჯანსაღება და სავალუტო რისკების შემცირება რჩება.

სავალო ურთიერთობებთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა პირდაპირ კავშირშია მისი მართვის გაუმჯობესებასა და სრულყოფასთან. საგარეო ვალის მართვას ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საგარეო ვალის მართვის სტრატეგიის საფუძველზე, რომელიც მოიცავს შემდეგ ძირითად მიმართულებებს: ვალის მშპ-თან ფარდობის უსაფრთხო დონეზე შენარჩუნება; ვალის პორტფელში ლარში დენომინირებული ვალის წილის ზრდა; საგარეო სესხების განვითარებაზე ორიენტირებულობის ზრდა; სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება.

საგარეო ვალის მართვის სრულყოფის აღნიშნული მიმართულებებით გათვალისწინებული ღონისძიებების პრაქტიკული რეალიზაცია დიდად შეუწყობს ხელს საგარეო სესხების მიზნობრივი

დანიშნულებით გამოყენებასა და მისი ეფექტიანობის ამაღლებას, რაც, საბოლოო ჯამში, პოზიტიურ ზემოქმედებას მოახდენს ქვეყნის საფინანსო სისტემის გაჯანსაღებასა და მისი ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კასრაძე თ., კაციტაძე მ., საგარეო ვალის ზრდის პრობლემა და მისი დაძლევის გზები, ჟურნ. „ეკონომიკა“, №12, 1996.
2. კასრაძე თ., სახელმწიფო ვალის მართვის და ორგანიზაციის სრულყოფის საკითხები საქართველოში, დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 1999.
3. მაკონელი რ., ბრიუ ლ., „ეკონომიქსი“, თბ., 1993, ტ. 2.
4. მუჩიაშვილი მ., შონია ზ., კოვიდ-19-ის ზეგავლენის სტატისტიკური შეფასება საქართველოს საგარეო ვალის მდგომარეობაზე, ჟურნ. „ეკონომისტი“, №1, 2022.
5. პაპავა ვლ., საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები, თბ., 2000.
6. სამუელსონი პ., ნორდჰაუსი ვ., „ეკონომიკა“, ტ.IV, თბ., 2000.
7. ღლონტი ივ., სახელმწიფო ვალის მართვის სრულყოფისა და ეფექტიანად გამოყენების პრობლემები საქართველოში, დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2002.
8. ჯიბუტი ა., ღლონტი ივ., საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი, თბ., 2003
9. ჯიბუტი ა., საქართველოს საგარეო და შიგა ვალი, თბ., 2012.
10. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები.
11. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მასალები.
12. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მასალები.
13. საქართველოს ეროვნული ბანკის მასალები.
14. Внешний долг. https://vsezaimyonline.ru/terms/vneshnij-dolg
15. Куликов С., Почему рост госдолга одни страны ведет к развитию, а другие к дефолту. https://rg.ru/2016/09/18/pochemu-rost-gosdolga-odni-strany-vedet-k%20razbitiu-a-drugie-k-defoltu.html

16. Лившиц И., Внешний долг – полезный и опасный. https://neg.by/novosti/otkriti/vneshnij-dolg-poleznij-i-opasnyj/
17. Что такое госдолг США и почему он постоянно растет. https://tass.ru/ekonomika/16847493

Revaz Javakhishvili

GEORGIA'S FOREIGN DEBT AND FINANCIAL SECURITY PROBLEMS

Summary

The introduction to the paper discusses the theoretical and methodological aspects of foreign debt: its essence, historical origins, forms, structure, socio-economic purpose, and functions, and defines the criteria and indicators for assessing the severity of foreign debt.

At the initial stage of gaining independence, Georgia had no foreign debt, as, following the collapse of the Soviet Union, the Russian Federation assumed responsibility for paying off its entire foreign debt. Later, in order to finance the chronic budget deficit caused by the economic downturn, the country's government, in addition to mobilizing domestic resources, began to use foreign loans, resulting in a systematic increase in foreign debt. By the end of 2023, foreign debt amounted to 24.2 billion US dollars (65 billion GEL), which constituted 79.2% of GDP.

Based on relevant numerical and factual material, the paper analyzes the causes of the country's growing foreign debt and its dynamics, structure, and geography in relation to other macroeconomic indicators. Special attention is given to improving external debt management and the main directions of its strategy, the most important of which are: maintaining state debt at a safe level relative to GDP; increasing the share of debt denominated in GEL within the debt portfolio; increasing the focus on the development of external loans; optimizing the cost and risk of the debt portfolio, and developing the treasury securities market.

The practical implementation of these directions in the external debt management strategy will significantly contribute to improving the efficiency of using external loans, strengthening the country's financial system, and ensuring its financial security.

თეა ლაზარაშვილი

საქართველოს საპენსიო ფონდი და მასთან დაკავშირებული ფინანსური საფრთხეები

ანოტაცია. *საპენსიო პოლიტიკის შემუშავება უმეტესობა ქვეყნებში მნიშვნელოვან განსჯის საგანს წარმოადგენს. უმეტესობა განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები დღემდე ახორციელებენ საპენსიო სისტემების მოდიფიცირებას, რათა უზრუნველყონ ადეკვატური საპენსიო შემოსავალი, საპენსიო ხარჯების ფისკალური მდგრადობა და მოსახლეობის დემოგრაფიული ცვლილების მიმართ ადაპტირება. ბოლო პერიოდში დაფიქსირებული მოსახლეობის მატებისა და დაბერების, სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის, შრომითი ძალის შემცირებისა და გახშირებული ფინანსური კრიზისების ფონზე, გასული საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანებიდან მოყოლებული სულ უფრო აქტუალური ხდება საპენსიო სისტემების გადაუდებელი რეფორმების განხორციელების საკითხი. აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოში საპენსიო რეფორმის გატარების აუცილებლობა ეჭვს არ იწვევს განსაკუთრებით ქვეყნის სუსტი ეკონომიკური და სოციალური სიდუხჭირის კვალობაზე. საქართველოში საპენსიო რეფორმის აქტიური განხილვა 2017 წელს დაიწყო და საპენსიო უზრუნველყოფის შერეულ პრინციპზე დამყარებული მოდელი იქნა შემოთავაზებული. ეს მოდელი მოიაზრებს ცალკეული ელემენტების შერწყმას: სახელმწიფო (სოლიდარული) და დაგროვებითი საპენსიო სქემებს. განვითარებული ქვეყნების საპენსიო სისტემების განხილვამ დაგვანახა, რომ შერეული მოდელები ყველაზე მეტად ეფექტურია, კერძოდ: გარკვეულწილად ამცირებს რისკებს, ზრდის მოქნილობას საპენსიო უზრუნველყოფაში სახელმწიფო და კერძო სექტორების მონაწილეობის მოცულობათა განსაზღვრას. აგრეთვე ასეთი შერეული მოდელები სხვადასხვა კრიზსების (ფინანსური, ეკონომიკური და ა.შ.) დროს რაც ბოლო პერიოდში გახშირდა და გლობალური ხასიათი მიიღო, საპენსიო სქემებს შორის რისკების დივერსიფიკაციას ახდენს.*

საკვანძო სიტყვები. *საპენსიო ფონდი, ფინანსური საფრთხეები, დაფროვებიტი საპენსიო სისტემა.*

****

ბოლო წლებში საპენსიო უზრუნველყოფის საკითხები წინა პლანზე წამოიწია სამეცნიერო და საზოგადოებრივ დისკუსიებში. ამის ძირითადი მიზეზი გახდა დემოგრაფიული ცვლილებები მოსახლეობის სტრუქტურაში, გამოწვეული შობადობის შემცირებით და ცხოვრების საშუალო ხანგრძლივობის გაზრდით. ეს პროცესი ეხება მთელ საზოგადოებას, მაგრამ პირველ რიგში - სახელმწიფოს განვითარებას. განსაკუთრებით ცხადად ესეთი ტენდენცია შეინიშნება ევროკავშირის ქვეყნებში. 1960 წლიდან 2000 წლამდე 60 წელზე მეტი პირების წილი მოსახლეობის საერთო პროცენტში გაიზარდა დაახლოებით 30%-ით, როდესაც, იმავე პერიოდში შრომისუნარიანი მოსახლეობის რიცხვი 20-დან 59 წლამდე გაიზარდა ძალიან უმნიშვნელოდ. პროგნოზის მიხედვით, უახლესი 40 წლის განმავლობაში ახალგაზრდა მოსახლეობის წილი 20 წლამდე და შრომისუნარიანი ასაკის თანდათან შემცირდება, ხოლო პენსიონერთა რაოდენობა კი კიდევ 10%-ით გაიზრდება.

ბოლო წლების დემოგრაფიული ტენდენციები იმაზე მოწმობს, რომ უახლეს მომავალში მათი განვითარება სულ უფრო მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს საპენსიო სისტემების ფინანსირებაზე. თუკი 1986 წელს ევროკავშირის ქვეყნების თითოეულ პენსიონერზე საშუალოდ მოდიოდა 5 შრომისუნარაიანი ასაკის ადამიანი, 1996 წელს უკვე იყო დააახლოებით ოთხი. 2020 წელს 3 შრომისუნარიანი ასაკის ადამიანი.

მოსახლეობის დაბერება და დასქმებულთა საერთო რიცხოვნობის შემცირება იწვევს სახელმწიფო ხარჯების გაზრდას სახელმწიფო ბიუჯეტის სტრუქტურაში, იზრდება ზეწოლა საზოგადოების შრომისუნარიან წევრებზე. 1960-დან 1985 წლამდე. ხარჯები სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფაზე ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნებში იზრდებოდა ორჯერ სწრაფად ვიდრე მათი მშპ. 1980-იანი წლების მეორე ნახევრიდან სოციალური ხარჯების შეზღუდვის პოლიტიკის შედეგად მათი ზრდის ტემპებმა კლება დაიწყო და ამჟამად ხარჯები საპენსიო უზრუნვლყოფაზე შეადგენს საშუალოდ 9%-ს. თუმცა ეს მონაცემები საკმაოდ განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. ასე მაგალითად, ავსტრიაში პენსიაზე დანახარჯები შედაგენს 15%-ს, იტალიაში - 14, საფრანგეთში -13%. ევროკავშირის უმეტესობა

ქვეყნებში ერთ პენსიონერზე მოდის საშუალოდ 4-5 შრომისუნარიანი ასაკის ადამიანი. პროგნოზით, 2050 წლისთვის დემოგრაფიული ზეწოლა (რომელიც განისაზღვრება როგორც მოსახლეობის რიცხოვნობის თანაფარდობა საპენსიო ასაკის და საპენსიო ასაკზე ზევით შრომისუნარიანი მოსახლეობის რიცხოვნობაში) უნდა გაორმაგდეს.

ნათელია, რომ დღეს არსებული ფინანსური პრობლემები, დამახასიათებელია სახელმწიფო საპენსიო სისტემებისათვის, კიდევ უფრო გამწვავდება მომავალში. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ უმეტესობა ევროპული საპენსიო სისტემები დაფუძნებულია მომუშავეების ხელფასიდან შენატანებზე და ამიტომ მეტად მგრძნობიარენი არიან ნებისმიერი რყევების მიმართ რომელიც ხდება ეკონომიკურად აქტიურ, შენატანების გადამხდელ მოსახლეობასა და საპენსიო შეღავათების მიმღებებს შორის. საპენსიო უზრუნველყოფის დღეს არსებული სისტემებისათვის, რომლებიც ფუქნციონირებენ ევროკავშირის ქვეყნებში, დამახასიათებელია მიმდინარე გადახდების დეფიციტი, ამიტომ გამწვავებული პრობლემები ფინანსური ეფექტურობის, რომელიც ჩამოყალიბდა საპენსიო სისტემებში გამოიწვია მათი რეფორმირების ობიექტური საჭიროება.

საპენსიო უზრუნველყოფის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებში განპირობებულია არა მხოლოდ დემოგრაფიული სიტუაციით, არამედ ცვალებადი სოციალურ-ეკონომიკური პირობებით. პირველ რიგში ეს დაკავშირებულია უმუშევრობის ზრდასთან, რომელიც აიძულებს მომუშავეებს გავიდნენ პენსიაზე საპენსიო ასაკის მიღწევამდე, და იმ შემთხვევაში თუკი სამუშაო სიმძიმე მათთვის ძალიან დიდია - შეუძლიათ მოითხოვონ ინვალიდობის შემწეობა. ამ სიტუაციაში ჩვეულებრივი პრაქტიკა გახდა პენსიაზე გასვლის მოქნილი მექანიზმების შემოღება, ან/და იმ პირობების გამკაცრება, რომლებიც იძლევიან ინვალიდობაზე შემწეობის მიღების უფლებას ერთდროულად მომუშავეთა რეაბილიტაციის ღონისძიებების გატარება ასეთი შემწეებების შესამცირებლად.

ბოლო ათწლეულებში საზოგადოებრივ სტრუქტურებში მომხდარი ტრანსფორმაციები, დაკავშირებულია, პირველ რიგში ქალის როლის ცვლილებით საზოგადოებაში, რომლებმაც გამოიწვიეს შრომით საქმიანობაში მონაწილე ქალთა რიცხოვნობის

გაზრდა და როგორც შედეგი – რიგი რეფორმების გატარების აუ-ცილებლობა შემწეობების სისტემაში მარჩენალის დაკარგვის გამო. ადრე არსებული პრინციპი, რომლის თანახმადაც მამაკაცი წარ-მოადგენს მარჩენალს, ხოლო ქალი ასრულებს დედისა და დია-სახლისის როლს, უმეტესობა ქვეყნებში იყო კორექტირებული. რის შედეგადაც შემოღებულ იქნა შემწეობები ქვრივი მამაკაცებისთვის, ანალოგიურად ქვრივი ქალების შემწეობისა, რომლის მიღების პირობად მიჩნეულ იქნა განმცხადებლის საჭიროების შემოწმების აუცილებლობა.

დღეისათვის საპენსიო სისტემები, რომლებიც მოქმედებენ ევროპის უმეტესობა განვითარებულ ქვეყნებში 40 წელზე მეტია მიაღწიეს თავის სიმწიფეს. ეს ნიშნავს, რომ უმეტესობა დასაქმე-ბულები მოცულები არიან საპენსიო გეგმით და აქვთ უფლება მიიღონ შემწეობა სრული ოდენობით: მოსახლეობა დაბერდა, ხო-ლო იმ პირთა წილი, რომლებთაც შეაქვთ შენატანები სავალდე-ბულო საპენსიო დაზღვევის სისტემის ფარგლებში, მცირდება. უმე-ტესობა საპენსიო სქემებისათვის დამახასიათებელია დეფიციტი მიმდინარე გადასახდელებში და ზოგიერთი შეფასებებით სოცია-ლური უზრუნველყოფის სისტემის დავალიანება შეადგენს 100-დან 250%-მდე ამა თუ იმ ქვეყნის მშპ-ის.

საპენსიო სისტემის რეფორმირება ევროკავშირის ქვეყნებში დღეისათვის ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით.

1. პენსიაზე გასვლის ასაკის საზღვრების მომატება და სა-ვალდებულო სადაზღვევო პერიოდის გაზრდა. ევროკავშირის ქვეყნებში დღეისათვის საშუალო საპენსიო ასაკი მამაკაცებისათვის შეადგენს 65-67 წელს, ქალებისათვის მერყეობს 57-დან 65 წლის საზღვრებში. პენსიაზე გასვლის ასაკის თანდათანობითი მატება დამახასიათებელია პრაქტიკულად უმეტესობა საპენსიო სისტემე-ბისათვის. საპენსიო ასაკის მატებასთან ერთად როგორც ქალები-სათვის, ისე მამაკაცებისათვის, კიდევ ერთ საშუალებას საპენსიო სისტემების ადაბტაციის ხანშიშესული მოსახლეობის მოსალოდ-ნელი ზრდასთან, წარმოადგენს პენსიაზე გამსვლელი ქალებისა და მამაკაცების დროის გათანაბრებაა, ე.ი. ფაქტიურად ქალების სა-პენსიო ასაკის გაზრდა. პირველად ეს განხორციელებული იქნა გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, საბერძნეთში, პორტუგალიაში, ხოლო შემდგომ ავსტრიასა და ბელგიაში. ყველა ზემოთ ჩამოთვ-

ლილ ქვეყნებში შემოღებულ იქნა ერთიანი საპენსიო ასაკი ქალებისათვის და მამაკაცებისათვის – 65 წელი. აღნიშნულმა ცვლილებებმა გამოიწვია სადაზღვევო პერიოდისა და საპენსიო ფონდში შენატანების პერიოდის გაზრდა.

2. საპენსიო გადახდების ინდექსაციის წესის ცვლილება. იტალიაში 1992 წლიდან, ხოლო საფრანგეთში 1987 წლიდან პენსიების ინდექსაცია ხდება სამომხმარებლო ფასების ზრდის ტემპის საფუძველზე, და არა ხელფასის საფუძველზე, როგორც ეს ადრე იყო. გერმანიაში გაითვალისწინება არა მხოლოდ სამომხმარებლო ფასების ინდექსი, არამედ წმინდა ხელფასის დინამიკა და აგრეთვე ეკონომიკური ზრდის ტემპი. ამას გარდა, რიგ ქვეყნებში პრაქტიკულად იქცა პენსიის გამოთვლაში მთლიანი შემოსავლის ნაცვლად (ნეტო-შემოსავალი) წმინდა შემოსავლის (ბრუტო-შემოსავალი) გამოყენება (გერმანია, ესპანეთი), რამაც მთლიანობაში შეამცირა პრემიების ზომა. ინდექსაციის შერეული მეთოდების გამოყენება ხდება სხვა ქვეყნებშიც. მაგ. ავსტრიაში გაითვალისწინება აგრეთვე უმშევრობის დონეც. როგორც წესი, ორი ფაქტორის კომბინაცია საკმარისია იმისათვის, რომ თავიდან იქნას არიდებული დამატებითი ფინანსური ზეწოლა.

3. დამატებითი პროფესიული დაგროვებითი (საპენსიო პროგრამების და ინდივიდუალური) საპენსიო დაზღვევის განვითარების სტიმულირება. უნდა აღიიშნოს, რომ დაგროვებითი საპენსიო სისტემა თამაშობს მნიშვნელოვან როლს მხოლოდ ორ ქვეყანაში – დიდ რიტანეთში და ნიდერლანდებში. საპენსიო დაზღვევის პროფესიული და ინდივიდუალური დაგროვებითი სქემების განვითარების მიუხედავად, დღემდე გაურკვეველი რჩება, შეძლებენ თუ არა ეს სისტემები ყველა პრობლემის გადაწყვეტას, რომლებიც დაკავშირებულია მოსახლეობის დემოგრაფიული სტრუქტურის ცვლილების მოლოდინთან.

4. ჩანაცვლების კოეფიციენტის შემცირება. საფრანგეთში პენსიების გათვლისას საფუძვლად მიიღება ხელფასი არა ბოლო 10 შედარებით კეთილსასურველი წლის (ასეთი მდგომარეობა ივევდა როგორ წესი შრომითი საქმიანობის შედარებით მაღალანაზღაურებადი პერიოდის აღრიცხვას) არამედ 25 წლისთვის.

5. სადაზღვევო პრემიების ოდენობის გაზრდა და მათი გაანაგარიშების ბაზის მოდერნიზაცია. ეს მიდგომა პირველ რიგში

მოიცავს ხელფასის ზედა ზღვრის გაუქმებას სადაზღვევო პრემიების გაანგარიშებისას და მეორე ძირითადი შემოსავლის ოდენობის გაფართოებაში, საიდანაც გადაიხდება შენატანები ამ ოდენობაში შვებულების შეღავათებისა და პრემიების ჩათვლით. პირველი ვარიანტი გამოიყენება შვედეთში, ბელგიასა და იტალიაში. მეორე დამახასიათებელია საფრანგეთისთვის, ნიდერლანდებისთვის, გერმანიისთვის და ავსტრიისთვის.

საპენსიო სისტემების რეფორმირების ამა თუ იმ მიმართულების ამორჩევა დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა დემოგრაფიული ვითარების ბუნება, ქვეყანაში არსებული საპენსიო სისტემების მახასიათებლები, საზოგადოებაში გაბატონებული იდეები სოციალური სამართლიანობის შესახებ და პოლიტიკური მოსაზრებები. ამრიგად, თუკი გერმანიისთვის და საფრანგეთისთვის ეფექტურ ზომად შეიძლება აღმოჩნდეს შენატანების დონის გაზრდა (სადაც ისინი უკვე საკმაოდ მაღალია), არამედ, მაღალი ჩანაცვლების მაჩვენებლის შემცირება, მაშინ როცა დიდი ბრიტანეთისთვის და შვედეთისთვის პირიქით ადაბტაცია დაკავშირებულია შენატანების საშუალო დონის გაზრდასთან. ქვეყნებისათვის სადაც საპენსიო ასაკი დაბალია ვიდრე ევროკავშირის დანარჩენ ქვეყნებში (მაგ. იტალია), შედარებით მოსახერხებელი შეიძლება აღმოჩნდეს პენსიაზე გასვლის ასაკობრივი ზღვრის გაზრდა.

მთლიანობაში უნდა აღინიშნოს, რო ეროკავშირის ქვეყნებში მიმდინარე საპენსიო სისტემების რეფორმირების პროცესი არ ატარებს კარდინალურ ხასიათს, და წარმოადგენს არსებული ნეგატიური ტენდენციების კორექტირებას, მიღებული ზომების თანდათანობითობა და სიფრთხილე დაკავშირებულია პირველ რიგში იმასთან, რომ ნებისმიერმა მკვეთრმა ცვლილებებმა მოცემულ სფეროში, რომელთაც შეუძლიათ გამოიწვიონ თაობებს შორის ჩამოყალიბებული სოციალური ბალანსის დარღვევა, არ ღებულობენ ფართო მხარდაჭერას საზოგადოებაში. თუმცაღა ბოლო პერიოდში სპეციალისტებს შორის სულ უფრო მეტ გავრცელებას ჰპოვებს აზრი იმის შესახებ, რომ ძირითადი აქცენტი საპენსიო სისტემების შემდგომ რეფორმირებაში უნდა გაკეთდეს ძირითადი (საბაზო) პენსიებთან მიმართებაში, რომელთაც გააჩნიათ უნივერსალური ხასიათი და არ არის დამოკიდებული მათი მიმღებების პროფესიულ თავისებურებებზე. ამ სახის საპენსიო უზრუნველყო-

ფის სახელმწიფო მხარდაჭერა, რომელიც ხორციელდება პირველ რიგში, მოქალაქეების სოციალური უფლებებისაგან, აგრეთვე დამატებითი საპენსიო პროგრამების ერთდროული განვითარება, წარმოდგენილი საწარმოო საპენსიო დაზღვევისა და ინდივიდუალურ საპენსიო სქემებით, საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ ნეგატიური ტენდენციები, განპირობებული თანამედროვე საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური რეალიებით.

სამეცნიერო ლიტერატურაში ადგილი აქვს რისკების რამოდენიმე კონცეფციას. თითოეულ მათგანს გააჩნია არსებობის უფლება და გამოიყენება იმ სფეროებში სადაც რისკის თავისებურებები შეესაბამება ამა თუ იმ კონცეფციის მდგომარეობას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე რისკის ფენომენში შეიძლება გამოვყოთ მისი შემდეგი მახასიათებლები; საპროგნოზო შედეგის სავარაუდო ხასიათი; არჩეული მიზნის გადახრის ალბათობა; დანაკარგების შესაძლებლობა. არასახელმწიფო საპენსიო ფონდების საქმიანობასთან მიმართებაში, შეიძლება ითქვას, რომ ისე როგორც სხვა ეკონომიკური ინსტიტუტები, ისინიც ფუნქციონირებენ გარემო პირობებში, რომელიც მათი საქმიანობისათვის უმეტეს შეთხვევავში წარმოადგენს განუსაზღვრელს და სარისკოს. გარე გარემო აერთიანებს ყველაფერ იმას, რაც უშუალოდ არ შედის ფონდის საქმიანობის სისტემაში: სახელმწიფო, რომელიც წარმოადგენს საჯარო ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებს, ურთიერთმოქმედი კომპანიები, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ და აგრეთვე გარემოს სხვა ელემენტები, მაგ. ბაზრის კონიუნქტურა და მისი რესურსები და ა.შ. ამას გარდა არ შეიძლება გამოირიცხოს სუბიექტური პირობები და ფაქტორები, დაკავშირებული ისეთი ფონდების საქმიანობასთან, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ შესაძლო დანაკარგები. ამიტომ რისკის ბუნებას აქ შეიძლება ჰქონდეს სუბიექტური ხასიათი.

მიშვნელოვანია ავღნიშნოთ, რომ არასახელმწიფო საპენსიო ფონდების საქმიანობა განიხილება როგორც გრძელვადიანი, ამიტომ რისკების მთლიანად თავიდან არიდების შესაძლებლობა - მინიმალურია. არასახელმწიფო საპენსიო ფონდების სპეციფიკურ თავისებურებას წარმოადგენს მისი ფინანსური ურთიერთობები ინვესტორთან, მონაწილესთან და დაზღვეულ პირებთან, რომელიც გულისხმობს შესაბამის პერსპექტიულ დაგეგმვას უამრავი არსე-

ბული პარამეტრების მომავალი მნიშვნელობის განუსაზღვრელობას. ეს განუსაზღვრელობა უშვებს განსაკუთრებით ჭეშმარიტ მიდგომას დაგეგმვისადმი. არასახელმწიფო საპენსიო ფონდების რისკები განპირობებული ფონდისთვის შიდა და გარე ფაქტორების მოქმედებით, შეიძლება გადმოვცეთ, როგორც საპენსიო ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობა. ამასთან ფონდისთვის წარმოიშვება რისკი, რომელიც შეიძლება გახდეს ფინანსურად არასანდო.

არასახელმწიფო საპენსიო ფონდის რისკ-მენეჯმეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა - რისკების კლასიფიკაცია, რომელიც იძლევა შესაძლებლობას გაანაწილოს ისინი ერთგავროვან კლასტერებად, რაც საშუალებას აძლევს გამოიყენოს შეფასების და რისკების მართვის ანალიზის კონკრეტული მეთოდები. საშუალება გვაქვს განვიხილოთ არასახელმწიფო საპენსიო ფონდის საქმიანობის რისკების 2 კლასიფიკაცია: 1) გაფართოებული კლასიფიკაცია, რომელიც ითვალისწინებს ყველა რისკს, რომელსაც შეიძლება შეეჯახოს ფონდი თავის სქამიანობაში; 2) კლასიფიკაცია, რომელიც გამოყოფს ძირითად (უშუალო) რისკებს ფონდის საქმინობაში. რაც შეეხება პირველ კლასიფიკაციას მის საკუთრებაში არის - ლოგიკური გადასვლა შედარებით საერთო რისკებიდან (ზოგადი) უფრო შედარებით კონკრეტულებამდე (სახეები). შედარებით საერთო რისკის სახეები - ესაა ბუნებრივ-კლიმატური, ტექნიკურ-ტექნოლოგიური რისკები, უკანონო (კრიმინალური) ხასიათის რისკები და აგრეთვე პოლიტიკურ-ეკონომიკური და ორგანიზაციულ-მმართველბითი რისკები. არასახელმწიფო საპენსიო ფონდი მგრძნობიარეა ყველა რისკებისადმი, რომლებიც გვხვდება ნებისმიერი სოციალური სუბიექტის საქმიანობაში.

ზემოთ ჩამოთვლილი რისკის სახეები შეიძლება განვიხილოთ როგორც ზოგადი რისკები. თავის მხრივ ისინი წარმოშობენ სახეობების რისკებს (კლასიფიკაციის მეორე დონე). ამრიგად პოლიტიკურ-ეკონომიკური რისკები იყოფა: ქვეყნის, სოციალურ და საბაზრო რისკებად.

ქვეყნის რისკი სხვადასხვა ავტორის ნაშრომებში თავისებურად არის განსაზღვრული. ქვეყნის რისკი ერთი მხრივ განიმარტება, როგორც რისკი, რომელსაც შეიძლება წააწყდნენ უცხოელი პარტნიორები ქვეყანაში. მეორე მხრივ - ეს არის რისკი, რომელიც

ასახავს კონკრეტული ქვეყნის სპეციფიკას. ეს რისკი იყოფა: პოლიტიკურ რისკებად, მ.შ. რისკებად რომლებიც დაკავშირებული არიან კანონმდებლობის ცვლილებასთან; დემოგრაფიული რისკები და ეკონომიკური რისკები, საგადასახადო რისკების ჩათვლით.

პოლიტიკური რისკები დაკავშირებულია ქვეყანაში პოლიტიკურ სიტუაციასთან და სახელმწიფოს საქმიანობასთან. აღნიშნული რისკის თავისებურებად, შეიძლება აღინიშნოს ის, რომ სწორედ პოლიტიკური რისკები ყველაზე მეტ გავლენას ახდენენ დღემდე ფასიანი ქაღალდების კურსების ღირებულებაზე. რისკის ეს სახე წარმოადგენს ყველაზე სერიოზულს და გლობალურს, ხოლო მისი გათვალისწინება მმართველი კომპანიების ინვესტიციურ სტრატეგიებში და არასახელმწიფო საპენსიო ფონდებში პრაქტიკულად შეუძლებელია.

კანონმდებლობის ცვლილებებით გამოწვეული რისკები – ეს სამართლებრივი რისკებია, რომლებიც თავის თავში მოიცავენ კანონმდებლობის ცვლილების შესაძლებლობას (არასახელმწიფო საპენსიო ფონდებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საფინანსო, საგადასახადო და საპენსიო კანონმდებლობას), რაც გაურკვევლობის სიტუაციას ქმნის, ფონდის არსებული საქმიანობის იურიდიული საფუძვლის მოშლას, რაც გარდუვალად იწვევს გაუთვალისწინებელ ფინანსურ დანაკარგებს. ასეთი სახის რისკები დაკავშირებულია აგრეთვე არსებული კანონმდებლობის არასრულყოფილებასთან, რაც გამოიხატება მის ნაკლოვანებებში და იმ ნორმების არსებობაში, რომლებიც სამართლებრივ ასპექტებს ქმნიან.

დემოგრაფიული რისკები – ეს რისკები დაკავშირებულია დემოგრაფიული სიტუაციის გაუარესებასთან (მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება, მოსახლეობის დაბერება, შრომისუნარიანი მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება, საპენსიო ტვირთის გაზრდა დასაქმებულ მოსახლეობაზე). ასეთი სახის რისკები მოქმედებენ არასახელმწიფო საპენსიო ფონდების მუშაობაზე მთელი რიგი მიმართულებებით: მცირდება სადაზღვევო შენატანების მოცულობა შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობის შემცირების შედეგად, დემოგრაფიული რისკები მოქმედებენ არასახელმწიფო საპენსიო ფონდის საქმიანობაზე, რომლებიც მთლიანად მუშაობენ უწყვეტ საპენსიო პროგრამებზე.

საგადასახადო რისკები ეს ის რისკებია, რომლითაც საგადასახადო ორგანო საგადასახადო შემოწმების დროს აღიარებს ტრანზაქციას დასაბეგრად. ეს არის საგადასახადო კანონმდებლობის არასახარბიელო ცვლილების შესაძლებლობა არასახელმწიფო საპენსიო ფონდებისათვის და მისი კონტრაგენტებისათვის [4].

კიდევ ერთი ნაირსახეობა პოლიტიკურ-ეკონომიკური რისკებისა არის – სოციალური რისკები. სოციალური რისკები პოლიტიკურ-ეკონომიკური რისკების შემადგენელია, რომელიც განსაზღვრავს ფონდის საქმიანობის საბოლოო შედეგის დაუგეგმავი ცვლილების შესაძლებლობას სოციალური პოლიტიკის არახელსაყრელი ცვლილების გამო, როგორც სახელმწიფოს, ისე ცალკეული საწარმოების (ორგანიზაციების). ეს რისკი პირდაპირ კავშირშია არასახელმწიფო საპენსიო ფონდის საქმიანობასთან, რადგან კორპორატიული (დარგობრივი, მუნიციპალური) ტერიტორიალური საპენსიო პროგრამების განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სოციალური სფეროს ფუნქციონირების პროგნოზირებაზე. იმ სოციალური ფაქტორების რიცხვს, რომლებიც ნეგატიურად ზემოქმედებენ არასახელმწიფო საპენსიო ფონდის საქმიანობაზე, შეიძლება მივაკუთვნოთ: უმუშევრობის ზრდა, მოსახლეობის შემოსავლების შემცირება და სხვა.

პოლიტიკურ-ეკონომიკურ რისკებს მიეკუთვნება საბაზრო რისკებიც. საბაზრო რისკები - ეს არის ფონდის აქტივების ღირებულების შემცირების რისკები, საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად გამოწვეული. საბაზრო რისკს გააჩნია მაკროეკონომიკური ბუნება, ე.ი. საბაზრო რისკების წყაროდ გამოდიან ფინანსური სისტემის მაკროეკონომიკური მაჩვენებლები - ბაზრების ინდექსები, საპროცენტო განაკვეთების მრუდები და სხვა. არასახელმწიფო საპენსიო ფონდის საქმიანობასთან გამოყენებით საბაზრო რისკად შეიძლება ჩაითვალოს საინვესტიციო პორტფელის ღირებულების ცვლილება საბაზრო აქტივების, საპროცენტო განაკვეთების, ვალუტების კროს-კურსის და სხვა კოტირების ცვლილების შედეგად. თავის მხრივ საბაზრო რისკები შეიძლება 2 ჯგუფად დაიყოს: ფინანსური რისკები და ინვესტიციური რისკები [5].

ფინანანსური რისკები, საბაზრო რისკების შემადგენილი ნაწილია, რომელიც განსაზღვრავს ფონდის საქმიანობის საბოლოო შედეგის დაუგეგმავი ცვლილების შესაძლებლობას ეკონომიკური კონიუნქტურისა და ფულის მსყიდველობითუნარიანობის ცვლილების შედეგად. არასახელმწიფო საპენსიო ფონდის საქმიანობასთან მიმართებაში ეს რისკი შეიძლება დავახასიათოდ, როგორც შესაძლებლობა ფონდის აქტივების ღირებულების ნაწილობრივ, ან მთლიანად დაკარგვა, არაკეთილსასურველი საბაზრო კონიუნქტურის ან ემიტენტის (მსესხებელი) მდგომარეობის გაუარესების ან/და სხვა არახელსაყრელი სიტუაციის დადგომა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ფონდის აქტივების შემცირება. ფინანსური რისკები იყოფა: ინფლაციურ რისკებად, პროცენტულ რისკებად, სავალუტო რისკებად, საფონდო რისკებად და ლიკვიდურობის რისკებად.

ერთი მხრივ, ლიკვიდობის რისკი არის - ლიკვიდობის დაფინანსების რისკი (ფულადი სახსრების მოზიდვა), მეორე მხრივ - აქტივობის ლიკვიდობის რისკი. არასახელმწიფო საპენსიო ფონდებისათვის ამ რისკის მართვა ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია, რადგან საპენსიო სახსრების ლიკვიდობის ნაკლებობამ შეიძლება გამოიწვიოს არაკეთილსასურველი შედეგი ფინანსური ინსტრუმენტების კოტირების დაცემისას, სადაც ეს სახსრებია განთავსებული. ლიკვიდობის რისკის გათვალისწინება წარმოადგენს მნიშვნელოვან მომენტს მთლიანი პორტფელის რისკის შეფასებისას, ხოლო ძლიერი ფასობრივი მოძრაობისას იგი არსებითად ცვლის მთლიანი საინევსტიციო პოტფელის რისკის სიდიდეს. ლიკვიდობის რისკი აგრეთვე უნდა იქნას გათვალისწინებული საპენსიო უზრუნველყოფის ხელშეკრულებების შესაძლო გაუქმებისას.

პარტნიორობის რისკი (საკრედიტო რისკი) - კონტრაგენტის მიერ თავისი ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის შედეგად დანაკარგების შესაძლებლობა. ეს არის იმის რისკი, რომ არასახელმწიფო საპენსიო ფონდის წინაშე ნებისმიერი ვალდებული პირი (კონტრაგენტი, ემიტენეტი, ბანკი) არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს მთლიანად თავის დათქმულ თარიღზე, დროზე, ან ნებისმიერ დროს ამ თარიღის შემდგომ. ამ რისკის შემადგენლობაში ცალკე გამოყოფენ კოტრაგენტის ან ემი-

ტენტის (მსესხებლის) რეპუტაციის რისკს - ვალდებულებების განზრახ შეუსრულებლობის რისკი, რომელიც არაა განპირობებული მსესხებლის ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებით: მმართველი კომპანიის, ბანკის სპეციალიზებული დეპოზიტარით ან სხვა კონტრაგენტის (ბანკის) მიერ ფონდის წინაშე (პირდაპირი ვალდებულებები ფონდის წინაშე); მმართველი კომპანიის მიერ თავისი კონტრაგენტების და კლიენტების წინაშე, მ.შ. საინვესტიციო ფონდის მეპაიეების წინაშე; კონტრაგენტის, ემიტენტის, მსესხებლის, ბროკერის, ბანკის ვალდებულებების, მმართველი კომპანიის წინაშე (ირიბი ვალდებულებები ფონდის წინაშე), როდესაც ასეთ შეუსრულებლობას შეუძლია ფონდს ქონებრივი ან რეპუტაციული ზარალი მიაყენოს [7].

კანონმდებლობით გამყარებულია არასახელმწიფო საპენსიო ფონდის თანამშრომლობა, ისეთ ფინანსურ პარტნიორებთან, როგორიცაა მმართველი კომპანიები, სპეცდეპოზიტარები, ბანკები და სხვა. ნათელია, რომ არასახელმწიფო საპენსიო ფონდის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური პარტნიორის არჩევანზეა დამოკიდებული მისი მომავალი საქმიანობის წარმატებულობა. ინვესტიციური რისკი - ესაა საბაზრო რისკების კომპონენტი, რომელიც წარმოიქმნება ფონდის საინვესტიციო საქმიანობის განხორციელების შიდა და გარე პირობების გაურკვევლობის ფაქტორებით. იგი წარმოადგენს აქტივების დაკარგვის გაზომვად ალბათობას (საშიშროებას) შემოსავლების მიუღებლობის ან დამატებითი საინვესტიციო ხარჯების წარმოქმნით. ამგვარად, ეს რისკები გამოხატავენ გაუთვალისწინებელი ფინანსური დანაკარგების წარმოშობის შესაძლებლობას ფონდის საინვესტიციო საქმიანობის პროცესში (მმართველ კომპანიასთან, რომელთანაც ფონდმა დადო შესაბამისი ხელშეკრულება). ინვესტიციური რისკები მოიცავენ, თავის მხრივ რისკებს: ხელიდან გაშვებული სარგებელი; შემოსავლიანობის შემცირება; პირდაპირი ფინანსური დანაკარგები. ხელიდან გაშვებული სარგებლის რისკი - ირიბი ფინანსური ზარალის რისკი (მოგების მიუღებლობის რისკი) რაიმე ქმედების შეუსრულებლობის გამო (დაზღვევა, ინვესტირება და ა.შ.).

შემოსავლიანობის შემცირების რისკი შეიძლება წარმოიშვას ანაბრებზე პროცენტებისა და დივიდენდების სიდიდის შემცი-რების შედეგად და აგრეთვე პორტფელურ ინვესტიციებზე.

პირდაპირი ფინანსური ზარალის რისკებს მიეკუთვნება: შერჩევითი რისკი; გაკოტრების რისკი;. შერჩევითი რისკები წარმოად-გენენ რისკების ჯგუფს, რომლებიც განპირობებული არიან ინვესტირებაში კაპიტალისა და ფასიანი ქაღალდების დაბანდების სახეების არასწორი არჩევით. გაკოტრების რისკი წარმოადგენს (კა-პიტალის დაბანდების არასწორი სახის შერჩევის შედეგად) ფონ-დების მიერ თავის თავზე აღებული ვალდებულებების შეუსრუ-ლებლობის საშიშროებას.

ინვესტიციური რისკის შემადგებლობაში ხანდახან გამოყო-ფენ როგორც დამოუკიდებელ რისკებად პირდაპირი ინვესტიციე-ბის და უძრავ ქონებაში ინვესტიციების რისკებს, და აგრეთვე კონ-ცენტრაციის რისკებს (ისინი წარმოიშვებიან ერთი ემიტენტის/ ან დაკავშირებული ემიტენტების ფასიანი ქაღალდების წილის ჭარ-ბად ზრდისას პორტფელში ან ერთი კონტრაგენტის/ ან რამოდე-ნიმე დაკავშირებულის/ დავალიანების ზრდისას, რაც ზრდის მა-ღალი დანაკარგების ალბათობას არაკეთილსასურველი ფაქტორე-ბის ზემოქმედებისას აღნიშნული ემიტენტებისათვის ან კონტრა-გენტებისათვის; კონცენტრაციის რისკები აგრეთვე წარმოიშვება ფონდის ერთი თანამშრომლის ან მმართველი კომპანიის/აქტივე-ბის მმართველის გადაწყვეტილების მიღებისას უფლებამოსილე-ბის კონცენტრაციისას).

და საბოლოოდ, რისკების შემდგომ ჯგუფს შეადგენს ორ-განიზაციულ-მმართველობითი (ოპერაციული რისკები). ეს არის რისკები, რომლებიც განსაზღვრავენ არასახელმწიფო საპენსიო ფონდის საქმიანობის საბოლოო შედეგის დაუგეგმავი ცვლილების შესაძლებლობას ხელმძღვანელობის ან ფონდის პერსონალის ეკო-ნომიკურ, ორგანიზაციულ და მმართველობით საკითხებზე მცდარი გადაწყვეტილებების შედეგად. ეს არის - რისკები, რომლე-ბიც განსაზღვრავს არასახელმწიფო საპენსიო ფონდის საქმიანობის საბოლოო შედეგში დაუგეგმავი ცვლილების შესაძლებლობას ფონ-დის მენეჯმენტისა და პერსონალის მცდარი გადაწყვეტილებების გამო ეკონომიკის, ორგანიზაციის და მართვის საკითხებზე. ეს არის საინვესტიციო გადაწყვეტილებების განხორციელებისა და სისტე-მის ოპერაციების აღრიცხვის პროცედურების არასათანადო ფუნქ-ციონირების რისკი, შიდა კორპორატიული ბიზნეს პრაქტიკის არასრულყოფილება, რაც გამოიწვევს, ან შეიძლება გამოიწვიოს ფი-

ნანსური ზარალი ან სხვა უარყოფითი შედეგები არასახელმწიფო საპენსიო ფონდებისათვის. ორგანიზაციული და მენეჯერული რისკების ძირითადი მიზეზები პროფესიული გამოცდილების და ცოდნის ნაკლებობაა. შედეგად, ფინანსური არასწორი გათვლები, თანამშრომელთა შრომის არასრულყოფილი ორგანიზაცია და ა.შ. მზღვეველები აფასებენ საოპერაციო რისკებს მთლიანი მოსალოდნელი რისკების 20%-ის დონეზე.

თავის მხრივ, რისკების მოცემული სახეები იყოფა: რეპუტაციულ, მმართველობით და მარკეტინგულ რისკებად.

აქტუარული რისკები შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად: აქტუარული პასივების რისკი და აქტუარული აქტივების რისკები.

აქტუარული პასივების რისკებს მიეკუთვნება არასწორი შეფასების რისკი (გათვლების) რომელსაც გააჩნია საპენსიო ვალდებულება. ესაა ვალდებულებების არასწორი შეფასების რისკი და შესაბამისად, საპენსიო რეზერვების სტრუქტურისა და სიდიდის არასწორი ფორმირების რისკი. ამას გარდა, არასახელმწიფო საპენსიო ფონდის ვალდებულებების ზომის შეფასებისას საპენსიო სქემების მიხედვით აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ ის ვალდებულებები, რომ "თუნდაც თეორიულად ადეკვატური აქტუარული დაშვებების გამოყენებისას, მხოლოდ დისკონტირებული საოპენსიო გადახდების მათემატიკური მოლოდინის გამოყენება საპენსიო რეზერვების საჭირო ოდენობის სიდიდის შესაფერხებლად არასაკმარისი, საპენსიო გადახდების ნაკადების შემთხვევითი, ალბათური ხასიათის გამო. ადგილი აქვს საპენსიო გადახდების რეალური თანხის მის საშუალო გათვლით შეფასებაზე გადაჭარბების რისკს. მონაწილეების სიკვდილიანობის რყევამ შეუძლია შეიტანოს მნიშვნელოვანი კორექტირება ნებისმიერი ფონდის საფინანსო გეგმაში". ამავე ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ ახალი ვალდებულებების ფორმირებაში შეცდომების რისკი საპენსიო ანგარიშზე ინვესტიციური შემოსავლის დარიცხვისას, პენსიების ინდექსაციისას და სხვა. მოცემულ შემთხვევებში მაგალითად შეიძლება მოხდეს ფონდის ვალდებულებების არაგონივრული გადაფასება, რაც არღვევს აქტუარულ ბალანსს [10].

რაც შეეხება აქტუარული აქტივების რისკებს, მას მიეკუთვნება: ინვესტირების განსაზღვრული (სასურველი) უკუგების მიუ-

ღებლობის რისკი, ზარალის რისკი (რაც ნაწილობრივ გადაიკვეთება ინვესტიციურ რისკებთან); სპონსორის/კონტრიბუტორისგან საპენსიო შენატანების მიუღებლობის რისკები, რაც ქმნის სრულად დაუფინანსებელი საპენსიო სქემების გამოყენების საფრთხეს (რომელიც ნაწილობრივ იკვეთება საკრედიტო რისკთან).

აგრეთვე საჭიროა გავითვალისწინოთ ის რისკები, რომლებიც წარმოიშვებიან ამ თუ იმ საპენსიო სქემაში. ასე მაგალითადდ უვადო გადახდის სქემაში წარმოიშვება მიღწევის რისკი, და აგრეთვე შემოსავლიანობის პროგნოზის რისკი. საკუთარი რისკები წარმოიშვება სხვადასხვა საპენსიო სქემებში პენსიის ინდექსაციით. თუ ინდექსაციის სიდიდე წინასწარაა მოცემული (პროცენტებში), მაშინ ასეთი სქემა ნაკლებად მდგრადია, ვიდრე სქემა, სადაც ინდექსაცია ტარდება იმ შემოსავლების გათვალისწინებით, რომლებიც დარიცხულია საპენსიო ანგარიშებზე;

მმართველობითი (მენეჯერული) რისკები - რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ორგანიზაციის პერსონალისა და ხელმძღვანელი ჯგუფის გადაწყვეტილების მიღებასთან.

მარკეტინგული რისკი - არის საქმიანობის საბოლოო შედეგის დაუგეგმავი ცვლილების შესაძლებლობა ფონდის მარკეტინგული საქმიანობის ორგანიზებაში არსებული ხარვეზების გამო.

არასახელმწიფო საპენსიო ფონდის საქმიანობაში რისკების ანალიზმა აჩვენა, რომ ამ რისკების მხოლოდ ნაწილი პირდაპირ დამოკიდებულია თავად არასახელმწიფო საპენსიო ფონდების მუშაობაზე. ასეთ რისკებს შორის არის: მაგ. აქტუარული, მმართველობითი. სხვები მაგ. ფინანსური, დამოკიდებულია მხოლოდ ნაწილობრივ. მაგრამ უმეტესობა რისკები არაა დამოკიდებული საერთოდ ფონდის საქმიანობაზე. ეს ნიშნავს, რომ ამ რისკებს ასეთ ფონდებთან მიმართებაში ექნება გარეგანი ხასიათი თუმცა რისკმენეჯმენტი არასახელმწიფო საპენსიო ფონდის, უპირობოდ უნდა ითვალისწინებდეს აღნიშნული რისკის სახეებსაც.

არასახელმწიფო საპენსიო ფონდისთვის მთლიანად რისკების აღმოფხვრა შეუძლებელია, მაგრამ, მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ ფონდისთვის მისაღები რისკის დონე. არასახელმწიფო საპენსიო ფონდისთვის მისაღები დონე შეიძლება განვსაზღვროთ როგორც თანაფარდობა ნეგატიური ზემოქმედებებისა მის საქმიანობაზე და ამ საქმიანობის პოზიტიური შედეგებისა. მისაღები რის-

კი არასახელმწიფო საენსიო ფონდების მუშაობისთვის, როგორც სოციალური ინსტიტიტებისათვის შეიძლება განისაზღვროს 5-25%-ში, ე.ი. სადაზღვევო რეზერვის სიდიდის ფარგლებში.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ არასახელმწიფო საპენსიო ფონდის საქმიანობაში აუცილებელია არა მხოლოდ რისკების სრული სიის განსაზღვრა, რომლებიც თან ახლავს ამ ფონდებს, არამედ შესაბამისი მართვის მეთოდის შესარჩევად თითოეული მათგანისათვის, რაც საშუალებას მოგვცემს ოპტიმალურად დაორგანიზდეს ფონდის რისკების მართვის სისტემა.

მსოფლიო პრაქტიკაში განასხვავებენ საპენსიო სისტემის 2 კლასიკურ ტიპს ფინანსირების კუთხით: გადანაწილებითი და დაგროვებითი.

გადანაწილებით საპენსიო სისტემაში პენსიონერებს გადახდები ეძლევათ დასაქმებულთა მიმდინარე შემოსავლების ხარჯზე (მიმდინარე საგადასახადო შენატანები ბიუჯეტში).

დაგროვებითში მომუშავე თაობა იხდის შენატანებს, რომლებიც არ ხმარდება გადახდებს მოხუცებულებისთვის, არამედ გროვდება, ინვესტირდება და ინვესტირებიდან მიღებულ შემოსავლებთან ერთად მომავალში გამოიყენება საპენსიო უზრუნველყოფისათვის იმათთვის, ვინც ახორციელებდა დაგროვებას.

განსაკუთებით უნდა გამოიყოს პირობით-დაგროვებითი საპენსიო სისტემა, რომელიც გამოიყენება ზოგიერთ ქვეყნებში და თავის თავში ითავსებს გადანაწილებითი და დაგროვებითი ტიპის საპენსიო სისტემის ელემენტებს. ამასთან, პენსიაზე უფლება მიიღება საპენსიო სისტემაში მონაწილის მიერ შენატანების გზით. შემოსული შენატანების აღრიცხვა და მათი თანხების დათვლა ინდივიდუალურად მიმდინარეობს. დაგროვებების პირობითი ბალანსის ინდექსირება შესაძლებელია და საპენსიო ასაკის მიღწევისას მონაწილის პირობითი დაგროვებითი საპენსიო კაპიტალი გარდაიქმნება ანუიტეტურ გადახდებად [12].

საპენსიო სისტემების გამოყენების საერთაშორისო გამოცდილების მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო იშვიათად იყენებს მხოლოდ ერთი ტიპის სისტემას, ძირითადად გვხვდება სხვადასხვა კომბინაციები და აგრეთვე სისტემების კლასიკური ტიპების „ჰიბრიდები“. უკანასკნელნი ხელს უწყობენ სისტემის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფას, საშუალებას იძლევიან უზ-

რუნველყონ ჩანაცვლების შედარებით მაღალი კოეფიციენტი და შეამცირონ ერთი კომპონენტის მინუსი სხვების პლიუსების ხარჯზე.

მსოფლიო ბანკის ექსპერტები, რომლებიც მონაწილეობენ საპენსიო რეფორმების გატარებაში 80-ზე მეტ ქვეყანაში. აგრეთვე აღიარებენ საპენსიო უზრუნველყოფის მრავალკომპლექსური სისტემების პრიორიტეტულობას, რომლებიც, შესაბამის პირობებში, მოიცავენ განსაზღვრულ დაგროვებით და გადანაწილებით შემადგენლებს.

ნებისმიერ ქვეყანაში ხანდაზმული მოსახლეობის მატერიალურად უზრუნველყოფის საკითხს ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ქონდა. განსაკუთრებით კი ეს საკითხი წინ წამოწია მსოფლიოში მიმდინარე ბოლო დროინდელმა დემოგრაფიულმა ტენდენციებმა, რამაც გაზარდა სახელმწიფო საპენსიო სისტემის მდგრადობის რისკები და მოითხოვა რიგი რეფორმების გატარება.

2019 წლამდე საქართველოში მოქმედებდა სახელმწიფო საპენსიო სისტემა, არსებული საპენსიო მექანიზმი საბაზო შემოსავალს სთავაზობდა თითოეულ მოქალაქეს მათი სამუშაო სტაჟის, ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადის შეტანილი წვლილის მიუხედავად. საპენსიო ასაკიც ქალებისა და მამაკაცებისათვის საქართველოში განსხვავებულია და ქალებისთვის 60, ხოლო მამაკაცებისთვის 65 წელს შეადგენს.

საქართველოში არსებული სახელმწიფო პენსია ვერ უზრუნველყოფს ცხოვრების მინიმალურ სტანდარტებს. ამიტომ დღის წესრიგში დადგა საკითხი დაგროვებითი საპენსიო სისტემის დასანერგად. ეჭვგარეშეა, რომ დაგროვებითი საპენსიო სისტემა გააუმჯობესებს მოხუცებულთა ეკონომიკურ მდგომარეობას და ქვეყნის ეკონომიკისთვისაც სასარგებლო იქნება. თუმცა ამ შემთხვევაში რისკებიც იზრდება.

იქიდან გამომდინარე, რომ საპენსიო სისტემა სხვა არაფერია, თუ არა რესურსების გადანაწილება თაობებს შორის, ერთი და იმავე თაობაში ან ერთიდაიმავე ადამიანისთვის დროში, რადგანაც საქართველო არ არის ეკონომიკურად განვითარებული ქვეყანა, მაღალი პენსია ნაკლებად შესაძლებელია. სახელმწიფო საპენსიო სისტემის წნეხი ბიუჯეტზე საკმაოდ დიდია და მზარდი საბიუჯეტო ხარჯები კი ფისკალურ სტაბილურობას საფრთხეს უქმნის. არგუ-

მენტები სავალდებულო დაგროვებითი კერძო საპენსიო სისტემის მიმართ განსხვავებულია. თუმცა განვითარებადი ქვეყნებისათვის სხვა ალტერნატივა ნაკლებად სავარაუდოა.

დღეისათვის მსოფლიოში სახელმწიფო საპენსიო ფონდის სისტემის განსხვავებული მოდელები და მიდგომები არსებობს, თითოეული ქვეყანა ამა თუ იმ საპენსიო სისტემის არჩევანს მისი სოციალური პოლიტიკის მიზნებიდან გამომდინარე აკეთებს.

საქართველო, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ცდილობდა შეენარჩუნებინა „ღირსეული პენსია“ ასაკოვანი მოსახლეობისათვის, თუმცა ეკონომიკურმა კოლაფსმა განაპირობა ის, რომ მაღალი სოციალური გადასახადის პირობებში ბიუჯეტში გარღვევების გამო მთავრობას ბევრჯერ მოუწია მოსახლეობისათვის იმ დროისათვის არსებული 7 ლარიანი პენსიების „გაყინვა“. მომდევნო წლებში შედარებით გაუმჯობესებული ფისკალური პოლიტიკის ფონზე ქვეყანაში პენსიების მოცულობის გადახედვა და დარიგება ისევ მიმდინარე საბიუჯეტო შესაძლებლობების მიხედვით ხდებოდა სანამ 2007 წელს სოციალური გადასახადის გაუქმებისას უარი ითქვა საბიუჯეტო დაგროვებით სისტემაზე. შედეგად საქართველოში ჩამოყალიბდა სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებული სახელმწიფო საფინანსო სისტემა, რომელიც მოიცავს ყველა ასაკოვან პირს ერთნაირი პენსიით. არსებული პენსიის მოცულობა რა თქმა უნდა ძალიან დაბალია და არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ასაკოვან ადამიანს ღირსეული სიბერე ქონდეს. მართალია დღეისათვის პენსიის ოდენობა აჭარბებს საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმს, მაგრამ - დღეს არსებული საარსებო მინიმუმიც განსჯის საკითხია.

დღეისათვის მსოფლიოში არსებული გლობალური დემოგრაფიული ტენდენციები საქართველოსთვისაც რელევანტურია და შესაბამისად რიგი მახასიათებლებით გამოირჩევა. სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდისა და შობადობის დონის შემცირების ფონზე, ასაკოვანი მოსახლეობის რაოდენობა მატულობს.

„მოსახლეობის დაბერების“ საფრთხე საქართველოსთვისაც მაღალია, რაც მომავალში ტვირთად დააწვება ეკონომიკას. ჩვენი ეკონომიკა, რესურსების გამოყენების კუთხით, დიდწილად სამუშაო ძალის მხრივ საკმაოდ არაეფექტიანია. უმუშევრობის მაღალ დონესთან ერთად, მთლიანად შრომისუნარიან მოსახლეობაში ძა-

ლიან მცირეა დაქირავებით დასაქმებულების წილი. უმეტეს ნაწილს თვითდასაქმებულები წარმოადგენენ, რომნლებიც დაბალ-პროდუქტიულ სექტორებში არიან. უნდა აღინიშნოს, რომ მოსახ-ლეობის დაბერება შესაბამისად შრომითი უნარების უფრო დიდ-ხანს შენარჩუნებასაც ნიშნავს. აქედან გამომდინარე საპენსიო ასა-კის გაზრდა, რაც უმეტესობა ქვეყნებში უკვე განხორციელდა სა-მართლიანია. პირველ ეტაპზე შესაძლებელია ქალის მინიმალური ასაკის გაზრდა 65 წლამდე, შემდგომ კიდევ ორივეს ცვლილება.

საპენსიო ასაკის ზრდა რა თქმა უნდა არ ნიშნავს ასაკოვანი მოსახლეობის ეგრევე სამუშაო ძალაში მოაზრებას და მათ ეკონო-მიკურ აქტივობას. ამ შემთხვევაში რიგი ღონისძიებების გატარებაა საჭირო: სახელმწიფო შემწეობები მათთვის, ვინც ვერ იშოვის სამ-სახურს და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ აღმოჩნდება; ზოგს შეიძ-ლება დაჭირდეს გადამზადება. თუმცა ეს დიდად არ აისახება სა-მუშაო ძალის გაზრდაზე, მაგრამ ამან რაღაც კუთხით შეიძლება საბიუჯეტო ტვირთი შეამციროს.

რთული დემოგრაფიული გაოწვევების ფონზე, საგადასახა-დო რესურსების მობილიზების შესაძლებლობა დადებითად შეიძ-ლება ჩაითვალოს, სოციალური გადასახადის არ არსებობის გამო, რასაც ემატება ის ფაქტიც, რომ საქართველოში გადასახადები და განაკვეთები მცირეა და შესაბამისად თუ საჭირო გახდა შესაძლე-ბელი იქნება განაკვეთების გაზრდა ან ახალი მოსაკრებლების შე-მოღება. მაგრამ აქქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ეს უარყოფითად აი-სახება ქვეყნის საინვესტიციო გარეოზე, თუმცა რიგი ღონისძიე-ბების გატარების შედეგად ეს პრობლემაც დაძლევადია.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ დღეს მსოფლიოში არ-სებული დემოგრაფიული ტენდენციები სახელმწიფო საპენსიო სისტემისთვის რისკების შემცვლელია, თუმცა დღესდღეობით არ-სებული სქემა მდგრადობას ინარჩუნებს, მაგრამ ვერ უზრუნველ-ყოფს მოსახლეობისათვის ღირსეულ სიბერეს. ამიტომ სხვა ალტერ-ნატიული საპენსიო სისტემების ძიება კერძოდ, კი კერძო დაგრო-ვებითი საპენსიო სისტემის შემოღება მუდმივად აქტუალური საკითხია.

ყოფილმა სოციალისტურმა რესპუბლიკებმა კერძო საპენსიო დანაზოგების წახალისება და სავალდებულოდ ,ან ნებაყოლობით შემოღება ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან დაიწყეს. რიგი პირობების

გამო საქართველოში ამის დანერგვა თავიდან ვერ განხორციელდა, თუმცა დაგროვებით საპენსიო სისტემის დანერგვაზე ლაპარაკი აქტიურად მიმდინარეობდა. რეფორმის მიზანს წარმოადგენდა დასაქმებულების მიერ საკუთარი დანაზოგებით სიბერეში ცხოვრების მაღალი სტანდარტების უზრუნველყოფა.

რეფორმის ფარგლებში ბენეფიციარები შეიტანენ ფონდში დანაზოგებს და შემდგომ მიიიღებენ უკან საპენსიო ასაკის მიღწევისას. დაგროვებითი საპენსიო სისტემის შედეგად ეკონომიკაში მოხდებადანაზოგების ზრდა, ხელს შეუწყობს კაპიტალის ბაზრის განვითარებას და მშპ-ს ზრდას.

როგორც ცნობილია საქართველოში სახელმწიფო პენსიის ანაზღაურება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხორციელდება. რაც მძიმე ტვირთად აწვება ქვეყნის ეკონომიკას. სწორედ ამიტომ, საპენსიო ასაკის მიღწევისას მოსახლეობისათვის გაუმჯობესებული ცხოვრების დონის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოში 2019 წლის 1 იანვრიდან დაგროვებითი საპენსიო სქემა ამოქმედდა, რეფორმის ძირითადი მიზანია სოციალური პენსიის მსყიდველუნარიანობის შენარჩუნება და სესაბამისად გაუმჯობესება; საპენსიო შემოსავლისა და ხელფასის თანაფარდობის ზრდა და ა.შ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული რეფორმის წარმატებული განხორციელება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ და ფინანსურ სტაბილურობასთან, რაც რიგ ფინანსურ საფრთხეებს მოიაზრებს.

დაგროვებითი საპენსიო სისტემა მოიაზრებს სქემაში მონაწილე პირის საპენსიო ანგარიშზე დასაქმებულის, დამსაქმებლისა და სახელმწიფოს მიერ ცხოვრების მანძილზე არსებული შენატანების აკუმულაციას.

საქართველოში საპენსიო სისტემის განხორციელების შედეგად, საპენსიო ნსააგენტო შეიქმნა, რომელიც 2019 წლის პირველი ნახევრიდან ამოქმედდა. იგი გულისხმობდა სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემის ონაწილეთა თანხების შეგროვებას. ეს სქემა ეფუძნება 2%+2%+2% დაგროვების პრინციპს. ამ სქემით დამსაქმებელი დასაქმებულის სახელით დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე მისი ხელფასის დაუბეგრავი მოცულობის 2%-ს რიცხავს. 2%-ს დამსაქმებელი საკუთარი სახელით დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე შეიტანს.

დასაქმებულის ხელფასის ოდენობის გათვალისწინებით დასაქმებულის სასარგებლოდ შენატანს აგრეთვე სახელმწიფოც ახორციელებს.

საპენსიო დანაზოგების ინვესტირებას საპენსიო სააგენტო და საპენსიო სააგენტოს მიერ შერჩეული აქტივების მმართველი კომპანია ახორციელებს საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც საპენსიო აქტივების მართვისა და ინვესტირების ჩარჩოს წარმოადგენს და აქტივების განთავსების გრძელვადიან სტრატეგიას განსაზღვრავს. საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო საბჭო, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული 5 წევრისაგან შედგება, ხორციელებს საპენსიო აქტივების ინვესტირებასთან დაკავშირებული საქმიანობის მონიტორინგს და ამტკიცებს საინვესტიციო პიოლიტიკის დოკუმენტს. საინვესტიციო საბჭო აგრეთვე პასუხისმგებლობას იღებს დაგროვებითი საპენსიო სქემის სპაციალიზებულ დეპოზიტარისა და აქტივების მმართველი კომპანიების შერჩევაზე. რაც შეეხება ეროვნულ ბანკს, იგი მხოლოდ საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო საქმიანობის რეგულირებასა და ზედამხედველობას ახორციელებს და ზედამხედველობას უწევს მათ. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული ბანკი 2019 წლიდან გახდა საპენსიო ფონდების ზედამხედველობის საერთაშორისო ორგანიზაციის მმართველი წევრი, რაც მას საშუალებას მისცემს გაიზიაროს სხვა წევრი ქვეყნების გამოცდილება საპენსიო ფონდების რეგულირების სფეროში.

დაგროვებით საპენსიო სქემაში ჩართული მოსახლეობა საპენსიო სააგენტომ სამ ასაკობრივ კატეგორიაში გადაანაწილა და მათი თანხების ინვესტირებას სხვადასხვა საინვესტიციო ინსტრუმენტებით აპირებს. შესაბამისად, სამივე კატეგორიას თავისი რისკები გააჩნია. მოსახლეობას თვითონ აქვს შესაძლებლობა აირჩიოს შესაბამისი საინვესტიციო პორტფელი და ყურადღება ადევნოს მათ სიდიდეს.

აქტივების მართვის სისტემა 2 მთავარ პრონციპზეა დაყრდნობილი: აქტივებს უნდა მართავდეს დამოუკიდებელი მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალი და ქტივების მართვის ეფექტიანი ზედამხედველობის მექნიზმები უნდა არსებობდეს.

2025 წლიდან საპენსიო სისტემაში აქტივების მართვა კერძო აქტივების მმართველებსაც შეეძლებათ. კერძო აქტივების მმართვე-

ლები საინვესტიციო საბჭოსთან ერთად განახორციელებენ აქტივების მართვას. თითოეულ მონაწილეს ექნება შესაძლებლობა თავად გააკეთოს არჩევანი, თუ რომელი და როგორი აქტივების მართვა სურს.

საპენსიო სააგენტოს ინფორმაციით, არსებული კანონი, რომელიც ეხება საპენსიო თანხების მართვასა და ინვესტირებას არასრულყოფილია და 2025 წიდან დაგეგმილი ცვლილების შედეგად მონაწილეები შეძლებენ ინდივიდუალურად მიიიღონ თავიანთი საინვესტიციო გადაწყვეტილებები. საპენსიო სააგენტოს განცხადებით ვაჭრობისას, ხალხის ფულის დაცვის სამ დონეს გამოიყენებს. ეს იქნება მკაცრი კანონმდებლობა, ეროვნული ბანკი, როგორც ზედამხედველი უწყება და დამოუკიდებელი საბჭო.

დასკვნა

საპენსიო პოლიტიკის შემუშავება უმეტესობა ქვეყნებში მნიშვნელოვანი განსჯის საგანს წარმოადგენს. უმეტესობა განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები დღემდე ახორციელებენ საპენსიო სისტემების მოდიფიცირებას რათა უზრუნველ;ყონ ადეკვატური საპენსიო შემოსავალი, საპენსიო ხარჯების ფისკალური მდგრადობა და მოსახლეობის დემოგრაფიული ცვლილების მიმართ სწრაფად ადაბტირება. ბოლო პერიოდში დაფიქსირებული მოსახლეობის მატებისა და დაბერების, სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის, შრომითი ძალის სემცირებისა და გახშირებული ფინანსური კრიზისების ფონზე, გასული საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანებიდან მოყოლებული, სულ უფრო აქტუალური ხდება საპენსიო სისტემების გადაუდებელი რეფორმების განხორციელების საკითხი. აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოში საპენსიო რეფორმის გატარების აუცილებლობა ეჭვს არ იწვევს, განსაკუთრებით ქვეყნის სუსტი ეკონომიკური და სოციალური სიდუხჭირის კვალობაზე.

საქართველოში საპენსიო რეფორმის აქტიური განხილვა 2017 წლიდან დაიწყო და საპენსიო უზრუნველყოფის შერეულ პრინციპზე დამყარებული მოდელი იქნა შემოთავაზებული. ეს მოდელი მოიაზრებს ცალკეული ელემენტების შერწყმას: სახელმწიფო (სოლიდარული) და დაგროვებით საპენსიო სქემებს. განვითარებული ქვეყნების საპენსიო სისტემების განხილვამ დაგვანახა, რომ შერეული მოდელები ყველაზე მეტად ეფექტურია, კერძოდ:

გარკვეულწილად ამცირებს რისკებს, ზრდის მოქნილობას საპენსიო უზრუნველყოფაში სახელმწიფო და კერძო სექტორების მონაწილეობის მოცულობათა განსაზღვრისას. აგრეთვე, ასეთი შერეული მოდელები სხვადასხვა კრიზისების (ფინანსური, ეკონომიკური) დროს, რაც ბოლო პერიოდში გახშირდა და გლობალური ხასიათი მიიღო, ახდენს საპენსიო სქემებს შორის რისკების დივერსიფიკაციას.

როგორც ცნობილია საქართველოში სახელმწიფო პენსიის ანაზღაურება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხორციელდება. რაც მძიმე ტვირთად აწვება ქვეყნის ეკონომიკას. სწორედ ამიტომ საპენსიო ასაკის მიღწევისას მოსახლეობისათვის გაუმჯობესებული ცხოვრების დონის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოში 2019 წლის 1 იანვრიდან დაგროვებითი საპენსიო სქემა ამოქმედდა. რეფორმის ძირითადი მიზანია სოციალური პენსიის მსყიდველუნარიანობის შენარჩუნება და შესაბამისად გაუმჯობესება; საპენსიო შემოსავლისა და ხელფასის თანაფარდობის ზრდა და ა.შ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული რეფორმის წარმატებული განხორციელება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ და ფინანსურ სტაბილურობასთთან, რაც ფინანსურ საფრთხეებს მოიაზრებს. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია:

- მყიფე ეკონომიკურ გარემო - აღნიშნული რეფორმის თანახმად სავალდებულო წესით დამსაქმებელი იხდის დასაქმებულის ხელფასის 2%-ს, რაც მას უზრდის გადასახდელებს და მძიმე მდგომარეობაში აყენებს არესებული ეკონომიკის პირობებში. მაღალია ალბათობა იმისა, რომ დამსაქმებლებმა თავი აარიდონ საპენსიო ფონდში თანხის გადარიცხვას, რაც საბოლოოდ ისევ დასაქმებულის ინტერესებს შეზღუდავს;

- მიმდინარე სავალუტო კრიზისი - დიდი ალბათობით რეფორმა ეფექტური ვერ იქნება ქვეყანაში არსებული მინიმალური კერძო დანაზოგების, შიდა ინვესტიციების და სავალუტო კრიზისის ფონზე;

- საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის განუვითრებლობა - ზოგადად საპენსიო სისტემები საპორტფელო ინვესტიციებს ახორციელებენ და ძირითადად თავიანთ აქტივებს ფასიან ქაღალდებში განათავსებენ და თითქმის არ ხდება პირდაპირი ინვესტიციების განხორციელება. საქართველოში ფასიანი ქაღალდე-

ბის ბაზარზე მათი განთავსება კი არ იქნება მომგების მომტანი ამ ბაზრების განუვითარებლობის პირობებში. შესაძლებელია აქტივების განთავსება მოხდეს საზღვარგარეთ, თუმცა აქაც რიგი ფაქტორებია გასათვალისწინებელი და უმჯობესია საინვესტიციო რესურსების ქვეყნის გარეთ გადინების თავიდან ასაცილებლად ინვესტირება ქართულ ეკონომიკაში განხორციელდეს თუმცა აქაც რიგი ფაქქტორები და პრობლემები მოიაზრება.

- საპენსიო აქტივების კვალიფიციური და ეფექტური მართვა - საჭიროა ნდობის ფაქტორის ამაღლება, ეფექტური რეგულაციები დანერგვა, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა და ა.შ.

-

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს მთავრობა, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია – „საქართველო 2020“, 2014 წელი. http://static.mrdi.gov.ge/551018320cf24147438b16fd.pdf
2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საპენსიო რეფორმის სამსახური – http://www.economy.ge/ge/sapensio-reformis-samsaxuri
3. A.Karabekian, USAID CONTINUES SUPPORT TO PENSION REFORM IMPLEMENTATION IN ARMENIA, 2013. https://www.usaid.gov/armenia/press-release/PRIP-official-launch
4. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, დისკუსია დაგროვებითი საპენსიო სისტემისა და განვითარებული საფონდო ბირჟის შესახებ, 2015 წელი. https://idfi.ge/ge/discussion-on-accumulative-pension-system
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. http://geostat.ge/?action=page&p–id=145&lang=geo
6. ირინა გურული – მონიტორინგის პროგრამების მენეჯერი – ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი. http://www.eprc.ge/index.php?a=main&pid=40&lang=geo
7. http://www.pmcg-i.com/ourstory/our-team
8. Christopher D. Carroll, Byung-Kun Rhee and Changyong Rhee (1994), “Are There Cultural Effects on Saving? Some Cross-Sectional Evidence”, The Quarterly Journal of Economics[წყარო] ;

9. Dorota Maśniak and Dóra Janiné Lados (2014), "Pension Reforms in Poland and Hungary from the Legal Perspective – similarities and differences", Insurance Review[წყარო] ;
10. Forbes (2009), "Tax Misery Index", Forbes Website[წყარო] ;
11. Holzmann, Robert (1996), "Pension Reform, Financial Market Development, and Economic Growth: Preliminary Evidence from Chile", IMF Working Paper[წყარო] ;
12. Luise Mladen (2012), „A Comparative Review Over the Pension Systems' Performance in Central and Eastern European Countries", Journal of Knowledge Management[წყარო] ;

Tea Lazarashvili

GEORGIAN PENSION FUND AND RELATED FINANCIAL THREATS

Summary

Pension policy development is a major consideration in most countries. Most developed and developing countries are still modifying their pension systems to ensure adequate retirement income, fiscal sustainability of pension expenditures, and adaptation to demographic changes. Against the backdrop of recent population growth and aging, increased life expectancy, shrinking labor force, and frequent financial crises, the issue of implementing urgent pension system reforms has become increasingly urgent since the mid-1990s. Based on the above, the necessity of implementing pension reform in Georgia is beyond doubt, especially given the country's weak economic and social situation. Active discussion of pension reform in Georgia began in 2017, and a model based on the mixed principle of pension provision was proposed. This model involves the combination of separate elements: state (solidarity) and accumulative pension schemes. A review of the pension systems of developed countries has shown us that mixed models are the most effective, namely: they somewhat reduce risks, increase flexibility in determining the volumes of participation of the state and private sectors in pension provision. Also, such mixed models diversify risks between pension schemes during various crises (financial, economic, etc.), which have become more frequent in recent times and have taken on a global character.

ლია თოთლაძე

ციფრული ტრანსფორმაციის საერთაშორისო პროგრამები საქართველოში და მათ განხორციელებასთან დაკავშირებული ფინანსური საფრთხეები

ანოტაცია. *დღეს მსოფლიოში არსებული რეალობა ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს ქვეყნებს. ისინი ეძებენ განვითარების გზებს, რომელიც სრულად შეესაბამება ციფრულ ეპოქას და განმსაზღვრელი იქნება ქვეყნის ადგილისა და როლისათვის მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში. განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად კი განიხილება ინოვაციურ, ტექნოლოგიურ ცვლილებებზე დაფუძნებული ეკონომიკის ფორმირება, ტექნოლოგიებისა, რომლებიც წარმოადგენენ ციფრული ტრანსფორმაციის საფუძველს.*

ნაშრომში გადმოცემულია მსჯელობა ციფრული ტრანსფორმაციის არსისა და მისი გამომხატველი ინოვაციური აქტიურობის როგორც მაკრო, ასევე მიკროდეტერმინანტების შესახებ. საქართველოში ამ მიმართულებით ხორციელდება საერთაშორისო პროგრამები, რომელთა მიზანია ქვეყანაში ამ მიმართულებით აქტივობების ხელშეწყობა. მიმოხილულია საქართველოში ციფრული ტრანსფორმაციის საერთაშორისო პროგრამები. ევროკავშირის მიერ ინიცირებული „EU4Digital: ციფრული ეკონომიკისა და საზოგადოების მხარდაჭერა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“ მხარს უჭერს ციფრული ეკონომიკისა და საზოგადოების ძირითად სფეროებს ევროკავშირის ნორმებისა და პრაქტიკის შესაბამისად. ინიციატივის EU4Digital ფარგლებში ფინანსდება ***ოთხი პროექტი*** *– EU4Digital Facility, EU4Digital Broadband, EU4Digital Cyber და EaPConnect. ნაშრომში გადმოცემულია აგრეთვე USAID-ის, OECD-ს ბიზნესის განვითარებისა და გაციფრულების ხელშეწყობის პროგრამები საქართველოში. ყურადღება ეთმობა აგრეთვე პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული ფინანსური ფაქტორების ანალიზს.*

კვლევაში გაანალიზებულია საქართველოში ტექნოლოგიური ცვლილებების ამსახველი სტატისტიკური მონაცემები საწარმოთა დონეზე. ანალიზი ეფუძნება საწარმოთა კვლევის შედეგებს

ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ და მოიცავს რო-გორც ტექნოლოგიების გავრცელების, ასევე ხელისშემშლელი ფაქტორების წარმოჩენას.

****

ციფრული ტრანსფორმაცია არის ციფრული ტექნოლოგიე-ბის გამოყენების პროცესი ბიზნესის ფუნქციონირების ფუნდამენ-ტურად შესაცვლელად. ეს შეიძლება გულისხმობდეს, ბიზნესპრო-ცესების ეფექტურობისა და სამომხმარებლო გამოცდილების გა-უმჯობესებას ან თუნდაც სრულიად ახალი ბიზნესმოდელის შექმ-ნას. Deloitte-ის ანგარიშის მიხედვით, ციფრული ტრანსფორმაციის შედარებით მაღალი სიმწიფის მქონე კომპანიებმა უკანასკნელი კვლევებით შემოსავლის 45%-იანი ზრდა დაადასტურეს, 29%-მა აღნიშნა დადებითი გავლენა ზრდასა და ინოვაციებზე, ხოლო 41%-მა ხაზი გაუსვა პოზიტიურ გავლენას გაყიდვებსა და მარკეტინგულ პროცესებზე. ჩამოთვლილი შედეგები ნამდვილად შთამბეჭდავია, მაგრამ ასევე გასათვალისწინებელია, რომ ციფრული ტრანსფორმა-ციის დროს ასეთი წარმატების მისაღწევად აუცილებელია სწო-რად დაგეგმვა და განხორციელება მისი ყველა ასპექტის გათვა-ლისწინებით. ახალმა ციფრულმა ტექნოლოგიებმა გამოიწვია მომ-ხმარებელთა მოლოდინების ცვლილება, რის შედეგადაც წარმოიქ-მნა ახალი ტიპის თანამედროვე მყიდველი, რომელიც პირველ რიგში კომპანიას მისი ციფრული პროდუქტების მიხედვით აფა-სებს. მობილური მოწყობილობები, აპლიკაციები, პროცესების ავ-ტომატიზაცია და მრავალი სხვა საშუალებას გვაძლევს მივიღოთ ის, რაც გვსურს თითქმის ზუსტად იმ მომენტში, როდესაც გვჭირ-დება.

თანამედროვე ბიზნესის სწრაფად განვითარებად გარემოში „ციფრული ტრანსფორმაცია“ სტრატეგიული მნიშვნელობის აუცი-ლებლობად იქცა. სწრაფი ტემპით ტექნოლოგიების განუწყვეტელ-მა განვითარებამ ფუნდამენტურად შეცვალა ადამიანთა ცხოვრების წესი, სამუშაო ჩვევები თუ სამომხმარებლო ქცევა. შესაბამისად, ამ დინამიკურ გარემოში წარმატების მისაღწევად <u>ბიზნესის ციფრუ-ლი ტრანსფორმაცია</u> ისეთი მოცემულობაა, რომლის დანერგვა გა-დამწყვეტი გახდა ბიზნესის მდგრადი და გრძელვადიანი წარ-მატებისთვის.

ციფრულ ტრანსფორმაციათან ერთად, ხშირად ვხვდებით სიტყვას “გაციფრულება", “დიგიტალიზაცია”, ზოგჯერ ამ სიტყვებს იყენებენ როგორც სინონიმებს, მაგრამ რეალურად შინაარსით ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. **დიგიტალიზაცია** ნიშნავს რაიმეს ანალოგიდან ციფრულ ფორმატში გადაყვანას, რაც გულისხმობს ფიზიკური ან ანალოგური (ტექსტური, ხმოვანი ან ვიზუალური) მონაცემების გარდაქმნას ციფრულ ფორმატში, რომელიც შეიძლება შენახულ იქნეს და დამუშავდეს ელექტრონულად, მაგალითად, ბეჭდური დოკუმენტის დასკანერება და ელექტროვერსიად გადაქცევა. **დიგიტალიზაცია ანუ გაციფრულება** არის ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება ბიზნესპროცესების გასაუმჯობესებლად, ეფექტიანობისა და ფასეულობის გასაზრდელად. იგი გულისხმობს ციფრული ინსტრუმენტებისა და ტექნოლოგიების გამოყენებას ტრადიციული ბიზნესამოცანების აღსარულებლად, მაგალითად, ციფრული ხელსაწყოების დანერგვა. დიგიტალიზაცია/გაციფრულება უფრო მეტია, ვიდრე არსებული ანალოგური მონაცემების ციფრული კონვერტაცია და გულისხმობს ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაციას ბიზნესის კონკრეტულ ასპექტში.

ციფრული ტრანსფორმაცია უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ თანამედროვე გაჯეტებისა და პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება. იგი მოიცავს ჰოლისტიკურ მიდგომას, რომელიც აერთიანებს ციფრულ ტექნოლოგიებს მთელი ორგანიზაციის მასშტაბით. იგი მოიცავს ოპერაციებისა და <u>პროცესების ოპტიმიზაციას,</u> ინოვაციური კულტურის ხელშეწყობას და მონაცემთა გამოყენებას მტკიცებულებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მისაღებად. მისი არსით, ციფრული ტრანსფორმაცია არის უფრო მასშტაბური და ყოვლისმომცველი პროცესი, ვიდრე მონაცემების დიგიტიზაცია ან კონკრეტული ბიზნესოპერაციის გაციფრულება. წარმოუდგენელია ციფრული ტრანსფორმაციის წარმატებით განხორციელება, თუ მას წინ არ უძღვის დიგიტიზაციისა და დიგიტალიზაციის ეტაპები. ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით ბიზნესს შეუძლია სამომავლო პოტენციალის შექმნა და არსებითი სარგებლის მიღება დღეს.

- ციფრული ტრანსფორმაცია საშუალებას აძლევს ბიზნესს დააკმაყოფილონ ეს მოლოდინები რუტინული ამოცანების ავტომა-

ტიზაციის, თვითმომსახურების ვარიანტების უზრუნველყოფისა და რეალურ დროში მხარდაჭერის შეთავაზებით.

➢ ციფრული ტრანსფორმაციის მეშვეობით პროცესების გამარტივება ზრდის ეფექტურობას. პროცესების ავტომატიზაცია და ოპტიმიზაცია იწვევს რესურსების დაზოგვას, ხარჯებისა შემცირებას და მთლიანი პროდუქტიულობის გაზრდას. ის ასევე ამცირებს შეცდომებს, დაზოგავს დროს და ათავისუფლებს ძვირფას რესურსებს თანამშრომლებისთვის, რათა ფოკუსირდნენ უფრო მნიშვნელოვან აქტივობებზე.

➢ ციფრული ტრანსფორმაცია უზრუნველყოფს კონკურენტულ უპირატესობას მოწინავე ტექნოლოგიებისა და მონაცემებით გაჯერებული ინსაითების გამოყენებით, რაც საშუალებას აძლევს ბიზნესს უფრო სწრაფად განახორციელოს ინოვაციები, გააუმჯობესოს ეფექტურობა და მოიპოვოს კონკურენტული უპირატესობა მუდმივად ცვალებად ბაზარზე.

➢ ბიზნესგარემოს დინამიკური ბუნება მოითხოვს მუდმივ ადაპტირებას. ციფრული ტრანსფორმაცია <u>ახალისებს ინოვაციისა და ადაპტაციის მხარდამჭერ კულტურას,</u> რაც საშუალებას აძლევს ორგანიზაციებსა და მათ გუნდებს სწრაფად უპასუხონ ბაზრის ცვლილებებს, გამოიყენონ განვითარებადი შესაძლებლობები, გადალახონ გამოწვევები და გაუსწრონ ინდუსტრიის ტენდენციებს.

რა თქმა უნდა, ციფრული ტრანსფორმაციის გავლა შეუძლებელია გამოწვევების გარეშე. შეუსაბამო IT ინფრასტრუქტურა და ციფრული წიგნიერება, კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები და ბიუჯეტირების გათვალისწინება იმ გამოწვევების მხოლოდ მცირე ჩამონათვალია, რომელსაც ბიზნესი შეიძლება წააწყდეს. თუმცა მძლავრი ციფრული სტრატეგიით, სწორი გადაწყვეტილებებით ინვესტიციაში და კულტურის განვითარების უწყვეტი ხელშეწყობით ამ გამოწვევების დაძლევა ნამდვილად შესაძლებელია.

ციფრული ტრანსფორმაცია არ არის ერთჯერადი მოვლენა, არამედ უწყვეტი პროცესია. ცალსახაა, რომ მომავალი ციფრულია და გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ როგორი სახით სურს ბიზნესს ამ მომავალში არსებობა, მათივე ლიდერების ხელშია.

ციფრულ ინფრასტრუქტურაში ინვესტირებისა და ახალი უნარების განვითარების გზით ევროკავშირი საქართველოს ეხმა-

რება ციფრულ ტრანსფორმაციაში. მაგალითად, ეკონომიკური და საინვესტიციო გეგმის (EIP) ფარგლებში ევროკავშირი ევროპის საინვესტიციო ბანკთან ერთად საქართველოს 1,000 სოფლის თემის სწრაფი და საიმედო ინტერნეტკავშირით უზრუნველყოფაზე მუშაობს. შედეგად გაუმჯობესებული ინტერნეტით ნახევარი მილიონი ადამიანი ისარგებლებს. ევროკავშირი ციფრულ უთანასწორობას შეამცირებს ხელმისაწვდომ და უსაფრთხო ფართოზოლოვან კავშირზე წვდომის გაფართოებისა და საქართველოს სოფლის მოსახლეობის ციფრული ინტეგრაციის უზრუნველყოფის გზით. ელექტრონული კომერცია საქართველოს ეკონომიკური ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალაა. ევროკავშირი მოსახლეობის ძირითადი ნაწილისთვის ციფრული უნარების სწავლებას და ონლაინსერვისებზე ფართო წვდომას უზრუნველყოფს, ასევე ეხმარება დეველოპერებს მოწინავე ციფრული უნარების ათვისებაში, ხოლო გოგონებსა და ქალებს ხელს უწყობს განათლების მიღებაში და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორში დასაქმებაში. ის ასევე უზრუნველყოფს ინფრასტრუქტურის, პროგრამული მხარისა და მოქმედი სტანდარტების თავსებადობას ქვეყნის მასშტაბით. გარდა ამისა, ევროკავშირი მუშაობს სტარტაპებისთვის შესაძლებლობების შექმნის, მწვანე მეწარმეების დახმარებისა და მცირე და საშუალო ბიზნესის გაციფრულების მიმართულებით მათზე მორგებული მხარდაჭერის პროგრამების კუთხით, მათ შორის, გრანტების/ვაუჩერის სქემის საშუალებით, რომელიც ხელს უწყობს ინოვაციებსა და შემოქმედებითი დარგების განვითარებას საქართველოს რეგიონებში.

საქართველო ახორციელებს რიგ ციფრულ რეფორმებს, რომლებიც საქართველოს მოქალაქეებს, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებსა და ბიზნესებს პანევროპულ ონლაინ სერვისებზე წვდომასთან დაკავშირებულ წინაღობებსა და პრობლემებს მოუხსნის. რეფორმები მოიცავს ციფრული გარემოს ჰარმონიზაციას როგორც აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის, ისე ევროკავშირთან; უზრუნველყოფს ტელესამედიცინო შესაძლებლობებით პირველადი ჯანდაცვის სისტემის აღჭურვას ცენტრიდან დაშორებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისათვის, რომლებსაც ჯანდაცვის სერვისებზე თანაბარი წვდომა ექნებათ, ხოლო საყო-

ველთაო ჯანდაცვის სისტემის დაფარვის არეალი საგრძნობლად გაიზრდება.

ევროკავშირის მხარდაჭერის კიდევ ერთ მიმართულებას მარეგულირებელი და პოლიტიკური რეფორმების პოლიტიკის შემუშავება და კოორდინაცია წარმოადგენს. ეს რეფორმები საქართველოს მთავრობას ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების მომავალი სტრატეგიის განხორციელებაში დაეხმარება.

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო აცხადებს საგრანტო კონკურსს "მცირე და საშუალო მეწარმეთა ციფრული ტრანსფორმაციის ხელშეწყობა R&D-ის მეშვეობით". საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოში რეგისტრირებულ მცირე და საშუალო მეწარმეებს. პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს მცირე და საშუალო მეწარმეთა ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაციას ბიზნესპროცესების სხვადასხვა ასპექტში. საგრანტო პროგრამა მიმართულია ინოვაციური, მდგრადი და ეფექტიანი ციფრული გადაწყვეტილებების შექმნისკენ, რომლებიც დააკმაყოფილებს გრანტის მიმღები SME-ის სპეციფიკურ საჭიროებებს და გაზრდის მათ კონკურენტუნარიანობას.

USAID, International Visegrad Fund, German Sparkassenstiftung Georgia, UNDP, ADB აზიის განვითარების ბანკის პარტნიორობით შექმნილი მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ასოციაცია (SMEDA) არის პირველი ციფრული ასოციაცია საქართველოში. მისი მიზანია შეინარჩუნოს ბიზნესის მდგრადობა, ზრდა და განვითარება ადვოკატირების, მათ საჭიროებებზე მორგებული ინოვაციური მიდგომების, კონსულტირებისა და სწავლება-გადამზადების გზით;

ბიზნესთან, საჯარო სექტორთან, ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონორებთან, არასამთავრობო სექტორთან, საფინანსო ინსტიტუტებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით, SMEDA უზრუნველყოფს მცირე და საშუალო ბიზნესის უმნიშვნელოვანესი როლის გამოკვეთას ქვეყნის ეკონომიკაში. ბიზნესის განვითარებისა და გაციფრულების ხელშეწყობა საქართველოში ხორციელდება OECD-ის მიერაც.

პროგრამა EU4Digital-ის ერთ-ერთი უმთავრესი საქმიანობა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიური ინოვაციების სფეროში არის <u>საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიური</u>

ინოვაციების საერთო საკანონმდებლო ჩარჩოს ჩამოყალიბების მხარდაჭერა აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში, რაც ხელს შეუწყობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიურ ინოვაციებს ევროკავშირის ნორმებისა და საუკეთესო პრაქტიკის საფუძველზე.

ამ ამოცანის შესასრულებლად პროგრამა EU4Digital-მა განსაზღვრა ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკა პოლიტიკის იმ სფეროების რეგულირებისთვის, რომელიც წინასწარ იყო შერჩეული აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მიერ.

ციფრული ტრანსფორმაცია განსხვავდება ავტომატიზაციისა და ინფორმატიზაციისგან: ის მოითხოვს ბიზნესპროცესების, ბიზნესმოდელების და ეკონომიკური ურთიერთობების სისტემურ ცვლილებებს საწარმოში და მის გარშემო. გარემოს შექმნა ეკონომიკის ტრადიციულ სექტორებში მომუშავე მცირე და საშუალო საწარმოების ციფრული ტრანსფორმაციისთვის უნდა ითვალისწინებდეს სპეციალიზებული ტექნოლოგიური და ბიზნესკონსულტაციების სპექტრს, რომელიც შეიძლება მიაწოდოს კომპეტენციების ცენტრმა კერძო და საჯარო სექტორების თანამშრომლებს ქვეყნის მასშტაბის ინიციატივის ფარგლებში (მაგ., უნარების განვითარება და ზოგადი სტანდარტები), ასევე კომპლექსურ ფინანსურ ჩარჩოს მცირე და საშუალო საწარმოების მხარდასაჭერად ამ კომპლექსურ ძალისხმევაში. ევროკომისიის განმარტებით ციფრული ტრანსფორმაცია არის მოწინავე ტექნოლოგიების სინთეზი, რომელიც აერთიანებს ფიზიკურ და ციფრულ სისტემებს; ინოვაციურ ბიზნესმოდელებთან და პროცესებთან მათი კომბინირების შედეგია ინტელექტუალური პროდუქტებისა და სერვისების შექმნა და პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

პროგრამა და სტრატეგია საწარმოების ციფრული გარდაქმნისთვის ტრადიციულ სექტორებში ევროკომისია ახორციელებს ევროპული მრეწველობის სწრაფ ციფრულ ტრანსფორმაციას განსაკუთრებული ყურადღებით ტრადიციულ სექტორებსა და მცირე და საშუალო საწარმოებზე, ასევე რეგიონულ განსხვავებებზე. ევროკავშირის ინდუსტრიასთან დაკავშირებული პირველი ინიციატივა "ევროპული ინდუსტრიის ციფრული ტრანსფორმაცია" (DEI) დაიწყო ერთიანი ციფრული ბაზრის პაკეტის ფარგლებში 2016 წლის აპრილში. ევროკავშირის ინიციატივის მიზანია უზ-

რუნველყოს ის, რომ ყველა ზომის, ლოკალიზაციისა და სექტორის ბიზნესმა ევროპაში მიიღოს სრული სარგებელი ციფრული ინოვაციებიდან. ევროპული ინდუსტრიის ციფრული გარდაქმნის ინიციატივა ითვალისწინებს 50 მილიარდ ევრომდე სახელმწიფო და კერძო ინვესტიციებს ინდუსტრიის ციფრული გარდაქმნის მხარდასაჭერად. გარდა ამისა, ეს ინიციატივა ღიაა ქვეყნებისთვის, რომლებსაც მოიცავს ევროპული სამეზობლო პოლიტიკა ამ ქვეყნების მონაწილეობის ზოგადი პრინციპებისა და ზოგადი პირობების საფუძველზე ევროკავშირის პროგრამებში. პროგრამები, განსაკუთრებული პირობების შესაბამისად, ჩამოყალიბებულია შესაბამისი ჩარჩო ხელშეკრულებებისა და ასოციაციის საბჭოს გადაწყვეტილებების ან მსგავსი ხელშეკრულებების ფარგლებში და გაფორმებულია ევროკავშირსა და ამ ქვეყნებს შორის.

ამ ყოვლისმომცველი ინიციატივის გარდა, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ამტკიცებენ კონცეპტუალურ და განმახორციელებელ დოკუმენტებს სახელმწიფო და რეგიონულ დონეზე ინდუსტრიის ტრადიციული სექტორების ციფრული ტრანსფორმაციის მხარდაჭერის მიზნით. მაგალითად, ფედერალური მთავრობის ციფრულ გეგმას გერმანიისთვის ემატება ეკონომიკურ საქმეთა და ენერგეტიკის ფედერალური სამინისტროს ციფრული სტრატეგია 2025.

ციფრული ტრანსფორმაციის დაფინანსება მცირე და საშუალო საწარმოებისთვის. 2019 წლის ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) კვლევამ აჩვენა, რომ მრავალი მცირე და საშუალო საწარმო მთელ ევროპაში აწყდება დაფინანსებაზე წვდომის სირთულეებს, რადგან ბანკებს შესაძლოა არ ჰქონდეთ საკმარისი გამოცდილება ციფრული პროექტების შესაფასებლად, რაც ციფრულ პროექტებს არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს სხვა სახის პროექტებთან შედარებით. ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) რეკომენდაციები მოიცავს სპეციალური ფინანსური ინსტრუმენტების ნაკრების შემუშავებას ციფრული პროექტებისთვის, რასაც მოჰყვება საინფორმაციო-ორგანიზაციული ხასიათის სპეციალური ღონისძიებები.

ევროპული პოლიტიკის მეორე მნიშვნელოვანი საყრდენი, რომლის მიზანია ევროპული ინდუსტრიის ციფრული ტრანსფორმაცია, არის ციფრული ინოვაციის ჰაბების (DIH) ქსელი. ციფრული

ინოვაციის ჰაბები ერთი ფანჯრის პრინციპზე მომუშავე ორგანიზაციებია, რომლებიც ეხმარება კომპანიებს კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებაში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით. ციფრული ინოვაციის ჰაბები (DIH) არის რეგიონული, მრავალმხრივი პარტნიორობის მომცველი თანამშრომლობა, რომელიც მოიცავს კვლევით და ტექნოლოგიურ ორგანიზაციებს, უნივერსიტეტებს, სამრეწველო ასოციაციებს, სავაჭრო პალატებს, ინკუბატორებს, აქსელერატორებს, განვითარების სააგენტოებს და მთავრობებსაც კი. ამდენად, ციფრული ინოვაციის ჰაბები დამყარებულია ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურაზე და უზრუნველყოფს წვდომას უახლეს ცოდნაზე, ექსპერტიზაზე და ტექნოლოგიებზე მათი მომხმარებლების მხარდასაჭერად ციფრული ინოვაციების პილოტირების, ტესტირებისა და ექსპერიმენტების საშუალებით. გარდა ამისა, ციფრული ინოვაციის ჰაბები (DIH) უზრუნველყოფს ბიზნესისა და ფინანსურ მხარდაჭერას ამ ინოვაციების დასანერგად.

ევროპარლამენტმა შეიმუშავა ფინანსური პაკეტი **პროგრამა Digital Europe-ისთვის 2021-2027 წლების პერიოდში** და წარმოადგინა **ევროპული ციფრული ინოვაციის ჰაბების** კონკრეტული განსაზღვრა დაფინანსების გამჭვირვალედ განაწილების მიზნით. **ევროპული ციფრული ინოვაციის ჰაბები:**

- არის წვდომის პუნქტები უახლეს ციფრულ ტექნოლოგიებზე, რომელთა შორისაა მაღალმწარმოებლური გამოთვლები (HPC), ხელოვნური ინტელექტი, კიბერუსაფრთხოება, ასევე სხვა არსებული ინოვაციური ტექნოლოგიები;
- ახორციელებს მხარდაჭერას მოწინავე ციფრული უნარების სფეროში (მაგ., დასაქმებულთა ტრენინგების და სტუდენტების ინტერნატურის კოორდინირების საშუალებით);
- უზრუნველყოფს და მოიცავს ფართო გეოგრაფიულ არეალს ევროპის მასშტაბით, ასევე ხელს უწყობს ყველაზე დაშორებული რეგიონების მონაწილეობას ერთიან ციფრულ ბაზარში.

ევროკავშირი აღიარებს ცოდნისა და გამოცდილების დაგროვების აუცილებლობას, რაც საჭიროა ციფრული ინდუსტრიის მიმართულების მხარდასაჭერად. ციფრული ინოვაციისა და სამეწარმეო განათლების წამყვანი ევროპული ორგანიზაცია, რომელიც წარმართავს ევროპის ციფრულ ტრანსფორმაციას, არის ევროპის ინოვაციებისა და ტექნოლოგიის ინსტიტუტი (EIT) Digital, რომე-

ლიც ბაზარს აწვდის რევოლუციურ ციფრულ ინოვაციებს და ავითარებს სამეწარმეო ტალანტს ეკონომიკური ზრდის მიზნით. ის ამას აკეთებს 200-მდე წამყვანი ევროპული კორპორაციისგან შემდგარი პანევროპული ეკოსისტემის, მცირე და საშუალო საწარმოების, სტარტაპების, უნივერსიტეტებისა და კვლევითი ინსტიტუტების მობილიზაციით. EIT Digital-ი ხელს შეუწყობს ციფრული ინოვაციის ჰაბების ქსელს მისი პროექტის წარმოების ინდუსტრიის ციფრული ინოვაციების ჰაბების (MIDIH) საშუალებით.

ინიციატივა EU4Digital-ის ფარგლებში ფინანსდება **ოთხი პროექტი** – EU4Digital Facility-ი, EU4Digital Broadband-ი, EU4Digital Cyber-ი და EaPConnect-ი. აღნიშნული პროექტების მსგავსად, ევროკავშირი ასევე მხარს უჭერს რიგ სხვა პროექტებს, რომლებიც ხელს უწყობს ციფრულ ეკონომიკას და საზოგადოებას როგორც რეგიონულ, ისე ბილატერალურ (ქვეყნის) დონეზე.

ინიციატივა EU4Digital-ი: მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი სტრატეგიები აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში

პროექტი, რომელსაც ახორციელებს მსოფლიო ბანკი, ხელს უწყობს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს განვითარებაში და მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ეროვნული სტრატეგიების ადრეულ ეტაპზე განხორციელებაში ევროკავშირის სათანადო სტრატეგიების შესაბამისად, ტექნიკური დახმარებისა და პოტენციალის შექმნის მხარდაჭერით.

პროექტის ძირითადი ამოცანაა მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი სტრატეგიების დანერგვის დაჩქარება აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში, რაც განხორციელდება მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ეროვნული სტრატეგიების ამოქმედებით ევროკავშირის ანალოგიური სტრატეგიების შესაბამისად. მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი სტრატეგიების დანერგვის დაჩქარება აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მთლიანი შიდა პროდუქტის (GDP) ზრდის პოტენციალის თვალსაზრისით (სავარაუდოდ, 2.9 მილიარდი ევროდან 4.3 მილიარდ ევრომდე აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონისთვის, მხოლოდ ფიქსირებული მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი სტრატეგიებისთვის), არამედ ასევე აუცილებელი კავშირების უზრუნველსაყოფად ელექტრონული სერვისების დანერგვისთვის ბიზნესისა და მოქალაქეების სასარგებლოდ.

პროექტი ახორციელებს შემდეგ საქმიანობას:

• **ბენჩმარკინგული კვლევა და ხარვეზების ანალიზი.** ბაზრის არსებული მდგომარეობის ბენჩმარკინგული კვლევის და ხარვეზების ანალიზის ჩატარება ევროკავშირის ჩარჩოსთან და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სათანადო პრაქტიკასთან შესადარებლად.

• **მხარდაჭერა საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩოს გასაუმჯობესებლად.** ხარვეზების ანალიზის საფუძველზე პროექტი მხარს უჭერს პოლიტიკაზე პასუხისმგებელ ეროვნულ ორგანოებს და მარეგულირებელ ხელისუფლებას ერთიანი მიდგომის შემუშავებაში პარტნიორი ქვეყნების საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩოების გასაუმჯობესებლად, რაც ხელს შეუწყობს მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი სტრატეგიების, კერძოდ, ტელეკომუნიკაციისა და ციფრული ეკონომიკის განვითარებას, EU4Digital ინიციატივის სხვადასხვა ქსელით განხორციელებულ საქმიანობასთან კოორდინირებით და ევროკავშირის სათანადო პრაქტიკის შესაბამისად.

• **მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი სტრატეგიების კარტოგრაფირების მხარდაჭერა.** ბანკი ხელს უწყობს პოლიტიკაზე პასუხისმგებელ ეროვნულ ორგანოებს და მარეგულირებელ ხელისუფლებას მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის და სერვისების კარტოგრაფირებაში აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში. მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის კარტოგრაფირება ასრულებს ორ ერთმანეთთან დაკავშირებულ ფუნქციას: ხარჯების შემცირება ინფრასტრუქტურის განლაგების კოორდინაციის დროს და სახელმწოფოს დახმარება გეოგრაფიული ტერიტორიების თეთრ, ნაცრისფერ და შავ ტერიტორიებად კლასიფიკაციის დროს.

• **გამოცდილებისა და სათანადო პრაქტიკის გაზიარების ხელშეწყობა.** პროექტი ორგანიზებას უწევს ტექნიკურ მისიებს, სემინარებს და ღონისძიებებს მოთხოვნაზე დამყარებული ტექნიკური დახმარების ღონისძიებების განსახორციელებლად; აღნიშნული საქმიანობის მიზანია მონაწილე ქვეყნებს შორის ფართოზოლოვან სტრატეგიასთან დაკავშირებულ საკითხებზე გამოცდილებისა და სათანადო პრაქტიკის ურთიერთგაზიარება. საქმიანობა ფოკუსირებულია ისეთ თემებზე, როგორიცაა მაღალსიჩქარიანი

ფართოზოლოვანი სტრატეგიის ხელმისაწვდომობა სოფლად, რადიოსპექტრის მართვა, საერთაშორისო და რეგიონული სახელმწიფოთაშორისი კავშირები, საბითუმო და საცალო ბაზრის რეგულირება, ფასის შემცირება საზიარო ინფრასტრუქტურით, სახელმწიფო დახმარება ბაზარზე არსებული ხარვეზების შესავსებად და მოთხოვნის ხელშეწყობის ღონისძიებები.

• **მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი სტრატეგიების შემუშავებისა და განხორციელების მხარდაჭერა.** პროექტი ხელს უწყობს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი სტრატეგიების შემუშავებაში ან განახლებაში კონკრეტულ საკითხებზე ტექნიკური დახმარებით და ამ ქვეყნების სამოქმედო გეგმებთან დაკავშირებული რეკომენდაციების გაცემით. გარდა ამისა, პროექტი პარტნიორებთან ერთად განსაზღვრავს იმ პოტენციური საინვესტიციო პროგრამების სერიას, რომლებსაც შეიძლება მხარი დაუჭირონ განვითარების პარტნიორებმა კერძო სექტორთან თანამშრომლობით.

EU4Digital: Cybersecurity EAST

ქვეყნები: აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვის რესპუბლიკა, საქართველო, სომხეთი, უკრაინა. ხანგრძლიობა: 2019-2022. ევროკავშირის მხარდაჭერა: 3,121,600 ევრო.

პროექტის მიზანია კიდევ უფრო დაუახლოვოს აღმოსავლეთ პარტნიორობის ყველა ქვეყანა ევროკავშირის კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ძირითად პრინციპებს, პარტნიორ ქვეყნებს შორის განვითარებაში არსებული განსხვავებების გათვალისწინებით.

პროექტის ამოცანაა ტექნიკური და თანამშრომლობის მექანიზმების შემუშავება, რომლებიც ზრდის კიბერუსაფრთხოებას და მზადყოფნას კიბერშეტევებისთვის წინააღმდეგობის გასაწევად, ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად.

პროექტი ახორციელებს შემდეგ საქმიანობას:

კიბერუსაფრთხოება. ეროვნული კიბერუსაფრთხოების მმართველობისა და საკანონმდებლო ჩარჩოს გაძლიერება აღმოსავლეთ პარტნიორობის ყველა ქვეყანაში, მათ შორის შემდეგი საშუალებებით: საკანონმდებლო ჩარჩოს შესწორების ან შემუშავების მხარდაჭერა; ტრენინგი და მონიტორინგი შემდეგ საკითხებზე: კიბერსაფრთხეები და მათზე რეაგირება, ადამიანის უფლებები, მონაცემთა

დაცვის ღონისძიებები და ზედამხედველობის მექანიზმები; თანამშრომლობა კერძო სექტორის მომსახურების პროვაიდერებთან; საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა; კრიტიკული საინფორმაციო ინფრასტრუქტურის დაცვის გაძლიერება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, მათ შორის შემდეგი საშუალებებით; ეროვნული კრიტიკული საინფორმაციო ინფრასტრუქტურის ტექნიკური დახმარება; კრიტიკული საინფორმაციო ინფრასტრუქტურის დაცვის სამოქმედო გეგმებისა და პროცესების შემუშავების მხარდაჭერა; ტექნიკური დახმარება და ტრენინგი კრიტიკული საინფორმაციო ინფრასტრუქტურის დაცვის სისტემების შესამუშავებლად; კიბერუსაფრთხოების ინციდენტების მართვის საოპერაციო პოტენციალის გაზრდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში,მათ შორის შემდეგი საშუალებებით: კიბერინციდენტების ერთობლივი მართვის შეხვედრების, სამაგიდო სავარჯიშოებისა და სასწავლო ოპერაციების ორგანიზება კიბერშეტევის სიტუაციის სიმულირების მიზნით; ერთობლივი კიბეროპერაციები და გამოძიებები; უწყებათაშორისი და ტრანსნაციონალური თანამშრომლობის ხელშეწყობა რეალური კიბერინციდენტების დროს; არსებული რეგიონული ქსელების მხარდაჭერა და კონსოლიდაცია.

EU4Digital: სამეცნიერო და საგანმანათლებლო წრეების დაკავშირება (EaPConnect)

ქვეყნები: აზერბაიჯანი, მოლდოვის რესპუბლიკა, საქართველო, სომხეთი, უკრაინა. ხანგრძლიობა: 2020-2025. ევროკავშირის მხარდაჭერა: €10 მილიონი.

პროექტ **EaPConnect-ის** (2020-2025 – 10 მილიონი ევრო) მიზანია ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების სამეცნიერო და საგანმანათლებლო წრეების დაახლოება და მათ შორის არსებული განსხვავებების აღმოფხვრა ციფრულ სფეროში. პროექტი გააფართოებს ინფრასტრუქტურის ქსელს იმისათვის, რომ გაზარდოს სამეცნიერო გაცვლების მასშტაბი ქვეყნებს შორის, შესთავაზოს ახალი მომსახურება საერთაშორისო სამეცნიერო და საგანმანათლებლო თანამშრომლობის გასაუმჯობესებლად, ეროვნული სამეცნიერო და საგანმანათლებლო ქსელების (NRENs) გასაძლიერებლად სამეცნიერო და საგანმანათლებლო ეკოსისტემებში და ცოდნის, უნარებისა და თანამშრომლობის განვითარებისთვის ღონისძიებების, ტრენინგების და სხვა ინიციატივების საშუალე-

ბით. პროექტის მიმდინარე ფაზა ეფუძნება პირველი EaPConnect პროგრამის (2015-2020 – 13 მილიონი ევრო) მიღწევებს.

პროგრამა EU4Digital ფაზა I

ქვეყნები: აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვის რესპუბლიკა, საქართველო, სომხეთი, უკრაინა. ხანგრძლიობა: 2019-2022. ევროკავშირის მხარდაჭერა: €11 მილიონი.

პროგრამა EU4Digital-ის პირველი ფაზა დაიწყო 2019 წელს და დამთავრდა 2022 წლის დასაწყისში. პროგრამა შეიქმნა ციფრული ტრანსფორმაციის მხარდასაჭერად აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში EU4Digital ქსელებთან თანამშრომლობით ექვს ძირითად თემატურ სფეროში: ტელეკომის წესები, ელ-ვაჭრობა, სანდოობა და უსაფრთხოება, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიური (ICT) ინოვაციები, ელ-ჯანმრთელობა და ციფრული უნარები.

ამოცანები. პროგრამა EU4Digital-ის I ფაზის (2019-2022) ზოგადი ამოცანა იყო არსებული დაბრკოლებებისა და ბარიერების აღმოფხვრა პანევროპული ონლაინმომსახურების მიწოდებაში მოქალაქეების, საჯარო ადმინისტრაციისა და ბიზნესისთვის, მათ შორის ციფრული ბაზრების ჰარმონიზაციის გზით აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის და ევროკავშირთან.

განხორციელებული აქტივობები. პროგრამამ I ფაზაში მხარი დაუჭირა საერთო როუმინგული სივრცის ჩამოყალიბებას აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების დამოუკიდებლობის გასაძლიერებლად და კოორდინირებული სტრატეგიების შესამუშავებლად სპექტრის განაწილებისთვის მობილური გამოყენების მიზნით მომავალში, 5G-ს ჩათვლით. განხორციელებული აქტივობები მოიცავს შემდეგს:

როუმინგის ფასწარმოქმნისადმი საერთო მიდგომის შემუშავებისა და დანერგვის მხარდაჭერა აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში;

ელექტრონული კომუნიკაციების ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების ორგანიზაციული და ფინანსური დამოუკიდებლობის გაძლიერების მხარდაჭერა და ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ სანიმუშო კანონის ერთობლივად გამოქვეყნება;

კოორდინირებული მიდგომის მხარდაჭერა 5G-ს დასანერგად საჭირო 700 მჰც სიხშირის ზოლის გამოთავისუფლებისთვის ექვს პარტნიორ ქვეყანაში.

ჩატარებული და გამოქვეყნებულია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების – ევროკავშირის როუმინგული კვლევა საერთო საერთაშორისო როუმინგული სივრცის შესაძლებლობის გამოსაკვლევად აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში, როუმინგის ტარიფების მნიშვნელოვნად შემცირების მიზნით.

სანდოობა და უსაფრთხოება. პროგრამა EU4Digital-ი ხელს უწყობს სანდოობის სამსახურების განვითარებას ციფრულ ეკონომიკაში და კიბერუსაფრთხოებაში იმ უმნიშვნელოვანესი ინფრასტრუქტურის სიცოცხლისუნარიანობის გასაუმჯობესებლად, რომელიც წარმოადგენს ძირითადი სახელმწიფოთაშორისი ოპერაციულად თავსებადი ელექტრონული სერვისების შემადგენელ ელემენტს აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში. განხორციელებული აქტივობები მოიცავს შემდეგს:

შემუშავდა რეგიონული გზამკვლევი და ეროვნული სამოქმედო გეგმები ელექტრონული იდენტიფიკაციის ურთიერთაღიარებისთვის; დასრულდა სახელმწიფოთაშორისი ოპერაციულად თავსებადი ელექტრონული ხელმოწერის პილოტირება რეგიონში; შემუშავდა რეგიონული სახელმძღვანელო რეკომენდაციები სახელმწიფოთაშორისი ელ-სერვისების ოპერაციული თავსებადობისთვის; შემუშავდა კიბერუსაფრთხოების საერთო სახელმძღვანელო რეკომენდაციები აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში; შემუშავდა ქვეყნისთვის სპეციფიკური რეკომენდაციები და ჩატარდა კონსულტაციები ელ-მმართველობის საკითხებზე საჯარო ადმინისტრაციის რეფორმებისთვის.

პროგრამა EU4Digital ფაზა II

ქვეყნები: აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვის რესპუბლიკა, საქართველო, სომხეთი, უკრაინა.

პროგრამა EU4Digital-ის მიზანია ევროკავშირის ერთიანი ციფრული ბაზრის უპირატესობების დანერგვა აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში, მათი მხარდაჭერა როუმინგის ტარიფების შემცირებაში, მაღალსიჩქარიანი, ფართოზოლოვანი კავშირის განვითარება ეკონომიკის სტიმულირებისთვის და ელ-სერვი-

სების გასაფართოებლად, ციფრული ჩარჩოების ჰარმონიზაცია მთელ საზოგადოებაში და მის სხვადასხვა სფეროში (მაგ., ლოგისტიკა, ჯანდაცვა და ა.შ.), კიბერუსაფრთხოების განვითარება, უნარების ათვისება და მეტი სამუშაო ადგილის შექმნა ციფრულ ინდუსტრიაში. პროგრამა EU4Digital-ის II ფაზა (2022-2025) ეფუძნება პროგრამა EU4Digital-ის I ფაზის (2019-2022) მიღწევებს, პროექტის გაგრძელებას და ინიციატივა EU4Digital-ის ძირითად პროგრამას. პროექტი მოიცავს პოლიტიკის ექვს ძირითად სფეროს: ტელეკომის წესებს, ელ-სანდოობას და სახელმწიფოთაშორის ციფრულ სერვისებს, ელ-ვაჭრობას, ICT ინოვაციებს და სტარტაპის ეკოსისტემებს, ელ-ჯანმრთელობასა და ციფრულ უნარებს. ეს სფეროები სტრუქტურირებულია აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების – ციფრული ინფრასტრუქტურის, ელ-მმართველობის, ციფრული ეკონომიკისა და ინოვაციების შესაბამისად.

ამოცანები. ამ პროექტის ზოგადი ამოცანაა ერთიანი ციფრული ბაზრის უპირატესობების დანერგვა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში და სიცოცხლისუნარიანი ციფრული ეკონომიკისა და საზოგადოების განვითარების მხარდაჭერა.

უფრო კონკრეტულად, პროგრამა EU4Digital II-ის ფაზას აქვს ხუთი მთავარი ამოცანა:

1. **უსაფრთხო და მდგრადი ციფრული და ტელეკომის ინფრასტრუქტურა** რეგიონში;

2. **საჯარო სერვისების ციფრული ტრანსფორმაციის გაუმჯობესება და ოპერაციული თავსებადობა** სახელმწიფო სერვისებს შორის ეროვნულ და აღმოსავლეთ პარტნიორობის დონეზე, ასევე აღმოსავლეთ პარტნიორობასა და ევროკავშირს შორის;

3. **ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაციის მხარდაჭერა** რეგიონში და **ციფრული უნარების განვითარების მხარდაჭერა** მოქალაქეების, ბიზნესის და მთავრობების გაძლიერების მიზნით;

4. **პროგრამა EU4Digital-ის შემდგომი ჩამოყალიბება და აღიარება კარგ საკომუნიკაციო სისტემის მქონე ბრენდად**, რომელიც მოიცავს ამ რეგიონში ევროკავშირის სრულ მხარდაჭერას ციფრული ეკონომიკისა და საზოგადოების სფეროში. იგი ერთმანეთთან აკავშირებს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების, ევრო-

კავშირის წევრი სახელმწიფოების, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისა და სხვა დონორების შესაბამის აქტივობებს;

5. **პარტნიორი ქვეყნების კრიზისებზე რეაგირებისა და საგანგებო საჭიროებების მხარდაჭერა.**

საქმიანობა

ციფრული ინფრასტრუქტურა. ტელეკომის წესების საქმიანობის მიზანია მოქალაქეებისთვის როუმინგის საცალო ფასების შემცირება მობილურ სერვისებზე აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში, ასევე მაღალსიჩქარიან და დაცულ კავშირზე წვდომის გაუმჯობესება. პროგრამა EU4Digital-ი დაეხმარება როუმინგის შეთანხმებების განხორციელებას და მხარს დაუჭერს კონკურენტუნარიანი ფართოზოლოვანი ინტერნეტ-სერვისების ხელმისაწვდომობას ამ რეგიონში. გარდა ამისა, საქმიანობა გააძლიერებს ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებს ბაზრის ანალიზის პროცესის საშუალებით.

ელ-მმართველობა.

- ელ-სანდოობა და სახელმწიფოთაშორისი ციფრული სერვისები. ელ-სანდოობის აქტივობები ფოკუსირებული იქნება ორმხრივად აღიარებული და უსაფრთხო ელექტრონული იდენტიფიკაციისა და სანდო ციფრული სერვისების განვითარებაზე მთელ აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში და ევროკავშირთან. ამ პროცესების მხარდაჭერა უზრუნველყოფილია განხორციელებისა და პილოტირების საშუალებით.

- ელ-ვაჭრობა (ფოკუსი ელ-საბაჟოზე და ელ-ლოგისტიკაზე). ელ-საბაჟო და ელ-ლოგისტიკა ფოკუსირებულია ელ-ვაჭრობის აქტივობებზე იმ მიზნით, რომ გაზარდოს ფიზიკური და ციფრული პროცესებისა და ტრანზაქციების სავაჭრო მოცულობა და სიჩქარე ლოგისტიკაში, უზრუნველყოს ციფრული განვითარების ხელშემწყობი ფაქტორების, სტანდარტებისა და სამუშაო პრაქტიკის ჰარმონიზაცია ელ-ვაჭრობისთვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში და ევროკავშირთან. სახელმწიფოთაშორისი გადაწყვეტების პილოტირების გავრცელება და სტრატეგიული გეგმის შექმნა ციფრული სატრანსპორტო დერეფნისთვის [ტვირთის ტრანსპორტირების შესახებ ელექტრონული ინფორმაციის (eFTI) დანერგვა] ის აქტივობებია, რომლებიც ამ მიზნების მხარდასაჭერად განხორციელდება.

- ელ-ჯანმრთელობა. II ფაზის ელ-ჯანმრთელობის აქტივობების მიზანია საფუძველი ჩაუყაროს ჰარმონიზებული ციფრული ჯანმრთელობის განვითარებას და სახელმწიფოთაშორის სერვისებს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის და ევროკავშირთან. ეს მოიცავს რეკომენდაციებს ელ-ჯანმრთელობის სტრატეგიებისა და სტრატეგიული გეგმებისათვის (აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად), სახელმწიფოთაშორისი ელ-ჯანმრთელობის სერვისების პილოტირებას, ელ-ჯანმრთელობის სფეროში თანამშრომლობას მონაწილე მხარეებს შორის და აღმოსავლეთ პარტნიორი ქვეყნების მონაწილეობის უწყვეტ მხარდაჭერას ევროკავშირის ინიციატივაში ინოვაციური ქსელების აქტიური და ჯანმრთელი დაბერებისთვის (IN-4-AHA).

ციფრული ეკონომიკა და ინოვაცია

- ელ-ვაჭრობა (ფოკუსი ელ-კომერციაზე). ელ-კომერციის, ელ-ვაჭრობის აქტივობების მიზანია ხელი შეუწყოს სახელმწიფოთაშორისი ელ-კომერციის მოცულობების სწრაფ ზრდას და უზრუნველყოს ელ-ვაჭრობისთვის საჭირო ციფრული განვითარების ხელშემწყობი ფაქტორების, სტანდარტებისა და სამუშაო პრაქტიკის ჰარმონიზაცია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის და ევროკავშირთან. განსაზღვრული მიზნების მისაღწევად ჩამოყალიბდება ელ-კომერციის აქსელერატორი და შეიქმნება ქსელური აქტივობის შესაძლებლობები კოორდინირებული ელ-ვაჭრობის მხარდასაჭერად.

- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიური (ICT) ინოვაციები და სტარტაპის ეკოსისტემები. აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ინოვაციების და სტარტაპების გაძლიერების და სტიმულირების მიზნით ეს აქტივობები ფოკუსირებული იქნება ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის, საშუალებების გაზიარებასა და გამოყენებაზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ინოვაციებსა და სტარტაპის ეკოსისტემებში. ეს მიიღწევა ზოგადი ჩარჩოების და რეკომენდაციების შემუშავებით და ქსელური აქტივობით ძირითად მონაწილეებს შორის იმ მიზნით, რომ სტიმულირება გაეწიოს ცოდნის გაზიარებას და გაძლიერდეს თანამშრომლობის ახალი ინიციატივები.

- ციფრული უნარები. იმ მიზნით, რომ შეიქმნას აღმოსავლეთ პარტნიორობის ერთი მილიონი მოქალაქის ციფრული გაძლიერების საფუძველი, ციფრული უნარების აქტივობამ უნდა უზრუნველყოს რეგიონული ციფრული სწავლის პლატფორმა საგანმანათლებლო ტექნოლოგიების (EdTech) ჰაბის საშუალებით. ICT სფეროში არსებული გენდერული უთანასწორობის დაძლევის მიზნით, ეს მიმართულება მხარს დაუჭერს ასევე მენტორობის პროგრამების დაწყებას. ციფრული ტრანსფორმაციის მონიტორინგისა და შეფასების ხარისხის გასაუმჯობესებლად ეს გუნდი ხელს შეუწყობს ციფრული ეკონომიკისა და საზოგადოების ინდექსის (DESI) განხორციელებას.

კომუნიკაცია და მონიტორინგი. კომუნიკაცია და მონიტორინგი წარმოადგენს ჰორიზონტალურ აქტივობას, რომელიც ხელს უწყობს თემატურ მიმართულებებს ინიციატივის, EU4Digital-ის შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და მისი პოპულარიზაციის მიზნით. ეს მოიცავს პროგრამა EU4Digital-ის ფუნქციონირებას ინტერნეტში და მედიისა და ცნობადობის ძალისხმევას რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე.

კრიზისებზე რეაგირება და მხარდაჭერა საგანგებო გარემოებებში. კრიზისებზე რეაგირების და საგანგებო გარემოებებში მხარდაჭერის აქტივობები პასუხობს მოკლევადიან და საგანგებო მხარდაჭერის მოთხოვნებს ევროკავშირის წარმომადგენლობების მხრიდან პარტნიორ ქვეყნებში, სპეციფიკური გარემოებების ფარგლებში.

ციფრული ტრანსფორმაციისა და ინოვაციური აქტიურობის არსებული მდგომარეობისა და დინამიკის შეფასებისათვის საინტერესოა საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზი. სტატისტიკური მონაცემები ემყარება საქართველოში მოქმედ საწარმოთა კვლევას, რომელიც მოიცავს ინფორმაციას კომპანიების მიერ ბაზარზე ინოვაციების შეტანის, ინოვაციურ აქტივობასთან დაკავშირებული სწავლების, საკუთარ და გარე კვლევებისა და დამუშავებების შესახებ, ასევე მანქანა-დანადგარებისა და სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფის შეძენის შესახებ. ერთ-ერთ მაჩვენებლად განიხილება *ERP საწარმოს რესურსების დაგეგმვის პროგრამული უზრუნველყოფა*. იგი წარმოადგენს პროგრამულ პაკეტს, რომელიც

უზრუნველყოფს საწარმოს რესურსების მართვას სხვადასხვა ფუნქციურ სფეროებს (ფინანსები, დაგეგმვა, წარმოება მარკეტინგი და ა. შ.) შორის ინფორმაციის გაცვლის საფუძველზე. #1 ნახაზზე წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები ასახავს იმ საწარმოთა წილს, რომლებიც სარგებლობენ საწარმოს რესურსების დაგეგმვის პროგრამული უზრუნველყოფით. მაჩვენებლები, რომელიც 2019-2024 წლების დინამიკას ასახავს, გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებს გვაძლევს.

ნახაზი 1

საწარმოთა წილი, რომლებიც სარგებლობდნენ ERP ტიპის პროგრამული უზრუნველყოფით შესაბამისი წლის 1 იანვრის მდგომარეობით, %

		2019	2020	2021	2022	2023	2024
საწარმოს მიერ ERP ტიპის პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების გამოცდილება	სულ	9.8%	8.7%	7.9%	6.9%	10.4%	8.9%
	მათ შორის:						
	მცირე	8.9%	7.6%	7.3%	5.8%	9.5%	7.7%
	საშუალო	24.9%	24.7%	20.7%	32.3%	35.3%	35.7%
	მსხვილი	54.4%	51.5%	42.8%	57.5%	56.3%	63.5%

წყარო: www.Geostat.ge

გამოკითხვის შედეგების მიხედვით ამ კონკრეტული ტექნოლოგიის გამოყენება გამოკითხულ საწარმოებში მცირედით შემცირებულია, მაგრამ საინტერესო ტენდენცია იკვეთება შემცირება უმთავრესად უკავშირდება მცირე საწარმოების წილის კლებას, ხოლო საშუალო და მსხვილ საწარმოებში მისი დანერგვა პირიქით, გაზრდილია, ანუ 24,9%-დან 35,7%-მდე საშუალო ზომის საწარმოებში და 54,4%-დან 63,5%-მდე მსხვილ საწარმოებში. აღნიშნული სრულად შეესაბამება ეკონომიკურ ლიტერატურაში გავრცელებულ მოსაზრებებს, რომელთა მიხედვითაც ტექნოლოგიური და ინოვაციური ცვლილებების გავრცელებაზე გავლენას ახდენს კომპანიის ზომა. ანუ ამ მოდელით აღწერილი დამოკიდებულებების მიხედვით მსხვილ საწარმოებს ტექნოლოგიური ცვლილებების განხორციელების უფრო მაღალი პოტენციალი გააჩნიათ.

არანაკლებ საინტერესოა აგრეთვე **ხელოვნური ინტელექტის სისტემა,** რომელიც თავისი არსით თანამედროვე ტექნოლოგიური ცვლილებების გამოხატულებად შეიძლება ჩაითვალოს. სისტემა ისეთ პროგრამულ უზრუნველყოფას ემყარება, როგორიცაა ჩატ-ბოტები და ბიზნესის ვირტუალური თანაშემწეები, რომლებიც დაფუძნებულია ბუნებრივი ენის დამუშავებაზე; სახის ამომცნობი სისტემები, რომლებიც დაფუძნებულია კომპიუტერული მხედველობის ან ხმის ამომცნობ სისტემებზე; მანქანური თარგმნის პროგრამული უზრუნველყოფა; მონაცემთა ანალიზი, რომელიც ემყარება მანქანურ სწავლებას და ა.შ. ან განეკუთვნება მოწყობილობაში ჩაშენებულ სისტემებს, როგორიცაა ავტომატური რობოტები საწყობის ავტომატიზაციისა ან პროდუქციის ასაწყობი სამუშაოებისთვის; ავტომატური დრონები წარმოების სათვალთვალოდ ან ამანათების დამუშავებისთვის და ა.შ. თუ გავაანალიზებთ ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას საქართველოს საწარმოებში ნათლად იკვეთება შემდეგი ტენდენცია 2020-დან 2023 წლამდე იმ საწარმოთა წილი, რომლებიც იყენებენ ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებს, შემცირებულია 5,4%-დან 1,7%-მდე (ნახაზი #2).

ნახაზი 2

ხელოვნური ინტელექტის გამოყენება საწარმოებში, %

საწარმოთა წილი, რომლებიც იყენებდნენ ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებს:					
		2020	*2021*	*2022*	*2023*
სულ	*საწარმოთა წილი, რომლებიც იყენებენ ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებს*	*5.4%*	*3.7%*	*1.5%*	*1.7%*
მათ შორის:					
მცირე	*საწარმოთა წილი, რომლებიც იყენებენ ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებს*	*5.4%*	*3.6%*	*1.4%*	*1.5%*
საშუალო	*საწარმოთა წილი, რომლებიც იყენებენ ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებს*	*5.7%*	*5.8%*	*3.5%*	*5.0%*

მსხვილი	*საწარმოთა წილი, რომლებიც იყენებენ ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებს*	*10.5 %*	*12.5 %*	*11.1 %*	*14.9 %*

წყარო: www.Geostat.ge

აღნიშნული სურათი ნათლად აჩვენებს მცირე და საშუალო საწარმოებში ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების გამოყენების შემცირებას (5,4%-დან 1,5%-მდე და 5,7%-დან 5,0%-მდე შესაბამისად). თუმცა იმავე პერიოდში მსხვილ საწარმოთა წილი საკმაოდაა გაზრდილი 10,5%-დან 14,9%-მდე. შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების გამოყენება უფრო ხელმისაწვდომი აღმოჩნდა სწორედ მსხვილი საწარმოებისათვის.

ამგვარი სურათი, ცხადია, დაკავშირებულია ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და გამოყენების სირთულეებთან. აღნიშნულ პერიოდში ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, უმთავრეს პრობლემას მაღალი ხარჯები და შიდა ფინანსური რესურსების ნაკლებობა წარმოადგენს (ნახაზი #3). გამოკითხულ საწარმოთა 10,2%-სათვის ასევე დიდი ზეგავლენის ფაქტორადაა მიჩნეული ბაზარზე არსებული კონკურენცია. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ასახავს 2023 წლის გამოკითხვის შედეგებს, მაგრამ სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციის თანახმად, ანალოგიური მდგომარეობა შეინიშნებოდა ადრეულ წლებშიც.

ნახაზი 3

საწარმოთა განაწილება ხელისშემშლელი ფაქტორების ზეგავლენის მნიშვნელობის მიხედვით

	2023			
	მაღალი	*საშუალო*	*დაბალი*	*არ ჰქონდა გავლენა*
შიდა ფინანსური რესურსების ნაკლებობა	*9.5%*	*19.0%*	*11.4%*	*60.1%*
კრედიტის ან კერძო კაპიტალის ნაკლებობა	*5.1%*	*14.3%*	*13.4%*	*67.2%*
სირთულეები სახელმწიფო გრანტების ან სუბსიდიების მიღებისას	*3.5%*	*10.4%*	*11.0%*	*75.1%*

ძალიან მაღალი ხარჯები	*10.1%*	*19.3%*	*12.6%*	*57.9%*
საწარმოში კვალიფიციური პერსონალის ნაკლებობა	*4.1%*	*12.0%*	*15.2%*	*68.7%*
პარტნიორების მოძიების სირთულე	*3.9%*	*11.4%*	*13.2%*	*71.6%*
გარე ცოდნაზე ხელმისაწვდომობის სირთულე	*2.6%*	*9.0%*	*14.4%*	*74.0%*
იდეაზე გაურკვეველი საბაზრო მოთხოვნა	*2.2%*	*9.1%*	*13.3%*	*75.5%*
ბაზარზე დიდი კონკურენცია	*10.2%*	*20.6%*	*12.1%*	*57.1%*
სხვადასხვა პრიორიტეტები საწარმოში	*1.8%*	*10.8%*	*14.8%*	*72.6%*

წყარო: www.Geostat.ge

კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ აუცილებელია გატარდეს ინოვაციური საქმიანობის ხელშემწყობი მიზანმიმართული პოლიტიკა. საქართველოს ტექნოლოგიური ცვლილებების უფრო აქტიურად განხორციელებისთვის საჭიროა ინოვაციური პოტენციალის შეფასება, არსებული მეცნიერული დამუშავებებისა და გამოგონებების კომერციალიზაცია, აქტუალური სიახლეების ძიება და მათზე მოთხოვნის სტიმულირება.

სახელმწიფომ მიზანმიმართული პოლიტიკა უნდა გაატაროს მაღალტექნოლოგიურ პროდუქციაზე მოთხოვნის ხელშეწყობისათვის ისევე, როგორც ინოვაციური პროდუქტებისა და პროცესების შექმნის სტიმულირებისთვის. მნიშვნელოვანია შესაბამისობა საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღებულ ცოდნას, შრომის ბაზარზე სპეციალისტების უნარ-ჩვევებსა და კვალიფიკაციაზე არსებულ მოთხოვნას შორის. ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია ეფექტიანი საგანმანათლებლო სისტემა, ქვეყანაში სამეცნიერო და ტექნოლოგიური მიღწევების დანერგვა, გლობალური ტექნოლოგიური ტენდენციების ანალიზი და შეფასება.

სახელმწიფოსთან ერთად ამ პროცესში აქტიური მონაწილეობა კერძო სექტორმა უნდა მიიღოს. აუცილებელია მუდმივი კავშირი მეცნიერებას, ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის. საქართველოს ტექნოლოგიების ათვისების უნარის გაზრდა, საწარმოთა უფრო მეტი ჩართულობა ინოვაციურ საქმიანობაში უმნიშვნელო-

ვანესი იქნება საქართველოს ეკონომიკის ინოვაციური გზით განვითარებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

საქართველოს ციფრული მმართველობის სტრატეგია 2024-2029 წწ. *https://dga.gov.ge/files/adzFNv0yjHUf.pdf*

https://www.oecd.org/eurasia/competitiveness-programme/Fostering%20Business%20Development%20and%20Digitalisation%20in%20Georgia%20with%20cover.pdf

https://eu4georgia.eu/ka/tsifruli-transformatsia/https://eu4georgia.eu/ka/tsifruli-transformatsia/

https://eufordigital.eu/geo/digitising-industry-best-practices-to-promote-the-digital-transformation-of-smes-in-traditional-sectors-of-the-economy/

https://eu4georgia.eu/ka/projects/?search=&filter=ongoing&country%5B%5D=1&country%5B%5D=2&topic%5B%5D=10

https://bdodigital.ge/services/tsipruli-transpormatsia/

https://eufordigital.eu/geo/partnering-together-for-digital-transformation-digital-achievements-and-priorities-in-focus-for-the-eastern-partnership/

http://sme.org.ge/index.php/ka/about-us

Lia Totladze

INTERNATIONAL DIGITAL TRANSFORMATION PROGRAMS IN GEORGIA AND FINANCIAL RISKS ASSOCIATED WITH THEIR IMPLEMENTATION

Summary

Today's reality in the world presents countries with new challenges. They are looking for ways of development that are fully compatible with the digital age and will determine the country's place and role in the world economic system. One of the important directions of development is the formation of an economy based on innovative, technological changes, technologies that are the basis of digital transformation.

The paper discusses the essence of digital transformation and the macro and micro determinants of its expressive innovative activity. International programs of digital transformation in Georgia are reviewed. Statistical data reflecting technological changes in Georgia at the enterprise level are also analyzed in the study. The analysis is based on a survey of enterprises on the use of digital technologies and includes an analysis of both the diffusion of technologies and the hindering factors.

მამუკა ხუსკივაძე

საქართველოს რეგიონების ეკოლოგიური საფრთხეები და მათი დაძლევის ძირითადი მიმართულებები

ანოტაცია. *ეკოლოგიური საფრთხეების თავიდან აცილება და საზოგადოებისა და ბუნების ჰარმონიული თანაარსებობა ანუ კოევოლუციის მიღწევა თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა. ეკოლოგიური საფრთხეები, რომლებიც თანამედროვე მსოფლიოში და მათ შორის საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ვითარდება, განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ეკოლოგიურ მდგომარეობაზე და აქვეითებს მოსახლეობის კეთილდღეობას. საქართველო, რომელიც გამოირჩევა მდიდარი ბიომრავალფეროვნებით და უნიკალური ეკოსისტემებით, ბოლო ათწლეულებში სულ უფრო თვალსაჩინოდ განიცდის ეკოლოგიური საფრთხეების სიმწვავეს. აღნიშნული ძირითადად განპირობებულია კლიმატური ცვლილებების, ურბანიზაციის და არამდგრადი, არაეკოლოგიზებული სამეურნეო პრაქტიკის შედეგად.*

საქართველოში და მის ცალკეულ რეგიონში გვხვდება როგორც ბუნებრივი, ისე ანთროპოგენური საქმიანობით გამოწვეული ეკოლოგიური საფრთხეები. ამ საფრთხეებიდან განსაკუთრებით გამოსაყოფია ჰაერის დაბინძურება, წყლის რესურსების გაჭუჭყიანება, ტყის რესურსების დეგრადაცია, კლიმატის ცვლილება და მიწის რესურსების დეგრადაცია. ამგვარი საფრთხეები და მათგან გამოწვეული ნეგატიური შედეგები ითხოვს მათ დასაძლევად

ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას და შესაბამის ღონისძიებათა სისტემის შემუშავებას. საქართველოს რეგიონებში არსებული ეკოლოგიური საფრთხეების დაძლევის ძირითად მიმართულებებად შეიძლება გამოიყოს: სამართლებრივი და ინსტიტუციური რეფორმები, ეკოტექნოლოგიური ინოვაციები, საზოგადოების ცნობიერებისა და ეკოლოგიური კულტურის გაუმჯობესება და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება.

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება

ატმოსფერული ჰაერი წარმოადგენს გარემოს ერთ-ერთ შეუფასებელ კომპონენტს, ვინაიდან შეუძლებელია ცოცხალი ორგანიზმების არსებობა მის გარეშე. საზოგადოდ, ბოლო ათწლეულების განმავლობაში როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოში ზრდადი ტენდენციით ხასიათდება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისია. ამ ნივთიერებებს შორის განსაკუთრებით გამოსაყოფია მყარი ნაწილაკები (PM2,5 და PM10), აზოტის დიოქსიდი (NO_2), გოგირდის დიოქსიდი (SO_2), ნახშირბადის მონოოქსიდი (CO) და ოზონი (O_3).

ატმოსფერული ჰაერის სისუფთავის მაღალი ხარისხი მჭიდრო კორელაციურ დამოკიდებულებაშია ადამიანთა ჯანმრთელობასთან, სიცოცხლის ხანგრძლივობასა და ზოგადად ცხოვრების ხარისხთან. ამას მოწმობს შესაბამისი სტატისტიკური მაჩვენებლებიც. მაგალითად, ჯანდაცვისა და დაბინძურების გლობალური ალიანსის (GAHP) და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით მსოფლიოში ყოველწლიურად ჰაერის დაბინძურებით საშუალოდ 7 მილიონი ადამიანი იღუპება, უფრო მეტი, ვიდრე თამბაქოსა და ალკოჰოლის მოხმარებით, ხოლო ათეულობით მილიონი ავადდება ინსულტით, ფილტვის ქრონიკული დაავადებებით და ა.შ.

ატმოსფერული ჰაერის სისუფთავის დონის დასადგენად ერთ-ერთი გავრცელებული მაჩვენებელია ჰაერის ხარისხის ინდექსი AQI. როცა მისი მნიშვნელობა აღემატება 100-ს, ითვლება, რომ ის უკვე ძალზე საშიშია ჯანმრთელობისათვის. ბოლო წლებში ამ ინდექსის მნიშვნელობა საქართველოში გაუარესდა, ხოლო ჰაერის ცალკეულ კომპონენტთა კონცენტრაციები საგრძნობლად აღემატება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სტანდარტებს. მაგალითად, 2023 წელს PM2,5 მყარი ნაწილაკების, რომლებიც

ძალზე საშიშია ჯანმრთელობისათვის, კონცენტრაციამ შეადგინა 16 მკგ/მ^3 (World-air-quality-report-2023-en.pdf), რაც ჩამორჩება საქართველოში ზღვრულად დასაშვებ ნორმას 25 მკგ/მ^3-ს (ეს ევროკავშირის სტანდარტიცაა), მაგრამ მნიშვნელოვნად აღემატება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ნორმატივს 10 მკგ/მ^3-ს (WHO annual average PM2,5 air quality guideline value is mg/m^3).

სპეციალური კვლევები ადასტურებს, რომ ატმოსფერული ჰაერის და შენობის შიდა ჰაერის გაჭუჭყიანების ნეგატიური ზეგავლენის ეფექტი ადამიანების ჯანმრთელობასა და შესაბამისად სიცოცხლის ხანგრძლივობაზე გაცილებით მეტია საქართველოში, ვიდრე ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში (http://ghdx.healthdata.org/gbd-results-tool). შეიძლება ითქვას, რომ ამ კვლევის შედეგების პრაქტიკულ გამოვლინებას წარმოადგენს ჯანდაცვისა და დაბინძურების გლობალური ალიანსის კიდევ ერთი გაანგარიშება, რომლის მიხედვითაც ევროპის კონტინენტზე 100 000 ადამიანზე დაბინძურების შედეგად გარდაცვლილი ადამიანების მიხედვით საქართველო არის მეორე ადგილზე 140 გარდაცვლილით და ჩამორჩება მხოლოდ სერბეთს (175 კაცი).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებას გააჩნია არა მხოლოდ ნეგატიური ეკოლოგიური, არამედ ნეგატიური ეკონომიკური შედეგებიც (რაც ვლინდება ეკონომიკური ზარალის სახით) და შესაბამისად, მაკროეკონომიკური ეფექტი. ამ ეკონომიკურ ზარალს მიეკუთვნება მოსახლეობის დაავადებებისა და ნაადრევი სიკვდილიანობის ზრდით გამოწვეული ზარალი, სოფლის მეურნეობისა და ტყის სექტორისათვის მიყენებული ზარალი, არახელსაყრელი საცხოვრებელი გარემოდან მოსახლეობის მიგრაციის გადიდებით მიღებული ზარალი და ა.შ., რაც იწვევს დამატებითი დანახარჯების გაღების აუცილებლობას. მაგალითისათვის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) შეფასებით 2015 წელს ევროპას ჰაერის გაჭუჭყიანება 1,5 ტრილიონი დოლარი დაუჯდა. სხვადასხვა შეფასებით მნიშვნელოვანია ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული ეკონომიკური დანაკარგები საქართველოშიც. მაგალითად, მსოფლიო ბანკის 2020 წლის ანგარიშში, „საქართველო: გზა მწვანე და მედეგი განვითარებისაკენ“, აღნიშნულია, რომ გაჭუჭყიანებული ჰაერის ზემოქმედებით საქართველოში ჯანმრთელობაზე

დატვირთვის ეკონომიკური ღირებულება შეადგენს 560 მლნ.აშშ დოლარს, რაც 2008 წლის ქვეყნის მთლიანი სამამულო პროდუქტის 3%-ს გაუტოლდა. აქვე აღნიშნულია, რომ ეს არის ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის სახელმძღვანელო მითითებების შეუსრულებლობის გამო მიღებული კეთილდღეობის დანაკარგები, რაც არ გვექნებოდა PM2,5 მყარი ნაწილაკების კონცენტრაციის 10 მკგ/მ^3-ში ნორმის მიღწევის შემთხვევაში.

შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმება არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ჰაერის სისუფთავის მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით, ვინაიდან ის 2023 წლისათვის ითხოვდა ქვეყნის სამართლებრივი ბაზის ჰარმონიზებას ევროკავშირის ექვს დირექტივასთან ატმოსფერული ჰაერის ხარისხის რეგულირების სფეროში. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მიღებული ინდიკატორული გაზომვის სტანდარტზეა დამყარებული მონიტორინგის სისტემა, რომელიც გამოიყენება საქართველოში. ჰაერის ახალი ავტომატური მონიტორინგის ქსელი ფუნქციონირებს თბილისში, რუსთავში, ბათუმში, ქუთაისსა და ზესტაფონში, ხოლო ჰაერის ნიმუშების შედგენა ხდება კვარტალურად 25 სხვადასხვა ქალაქში, რის შედეგადაც 2019 წლიდან ჰაერის ხარისხობრივი პარამეტრების შესახებ მონაცემები ხელმისაწვდომი ხდება www. Air.gov.ge-ზე. უფრო მეტიც, ევროპის დაცვის სააგენტოსთან თანამშრომლობის შედეგად საქართველოში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შესახებ ინფორმაცია ევროპულ პორტალზეც უწყვეტ რეჟიმში ვრცელდება.

ცხრილ 1-ში მოყვანილია ინფორმაცია აღმოსავლეთ საქართველოში სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფეროში მავნე ნივთიერებების წარმოქმნის, დაჭერისა და გაფრქვევის რაოდენობის შესახებ 2019-2023 წლებში, ხოლო ცხრილ 2-ში ინფორმაცია დასავლეთ საქართველოში სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფეროში მავნე ნივთიერებების წარმოქმნის, დაჭერისა და გაფრქვევის რაოდენობის შესახებ 2019-2023 წლებში.

ცხრილი 1

აღმოსავლეთ საქართველო (ათასი ტონა)			
წლები	წარმოქმნილი	დაჭერილი	გაფრქვეული
2019	1061.9	1025,0	23,2

2020	1100,1	774,7	26,9
2021	1114,9	1074,1	35,2
2022	707,3	668,1	32,9
2023	734,3	692,2	39,4

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციის საფუძველზე.

ცხრილი 2

დასავლეთ საქართველო (ათასი ტონა)			
წლები	წარმოქმნილი	დაჭერილი	გაფრქვეული
2019	284,2	268,2	15,9
2020	287,6	272,6	14,9
2021	260,0	237,1	22,9
2022	147,0	124,8	22,1
2023	259,0	238,6	20,5

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციის საფუძველზე.

როგორც 1 და 2 ცხრილებიდან ჩანს, რეგიონულ ჭრილში მავნე ნივთიერებების წარმოქმნის, დაჭერისა და ატმოსფერული ჰაერში მათი გაფრქვევის მაჩვენებლებით დასავლეთ საქართველოსთან შედარებით გაცილებით უარესი მდგომარეობაა აღმოსავლეთ საქართველოში. აღმოსავლეთ საქართველოში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაში უკვე მრავალი წელია დომინირებს თბილისი (სტატისტიკურად ცალკე იანგარიშება), შიდა ქართლი და ქვემო ქართლი. მაგალითად, 2023 წელს მათზე მოდიოდა ჯამური დაბინძურების 93,6%. დასავლეთ საქართველოში კი ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება ძირითადად ხდება იმერეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ხარჯზე (2023 წელს მასზე მოდიოდა ჯამური დაბინძურების 92,6%).

შეიძლება ითქვას, რომ ჰაერის დაბინძურება კვლავ რჩება საქართველოს რეგიონებისათვის პროგრესირებად გარემოსდაცვით გამოწვევად ეკოლოგიურ, ეკონომიკურ და სოციალურ ასპექტში.

ტყის რესურსების დეგრადაცია

საზოგადოდ, საქართველო მიეკუთვნება ტყით მდიდარი ქვეყნების ჩამონათვალს. 2023 წელს ტყით დაფარული ფართობი შეადგენდა 2,81 მლნ ჰექტარს, რაც ქვეყნის მთლიანი ფართობის 40,5 %-ს შეადგენს (geostat.ge). ტყეების 60% განეკუთვნება შავი ზღვის აუზს, ხოლო 40% კი კასპიის ზღვის აუზს. ტყის მასივების 69% განლაგებულია მთავარი კავკასიონის მთათა სისტემების ფერდობებზე, 28% კი მცირე კავკასიონის მთათა სისტემის ფერდობებზე, 3% განეკუთვნება ბარის ტყეებს (24). საქართველოს ტყეების სახეობრივი სტრუქტურა (რომელთაგან 95-98% ბუნებრივი წარმოშობისაა) და სხვა მახასიათებლები განაპირობებს მის მდიდარ ბიომრავალფეროვნებას.

ისტორიულად ტყის რესურსებს უმნიშვნელოვანესი როლი გააჩნდა საქართველოს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების თვალსაზრისით. ამჟამადაც ტყის რესურსები ჩვენი ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის მნიშვნელოვან კომპონენტს შეადგენს და ასრულებს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურ ფუნქციებს. ეკოლოგიური დანიშნულება გამოიხატება საქართველოს ლანდშაფტების, ეკოსისტემების ბიომრავალფეროვნებისა და ზოგადად, ეკოლოგიური მდგრადობის შენარჩუნებაში; ნიადაგდაცვითი, წყალმარეგულირებელი, ეროზიის საწინააღმდეგო, კლიმატმარეგულირებელი და სხვა ფუნქციების შესრულებაში. გარდა ამისა, როგორც ცნობილია, ტყე ურთიერთქმედებს ტროპოსფეროსთან და განსაზღვრავს ჟანგბადისა და ნახშირბადის გარკვეული პროპორციით თანაფარდობას ანუ ასრულებს განსაკუთრებულ როლს ნახშირბადის გლობალურ ციკლში. ერთი ჰექტარი ტყე კალენდარული წლის განმავლობაში დაახლოებით 50-70 ტონა მტვერს ფილტრავს, შესაბამისად, საქართველოს ტყეები მთლიანად ფილტრავს 135-190 მლნ. ტონას (4). საქართველოში ეკონომიკის გარკვეული დარგები მჭიდროდ არის დაკავშირებული ტყის რესურსების გამოყენებასთან. ეს დარგებია: სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა და ტურიზმი. ტყის ლანდშაფტი და ბიომრავალფეროვნება არსებითად განაპირობებს საქართველოში მრავალი კურორტისა და ტურიზმის რიგის მიმართულებების განვითარებას. საქართველოს ტყეების სოციალური ფუნქცია გამოიხატება ქვეყნის მოსახლეობის უსაფრთხოებისა და კეთილდღე-

ობისათვის აუცილებელი რესურსების (შეშა, ტყის საკვები პროდუქტები და სხვა) უწყვეტ მიწოდებაში, დასაქმების ხელშეწყობაში და ტყის მართვის პრობლემური საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობაზე.

საქართველოს სატყეო სექტორის ეფექტიანი განვითარებისათვის და ქვეყნის ტყის რესურსებით მდგრადი უზრუნველყოფისათვის საჭიროა ისეთი მოდელის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ოპტიმალური პროპორციების დაცვას ტყის რესურსების მთლიან მოხმარებასა და მათ კვლავწარმოებას შორის. ამ ასპექტში ძალზე მნიშვნელოვანია ისეთი მაჩვენებლების განსაზღვრა, როგორებიცაა ტყის ყოველწლიური ნამატი და ტყის ჭრა. სხვადასხვა გაანგარიშებებით და ექსპერტული შეფასებებით ტყის ყოველწლიური ნამატის დინამიკა შემცირების ტენდენციით ხასიათდება. ბოლო ათწლეულში არასახარბიელო ვითარება შეიქმნა ტყის აღდგენა გაშენებისა და ტყის ბუნებრივი განახლებისათვის ხელშეწყობის მხრივ. ამ მიმართულებებით მხოლოდ 2020 წლიდან შეიმჩნევა მკვეთრი გაუმჯობესება, თუმცა გაუარესდა სიტუაცია ტყის თესვისა და დარგვის თვალსაზრისით. მე-2 და მე-3 ცხრილებში მოცემულია ინფორმაცია რეგიონების მიხედვით ტყის თესვა-დარგვაზე, ხოლო მე-4 ცხრილში ინფორმაცია ტყის ბუნებრივ განახლებასა და ხელშეწყობაზე.

ცხრილი 3

ტყის თესვა-დარგვა (ათასი ჰექტარი)

წლები / რეგიონები	2019	2020	2021	2022	2023
ქ. თბილისი	-	-	-	-	-
აჭარის არ	4	7	5	3	4
გურია	3	-	-	-	-
იმერეთი	-	-	-	-	-
კახეთი	-	-	-	-	-
მცხეთა-მთიანეთი	-	-	-	-	-
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	-	-	-	-	-

სამეგრელო-ზემო სვანეთი	1	1	-	--	-
სამცხე-ჯავახეთი	4	-	-	--	-
ქვემო ქართლი	0	-	-	-	-
შიდა ქართლი	-	-	-	-	-

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

ცხრილი 4

ტყის ბუნებრივი განახლებისათვის ხელის შეწყობა

წლები / რეგიონები	2019	2020	2021	2022	2023
ქ. თბილისი					
აჭარის არ	100	-	190	100	100
გურია	2	3	33	-	677
იმერეთი	23	20	317	38	136
კახეთი	0	-	-	1335	280
მცხეთა-მთიანეთი	-	-	26	-	-
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	-	14	4	-	34
სამეგრელო-ზემო სვანეთი	-	-	-	-	-
სამცხე-ჯავახეთი	-	63	30	81	372
ქვემო ქართლი	12	60	33	17	88
შიდა ქართლი	3	-	-	3	22

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

მე-3 ცხრილიდან აშკარად იკვეთება ძალზე არასახარბიელო ვითარება საქართველოს ყველა რეგიონში ტყის თესვა-დარგვის მიმართულებით. შედარებით უკეთესი მდგომარეობას ასახავს მე-4 ცხრილში მოყვანილი ინფორმაცია ტყის ბუნებრივი განახლებისათვის ხელის შეწყობის თვალსაზრისით. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2023 წელს წინა წლებ-

თან შედარებით თითქმის ყველა რეგიონში საგრძნობლად არის შემცირებული ტყის უკანონო ჭრა. თუ ამ პროცესმა მიიღო შეუქცევადი ხასიათი და ჩამოყალიბდა როგორც ტენდენცია, ცხადია, მკვეთრად გაუმჯობესდება ტყის რესურსების რაციონალური გამოყენება.

თანამედროვე ეტაპზე, საქართველოს ყველა რეგიონში სატყეო სექტორის წინაშე დგას რიგი ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური ხასიათის გამოწვევები, რომლებიც წარმოშობს ქვეყნის ტყის რესურსებით უზრუნველყოფის პროცესში გარკვეულ საფრთხეებს. ამ გამოწვევებს და საფრთხეებს მიეკუთვნება: სატყეო სექტორის შემოსავლიანობის შემცირება და შესაბამისად მისი დაბალი წილი ქვეყნის მთლიან სამამულო პროდუქტში; ტყეების ბუნებრივი კვლავწარმოების უნარის დაქვეითება; ტყეების ეკოსისტემების გაუარესება და ეკოლოგიური და რეკრეაციული ფუნქციის დაქვეითება; ტყეების მავნებლებით დაავადებებისა და ხანძარსაშიშროების რისკების მატება; ეკოლოგიური პრობლემების, განსაკუთრებით კლიმატის ცვლილების გავლენის ზრდა; ტყეებთან ახლოს მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინების დაბალი ხარისხი, რაც გამოხატება მათ დაბალ შემოსავლებში და რაც ხშირ შემთხვევებში იწვევს კონფლიქტური სცენარების წარმოშობას.

ზემოთ აღნიშნული გამოწვევებისა და საფრთხეების გადაჭრის მიზნით აუცილებელია ღონისძიებათა სისტემის განხორციელება სხვადასხვა მიმართულებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს საქართველოს ტყის რესურსების მრავალმიზნობრივი გამოყენება.

მიწის რესურსების დეგრადაცია

კაცობრიობის განვითარების მთელი ისტორიის განმავლობაში მიწა შეუცვლელ და განსაკუთრებულ რესურსს წარმოადგენს. ის არის ეკონომიკის დარგების ფუნქციონირების სივრცითი საფუძველი და ძირითადი ფაქტორი სასოფლო და სატყეო მეურნეობებისათვის. მიწა იძლევა წვდომას სურსათზე, წყალზე და ზოგადად სიცოცხლის უზრუნველყოფაზე.

საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრის ნახევარზე მეტი მოდის მიწაზე. საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა. ბარის ზონა ქვეყნის ტერიტორიის მხოლოდ 46%-ს მოიცავს, ამდენად ქვეყნის

სასოფლო-სამეურნეო მიწის რესურსი 2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით (geostat.ge) შეადგენს 7 87 714 ათას ჰექტარს.

საქართველოს მიწის ფონდის სტრუქტურა იძლევა ნათელ წარმოდგენას მიწის რესურსების სხვადასხვა მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების შესახებ. ბუნებრივია, რომ ეს ფონდი პერიოდულად განიცდის ცვლილებებს მასზე ორი მიმართულებით ზემოქმედების გამო. პირველი მიმართულება მოიცავს ადამიანთა საზოგადოების მიზანმიმართულ ქმედებებს საცხოვრებელი და სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობების გაზრდის მიზნით. კერძოდ, ხდება ჭაობების დაშრობა, მელიორაციისა და ირიგაციის სისტემების აქტიური გამოყენებით გამოუყენებელი და დეგრადირებული მიწის ფართობების ათვისება, მდინარეების მიმდებარე ტერიტორიების გამოყენება და ა.შ. მეორე მიმართულება არის ის, რომ ქვეყანაში მცირდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულები მათზე დასახლებული პუნქტების, საწარმოებისა და სატრანსპორტო ქსელების მშენებლობების გამო. ასევე ფაქტობრივად შეუქცევადი ხასიათი მიიღო და კანონზომიერებად იქცა ყოველწლიურად მიწის გარკვეული ფართობების ამოღება ეკონომიკური საქმიანობიდან მისი სასარგებლო თვისებებისა და ხარისხის გაუარესების გამო, რასაც ძირითადად განაპირობებს: ეროზია, დაჭაობება, დამლაშება და გაუდაბნოება. სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობებს ასევე ამცირებს მათი დაცულ ტერიტორიებად გამოცხადება. მეორე მიმართულების დინამიკა უფრო სწრაფია, რის გამოც ღრმავდება საქართველოს მოსახლეობის მიწის რესურსებით უზრუნველყოფის პრობლემები და შემცირების ტენდენციით ხასიათდება ერთ სულ მოსახლეზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი.

საქართველო არ არის მიწის რესურსებით მდიდარი ქვეყანა და ამ ასპექტში საგანგაშოა მისი გამოყენების დონე, რომელიც კატასტროფულად არის შემცირებული 1990 წელთან შედარებით. მე-5 ცხრილში მოცემულია სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობები 1990-2023 წლებში.

ცხრილი 5

ნათესი ფართობი, ათასი ჰექტ.	1990	1995	200	2005	2010	2015	2019	2020	2021	2022	2023
	701,9	453,1	610,8	539,8	256,7	263,7	203,0	209,9	211,8	215,7	203,8

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

ცხრილიდან ჩანს, რომ სასოფლო-სამეურნეო ნათესი ფართობები 2023 წელს 3,5-ჯერ არის შემცირებული 1990 წელთან შედარებით. საქსტატის მონაცემებით ასევე საგრძნობლადაა შემცირებული მრავალწლიანი ნარგავების ფართობებიც (დაახლოებით 200 ათასი ჰექტარით). ცხადია, ეს პროცესი როგორც ქვეყნის მასშტაბით, ისე რეგიონულ ჭრილში მჭიდრო კავშირშია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების შემცირებასთან, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების გამწვავებასთან და იმპორტდამოკიდებულების გაძლიერებასთან.

თანამედროვე ეტაპზე, საქართველოს რეგიონებში უსერიოზულეს ეკოლოგიურ საფრთხეს წარმოადგენს ბუნებრივი და ანთროპოგენური ფაქტორების ზემოქმედებით გამოწვეული მიწის რესურსების დეგრადაციის პროცესები. 2022-2026 წლებისთვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნულ პროგრამაში აღნიშნულია, რომ ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო მიწების 35% დეგრადირებულია. ამის ყველაზე მწვავე გამოვლინებაა ნიადაგის ეროზია. შეიძლება ითქვას, რომ ნიადაგის ეროზიამ მიიღო შეუქცევადი ხასიათი და ზრდადია მისი დინამიკა. ამავე პროგრამაში აღნიშნულია, რომ დაზიანებულია 1 მილიონ ჰექტარზე მეტი, საიდანაც 380 ათასი ჰექტარი არის სახნავ-სათესი მიწა, ხოლო სამოვრები და სათიბები კი 570 ათასი ჰექტარია. ეროზიული პროცესები განსაკუთრებით გამწვავებულია აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც 2014-2017 წლების გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენებაში აღნიშნული ინფორმაციის მიხედვით 105 ათასი ჰექტარი სახნავი მიწებია ქარისაგან ეროზირებული (მთლიანი ფართობის 21%). ნიადაგის ქარისმიერი ეროზია მნიშვნელოვანი გამოწვევაა შიდა და ქვემო ქართლის რეგიონებშიც.

საქართველოს რეგიონებში მიწის რესურსების მდგომარეობის გაუარესებაზე, ბუნებრივი პროცესების გარდა (კლიმატის ცვლილება), განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენს არასწორი ანთროპოგენური ზემოქმედება, რაც ვლინდება არარაციონალურ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში, ტყეების უკონტროლო გაჩეხვაში, საძოვრების არაოპტიმალურ გამოყენებაში და სხვა.

წყლის რესურსების დაბინძურება

საქართველო მტკნარი წყლის რესურსებით მდიდარია და ის ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს წარმოადგენს. საქართველოს მტკნარი წყლის რესურსები შედგება შემდეგი მდგენელებისაგან: მდინარეების ჩამონადენი ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები; მიწისქვეშა წყლები, რომლებიც არ მონაწილეობენ მდინარეთა ჩამონადენში და პირდაპირ ჩაედინებიან ზღვაში; მყინვარების, ტბების, ჭაობებისა და წყალსაცავის წყლები. მდინარეებიდან რეალური განახლებადი წყლის რესურსებისა და განახლებადი მიწისქვეშა წყლის რესურსების საერთო ოდენობა წელიწადში 61,5 მლრდ $м^3$-ით არის შეფასებული (21). ჩვენი ქვეყნის მდინარეების გეოგრაფიული განფენილობა ცხადად ადასტურებს წყლის რესურსების არათანაბარ განაწილებას დასავლეთ საქართველოს სასრგებლოდ მაშინ, როცა აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონები ხშირად განიცდიან წყლის რესურსების უკმარისობას. დასავლეთ საქართველოში თავმოყრილია 18 109 მდინარე, რომლებიც ქმნის შავი ზღვის აუზს. შესაბამისად, დარჩენილი 7951 მდინარე ქმნის კასპიის ზღვის აუზს და მოედინება აღმოსავლეთ საქართველოში (mepa.gov.ge). ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ჰიდროლოგიური თვალსაზრისით შესწავლილ მდინარეთა რაოდენობა მხოლოდ 1200-ს აღწევს (მთლიანი რაოდენობის 5%).

საქართველოს რეგიონებში წყლის რესურსების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის სფეროში ეკოლოგიურ საფრთხეს წარმოადგენს მისი ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუარესება, რაც იწვევს წყლის რესურსების დაბინძურებას და საფრთხის წინაშე აყენებს მასზე დამოკიდებული ეკოსისტემების არსებობას. არანაკლები მნიშვნელობის პრობლემას წარმოადგენს წყლის რაოდენობრივი მაჩვენებლების შემცირება, რაც ამცირებს მასზე ხელმისაწვ-

დომობას და უარყოფითად ზემოქმედებს როგორც საზოგადოების კეთილდღეობაზე, ისე ეკონომიკის დარგების ფუნქციონირებაზე.

საქართველოს რეგიონებში წყლის რესურსების დაბინძურების ერთ-ერთი მთავარი წყარო არის საყოფაცხოვრებო-სამეურნეო სექტორი. ამ სექტორიდან მრავალი გამაჭუჭყიანებელი ნივთიერება (ამონიუმის იონები და სხვა) ხვდება წყლის ობიექტებში. წყალსარგებლობის ძირითადი მაჩვენებლების კრებულში არსებული ინფორმაციით 2019 წელს სხვადასხვა ეკონომიკური სექტორიდან ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩაშვებული 98.78 მლნ $მ^3$ დაბინძურებული წყლიდან 95% სწორედ მუნიციპალურ სექტორზე მოდის. მნიშვნელოვანი დამაბინძურებელია სამთო-მომპოვებელი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. სამთო-მოპოვებითი საქმიანობის შედეგად მძიმე ლითონები ხვდება წყლის ობიექტებში. აღმოსავლეთ საქართველოში ამის მაგალითებია მდინარეები კაზრეთულა და მაშავერა, ხოლო დასავლეთ საქართველოში ყვირილა. სოფლის მეურნეობიდან კი წყლის ობიექტები ძირითადად ბინძურდება ამონიუმის აზოტით. არანაკლებ მნიშვნელოვანი დამაბინძურებელია სტიქიური და უკონტროლოდ განთავსებული ნაგავსაყრელები, რომელთა დიდი უმრავლესობა მდინარების გასწვრივ მდებარეობს.

წყლის რესურსების მარაგების ზუსტი დადგენა თითქმის შეუძლებელია, ვინაიდან ის მუდმივ მოძრაობაშია და იცვლის აგრეგატულ მდგომარეობას. გარდა ამისა, დღეისათვის საქართველოში წყლის რესურსების რაოდენობრივი მაჩვენებლების ცვლილების შეფასებას ართულებს ის, რომ არსებული ჰიდროლოგიური მონაცემებისა და წყლის გამოყენების აღიცხვის სისტემის არასრულყოფილების გამო არსებული წყალმომხმარებელი სექტორების წყლის რესურსებზე ზუსტი ზეგავლენის დადგენა ფაქტობრივად შეუძლებელია.

კლიმატის ცვლილება

კლიმატის ცვლილების უარყოფითი ზეგავლენა ეროვნულ ეკონომიკასა და საზოგადოების ცხოვრებაზე თვალსაჩინოა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში. ყველაზე სწრაფად დათბობის პროცესი მიმდინარეობს დედოფლისწყაროში, სადაც სტატისტიკური დაკვირვებით ბოლო 60 წლის განმავლობაში საშუალო ტემპერატურამ მოიმატა 0,730 C^0-ით, ხოლო ნალექები მიახლოე-

ბით 15%-ით შემცირდა. ფაქტობრივად აშკარაა გაუდაბნოების შეუქცევადი პროცესი და სხვადასხვა პროგნოზული შეფასებით ამგვარი ტრენდის შენარჩუნების პირობებში მთლიანად კახეთი შეიძლება დადგეს გაუდაბნოების საფრთხის წინაშე, რაც, ცხადია, უდიდესი გამოწვევა იქნება ქვეყნისათვის სასურსათო უსაფრთ-ხოების თვალსაზრისით. დასავლეთ საქართველოში დათბობის პროცესი განსაკუთრებით შესამჩნევია სამეგრელოში (ზუგდიდსა და ფოთში საშუალო ტემპერატურა მომატებულია 0.630 C^0-ით). ტემპერატურის შესამჩნევი ცვლილებები ვლინდება აჭარისა და გურიის რეგიონებში. ცხადია, თუ ვერ იქნება მიღწეული პროგრესი სათბური აირების ემისიის შეზღუდვაში, კლიმატის ცვლილების ნეგატიური შედეგი არ იქნება მხოლოდ გაუდაბნოება, ის გახდება სხვა საფრთხეებისა და რისკების მულტიპლიკატორი. კერძოდ, გაძლიერდება ბიომრავალფეროვნების დეგრადაცია, შემცირდება მტკნარი წყლის მარაგები, გაიზრდება იძულებითი მიგრაცია, შესუსტდება ტურიზმის, ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობისა და ზოგიერთი სხვა დარგის განვითარება, გაძლიერდება სხვადასხვა ექსტრემალური მოვლენები და ა.შ.

საქართველოს რეგიონებში გლობალური დათბობის შედე-გად კლიმატური რეჟიმის ცვლილებამ შესაძლებელია გამოიწვიოს მდინარეებში ჩამონადენის შემცირება. ამ საფრთხის შესახებ აღნიშ-ნულია კიდეც კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონ-ვენციისადმი მეორე ეროვნულ შეტყობინებაში კონკრეტული მდი-ნარეების მაგალითზე. კერძოდ, კვლევის შედეგებით მდინარე რი-ონის ზემო წელში 2050 წლისათვის მოსალოდნელია ჩამონადენის 26%-ით მომატება, ხოლო 2100 წლისათვის შემცირდება 36%-ით 2050 წლის პროგნოზულ მნიშვნელობასთან შედარებით. ასევე ნა-ვარაუდევია, რომ ჩამონადენი 8%-ით შემცირდება მდინარე ალაზ-ნის ზემო წელში და 11%-ით მდინარე ივრის ზემო წელში მე-20 სა-უკუნის მეორე ნახევრის საშუალო მნიშვნელობასთან შედარებით. ჩამონადენის 9%-ით შემცირება 2100 წლისათვის ასევე მოსალოდ-ნელია ცხენისწყლის აუზში.

მკვლევრები კლიმატის ცვლილების ერთ-ერთ საფრთხედ განიხილავენ მყინვარების უკანდახევას, რაც მომავალში ბუნებრი-ვად შეცვლის მდინარეებისა და ტბების ჰიდროლოგიურ პოტენ-ციალს. საქართველოში უკვე აშკარაა მყინვარების ფართობის შემ-

ცირების ტენდენცია, ვინაიდან მეცნიერული დაკვირვებებით ბოლო 50 წელიწადში მყინვარების მთლიანი ფართობი 30%-ით შემცირდა.

ნარჩენების მართვა

საქართველოს რეგიონებში მნიშვნელოვანი ეკოლოგიური გამოწვევაა ნარჩენების მართვა, რაც სხვადასხვა სახის გარემოსდაცვით პრობლემებს წარმოქმნის. ნარჩენების მართვის პრობლემის აქტუალურობა განპირობებულია იმით, რომ ის მონაწილეობს უმრავლესი გარემოსდაცვითი გამოწვევისა და საფრთხის ფორმირებაში, კერძოდ, იწვევს მიწისა და წყლის რესურსებს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაში, აგრეთვე ხელს უწყობს სათბური აირების ემისიის გაზრდას და შესაბამისად კლიმატის ცვლილებას.

2014-2017 წლების გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნულ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ქვეყანაში წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენები თითქმის მთლიანად განთავსდება ძველ, ნებართვის არმქონე ნაგავსაყრელებზე. ამჟამად არსებობს 31 მოქმედი და 24 დახურული ოფიციალური მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელი, რომლებიც არ არის სათანადოდ აღჭურვილი იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს გარემოში მავნე ნივთიერებების ემისიების პრევენცია. გარდა ამისა, ქვეყანაში ამ დრომდე რჩება არაერთი არაკონტროლირებადი, სტიქიური ნაგავსაყრელი. კერძოდ, 40 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღრიცხულია 400-ზე მეტი სტიქიური ნაგავსაყრელი. ხშირ შემთხვევაში ისინი განთავსებულია მდინარეების ნაპირებზე, რაც წყლის ობიექტების დაბინძურებას იწვევს ნარჩენებით (20).

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში საქართველოში მიღებულია მნიშვნელოვანი ნორმატიული დოკუმენტები, შემუშავებულია ნარჩენების მართვის სტრატეგია (2016-2030) და ტარდება პრაქტიკული ღონისძიებები, ეს პრობლემა კვლავ მწვავეა. ჯერჯერობით ვერ ჩამოყალიბდა ნარჩენების მართვის ეფექტიანი მოდელი, რომლითაც სრულყოფილად რეალიზდება თანამედროვე სამყაროში მიღებული ნარჩენების სწორი მართვის ე.წ 5R პრინციპი (შემცირება, ხელახალი გამოყენება, გადამუშავება, ენერგიად გარდაქმნა და განთავსება).

ეკოლოგიური საფრთხეების დაძლევის ძირითადი მიმართულებები საქართველოში

საქართველოში არსებული მრავალფეროვანი ეკოლოგიური საფრთხეები და მათგან წარმოქმნილი ნეგატიური სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური შედეგები ქმნის ახალ ეკოლოგიურ პარადიგმას და დღის წესრიგში აყენებს მათი დაძლევის ძირითადი მიმართულებების შემუშავებისა და პრაქტიკული რეალიზაციის ამოცანას. ამ ამოცანის გადაჭრა მოითხოვს სისტემურ და კომპლექსურ მიდგომას, სადაც ძალზე მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ კერძო და საერთაშორისო აქტორების ჩართულობა და როლი. საქართველოში ეკოლოგიური საფრთხეების დასაძლევად და ეკოლოგიური მდგომარეობის ნორმალიზებისთვის ოპტიმალური ეკოლოგიური პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს რამდენიმე ძირითად მიმართულებას. გამოყოფილ მიმართულებებს ქვემოთ განვიხილავთ თანმიმდევრულად.

სამართლებრივი და ინსტიტუციური რეფორმები

ცნობილია, რომ ჯანსაღი ეკოლოგიური მდგომარეობის უზრუნველყოფის მიზნით ეკოლოგიური რეგულირების ეფექტიანობა არსებითად დამოკიდებულია გარემოსდაცვითი პოლიტიკის სამართლებრივი და ინსტიტუციური მექანიზმების გამართულობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენმა ქვეყანამ 1991 წელს მოიპოვა დამოუკიდებლობა და დაადგა პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის გზას, ხელისუფლებამ მეტ-ნაკლებად მხოლოდ 1995 წელს გააცნობიერა ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და გარემოს დაცვის პრობლემები და ჯანსაღი ეკოლოგიური მდგომარეობის მნიშვნელობა საზოგადოების ცხოვრებაში. ამდენად კონსტიტუციაში ადამიანის ერთ-ერთ უფლებად ჯანსაღ გარემოში ცხოვრება განისაზღვრა. ამიტომ ეკოლოგიის სფეროში რეფორმირების დაწყებად უნდა მივიჩნიოთ 1995 წელი, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მანამდე საქართველო შეუერთდა რამდენიმე კონვენციას გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების სფეროში.

1996 წელს მიიღეს საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“. ამ კანონით განისაზღვრა ბუნებრივი რესურსების მართვისა და გარემოს დაცვის ძირითადი პრინციპები და რეგულაციები ჩვენს ქვეყანაში, ასევე გარემოს დაცვის ეროვნული სამოქმედო გეგ-

მების ყოველ 5 წელიწადში მომზადება და მდგრადი განვითარების კონცეფციის შემუშავება, რომელიც, სამწუხაროდ, დღემდე არ არის შესრულებული.

ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირების ამ ეტაპზე ეკონომიკის ეკოლოგიზაციისა და გარემოსდაცვითი საქმიანობის განხორციელების სამართლებრივი ბაზის მოწესრიგების მიზნით მიღებულია ისეთი კანონები, როგორებიცაა: ცხოველთა სამყაროს შესახებ (1996), ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ (1995), დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ (1996), წიაღის შესახებ (1997), წყლის შესახებ (1997), გეოდეზიური და კარტოგრაფიული საქმიანობის შესახებ (1998), ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ (1999), კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და დაცვის შესახებ (1998). მიღებულია აგრეთვე საქართველოს ტყის კოდექსი (1999).

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ ეტაპზე მიღებული კანონები ძირითადად პასუხობდა დარგში შექმნილ პრობლემებს და ორიენტირებული იყო მათ გადაჭრაზე. ზოგიერთი კანონი გარკვეულწილად პასუხობდა კიდეც ევროკავშირის მოთხოვნებსა და რეგულაციებს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი კანონით ჩამოყალიბდა მხოლოდ ზოგადი ნორმები და პრინციპები, მათი გაშლა კანონქვემდებარე აქტებით აღარ მომხდარა.

მომდევნო წლებში, ეკოლოგიის სფეროში სამართლებრივი ბაზის სრულყოფის მიმართულებით მიღებულ იქნა შემდეგი კანონები: ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ (2007), გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ (2007), თბილისის ეროვნული პარკის შესახებ (2007), ბუნებრივი რესურსებით სარგებლობასთვის მოსაკრებლის შესახებ (2004), ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიის შექმნისა და მართვის შესახებ (2007), ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ (2012), საქართველოს ტყის ფონდის მართვის შესახებ (2011), ნარჩენების მართვის კოდექსი (2014). ბოლო პერიოდებში არსებულ საკანონმდებლო ბაზას დაემატა კანონები გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის (2021) და გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ (2018). ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის სფეროს სამართლებრივი ბაზის სრულ-

ყოფა ძირითადად ხორციელდება უკვე არსებულ კანონებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანით. მოხდა ისეთ ახალ კონვენციებთან და ოქმებთან მიერთება, როგორიცაა, კერძოდ, კიოტოს ოქმი, გაეროს კონვენცია მდგრადი დამაბინძურებლების შესახებ, ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის ბიოუსაფრთხოების კარტახენას ოქმი, შეთანხმება საქართველოსა და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს შორის ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობასთან დაკავშირებული გარანტიების თაობაზე და სხვა. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში გარემოს დაცვის სფეროში არსებული სამართლებრივი ბაზა გარკვეულწილად პასუხობს დარგში არსებულ თანამედროვე გამოწვევებს, თუმცა საჭიროა მისი შემდგომი სრულყოფა. ამ ასპექტში, განსაკუთრებით აღინიშნება საკანონმდებლო ვაკუუმი კლიმატის ცვლილების კონტექსტში. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს საქართველოს კლიმატის ცვლილების სტრატეგია 2030, კლიმატის ცვლილების გლობალურ ეკოლოგიურ პრობლემასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება ხდება ქაოსურად, სისტემური მიდგომის გარეშე. გარდა ამისა, ჩვენი ქვეყანა აღიარებს მდგრადი განვითარების კონცეფციას, როგორც განვითარების უალტერნატივო მოდელს, დღემდე არ არის შემუშავებული და დამტკიცებული მდგრადი განვითარების კონცეფცია სამართლებრივი დოკუმენტის სახით.

ინსტიტუციური რეფორმები: საქართველოში გარემოსდაცვითი პოლიტიკის რეალიზაციის ინსტიტუციური ჩარჩო ძირითადად შედგება სხვადასხვა სამინისტროებისაგან, უწყებებისაგან და შიდასაუწყებო ერთეულებისაგან. ძირითადი აქტორი არის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. ეკოლოგიური პრობლემების რეგულირების მიზნით ინსტიტუციური რეფორმების განხორციელებას ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირების სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებული ხასიათი და მიმართულებები გააჩნდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია 2017 წელს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების და სოფლის მეურნეობის სამინისტროების ერთ უწყებად გაერთიანება, რაც ფორმალურად ინსტიტუციური კონფლიქტის საფუძველია, ვინაიდან სოფლის მეურნეობის დარგი არის გარემოს ერთ-ერთი მსხვილი დამაბინძურებელი. შესაბამისად, ჩნდება ინტერესთა კონფლიქტი და სუსტდება დამაბინძურებელ დარგზე (სოფლის მეურნეობაზე) კონტროლი. პოზი-

ტიური ინსტიტუციური გარდაქმნებიდან შეიძლება გამოიყოს 2013 წელს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შექმნა, რითაც რეალურად გაიმიჯნა ერთმანეთისგან გარემოსდაცვითი პოლიტიკის შემუშავება და გარემოსდაცვითი კონტროლი. ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მნიშვნელოვანია ინსტიტუციური რეფორმირების პროცესის გაგრძელება და განსაკუთრებით რეგიონული გარემოსდაცვითი უწყებების შექმნა, მათი საქმიანობის გაძლიერება და სხვადასხვა დონის უწყებებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესება. ასევე გამწვავებული ეკოლოგიური ვითარების პირობებში დიდ როლს იძენს მონიტორინგის თანამედროვე სისტემის დანერგვა ეკოლოგიურ დარღვევებზე ოპერატიული რეაგირების მოხდენის მიზნით.

ტექნოლოგიური ინოვაციები

უნდა აღვნიშნოთ, რომ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოში ეკოსისტემის ამჟამინდელი სავალალო მდგომარეობა და გლობალური ეკოლოგიური პრობლემების უმრავლესობა, განსაკუთრებით ე.წ. სათბურის ეფექტი, ძირითადად გამოწვეულია მოძველებული და ეკოლოგიურად სახიფათო მოწყობილობებისა და ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად.

ამჟამად, მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები, შექმნილი ეკოლოგიური საფრთხეების გააზრების შედეგად, ეძებენ გზებს ეკოლოგიური მდგრადობის მისაღწევად. ერთ-ერთ ასეთ უალტერნატივო გზად სულ უფრო აღიარებული ხდება ეკოლოგიური ინოვაციების ხელშეწყობა და ეკოლოგიურად სუფთა და ენერგოდამზოგავი ანუ „მწვანე ტექნოლოგიების“ ინტენსიური გამოყენება.

თანამედროვე პირობებში განვითარებულ ქვეყნებში, სადაც ხელისუფლების მიერ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მთავარ მიმართულებად არჩეულია ეკოლოგიურად ორიენტირებული ზრდა, მოქმედებს და აქტიურად მუშავდება ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების მხარდაჭერის პროგრამები და იქმნება სპეციალური სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები. გარდა ამისა, არაერთ ქვეყანაში ყალიბდება ეფექტიანი სტიმულირების მექანიზმები და ინსტრუმენტები „მწვანე“ ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობის მიზნით (სუბსიდიები, გადასახადები და სხვა). ამ პროცესების აქტივიზაციას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა

ევროკავშირის ეკოლოგიურ პოლიტიკაში, სადაც ახალი ჩარჩო პროგრამით იზრდება სამეცნიერო-ტექნოლოგიური ღონისძიებების დაფინანსება და ის უკვე ათეულობით მილიარდ ევროს აღწევს.

აუცილებელია ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების ჩართვა ეკონომიკის ყველა დარგის ფუნქციონირებაში, თუმცა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მათ გამოყენებას ენერგეტიკაში, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა და ტრანსპორტში, ვინაიდან ძირითადად ეკოლოგიური პრობლემების გენერირება სწორედ ამ დარგებში ხდება.

ენერგეტიკა. ენერგეტიკის დარგის ეკოლოგიზაციის მთავარ მიმართულებას წარმოადგენს ენერგოეფექტიანობის პერმანენტული ზრდა და ალტერნატიული ენერგიის წყაროების განვითარება.

თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გლობალური ეკოლოგიური პრობლემა, კლიმატის ცვლილება ძირითადად გამოწვეულია წიაღისეული სათბობის წვისას წარმოქმნილი სათბური აირების ემისიით და ცვლილებებით მიწათსარგებლობაში. ცხადია, რომ კლიმატის ცვლილების პრობლემის არსებობა მიუთითებს ენერგომოხმარების არსებული მოდელის არაეფექტიანობაზე და ენერგიის ალტერნატიული, ე.წ. „მწვანე“ წყაროების მაქსიმალური გამოყენების აუცილებლობაზე.

ალტერნატიული ენერგეტიკის კონცეფცია თანამედროვე პირობებში ფართო მასშტაბებს იძენს. ამგვარი ენერგიის წყაროებში ფართო განმარტების მიხედვით შედის: ჰიდროენერგია, ბირთვული ენერგია, მზის ენერგია, ქარის ენერგია, გეოთერმული ენერგია და სხვა.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში ხორციელდება სხვადასხვა სახის და შინაარსის სახელმწიფო პროგრამები განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და მოხმარების სტიმულირების მიზნით. იზრდება იმ ქვეყნების რაოდენობა, რომლებიც აყალიბებენ პერიოდების მიხედვით განახლებადი წყაროებიდან ენერგიის მიღების მიზნობრივ მაჩვენებლებს. ამჟამად მათი რაოდენობა 100-ს აჭარბებს. აღნიშნულ ასპექტში სახელმწიფო პროგრამების რეალიზაცია მიზნად ისახავს სამი ძირითადი ამოცანის გადაჭრას. ესენია:

სათბური აირების ემისიის შეზღუდვა და გლობალური დათბობის პრობლემის მიტიგაცია, ენერგიის მიღების წყაროების დივერსიფიკაციით ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფა და ეკონომიკის დარგებში ეკოინოვაციების დანერგვა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და „მწვანე“ ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა.

განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოების სტიმულირების მიზნით სხვადასხვა ეკონომიკური ინსტრუმენტი არსებობს, რომელთაგან ყველზე გავრცელებულია სპეციალური მასტიმულირებელი ტარიფები (გამოიყენება 50-ზე მეტ ქვეყანაში) და განახლებადი პორტფელის სტანდარტი (გამოიყენება 20-მდე ქვეყანაში). ალტერნატიული ენერგიის მიღების განუხრელი ზრდა ყოველდღიურად ცვლის განახლებადი და არაგანახლებადი წყაროებიდან ენერგიის მიღების განაწილებას და საზოგადოდ – ენერგეტიკული ბაზრის სტრუქტურას. არნახული ტემპებით იზრდება მზის პანელებისა და ქარის მოწყობილობების გამოყენების მასშტაბები. საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს დირექტორის შეფასებით გლობალური ენერგეტიკული ბაზრის ტრანსფორმაცია ხდება განახლებადი წყაროების ზეგავლენით. მისი აზრით, ზრდა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ქარისა და მზის ელექტროსადგურების მოწყობილობებზე ფასების საგრძნობი შემცირებით. ეს სააგენტოს თვლის, რომ მომავალ წლებში ამ სახის მოწყობილობების ღირებულება კიდევ უფრო შემცირდება.

ბოლო ათწლეულებში მსოფლიოში ენერგეტიკის სფეროში თითქმის 200 გიგავატზე მეტი სიმძლავრე შევიდა ექსპლუატაციაში, რომელთაგან ნახევარზე მეტი მზისა და ქარის სადგურებია. მიუხედავად ამისა, განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგია კერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩება ტრადიციული წყაროებიდან, მაგალითად, ქვანახშირის გამოყენებით მიღებულ ენერგიას. ზოგიერთი პროგნოზით ალტერნატიული წყაროებიდან ენერგიის მიღება 2030 წლისათვის გაიზრდება 30-40%-მდე. თუ ეს პროგნოზი აღმოჩნდა რეალისტური, მაშინ განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგია გადააჭარბებს აშშ-ისა და ევროკავშირის ქვეყნების მიერ ერთად გენერირებულ ენერგიას.

ზემოთ მოტანილი მონაცემები ადასტურებს, რომ განახლებადი ენერგიის წყაროებიდან ყველზე მეტად მზისა და ქარის ენერგიის წარმოება ვითარდება. მიუხედავად იმისა, რომ გეოთერ-

მული ენერგიის მიღების მასშტაბები საგრძნობლად ჩამორჩება მზისა და ქარის ენერგიას, ის განიხილება განახლებადი ენერგეტიკის ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულებად. ბოლო სტატისტიკური მონაცემებით აშშ-ში ეს წყარო ენერგიით უზრუნველყოფს 2,6 მილიონ სახლს. სათბური აირების ემისიის შემცირების კონტექსტში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ენერგოეფექტიანობის მაჩვენებლის გაზრდას. ამ მიმართულებით მრავალ ქვეყანაში სამშენებლო სექტორი გადადის ენერგოდამზოგი შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე. მაგალითად, აშშ-ის მთავრობამ ახლო წარსულში მიიღო გადაწყვეტილება 10 მილიონი სახლის ენერგომოდიფიცირებაზე. ამ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ყოველწლიურად 250 ათასი სახლის ენერგოდამზოგი მოწყობილობებით აღჭურვა.

დოკუმენტში „საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკა“ (2023) აღნიშნულია, რომ საქართველოს ასევე აქვს ქარის, მზის, ბიომასისა და გეოთერმული ენერგიის მნიშვნელოვანი პოტენციალი. განახლებადი ენერგიის ეროვნულ სამოქმედო გეგმაში (2019) კი მოცემულია ამ პოტენციალის რაოდენობრივი შეფასება და მათი ეფექტიანი გამოყენების პირობებში მოსალოდნელი შედეგები. კერძოდ, საქართველოში ქარიდან ელექტროენერგიის საშუალო წლიური გამომუშავების პოტენციალი განსაზღვრულია 4 ტვტ.სთ-ით და 1,500 მგვტ დადგმული სიმძლავრით; გეოთერმული წყლების ყოველწლიური პოტენციალი შეადგენს 250 მილიონ $მ^3$-ს; საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, მზის რადიაციის მაჩვენებელი შედარებით მაღალია. ქვეყნის რიგი რეგიონები წლიურად 250-280 მზიანი დღით ხასიათდება, რაც წელიწადში დაახლოებით 6,000-6,780 მზიურ საათს შეადგენს. მზის წლიური გამოსხივება რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე მერყეობს 1,250-1,800 კვტ.სთ/$მ^2$ შორის. ახლო მომავალში განახლებადი ენერგეტიკული წყაროების ეფექტური გამოყენებით, შესაძლოა, დამატებით გამოიმუშაოს 20 ტვტ.სთ, რაც დაახლოებით 7 მლნ. ტონა წიაღისეული საწვავის დაზოგვის შესაძლებლობას იძლევა. აღნიშნული კი ქვეყანას შესაძლებლობას მისცემს, შეამციროს სათბურის გაზების ემისიები ატმოსფეროში, კერძოდ, 9 მილიონი ტონა CO_2; 5,000 ტონა CO და 44,000 ტონა NO_2.

მას შემდეგ, რაც საქართველომ 2016 წელს ხელი მოაწერა „ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებას“, უფრო ინტენსიური გახდა ალტერნატიული ენერგიის წყაროების ათვისების მასშტაბები, თუმცა ჯერჯერობით კვლავ თვალშისაცემია მასტიმულირებელი სამართლებრივი, პოლიტიკური თუ ეკონომიკური ღონისძიებების სიმწირე, რაც ქვეყანაში განახლებადი ენერგიის განვითარებას სჭირდება. ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ ალტერნატიული ენერგიის განვითარების კონტექსტში პრიორიტეტი ისევ მხოლოდ ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობებია, რომელთა ეკოლოგიური და სოციალური ზემოქმედების საკითხებს ხშირად გამოუწვევია დისკუსიები და სოციალური დაძაბულობა.

სოფლის მეურნეობა. თანამედროვე მსოფლიოში შექმნილი სასურსათო უსაფრთხოებისა და უზრუნველყოფის პრობლემები განაპირობებს სოფლის მეურნეობაში მოსავლიანობისა და მწარმოებლურობის ზრდისათვის ქიმიური პრეპარატებისა და სასუქების გადამეტებული დოზებით გამოყენებას, რაც იწვევს ნიადაგების დეგრადაციას, ეროზიას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაში მავნე ქიმიური მინარევების არსებობას და შესაბამისად არაეკოლოგიური პროდუქციის წარმოებას. შედეგად მიიღება ამ დარგის მიერ გარემოს გაჭუჭყიანების მასშტაბების ზრდა და მისგან გამოწვეული ნეგატიური სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური შედეგები. ამგვარი პროცესები განაპირობებს სოფლის მეურნეობის დარგის ეკოლოგიზაციის აუცილებლობას, რისი მიღწევაც შესაძლებელია ეკოლოგიურად სუფთა ბიოპრეპარატებისა და ბიოტექნოლოგიების გამოყენებით.

ბიოტექნოლოგიებით წარმოებული პროდუქცია არ შეიცავს ჭარბი რაოდენობით ნიტრატებს, ფოსფატებს და სხვა მავნე მინარევებს. მნიშვნელოვანია, რომ ბიოპრეპარატების გამოყენებით უკვე შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოსავლიანობის გაზრდა. ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო ბიოპრეპარატებიდან შეიძლება გამოიყოს ბიოსასუქები, მცენარეთა ზრდის ბიოსტიმულატორები, დაავადებებისა და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებები, მცენარეული ნარჩენების კომპოსტირების საშუალებები და ა.შ.

სოფლის მეურნეობის სფეროში მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების (რომლებიც საგრძნობლად აზიანებენ ნიადაგის სასარგებლო მიკროფლორას) საწინააღმდეგოდ შემუშავებულია ისეთი უნიკალური მახასიათებლების ბიოპრეპარატები, როგორიცაა: ნიადაგის შემადგენლობის უნიფიკატორები და მოსავლიანობის სტაბილიზატორები. ნიადაგის შემადგენლობის უნიფიკატორები თავს უყრის მიკროორგანიზმების სტანდარტულ ნაკრებს ნიადაგის შემადგენლობაში, რაც ემსახურება მისი ნაყოფიერების გაუმჯობესებას. მოსავლიანობის სტაბილიზატორები, კონკრეტული კლიმატური პირობების მიუხედავად, ახდენენ მოსავლიანობის სტაბილიზებას, რაც გამოიხატება იმაში, რომ გვალვის პირობებში ხელს უწყობს ნიადაგში ტენის შენარჩუნებას ატმოსფეროდან მისი შთანთქმის გზით, ხოლო გადაჭარბებული ნალექიანობის დროს შთანთქავს ზედმეტ ნალექს ნიადაგიდან და უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო კულტურებიდან. ფართოდ გამოიყენება ბიოპრეპარატები მცენარეული ნარჩენების კომპოსტირების დროსაც, რაც იძლევა ეკოლოგიურად სუფთა სასუქს.

ბიოპრეპარატები აქტიურად გამოიყენება ნიადაგის რეკულტივაციის პროცესში. ამ გზით დაზიანებული ნიადაგის რეკულტივაციისას ხდება მცენარეული საფარისათვის აუცილებელი და საჭირო მკვებავი ნივთიერებების თავმოყრა, მიკროორგანიზმების ჯგუფების განვითარება და ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება.

თანამედროვე პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობაში ნანოტექნოლოგიების გამოყენების საკითხების შესწავლას და ამ დარგში მისი აქტიური გამოყენების მიზანშეწონილობის დასაბუთებას. მრავალი კვლევის შედეგები და ემპირიული ანალიზი ადასტურებს, რომ ამგვარი ტექნოლოგიების გამოყენებით შესაძლებელია კვების პროდუქტების ახალი კლასის ნანოპროდუქტების მიღება, რომელიც ეტაპობრივად ჩაანაცვლებს სასოფლო-სამეურნეო ბაზარზე გენმოდიფიცირებულ პროდუქციას.

მაშასადამე, შეიძლება ითქვს, რომ „ქიმიური“ მისათსარგებლობიდან „ბიოლოგიურ“ მიწათსარგებლობაზე გადასვლა არის სოფლის მეურნეობაში არსებული გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური პრობლემების დაძლევის ძირითადი გზა.

ტრანსპორტი. კვლევების შედეგებით სათბური აირების გამოშვებაში დომინირებს ენერგეტიკა (26%). შემდეგ მოდის მრეწველობა (19%), მიწათსარგებლობა და სატყეო მეურნეობა (17%), სოფლის მეურნეობა (14%) და ტრანსპორტი (13%). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნების ეკონომიკური განვითარების მდგომარეობისა და ეკონომიკის სტრუქტურის მიხედვით ეს მაჩვენებლები იცვლება და ასევე განსხვავებულად (მათ შორის საქართველოში) ვლინდება კლიმატის ცვლილება.

ევროკავშირის მიდგომებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სატრანსპორტო პოლიტიკას და მისი სრულყოფის საკითხებს. ავტოტრანსპორტით გარემოს დაბინძურების მასშტაბები თანამედროვე მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში დღითიდღე იზრდება. მაგ., აშშ-ში მისი წილი მთლიან გაჭუჭყიანებაში უკვე აჭარბებს 63 %-ს. ეკონომიკის ამ დარგის მიერ გარემოს დაბინძურება განსაკუთრებით თავს იჩენს ურბანიზებულ ქალაქებში.

ავტოტრანსპორტით გარემოს დაბინძურებას განაპირობებს მთელი რიგი მართვადი და არამართვადი ფაქტორები. კერძოდ, საწავავის სახეობები და მათი ხარისხი, მეტეოროლოგიური პირობები, სეზონურობა, ურბანული თავისებურებები, ავტოპარკის ტექნიკური მდგომარეობა და ავტომობილების რიცხოვნობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ავტოპარკის ტექნიკური მდგომარეობა.

თანამედროვე მსოფლიოში ავტოტრანსპორტის ეკოლოგიზაცია, ანუ როგორც ამჟამად უწოდებენ "დეკარბონიზაცია", უპირველეს პრიორიტეტს წარმოადგენს პარიზის შეთანხმების მონაწილე ქვეყნებისა და იმ სახელმწიფოებისთვის, რომელთა ეკოლოგიურ პოლიტიკაში კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. დღითიდღე იზრდება დაფინანსების მოცულობა მსოფლიოში ეკოლოგიურად სუფთა საწვავის მისაღებად და მოწინავე ტექნოლოგიების მქონე ავტომობილების შესაქმნელად. კომპანია „ნისანის" პროგნოზით, 2020 წლისათვის მსოფლიოში ყოველი მეათე მანქანა ელექტროძრავით იქნება, გაიზრდება სხვა „მწვანე მანქანების" გაყიდვების მოცულობა. ელექტროავტომობილი ჰაერს თითქმის აბინძურებს, რადგან გამონაბოლქვი არ შეიცავს მავნე გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებებს, როგორიცაა ნახშირორჟანგი, აქროლადი ორგანული ნაერთები, ნახშირწყალბადები, ოზონი, ტყვია და აზო-

ტის ჟანგეულები. ეკოლოგიურად სუფთა ჰიბრიდული და ელექტ-რული ავტომობილებით შიდაწვის ძრავიანი ავტომობილების ჩანაცვლება და მსოფლიო ავტოპარკის განახლება საგრძნობლად შეუწყობს ხელს ტრანსპორტის დარგიდან „სათბურის აირების“ ემი-სიების შემცირებას და „სათბურის ეფექტის“ პრობლემის დაძლევას.

საზოგადოების გარემოსდაცვითი განათლებისა და ცნობიერების ამაღლება

საქართველოში ეკოლოგიური საფრთხეების პრევენციისა და არსებული გარემოსდაცვითი გამოწვევების დაძლევისათვის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა ეკოლოგიური განათლების ეფექ-ტიანი სისტემის შექმნა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მოსახ-ლეობის ცნობიერების ამაღლება და გარემოს დაცვისადმი ინტერე-სების სტიმულირება, საზოგადოებაში ეკოლოგიური პასუხისმგებ-ლობის იდეოლოგიის ფორმირება, ეკოლოგიის სფეროში კადრების მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება (განსაკუთრებით მდგრა-დი განვითარების მიმართულებით), სახელმწიფო მხარდაჭერა ეკოლოგიური განათლების განმახორციელებელი ორგანიზაციების მიმართ, ეკოლოგიური კანონმდებლობისა და მდგრადი განვითა-რების პრინციპების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობა და ა. შ.

ჩვენს ქვეყანაში ეკოლოგიური განათლების სისტემის საფუძ-ვლების შექმნისა და მისი კონცეპტუალური პრინციპების ფორმი-რების პირველ მცდელობად უნდა ჩაითვალოს 1991-1992 წლებში გერმანიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით შემუშავებული ეკოლოგიური განათლების განვითარების სტრატეგია და პროგ-რამა. ამ პროგრამაში სწორად იყო აქცენტები დასმული ეკოლო-გიური განათლებისათვის უწყვეტობის ხასიათის მინიჭებისა და სხვადასხვა სასკოლო საგნებში მისი ინტეგრირების მიმართულე-ბებით. პროგრამა მოიცავდა არა მხოლოდ ფორმალურ, არამედ არაფორმალური განათლების ღონისძიებათა ფართო სპექტრს. აღსანიშნავია, რომ პროგრამა არ დარჩენილა ქაღალდზე და მის ფარგლებში სხვადასხვა აქტივობები მწირად, მაგრამ მაინც გან-ხორციელდა.

პირველი სამართლებრივი დოკუმენტი, სადაც ეკოლოგიურ განათლების როლი, მნიშვნელობა და სტატუსია განსაზღვრული,

არის საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“. ამ კანონის III თავის მე-8 და მე-9 მუხლებში მითითებულია, რომ ქვეყანაში აუცილებელია შეიქმნას ეკოლოგიური განათლების ერთიანი სისტემა, რომელიც „მოიცავს საგანმანათლებლო სასწავლებლების, კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამღლების დაწესებულებათა ქსელს“, აგრეთვე „სკოლამდელი, დაწყებითი, საბაზო, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ეტაპებს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები მხოლოდ დეკლარირებული სახით დარჩა და ისინი პრაქტიკაში თითქმის არ განხორციელებულა.

საქართველოს ხელისუფლების მიერ გარემოსდაცვითი პრობლემების დაძლევაში მოსახლეობის ეკოლოგიური განათლების განსაკუთრებული მნიშვნელობის გააზრებისა და ქვეყანაში ეკოლოგიური განათლების განვითარების ხელშეწყობისათვის 2002 წელს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცდა „მოსახლეობის ეკოლოგიური განათლების სახელმწიფო პროგრამა“ და ძალადაკარგულად ჩაითვალა „მოსახლეობის ეკოლოგიური განათლების სახელმწიფო პროგრამის შემმუშავებელი კომისიის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის განკარგულება. აღსანიშნავია, რომ ამ პროგრამის ძირითად მიზანს ჩვენს ქვეყანაში ეკოლოგიური განათლების განვითარებისათვის ჯერ კიდევ აუცილებელი პირობების შექმნა წარმოადგენდა. ეს მაშინ, როცა პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის დაწყებიდან გასული იყო 11 წელი და კიდევ უფრო გაღრმავებული იყო ეკოლოგიური პრობლემები და მისგან გამოწვეული ნეგატიური სოციალურ-ეკონომიკური შედეგები.

2012 წელს ქვეყნის ხელისუფლებამ აღიარა, რომ ჯანსაღი ეკოლოგიური გარემოს ფორმირებისა და მდგრადი განვითარებისათვის განათლების კუთხით არსებული მდგომარეობა არასახარბიელოა და ძალისხმევაც ამ მიმართულებით არასაკმარისია. კერძოდ, აღინიშნა, რომ ინტერესი განათლებისადმი, როგორც მდგრადი განვითარების საშუალებისადმი, გაიზარდა უკანასკნელი წლების განმავლობაში, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ახლა ვიწყებთ მისი პოტენციალის გაცნობიერებას [საქართველოს ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა (2012-2014)]. სწორედ ამ მიზნით შემუშავდა დოკუმენტი გარემოს დაცვის განათლება მდგრადი

განვითარებისათვის [საქართველოს ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა (2012-2014)]. ამ დოკუმენტით დაისახა ისეთი მიზნების განხორციელება, როგორებიცაა: ხელისუფლების მმართველობითი და მარეგულირებელი როლის გაძლიერება გარემოსდაცვითი განათლების ხელშესაწყობად, ფორმალური და არაფორმალური გარემოსდაცვითი განათლების პროფილის გაზრდა, საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება და ინტეგრაციის გაღრმავება გარემოსდაცვითი განათლების სფეროში ჩართულ მხარეებთან.

საქართველოში გარემოსდაცვითი განათლების ფორმირებისა და სტიმულირებისაკენ მიმართულ სხვადასხვა დოკუმენტებსა და გეგმებში ძირითადი აქცენტი კეთდება სკოლამდელ დაწესებულებებში, სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში და მათ მიღმა ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამების დანერგვაზე, ტრენინგების ჩატარებაზე და სხვა ტიპის აქტივობების განხორციელებაზე. სამწუხაროდ, სახელმწიფოს მხრიდან ჯერჯერობით არასათანადო ყურადღება ეთმობა მეცნიერების როლს ამ პრობლემის გადაწყვეტაში და შესაბამისი მასტიმულირებელი ღონისძიებების რეალიზაციის საკითხებს. ეს მაშინ, როცა ფუნდამენტური კანონის „გარემოს დაცვის შესახებ“ მე-10 მუხლის მიხედვით გარემოს დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების, აგრეთვე საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების მიზნით ეკოლოგიასა და გარემოს დაცვის სფეროში უნდა შემუშავებულიყო სამეცნიერო კვლევის პროგრამები და გეგმები (12).

საქართველოში გარემოსდაცვითი განათლების არსებული მდგომარეობის შეფასების თვალსაზრისით საინტერესოა გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ინიციატივით სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ მომზადებული კვლევა „გარემოსდაცვითი განათლებისა და ცნობიერების დონის შეფასება ეროვნულ დონეზე“. მიუხედავად იმისა, რომ ავტორები კვლევის შედეგების მიხედვით მოსახლეობის გარემოსდაცვით ცნობიერებას და შესაბამის ქცევას მრავალი მიმართულებით მიიჩნევენ ადეკვატურად, ამ და სხვა კვლევებით, აგრეთვე ზოგიერთი ექსპერტული შეფასებებით ჩანს არაერთი პრობლემა ამ

მიმართულებით, რის გამოც ეკოლოგიური განათლება და ცნობიერება ჩვენი ქვეყნის მოსახლეობაში ჯერ კიდევ დაბალია და მათი დამოკიდებულება გარემოს მიმართ მომხმარებლურია.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარეობს ტენდენცია გარემოსდაცვითი განათლებისა და მდგრადი განვითარების კონცეფციის შერწყმის შესახებ. დოკუმენტში გარემოს დაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისათვის გათვალისწინებულია მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელება ამ თვალსაზრისით, მდგრადი განვითარების კონცეფციის შემუშავებამდე და მისი პრინციპების რეალიზაციის სისტემის ფორმირებამდე. გარემოსდაცვითი განათლების გაუმჯობესების ნებისმიერი პროგრამა თუ სხვა სახის დოკუმენტი ვერ იქნება შედეგზე ორიენტირებული.

საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება

საქართველოს საერთაშორისო თანამშრომლობა გარემოს დაცვის სფეროში საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლისას მალევე დაიწყო და შემდგომ წლებში უფრო გაღრმავდა. პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის საწყის ათწლეულში საქართველო მიუერთდა რამდენიმე საერთაშორისო კონვენციას და აქტიურად დაიწყო თანამშრომლობა სხვადასხვა საერთაშორისო გარემოსდაცვით პროგრამებთან. მათგან შეიძლება გამოიყოს: გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი, გაეროს პროგრამა, მსოფლიო ბანკი, გაეროს განვითარების პროგრამა, ევროპის გარემოსდაცვითი სააგენტო, მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია და ა.შ. შემდგომ წლებში საქართველო საერთაშორისო დონეზე აღიარებული მიდგომებისა და რეგულაციების დანერგვის მიზნით მიუერთდა გარემოს დაცვის სფეროში შემდეგ კონვენციებსა და ოქმებს: კიოტოს ოქმი, გაეროს კონვენცია მდგრადი დამაბინძურებლების შესახებ, ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის ბიოუსაფრთხოების კარტახენას ოქმი, შეთანხმება საქართველოსა და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს შორის ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობასთან დაკავშირებული გარანტიების თაობაზე და სხვა. ამჟამად საქართველო 39 საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების მონაწილეა კლიმატის ცვლილე-

ბის, ჰაერის დაცვის, ნარჩენების მართვის, წყლისა და მიწის რესურსების მართვის და სხვა სფეროებში.

გარემოსდაცვითი საერთაშორისო თანამშრომლობის ასპექტში განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება, რომელსაც ხელი მოეწერა 2014 წელს და ძალაში შევიდა 2016 წელს. ეს შეთანხმება დიდწილად განსაზღვრავს ჩვენს ქვეყანაში ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში არსებული ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირების საკითხს. ამ დოკუმენტით გათვალისწინებულია საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება ევროკავშირის 22 დირექტივასა და 4 რეგულაციასთან განსაზღვრულ ვადებში; მასში ასევე შედის საკითხები, რომლებიც ეხება გარემოსდაცვით განათლებას, მონიტორინგისა და გარემოსდაცვითი ინფორმაციის სისტემებს, გარემოსდაცვით პასუხისმგებლობას, ჰაერის დაცვის, წყლის რესურსების, ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის, სატყეო მეურნეების დაცვისა და კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებულ პრობლემებს და სხვა (European Union, 2014).

საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას ადასტურებს 2016 წელს საქართველოს შეერთება კლიმატის ცვლილების შესახებ პარიზის შეთანხმებას, რითაც კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში ევროკავშირთან გარემოსდაცვის ფარგლებში ინტეგრაციისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მიერთებულია გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციას, პარიზის კლიმატის ცვლილების შეთანხმებაში მონაწილეობით საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო რაციონალური გადაწყვეტილება, რათა გაიზარდოს ეროვნული წვლილი კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლაში.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ საქართველოში არსებული ეკოლოგიური საფრთხეები მრავალფეროვანია და მოიცავს როგორც ბუნებრივ, ისე ადამიანის საქმიანობით გამოწვეულ პრობლემებს. ქვეყანაში კლიმატური ცვლილებები, ურბანიზაცია, სამრეწველო საქმიანობა და სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა იწვევს სხვადასხვა სახის ეკოლოგიურ საფრთხეებს. ამ პრობლემების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითებია ჰაერის და წყლის რესურსების

დაბინძურება, ტყეების განადგურება და მიწის რესურსების დეგ-რადაცია. არსებული ეკოლოგიური საფრთხეების დაძლევა არის გრძელვადიანი პროცესი და ითხოვს გარემოსდაცვის სფეროში სამართლებრივ-ინსტიტუციური ბაზის სრულყოფას, ეკოტექნო-ლოგიური ინოვაციების ხელშეწყობას, საერთაშორისო თანამშრომ-ლობის გაძლიერებას და ეკოლოგიური განათლებისა და ცნო-ბიერების ამაღლებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **აბესაძე რ., ბიბილაშვილი ნ. (2020),** გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების არსებული მდგომა-რეობა. თსუ, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტ. XIII. თბილისი.
2. **განახლებადი ენერგიის ეროვნული სამოქმედო გეგმა.**
3. გარემოსდაცვითი განათლებისა და ცნობიერების დონე საქართველოში (კვლევის ანალიტიკური ანგარიში). 2022.
4. **გარფორტი მ. (2015),** ტყის ტრანსფორმაციის გაიდლაინი. ტყის ნარგაობების ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში კლიმატის ცვლილებისადმი მათი მდგრადობის ასამაღ-ლებლად. თბილისი.
5. **დვალიშვილი ლ. (2024), კლიმატის ცვლილება, ახალი გამოწვევები და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგო-მარეობაზე მისი გავლენის თავისებურებები.** საერთა-შორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული „მსოფლიოს ეკონომიკური განვითარების ტენდენ-ციები ახალ გეოპოლიტიკურ რეალობაში: საქართველოს ადგილი და გამოწვევები“. თსუ, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. თბილისი.
6. **ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმება.** 2014.
7. **თოთლაძე ლ., ხუსკივაძე მ. (2022), ეკოლოგიური უსაფრ-თხოება, როგორც მდგრადი განვითარების ფაქტორი: ბენელუქსის ქვეყნების გამოცდილება.** თსუ-ის ეკონო-მიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო სამეც-

ნიერო კონფერენცია: „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“. თბილისი.

8. **თოთლაძე ლ., ხუსკივაძე მ.** (2024). კლიმატის ცვლილების შედეგების ზეგავლენის შეფასება ეკოინოვაციების კონტექსტში: საქართველოს მაგალითი. საერთაშორისო რეცენზირებადი სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“, #4.
9. **თოთლაძე ლ., ხუსკივაძე მ. (2024).** ურბანიზაციისა და ეკოლოგიური მდგომარეობის დამოკიდებულების რეგიონული ასპექტები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.
10. **ლაზარაშვილი თ., კაკულია ე., გოგოხია თ. (2024), კლიმატის ცვლილების სოციალურ-ეკონომიკური შედეგები**. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული „მსოფლიოს ეკონომიკური განვითარების ტენდენციები ახალ გეოპოლიტიკურ რეალობაში: საქართველოს ადგილი და გამოწვევები“. თსუ, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. თბილისი.
11. **კაკულია ნ. (2024), კლიმატის ცვლილების და მასთან დაკავშირებული რისკების ზემოქმედება მაკროეკონომიკურ სტაბილურობაზე.** საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული „მსოფლიოს ეკონომიკური განვითარების ტენდენციები ახალ გეოპოლიტიკურ რეალობაში: საქართველოს ადგილი და გამოწვევები“. თსუ, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. თბილისი.
12. **კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“. 1997.**
13. **ნოზაძე ზ. (2024), წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების ეკოლოგიური პრობლემები და მისი გადაჭრის გზები.** საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული „მსოფლიოს ეკონომიკური განვითარების ტენდენციები ახალ გეოპოლიტიკურ რეალობაში: საქართველოს ადგილი და გამოწვევები“. თსუ, პაატა

გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. თბილისი.
14. **ჟორდანია ი. და ავტორთა კოლექტივი (2015),** საქართველოს ბუნებრივი რესურსები. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი. ტომი I, II. თბილისი.
15. **საქართველოს სახელმწიფო ენერგეტიკული პროგრამა.**
16. საქართველოში წყალსარგებლობის ძირითადი მაჩვენებლების კრებული 2019 წლისათვის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.
17. საქართველოს მე-4 ეროვნული შეტყობინება გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მიმართ.
18. საქართველოს მე-3 ეროვნული შეტყობინება გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მიმართ.
19. საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია.თბ.,2020.
20. საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თემატური მოკვლევის ანგარიში მუნიციპალური ნარჩენების სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ, 2020.
21. **სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიისა (2016-2030) და სამოქმედო გეგმისათვის (2016-2020**). თბ.; 2015.
22. **ტრაპაიძე ვ. (2012),** წყლის რესურსები. თბ.; 2102.
23. ტყის პირველი ეროვნული აღრიცხვა საქართველოში. თბ., 2023.
24. ჩხაიძე ბ. (2017), საქართველოს ტყის მერქნული რესურსების ენერგეტიკული პოტენციალი. http://weg.ge/sites/default/files/pdf.pdf
25. **წერეთელი ზ. (2024), ეროვნული საინოვაციო სისტემის განვითარებისა და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლების პრობლემები.** საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული „მსოფლიოს ეკონომიკური განვითარების ტენდენციები ახალ გეოპოლიტიკურ რეალობაში: საქართველოს ადგილი და გამოწვევები“. თსუ,

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. თბილისი.
26. **ხუსკივაძე მ. (2021),** საქართველოს ტყის რესურსების გამოყენებისა და დაცვის ინოვაციური სტრატეგია. თბილისი.
27. **2022-2026 წლებისთვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა.**
28. **2014-2017 წლების გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენება.** 2019.
29. **https://mepa.gov.ge/**
30. **geostat.ge**

Mamuka khuskivadze

ECOLOGICAL THREATS IN THE REGIONS OF GEORGIA AND MAIN DIRECTIONS FOR OVERCOMING THEM

Summary

Preventing ecological threats and achieving a harmonious coexistence of society and nature, or coevolution, is one of the most significant challenges of modern society. Ecological threats that are developing in the modern world, including in various regions of Georgia, have a profound impact on the ecological situation and undermine the well-being of the population. Georgia, known for its rich biodiversity and unique ecosystems, has been increasingly affected by the severity of ecological threats in recent decades. This is primarily due to climate change, urbanization, and unsustainable agricultural practices.

The paper discusses the ecological threats in Georgia caused by both natural and anthropogenic activities. Among these threats, air pollution, water resource contamination, deforestation, climate change, and land resource degradation are addressed in detail. Such threats and their negative consequences require the development of a comprehensive system of measures to overcome them. In this context, based on the objectives of the paper, the following main directions are proposed and analyzed: legal and institutional reforms, eco-technological innovations, raising public awareness and improving ecological culture, and deepening international cooperation.

ნუნუ ქისტაური

საქართველოში საერთაშორისო ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებული ფინანსური უსაფრთხოების პრობლემები

ანოტაცია. *ნაშრომი ეძღვნება დღეისათვის ისეთ საჭირბოროტო საკითხს, როგორიცაა საერთაშორისო ტურიზმი და მისი ფინანსური უსაფრთხოება. ტურიზმი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე უდიდეს და ყველაზე სწრაფად მზარდ ინდუსტრიას მსოფლიო ეკონომიკაში. ამასთან იგი ეკონომიკის ყველაზე დაუცველი სექტორია. როგორც საქმიანობა, ის მუდმივად იცვლება, ექვემდებარება რისკს, ხშირად დამოკიდებულია ეკონომიკურ პირობებზე, პოლიტიკურ სტაბილურობაზე, საბაჟო რეგულაციებზე, ვალუტის პარიტეტის ცვლილებებზე, ტურისტულ ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების მასშტაბზე, ახალ ავიახაზებზე, კლიმატურ პირობებზე, დანაშაულის მაჩვენებლებზე და სხვ.. ამასთან დაკავშირებით ნაშრომში განხილულია ტურიზმის დარგის უსაფრთხოების ასპექტები ეკონომიკური (საფინანსო) კუთხით.*

ნაშრომში მითითებულია, რომ საქართველოში ტურიზმის სექტორის ეკონომიკურ განვითარებას არეგულირებს „საქართველოს ტურიზმის განვითარების სტრატეგია- 2025“, რომელიც საქართველოს მთავრობამ 2015 წელს მიიღო და სხვა შესაბამისი კანონები.

ნაშრომში მოყვანილია საინტერესო ციფრობრივი მასალა დარგის განვითარების კუთხით.

საკვანძო სიტყვები: *ფინანსური უსაფრთხოება, საერთაშორისო ტურიზმი, მსოფლიო ეკონომიკა, შემოსავლები ტურიზმიდან.*

****

XX საუკუნის ბოლოსთვის ტურიზმმა წამყვანი ადგილი დაიკავა საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში, დაიწყო სერიოზული გავლენა ცალკეული ქვეყნების ეკონომიკის განვითარებაზე და მთლიანად მსოფლიო ეკონომიკაზე. ამ ფაქტორების გამო ტურიზმს „მე-20 საუკუნის ფენომენი“ უწოდეს.

თანამედროვე ტურიზმი წარმოადგენს ეკონომიკური სივრცის ერთ-ერთი მნიშვნელოვან კომპონენტს მსოფლიოს მრავალი ქვეყნისთვის. მსოფლიოში განუხრელად იზრდება ახალი ტურისტული

მიმართულებების რაოდენობა, პროგრესულად იზრდება ინვესტიციები ტურიზმში, რაც მას ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალად ხდის. დღეს იგი წარმოდგენილია როგორც ერთ-ერთი უდიდესი და ყველაზე სწრაფად მზარდი ინდუსტრია მსოფლიო ეკონომიკაში. მსოფლიოს მრავალი ქვეყნისთვის საერთაშორისო ტურიზმი წარმოადგენს სავალუტო შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს. იგი არის სამი უმსხვილესი საექსპორტო ინდუსტრიიდან ერთ-ერთი (ნავთობისა და ავტომობილების წარმოებასთან ერთად), რომელთა მაჩვენებელი გლობალური ექსპორტის შესაბამისად 11% და 8.6%-ია, ხოლო თვითონ საერთაშორისო ტურიზმის მაჩვენებელი 7%.

ტურიზმის სექტორზე მოდის მსოფლიო მთლიანი ეროვნული პროდუქტის 6%, გლობალური ინვესტიციების 7%, გლობალური სამომხმარებლო ხარჯების 11%. იგი ქმნის ყოველ მეათე სამუშაო ადგილს მსოფლიოში. მსოფლიო ტურიზმისა და მოგზაურობის საბჭოს WTTC (World Travel & Tourism Council) პროგნოზების მიხედვით, მომდევნო ათწლეულში გლობალურ შრომის ბაზარზე სამუშაო ადგილების მეოთხედი სწორედ ამ ინდუსტრიაში შეიქმნება.

საერთაშორისო ტურიზმის მნიშვნელობა გამოიხატება იმით, რომ იგი გავლენას ახდენს არა მხოლოდ ცალკეული ქვეყნის, არამედ მთელ მსოფლიო ეკონომიკაზე. არაერთი მაღალგანვითარებული ქვეყნის, რომლებიც უკვე მრავალი წელია საერთაშორისო ტურიზმის აღიარებული ცენტრებია, როგორიცაა შვეიცარია, ავსტრია, საფრანგეთი, ესპანეთი, მათი სიმდიდრის მნიშვნელოვანი წილი სწორედ ტურიზმიდან მიღებულ შემოსავალს ეყრდნობა. განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაშიც უპრეცედენტო ტემპით იზრდება ტურიზმის როლი. გარდა ამისა არსებობენ სახელმწიფოები, რომლებიც პრაქტიკულად ცხოვრობენ ტურიზმით. მოგზაურებზე ყველაზე მეტად დამოკიდებული ქვეყნებია: ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები, მალდივები, სეიშელის კუნძულები, ბაჰამის კუნძულები და სხვ. ევროპაში მოგზაურების წყალობით ტურიზმის სექტორს მშპ-ში ყველაზე დიდი წილი აქვს ხორვატიაში, საბერძნეთში, პორტუგალიაში, იტალიასა და კვიპროსში. ინდუსტრიაში ინვესტიციების მხრივ საერთაშორისო ტურიზმში წამყვანი

ქვეყნები არიან: აშშ, ჩინეთი, ინდოეთი, საფრანგეთი, იაპონია, გერმანია.

ტურიზმის განვითარებას ასევე მოაქვს ის სარგებელიც, რომ სახელმწიფოსთვის ეს წარმოადგენს ერთგვარ წახალისებას, რათა მაქსიმალურად მოუაროს და დაიცვას თავისი კულტურული მემკვიდრეობა და ტურისტული ადგილები. არაერთ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ ასეთ დიდ ყურადღებას აქცევენ სამკურნალო ბუნებრივი რესურსების დაცვას მათი დაბინძურებისა და განადგურებისგან. ასევე ზოგადად დიდ მოტივატორს წარმოადგენს ტურისტთა მოზრდილი ნაკადი იმისათვის, რომ ქვეყანამ უკეთესად მოუაროს თავის ეკოლოგიურ მდგომარეობას, რაც არა მარტო ეკოლოგიურ ასევე ეკონომიკურ სარგებელსაც უზრუნველყოფს. საერთაშორისო ტურიზმის ეკონომიკური მექანიზმების ზემოქმედების შედეგად ტურისტულ ქვეყნებში იზრდება ტურისტული პროდუქტის მოხმარების მასშტაბები და მრავალფეროვნება; ტურისტული ობიექტების რაოდენობა და უმჯობესდება მათი სერვისის ხარისხი; ტურისტული დანიშნულების ადგილებში დასაქმებისა და მაღალი შემოსავლების მიღების შესაძლებლობა; ტურიზმთან დაკავშირებული დარგების განვითარების შესაძლებლობები და ა.შ.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია UNWTO-ის (United Nations World Tourism Organization) კვლევების მიხედვით, რომელიც 200 ქვეყნის მონაცემებს ეყრდნობა, ტურისტებს შორის ყველაზე პოპულარული ქვეყნების ტოპ-10 და მათი შემოსავალი საერთაშორისო ტურიზმიდან ასეთია (იხ. **ცხრილი 1**):

ცხრილი 1

მსოფლიოს ქვეყნების ტოპ-10 და შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან 2023 წელს

N	ქვეყანა	შემოსავალი ტურიზმიდან (მლნ აშშ დოლარი)	ტურისტების რაოდენობა (მლნ კაცი)
1.	აშშ	200	79.3
2.	ესპანეთი	80	83.7
3.	საფრანგეთი	60	89.4

4.	ჩინეთი	60	65.7
5	იტალია	40	64.5
6.	გერმანია	40	39.6
7.	დიდი ბრიტანეთი	40	39.6
8.	ავსტრალია	40	5.4
9.	მაკაო	30	28. 23
10.	ჰონკონგი	20	34

2024 წლის 9 თვის მონაცემებით, მსოფლიოში ყველაზე მონახულებადი ქვეყნების რიგში იყო საფრანგეთი (117,1 მლნ კაცი), პოლონეთი (88 მლნ კაცი), მექსიკა (51 მლნ კაცი), აშშ (45 მლნ კაცი), ტაილანდი (39,9 მლნ კაცი), იტალია (38,4 მლნ კაცი), ჩეხეთი (37,2 მლნ კაცი), ესპანეთი (36,4 მლნ კაცი), კანადა (32,4 მლნ კაცი) და უნგრეთი (31,6 მლნ კაცი).

ძალიან მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ტურიზმი ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე დაუცველი სექტორია. ის ექვემდებარება სხვადასხვა რისკს, ხშირად დამოკიდებულია ეკონომიკურ პირობებზე, პოლიტიკურ სტაბილურობაზე, საბაჟო რეგულაციებზე, ვალუტის კურსის ცვლილებებზე, ტურისტულ ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების მასშტაბზე, ახალ ავიახაზებზე, კლიმატურ პირობებზე, დანაშაულის მაჩვენებლებზე და სხვ.

ამ პრობლემას ჯერ კიდევ 1989 წელს მიეძღვნა ტურიზმის შესახებ ჰააგის საპარლამენტთაშორისო კონფერენცია, რომლის გადაწყვეტილებების თანახმად: „ტურიზმის განვითარების შეუცვლელი პირობაა ტურისტების უსაფრთხოება, დაცვა და მათი ღირსების პატივისცემა“. თუმცა დღესაც უსაფრთხოება ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად რჩება საერთაშორისო ტურიზმისთვის.

1995 წლის ივნისში, შვედეთის ქალაქ ოსტერსუნდში, ტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაცია WTO-ს (World Trade Organization) ეგიდით გაიმართა ტურიზმის უსაფრთხოებისა და მოგზაურობის რისკების შემცირების პრობლემისადმი მიძღვნილი პირველი საერთაშორისო კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ეროვნული ტურისტული ადმინისტრაციის კვლევითი და საგანმანათლებლო დაწესებულებების წარ-

მომადგენლები ტურიზმის სექტორში, ასევე ინტერპოლი და ტურიზმის უსაფრთხოების სამსახურები, შინაგან საქმეთა სამინისტროების წარმომადგენლები. კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ტურიზმის უსაფრთხოებისა და მოგზაურობისას რისკის შემცირების პრობლემა საკითხთა უკიდურესად ფართო სპექტრს მოიცავს, როგორიცაა: უბედური შემთხვევები, დაავადებები, ინფექციური ეპიდემიები, ტერორიზმი, სამხედრო დაძაბულობები და კონფლიქტები, მეკობრეობა, ნარკოტიკები, ვაჭრობა ტურისტებთან, ადგილობრივ მოსახლეობასთან და სხვ.

ამავე 1995 წლის მარტში კადიზში (ესპანეთი) WTO-მ გამართა საერთაშორისო ფორუმი, რომელსაც ესწრებოდა 300 პარლამენტარი 52 ქვეყნიდან. ფორუმის მიზანი იყო მთავრობების, პარლამენტებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ყურადღების მიპყრობა ტურიზმის ეკონომიკურ მნიშვნელობაზე. ფორუმზე ხაზგასმით იქნა აღნიშნული, რომ ტურისტული ცენტრებისა და რეგიონების ფუნქციონირება დამოკიდებული იქნება კონკრეტულ სასაზღვრო, საბაჟო, სამედიცინო, საპოლიციო და სხვა მარეგულირებელ გადაწყვეტილებებზე, რაზეც პასუხისმგებელი უნდა იყოს სახელმწიფო.

დარგის ექსპერტების აზრით, სხვადასხვა სახის საფრთხეები, რომელთა ქვეშ იმყოფება საერთაშორისო ტურიზმი, შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგნაირად: ეკოლოგიური, ეკონომიკური და პოლიტიკური საფრთხეები.

ჩვენთვის საინტერესოა ტურიზმის სექტორის ეკონომიკური უსაფრთხოება, რომელიც სპეციალისტების მიერ განისაზღვრება როგორც ხელმისაწვდომი რესურსების ყველაზე ეფექტური გამოყენება საფრთხეების თავიდან ასაცილებლად, აღმოცენებული ნეგატიური ზემოქმედების წარმატებით დასაძლევად და დარგის სტაბილური ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის. ეკონომიკური უსაფრთხოება დიდწილად ეყრდნობა ფინანსურ უსაფრთხოებას. პრაქტიკულად არ არსებობს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ასპექტი, რომელიც პირდაპირ არ არის დამოკიდებული მისი ფინანსური უსაფრთხოების დონეზე. ფინანსური უსაფრთხოების სფეროში არსებული პრობლემები აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას და ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობას, უარყოფითად მოქმედებს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური

აქტივობის განვითარებაზე, აფერხებს საბიუჯეტო, ფინანსური და სადაზღვევო სექტორების განვითარებას. იგი ეკონომიკური უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. სპეციალისტების მიერ მიღებული განმარტების შესაბამისად, ფინანსური უსაფრთხოება არის ქვეყნის დამოუკიდებელი ფინანსური და ეკონომიკური პოლიტიკის გატარების გასაღები. იგი არის ფინანსური ურთიერთობების მდგომარეობა, რომელშიც იქმნება მისაღები პირობები და საჭირო რესურსები გაფართოებული რეპროდუქციისთვის, ეკონომიკური ზრდისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის, სტაბილურობის, სახელმწიფოს ფინანსური სისტემის (მათ შორის ფულადი, საბიუჯეტო, საკრედიტო, საგადასახადო და სავალუტო სისტემები) მთლიანობისა და ერთიანობის შესანარჩუნებლად, ფინანსურ სექტორში სახელმწიფოს შიდა და გარე საფრთხეების წარმატებით დასაძლევად. იგი მოიცავს საბიუჯეტო და საბანკო სისტემების, საბიუჯეტო სახსრებისა და საფონდო ბაზრის უსაფრთხოებას. მაკროდონეზე ფინანსური უსაფრთხოება არის სახელმწიფოს შესაძლებლობა როგორც მშვიდობიან, ისე საგანგებო სიტუაციებში ადეკვატური რეაგირება მოახდინოს შიდა და გარე ნეგატიურ ფინანსურ ზემოქმედებაზე.

ფინანსური უსაფრთხოება გამოიხატება საზღვარგარეთ დიდი კაპიტალის გადინების თავიდან აცილებაში, სხვადასხვა დონეზე სახელმწიფო ორგანოებს შორის ეროვნული საბიუჯეტო სისტემის რესურსების განაწილების შედეგად კონფლიქტების თავიდან აცილებაში, გლობალური კრიზისების ზემოქმედების შერბილებასა და ფინანსური და ეკონომიკური პარამეტრების სტაბილურობის უზრუნველყოფაში.

ფინანსური უსაფრთხოება უზრუნველყოფილია სამართლებრივი და საინფორმაციო მხარდაჭერით, ფინანსური ინსტრუმენტებით, მეთოდებითა და ბერკეტებით. ეს კომპონენტები გავლენას ახდენს ფინანსურ ურთიერთობებზე და უზრუნველყოფს მათ სტაბილურობას.

რაც შეეხება ინდიკატორებს, რომლებსაც ფინანსური სფეროს სპეციალისტები იყენებენ დარგის ანალიზის პროცესში, ესენია: ფინანსური დამოუკიდებლობა; ფინანსური სტაბილურობა; საკუთარი სახსრების მანევრირება; დაფინანსება; კაპიტალიზაცია; საკუთარი საბრუნავი კაპიტალის უზრუნველყოფა; აბსოლუტური ლიკვი-

დობა; კრიტიკული ლიკვიდობა; მიმდინარე ლიკვიდობა; აქტივების დაბრუნება; უკუგება კაპიტალზე; გაყიდვებიდან წმინდა ანაზღაურება. ფინანსური უსაფრთხოება აუცილებლად გულისხმობს ფინანსურ სექტორში ყოველგვარი პრობლემის პრევენციას, რომელიც ითვალისწინებს საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა ღონისძიებათა სპეციალური სისტემის შემუშავების აუცილებლობას. რაც შეეხება პრობლემებს, ძირითადად ისინი შეიძლება იყოს:

• თუ საფინანსო და საკრედიტო სისტემა ამჟამინდელი სახით ვერ ახერხებს სრულად უზრუნველყოს სახსრები არა მხოლოდ გაფართოებული, არამედ მარტივი რეპროდუქციისთვის;

• თუ შეინიშნება ფინანსური და ეკონომიკური პოლიტიკის ცალკეული სფეროების ერთმანეთთან შეუსაბამობა, თუ ფინანსური და მონეტარული ინსტრუმენტები საკმარისად არ არის კოორდინირებული ერთმანეთთან;

• თუ საბანკო სისტემა დაფუძნებულია შერეულ ფულად სისტემაზე (ლარი, დოლარი, ევრო), თუ დოლარი და ევრო (და არა ლარი) ასრულებენ როგორც შესანახ, ისე უფრო მეტად, გადახდის საშუალების ფუნქციებს;

• თუ სამთავრობო ხელისუფლების მხრიდან არ არსებობს საკმარისი ძალისხმევა სტაბილური ეკონომიკური ზრდის, ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურული რესტრუქტურიზაციისა და განვითარების ინოვაციურ გზაზე გადასასვლელად;

• თუ არსებობს ფინანსური და სასაქონლო ბაზრების სახელმწიფო რეგულირების არასაკმარისად განვითარებული მექანიზმები;

• თუ შეინიშნება ბიზნესსუბიექტების საქმიანობაზე ადმინისტრაციული კონტროლის დაკარგვა გარკვეულ ფინანსურ და სასაქონლო ბაზრებზე;

• თუ ხდება საგადასახადო პოტენციალის, ასევე გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო შესაძლებლობების მკვეთრი ვარდნა;

• თუ არსებობს გართულებები ეკონომიკის რეალური სექტორის საბანკო დაკრედიტების სისტემაში.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, სახელმწიფოს ფინანსური უსაფრთხოებისათვის ორი სახის საფრთხე არსებობს: შიდა და გარე. გარე საფრთხეები მოიცავს გლობალური ფინანსური სისტემის ზრდას

განვითარებადი ქვეყნების მსოფლიო ეკონომიკაში შესვლის გამო. გარე საფრთხეებად განიხილება აგრეთვე მაკროეკონომიკური მონეტარული და საფინანსო-საკრედიტო კრიზისი; რევოლუცია, სახელმწიფო გადატრიალება, კრიზისი პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვების და ქვეყნის მართვის პროცესში; არასტაბილური გაცვლითი კურსი, ვალუტის ყიდვა-გაყიდვის შეზღუდვები; სტიქიური უბედურებები; ომები; დანაშაულის მაღალი მაჩვენებელი; ინვესტიციის ნაკლებობა; არასაკმარისი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ბაზა; მაღალი ინფლაცია და ა.შ.

შიდა საფრთხეები მოიცავს ფინანსური და ეკონომიკური პოლიტიკის არასწორ განხორციელებას, შეცდომებს მმართველი ორგანოების მხრიდან და სახელმწიფო ფინანსური სისტემის ხელმძღვანელობაში არსებული ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას. ასევე აღსანიშნავია მენეჯმენტის შეცდომები. მაგ., გრძელვადიანი დაგეგმვის ნაკლებობა; სუსტი მარკეტინგული პოპულარიზაცია; ფინანსური დაგეგმვის ნაკლებობა; ორგანიზაციის აქტივების არალიკვიდურობა; მცდარი საფასო პოლიტიკა; მოძველებული ტექნოლოგიური აღჭურვილობა; პერსონალის საჭირო კვალიფიკაციის ნაკლებობა; კომერციული ინფორმაციის გაჟონვა, უსაფრთხოების სამსახურის არარსებობა ან მათ მიერ მოვალეობების ცუდად შესრულება; სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობა, რეპუტაციის დაბალი დონე და სხვ.

რაც შეეხება საქართველოში ტურიზმის განვითარების მდგომარეობას, აღსანიშნავია, რომ უკვე რამდენიმე წელია ჩვენი ქვეყანა განუხრელად ცდილობს წარმატებული ტურისტული ქვეყნების რიგში ჩადგეს და მოწინავე პოზიციები დაიმკვიდროს. ამ მიზნის მისაღწევად ჯერ კიდევ 2015 წელს საქართველოს მთავრობამ მსოფლიო ბანკის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით მიიღო „საქართველოში ტურიზმის განვითარების ეროვნული სტრატეგია - 2025“, რომლის მიხედვით, საქართველო მიზნად ისახავს 2025 წლისთვის გახდეს წამყვანი ტურისტული ქვეყანა და უზრუნველყოს მსოფლიო დონის სერვისი წლის ნებისმიერ დროს. მის მომზადებაში მონაწილეობდნენ ხელისუფლების, ტურისტული ბიზნესისა და საზოგადოების წარმომადგენლები, კერძოდ, ეროვნული და ადგილობრივი ხელისუფლების, სპეციალურად დაცული ტერიტორიებისა და კულტურული მემკვიდრეობის

ობიექტების ადმინისტრაციების, ინვესტორების, ტუროპერატორების, სასტუმროებისა და საგანმანათლებლო ტურიზმის წარმომადგენლები. ინდუსტრიის განვითარების გეგმა შემუშავდა სახელმწიფო-კერძო სექტორის პარტნიორობის მეშვეობით ტურისტების კმაყოფილების მაქსიმალურად გაზრდის, ტურისტული ინდუსტრიის ზომისა და მომგებიანობის მდგრადი ზრდის მისაღწევად და სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობის გასაუმჯობესებლად. იგი ითვალისწინებს, რომ 2025 წლისთვის ქვეყანამ მნიშვნელოვნად უნდა გაზარდოს შემოსავალი ტურიზმიდან: 2015 წლის 1,8 მლრდ ლარიდან (დაახლოებით 670 მლნ აშშ დოლარი) 5,5 მლრდ ლარამდე (2 მლრდ აშშ დოლარი), რისთვისაც საქართველოში ყველანაირი პირობა არსებობს. ეკოტურიზმის განვითარების დიდ პოტენციალს იძლევა მრავალფეროვანი, ზოგან კი უბრალოდ უნიკალური ბუნება; ეროვნული პარკები და დაცული ტერიტორიები, რაც შეადგენს ქვეყნის ტერიტორიის 7%-ს, რომელთა ტერიტორიების 75% ტყეებია და ისინი ტურისტებს 182 საკურორტო ადგილს სთავაზობენ; აქ არის 14 ეროვნული ნაკრძალი, 14 ეროვნული ძეგლი, 9 ეროვნული პარკი, 17 დაცული ტერიტორია და 2 დაცული ლანდშაფტი, სადაც უკვე შექმნილია ან იქმნება ეკოტურიზმის შესაბამისი ინფრასტრუქტურა. აგრეთვე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე განლაგებულია მრავალი სახეობის მინერალური და თერმული წყლის წყაროები.

ტურიზმი საქართველოში სტაბილურად ვითარდება. ამაზე მეტყველებს ყოველწლიურად შემოსული ტურისტების რაოდენობისა და ტურიზმიდან შემოსავლების ზრდის დადებითი დინამიკა (იხ. ცხრ.2).

ცხრილი 2

ტურისტების რაოდენობა (მლნ კაცი) და ტურიზმიდან შემოსავალი საქართველოში (მლრდ აშშ დოლარი)

	2019	2020	2021	2022	2023
შემოსავალი ტურიზმიდან (მლრდ აშშ დოლარი)	3.2	0.5	1.2	3.5	4.1
ტურისტების რაოდენობა (მლნ კაცი)	9.3	1.5	1.9	5.4	7.0

მიუხედავად ცხრილში მოყვანილი მზარდი მაჩვენებლებისა, ვთვლით, რომ არანაკლებ მნიშვნელოვანია და ნამდვილად დადებითი მომენტი იქნება ქვეყნის ზრუნვა ტურიზმის იმ მიმართულებების განვითარებაზე. ეს ადგილობრივ მოსახლეობას საშუალებას მისცემს იმოგზაუროს მსოფლიოს გარშემო, ე.წ. გამყვან ტურიზმზე, რომელიც საქართველოში საკმაოდ მოთხოვნადი მიმართულებაა, მაგრამ შედარებით ნაკლებადაა განვითარებული. იგი ორიენტირებულია იმაზე, რომ ქართული ტურიზმი სრულყოფილად, არა ცალმხრივად, არამედ სრულად ჩაერთოს საერთაშორისო ტურისტულ პროცესში. ყოველივე ამის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ინდუსტრიის საკმაოდ მაღალი და სტაბილური ზრდა; ტურისტებისა და მოგზაურების ეკონომიკური საჭიროებების ეფექტურად დაკმაყოფილება; სახელმწიფო კონტროლი ტურიზმის სფეროში ეროვნული რესურსების მოძრაობასა და გამოყენებაზე; ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, რაც შეიძლება განხორციელდეს საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის დონორ საერთაშორისო ორგანიზაცია USAID-თან (United States Agency for International Development აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო იუსაიდი) მჭიდრო თანამშრომლობით, რომლის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის მიზანია დააჩქაროს იმ სექტორების ზრდა, რომლებსაც გააჩნიათ სამუშაო ადგილების შექმნის, შემოსავლის ზრდის და მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოთა მოგების გაზრდის დიდი პოტენციალი, ამასთანავე, პროგრამა მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს ეკონომიკური აქტივობების დივერსიფიკაციას სხვადასხვა სექტორებში, მ. შ. ტურიზმში. მომდევნო 5 წლის განმავლობაში, პროგრამა ითვალისწინებს, რომ საქართველოში ხელი შეუწყოს სულ მცირე 4000 ახალი სამუშაო ადგილის შექმნას და 600 დიდი, მცირე და საშუალო საწარმოს გაძლიერებას. ასევე მხარდაჭერილი საწარმოებისათვის გაყიდვების 50 მლნ აშშ დოლარით გაზრდას და 15 მლნ აშშ დოლარის მოზიდვას შექმნილი თანამშრომლობის ფარგლებში.

დაბოლოს, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული ინდუსტრიის განვითარების ამბიციური გეგმის მიხედვით, 2024 წლის ბოლოსათვის საქართველო მსოფლიო ტურიზმის ერთ-ერთი მთავარი მასპინძელი უნდა გახდეს. როგორც ამ გეგმის, ისე ყო-

ველივე ზემოთქმულის წარმატებით განხორციელება საქართველოს მთავრობას ხელეწიფება და ქართული სახელმწიფოს პროგატივაა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. https://www.tourexpi.com/ru-intl/news/unwto-2022-189865.html Обнародован отчет UNWTO о мировом туризме за 2022 год
2. https://dzen.ru/a/Za-tPY–5TGRr1E9A Обзор показателей международного туризма за 2023 год
3. https://iworld.com/ru/blog/travel-countriesСтраны-лидеры международного туризма
4. https://translate.google.com/?sl=ru&tl=ka&text уризм (мировой рынок)
5. https://pandia.ru/text/81/107/24862.php ГРУЗИЯ НА МИРОВОМ РЫНКЕ ТУРИСТИЧЕСКИХ УСЛУГ
6. https://tourlib.net/statti–tourism/devidze.htm РАЗВИТИЕ ТУРИЗМА В ГРУЗИИ: В ИНТЕРЕСАХ ЭКОНОМИКИ И НА БЛАГО ГРАЖДАН
7. https://www.stud24.ru/relations/problemy-mezhdunarodnogo-turizma/69656-223279-page1.html Проблемы международного туризма
8. ttps://www.tourismsafety.ru/news–one–2415–44.htmlБезопасность туризма: Международная практика.
9. https://cyberleninka.ru/article/n/kontseptsiya-ekonomicheskoy-bezopasnosti-v-turistskoy-sfere Концепция экономической безопасности в туристской сфере
10. https://scienceforum.ru/2023/article/2018033242 Экономическая безопасность в сфере туризма, Филипов В.А.
11. https://iset-pi.ge/ka/blog/3340-saqartveloshi-maghalgadaxdisunariani-turistebis-mozidva საქართველოში მაღალგადახდისუნარიანი ტურისტების მოზიდვა

Nunu Kistauri

FINANCIAL SECURITY PROBLEMS ASSOCIATED WITH THE DEVELOPMENT OF INTERNATIONAL TOURISM IN GEORGIA

Summary

Today, tourism is truly a "phenomenon of the 20th century." It accounts for 6% of the world's Gross National Product (GNP), 7% of global investments, and 11% of global consumer spending. It generates every tenth job worldwide. According to forecasts by the World Travel & Tourism Council (WTTC), a quarter of the jobs in the global labor market will be created in this industry over the next decade. However, tourism is also one of the most vulnerable sectors of the economy. It is subject to various risks and is often influenced by economic conditions, political stability, customs regulations, exchange rate fluctuations, and the scale of investments in tourism infrastructure, the introduction of new airlines, climatic conditions, crime rates, and other factors. For this reason, numerous international conferences and other events have been dedicated to addressing these issues.

Regarding Financial security, as interpreted by specialists, is a key determinant in maintaining a nation's autonomy in shaping and executing its financial and economic policies.. They identify two main types of threats to a state's financial security: internal and external.

External threats include the expansion of the global financial system due to the increasing integration of developing countries into the world economy. Other external threats involve macroeconomic monetary and financial-credit crises; revolutions, coups d'état, and crises related to political power struggles and governance; unstable exchange rates; restrictions on currency transactions; natural disasters; wars; high crime rates; lack of investment; an insufficient legislative and regulatory framework; high inflation, and other related factors.

Internal threats include the improper implementation of financial and economic policies, errors by governing bodies, and the abuse of power in the management of the state's financial system.

In the case of Georgia, in 2015, the government, with the financial and technical support of the World Bank, adopted the **"National**

Strategy for Tourism Development in Georgia - 2025." According to this strategy, Georgia aims to become a leading global tourist destination by 2025, capable of providing world-class services year-round an objective supported by the country's natural and infrastructural conditions.

ხათუნა ბერიშვილი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა საქართველოს ფინანსურ უსაფრთხოებაზე

ანოტაცია. *ეროვნული უსაფრთხოების სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება არის აქტუალური პრობლემა და ის განსაზღვრავს სახელმწიფოს სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას. ეკონომიკის უსაფრთხოება ფინანსური საფრთხეების გათვალისწინებით გავლენას ახდენს ქვეყნის სტაბილურ ფუნქციონირებაზე და საზოგადოების ეფექტიან განვითარებაზე. თანამედროვე პირობებში ფინანსური უსაფრთხოება მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემაში. მეცნიერთა ნაწილი მას მიიჩნევს ეკონომიკური უსაფრთხოების პრიორიტეტულ თვისებრივ მახასიათებლად, რადგან ის განსაზღვრავს მოსახლეობის ცხოვრების დონეს, ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის რესურსების მდგრად უზრუნველყოფას, ასევე სახელმწიფოს შესაძლებლობას, თანმიმდევრულად განახორციელოს მისი ეროვნული ინტერესები. ფინანსური უსაფრთხოება არის ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი კომპონენტი.*

საკვანძო სიტყვები: *საქართველო, ეროვნული სუვერენიტეტი, ეკონომიკური უსაფრთხოებ ფინანსური უსაფრთხოება, სცენარები, ინვესტიციები, პრობლემები.*

შესავალი

ეკონომიკური და ფინანსური უსაფრთხოება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. ერთი მხრივ, საჯარო ფინანსების სფეროში არახელსაყრელი პირობები და სახელმწიფოს არაეფექტიანი საბიუჯეტო პოლიტიკა ქმნის საფრთხისა და რისკების გაჩენის წი-

ნაპირობებს, მეორე მხრივ კი ეკონომიკურმა უსაფრთხოებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ფინანსურ უსაფრთხოებაზე და მიიყვანოს იგი სახიფათო დონემდე. „ფინანსური ბაზრები და ფინანსური ინსტიტუტები ბოლო წლებში განსაზღვრავენ ეკონომიკურ განვითარებას როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე“ [21]. მსოფლიოს ეკონომიკური განვითარების ტენდენციებმა, მზარდმა გაურკვევლობამ და არასტაბილურობამ ამ სფეროში ახალი საფრთხეები შეუქმნა ფინანსურ სექტორს და გახდა ინდივიდების, ორგანიზაციებისა და ცალკეული ქვეყნების ფინანსური კრიზისის საფუძველი.

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია [4] აკონკრეტებს იმ დეტალების შინაარსსა და პრინციპებს, რომლებიც საფუძვლად ედება სახელმწიფოს, საზოგადოების, ინდივიდის უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ასევე ის მიუთითებს უფლებამოსილებებსა და ხელისუფლების ფუნქციებზე ეკონომიკური უსაფრთხოების სფეროში.

ეკონომიკური უსაფრთხოების ფუნქციური ელემენტები განისაზღვრება სხვადასხვა დონით. მაგალითად, მაკროდონეზე ყველაზე ხშირად გამოვლენილი ელემენტებია: ფინანსები, ინვესტიციები, ტექნოლოგია, მრეწველობა და მთლიანი ეკონომიკა და თუ ვსაუბრობთ მიკროდონეზე, ის მოიცავს ეკონომიკური უსაფრთხოების ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა პერსონალი, ქონებრივი, ეკონომიკური და იურიდიული კომპონენტები. შეიძლება აღინიშნოს, რომ როგორც მაკრო-, ისე მიკროდონის ეკონომიკური უსაფრთხოების საბაზისო კომპონენტი არის ფინანსური უსაფრთხოება [4]. მისი როლი ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ყველაზე ეფექტიანია. ფინანსური ბაზრისა და ფინანსური ნაკადების შესაძლებლობების გამოყენება ეკონომიკის რეპროდუქციული საქმიანობის განვითარებისათვის და რეალური სექტორის მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა განისაზღვრება ფინანსური უსაფრთხოებით.

ფინანსური უსაფრთხოების რისკები და საფრთხეები განისაზღვრება ისეთი ცნებებით, როგორიცაა ეკონომიკური გამოწვევები, უსაფრთხოება, ეკონომიკური უსაფრთხოების სფეროში რისკები, ეკონომიკური უსაფრთხოების საფრთხეები, სამართლებრივი

აქტები. ისინი განსაზღვრავენ ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის დონეს.

საქართველოს ეკონომიკა ბოლო პერიოდებში საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში იმყოფება, რაც გამოწვეულია რთული პოლიტიკური ვითარებით, ქვეყნის ცალკეული ფიზიკური პირების მიმართ დაწესებული სანქციებით, შიდა ეკონომიკური კრიზისის ნიშნებით. ამ პირობებში ინვესტიციების სახით სახსრების მოზიდვა ხელს უწყობს ქვეყანაში პრიორიტეტული მიმართულებების განვითარებას, ახდენს ეკონომიკური სიტუაციის კრიტიკულ მდგომარეობამდე მისვლის პრევენციას, აბალანსებს სახელმწიფოს ეკონომიკურ მდგომარეობას.

საქართველოს ეკონომიკის თავისებურება არის ის, რომ ქვეყნის შიგნით არსებობს დიდი მოცულობის თავისუფალი კაპიტალი, რომელიც არ არის ჩართული ეკონომიკურ პროცესში. ამ სახსრებს გამოუყენებელი ფინანსური რესურსების სახით ფლობენ ფიზიკური პირები. ეს მიუთითებს საქართველოს მოქალაქეების უნდობლობაზე ქვეყანაში კაპიტალის განთავსების მიმართ. დღეს უკვე შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქვეყანაში არ მოქმედებს სამართლებრივად დაცული მოგების მიღების საბაზრო მექანიზმები, აშკარად შეიმჩნევა უცხოური ინვესტორების მხრიდან ქვეყნის შიგნით კაპიტალის უსაფრთხო განთავსების მიმართ ნდობის ნაკლებობა. ამ პირობებში ფიზიკური და იურიდიული პირები ამჯობინებენ თავისუფალი კაპიტალის საზღვარგარეთ ექსპორტს, რაც ხელს არ უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და მონეტარული სტაბილურობის უზრუნველყოფას. ცხადია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი ამ ფაქტს ჯეროვნად ვერ აფასებს და მას მიაჩნია, რომ კაპიტალის გადინება არ ადასტურებს მის კრიმინალურ ბუნებას, ხოლო მისი ქვეყნის ეკონომიკისთვის ფინანსური ზიანი არაარსებითია.

2023 წლის პირველ კვარტალში წინა კვარტალთან შედარებით საქართველოდან 4-ჯერ მეტი ინვესტიცია გავიდა. 2023 წლის პირველ კვარტალში საქართველოდან 116,218 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია გავიდა, გადინების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი – 105 მლნ აშშ დოლარი – ნიდერლანდებში აღინიშნა. ინვესტიციის გადინება სულ 18 ქვეყანაში შეინიშნებოდა, მათ შორის მაღალი მაჩვენებლით გამოირჩეოდნენ: ლიეტუვა – 3,975 მლნ დო-

ლარი, ისრაელი – 2,263 მლნ დოლარი, შვედეთი – 1,102 მლნ, პანამა – 723 ათასი აშშ დოლარი, უკრაინა – 691 ათასი აშშ დოლარი, საბერძნეთი – 634 ათასი დოლარი. 2024 წლის პირველ კვარტალში საქართველოდან 29 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია გავიდა, მათ შორის ყველაზე მეტი პანამასა და ყაზახეთში [2]. გადინებული კაპიტალის მოცულობაში შედის როგორც ქვეყნიდან გასული ინვესტიციები, უცხოეთში განხორციელებული ინვესტიციები, ასევე საქართველოში არსებული ინვესტორების მიერ უკან გატანილი კაპიტალი ან ვალდებულებების დაფარვა, რომელიც მოხდა ქართველი პარტნიორების მხრიდან უცხოელების მიმართ, რითაც მათ წაიღეს მოგების გარკვეული ნაწილი. კაპიტალის გადინების თვალსაზრისით აღსანიშნავია ლიეტუვა, ისრაელი, შვედეთი, პანამა, უკრაინა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ამას ხსნის იმით, რომ ის არ არის საქართველოდან ინვესტიციების გასვლა, არამედ უცხოელი ინვესტორების მიმართ ვალდებულებების დაფარვაა. ამასთან, კონკრეტულად რთულია იმის დადგენა თუ რა ვალდებულებები დაიფარა, რადგან ეს ინფორმაცია სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს არ გააჩნია.

2022 წლის მეოთხე კვარტალში საქართველოდან გასული კაპიტალის მოცულობამ 29 მილიონი შეადგინა, მესამე კვარტალში კი დაახლოებით 130 მილიონი იყო [2]. გასული კაპიტალის დიდი წილი მოდიოდა არაბეთის გაერთიანებულ საამიროებზე მაშინ, როცა ფოთის პორტში არაბული "რაკია" ჩაანაცვლა დანიურმა "მაერსკიმ".

ფაქტია, რომ საქართველოდან ბოლო წლების განმავლობაში შეინიშნება კაპიტალის გადინების ტენდენცია. ეს, რა თქმა უნდა, მეტწილად იმ ქვეყნებზე მოდის, საიდანაც წლების განმავლობაში საქართველოში შემოდიოდა უმსხვილესი ინვესტიციები, მათ შორის შეგვიძლია დავასახელოთ ყაზახეთი, თურქეთი, ნიდერლანდები და სხვა. როგორც უკვე აღინიშნა, ეს შესაძლოა გამოწვეული იყოს როგორც არსებული ვალდებულებების გატანით, ისე საქართველოში ბიზნესის შეწყვეტის ტენდენციით, რის გამოც ინვესტორებს ქვეყანაში ჩადებული ფული გააქვთ უკან.

ცხადია, რომ საქართველოს ბიზნესგარემოს იმ უპირატეს პირობებს, რაც ჩვენ გვაქვს რეგიონის ქვეყნებთან შედარებით: დაბალი გადასახადები, მცირე ბარიერები, თავისუფალი ეკონომი-

კური ზონები და ა.შ., აბათილებს შეზღუდული კონკურენცია და ბიზნესის კეთების სამართლებრივი გარემო. ამას ემატება საპარლამენტო არჩევნების პოლიტიკური შედეგები, რამაც კიდევ უფრო შეასუსტა ინვესტორების ნდობა საქართველოში კაპიტალის ჩადების მიმართ (სტატ. დეპარტამენტის ინფორმაცია).

ქვეყანაში იზრდება საკრედიტო რისკები, რაც ასევე აფერხებს საინვესტიციო აქტივობას.

ეროვნული ბანკი 2018 წლიდან რეგულარულად აქვეყნებს მაკროეკონომიკური და ფინანსური გარემოს საპროგნოზო და რისკსცენარებს [3]. აღნიშნული სცენარების მიზანია ფინანსური ინსტიტუტებისთვის ძირითადი მაკროეკონომიკური ცვლადების თანმიმდევრული რაოდენობრივი შეფასებების მიწოდება, რათა ისინი მოსალოდნელი დანაკარგების შეფასებისას გამოიყენონ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მაკროსცენარები არ უნდა იქნეს აღქმული როგორც ერთადერთი სწორი ვერსია.

საქართველოს ეროვნული ბანკის საბაზო სცენარი ეფუძნება 2024 წელს საქართველოს ეკონომიკის სტაბილურ ზრდას. მიმდინარე წელს ნავთობის ფასების მცირე ზრდა არის მოსალოდნელი, რაც ახლო აღმოსავლეთში არსებული დაპირისპირების შედეგია. გასული წლიდან მოყოლებული, უკვე შეინიშნება საქართველოს სასაქონლო პროდუქციის ექსპორტზე შემცირებული მოთხოვნა, რასაც ამძაფრებს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში ეკონომიკური აქტივობის მოსალოდნელი შეფერხება. საქართველოს სუვერენული რისკის პრემია მიმდინარე წელს 2023 წლის საშუალო დონის ფარგლებში შენარჩუნდება და საშუალოვადიან პერიოდში, მცირე ბიჯებით, თავის წონასწორულ დონეს დაუბრუნდება. გარე ფაქტორების დასტაბილურებისა და ძლიერი ეკონომიკური აქტივობის გათვალისწინებით, საშუალოვადიან პერიოდში ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ, მნიშვნელოვნად არ იცვლება. მიმდინარე წლის დასაწყისში მიზნობრივზე დაბალი ინფლაცია გამყარებული გაცვლითი კურსის შედეგია, რამაც გაზრდილი შიდა მოთხოვნის წნეხი გადაწონა. საბაზო სცენარის მიხედვით, 2024 წელს, ეკონომიკური ზრდის დაჩქარება პოტენციალის ზრდის კვალობაზე მიმდინარეობს, რაც ინფლაციური წნეხის მატარებელი არ არის. თუმცა ლარის გაცვლითი კურსის

სტაბილურობის პარალელურად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში მაღალი ინფლაციური მოლოდინები ადგილობრივ ფასებზე ზრდის მიმართულებით აისახება და ინფლაციას მიზნობრივი მაჩვენებლისკენ წაიყვანს.

საბაზო სცენარის ირგვლივ მაღალი გაურკვევლობა არსებობს, რასაც როგორც შიდა, ისე გეოპოლიტიკური ვითარება განაპირობებს. კერძოდ, მომდევნო წლებში საქართველოს ეკონომიკური აქტივობა მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული მსოფლიოში არსებული რეგიონული კონფლიქტების შესაძლო ესკალაციის შედეგად გამწვავებული გეოპოლიტიკური ფრაგმენტაციიდან გლობალურ და ადგილობრივ ბაზრებზე მომდინარე ეკონომიკური კავშირების რღვევებსა და საბოლოოდ, გლობალურ ბაზარზე შექმნილ ახალ წონასწორულ მდგომარეობაზე. აღნიშნული პროცესი გლობალურ სავაჭრო და ფინანსურ ბაზრებზე არსებულ მოლოდინებზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს და საქართველოზე საგარეო სექტორიდან მომდინარე წნეხს ზრდის.

პესიმისტური სცენარის მიხედვით, რუსეთ-უკრაინის ომის ესკალაცია საქრთველოში საინვესტიციო ნაკადების დამატებით შეფერხებას, ნავთობპროდუქტების ფასებისა და ტრანსპორტირების ხარჯების მკვეთრ ზრდას გამოიწვევს. მიწოდების ჯაჭვების სიმტკიცისა და ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ქვეყნების მიერ მიზანმიმართულად დაწესებული შეზღუდვები და წარმოქმნილი გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და სამუშაო ძალის საერთაშორისო მიმოქცევას დამატებით შეზღუდავს. ეს კი საშუალოვადიან პერიოდში სპეციალიზაციის, კონკურენციისა და მასშტაბის ეკონომიის შედეგად მიღწეულ მწარმოებლურობასა და ეფექტიანობაზე მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას მოახდენს. ამის პარალელურად, ჩინეთში უძრავი ქონების ბაზარზე არსებული რისკების რეალიზაცია გამოიწვევს უძრავ ქონებაში ინვესტიციების მკვეთრ და ხანგრძლივ ვარდნას, რასაც ბაზარზე ნდობის შემცირება, ფასების დამატებითი კლების მოლოდინების წარმოქმნა და მოთხოვნის შესუსტება მოჰყვება. მზარდი სახელმწიფო ვალის კვალობაზე, ფისკალური მხარდაჭერის შესაძლებლობა იზღუდება, რის ფონზეც არასასურველმა ფისკალურმა გამკაცრებამ შესაძლოა ეკონომიკური აქტივობის შემდგომი შეფერხება გამოიწვიოს. შედეგად, ჩინეთის

მხრიდან თავის სავაჭრო პარტნიორების საქონელსა თუ მომსახურებაზე სუსტი მოთხოვნა მათ მიმდინარე ანგარიშის გაუარესებას განაპირობებს. აღნიშნული კი პირველადი ეფექტებით, დაზარალებული ქვეყნების მასშტაბის გათვალისწინებით, გლობალური მიწოდების ჯაჭვების გავლით დანარჩენ ქვეყნებზეც იქონიებს გავლენას.

საერთაშორისო ბაზრებზე მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებები და გაზრდილი გაურკვევლობა, ინვესტორების მხრიდან რისკების გადაფასებას გამოიწვევს, რაც მზარდი და განვითარებადი ქვეყნებიდან კაპიტალის გადინებასა და შედარებით დაბალრისკიან, სანდო აქტივებში განთავსებას განაპირობებს. აღნიშნული ქვეყნებიდან კაპიტალის გადინებას განვითარებულ ქვეყნებში გაზრდილი საპროცენტო განაკვეთებიც უწყობს ხელს.

გლობალურად ფინანსური პირობების გამკაცრება, გეოპოლიტიკური ფაქტორებით გამოწვეული სავაჭრო ნაკადების რეორგანიზაცია და საბაზრო ეფექტურობის შემცირება როგორც საქართველოს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებზე, ისე საქართველოს ეკონომიკაზე უარყოფითად აისახება. საქართველოში ახალი უცხოური ინვესტიციების განხორციელება ნაკლებად მოსალოდნელია, ხოლო მსოფლიოში მიმდინარე სავაჭრო და ფინანსური კავშირების ფუნდამენტური ცვლილებები მომდევნო წელს საქართველოდან კაპიტალის გადინებას განაპირობებს. გაუფასურებული ადგილობრივი ვალუტის, ვაჭრობის შეზღუდვიდან სხვადასხვა საქონელზე წარმოქმნილი დეფიციტისა და ნავთობპროდუქტებზე გაზრდილი ფასების შედეგად საქართველოში 2024-ის დასასრულისკენ მნიშვნელოვნად გაიზრდება ინფლაცია, რაც 2025-ში კაპიტალის გადინებისა და სავაჭრო შეზღუდვების შენარჩუნების ფონზე დამატებით გამწვავდება.

გლობალურად და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებული გაზრდილი გაურკვევლობისა და გაუარესებული მოლოდინების პირობებში, 2024 წლის ბოლოსკენ ქვეყნის შიდა მოთხოვნა შემცირდება. საგარეო მოთხოვნის შემცირებასთან ერთად, მაღალი ინფლაციისა და გამკაცრებული ფინანსური პირობების შედეგად შიდა მოთხოვნაზე წარმოქმნილი დამატებითი წნეხი ეკონომიკურ აქტივობას მნიშვნელოვნად შეაფერხებს. ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების ნაკადების შეჩერება და მომავალ

წელს კაპიტალის გადინება ქვეყნის საწარმოო პოტენციალს დაა-ზიანებს. შემცირებული მოთხოვნისა და ფუნქციონირების გაზრ-დილი ხარჯების პირობებში, დაფინანსების წყაროებზე შეზღუ-დული წვდომა ბიზნესის მოწყვლადობას ზრდის. განსაკუთრებით მაღალი მოწყვლადობით ნაკლებად დივერსიფიცირებული კომპა-ნიები ხასიათდებიან რომლებიც ძირითადად საომარ მოქმედებებ-ში ჩართული ქვეყნების ბაზრებზე არიან დამოკიდებული და, შე-საბამისად, უშუალო გავლენას განიცდიან.

მაღალი გაურკვევლობისა და გაუარესებული ფინანსური მდგომარეობის ფონზე გადახდისუნარიანობის პრობლემის ქვეშ მყოფი ბიზნესის გარკვეული ნაწილი წარმოების მასშტაბებს ამ-ცირებს, ხოლო ნაწილი – ფუნქციონირებას წყვეტს. ორივე გა-რემოება ქვეყანაში უმუშევრობის დონეს მნიშვნელოვნად ზრდის, რაც შიდა მოთხოვნას დამატებით ამცირებს და საშუალოვადიან პერიოდში ბიზნესსექტორის გაჯანსაღების მოლოდინებს აუარე-სებს [3].

როგორც ამ ანალიზიდან ჩანს საქართველოში საინვესტიცო აქტივობა 2025 წელს შეიზღუდება მსოფლიო ეკონომიკასა და შიდა პოლიტიკაში არსებული რისკებისა და გაურკვევლობის პირო-ბების გამო.

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2024 წლის I კვარტალში 201.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2023 წლის I კვარტლის წინასწარ მო-ნაცემებზე 64.4 პროცენტით ნაკლებია. შემცირება განპირობე-ბულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სამივე კომპონენტის (სააქციო კაპიტალი, რეინვესტიცია და სავალო ვალდებულებები) მაჩვენებლის შემცირებით. ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკას 2022-2024 წლებში (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა საქართველოში (მლნ. აშშ დოლარი)

წელი	I	II	III	IV	სულ
2006	145.2	318.0	332.4	375.5	**1 171.2**
2007	330.8	375.3	470.6	588.0	**1 764.7**
2008	540.1	607.7	136.1	291.3	**1 575.2**

2009	114.5	178.3	179.1	194.9	**666.8**
2010	176.1	211.5	236.8	241.2	**865.6**
2011	222.6	273.1	309.1	329.2	**1 134.0**
2012	312.4	248.0	220.5	267.3	**1 048.2**
2013	291.8	224.1	271.6	251.6	**1 039.2**
2014	331.9	217.6	749.5	538.0	**1 837.0**
2015	343.4	493.2	531.1	361.0	**1 728.8**
2016	392.4	453.2	509.0	299.4	**1 654.0**
2017	415.3	397.8	637.2	540.1	**1 990.5**
2018	337.5	423.6	371.5	218.0	**1 350.6**
2019	318.4	249.7	406.4	379.5	**1 354.1**
2020	175.8	247.4	295.8	-123.7	**595.3**
2021	145.6	320.6	376.1	410.4	**1 252.7**
2022	577.9	389.2	820.3	310.5	**2 097.9**
2023*	566.4	505.7	316.0	206.5	**1 594.7**
2024*	201.4				**201.4**

https://www.geostat.ge/media/63084

2024 წლის I კვარტალში სააქციო კაპიტალმა 75.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინ-ვესტიციების 37.7 პროცენტია, რეინვესტიციამ კი – 92.5 მლნ. აშშ დოლარი და მისი წილი 45.9 პროცენტით განისაზღვრა. 2024 წლის I კვარტალში სააქციო კაპიტალმა 75.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 37.7 პროცენტია. რეინვესტიციამ 92.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და მისი წილი 45.9 პროცენტით განისაზღვრა (იხ: ცხრილი 2).

ცხრილი 2

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კომპონენტების მიხედვით 2022-2024 წლებში (მლნ. აშშ დოლარი)

	I	II	III	IV	სულ	I	II	III	IV	სულ	I
სულ	577.9	389.2	820.3	310.5	2 097.9	566.4	505.7	316.0	206.5	1 594.7	201.4
მათ შორის:											

სააქციო კაპიტალი	262.0	95.1	235.0	104.7	696.8	340.2	72.9	590.3	169.7	1 173.1	75.9
რეინვესტიცია^	313.2	265.6	469.8	329.7	1 378.4	190.6	422.5	329.2	336.8	1 279.1	92.5
სავალო ვალდებულებები^^	2.6	28.5	115.5	-123.9	22.7	35.7	10.3	-603.4	300.0	-857.5	32.9

https://www.geostat.ge/media/

^ რეინვესტიცია – სხვაობა მოგება-ზარალსა და დივიდენდებს შორის.

^^ სავალო ვალდებულებებში აისახება სავაჭრო კრედიტები და სესხები.

2024 წლის I კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით, უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები შემდეგნაირად განაწილდა (იხ: ცხრილი №3). 2024 წლის პირველ კვარტალში პირველ ადგილზეა თურქეთი – 42.4 მლნ. აშშ დოლარით, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 21.0 პროცენტს შეადგენს, მეორე ადგილზე იმყოფება ჩეხეთი – 41.5 მლნ. აშშ დოლარით (20.6 პროცენტი), ხოლო მესამეზე აშშ – 33.7 მლნ. აშშ დოლარით (16.7 პროცენტი). ხუთი უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი ინვესტიციების მთლიანი მოცულობის 85.5 პროცენტს შეადგენს.

ცხრილი 3

ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2024 წლის I კვარტალში (მლნ. აშშ დოლარი)

					სულ					სულ
სულ	**577.9**	**389.2**	**820.3**	**310.5**	**2 097.9**	**566.4**	**505.7**	**316.0**	**206.5**	**1 594.7**
მათ შორის:										
თურქეთი	50.5	20.5	35.7	-51.5	**55.1**	71.9	71.0	23.3	2.6	**168.8**
ჩეხეთი	5.6	25.8	24.1	29.0	**84.5**	-7.9	55.6	8.9	-40.2	**16.5**

აშშ	36.1	10.4	66.5	63.4	**176.5**	55.9	15.5	51.8	30.2	**153.5**
ნიდერლანდ	50.6	56.7	59.1	29.8	**196.2**	265.1	62.7	45.3	-12.6	**360.5**
მარშალის კ-	17.6	8.5	2.2	9.4	**37.8**	23.7	8.0	1.7	5.8	**39.2**
იაპონია	5.1	43.0	24.5	-13.9	**58.7**	63.2	10.5	-1.0	-27.2	**45.5**
ჩინეთი	21.4	15.1	-9.6	16.7	**43.6**	19.6	-2.2	19.3	10.6	**47.3**
აზერბაიჯანი	5.7	-4.0	-4.2	4.2	**1.7**	-7.5	9.1	16.4	35.6	**53.6**
მალტა	12.0	5.4	9.3	12.3	**39.0**	5.2	36.7	13.7	24.4	**80.0**
დანია	8.6	9.7	9.5	-10.2	**17.6**	11.2	2.4	13.9	-18.9	**8.6**
დანარჩენი ქვეყნები	364.6	198.1	603.3	221.2	**1 387.2**	66.0	236.3	122.7	196.2	**621.2**

https://www.geostat.ge/media/63084

მსოფლიოში არსებული რისკებისა და საფრთხეების გათვალისწინებით, ინვესტიციების სახით თავისუფალი კაპიტალის მოსაზიდად აუცილებელია მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფა საინვესტიციო საქმიანობის განხორციელება, არსებული რისკების შემცირება, ინვესტორების აქტივების უსაფრთხოების გარანტია“ [11, გვ. 303].

ბოდევინი ჯ. განსაზღვრავს ინვესტიციების დაცვის ორ გზას [13]:

- მარეგულირებელი საქმიანობა;
- დაცვა ბაზრის მექანიზმების მეშვეობით.

უკანასკნელში იგულისხმება „ძირითადი სამართლებრივი გარანტიები: უსასყიდლო ნაციონალიზაციის შეუძლებლობა, რეკვიზიციის შეუძლებლობა. საბაზრო მექანიზმებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევა დაზღვევა“ [4, გვ.689]. სტატისტიკის მიხედვით, „ევროპასა და აშშ-ში დაზღვევა ფარავს შესაძლო რისკების 90-95%-ს, რომლებიც დაკავშირებულია მათ განხორციელებასთან. ამავე დროს საქართველოში დაზღვევა ფარავს რისკების მხოლოდ 7%- ს [20, გვ. 11].

სახელმწიფოს მიერ საინვესტიციო საქმიანობის განხორციელების ლიბერალური პირობების შექმნის ეტაპზე, ხშირად ჩნდება დაპირისპირება საგარეო და ეროვნული ინვესტორების ინტერესებს შორის. აქ ადგილობრივი ინვესტორების პრიორიტეტების განსაზღვრისათვის უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოს

დომინანტური როლი. ეს დაპირისპირება საკმაოდ ბუნებრივია, უცხოელი ინვესტორებისათვის ყველაზე ხელსაყრელი პირობების შექმნა საინვესტიციო საქმიანობის განსახორციელებლად, რიგ შემთხვევებში იწვევს სახელმწიფოს ეკონომიკურ და შემდეგ პოლიტიკურ სუვერენიტეტში ჩარევას. ქვეყნების დაუცველობა განსაკუთრებულად იზრდება ბუნებრივ რესურსებში ჩართული ტრანსნაციონალური კომპანიების საინვესტიციო გაფართოების პირობებში.

ეკონომიკური და ფინანსური უსაფრთხოება განისაზღვრება როგორც ეროვნული უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილი. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიით, ეროვნული უსაფრთხოება განისაზღვრება, როგორც პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს დაცვის მდგომარეობა შიდა და გარე საფრთხეებისგან, რაც შესაძლებელს ხდის უზრუნველყოს მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები, სუვერენიტეტი, კონფიდენციალურობა, ტერიტორიული მთლიანობა და ქვეყნის მდგრადი განვითარება, სახელმწიფოს დაცვა და უსაფრთხოება“ [https://nsc.gov.ge/ka].

სამეცნიერო ლიტერატურაში „ეკონომიკური უსაფრთხოება განისაზღვრება, როგორც ეკონომიკური სისტემის თვისებრივი მახასიათებელი, რომელიც განსაზღვრავს მის უნარს, შეინარჩუნოს ხელსაყრელი პირობები ინდივიდუალური საწარმოსთვის, მოსახლეობისთვის და განხორციელდეს ეკონომიკის ცალკეული სექტორის და რესურსების მდგრადი უზრუნველყოფა, ეროვნული ეკონომიკის ფორმირება და თანმიმდევრული განვითარება რეგიონალური და სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად“ [5, 36].

საინვესტიციო საქმიანობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან გარკვეულ „დათმობებს“ პოტენციური ინვესტორების ინტერესების სასარგებლოდ. ეს „დათმობები“ შეიძლება აისახოს საგადასახადო ტვირთის შემცირებით, სახელმწიფოს მხრიდან საინვესტიციო საქმიანობის გარკვეულ სფეროებში ჩარევის შემცირებით, სხვადასხვა შეღავათების უზრუნველყოფით, გამარტივებული რეგისტრაციის პროცედურებით, ანგარიშგებით, განვითარებული ინფრასტრუქტურის შექმნით და სხვა. თავად სახელმწიფო უნდა იყოს დაინტერესებული საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონის-

ძიებების გატარებით, ვინაიდან ინვესტიციებს შეუძლია მოკლე დროში გადამწყვეტი გავლენა იქონიონ ეკონომიკის ამა თუ იმ სექტორზე, რომლის განვითარებაზეც დამოკიდებულია სახელმწიფოს ეკონომიკური ზრდა და სოციალური სექტორის გაუმჯობესება. „პრაქტიკაში გარდაუვალია ინტერესთა კონფლიქტი სახელმწიფოს ფარგლებში, რომელიც განსაზღვრავს, რას მიანიჭოს უპირატესობა: სუვერენიტეტის შენარჩუნებისკენ მიმართულ ზომებს და ეროვნული ეკონომიკური სუბიექტების მაქსიმალურ დამოუკიდებლობას, თუ იმ ღონისძიებებს, რომლებიც ქმნიან ხელსაყრელ საინვესტიციო კლიმატს, რომელიც საშუალებას მოგვცემს მოვიზიდოთ თავისუფალი კაპიტალი საჭირო ოდენობით ეკონომიკის სექტორებში, რომლებიც განსაზღვრავენ ეკონომიკურ განვითარებას“ [8, გვ. 3]. ეს კონფლიქტი გარდაუვალია, რადგან სახელმწიფო ცდილობს განახორციელოს მაქსიმალური კონტროლი საქმიანობის ყველა სფეროზე.

საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესების პროცესში განვითარებული ქვეყნების უმეტესობა „სწირავს“ თავის გარკვეულ ინტერესებს ეკონომიკური განვითარებისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის სასარგებლოდ. აქედან გამომდინარეობს, რომ საინვესტიციო კლიმატსა და ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას შორის არსებობს პირდაპირი კავშირი. რაც უფრო ხელსაყრელია საინვესტიციო კლიმატი, მით უფრო უკეთესია ეკონომიკური უსაფრთხოებისა და სახელმწიფოს ფინანსური სუვერენიტეტის მდგომარეობა. რაც უფრო ცუდია საინვესტიციო კლიმატი, მით უარესია ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ფინანსური სუვერენიტეტი. თუმცა ამის გაგება აუცილებელია. მთავრობის ქმედებები, საინვესტიციო კლიმატი და ფინანსური უსაფრთხოება ერთდროულად ორივე შეიძლება იყოს როგორც ცუდ ასევე იდეალურ მდგომარეობაში. ამ „წესიდან“ გამონაკლისები არ არსებობს. ამის მაგალითია აშშ-ის ეკონომიკა. ამ სახელმწიფოში არის მძლავრი მარეგულირებელი მექანიზმი ამოუწურავი ფინანსური კაპიტალის სახით. აშშ დოლარმა თანამედროვე საინვესტიციო საქმიანობაში შეიძინა სტაბილიზატორის ფუნქცია.

საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას არ გააჩნია ძლიერი და დამოუკიდებელი პოზიცია საგარეო პოლიტიკის ასპარეზზე, თუმცა თავისი პოზიციების გასაძლიერებლად მსოფლიო-

ში, საქართველოს ეკონომიკამ უნდა შეძლოს გარე გავლენისგან დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, გლობალურ ეკონომიკურ კრიზისებზე რეაგირება და ეკონომიკის დესტაბილიზაციის პრევენცია. ამისთვის კი საჭიროა ეროვნული ეკონომიკური სისტემის განვითარება, საკუთარი საინვესტიციო რესურსების მოზიდვა, მათი ეკონომიკაში ჩართვა, უცხოური კაპიტალის მოზიდვის გაფართოება. უფრო მეტიც, აუცილებელია შევქმნათ საინვესტიციო პროცესებზე მუდმივი კონტროლისა და რეაგირების მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის ფინანსურ უსაფრთხოებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საინვესტიციო საქმიანობის მიმართ საქართველოს მთავრობის მიდგომა უნდა იყოს არა მხოლოდ ფართო, არამედ ფუნდამენტურიც.

დასკვნა

საქართველოს ეკონომიკა ბოლო პერიოდში საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში იმყოფება, რაც გამოწვეულია რთული პოლიტიკური ვითარებით, ქვეყნის ცალკეული ფიზიკური პირების მიმართ დაწესებული სანქციებით, შიდა ეკონომიკური კრიზისის ნიშნებით და სხვა მიზეზებით. ამ პირობებში ინვესტიციების სახით სახსრების მოზიდვა ხელს უწყობს ქვეყანაში პრიორიტეტული მიმართულებების განვითარებას, ახდენს ეკონომიკური სიტუაციის კრიტიკულ მდგომარეობამდე მისვლის პრევენციას, აბალანსებს სახელმწიფო საქმიანობის მნიშვნელოვანი სფეროების ეკონომიკურ მდგომარეობას. საქართველოს ეკონომიკის თავისებურება არის ის, რომ ქვეყნის შიგნით არსებობს დიდი მოცულობის თავისუფალი კაპიტალი, რომელიც არ არის ჩართული ეკონომიკურ პროცესში. ეს ის სახსრებია, რომლებსაც გამოუყენებელი ფინანსური რესურსების სახით ფლობენ ფიზიკური პირები. ეს მიუთითებს საქართველოს მოქალაქეების უნდობლობაზე ქვეყანაში კაპიტალის განთავსების მიმართ.

საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას არ გააჩნია ძლიერი და დამოუკიდებელი პოზიცია საგარეო პოლიტიკის ასპარეზზე, თუმცა თავისი პოზიციების გასაძლიერებლად მსოფლიოში საქართველოს ეკონომიკამ უნდა შეძლოს გარე გავლენისგან დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, გლობალურ ეკონომიკურ კრიზისებზე დამოკიდებული რეაგირება და ეკონომიკის

დესტაბილიზაციის პრევენცია. ამისთვის კი საჭიროა ეროვნული ეკონომიკური სისტემის განვითარება, საკუთარი საინვესტიციო რესურსების მოზიდვა, მათი ეკონომიკაში ჩართვა, უცხოური კაპიტალის მოზიდვის გაფართოება. უფრო მეტიც, აუცილებელია შევქმნათ საინვესტიციო პროცესებზე მუდმივი კონტროლისა და რეაგირების მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის ფინანსურ უსაფრთხოებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ. თბ., 2016. https://matsne.gov.ge/ka/
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.https://www.geostat.ge/ka
3. საქართველოს ეროვნული ბანკი https://nbg.gov.ge/
4. საქართველოს უსაფრთხოების სფეროში ეროვნული სტრატეგიები https://nsc.gov.ge/ka
5. ყუფარაძე გ. საგადასახადო პოლიტიკა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში. თბ., 2018.
6. Agarwal, J.P., "Determinants of Foreign Direct Investment: A Survey," Weltwirtschaftliches Archiv, Vol. 116 (2000), pp. 739-773.
7. Agmon, T., and D. Lessard, "Investor Recognition of Corporate International Diversification," Journal of Finance. Vol. 32 (2016), pp. 1049-1055.
8. Adler, M., "Investor Recognition of Corporation International Diversification: Comment," Journal of Finance, Vol. 36 (2023), pp. 187-190.
9. Aliber, R.Z., "A Theory of Direct Foreign Investment," in C.P. Kindleberger

(ed.), The International Corporation: A Symposium (Cambridge, MIT Press, 2021).

10. Alworth, J., The Financial Decisions of Multinationals (Oxford, Basil Blackwell, 2000).
11. Berishvili Kh. 2016. Liberalization and integration of economic activity of Georgia, as prerequisite of economic development of the country. International business in the world economic system

12. Bekin A.V. Legal protection of investment activity. Business security. M.: Lawyer, 2011. P. 11.

13. Boddewyn, J.J., "Theories of Foreign Direct Investment and Divestment: A Classificatory Note," Management International Review, Vol. 25 (2021), pp. 57-65.
14. Boskin, M., and W. Gale, "New Results on the Effects of Tax Policy on the International Location of Investment," in M. Feldstein (ed.), The Effects of Taxation on Capital Accumulation (Chicago, University of Chicago Press, 1999) .
15. Buckley, P.J., "The Limits of Explanation: Testing the Internalization Theory of the Multinational Enterprise," Journal of International Business Studies, Vol. 19 (2002), pp. 181-193. , and M. Casson, The Future of the Multinational Enterprise (London, MacMillan,2004).
16. Caves, R., Multinational Enterprise and Economic Analysis (Cambridge, Cambridge University Press, 2000).
17. Gelvanovsky M.I., Lev M.Yu., Kolpakova I.A., Bilyak S.A. Using the price mechanism in a system of measures to neutralize threats to Russia's economic security. In the collection: Russia in the XXI Century: Global Challenges and Development Prospects Materials of the Fourth International Forum. 2021. P. 689.
18. Karavaeva I.V., Kolomiyets A.G., Lev M.YU., Kolpakova I.A. Financial risks of socio-economic security, formed by the public administration system. STAGE: economic theory, analysis, practice. 2019. No2. P. 55.
19. Leshchenko Yu.G. Economic sovereignty in the 21-st century: the issue of Russias foreign economic security in the conditions of membership in international financial and economic organizations. 2018. Vol. 19. No. 12. P. 3648.
20. Shengelia T, Berishvili KH. 2014. The Role of Institutional Reforms in the Improvement of the Georgian Investment Environment. Journal of Social Sciences. Volume 3. Issue 2
21. Shengelia T.2017. The role of state regulation of investment in the Georgia business development. International business in the world economic system
22. Shengelia T.2018 Influence of Cultural Determinants on the Process of Business Innovations Management. Ecoforum Journal. Volume 7. Issue 1

Khatuna Berishvili

THE IMPACT OF FOREIGN DIRECT INVESTMENT ON GEORGIA'S FINANCIAL SECURITY

Summary

The Georgian economy has been in a rather difficult situation recently, which is caused by the difficult political situation, sanctions imposed on individual individuals in the country, signs of an internal economic crisis, and other reasons. Under these conditions, attracting funds in the form of investments contributes to the development of priority areas in the country, prevents the economic situation from reaching a critical state, and balances the economic situation of important areas of state activity. A feature of the Georgian economy is that there is a large amount of free capital within the country that is not involved in the economic process. These are funds that are held by individuals in the form of unused financial resources. This indicates the distrust of Georgian citizens towards investing capital in the country.

The current Georgian government does not have a strong and independent position in the foreign policy arena. However, to strengthen its positions in the world, the Georgian economy must be able to ensure independence from external influences, independently respond to global economic crises, and prevent economic destabilization. This requires the development of the national economic system, attracting our own investment resources, involving them in the economy, and expanding the attraction of foreign capital. Moreover, it is necessary to create a mechanism for constant control and response to investment processes, which will ensure the financial security of the country.

ნატალია დავლაშერიძე

ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე ფინანსური კრიზისების გავლენის შესახებ ეკონომიკაში ნობელის ლაურეატების შრომებში

ანოტაცია. *ფინანსური კრიზისები წარმოადგენს მნიშვნელოვან შოკს ეკონომიკური სისტემებისთვის, რაც ძლიერ გავლენას ახდენს მთლიანად ფინანსურ სისტემაზე, შრომის ბაზარზე, მოსახლეობის*

ცხოვრების დონეზე, სოციალურ სტაბილურობაზე და, ბოლოს, საერთაშორისო ურთიერთობებზე. გამოცდილებამ აჩვენა, რომ გლობალიზაციისა და ფინანსური ინტეგრაციის პირობებში ასეთი კრიზისები შეიძლება გადაიზარდოს გლობალურ კატასტროფებში, რომლებიც მრავალი ქვეყნის ეკონომიკას აზარალებს. თავის მხრივ, ეკონომიკური უსაფრთხოება უზრუნველყოფს ეკონომიკის ადაპტირებას შიდა და გარე საფრთხეებთან, უზრუნველყოფს სტაბილურ ზრდას და სისტემური რისკების პრევენციას. ერთგვარად ეკონომიკის სფეროში ამა თუ იმ ზომით თითქმის ყველა ნობელის პრემიის ლაურეატს ყურადღება აქვს გამახვილებული სამ მთავარ საკითხზე – ფინანსური კრიზისების მიზეზებზე, შედეგებსა და მათი გადაჭრის შესაძლო ღონისძიებებზე. ცნობილი კლასიკოსები [მილტონ ფრიდმანი (Milton Friedman) და ჯონ მ. კეინსი (John Maynard Keynes)] და თანამედროვეობის აღიარებული კრიტიკოსები (ეკონომიკური მოწყობის კრიტიკოსი ჯოზეფ სტიგლიცი ან "რაოდენობრივი შერბილების"[12] თეორიის ავტორი ბენ ბერნანკე) პოპულარულები არიან არა მხოლოდ პროფესიონალთა წრეებში, არამედ სოციალურ ქსელებშიც.

ნობელის პრემიის ზოგიერთი ლაურეატისთვის (რობერტ შილერი, პოლ კრუგმანი, მერტონ მილერი, დენიელ კანემანი, ელინორ ოსტრომი, კრისტოფერ სიმსი, რობერტ მანდელა, თომას სარჯენტი, მოჰამედ იუნუსი, დაგლას ნორთი) ეს მიმართულება მათი კვლევის საკვანძო ნაწილად იქცა. მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილია მცდელობა, გაერთიანდეს ნობელის პრემიის ლაურეატების მიერ შემოთავაზებული ძირითადი მიდგომები და დასკვ-

---

[12] თეორიულად, რაოდენობრივი შერბილება (Quantitative Easing, QE) არის პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს გრძელვადიანი აქტივების შეძენას ფინანსური ბაზრების ლიკვიდურობის შესავსებად, მაგრამ ზოგადად QE გულისხმობს მასშტაბურ ოპერაციებს, რაც მოიცავს ეკონომიკის "ფულით დატბორვას", მაგალითად, კრიზისის ან კორონავირუსის პანდემიის დროს.

ნები, ასევე შეფასდეს მათი წვლილი ფინანსური სტაბილურობის თეორიების განვითარებაში. გამოკვლეულ ასპექტებს შორისაა ფინანსური კრიზისების გავლენა მაკროეკონომიკურ სტაბილურობაზე, ფინანსურ ინსტიტუტებზე, სახელმწიფო პოლიტიკასა და საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაზე.
საკვანძო სიტყვები: *ფინანსური კრიზისები, მაკროეკონომიკური დისბალანსი, მონეტარული ინსტრუმენტები.*

* * *

ფინანსური კრიზისი – ეს არის აქტივების ღირებულების მოულოდნელი და უეცარი ვარდნა, საბანკო ან სასესხო პანიკა, ასევე ფინანსური სისტემისადმი ნდობის მკვეთრი შემცირება. არსებობს ფინანსური კრიზისების რამდენიმე ტიპი: საბანკო, სასესხო, სავალუტო და ლიკვიდურობის კრიზისები. ასეთი რთული ეკონომიკური მოვლენები შეიძლება სხვადასხვა მიზეზით წარმოიშვას: მაკროეკონომიკური დისბალანსიდან დაწყებული ინსტიტუციური სისუსტეებით დამთავრებული. მაგალითად, 2008 წლის კრიზისი, რომელიც აშშ-ში იპოთეკური კრიზისით დაიწყო, სწრაფად გავრცელდა მთელ მსოფლიოში და გლობალური გახდა.

უფრო კონკრეტულად ფინანსური კრიზისის წარმოშობაზე შეიძლება ვიმსჯელოთ ისეთი ნიშნებით, როგორიცაა სახელმწიფოს უუნარობა შეინარჩუნოს ძირითადი აქტივები, უზრუნველყოს ეროვნული ვალუტის სტაბილურობა, შექმნას სანდო საბანკო სისტემა და მოიზიდოს უცხოური ინვესტიციები. ფინანსურმა კრიზისებმა შეიძლება გამოიწვიოს ეროვნული ეკონომიკისადმი ნდობის დაკარგვა, რაც გამოიხატება კაპიტალის მასიურ გადინებაში, ეროვნული ვალუტის მკვეთრ გაუფასურებასა და მსხვილი კომპანიების გაკოტრებაში.

ფინანსური კრიზისების წარმოშობის მიზეზებისა და მექანიზმების შესახებ ნობელის ლაურეატების მიერ აუცილებელია ხაზგასმული 5 ძირითადი ინტერპრეტაციის გამოყოფა:

- **ინფორმაციის ასიმეტრია** (ჯოზეფ სტიგლიცი);
- **სპეკულაციური ბუშტები** (რობერტ შილერი);
- **მაკროეკონომიკური დისბალანსები** (პოლ კრუგმანი);
- **ფინანსური ინოვაციების როლი** (მერტონ მილერი და სხვები);

- **ფსიქოლოგიური ფაქტორები და მასობრივი პანიკა** (დენიელ კანემანი);
- **ეკონომიკური შოკების დინამიკა** (კრისტოფერ სიმსი).

ნობელის პრემიის ლაურეატების, ჯონ მეინარდ კეინსისა და მილტონ ფრიდმანის ნაშრომებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს ამ მოვლენების გაგებაზე. კეინსი ხაზს უსვამდა სახელმწიფოს როლის მნიშვნელობას ბაზრის რეგულირებასა და კრიზისების პრევენციაში მაშინ, როდესაც ფრიდმანი აქცენტს აკეთებდა თავისუფალი ბაზრის შედეგებსა და ეკონომიკაში სახელმწიფო

თანამედროვე ეკონომისტებმა განაგრძეს ეს ტრადიციები. ამრიგად, **ჯოზეფ სტიგლიცი** (Joseph Eugene Stiglitz)[13] თავის ნაშრომებში ხაზს უსვამს ინფორმაციის ასიმეტრიის მნიშვნელობას, როგორც ფინანსური კრიზისის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს. ის ამტკიცებს, რომ ბაზრებზე გამჭვირვალობის ნაკლებობა იწვევს მონაწილეთა ქცევის დამახინჯებას, რაც ზრდის არასტაბილურობას და ქმნის კრიზისის წინაპირობებს. მისი კვლევა აჩვენებს, რომ ეკონომიკური უსაფრთხოება განიცდის ფინანსურ ინსტიტუტებზე კონტროლის ნაკლებობას. სტიგლიცი აღნიშნავს, რომ გლობალიზაციის კონტექსტში ინფორმაციის ასიმეტრიის პრობლემა მწვავდება, რადგან მსხვილი კორპორაციები და ფინანსური ინსტიტუტები მოქმედებენ საერთაშორისო გარემოში, სადაც მათი საქმიანობა ხშირად სცილდება ეროვნულ რეგულაციას. კერძოდ ეს ვლინდება საბანკო სექტორში, სადაც ჩრდილოვანმა საქმიანობამ შეიძლება დამანგრეველი გავლენა მოახდინოს ეკონომიკაზე. სტიგლიცის ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაციაა გლობალური მარეგულირებელი მექანიზმების შექმნა, რომელიც შეამცირებს ტრანსნაციონალური ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობის გაუმჭვირვალობასთან დაკავშირებულ რისკებს.

---

[13] "Sveriges Riksbank Prize in Economic Sciences in Memory of Alfred Nobel 2001: ინფორმაცია საზოგადოებისთვის", შვედეთის სამეფო მეცნიერებათა აკადემიის პრესრელიზი, ნობელის ფონდი, nobelprize.org, 2001 წლის ოქტომბერი, ხელმისაწვდომია 2007 წლის 12 ნოემბერს. https:/ / www.nobelprize.org/prizes/economic-sciences/2001/press-release/

ირაციონალური ქცევისა და სპეკულაციური ბუშტების როლს განსაკუთრებით ხაზი გაუსვა თავის ნაშრომებში **რობერტ შილერმა** (Robert J. Shiller). იგი აჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ინვესტორების მასობრივმა ცდუნებებმა და აქტივების მოსალოდნელმა მოგების გადაჭარბებულმა მოლოდინმა გამოიწვიოს ბაზრების გადახურება, რასაც შემდეგ აუცილებლად მოჰყვება ვარდნა. მის დასკვნებში აქცენტი კეთდება ფინანსურ ბაზრებზე რეგულირებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის აუცილებლობაზე ეკონომიკური უსაფრთხოების მხარდაჭერისთვის.

შილერი ასევე აღნიშნავს, რომ ეკონომიკის ციფრულმა ტრანსფორმაციამ და ახალი ფინანსური ინსტრუმენტების განვითარებამ შეიძლება ხელი შეუწყოს ბუშტების შექმნას, რომელთა იდენტიფიცირება ადრეულ ეტაპზე ძნელია. მაგალითად, კრიპტოვალუტის ან ახალი ტექნოლოგიების სწრაფი ზრდა ფინანსურ სექტორში ხშირად იწვევს ინვესტორების გადაჭარბებულ ყურადღებას, რაც ქმნის პირობას არასტაბილურობისთვის. ამ პრობლემების გადასაწყვეტად შილერი გვთავაზობს ბაზრის ანალიზის უფრო რთული მოდელების გამოყენებას, რომლებიც ითვალისწინებს ქცევით და ფსიქოლოგიურ ფაქტორებს.

პოლ კრუგმანი (Paul Krugman) ხაზს უსვამს გლობალური მაკროეკონომიკური დისბალანსის მნიშვნელობას, როგორიცაა კაპიტალის არათანაბარი განაწილება და დისპროპორციები სავაჭრო ბალანსებში. ის ამტკიცებს, რომ ეს ფაქტორები ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობს ფინანსური კრიზისების წარმოქმნაში. კრუგმანი ასევე აღნიშნავს საერთაშორისო კოორდინაციის მნიშვნელობას კრიზისების პრევენციაში. მაკროეკონომიკური დისბალანსით გამოწვეული კრიზისების მაგალითებია 1997 წლის აზიის ფინანსური კრიზისი, როდესაც განვითარებადი ბაზრის ქვეყნები აღმოჩნდნენ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მნიშვნელოვანი სავალო ვალდებულებების ხაფანგში. ამ მოვლენების გაანალიზებისას კრუგმანი ხაზს უსვამს კაპიტალის ნაკადების უფრო მკაცრი რეგულირებისა და ქვეყნებს შორის მაკროეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციის აუცილებლობას. კრუგმანის ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაცია არის კრიზისის ადრეული გაფრთხილების მექანიზმების დანერგვა, რომელიც ეფუძნება გლობალური ეკონომიკური დისბალანსის მონიტორინგს.

ზოგიერთმა ნობელის პრემიის ლაურეატმა, კერძოდ კი **მერტონ მილერმა** (Merton H. Miller), განიხილა ფინანსური ინოვაციების გავლენა ბაზრების სტაბილურობაზე. მილერი აღნიშნავდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ინოვაციები ხშირად ხელს უწყობს ფინანსური სისტემის განვითარებას, მათი არასწორი გამოყენება შეიძლება გახდეს კრიზისის კატალიზატორი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დერივატივებსა და სხვა რთულ ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებიც, ერთი მხრივ, რისკების შემცირების საშუალებას იძლევა, მაგრამ მეორე მხრივ შეიძლება გაზარდოს ფინანსური ბაზრის გაუმჭვირვალობა. ასეთი შედეგების მაგალითია 2008 წლის კრიზისი, როდესაც იპოთეკური დერივატივების გადაჭარბებულმა გამოყენებამ გამოიწვია მსხვილი ფინანსური ინსტიტუტების კრახი. მილერი ხაზს უსვამს ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამჭვირვალე წესების შექმნისა და მათი ბაზარზე გავლენის რეგულარული მონიტორინგის საჭიროებას.

საბოლოოდ, ქცევის ეკონომიკაში შეტანილი წვლილისთვის ნობელის პრემიის ლაურეატმა **დანიელ კანემანმა** (Daniel Kahneman) დეტალურად გაანალიზა ფსიქოლოგიური ფაქტორების გავლენა ბაზრის მონაწილეთა ქცევაზე. მისი ნამუშევარი ხაზს უსვამს იმას, თუ როგორ შეიძლება შიშმა, გაურკვევლობამ და პანიკამ დააჩქაროს კრიზისი და გააძლიეროს მისი შედეგები. ფინანსური კრიზისის ფსიქოლოგიური ასპექტები ასევე ვლინდება ფინანსური ინსტიტუტების მიმართ ნდობის მასიური დაკარგვით, რაც იწვევს „დომინოს ეფექტს“. ხალხი იწყებს დეპოზიტების გატანას, რაც კიდევ უფრო მეტად იწვევს საბანკო სისტემის დესტაბილიზაციას. კანემანი გვთავაზობს მაკროეკონომიკურ მოდელებში ქცევითი ფაქტორების ჩართვას კრიზისული მოვლენების უკეთ პროგნოზირებისა და პანიკის თავიდან ასაცილებლად ზომების შემუშავების მიზნით.

როგორც ნობელის პრემიის ლაურეატთა გამოცდილება აჩვენებს, კრიზისის გავრცელების მექანიზმი ხშირად რამდენიმე ეტაპს მოიცავს. პირველადი კრიზისი შეიძლება დაიწყოს ეკონომიკის ერთ სექტორში (მაგ. ფინანსურ ბაზრებზე) და შემდეგ გავრცელდეს სხვა სექტორებზე, რაც იწვევს საბანკო პანიკას, გაცვლითი კურსის დაცემას, უმუშევრობის ზრდას და ცხოვრების დონის

დაქვეითებას. ისეთი ეკონომისტების ნაშრომები, როგორიცაა, მაგალითად, კრისტოფერ სიმსი, ეძღვნება ეკონომიკურ შოკებს და გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება კრიზისები გავრცელდეს ფინანსური ბაზრებისა და საერთაშორისო კაპიტალის ბაზრების მეშვეობით, რაც იწვევს სისტემურ რისკებს და საფრთხეს უქმნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას. გარდა ამისა, გლობალიზაცია ზრდის ეკონომიკების ურთიერთდამოკიდებულებას, რაც ფინანსურ კრიზისებს უფრო გადამდებსა და მასშტაბურს ხდის.

ნობელის პრემიის ლაურეატები ეკონომიკური თეორიისთვის კლასიკურად თვლიან ფინანსური კრიზისების ძირითადი **შედეგების** შემდეგ ჩამონათვალს და აღწერას:

- რობერტ შილერი: გრძელვადიანი სტრუქტურული ცვლილებები;
- პოლ კრუგმანი: პოლიტიკური რისკები და გლობალიზაციის უკუგავლენა ფინანსურ სტაბილურობაზე;
- ელინორ ოსტრომი: გავლენა საერთაშორისო ურთიერთობებზე;
- მოჰამედ იუნუსი: კრიზისების გავლენა განვითარებად ქვეყნებზე.

რობერტ შილერი თავის ნაშრომებში ხაზს უსვამს, რომ კრიზისების შედეგები შეიძლება გამოვლინდეს გაჭიანურებული რეცესიისა და ზრდის პოტენციალის დაკარგვის სახით. ეს იწვევს კონკურენტუნარიანობის შემცირებას და ქვეყნის პოზიციის გაუარესებას საერთაშორისო დონეზე. გარდა ამისა, 2008 წლის კრიზისის შემდეგ მრავალ ქვეყანას შეექმნა ეკონომიკური სტრატეგიების გადახედვის აუცილებლობა. კრიზისები ასევე ხშირად ამძაფრებს სტრუქტურულ პრობლემებს, როგორიცაა ეკონომიკის გადაჭარბებული დამოკიდებულება ცალკეულ სექტორებზე. მაგალითად, განვითარებული ნავთობის მრეწველობის მქონე ქვეყნებში კრიზისის დროს ნავთობზე ფასების ვარდნა იწვევს შემოსავლის მკვეთრ შემცირებას და ეკონომიკის დივერსიფიკაციის აუცილებლობას.

პოლ კრუგმანი აღნიშნავს, რომ ფინანსურ კრიზისს ხშირად თან ახლავს გაზრდილი პოლიტიკური არასტაბილურობა. ეკონომიკური სირთულეები ძირს უთხრის მთავრობების მიმართ ნდობას, რაც დამატებით საფრთხეს უქმნის ეროვნულ უსაფრთხოებას.

ეს განსაკუთრებით მკვთრად ვლინდება დაბალი დონის ინსტიტუციური ნდობის მქონე ქვეყნებში. ზოგიერთ შემთხვევაში, კრიზისი შეიძლება გახდეს ძალაუფლების ცვლილების ან ავტორიტარული ტენდენციების გაძლიერების კატალიზატორი, რაც ართულებს ეკონომიკის აღდგენას. ამის მაგალითია სიტუაცია არგენტინაში 2001 წლის კრიზისის შემდეგ, როდესაც მასობრივმა პროტესტებმა და პოლიტიკურმა კრიზისმა გამოიწვია მნიშვნელოვანი ცვლილებები ქვეყნის მმართველობაში. ეკონომიკების მზარდ გლობალიზაციასთან ერთად ფინანსური კრიზისების გავლენა ქვეყნების უფრო ფართო სპექტრზე გავრცელდა, რამაც ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის ახალი გამოწვევები შექმნა. პოლ კრუგმანმა დეტალურად შეისწავლა გლობალური ეკონომიკური ურთიერთკავშირი და ქვეყნების შესაძლებლობები, შეინარჩუნონ ეკონომიკური უსაფრთხოება საერთაშორისო ფინანსური ინტეგრაციის კონტექსტში.

ფინანსურმა კრიზისმა ასევე შეიძლება გააუარესოს ურთიერთობები ქვეყნებს შორის, განსაკუთრებით თუ კრიზისი გლობალურად გავრცელდება. ეკონომისტებმა, მათ შორის **ელინორ ოსტრომმა** (Elinor Ostrom), ხაზგასმით აღნიშნეს თანამშრომლობის მნიშვნელობა შემდგომი შოკის თავიდან ასაცილებლად. გლობალიზაცია და ეკონომიკების უაღრესად ურთიერთდაკავშირებული ბუნება ზრდის დომინოს ეფექტს, რაც მოითხოვს საერთაშორისო დონეზე შეთანხმებულ მოქმედებას. კრიზისებმა ასევე შეიძლება გააძლიეროს სავაჭრო ომები და ეკონომიკური პროტექციონიზმი, რაც კიდევ უფრო არყევს გლობალურ სტაბილურობას. თანამედროვე მაგალითები მოიცავს აშშ-სა და ჩინეთს შორის ურთიერთობების გაუარესებას ეკონომიკური სანქციებისა და შეზღუდვების კონტექსტში ტექნოლოგიურ კომპანიებზე.

განვითარებადი ქვეყნები ხშირად უფრო დაუცველები არიან ფინანსური კრიზისების მიმართ, რადგან მათი ეკონომიკა ხშირად ეყრდნობა კაპიტალის გარე წყაროებს და აქვთ ნაკლებად სტაბილური ფინანსური ინსტიტუტები. ამის მაგალითია 1997 წლის აზიის ფინანსური კრიზისი. ნობელის პრემიის ლაურეატები, მათ შორის **მოჰამედ იუნუსი** (Muhammad Yunus), რომელიც იკვლევდა მიკროეკონომიკის განვითარებას, აღნიშნავენ მდგრადი ფინანსური

სისტემების შექმნის მნიშვნელობას მიკროდონეზე ეკონომიკური უსაფრთხოების დასაცავად[14].

მაგრამ ნობელის პრემიის ლაურეატების ნამუშევრების განსაკუთრებული მნიშვნელობა მდგომარეობს მათ რეკომენდაციებსა და შემოთავაზებულ ზომებში ფინანსური კრიზისის პირობებში ეკონომიკური უსაფრთხოების გასაძლიერებლად. აშკარაა, რომ აქ პირველ ადგილზე ცენტრალური ბანკების პოლიტიკა და მათ მიერ გამოყენებული მონეტარული ინსტრუმენტებია. ცენტრალური ბანკები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებაში. კრიზისის საპასუხოდ მათ შეუძლიათ გამოიყენონ სხვადასხვა ზომები, კერძოდ საპროცენტო განაკვეთების დაწევა, პროგრამები ფინანსური ინსტიტუტებისთვის ლიკვიდობის მიწოდებისთვის და ა.შ. ლაურეატების ნამუშევარი განმარტავს, თუ როგორ შეუძლიათ ცენტრალურ ბანკებს გადაჭრან თავიანთი მთავარი ამოცანა – თავიდან აიცილონ საბანკო პანიკა, უზრუნველყონ ლიკვიდობა ფინანსურ სისტემაში და დაასტაბილურონ გაცვლითი კურსი.

ეკონომიკის ლაურეატების უმრავლესობის აზრით, კრიზისის დროს მონეტარული პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს დეფლაციის თავიდან აცილებასა და ეკონომიკური აქტივობის შენარჩუნებაზე. ცენტრალურმა ბანკებმა უნდა იმოქმედონ გადამწყვეტად, მაგრამ ფრთხილად, რათა არ გამოიწვიონ გადაჭარბებული ინფლაცია.

კრიზისის დროს **ფისკალური პოლიტიკა** მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკის სტაბილიზაციაში. მთავრობას შეუძლია გაზარდოს სახელმწიფო ხარჯები, შეამციროს გადასახადები ან უზრუნველყოს სუბსიდიები მოთხოვნის სტიმულირებისა და

---

[14] იუნუს მ., ჯოლი ა. სამყაროს შექმნა სიღარიბის გარეშე. სოციალური ბიზნესი და კაპიტალიზმის მომავალი = Vers un monde sans pauvrete / თარგმანი. ი. საველიევა. - M.: Alpina Publisher, 2009. მუჰამედ იუნუსი. სამი ნულის სამყარო. როგორ გავუმკლავდეთ სიღარიბეს, უმუშევრობას და დაბინძურებას = სამი ნულის სამყარო:A World of Three Zeros: The New Economics of Zero Poverty, Zero Unemployment, and Zero Net Carbon Emissions. M.: Alpina Non-Fiction, 2019 წ.

ეკონომიკური დეპრესიის თავიდან ასაცილებლად. სახელმწიფოს აქტიური ჩარევის მნიშვნელობა ეკონომიკაში უკვე საყოველთაოდ არის აღიარებული, განსაკუთრებით ღრმა კრიზისის პირობებში.

ნობელის პრემიის ლაურეატთა, კერძოდ **კრისტოფერ სიმსისა** (Christopher A. Sims) და **თომას სარჯენტის** (Thomas J. Sargent), მუშაობამ აჩვენა, თუ როგორი ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ მაკროეკონომიკურ ფაქტორებსა და პოლიტიკებს საპროცენტო განაკვეთებისა და ფისკალური სტიმულირების კრიზისის გადაწყვეტასა და ეკონომიკის აღდგენაზე. ყოველ კრიზისს ჩვეულებრივ მოჰყვება ფინანსური რეფორმების სერია, რომელიც მიზნად ისახავს ფინანსური ბაზრების რეგულირების გაუმჯობესებას და ეკონომიკის მდგრადობის ამაღლებას. მაგალითად, 2008 წლის კრიზისის შემდეგ მიღებულია მრავალი ახალი ნორმატიული აქტი, როგორიცაა დოდ-ფრენკის აქტი აშშ-ში, რომელმაც გაზარდა კონტროლი ფინანსურ ინსტიტუტებზე და გაზარდა კაპიტალისა და ლიკვიდობის მიმართ მოთხოვნები.

ეკონომიკური უსაფრთხოების გასაძლიერებლად აუცილებელია ინსტიტუციური სტრუქტურების გაუმჯობესება. მრავალი კვლევა, მათ შორის ლაურეატების ნაშრომები, როგორიცაა **დუგლას ნორთი**, ყურადღებას ამახვილებს სამართლებრივი და პოლიტიკური ინსტიტუტების აქტიური შემუშავებების მნიშვნელობას ეკონომიკური მდგრადობისთვის და აჩვენებს, რომ სუსტი ინსტიტუტები შეიძლება იყოს ხელშემწყობი ფაქტორი კრიზისების გაჩენასა და გაღრმავებაში.

ფინანსური კრიზისების სამი ყველაზე თვალსაჩინო **მაგალითით** და მათ დასაძლევად მიღებული ზომებით, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიკურ უსაფრთხოებას, დამტკიცდა ნობელის პრემიის ლაურეატთა ანალიზის სისწორე.

პირველი არის ლათინური ამერიკის სავალო კრიზისი, რომელიც დაიწყო XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში (ზოგიერთ ქვეყანაში 70-იან წლებში), ხშირად მოიხსენიება როგორც La Década Perdida ("დაკარგული ათწლეული"). როდესაც ლათინური ამერიკის ქვეყნების საგარეო ვალმა გადააჭარბა შემოსავლებს და მიაღწია იმ დონეს, რომ მათ ვერ შეძლეს მისი გადახდა, ამან გამოიწვია ეკონომიკური კოლაფსი რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის

არგენტინასა და მექსიკაში. ნობელის პრემიის ლაურეატის **რობერტ მანდელის** (Robert Mundell) თქმით, ამ სავალო კრიზისმა გამოიწვია გარე შოკები, რამაც გრძელვადიანი გავლენა მოახდინა ქვეყნების ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე: შემცირდა შემოსავალი და იმპორტი, შენელდა ეკონომიკური ზრდა, უმუშევრობა გაიზარდა მაღალ დონეზე და ინფლაციამ შეამცირა საშუალო კლასის მსყიდველუნარიანობა, 1980 წლის შემდეგ ათი წლის განმავლობაში ქალაქებში რეალური ხელფასები დაეცა 20-40 პროცენტით.

უფრო მეტიც, ინვესტიციები, რომლებიც შეიძლებოდა გამოეყენებინათ სოციალური პრობლემების გადასაჭრელად და სიღარიბის წინააღმდეგ საბრძოლველად, სანაცვლოდ გამოიყენებოდა ვალების დასაფარად. ბანკებს უწევდათ ვალების რესტრუქტურიზაცია, რათა თავიდან აეცილებინათ ფინანსური პანიკა. ეს, როგორც წესი, მოიცავდა ახალ სესხებს ძალიან მკაცრი პირობებით, ისევე როგორც მოთხოვნას, რომ მოვალე ქვეყნები დაეთანხმონ საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ჩარევას და უფრო დიდ ეკონომიკურ ღიაობას. იყო კრიზისის შენელებისა და დასრულების სტრატეგიების რამდენიმე ეტაპი. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა დაიწყო გადახდების რესტრუქტურიზაცია და მოვალე ქვეყნებში სახელმწიფო ხარჯების შემცირება.

1997 წლის აზიის ფინანსური კრიზისი გამოწვეული იყო ვალუტის კურსის მკვეთრი ვარდნითა და საბანკო პრობლემებით აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში. კრიზისის შედეგად რეგიონის მრავალ ქვეყანას შეექმნა გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობა, შემცირდა წარმოება და გაიზარდა სოციალური პრობლემები. ამ კრიზისის უკან არსებული მექანიზმები მოიცავდა ჭარბი უცხოური ვალუტის სესხებას, სუსტ ფინანსურ რეგულაციას და ეკონომიკების არასაკმარის დივერსიფიკაციას.

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა, რომელსაც ეროვნული მთავრობები ადანაშაულებდნენ კრიზისის პროვოცირებაში „აზიური ვეფხვების“ ეკონომიკის ზრდის უგუნური ხელშეწყობით, ხელი შეუწყო ამ ქვეყნებში კაპიტალის მასიურ შემოდინებას, სახელმწიფო და კორპორატიული ვალების ზრდას, ეკონომიკის გადახურებას და უძრავი ქონების ბაზრის ბუმს, გამოყო 40 მილიარდი დოლარი მისი შედეგების დასაძლევად. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ძირითად ეკონომიკებში აღდგენის სიგნალები

გამოჩნდა 1999 წლის დასაწყისში. ეროვნული ეკონომიკის პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა რესტრუქტურიზაციამ 2001 წლისთვის შესაძლებელი გახადა კრიზისის შედეგების დაძლევა და დინამიკური ზრდის აღდგენა.

საბოლოოდ, 2008 წლის კრიზისი იყო ერთ-ერთი ყველაზე დამანგრეველი მსოფლიო ეკონომიკის ისტორიაში და დასაბამი მისცა ახალ დისკურსს ინტეგრაციის, ცუდი მმართველობისა და ფინანსური გლობალიზაციის სისტემური რისკების შესახებ. ეს დაიწყო აშშ-ის უძრავი ქონების ბაზრის კოლაფსით და სწრაფად გავრცელდა სხვა ფინანსურ და საბანკო სექტორში. ნობელის პრემიის ლაურეატები, მათ შორის პოლ კრუგმანი, კრიზისს ფინანსური ბაზრების ზედმეტ ლიბერალიზაციასა და არასაკმარის რეგულაციას უკავშირებენ. ეკონომიკურმა კრიზისმა გამოიწვია ეკონომიკური აქტივობის მკვეთრი შემცირება, უმუშევართა რაოდენობისა და სახელმწიფო ვალის ზრდა. მაგალითად, შეერთებულ შტატებში 2008 წელს დაფიქსირდა უმუშევრობის მკვეთრი ზრდა, საცხოვრებლის ფასების შემცირება და გაკოტრებების რიცხვის ზრდა.[15]

კრიზისის სოციალური და ეკონომიკური შედეგები მოითხოვდა სახელმწიფოს მხრიდან სიტუაციის სტაბილიზაციისთვის მნიშვნელოვან ძალისხმევას. კრიზისის დაძლევაში დიდი როლი ითამაშა **ბენ ბერნანკემ** (Ben Shalom Bernanke). მან პრემია 2022 წელს მიიღო **დუგლას დიამონდთან** და **ფილიპ დუბვიგთან** ერთად, რომლებიც ასაბუთებდნენ „რაოდენობრივი შემსუბუქების“ მექანიზმს. „ფასიანი ქაღალდების ფართომასშტაბიანი შესყიდვის ალტერნატივა არ არსებობს: სტაგნაციაზე უკეთესია

[15] *Financialization: Why the Financial Sector Now Rules the Global Economy* 03/18/2020 | Mises Wire | https://mises.org/mises-wire/financialization-why-financial-sector-now-rules-global-economy; *Financialization: Definition, Examples, Consequences, and Criticisms.* THE INVESTOPEDIA TEAM/ August 24, 2024 https://www.investopedia.com/terms/f/financialization.asp; *Financialisation and demand and growth regimes - a review of post-Keynesian contributions.* Institute for International Political Economy, Berlin School of Economics and Law, Germany. 2024, no 32. https://www.uni-due.de/imperia/md/content/soziooekonomie/ifsowp32–heinvantreeck2024.pdf

სტამბის გამოყენება“, – ამტკიცებდა იმ დროს ფედერალური სარეზერვო სისტემის თავმჯდომარე ბენ ბერნანკე. ზოგადად, ბანკებს უფლება მიეცათ გაესესხებინათ წარმოუდგენლად დიდი ფულადი მასა, შეერბილებინათ რა დღევანდელი პრობლემები ხვალინდელი დღის სანაცვლოდ.

ჯოზეფ სტიგლიცმა შეაფასა კრიზისის შედეგები, როგორც ამერიკის ეკონომიკური ჰეგემონიის უპირობო პერიოდის დასასრული, რომელიც გაგრძელდა მხოლოდ 19 წელი – 1989 წლის შემოდგომაზე ბერლინის კედლის დანგრევიდან 2008 წლის სექტემბერში Lehman Brothers-ის დაშლამდე. მთავრობების სწრაფმა ქმედებებმა, რომლებიც კრიზისის მასშტაბის გამო იძულებული იყვნენ უარი ეთქვათ ეკონომიკის მართვისას „ჩაურევლობის“ მიდგომაზე, ხელი შეუშალა დიდ რეცესიას მეორე დიდ დეპრესიად გადაქცევაში, თუმცა მან აღნიშნა მზარდი კონსენსუსი, რომ კრიზისების დაძლევა შესაძლებელია სწრაფი დაფინანსებით. ასეთი დახმარება მძიმე ტვირთად აწვება დაზარალებულ ქვეყნებში მცხოვრებ გადასახადის გადამხდელებს, ხოლო ძალიან მაღალი ხარჯების გამო ზიანს აყენებს ცხოვრების დონეს.

ამავდროულად, ნობელის პრემიის ლაურეატმა **ამარტია სენმა** აჩვენა, თუ რამ აიძულა ბაზარი უგულებელეყო მოსალოდნელი კრიზისის აშკარა ნიშნები და განეგრძო სარისკო დაკრედიტება, სესხება და სეკიურიტიზაცია. მისი კვლევა საფრანგეთის პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის მიერ იყო შეკვეთილი, რომელმაც უკმაყოფილება გამოთქვა არსებული ინსტრუმენტებით ეკონომიკის შეფასებაზე და შექმნა კომისია ეკონომიკური სიჯანსაღისა და პროგრესის შესაფასებლად. ა. სენის დასკვნებით, ბოლო წლებში მსოფლიო მთლიანი შიდა პროდუქტის ფინანსურ ზრდას არაჯანსაღი ინტერესით ადევნებს თვალს. ამ ერთადერთი ინდიკატორით გატაცებამ აიძულა, გამორჩენოდათ სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი სოციალური მაჩვენებლები.

დღეს ნებისმიერი არახელსაყრელი ეკონომიკური მონაცემების გამოჩენა მყისიერად იწვევს საუბარს „ფულის ბეჭდვის“ კიდევ ერთ ციკლზე და ახალ სიმაღლეებზე აჰყავს საფონდო ინდექსები. QE-ის გარშემო აჟიოტაჟს ოსტატურად აძლიერებს მსოფლიო ფინანსური მედია და წამყვანი ბანკებისა და საინვესტიციო ფონდების ანალიტიკოსები, რომლებიც უშუალოდ არიან დაინტერესებული

არსებული მდგომარეობის გაგრძელებით. თუმცა ამ პროგრამების განხორციელება ყოველთვის რისკებთან არის დაკავშირებული და დღეს ეკონომისტები მიდრეკილი არიან იფიქრონ, რომ 2024 წლისთვის აშშ-ისა და ევროკავშირის ეკონომიკაში არსებული მდგომარეობა სწორედ QE პროგრამების გაუმართლებელი გამოყენების შედეგია. ეკონომიკაში იღვრებოდა ჭარბი სახსრები, რასაც არ შეიძლება გამოეწვია ინფლაციის ფეთქებადი ზრდა და საფონდო ბირჟებზე გიგანტური ბუშტების გაბერვა.

დასკვნა

ზოგადად, ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატების კვლევებმა საგრძნობლად გააფართოვა ფინანსური კრიზისების მიზეზების, შედეგებისა და გადაჭრის გზების ძიება. მათი ნაშრომები ხაზს უსვამს კომპლექსური მიდგომის მნიშვნელობას ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, რომელიც მოიცავს რეგულირებას, საერთაშორისო თანამშრომლობას და ქცევითი ფაქტორების გათვალისწინებას, თუმცა შემდგომი კვლევები და ამ იდეების პრაქტიკული განხორციელება აუცილებელია უფრო მდგრადი გლობალური ეკონომიკის შესაქმნელად.

სამომავლოდ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ წარსული გამოცდილების გათვალისწინება, არამედ არსებული მიდგომების ადაპტირება ახალ გამოწვევებთან, რომლებიც დაკავშირებულია ციფრული ეკონომიკის განვითარებასთან, კლიმატის ცვლილებასთან და გლობალურ არასტაბილურობასთან. მნიშვნელოვანია, რომ მთავრობებმა, მათ შორის საქართველოს და საერთაშორისო ორგანიზაციებმა გამოიყენონ ეს ცოდნა ეკონომიკური უსაფრთხოების განმტკიცებისკენ მიმართული, გლობალური ფინანსური რისკების პირობებში, ეფექტური ღონისძიებების შესამუშავებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჯონ მეინარდ კეინსი (John Maynard Keynes):

- The General Theory of Employment, Interest, and Money (1936);
- A Treatise on Money (1930);
- The Economic Consequences of the Peace (1919);
- The Means to Prosperity (1933);
- Monetary Reform (1924);

- The International Currency Experience (1944).

2. მილტონ ფრიდმანი (Milton Friedman):

- A Monetary History of the United States, 1867–1960 (1963);
- Free to Choose: A Personal Statement (1980);
- The Role of Monetary Policy (1968);
- Capitalism and Freedom (1962);
- The Great Contraction: 1929–1933 (1965);
- Why Government Should Not Regulate the Stock Market (1972);
- The Case for Flexible Exchange Rates (1953);
- Money and Business Cycles (1962).

3. ჯოზეფ ევგენი სტიგლიცი (Joseph Eugene Stiglitz):

- Capital, Wages and Structural Unemployment, 1969);
- Increasing Risk II: its Economic Consequences (1971, with Michael Rothschild);
- Some Further Results on the Measurement of Inequality, 1973, together with M. Rothschild);
- Equilibrium in cimpetitives Marktes … imperfect Information 1976;
- Equilibrium in Product Markets with Imperfect Information, 1979;
- A Symposium Issue on Imperfect Information and Rural Credit Markets (1990).

4. ბენ შალომ ბერნანკე (Ben Shalom Bernanke):

- Essays on the Great Depression (2004);
- The Courage to Act: A Memoir of a Crisis and Its Aftermath (October 2015);
- Macroeconomics (2008, jointly with E.Abel);
- Economics (2012, jointly with R.Frank).

5. რობერტ ჯ. შილერი (Robert J. Shiller):

- Irrational Exuberance, 2000, 2005, 2015;
- The Subprime Solution, 2008;
- (Narrative Economics, 2019).

6. პოლ კრუგმანი (Paul Krugman):

- The Return of Depression Economics, 1999, 2009;
- Krugman Model, 1979;
- International Economics: Theory and Policy 1998.

7. მერტონ ჰ. მილერი (Merton H. Miller):

- Modigliani-Miller theorem (1958);

- The Theory of Finance (1961, with David Orr);
- Financial Innovations and Market Volatility (1991).

8. დანიელ კანემანი (Daniel Kahneman):

- Thinking, Fast and Slow, 2011;
- Prospect Theory, 1979.

9. ელინორ ოსტრომი (Elinor Ostrom):

- Governing the Commons: The Evolution of Institutions for Collective Action" (1990);
- Understanding Institutional Diversity (2005);
- Working Together: Collective Action, the Commons, and Multiple Methods in Practice (2010, together with Marco Janssen and others);
- A General Framework for Analyzing Sustainability of Social-Ecological Systems (2009);
- Polycentric Systems for Coping with Collective Action and Global Environmental Change (2010);
- Design Principles of Robust Property-Rights Institutions: What Have We Learned? (2011).

10. კრისტოფერ ა. სიმსი (Christopher A. Sims):

- Macroeconomics and Reality (1980);
- Fiscal Consequences for Monetary Policy (1994);
- The Role of Models and Probabilities in the Monetary Policy Process (2002);
- Stepping on a Rake: The Role of Fiscal Policy in the Euro Area Crisis (2012);
- Inflation, Debt, and Default (2016).

11. რობერტ მუნდელი (Robert Mundell):

- A Theory of Optimum Currency Areas (1961);
- Capital Mobility and Stabilization Policy under Fixed and Flexible Exchange Rates (1963);
- The Monetary Dynamics of International Adjustment under Fixed and Flexible Exchange Rates (1960);
- Uncommon Arguments for Common Currencies (1973);
- The Euro as a Stabilizer in the International Economic System (1998).

12. ჯ. სარჯენტი (Thomas J. Sargent):

- Dynamic Macroeconomic Theory (1987);
- Rational Expectations and Inflation (1986);

- The Conquest of American Inflation (1999);
- Robustness (2008, together with Lars Hansen);
- Expectations and the Neutrality of Money (1979);
- Some Unpleasant Monetarist Arithmetic (1981, together with Neil Wallace);
- The Big Problem of Small Change (2002, together with Francois Velde).

13. მოჰამადი იუნუსი (Muhammad Yunus):

- Banker to the Poor: Micro-Lending and the Battle Against World Poverty (1999);
- Creating a World Without Poverty: Social Business and the Future of Capitalism (2007);
- Building Social Business: The New Kind of Capitalism That Serves Humanity's Most Pressing Needs (2010);
- A World of Three Zeros: The New Economics of Zero Poverty, Zero Unemployment, and Zero Carbon Emissions (2017).

Natalia Davlasheridze

THE IMPACT OF FINANCIAL CRISES ON THE ECONOMIC SECURITY OF THE COUNTRY IN THE WORKS OF NOBEL LAUREATES IN ECONOMICS

Summary

Financial crises represent a significant shock to economic systems, having a profound impact on the financial system as a whole, the labor market, the standard of living of the population, social stability and finally on international relations. Experience has shown that in the context of globalization and financial integration, such crises can escalate into global catastrophes affecting the economies of multiple countries. In turn, economic security ensures the economy's adaptation to internal and external threats, ensures stable growth and prevent systemic risks.

The focus is on three main issues – the causes, consequences, and possible solutions to financial crises. Nearly all Nobel laureates in economics have addressed these topics, starting with the classics like Milton Friedman and John Maynard Keynes, and extending to

contemporary, widely known critics such as Joseph Stiglitz, a critic of modern economic systems, and Ben Bernanke, the author of the theory of "quantitative easing." These figures are not only popular among professionals but also widely recognized in social networks.

For some Nobel laureates (Robert Shiller, Paul Krugman, Merton Miller, Daniel Kahneman, Elinor Ostrom, Christopher Sims, Robert Mandel, Thomas Sargent, Mohamed Yunus, Douglas North), this field has become a central aspect of their research. This paper attempts to summarize the main approaches and conclusions proposed by Nobel laureates, as well as assess their contribution to the development of financial stability theories. Among the aspects explored are the effects of financial crises on macroeconomic stability, financial institutions, state policies, and the social structure of society.

ზურაბ წერეთელი

თანამედროვე ტექნოლოგიები ფინანსურ სექტორში და მასთან დაკავშირებული ფინანსური საფრთხეები

ანოტაცია. *ნაშრომის კვლევის მიზანია არსებული წყაროების საფუძველზე მოხდეს თანამედროვე ტექნოლოგიების როლის განსაზღვრა, უარყოფითი და დადებითი მხარეების წამოჭრა მისი განვითარების ტენდენციების, შედეგების, საფრთხეების შეფასება და გადაჭრის გზების ძიება.საგულისხმოა, რომ ფინანსური რისკები და მათი მართვის მეთოდები მეტ აქტუალობას იძენს თანამედროვე გლობალურ პირობებში.*

ნაშრომში წარმოდგენილია თანამედროვე ტექნოლოგიები ფინანსურ სექტორში და მასთან დაკავშირებული ფინანსური საფრთხეები (რისკები), ხაზგასმულია მთავრობის ძალისხმევის საჭიროება მოსალოდნელი ფინანსური რისკების მოხსნის ან განეიტრალების კუთხით.

თვალსაჩინოა ზემოთ მითითებული საფრთხეებისა და რისკების მოგვარების ან შენელების რეკომენდაციები, ასევე დასმული პრობლემის გადაწყვეტის მიმართულებით იმ აქტიურობისა და გზების ძიების მცდელობა, რომლებიც ქვეყნის ეკო-

ნომიკის სტაბილურ განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს.
საკვანძო სიტყვები: *თანამედროვე ტექნოლოგიები, ფინანსური ტექნოლოგიები, რისკი, ფინანსური რისკები.*

შესავალი

მსოფლიოში თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ დიდი გავლენა მოახდინა სხვადასხვა სფეროსა და განსაკუთრებით ფინანსური სექტორის განვითარებაზე. ტექნოლოგიების განვითარება გლობალიზაციის პირობებში დაიწყო და ამჟამადაც ორგანიზაციების განვითარება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია თანამედროვე და ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებაზე. ტექნოლოგიურ ცვლილებებზე ადაპტაცია კომპანიის წარმატების საწინდარია. ორგანიზაციები, რომლებიც უახლეს ტექნოლოგიებს იყენებენ, ნაკლები დანახარჯებით და რესურსით ეფექტურ მომსახურებას ქმნიან.

თანამედროვე ფინანსურ ტექნოლოგიებს უმეტესად მოიხსენიებენ „ფინტექ“ ტერმინის გამოყენებით, რაც გულისხმობს ფინანსებისა და ტექნოლოგიების შერწყმას.

ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ინოვაციები ფინანსურ სერვისებში ("ფინტექი") ფინანსური სექტორის განვითარებისთვის უნიკალურ შესაძლებლობას ქმნის. ტექნოლოგიას შეუძლია, დაძლიოს გეოგრაფიული ბარიერები, გაზარდოს ტრანზაქციების სიჩქარე, უსაფრთხოება, გამჭვირვალობა და მომხმარებლებს მათზე უკეთ მორგებული ფინანსური სერვისები შესთავაზოს, რაც ამცირებს ტრანზაქციების ხარჯებს. გარდა ამისა, მონაცემთა ანალიტიკისა და ხელოვნური ინტელექტის (AI) მსგავსი ტექნოლოგიების განვითარება მარეგულირებელ ორგანოებს რისკების უკეთ მართვის საშუალებას აძლევს, რაც ხელს უწყობს ფინანსური სისტემების სტაბილურობას. ფინტექის განვითარება გლობალურად არის გათვალისწინებული სხვადასხვა პოლიტიკაში, რეგულატორულ და საზედამხედველო ჩარჩოში. განვითარებულ თუ განვითარებად ბაზრებსა და ეკონომიკებში ფინტექის გადაწყვეტილებები აუმჯობესებენ ფინანსურ სერვისებზე ხელმისაწვდომობას, ზრდიან კონკურენციას და ეფექტიანობას, რითაც სარგებელი მოაქვთ მომხმარებლებისთვის.

მსოფლიოში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა ფინტექ ინდუსტრიაში ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რაც არსებული საკითხის აქტუალობაზე მიუთითებს.

****

მსოფლიოში საფინანსო სექტორში ინოვაციური ტექნოლოგიების როლი უფრო და უფრო იზრდება, რაც აადვილებს ოპერაციებსა და მომსახურებას. თანამედროვე და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას ფინანსურ სერვისებში ტერმინი „ფინტექი“ აერთიანებს. სიტყვა ფინტექი გამომდინარეობს ორი შემავსებელი მიმართულების დაწყვილებით: ფინანსური სერვისები და გადაწყვეტები, რომლებიც დამყარებულია მოწინავე ტექნოლოგიებზე. ზოგადი ეკონომიკური ლიტერატურა არ ეთანხმება ამ ტერმინის მხოლოდ ერთ განმარტებას იმის გამო, რომ ბაზარზე ვხვდებით ბიზნესის მრავალფეროვნებას. სიტყვა Fintech-ს ოქსფორდის ლექსიკონი შედეგნაირად განმარტავს: კომპიუტერული პროგრამები და სხვა ტექნოლოგიები საბანკო და ფინანსური მომსახურების მხარდაჭერისთვის.

მსოფლიო ბაზარზე, საფინანსო სექტორში მოღვაწე ორგანიზაციებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ქვეყნის ეკონომიკაში, რაც თავის მხრივ გლობალურ ეკონომიკაზეც აისახება. საფინანსო სექტორის წარმომადგენელი კომპანიებია კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, სადაზღვევო საბროკერო კომპანიები და სხვა. ფინტექს ახასიათებს ინოვაციურობა ტექნოლოგიური მიმართულებით, სისწრაფე, სიმარტივე და მოქნილობა, რაც ზოგავს დროსა და რესურსებს, გარდა ამისა კომფორტულს ხდის ბიზნესის საქმიანობას და გავლენას ახდენს ორგანიზაციის შიგნით არსებული ოპერაციებისა და პროცესების განვითარებაზე [1].

ფინტექის ძირითად მიზანს წარმოადგენს ფინანსურ სექტორს შესთავაზოს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება თავიანთ საქმიანობაში. ფინტექ ფირმებს ძირითადად წარმოადგენს მიკრო, მცირე და საშუალო ზომის ორგანიზაციები, რომლებსაც მართალია არ გააჩნიათ დიდი კაპიტალბრუნვა, თუმცა აქვთ გამოკვეთილი მიზანი, თუ როგორ წარადგინონ და განავითარონ არ-

სებული მომსახურება, ფინანსურ ბაზარზე. ძირითადად ესენი არიან ფინტექ Start Up-ები.

წარმოიშვა ფინტექ ფირმების დაარსების ორი ძირითადი მიზეზი: პირველი 2008 წლის ფინანსური კრიზისი, რამაც მომხმარებლებს დაანახა ტრადიციული საბანკო სისტემის ხარვეზები, რაც საბოლოოდ ფინანსური კრიზისის საფუძველი გახდა. მეორე მიზეზია ახალი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოჩენა ბაზარზე, რაც ხელს უწყობდა მობილობას, ინფორმაციის მარტივად გამოყენებას, მომსახურების პროცესის სისწრაფეს და მოქნილობას [1].

ფინანსური ტექნოლოგიების კომპანიები შესაძლებელია გავყოთ ორ ნაწილად:

- კომპანიები, რომლებიც საბანკო სფეროს მომსახურებას უზრუნველყოფენ ფინანსური ტექნოლოგიების გამოყენებით;
- კომპანიები, რომლებიც ახორციელებენ ტრადიციულ საბანკო მომსახურებას.

ტრადიციულ საბანკო სექტორში განიხილებიან ძირითადად კომერციული ბანკები, ხოლო ფინტექ კომპანიებში მოიაზრებიან ფირმები, რომლებიც ახორციელებენ ტრანზაქციებს ონლაინ პლატფორმის საშუალებით.

საბანკო ბაზარზე სესხის აღების პროცესი დაკავშირებულია კომპლექსურ და რთულ ოპერაციებთან როგორც ინდივიდუალური მომხმარებლებისთვის, ასევე ბიზნესორგანიზაციებისთვის, განსაკუთრებით კი იმ მცირე ბიზნესისთვის, რომელთათვისაც მაღალი სესხის გაცემის შანსი დაბალია. ამ პრობლემის გადასაჭრელად საბანკო სფეროში მოხდა ახალი ფინანსური ტექნოლოგიების გამოყენება, რომელთა მიზანი იყო ახალი საკრედიტო ბაზრის შექმნა. P2P lending საკრედიტო ბაზარზე გამოჩნდა P2P lending მოდელი, რომლის საშუალებითაც, კრედიტორებს შეუძლიათ სესხის გაცემა, ხოლო მსესხებლებს სესხის აღება ონლაინ განცხადების შევსებით დამატებითი დოკუმენტაციის მიწოდების გარეშე.[3]

ფინტექ კომპანიებმა დიდი ცვლილება შეიტანეს გადახდებში. ისინი მომხმარებლებს სთავაზობენ კომფორტულად მოახდინონ გადარიცხვა ნებისმიერ დროს და ადგილას სწრაფი და მარტივი გზით. P2P online payment-ი შესაძლოა განიხილოს რო-

გორც გადახდის ახალი ფორმა. მისი საშუალებით ელექტრონულად ხორციელდება ყველა ტრანზაქცია, ამავე დროს იგი ავტომატურად აკავშირებს ერთმანეთთან გამყიდველსა და მყიდველს მესამე მხარის ჩარევის გარეშე. ფულადი ტრანზაქციები ძირითადად ხორციელდება ინტერნეტის გამოყენებით, მაგალითად, ბანკიდან ბანკში. ამ ტექნოლოგიის ნათელი მაგალითია PayPal, რომელიც მოღვაწეობს ელექტრონული კომერციის სფეროში და უზრუნველყოფს ინტერნეტით ფულად გადარიცხვებს.

მობილური საფულე არის ციფრული საფულე, რომელიც ტექნოლოგიის გამოყენებით ინახავს საკრედიტო და სადებეტო ანგარიშებს. იგი სწრაფი და უსაფრთხო გადახდის საშუალებაა. მისი მიზანია მატერიალური საფულეების ჩანაცვლება ციფრული საფულით და მომავალში ნაღდი ფულის ნაკლები გამოყენება. კრიპტოვალუტა არის ელექტრონული ფულის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა ფინანსური ოპერაციების შესასრულებლად, მაგალითად, ფულადი გზავნილები, გადახდები. ბიტკოინი კი არის ციფრული ვალუტის ტიპური მაგალითი. ბლოკჩეინი გადახდებში დიდი ცვლილება იყო ბლოკჩეინის გამოჩენა, რომელიც არის მონაცემების სტრუქტურა და მომხმარებელს საშუალებას აძლევს შექმნან ტრანზაქციების ციფრული წიგნი. მის მთავარ არსს წარმოადგენს გაზიარება. საინვესტიციო სფეროში ინოვაციურ ტექნოლოგიას წარმოადგენს Crowdfunding-ი, რომელიც P2P ტექნოლოგიის საშუალებით მომხმარებელს საშუალებას აძლევს განახორციელოს სახსრების მობილიზება სხვადასხვა ადამიანებისა და ინვესტორებისგან [7].

ფინტექ ფინანსურ სერვისებს ყოფენ ხუთ ძირითად კატეგორიად:

• გადახდები და ფულადი ტრანზაქციები;
• ფინანსური გეგმა;
• დანაზოგები და ინვესტიციები;
• სესხები;
• დაზღვევა.

ქვეყნებისთვის მნიშვნელოვანია გარკვეული რეგულაციების გატარება, რაც ზოგიერთ ქვეყანაში ახალ შესაძლებლობას იძლევა ფინტექის ფირმებისთვის და მომსახურებისთვის, მაგალითად Payment Service Directives-მა (PSD) და PSD2-მა ევროზონის

მასშტაბით ღია ბანკინგს შეუწყო ხელი და ინდოეთში უზრუნველ-ყო ახალი გადახდების ბანკების დაარსება. რაც შეეხება ჩინეთის ბაზარს, ახალმა რეგულაციებმა ხელი შეუწყო როგორც ფინტექს, ასევე არაფინანსურ სერვისებსაც.

ინოვაციური ტექნოლოგიები სულ უფრო მეტად ამოძრავებს ფინანსურ სექტორს, განვითარებადი ტექნოლოგიების გამოყენების გაღრმავებით, როგორიცაა Big Data, AI და ბლოკჩეინები. ეს ცვლილება ფინანსურ ბიზნესში შეამცირებს ინფორმაციულ ნაკლებობას და ზღვრულ დანახარჯებს, გაზრდის ტრანზაქციის ეფექტურობას, რაც საშუალებას მისცემს უფრო მეტ ფინანსურ მომ-ხმარებელს, ისარგებლოს უსაფრთხო, მოსახერხებელი ფინანსური მომსახურებით. AI ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების უწყვეტი გამოყენება, როგორიცაა ხმის დამუშავება, გამოსახუ-ლების ამოცნობა, საშუალებას აძლევს ფინანსურ მომსახურებებსა და პროდუქტებს ამოიცნონ სიტყვები და ენები, რაც უზრუნველ-ყოფს მომხმარებლების დახმარებას ფინანსური გადაწყვეტილების მიღებისას.

ბიომეტრიული იდენტიფიკაციის ტექნოლოგიები, რომლე-ბიც იყენებს თითის ანაბეჭდების, ხმის მონაცემების, სახის მახა-სიათებლების იდენტიფიცირებას, ძირითადად უკავშირდება მცი-რე გადახდებსა და ავტორიზაციას სისტემაში.

ფინტექის განვითარებამ უზრუნველყო სხვადასხვა ქვეყნის ფინანსური რეფორმების გაღრმავება, საბაზრო სისტემის გაუმ-ჯობესება და ფინანსური განვითარების მოდელის ტრანსფორმა-ცია. ფინტექს გადგმული აქვს ფესვები ფინანსურ ინდუსტრიაში, კრედიტების შექმნისა და რისკების მართვის ფარგლებში. შედე-გად, ფინტექმა ახალი გამოწვევის წინაშე დააყენა ზოგიერთ ქვე-ყანაში არსებული ფინანსური მარეგულირებლები.

შესაბამისმა მარეგულირებელმა უწყებებმა გააშუქეს ინტერ-ნეტ-საფინანსო ბაზართან დაკავშირებული ბიზნესფორმების მარ-ეგულირებელი წესების სერია. მაგალითად, ჩინეთის სახალხო ბანკმა გამოსცა რეგულაცია, რომელიც ხელს უწყობდა გადახდის მენეჯმენტის გამართვას.

ფინტექის უწყვეტ განვითარებასთან ერთად, ინდუსტრიის გარკვეული ინსტიტუტების ბიზნესსაქმიანობა სულ უფრო შერე-ული ხდება. ფაქტობრივად რეგულაცია ეხმარება ახალი მარეგუ-

ლირებელი ცვლილებების შემუშავებას, რაც ფინტექის ერთ-ერთი გამოწვევაა.

პირველ რიგში, რეგულირება აუცილებელია ფინტექის ყველა ინსტიტუტისთვის, რომლებიც ჩართული არიან ფინანსურ ბიზნესში და უზრუნველყოფენ ფინანსურ მომსახურებას. მეორე, რეგულირება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მთელ ბიზნესჯაჭვში ინფორმაციის გაცვლას, მათ შორის ფონდების მოპოვების წყაროებს, შუალედურ კავშირებს და ფონდების საბოლოო მიმართულებებს. მესამე, რეგულირება მოითხოვს მარეგულირებელ ორგანიზაციებს შორის კოორდინაციისა და ინფორმაციის გაზიარების გაზრდას. მეოთხე, ხელსაყრელი რეგულაცია ხაზს უსვამს საბოლოო ინვესტორთა მოზიდვას, საბოლოო რისკების დადგენისა და ინვესტორების სტაბილურობის შემოწმებას. იგი ასევე ხელს უწყობს მართვას იმისთვის, რომ განხორციელდეს სწორი პროდუქტის სწორ ინვესტორზე მიყიდვა. მეხუთე, რეგულაცია ყურადღებას ამახვილებს დაფინანსების ნაკადების შემოწმებაზე, აგრეთვე ფინანსური ჯგუფების აქტივებზე, ვალდებულებებისა და მმართველობის სტრუქტურაზე.

საქართველოს ბაზარზე ფინანსური ტექნოლოგიები ეტაპობრივად ვითარდება, მართალია ზოგიერთი ქვეყნის სწრაფ განვითარებას სრულად ვერ უწყობს ფეხს, თუმცა თანამედროვე ტექნოლოგიები ფინანსურ სექტორში რომ ძალზედ მნიშვნელოვანია, ამაზე არავინ დაობს. საქართველოს ბაზარზე არსებული ორგანიზაციებიც ცდილობენ მომხმარებელს გამარტივებული სერვისი შესთავაზონ სწორედ თანამედროვე და ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით [7].

პლასტიკური ბარათები საქართველოში ფართოდ გამოიყენება საცალო ვაჭრობის სფეროში, რომელიც იყოფა როგორც სადებეტო ასევე საკრედიტო ბარათებად. საკრედიტო ბარათების საერთო რაოდენობა თითქმის ყოველწლიურად იზრდება. ბარათების სახეობები შემდეგია:

ბანკომატები და პოსტერმინალები პლასტიკური ბარათების გამოყენებისთვის მნიშვნელოვანია ქვეყანას გააჩნდეს ბანკომატები და პოსტერმინალები, ამ მიმართულებითაც ძირითადად ზრდის ტენდენცია შეინიშნება საქართველოში.

ოპერაციები საგადასახდო ბარათებით ტრანზაქციების რაოდენობა და გადახდების წარმოება ბარათების საშუალებით, საქართველოში წლიდან წლამდე იზრდება.

ინტერნეტ ტრანზაქციები ყველაზე მეტად (მკვეთრად) იზრდება, რაც ამ მიმართულების აქტუალობაზე მიუთითებს.

ფინანსური ტექნოლოგიების მხრივ საქართველოში გარკვეული წინსვლა აქვთ საბანკო სექტორის წარმომადგენლებს, მაგალითად, BOG ფინტექი საქართველოს ბანკის ახალი მიმართულებაა და ღია ბანკინგის ხელშეწყობას უზრუნველყოფს. ამ ყველაფერს იგი ხელს უწყობს სამი ძირითადი მიმართულებით:

1. ფინტექ თემატიკაზე შეხვედრების წარმოება;
2. API სერვისები, რომელიც მოიცავს API sandbox-ს, რაც ბიზნესპროტოტიპის შექმნაში ეხმარება მომხმარებელს, ბიზნესინტერნეტ ბანკი, ელექტრონული კომერცია;
3. სტარტაპების მხარდაჭერა.

ამ ყველაფრის მიზანია ფინტექ სტარტაპების ჩართულობით გახადონ საბანკო მომსახურება უფრო მოქნილი.

OPPA ელექტრონული საფულე, რომლის მისიაა თანამედროვე ელექტრონული კულტურის დამკვიდრება საქართველოში, ფულის მართვისა და ფულადი ტრანზაქციების განხორციელების გაადვილება. ბრენდი შეიქმნა SJO-ის მიერ, რომელიც ფლობს ისეთი სწრაფი გადახდის ტერმინალებს, როგორიცაა PayBox-ი და ონლაინ გადახდის ვებგვერდები საქართველოს მასშტაბით. ელექტრონული საფულის შექმნის იდეა იყო ის, რომ მომხმარებლებისთვის შეეთავაზებინათ თანამედროვე და დაცული სივრცე არამხოლოდ ტრანზაქციებისთვის, არამედ ფულის მოძრაობის კონტროლისთვის.

Unipay კომპანია უნიფეი არის ანგარიშსწორების სისტემა, რომელიც თანხების მიღება-გაგზავნის საშუალებას იძლევა სწრაფი და უსაფრთხო მეთოდით.

Optio-ai ღრუბლოვანი პლატფორმა, რომელიც სხვადასხვა ფინანსურ ინსტიტუტებსა და დაწესებულებებს ეხმარება ფიზიკური პირების მიერ განხორციელებული ტრანზაქციების დახარისხებაში.

უახლესი ტექნოლოგია არის, სრულიად ციფრული ბანკი სფეისი, რომელიც წარმოადგენს აპლიკაციას და არ გააჩნია ფიზი-

კური სახე, იგი მხოლოდ არამატერიალური სივრცეა და სმარტ-ფონების დახმარებით გამოიყენება. სფეისი საქართველოს საბანკო ბაზარზე საკმაოდ ინოვაციური პროდუქტია, სადაც მომხმარებ-ლებს აქვთ ბანკის ანგარიშის გახსნის და ამ აპლიკაციაზე ბანკის ბარათების მიბმის შესაძლებლობა. ამავდროულად შესაძლებელია გადარიცხვების განხორციელება ნებისმიერ ბანკში, ნებისმიერი სახის ტრანზაქციის შესრულება და ონლაინ სესხის დისტანციუ-რად აღება.

სფეისს გააჩნია ორი პროდუქტი: სფეის სტიკერი სტიკერის საშუალებით შესაძლებელია უკონტაქტო გადახდის წარმოება და ბანკომატიდან თანხის განაღდება.

QR განვადება მომხმარებლისთვის ვებგვერდზე ხდება სა-სურველი ნივთის შერჩევა, შემდეგ QR კოდის გამოყენებით ინ-ფორმაციის მიღება განვადების პირობების შესახებ. QR განვადების უპირატესობა ის არის, რომ მთლიანი პროცესი ონლაინ ხდება, რაც მომხმარებლის დროსა და ენერგიას ზოგავს.

სწრაფი ქეშის პლატფორმა QuickCash ითვალისწინებს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას და მათი ბიზნესის გადახდისუნარიანობის გაზრდას. სწრაფი ფულის ინოვაციური პლატფორმის ფარგლებში აფასებს ბიზნესის კრედიტუნარიანობას ყოველგვარი გარანტიებისა და დოკუმენტაციის შეგროვებისა და წარდგენის გარეშე. ეს პლატფორმა ეფუძნება ხელოვნური ინტე-ლექტის ალგორითმს, რომელიც იყენებს 50-ზე მეტ პარამეტრს და მხოლოდ 10 წუთში ახორციელებს ბიზნესის შეფასებას. აღსანიშ-ნავია ის ფაქტიც, რომ ეს პროცესი მიმდინარეობს ონლაინ რეჟიმში.

ამ ახალი თანამშრომლობის საფუძველზე მცირე და საშუა-ლო ბიზნესებს აქვთ შესაძლებლობა აიღონ სესხი საბრუნავი კაპი-ტალის შევსების მიზნით, IP ბარათის კომპანიის საინდენტი-ფიკაციო კოდისა და პლატფორმაზე რეგისტრაციის მეშვეობით.

მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციებიდან გამომდინარე ხელოვნური ინტელექტი ტექნოლოგიების განვითარების ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილი გახდა, შესაბამისად საქართველოც მისდევს ამ ტენდენციას და შეინიშნება ხელოვნური ინტელექტის განვითარების ნაბიჯები. საქართველოში ერთ-ერთი გამორჩეული ტექნოლოგია გახლავთ Ti Bot საბანკო ბოტი, რომელიც მომხ-მარებელს სთავაზობს ტრანზაქციების განხორციელებას, ინფორ-

მაციის მიღებას ანგარიშზე არსებული ბალანსის შესახებ, უახლოესი ბანკის ფილიალისა და ტერმინალის მდებარეობის შესახებ და სხვა.

B Bot სადაზღვეო ბოტი, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს შეიძინოს სადაზღვეო პოლისი დისტანციურად, ბი ბოტს იყენებს დაზღვევა.

Bruno შედარებით ახალი ტექნოლოგიაა, რომელიც ინერგება იმ მიზნით, რომ მოხდეს ქართული საუბრის ამოცნობა და გაანალიზება.

კრიპტოვალუტა ქართულ ბაზარზე ბლოკჩეინ ტექნოლოგიები საქართველოში ფართოდ გავრცელდა, მსოფლიო ბანკის მონაცემებით იგი ითვლება, მესამე მსხვილ კრიპტოვალუტის მომპოვებელ ქვეყნად. კრიპტოვალუტის მოპოვებამ დიდი გავლენა მოახდინა საქართველოს ელექტროენერგიის ხარჯვაზე.

კომპანიების უმეტესობა იაზრებს საგადასახადო ტექნოლოგიების მნიშვნელობას და მიჰყვება მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ინიციატივებს. ასევე ახორციელებენ გარკვეულ ინვესტიციებს, რომლებიც დიდ როლს თამაშობენ იმაში, რომ მოხდეს გადასახადების გარდაქმნა სტრატეგიულ ბიზნესპარტნიორებად ორგანიზაციის შიგნით. ტექნოლოგიები სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება საგადასახადო ფუნქციებისთვის, რადგან მისი საშუალებით შესაძლოა გაკეთდეს უფრო მეტი საქმე ნაკლები რესურსით.

გლობალიზაციასთან ერთად საგადასახო ტექნოლოგიები აყალიბებს ძლიერ საფუძველს იმისა, რომ კომპანია იყოს უფრო სწრაფი, მოხერხებული, გაზარდოს გამჭირვალობა, ეს ყველაფერი კი საგადასახადო ორგანოებს საშუალებას აძლევს აღჭურვილი დახვდეს გამოწვევებს. ამის გარდა ზოგავს დროს და გუნდის ფოკუსირება ხდება სტრატეგიულ დაგეგმარებებზე.

საგადასახადო ტექნოლოგიებმა ცხრილები და გაზიარებული დოკუმენტები უკან მოიტოვა, რადგან დღესდღეობით ონლაინ პლატფორმები, ღრუბლოვანი და ERP სისტემები უპრეცენდენტო შესაძლებლობებს ანიჭებს ორგანიზაციებს საგადასახადო პროცესების სტანდატიზაციისათვის [8].

ამგვარი ტექნოლოგიური საშუალებებით შესაძლებელია მოხერხდეს გადასახადების უსაფრთხოდ შეგროვება, გარდა ამისა

კონსოლიდირებული საცდელი ბალანსისა და ყველა საგადასახადო პროცესის წარმოება.

ტექნოლოგიები ეფექტურს ხდის საგადასახადო პროცესს:

- მონაცემთა შეგროვების გამარტივება;
- გაორმაგებული სამუშაოების აღმოფხვრა;
- საგადასახადო პროცესებზე დახარჯული დროისა და რესურსების შემცირება; საგადასახადო ტექნოლოგია თანამშრომლებისთვის ქმნის კომფორტს. მიუხედავად შორი მანძილისა, მათ ექნებათ შესაძლებლობა იმუშაონ ისე, როგორც ერთ ოფისში, ერთ სივრცეში. ის ითვალისწინებს ასევე განსხვავებას დროში და საგადასახადო ბაზები არის ხელმისაწვდომი ნებისმიერ დროს.

გადასახადების ტექნოლოგია ხელს უწყობს გლობალურობას და ასევე:

- ნებისმიერ დროს ნებისმიერი მონაცემის ხელმისაწვდომობას;
- ენის დროის და ადგილობრივი ანგარიშების მოთხოვნებთან დაკავშირებული ბარიერების გადალახვას;
- საგადასახადო ოპერაციების უწყვეტობას.

ბიზნესის დატვირთულობის მაღალი მაჩვენებლისას, რა თქმა უნდა, იზრდება საგადასახადო რისკი. ასეთი გამოწვევების გადასაჭრელად ბიზნესი იყენებს ტექნოლოგიებს, მონაცემთა ანალიტიკას, რეპორტინგს, ინფორმაციის შეგროვების ანალიზს, რის საშუალებითაც ამცირებს რისკებს.

ხელოვნური ინტელექტი ფართო ტერმინია, რომელიც მოიცავს მრავალფეროვან კომპონენტებს, მაგალითად Machine Learning, Robotic learning, სადაც ადამიანი უჩვენებს კომპიუტერს მიმართულებას, თუ როგორ უნდა შესრულდეს ამოცანა, ის კი ამას იმეორებს, მაგალითად, ავტომატური ხმის ამომცნობი. იმისათვის რომ მოხდეს ხელოვნური ინტელექტის გამოყენება, პირველი ნაბიჯი არის პრობლემის ინდეტიფიცირება, შემდეგ უკვე ამ პრობლემის ძირითადი საქმიანობის განსაზღვრა.

საგადასახადო უწყებები იყენებენ ხელოვნურ ინტელექტს სხვადასხვა ჯგუფებთან კომუნიკაციისთვის, ასევე გამოიყენება იმისთვის, რომ დაზოგონ ფული, ადამიანური რესურსი და არ აიყვანონ დროებითი თანამშრომლები. ზოგიერთი ორგანიზაცია

ქირაობს დროებით მუშახელს, რუტინული და მიზერული საქ-მიანობისთვის.

მსოფლიოს მრავალი ქვეყანა ცდილობს და ფიქრობს რო-გორ გააადვილონ გადასახადების გადახდა, მაგალითად, მობი-ლური გადახდების პლატფორმები ზოგიერთი ქვეყნისთვის პოზი-ტიურად აისახა შემოსავლებზე, ადმინისტრაციულ პროცესებსა და დროზე. აფრიკის ქვეყნებიდან ლიბერია არის ერთ-ერთი, რომელ-მაც წარმოადგინა მობილურით გადასახადების გადახდის პლატ-ფორმა იმისათვის, რომ დახმარებოდა ბიზნესებს, გადაეხადათ გადასახადები მარტივი და მოქნილი გზით. გარდა ამისა მექსიკაში საგადასახადო ორგანოებმა შემოიღეს ღრუბლოვანი სისტემა გადასახადების შეგროვებისთვის. შესაბამისად ინოვაციურ ტექნო-ლოგიებს აქვს აშკარა პოტენციალი იმისა, რომ მთავრობას შეუმ-ციროს, შემოსავლების გენერირების ზღვრული ხარჯი.

ხელოვნური ინტელექტის განვითარებასთან ერთად შეიქმნა საგადასახადო აუდიტირების ახალი პროგნოზები და სტატისტი-კური მოდელები სხვადასხვა AI კვლევებით, საგადასახადო აუდი-ტებმა შეიმუშავეს ახალი ანალიტიკური და სტატისტიკური ინსტ-რუმენტები, რომელიც სთავაზობს მოქნილობას და მზარდ ეფექ-ტურობას.

მართალია, შეუძლებელია, რომ ხელოვნური ინტელექტის რობოტები ისე მოიქცნენ, როგორც საგადასახადო ბუღალტრები, მაგრამ შეუძლიათ სხვადასხვა როლების შეთავსება, როგორიცაა:

1. დაეხმარონ საგადასახადო აუდიტორებს შეცდომების გამოვ-ლენაში;
2. მოახდინოს ანგარიშებისა და ტრანზაქციების კლასიფიკაცია;
3. შეაფასონ საგადასახადო აუდიტორული რისკები;
4. მოახდინონ საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამი-სად ხელსაყრელი სტრატეგიის შეთავაზება.

აქედან გამომდინარე არსებობს ხელოვნური ინტელექტის საგადასახადო სისტემაში დანერგვის დიდი პერსპექტივა.

დღესდღეობით ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითა-რებასთან ერთად ვითარდება მრავალი სფერო, რომელმაც განსა-კუთრებული გავლენა იქონია ორგანიზაციებზე, კერძოდ, ბუ-ღალტრული აღრიცხვის წარმოების კუთხით. ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა მისცა ორგანიზაციებს საშუალება, რომ განევი-

თარებინათ კომპიუტერიზებული სისტემა, რომელიც შეინახავდა და ჩაიწერდა ფინანსურ ტრანზაქციებს. ფურცლებზე დამყარებული ხელნაწერი, ფინანსური დოკუმენტაცია, ცხრილები და სხვა, ეს ყველაფრი ჩაშენებულია კომპიუტერულ სისტემაში. გარკვეული საბუღალტრო სისტემები შესაძლოა მოერგოს საქმის სპეციფიკასთან დაკავშირებულ საქმიანობას. ეს აძლევს ორგანიზაციას საშუალებას, რომ შექმნან ინდივიდუალური რეპორტები სწრაფად და მოახდინონ მარტივად მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღება. გარდა ამისა კომპიუტერიზებული ტექნოლოგიების უპირატესობებია [9]:

- **ფუნქციურობის ზრდა** ფინანსური ინფორმაციის დროულობა, რისი მეშვეობითაც ბუღალტრებს შეუძლიათ სხვადასხვა რეპორტების წარმოება. სწორედ კომპიუტერული სისტემით ხდება ფინანსური ანგარიშების რაოდენობის გაუმჯობესება, მაგ., ფულადი სახსრების მოძრაობა, მოგება-ზარალი, საბაზრო წილის ანგარიშები;
- **სიზუსტის ზრდა** კომპიუტერულ საბუღალტრო სისტემებს ძირითადად აქვს შიდა შემოწმების მექანიზმები, რომლებიც ბუღალტრული გატარებების საშუალებით ზომავს ბალანსს;
- **სისწრაფის ზრდა** კომპიუტერული საბუღალტრო სისტემები ბუღალტერს აძლევს შესაძლებლობას, დაამუშაონ დიდი რაოდენობით ფინანსური ინფორმაცია სწრაფად. სწრაფი პროცესები საშუალებას იძლევა, შეამციროს საბუღალტრო პერიოდის დახურვის დრო <u>(თვის ან წლის დახურვა).</u>

ძირითად შემთხვევაში ორგანიზაციები იყენებენ 3 ტიპის საინფორმაციო სისტემას:

1) Manual System რომელიც გულისხმობს ადამიანური რესურსის მეტ ჩართულობას. ეს სისტემა გულისხმობს ხელშესახები დოკუმენტაციის შეგროვებას და წარმოებას ადამიანის მიერ, ამ შემთხვევაში არსებობს შეცდომების დაშვების მეტი რისკი;
2) Computer-Based Transaction System ამ სისტემაში საბუღალტრო ოპერაციები ინახება სხვა საოპერაციო მონაცემებისგან განცალკევებით. წინა სისტემისგან განსხვავებით აქ ხდება კომპიუტერის აქტიური გამოყენება და დოკუმენტაციის ამ ფორმით შემოწმება. კომპიუტერული პროგრამები შედგება

მოდულებისგან. შესაძლებელია ის შედგებოდეს ერთი მოდულისგან, მაგრამ ძირითადად აქვს რამდენიმე მოდული;

3) Data-Based System მონაცემთა ბაზის სისტემები. ეს სისტემა ამცირებს არაეფექტურობას, მსგავსი სისტემა არის ERP Enterprise Resource Planning ფართო ტექნოლოგია, რომელიც არ მოიცავს მხოლოდ ფინანსებს და ბუღალტერიას, აქ შესაძლებელია რამდენიმე მიმართულების ავტომატიზაცია და გაერთიანება.

ელექტრონული და ონლაინ აღრიცხვა დამყარებულია ინტერნეტ ტექნოლოგიების გამოყენებაზე ორგანიზაციებში, იგი წარმოადგენს ახალ მიმართულებას და განვითარებას საბუღალტრო სფეროში. ინტერნეტ და ონლაინ აღრიცხვაში ფინანსური გატარებები და ტრანზაქციები ინახება ონლაინ სერვერებსა და მონაცემთა ბაზებში.

ელექტრონული აღრიცხვა, გვთავაზობს ინტერნეტის საშუალებით მონაცემთა დამუშავებას, სხვადასხვა ოპერაციების წარმოებას. ელექტრონული საბუღალტრო სისტემა შესაძლოა დაეხმაროს კომპანიას სხვადასხვა მიმართულებებით. ფინტექის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება შეიძლება იყოს ონლაინ საბუღალტრო პაკეტები, რომლებიც უფრო მოქნილია ანგარიშების მართვის კუთხით. ისეთი პროდუქტები, როგორიცაა: Xero, FreeAgent, QuickBooks Online KashFlow და ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ტექნოლოგია სთავაზობს ორგანიზაციებს ბრაუზერზე დამყარებულ აღრიცხვის სისტემას ყველანაირი ინსტალაციების გარეშე.

დღესდღეობით, ბუღალტრულ აღრიცხვაში ყველაზე მეტი დრო იხარჯება დოკუმენტაციის შეგროვებასა და დახარისხებაში. ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზა შემოთავაზებულია Receipt Bank-ის მიერ. ამ ტექნოლოგიის გამოყენებით მომხმარებელს შეუძლია მოახდინოს ჩეკების, ინვოისების, გადარიცხვების სკანირება, რომლიც ავტომატურად გადავა საბუღალტრო მოდულში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოში შემოსავლების სამსახურმა დანერგა ელექტრონული მომსახურება და შექმნა პორტალი გადასახადების გადამხდელთათვის. არსებული ვებსაიტის საშუალებით მნიშვნელოვნად დაიზოგა გადასახადის გადამხდელის დრო, ენერგია და სხვა ადამიანური თუ ფინანსური რესურსი, რადგან ვებპორტალი იძლევა საშუალებას დისტანციუ-

რად მოახდინოს გადამხდელმა სხვადასხვა სერვისების გამოყენება, როგორიცაა, მაგალითად:

გადასახადების ელექტრონული დეკლარირება, ინტერნეტ-გადახდები, განცხადებებისა და დოკუმენტაციის ელექტრონულად წარდგენა და ა.შ.

შემოსავლების სამსახურმა გადამხდელებს შესთავაზა ელექტრონული მომსახურებისა და დოკუმენტების სხვადასხვა სახეები, როგორებიცაა: ელექტრონული განცხადებების სერვისი[16], ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა; ელექტრონული საგადასახადო სპეციალური ანგარიშ-ფაქტურა; საგადასახადო მოთხოვნების ელექტრონულად წარდგენის მექანიზმი; საგადასახადო საჩივარის აღრიცხვის სისტემა; ელექტრონული საინკასო დავალებები; იპოთეკა/გირავნობის რეგისტრაციის სერვისი; ქონების დაყადაღების ელექტრონული სერვისი; საგადასახადო ადმინისტრირების სისტემა; საფინანსო-ანალიტიკური რუკა; გეზების ადმინისტრირების პროგრამული უზრუნველყოფა; ექსპერტიზის სამმართველოს პროგრამული უზრუნველყოფა; საფოსტო გზავნილების აღრიცხვის სისტემა; ტრანსპორტის გადაადგილების ბარათების აღრიცხვის სისტემა; ავტოგასამართ სადგურებზე ლუქების აღრიცხვის სისტემა; წარმოშობისა და დაშვების სერტიფიკატების სისტემა; ფარმაცევტული პროდუქციის აღრიცხვის სისტემა; ელექტრონული გირავნობა/იპოთეკა, ანგარიშზე ინკასოს დადების მექანიზმები. ანგარიშზე ყადაღის დადება განხორციელდება ელექტრონულად. ამასთან, ქონებაზე ყადაღის დადების პროცედურა განხორციელდება აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან ერთად.

მნიშვნელოვანია აგრეთვე, რომ დაინერგა დეკლარაციების ელექტრონულად წარდგენა, რომელმაც გადასახადის გადამხდელებს გაუმარტივა ანგარიშგების წარმოება, ხოლო სახელმწიფოს გადამხდელთა კონტროლი და ანალიზი.

თანამედროვე ფინანსური ტექნოლოგიები მსოფლიოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ფინანსური ოპერაციების განხორციელების პროცესში. მსოფლიოს ტექნოლოგიურმა ტენდენციებმა ასახვა პოვა საქართველოს ფინანსური ტექნოლოგიების განვითარების მიმართულებით, დღესდღეობით ყველა საფი-

[16] www.rs.ge;

ნანსო გადარიცხვა თუ სხვა სახის ოპერაცია შესაბამისი სტანდარტების მიხედვით ხორციელდება. ფინანსური გადარიცხვების და სხვა ტიპის ოპერაციების დროს ხშირია, გარკვეული ხარვეზები, რაც ერთი მხრივ საჭიროებს როგორც შინაარსობრივ გამოსწორებას, ისე ტექნიკურ დახვეწას. მნიშვნელოვანია დადგინდეს თუ რა პრობლემები არსებობს არსებული ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად, როგორც კომპანიების ისე მომხმარებელთა მხრიდან. საქართველოში მასშტაბურად არის წარმოდგენილი RS პორტალი, აღნიშნული პორტალი მნიშვნელოვნად ამარტივებს საბუღალტრო საქმიანობის წარმოებასა და ეფექტურს ხდის კომპანიების მუშაობას.

ამავდროულად, ფინტექი წარმოშობს გარკვეულ გამოწვევებს. რეგულატორებმა და ზედამხედველებმა უნდა დაიცვან ბალანსი სტაბილურობასა და მთლიანობას, კონკურენციასა და ეფექტიანობას, ასევე მომხმარებელთა უსაფრთხოებასა და კონფიდენციალურობას შორის. როდესაც ქვეყანა ფინტექის ათვისებაში პროგრესს აღწევს, სახელმწიფო ორგანოები დგებიან ახალი გამოწვევების წინაშე, რათა უზრუნველყონ საბაზრო შედეგების ძირითად პოლიტიკურ მიზნებთან შესაბამისობა[17].

გარდა ამისა, ფინტექის განვითარება ხშირად დაკავშირებულია სხვადასხვა სექტორსა და რეგულატორულ/საზედამხედველო მანდატთან, რაც ართულებს ინსტიტუციურ თანამშრომლობას. დაბოლოს, გლობალური და დეცენტრალიზებული ბუნება ისეთი განვითარებადი ტექნოლოგიების, როგორებიც არის ციფრული აქტივები და ვალუტები, ასევე წარმოშობს საზღვრებს გარეთ რეგულატორული არბიტრაჟის რისკებსა და კოორდინაციის სირთულეებს.

საქართველოს ფინტექ ეკოსისტემის განვითარებაში ლიდერის როლს საქართველოს ეროვნული ბანკი ასრულებს. ეროვნულმა ბანკმა უკვე მრავალი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ფინტექისთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნისკენ და ინოვაცია თავისი საზედამხედველო სტრატეგიის ერთ-ერთ წამყვან მიმართულებად აქცია. კონკრეტული მიღწევები მოიცავს რეგულატორული ჩარჩოს განვითარებას, რომელიც საგადახდო და საბანკო

[17] https://www.economy.ge

ბაზრებზე ახალი ფინანსური აქტივობების გამოჩენასა და ახალი მოთამაშეების უსაფრთხო შესვლას უწყობს ხელს. ამისათვის საგადახდო მომსახურების შესახებ ევროკავშირის განახლებული დირექტივის (PSD2) შესაბამისად, საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების კანონში ცვლილებები შევიდა, დაინერგა ციფრული ბანკინგის პრინციპები და სხვა. ეროვნულმა ბანკმა ასევე გააფართოვა თავისი ინსტიტუციური ექსპერტიზა ფინტექ საკითხებზე, შექმნა რეგულირების ლაბორატორია სტრატეგიის მიზნებისთვის, ფინტექს განვმარტავთ, როგორც ტექნოლოგიურ მიღწევებს, რომელთაც აქვთ ფინანსური სერვისების მიწოდების ტრანსფორმაციის პოტენციალი, რაც იწვევს ახალი ბიზნესმოდელების, გამოყენების სცენარების, პროცესებისა და პროდუქტების შექმნას. ახალი ტექნოლოგიები ასევე შეიძლება გამოყენებული იყოს არსებულ პროდუქტებზე და/ან წვდომის არხებზე სხვადასხვა კომბინაციით და ახალი პროდუქტები შეიძლება უბრალოდ იყენებდნენ არსებულ ტექნოლოგიებს ოპტიმიზებული გზით (მაგ., მყისიერი გადახდები). სტრატეგია მიზნად ისახავს ყველა რელევანტური მიღწევის გათვალისწინებას, განსაკუთრებული აქცენტით არატრადიციულ ბიზნესმოდელებსა და მოთამაშეებზე ფინტექის განვითარების სტრატეგიას.

Laboratory/Sandbox-ი ხელმძღვანელობს ფინანსური ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვან რეფორმებს, აქტიურად იკვლევს ცენტრალური ბანკის ციფრულ ვალუტას (CBDC) და უზრუნველყოფს აღნიშნულ აქტივობებში დაინტერესებული მხარეების აქტიურ ჩართულობას.

ფინტექის სრული პოტენციალის რეალიზებისთვის საჭიროა ინსტიტუციური მოწყობების გაფართოება და გაძლიერება. ზოგადად, ფინტექის ინსტიტუციური ჩარჩო ფინანსური სექტორის პოლიტიკის, ზედამხედველობისა და განვითარების დადგენილ პასუხისმგებლობებს ასახავს. ქვეყნის შიგნით ეროვნული ბანკი ხელს შეუწყობს სხვა ფინანსური სექტორის ორგანოებთან, რეგულატორებთან და ციფრული მმართველობის სააგენტოსთან თანამშრომლობას. საერთაშორისო დონეზე კი ეროვნული ბანკი გააგრძელებს გამოცდილების გაზიარებას და გააძლიერებს ძალისხმევას რეგიონალური პოლიტიკის კოორდინაციის ხელშეწყობის მიზნით, რათა საქართველომ მომგებიანად გამოიყენოს თავისი

გეოპოლიტიკური მდებარეობა და რეგიონულ ფინტექ ჰაბად ჩამოყალიბდეს.

ფინტექის განვითარების სტრატეგიის მიზანია, შექმნას ერთიანი ეროვნული ჩარჩო, რომელიც გააძლიერებს თანამშრომლობას შესაბამის საჯარო და კერძო დაინტერესებულ მხარეებს შორის როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო დონეზე, რათა ერთობლივი და კოორდინირებული ძალისხმევა უზრუნველყოს საქართველოში ინტეგრირებული და ინოვაციური ფინტექ ეკოსისტემის ხელშეწყობისთვის.

დღევანდელ არაპროგნოზირებულ გარემოში ფინანსური საფრთხეების (რისკების) მართვა მაღალი დინამიკურობით ხასიათდება. ნებისმიერი ბიზნესორგანიზაციის მიზანია მიიღოს მაქსიმალური შემოსავალი მინიმალური კაპიტალის დანახარჯით. საქმიანობა, რომელიც სხვადასხვა სფეროში ხორციელდება და დაკავშირებულია სხვადასხვა ბიზნესოპერაციებთან, არის გარკვეული სახის რისკების (საფრთხეების) და მასთან დაკავშირებული დანაკარგების საფრთხის შემცველი. სწორედ ასეთი სახის დანაკარგებთანაა დაკავშირებული ფინანსური რისკები.

თანამედროვე საფინანსო პირობებში შეუძლებელია გვერდი აუარო დანაკარგს. ბიზნესორგანიზაციების საქმიანობა მუდმივ კავშირშია ფინანსურ რისკებთან. არასტაბილურობის პირობებში კი რისკები სულ უფრო მეტად იზრდება, განსაკუთრებით დიდია ისინი კრიზისების პერიოდში, აქედან გამომდინარე ერთ-ერთ ძირითად აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს საფინანსო ბაზარზე სწრაფად და ხარისხიანად მიღებული კრიზისული სიტუაციების, მასთან დაკავშირებული რისკების წინასწარ განჭვრეტა და მათი მართვის მეთოდების შემუშავება.

ვინაიდან თანამედროვე ეკონომიკა იმართება უპირველეს ყოვლისა ფინანსური მექანიზმებითა და ფინანსური წახალისების დახმარებით. ამრიგად, თანამედროვე პირობებში სწორედ ფინანსური უსაფრთხოება უნდა ჩაითვალოს სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების საფუძვლად „სტრატეგიაში ეროვნული რუსეთის ფედერაციის უსაფრთხოება“, ფინანსური სისტემის მთავარ რისკებს შორის არის „ეროვნული ფინანსური სისტემის დაუცველობა არარეზიდენტებისა და სპეკულაციური უცხოური კაპიტალის ქმედებებისგან, მისი საინფორმაციო ინფრასტრუქტურის

დაუცველობა, ჩრდილოვანი ეკონომიკის მნიშვნელოვანი წილი, კორუფციის პირობები და ეკონომიკური და ფინანსური ურთიერთობების კრიმინალიზაცია“.

ამრიგად, აუცილებელია გააანალიზდეს თანამედროვე ტექნოლოგიური ცვლილებების გავლენა ფინანსური სისტემის სხვადასხვა ელემენტების ფინანსური რისკების პრობლემებზე.

ფინანსურ რისკებში მოიაზრება არა მხოლოდ ის რისკები, რომელსაც ფინანსური ხასიათი გააჩნიათ, არამედ რისკები, რომლებიც კომპანიის ფინანსური შუამავლების საქმიანობაში წარმოიქმნება.

ვინაიდან ფინანსური სექტორის უდიდეს ნაწილს საბანკო სექტორი წარმოადგენს, საქართველოს ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს კომერციული ბანკების ფინანსურ სტაბილურობას, ფინანსური რისკების შოკების შთანთქმის შესაძლებლობას, რისკების ზუსტ შეფასებას და ეფექტიან მართვას. გლობალური და რეგიონული მაკროფინანსური გარემოს არახელსაყრელი განვითარებით გამოწვეული რისკების გამოვლენის მიზნით საჭიროა განხილული იქნეს ორი რისკ-სცენარი. პირველი ითვალისწინებს უფრო მეტად მოსალოდნელ და ზომიერად საზიანო შედეგებს, ხოლო მეორე ასახავს ნაკლებად მოსალოდნელ, თუმცა შესაძლო მწვავე სტრესს. ეს მიდგომა საშუალებას იძლევა ეკონომიკის მდგომარეობა სხვადასხვა ხარისხის სტრესის პირობებში გააანალიზდეს და შოკების შესაძლო არაპროპორციული ეფექტები გამოვლინდეს [11].

ზომიერი რისკ-სცენარი მსოფლიოში მიმდინარე რეგიონული კონფლიქტების ესკალაციასა და გლობალური სავაჭრო პირობების გამკაცრების შედეგად გლობალური ფინანსური პირობების დამატებით გამკაცრებას განიხილავს. რუსეთ-უკრაინის ომის გაჭიანურება და ახლო აღმოსავლეთში არსებული კონფლიქტის გამწვავება ნავთობპროდუქტების ფასებისა და ტრანსპორტირების ხარჯების მკვეთრ ზრდას გამოიწვევს.

აღნიშნულის პარალელურად მსოფლიოში წარმოქმნილი გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია მიწოდების ჯაჭვების დამატებით პრობლემებს წარმოქმნის და სავაჭრო მიმოქცევას დამატებით შეზღუდავს. გეოპოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით მაღალი გაურკვევლობის პირობებში, საერთაშორისო ბაზრებზე ფასები მაღალი მერყეობით ხასიათდება და ინფლაციური რისკები ნარ-

ჩუნდება. წარმოქმნილი ინფლაციური წნეხისა და ინფლაციური მოლოდინების საპასუხოდ მსოფლიოს ცენტრალური ბანკების მხრიდან, როგორიცაა აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა (Fed) და ევროპის ცენტრალური ბანკი (ECB), მოსალოდნელზე უფრო ხისტი რეაგირება და მონეტარული პოლიტიკის დამატებით გამკაცრება მოჰყვება[18].

დამატებით გამკაცრებული გლობალური ფინანსური პირობები მზარდი და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებიდან კაპიტალის გადინების რისკებს წარმოშობს. მსგავსი რისკის ფონზე აღნიშნულ ქვეყნებში ადგილობრივი ვალუტების გაუფასურებისა და თანმდევი დამატებითი ინფლაციური წნეხის შესარბილებლად მონეტარული პოლიტიკის შერბილების გადავადება ხდება საჭირო. შედეგად, გლობალური ფინანსური პირობები გამკაცრებულ რეჟიმში უფრო ხანგრძლივად ნარჩუნდება. ეს ყველაფერი აღნიშნულ ქვეყნებში, ისედაც ხანგრძლივად შენარჩუნებული არასახარბიელო ეკონომიკური ვითარებისა და გაზრდილი საპროცენტო ხარჯების ფონზე, შინამეურნეობებსა და კომპანიებზე დამატებით ზეწოლას მოახდენს და ეკონომიკის გაჯანსაღების გაჭიანურებას გამოიწვევს.

ზომიერ რისკ-სცენარში, გეოპოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებული მაღალი გაურკვევლობის ფონზე, გლობალურად გამკაცრებული ფინანსური პირობების შედეგად კაპიტალის გადინება საქართველოს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში ეკონომიკურ ზრდას შეაფერხებს. ეს ყველაფერი საბაზრო განწყობაზე უარყოფითად მოქმედებს, რის გამოც აღნიშნულ ქვეყნებში ფინანსური და სავაჭრო მიმოქცევა მცირდება. პარტნიორ ქვეყნებში აღნიშნული რისკების შედეგად და საქართველოში ვაჭრობიდან მიღებული შემოსავლების კლების პარალელურად, გლობალურად წარმოქმნილი მაღალი გაურკვევლობის ფონზე, ქვეყნიდან კაპიტალის გადინების რისკები იკვეთება. გლობალურად არსებული გამოწვევებისა და საქართველოს საგარეო სექტორზე მაღალი დამოკიდებულების გათვალისწინებით, საქართველოს სუვერენული რისკი იზრდება და შემცირებას მხოლოდ 2026 წლიდან დაიწყებს.

[18] http://www.nplg.gov.ge/

ამასთან, გაუარესებული საგარეო ბალანსის, გლობალურად გამკაცრებული ფინანსური პირობებისა და კაპიტალის გადინების გაზრდილი რისკები გაცვლით კურსზე გაუფასურების წნეხს წარმოშობს. სესხების ჯერ კიდევ მაღალი დოლარიზაციის გამო, უცხოურ ვალუტაში მსესხებლებისთვის ვალის ტვირთი იზრდება და გადახდისუნარიანობა ქვეითდება.

აღნიშნულ სცენარში შინამეურნეობები და კომპანიები გაუარესებული მოლოდინებისა და ვალის გაზრდილი ტვირთის ფონზე სამომხმარებლო და საინვესტიციო დანახარჯებს ამცირებენ. ფინანსურ მდგრადობასთან დაკავშირებული რისკების მქონე კომპანიების ნაწილი შემცირებული შემოსავლებისა და ვალის მომსახურების გაზრდილი ხარჯის გამო გადახდისუნარიანობის პრობლემის წინაშე დგება. აღნიშნულ რისკებს ვალუტის მოსალოდნელი გაუფასურება და სესხების მაღალი დოლარიზაცია ამწვავებს. განსაკუთრებით მაღალი მოწყვლადობით ნაკლებად დივერსიფიცირებული კომპანიები ხასიათდებიან, რომლებიც ძირითადად საომარ მოქმედებებში ჩართული ქვეყნების ბაზრებზე არიან დამოკიდებულნი და მათი პირდაპირი გავლენის ქვეშ იმყოფებიან.

ზომიერი რისკ-სცენარის პირობებში სუსტი მოთხოვნის ინფლაციურ ეფექტს გაუფასურებული ადგილობრივი ვალუტის, ვაჭრობის შეზღუდვიდან სხვადასხვა საქონელზე წარმოქმნილი დეფიციტისა და ნავთობპროდუქტებზე გაზრდილი ფასების შედეგად წარმოქმნილი ინფლაციური წნეხი გადაფარავს.

განვითარებულ ქვეყნებში საპროცენტო განაკვეთების მოსალოდნელზე მეტად გაზრდა კაპიტალის გადინებას გამოიწვევს, რაც სავაჭრო შეზღუდვების შენარჩუნების შემთხვევაში, ინფლაციას დამატებით გაამწვავებს. გაზრდილი ფაქტობრივი ინფლაციისა და ინფლაციური მოლოდინების ფონზე ეროვნულ ბანკს მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება მოუწევს.

ზომიერი რისკ-სცენარის მიხედვით, ქვეყანაში არასტაბილური გარემოს წარმოქმნის, უმუშევრობის მაღალი დონისა და გამკაცრებული საკრედიტო პირობების გათვალისწინებით, საშუალოვადიან პერიოდში უძრავი ქონების აქტივობა მცირდება. საწყის ეტაპზე გაძვირებული სამუშაო ძალისა და გაუფასურებული ეროვნული ვალუტის შედეგად გაზრდილი სამშენებლო ხარჯების

პირობებში უძრავი ქონების ლარში გამოხატული ფასები გაიზრდება, თუმცა მცირდება საქართველოს უძრავი ქონების, როგორც საინვესტიციო აქტივის, მიმზიდველობა, რაც უძრავი ქონების ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსს მნიშვნელოვნად გაზრდის. შედეგად ლარში გამოხატული ფასები მაღალი ინფლაციის ფონზე ზრდას განაგრძობს, ხოლო უძრავი ქონების დოლარში გამოხატული ფასები, მაღალი გაუფასურების ფონზე დაეცემა. უძრავი ქონების ფასების ზრდას ძირითადად მოლოდინების გაუმჯობესება და ერთობლივი მოთხოვნის ზრდა განაპირობებს.ზომიერ რისკ-სცენარში, სამწლიან პერიოდში, მშპ-ის ზრდის ჯამური ვარდნა, საბაზო სცენართან შედარებით, დაახლოებით 7.5 პროცენტული პუნქტის ტოლია. მკაცრი რისკ-სცენარის მიხედვით, მსოფლი ომში წარმოქმნილი გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია, ზომიერ სცენართან შედარებით, უფრო ხანგრძლივად ნარჩუნდება, რაც გლობალურ ბაზრებზე ფუნდამენტურ ცვლილებებს იწვევს. აღნიშნულ ჰიპოთეტურ სცენარში მსოფლიოში არსებული კონფლიქტების გამწვავება და თანმდევი გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია გამკაცრებული გლობალური ფინანსური პირობების ნორმალიზაციისთვის მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს. არსებული კონფლიქტების ესკალაცია მყისიერ წნეხს იწვევს სასურსათო ნედლეულის ფასებზე. ამასთან, კონფლიქტების ხანგრძლივობასთან დაკავშირებული გაურკვევლობა ინფლაციურ მოლოდინებს დამატებით ზრდის. შედეგად, გლობალურად ინფლაცია კვლავ აღმავალ დინამიკას იძენს, რაც ცენტრალური ბანკების სანდოობას რისკის ქვეშ აყენებს. ამას კი მსოფლიოს წამყვანი ცენტრალური ბანკები მონეტარული პოლიტიკის უფრო მკვეთრი გამკაცრებით პასუხობენ. გამკაცრებული გლობალური ფინანსური პირობების ხანგრძლივად შენარჩუნებას ე.წ. ნეიტრალური დონის შედარებით მაღალ დონეზე აწევა მოჰყვება [23].

გაუარესებულ მოლოდინებსა და გაურკვევლობას გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე რისკების გადაფასება მოსდევს, რაც ფინანსური პირობების დამატებით გამკაცრებასა და საინვესტიციო აქტივების ღირებულების მკვეთრ ვარდნას იწვევს. საერთაშორისო ბაზრებზე მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებებისა და გაზრდილი გაურკვევლობის ფონზე, ინვესტორები მეტ სიფრთ-

ხილეს იჩენენ, რაც მზარდი და განვითარებადი ქვეყნებიდან კაპიტალის გადინებასა და შედარებით დაბალრისკიან, სანდო აქტივებში განთავსებას განაპირობებს. მთლიანობაში, ამგვარი ფუნდამენტური ცვლილებები გლობალური ეკონომიკური ზრდის პოტენციალში მნიშვნელოვან ცვლილებებს გამოიწვევს, რაც საშუალო ვადიან პერიოდში გლობალური აქტივობის შემცირებით აისახება.

მკაცრი რისკ-სცენარის პირობებში, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მცირე ღია ეკონომიკის მქონე განვითარებადი ქვეყნები აღმოჩნდებიან. აღნიშნული ქვეყნები, მათ შორის საქართველოს სავაჭრო პარტნიორებიც, ერთი მხრივ, რისკების გადაფასების გამო კაპიტალის მასობრივ გადინებას განიცდიან, ხოლო, მეორე მხრივ, გაზრდილი ინფლაციური წნეხის საპასუხოდ გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის ფონზე სტაგნაციის რისკების წინაშე დგანან. შედეგად, მათი სუვერენული რისკი მნიშვნელოვნად იზრდება და ადგილობრივი ვალუტები მკვეთრად უფასურდება.

აღნიშნულ სცენარში სავაჭრო პარტნიორებში ეკონომიკური აქტივობის გაუარესებისა და გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის ფონზე, სავაჭრო მიმოქცევის კუთხით წარმოქმნილი დაბრკოლებების გათვალისწინებით, საგარეო მოთხოვნის კლება და ექსპორტის შემცირება არის მოსალოდნელი, რაც ქვეყნის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს გაზრდის. ამასთან, სუსტ საგარეო მოთხოვნას თან ახლავს შიდა მოთხოვნის მნიშვნელოვანი შემცირება, რაც შინამეურნეობებისა და კომპანიების მკვეთრად გაუარესებული მოლოდინებით არის განპირობებული. სესხების მაღალი დოლარიზაციის გათვალისწინებით, ფინანსური პირობების მკვეთრი გამკაცრება და ეროვნული ვალუტის გაუფასურება ვალის ტვირთის მნიშვნელოვან ზრდას იწვევს, რაც შიდა მოთხოვნას ასევე ქვემოთ ექაჩება. მსესხებელთა მკვეთრად გაუარესებული ფინანსური მდგომარეობისა და ვალის გაზრდილი ტვირთის გათვალისწინებით, ფინანსური სისტემა მნიშვნელოვან დანაკარგებს განიცდის და საკრედიტო პირობების გამკაცრებით, თავის მხრივ, ეკონომიკურ მდგომარეობას დამატებით აუარესებს.

მაღალი გაურკვევლობისა და გაუარესებული ფინანსური მდგომარეობის ფონზე, გადახდისუნარიანობის პრობლემის ქვეშ

მყოფი ბიზნესების გარკვეული ნაწილი თავიანთი წარმოების მასშტაბებს ამცირებს, ხოლო ნაწილი ფუნქციონირებას წყვეტს. ეს ყველაფერი ქვეყანაში უმუშევრობის დონეს მნიშვნელოვნად ზრდის და შიდა მოთხოვნას დამატებით ამცირებს. კაპიტალის გადინების პარალელურად უმუშევრობის დონის მკვეთრი ზრდის ფონზე, ქვეყნის საწარმოო პოტენციალი მნიშვნელოვნად უარესდება, რაც საშუალოვადიან პერიოდში ბიზნესსექტორისა და მთლიანად ეკონომიკის გაჯანსაღების მოლოდინებს აუარესებს.

მკაცრ რისკ-სცენარში ადგილობრივ ბაზარზე წარმოება მცირდება, რაც საქონლის გარკვეულ სახეობებზე დეფიციტს აჩენს და შესაბამისად ფასების ზრდას განაპირობებს.

ამასთან, გაცვლითი კურსის მნიშვნელოვანი გაუფასურების გამო ინფლაციის იმპორტირებული კომპონენტის წვლილი და შუალედური ხარჯებიც იზრდება. შედეგად ზომიერ რისკ-სცენართან შედარებით ინფლაციაც მაღალი იქნება.

ზომიერ რისკ- სცენართან შედარებით, ინფლაციური მოლოდინების მოსათოკად მონეტარული პოლიტიკის მეტად გამკაცრების საჭიროება იკვეთება, თუმცა გაუარესებული მაკროფინანსური მდგომარეობის შედეგად წარმოქმნილ რეცესიულ რისკებთან ერთად ფუნდამენტური ფაქტორების გავლენით გაუარესებული ეკონომიკური პოტენციალის ფონზე, საშუალოვადიან პერიოდში, ეკონომიკის გაჯანსაღების გაჭიანურების რისკებიც ჩნდება. შესაბამისად, მონეტარული პოლიტიკის თავდაპირველი გამკაცრება ზომიერი რისკ სცენარის მსგავსი ტრაექტორიით ხორციელდება, ხოლო შემდგომ პერიოდში ნეიტრალურ დონესთან დაბრუნება შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობს.

მოცემული სცენარის მიხედვით, ქვეყანაში საგრძნობლად გაუარესებული მაკრო-ეკონომიკური მდგომარეობისა და ინვესტორებში გაზრდილი რისკის არიდების შედეგად, ქვეყნის რისკიც დამატებით იზრდება. აღნიშნული კი საწყის ეტაპზე კაპიტალის გადინების, ხოლო შემდგომ პერიოდში ახალი ინვესტიციების შემოდინების შეფერხებით აისახება.

ქვეყანაში ფინანსური ნაკადების შემოდინების კლება და გაურკვევლობა უძრავი ქონების ბაზარზე აქტივობას მნიშვნელოვნად ამცირებს. ეროვნული ვალუტის გაუფასურება, სამუშაო ძალასა და სამშენებლო მასალებზე გაზრდილი ხარჯები უძრავი

ქონების ფასებს თავიდან ზემოთ ექაჩება. თუმცა ქვეყანაში გაზრდილი რისკიანობისა და გაუარესებული მაკროეკონომიკური მდგომარეობის გამო უძრავი ქონება ინვესტორებისთვის მიმზიდველობას კარგავს. უძრავი ქონების ჭარბი მიწოდებისა და მცირე მოთხოვნის შედეგად ფასების შემცირების წნეხი იკვეთება, რაც ფინანსური ინსტიტუტების ბალანსზე უარყოფითად იმოქმედებს და ეკონომიკის გაჯანსაღებას დამატებით შეაფერხებს. მკაცრ რისკ-სცენარში მშპ-ის ზრდის ჯამური ვარდნა, საბაზო სცენართან შედარებით, დაახლოებით 15 პროცენტული პუნქტის ტოლია [23].

საბაზო და ზომიერ სცენარებში, მიუხედავად დანაკარგებისა, საბანკო სექტორის პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი მინიმალურ მოთხოვნებს მნიშვნელოვნად აღემატება. საბაზო სცენარის მიხედვით, გაცვლითი კურსის სტაბილურობა, უმუშევრობის შემცირება და დროთა განმავლობაში რეალური ეკონომიკური ზრდის ნორმალიზება შინამეურნეობებისა და კომპანიების ვალის მომსახურების შესაძლებლობას აუმჯობესებს. შედეგად, საკრედიტო რისკი მცირდება, ბანკები კი სტაბილურ მომგებიანობას ინარჩუნებენ. საბაზო სცენარის მიხედვით, თითოეული ბანკი ინდივიდუალურად ინარჩუნებს კაპიტალის ადეკვატურ დონეს. ზომიერი რისკ-სცენარის დროს გაცვლითი კურსის მერყეობა, დაბალი ეკონომიკური ზრდა და საპროცენტო განაკვეთების მატება შინამეურნეობებისა და ფირმების სესხის მომსახურების შესაძლებლობას აუარესებს, რაც საკრედიტო რისკს ზრდის, თუმცა ბანკების მიერ მიღებული საოპერაციო მოგება დიდწილად ანეიტრალებს აღნიშულ რისკს და კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი უმნიშვნელოდ მცირდება.

დასკვნა

დასკვნის სახით საგულისხმოა ითქვას, რომ საქართველოში თანამედროვე ტექნოლოგიების მიმართ ჯერ კიდევ არ არის სათანადო დამოკიდებულება. ის წარმოდგენილია შედარებით მწირი სახით და საჭიროებს შესაბამის დახვეწას და გაფართოებას. აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ საფინანსო სექტორში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების, განვითარებისა და შესაბამისი რისკების დაზღვევის მიზნით გასათვალისწინებელია შემდეგი რეკომენდაციები:

• ფინანსური ტექნოლოგიების მიმართულებით როგორც ფინტექ სექტორის განვითარებისთვის, ასევე საგადასახადო სექტორისთვის უმჯობესი იქნება მთავრობის მეტი ჩართულობა. მაგალითად, მოხდეს მარეგულირებელი წესებისა და სტანდარტების შემუშავება ისე, როგორც ჩინეთის სამთავრობო დაწესებულებებმა შეიმუშავეს, რითაც ამ მიმართულებით მოწინავე ადგილი დაიკავეს;

• მნიშვნელოვანია მოხდეს ისეთი სივრცეებიის შექმნა, რაც ხელს შეუწყობს ორგანიზაციებს ინფორმაციის მიღებასა და საქმიანობის წარმოებაში, მაგალითად, ინოვაციური ჰაბისა და მარეგულირებელი სივრცის შექმნა, სადაც ფირმებს საშუალება ექნებათ შექმნან თავიანთი პროდუქტების პროტოტიპები და მოახდინონ შექმნილი აპლიკაციების რეგულირება;

• განხორციელდეს ღია ბანკინგის ხელშეწყობა ფინანსური ტექნოლოგიების განვითარების კუთხით, მართალია საქართველოს ბანკის მხრიდან არის ამის ტენდენციები, თუმცა ამ საკითხში სახელმწიფოს მონაწილეობა მნიშვნელოვანია;

• მთავრობამ უნდა გაამარტივოს ფინსანსური ტექნოლოგიების ბაზარზე შესვლის ბარიერები, რითაც გაიზრდება კონკურენციის დონე და შესაბამისად მეტად მოხდება ამ სექტორის განვითარება;

• საჭიროა განხორციელდეს წარმატებულ უცხოურ ფინტექ კომპანიებთან თანამშრომლობა და კიბერუსაფრთხოების გაუმჯობესება;

• ინვესტორებისთვის დაწესდეს ეფექტური საგადასახადო შეღავათები კონკრეტულად ფინანსური ტექნოლოგიების მიმართულებით;

• გასათვალისწინებელია ხელოვნური ინტელექტის აქტიური გამოყენება როგორც კომუნიკაციის ინსტრუმენტად, ასევე გადამხდელთა შესახებ ინფორმაციის შეგროვების კუთხითაც. გარდა ამისა ორგანიზაციებმა მისი საშუალებით უნდა მიიღონ გადასახადებთან დაკავშირებული განახლებული ინფორმაცია, დაამუშაონ გადამხდელების კითხვები, შექმნან Tax robot-ი და შეისწავლონ გადასახადებთან დაკავშირებული მისი ქეისები;

• უნდა მოხდეს მეტი ინვესტირების განხორციელება ღრუბლოვანი ტექნოლოგიების ხელშესაწყობად, რაც მცირე ბიზნესების განვითარებას შეუწყობს ხელს;

• უნდა გაფარდოვდეს ელექტრონული დოკუმენტაციის ხელშეწ-ყობა და ელექტრონული არქივის შექმნა;
• მნიშვნელოვანია კომპანიების მიერ ტექნოლოგიური ცვლილე-ბებით გამოწვეული რისკების (საფრთხეების) და მოსალოდნელი ხარჯების გაცნობა, კარგად გაანალიზება და შეფასება;
• საგადასახადო პორტალის RS.GE-ს პერიოდული განახლებით შესაძლებელია დამატებითი ცვლილებების შეტანა, მაგალითად, ონლაინ საგადასახადო მრჩეველის, ონლაინ დახმარებისა და მო-ბილური აპლიკაციის დამატება, გარდა ამისა სალარო აპარატების ქვითრების ონლაინ ვერსია, მოქნილი რეპორტების ფორმირება და ა.შ.

საბოლოო ჯამში, წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვა-ლისწინებით საქართველოში ფინანური ტექნოლოგიების მიმარ-თულებით გადაიდგმება დიდი ნაბიჯი და ხელი შეეწყობა მის განვითარება-პოპულარიზაციას. ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს ბიზნესგარემოს ჯანსაღ ფუნქციონირებას, კონკურენციის ზრდას და ინვესტიციების მოზიდვას.

ლიტერატურა

1. მედეა ჭილაძე, მარინე თოფჩიშვილი. 2018. ფინანსური ტექნოლოგიების როლი საბანკო სექტორის განვითარებაში. გლობალიზაცია და ბიზნესი. N5.
2. ასათიანი ვ., ცაავა გ. - კომერციული ბანკის საქმიანობის ფინანსური ანალიზი. თეორია, მეთოდები და პრაქტიკა). თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2014.
3. ბერიძე რ., „საბანკო მენეჯმენტი“, თბილისი, 2009.
4. ბერიკაშვილი ლ., „ფინანსური რისკების სისტემური მართვა გლობალიზაციის პირობებში“ - დისერტაცია, 2019.
5. ბენიძე ნ., შონია ნ., ბიწაძე ჯ. „ რისკები და დაზღვევა“. თბილისი, გამომცემლობა „ინოვაცია“, 2019.
6. ბასილია კ., ლიპარტია ზ. „ ფინანსური კონტროლი“, სახელმძღვანელო. თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2012.
7. გელაშვილი მ., რისკების მართვა კომერციულ ბანკებში. ინოვაციური ეკონომიკა და მართვა, 2018.

8. საქართველოს ეროვნული ბანკი. სადაზღვევო ბაზრის სტატისტიკური მაჩვენებლები. „ეკონომიკა და საბანკო საქმე“, თბილისი, 2016.
9. ინგოროყვა ა., ჩხაიძე ზ., ცაავა გ. „ საბანკო ინფორმაციული სისტემები და ტექნოლოგიები“, თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2009.
10. კაკულია რ., „ ეკონომიკური და ფინანსური რისკების მართვა“, თბილისი, 2012.
11. კოვზანაძე ი., გოგი კონტრიძე, თანამედროვე საბანკო საქმე : თეორია და პრაქტიკა, თბილისი, 2014 .
12. მაგრაქველიძე დ. ფინანსური რისკები და მათი მართვის მეთოდები, თბილისი, 2012.
13. სამეცნიერო ანალიტიკური ჟურნალი „ ეკონომიკა და საბანკო საქმე“, 2016, ტომი 4.
14. ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2018 წლის ანგარიში, https://www.rs.ge/common/get−doc.aspx?id=10569(26.05.2019)
15. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304(11.05.2019)
16. http://bulletins.bfconsulting.com/en/category/fintech/georgia-fintech/(12.05.2019)
17. https://www.economy.ge
18. http://forbes.ge/blog/187/investicia-da-riski
19. https://www.globalinnovationindex.org/analysis-indicator
20. https://apps.bea.gov/international/factsheet
21. http://data.worldbank.org/indicator/NY.GNP.PCAP.CD
22. http://www.nplg.gov.ge/
23. https://www.geostat.ge/ka
24. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2

Zurab Tsereteli

MODERN TECHNOLOGIES IN THE FINANCIAL SECTOR AND RELATED FINANCIAL THREATS

Summary

The purpose of the research in the paper is to determine the role of modern technologies which are based on existing sources, highlight the negative and positive sides of its developing trends, evaluate the consequences, threats and find ways to solve all of them.

It is noteworthy that financial risks and methods of their management are gaining more relevance in the modern global conditions.

The paper presents modern technologies in the financial sector and related financial threats (risks), emphasizes the needs for government efforts to eliminate or neutralize expected financial risks.

Recommendations for resolving or slowing down the threats and risks mentioned above are evident, as well as an attempt to find those activities and the ways to solve the problem that have a significant impact on the stable development of the country's economy.

The work consists of: abstract, keywords, introduction, the main part, conclusion and literature.

Keywords: modern technologies, financial technologies, risk, financial risks.

თენგიზ ქავთარაძე,
ლინა დათუნაშვილი

საქართველოს რეგიონებში სოფლის მეურნეობის განვითარების დონე და შესაბამისი ეკონომიკური საფრთხეები

ანოტაცია. *ნაშრომში საქართველოს რეგიონებში სოფლის მეურნეობის განვითარების დონესთან დაკავშირებით შესწავლილია მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა, მოსახლეობის სიმჭიდროვე, მიწის ფონდი, დაცული ტერიტორიები, შესწავლილია მთლი-*

ანი შიდა პროდუქტი და ეკონომიკის სტრუქტურა, მოცემულია სოფლის მეურნეობის სექტორული ანალიზი.

ნაშრომში წამოყენებულია წინადადება, რომ კონტროლირებადი და გეგმაზომიერი მიდგომით შესაძლებელია მნიშვნელოვნად შევამციროთ ამა თუ იმ ფაქტორის ნეგატიური მოქმედება გარემოზე, კერძოდ, აუცილებელია ნიადაგ-დამცველი ღონისძიებების გატარება, ნაწკერალის ზედაპირზე დატოვება, ნიადაგის გადაუბრუნებლად მიწის დამუშავება და სხვა.

შესავალი

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგიის 2021-2027 წლების მონაცემების მიხედვით საქართველოს ტერიტორიის მთლიანი ფართობი 6.97 მლნ. ჰექტარია. სოფელ-ქალაქის მიხედვით ტერიტორიის განაწილების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ არის. ამისათვის მნიშვნელოვან წინააღმდეგობას ქმნის ქვეყნის შიგნით ტერიტორიული საზღვრების არარსებობა. ინფორმაცია მიწის ფონდის განაწილების შესახებ მიწათმოსარგებლეთა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მიხედვით მოძველებულია. მიწის მართვის დეპარტამენტის (ამჟამად არ ფუნქციონირებს) 2004 წლის მონაცემებზე დაყრდნობით მიწის ფონდის საერთო ფართობი შეადგენს 7,028,4 ათას ჰექტარს, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი კი – საქართველოს მთლიანი ტეროტორიის დაახლოებით 43.3%-ს, ხოლო 43.2% დაფარულია ტყის საფარით.

„ტყე მოსახლეობასა და ქვეყნის ეკონომიკას ამარაგებს სამასალე და საშეშე მერქნით, რომელიც აუცილებელია ყოფა-ცხოვრებისათვის, და არამერქნული პროდუქტებით, მათ შორის სამკურნალო მცენარეებით. სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელებითა და ტყის რესურსების გადამუშავებით იქმნება მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი ღირებულება და სამუშაო ადგილები, რაც ზრდის სოფლის მოსახლეობის შემოსავალსა და კეთილდღეობას“. საქართველო, როგორც კავკასიის ნაწილი, აღიარებულია ბიომრავალფეროვნების მხრივ ერთ-ერთ განსაკუთრებულ რეგიონად – ბიომრავალფეროვნების „ცხელ წერტილად“, რომლის ბუნებაც გამოირჩევა სახეობრივი მრავალფეროვნების, ენდემიზმის მაღალი დონით და გლობალური მნიშვნელობის

მქონე ეკოსისტემებით. 2019 წლის მდგომარეობით, საქართველოს დაცული ტერიტო¬რიების ფართობი დაახლოებით 666,107 ჰექტარია (აფხაზეთის არ-ისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შექმნილი დროებითი ადმინისტრაციის ჩათვლით), რაც ქვეყნის 9.56%-ია. 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მოსახლეობის სიმჭიდროვე საქართველოში 65.2 ერთ კვ. კმ-ზე. აღნიშნული მაჩვენებელი მაღალია ქალაქად და დაბალია სოფლის ტიპის დასახლებებში. განსხვავებული მდგომარეობაა რეგიონების მიხედვით, ყველაზე ნაკლები მოსახლეობის სიმჭიდროვე რაჭა-ლეჩხუმში (6.6), მცხეთა-მთიანეთსა (16.7) და სამცხე-ჯავახეთში (24.3) ფიქსირდება.

2017 წელს ქვეყანაში ეკონომიკურად აქტიურმა მოსახლეობამ, შრომისუნა¬რიანი ასაკის მოსახლეობის (15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა) 65.8 პროცენტი შეადგინა. ქალაქის ტიპის დასახლებებში დასაქმების დონე წინა წელთან შედარებით შემცირებულია 1.5 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში აღნიშნული მაჩვენებელი გაზრდილია 0.8 პროცენტული პუნქტით. ანალოგიურად, აქტიურობის დონე წინა წელთან შედარებით ქალაქის ტიპის დასახლებებში შემცირებულია 1.6 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში 0.8 პროცენტული პუნქტით არის გაზრდილი.

2017 წელს 15-64 წლის ასაკის მოსახლეობის დასაქმების დონე იყო 61.2 პროცენტი. ქალაქად ეს მაჩვენებელი 50, ხოლო სოფლად 76.7 პროცენტია. სოფლად დასაქმების დონე წინა წელთან შედარებით 2.3 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. სოფლად დასაქმებულთა შორის 80.8 პროცენტი მამაკაცია, 72.5 პროცენტი კი – ქალი. ქალთა დასაქმება წინა წელთან შედარებით 4.6 პროცენტული პუნქტითაა გაზრდილი. 15-64 წლის ასაკის მოსახლეობის დასაქმების სტრუქტურა რეგიონულ დონეზე გვიჩვენებს, რომ 2017 წელს ყველაზე მეტი დასაქმებული გურიაში (78.8%), კახეთსა (76.2%) და სამცხე-ჯავახეთში (75.9%) დაფიქსირდა. 2018 წლის მონაცემებით, მამაკაცთა დასაქმების მაჩვენებელი 63.4 პროცენტს შეადგენდა, ხოლო ქალების – 49.3 პროცენტს. ქალების დასაქმების მაჩვენებელი 2017 წელთან შედარებით შემცირდა 1.5 პროცენტით, ხოლო კაცების შემთხვევაში იგივე დარჩა. 2018 წლის მონაცემებით, დასაქმებული ქალების 52 პროცენტს ჰქონდა უმაღლესი

განათლება, უმაღლესი განათლების მქონე დასაქმებულ მამაკაცთა 48 პროცენტთან შედარებით.

ტრადიციულად, დასაქმებულთა უმრავლესობას თვითდასაქმებულები წარმოადგენენ, თუმცა ბოლო ოთხი წლის განმავლობაში კლების ტენდენცია ფიქსირდება. 2017 წელს თვითდასაქმებულთა წილი დასაქმებულთა მთლიან რაოდენობაში 51.7 პროცენტს შეადგენდა, რაც 1.3 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული წინა წელთან შედარებით. 2018 წლის მონაცემებით, თვითდასაქმებულთა წილი დასაქმებულთა შორის 49.2 პროცენტია, რაც გასული წელთან შედარებით შემცირდა 2.5 პროცენტული პუნქტით. აქედან თვითდასაქ¬მებული მამაკაცების რიცხვი იყო 453.9 ათასი ადამიანი, ხოლო თვითდასაქმებული ქალების რიცხვი – 379.6 ათასი.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ანგარიშში „გენდერი, სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება“, აღნიშნულია, რომ თვითდასაქმებული ქალების 59%-ის შრომა, რომელიც წვრილ საოჯახო ფერმერულ მეურნეობაშია ჩართული, აუნაზღაურებელი რჩება.

2017 წელს 15-64 წლის ასაკის მოსახლეობის თვითდასაქმებულების წილი დასაქმებულებში 2013 წელთან (52.9%) შედარებით შემცირებულია 5.4 პროცენტული პუნქტით და 47.5 % შეადგენს. იგივე მაჩვენებელი ქალაქად 5.9%, ხოლო სოფლად 5 პროცენტული პუნქტითაა შემცირებული. ამავე წელს, 15-64 წლის ასაკის მოსახლეობის თვითდასაქმებულების სტრუქტურა რეგიონულ ჭრილში გვიჩვენებს, რომ თვითდასაქმებულთა რაოდენობა მაღალია გურიაში (68.7%), კახეთში (68.4%) და სამცხე-ჯავახეთში (67.1%).

2018 წელს საქართველოში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა 1,940.0 ათასი კაცია. განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით გვიჩვენებს, რომ დასაქმებულთა რაოდენობა 1,694.2 ათასი კაცია. ყველაზე მეტი ადამიანი, 659.0 ათასი კაცი (დასაქმებულთა 38.9%) სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობაშია დასაქმებული. ამავე მონაცემებით ირკვევა, რომ აქტიურობის დონე ქალებში 58%-ს, ხოლო კაცებში 75%-ს შეადგენს, რაც შესაბამისად 2.6 და 1.0 პროცენტული პუნქტებით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით.

15 წლის და უფროსი ასაკის სოფლის მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით გვიჩვენებს, რომ 2018 წელს სულ აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა) 954.8 ათასი კაცია. სოფლად დასაქმებულთა 72 პროცენტი თვითდასაქმებულია და მხოლოდ 27.9 პროცენტია დაქირავებით მომუშავე.

უმუშევრობის დონის 2018 წლის წლიური მაჩვენებელი 12.7 პროცენტის ფარგლებშია, რაც 1.2 პროცენტული პუნქტით ნაკლებია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო 9 წლის განმავლობაში უმუშევრობის დონის შემცირების ტენდენცია ფიქსირდება; ამასთან უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2018 წელს ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია. 2017 წელს წინა წელთან შედარებით უმუშევრობის დონე რეგიონულ ჭრილში გაზრდილია ქ. თბილისის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლისა და იმერეთის რეგიონებში. ქ. თბილისში, სადაც უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალია, აღნიშნული მაჩვენებელი 1.2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა, იმერეთის რეგიონში – 1.6 პროცენტული პუნქტით, ხოლო შიდა ქართლის და ქვემო ქართლის რეგიონებში – შესაბამისად 2.0 და 3.5 პროცენტული პუნქტით. უმუშევრობის დონე ყველაზე მეტად შემცირებულია აჭარის არ-ში და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, შესაბამისად 5.8 და 3.4 პროცენტული პუნქტით.

უმუშევრობის დონის ანალიზი ასაკობრივ ჭრილში გვიჩვენებს, რომ 2017 წელს უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონე კვლავ 20-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში ფიქსირდება (29.6 პროცენტი). ამასთან აღნიშნული მაჩვენებელი 3.2 პროცენტული პუნქტით შემცირდა 2016 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით. უმუშევრობის დონე ტრადიციულად ყველაზე დაბალია 65+ ასაკობრივ ჯგუფში, რომლის უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში არააქტიურობის დონის შედარებით მაღალი მაჩვენებელი.

2017 წელს 15-64 წლის ასაკის მოსახლეობის უმუშევრობის დონე 2013 წელთან (38.9%) შედარებით შემცირებულია 10 პროცენტული პუნქტით და 28.9 პროცენტს შეადგენს. იგივე მაჩვენებელი ქალაქად 8, ხოლო სოფლად 11 პროცენტული პუნქტითაა შემცირებული. ამავე ასაკობრივ ჯგუფში 2017 წელს უმუშევრობის მაჩვენებელი სქესობრივ ჭრილში შეიცვალა და კაცებში 26.3, ხოლო

ქალებში 32.7 პროცენტული პუნქტი შეადგინა. Qქალაქად ქალთა უმუშევრობის დონე გაზრდილია და 44.3 პროცენტული პუნქტი შეადგინა, სოფლად კი იგივე მაჩვენებელი შემცირებულია 17.0 %-მდე. უმუშევრობის დონე ქალებში 2017 წელს ქალაქად 2.6 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლად 5.7 პუნქტით აღემატება კაცებში უმუშევრობის დონეს. უმუშევარი ქალების რიცხოვნობაში ყველაზე დიდი წილი უმაღლესი განათლების მქონე ქალებს უჭირავს, ხოლო კაცებში – საშუალო განათლების მქონეს. 2017 წლის მონაცემებით დასტურდება, რომ უმუშევარ ქალთა 42 პროცენტს ჰქონდა უმაღლესი განათლება, ხოლო კაცთა 41 პროცენტს ჰქონდა საშუალო განათლება.

ბიზნესსექტორში დასაქმებულთა რაოდენობამ 2017 წელს 708,165 კაცი შეადგინა. 2017 წლის მონაცემებით, რეგისტრირებულ ახალ საწარმოთა რაოდენობა მფლობელის სქესის მიხედვით შემდეგია: 31% ქალი, 51% კაცი და 18% არაიდენტიფიცირებულია.

ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით დასაქმების სტრუქტურა გვიჩვენებს, რომ სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებულია 12,699 კაცი, ანუ დასაქმებულთა მხოლოდ 1.8 პროცენტი. უკანასკნელი 2015 წლის მონაცემებით, სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებულთა შორის 50.5 პროცენტი ქალია.

ოფიციალური მონაცემებით, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის ხვედრითი წილი 2017 წელს 21.9 პროცენტია. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, გლობალურად სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი (%) – 1.9 დოლარი დღეში (2011 წელი) – მცირდება. 2017 წელს, საქართველოში სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის პროცენტული წილი 5 პროცენტია (1.9 დოლარი დღეში; 2011 წელი). იგივე მაჩვენებელი ქალაქად 3.8, ხოლო სოფლად 6.7 პროცენტია. სიღარიბე სოფლად კიდევ უფრო მაღალია – 3.2 დოლარი და 5.5 დოლარი დღეში, შესაბამისად, სადაც სიღარიბის მაჩვენებელი მოსახლეობის 21 და 53.4 პროცენტია. ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებელი მედიანური მოხმარების 60 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილით საქართველოში 22.3, ქალაქად 17 და სოფლად 29.6 პროცენტია.

მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით, მიმდინარე 2019 წელს მსოფლიო ეკონომიკური ზრდა 3.3 პროცენტია, ევროპის 1.6,

ხოლო საქართველოს მშპ-ის ზრდის პროგნოზი – 4.6. რეგიონში განვითარებული შოკების და გლობალური ეკონომიკის ზრდის შენელების ფონზე, საქართველოში 2013-2018 წლებში ეკონომიკური ზრდა ფიქსირდება. წინასწარი მონაცემებით, 2018 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობამ მიმდინარე ფასებში 41,077.5 მლნ. ლარი შეადგინა, რაც 8.5 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა 2018 წელს წინა წელთან შედარებით 4.7 პროცენტით, ხოლო დეფლატორის პროცენტული ცვლილება 3.6 პროცენტით განისაზღვრა. ქვეყანაში ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) გაიზარდა და 2017 წელს ერთ სულ მოსახლეზე 4,345.5 აშშ დოლარი შეადგინა. ეკონომიკის სტრუქტურა გვიჩვენებს, რომ სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობის სექტორში მშპ მცირდება და 2018 წლის წინასწარი მონაცემებით, 8.2 პროცენტი შეადგინა.

2017 წელს ტერიტორიული ერთეულების მიხედვით მთლიანი შიდა პროდუქტის განაწილების მაჩვენებელი (მიმდინარე ფასებში) ყველაზე დაბალია რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (165.1 მლნ. ლარი), მცხეთა-მთიანეთსა (575.8 მლნ. ლარი) და გურიის (652.6 მლნ. ლარი) რეგიონებში. თბილისის გარდა, მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება იმერეთში (3,247.9 მლნ. ლარი), აჭარის არ-სა (2,880.7 მლნ. ლარი) და ქვემო ქართლის (2,644.3 მლნ. ლარი) რეგიონებში. სოფლის მეურნეობის დარგში რეგიონებში შექმნილი მშპ-ის სტრუქტურის მიხედვით, ყველაზე მაღალი მაჩვენებლები ფიქსირდება კახეთის (580 მლნ. ლარი), ქვემო ქართლის (472 მლნ. ლარი) და იმერეთის (418 მლნ. ლარი) რეგიონებში, ხოლო ყველაზე დაბალი – რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთის (30.3 მლნ. ლარი) და მცხეთა-მთიანეთის (66.4 მლნ. ლარი) რეგიონებში. ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება სოფლის მეურნეობის, ნადირობისა და სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და თევზჭერის სფეროში იზრდება. 2012-2017 წლებში, ბიზნესსექტორში შრომის პროდუქტიულობა სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში 12 პროცენტით, დასაქმებულთა რაოდენობა 55 პროცენტით, ხოლო შექმნილი დამატებითი ღირებულება 73 პროცენტით გაიზარდა. მიუხედავად ამისა, შრომის პროდუქტიულობა, ანუ ერთ დასაქმებულზე წარ-

მოებული მთლიანი დამატებითი ღირებულება, სოფლის მეურ-ნეობის დარგში ყველაზე მცირეა და 2018 წლის მონაცემების თა-ნახმად, 4.04 ათასი ლარი შეადგინა. ბიზნესსექტორის მოქმედ საწარმოთა რაოდენობა სოფლის მეურნეობის სექტორში დაბალია (1%). დარგის ბიზნესსექტორის აქტივობაში უმრავლესობას მცირე მეწარმეები წარმოადგენენ.

საქართველო 22 კლიმატურ ზონადაა დაყოფილი. მიწისა და კლიმატური პირობების მრავალფეროვნება სასოფლო-სამეურნეო კულტურების ფართო სპექტრის მოყვანის საშუალებას იძლევა.

სასოფლო მეურნეობების რაოდენობის შესახებ მონაცემები ხელმისაწვდომია 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის შედე-გად. ქვეყანაში დაფიქსირდა 642.2 ათასი მეურნეობა, მათ შორის 640.0 ათასი – შინამეურნეობა და 2.2 ათასი – იურიდიული პირი. მათ შორის, 587.4 ათასი მეურნეობა სასოფლო-სამეურნეო მიწით, პირუტყვით, ფრინველით ან/და ფუტკრის ოჯახით. 2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, მეურნეობების სარგებლობაში არის 842.3 ათასი ჰა სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო მიწა. მათ შორის, 87.2% (734.8 ათასი ჰა) საკუთრებაშია, ხოლო 12.8% (107.5 ათასი ჰა) – დროებით სარგებლობაში. მეურნეობების სარგებლობაში 787.7 ათასი ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწაა. მათ შორის 86.5% (681.1 ათასი ჰა) შინამეურნეობების, ხოლო 13.5% (106.6 ათასი ჰა) იურიდიული პირების სარგებლობაშია.

ყველა კატეგორიის მეურნეობების რაოდენობა 574.1 ათასი ერთეულია, ხოლო მეურნეობების საშუალო ფართობი 1.4 ჰექტა-რია. მათი უდიდესი ნაწილი მცირემიწიანია. კერძოდ, მეურნეო-ბების 93.7 პროცენტს სარგებლობაში აქვს 2 ჰა-ზე ნაკლები სასოფ-ლო-სამეურნეო მიწა, მეურნეობების რაოდენობა 2-დან 5 ჰექტრამ-დე ფართობის სასოფლო-სამეურნეო მიწით სულ 4.8 პროცენტია, ხოლო 5 ჰექტარზე მეტი მიწის ფართობი მხოლოდ 1.5 პროცენტს გააჩნია. მეურნეობების სარგებლობაში არსებული სასოფლო-ს-ამეურნეო მიწის 40.1% არის კახეთში, 15.5% – ქვემო ქართლში, ხოლო 9.7% – სამცხე-ჯავახეთში. მიწის ნაკვეთის განაწილება, მფლობელის სქესის მიხედვით შემდეგია: კაცები ფლობენ სასოფ-ლო-სამეურნეო მიწის 81 %-ს, ხოლო ქალები – მხოლოდ 19 %-ს.

ოჯახური მეურნეობების განაწილება მეურნის ასაკის მიხედ-ვით გვიჩვენებს, რომ 35 წლამდე მეურნეები (38,090 ადამიანი)

საერთო რაოდენობის (639,963 ადამიანი) მხოლოდ 6 პროცენტია. ძირითადი აქტივობა აღინიშნება 3564 წლის ასაკობრივ ჯგუფში, რომელიც საერთო რაოდენობის 59 პროცენტს (377,588 ადამიანი) შეადგენს. 65 წელს ზევით მეურნეების წილი კი 35 პროცენტია (224,285 ადამიანი). რეგიონების მიხედვით მეურნეობების ყველაზე მეტი რაოდენობა იმერეთში (19.6%), კახეთსა (15.1%) და სამეგ-რელო-ზემო სვანეთში (13.3%) დაფიქსირდა.

მეურნეობების სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურ-ნეო მიწის ფართობი მიწათსარგებლობის ფორმების მიხედვით გვიჩვენებს, რომ სტრუქტურაში 48% სახნავებს (377,445 ჰა) უკავია, 38 % – ბუნებრივ სათიბებსა და საძოვრებს (300,004 ჰა), ხოლო 14% მრავალწლოვანი ნარგავებით დაკავებული მიწაა (109,567 ჰა). სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-მოდერნიზა-ციის პროექტი შემუშავდა 2011 წელს. შედეგად 2012 წელს არსე-ბული წყლით უზრუნველყოფილი მიწის ფართობი ორჯერ გაი-ზარდა და 2018 წლის მდგომარეობით 127,000 ჰექტარს შეადგენს, ხოლო დაშრობა 38,000 ჰექტარზე ხორციელდება.

2018 წლის მონაცემებით, მეურნეობების მფლობელობაში ყველაზე მეტი ფრინველია (8,110.9 ათასი ფრთა), მას მოსდევს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (878.9 ათასი სული), ცხვარი და თხა (869.4 ათასი სული), ფუტკრის ოჯახი (257.8 ათასი სკა) და ღორი (163.2 ათასი სული).

2018 წელს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობის მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება სამეგრელო-ზემო სვანეთში (164.2 ათასი სული), იმერეთში (163.0 ათასი სული), ქვემო ქართლ-ში (149.9 ათასი სული) და სამცხე-ჯავახეთში (100.2 ათასი სული), ყველაზე დაბალი – რაჭა-ლეჩხუმში, ქვემო სვანეთში (16.9 ათასი სული), მცხეთა-მთიანეთსა (33.0 ათასი სული) და გურიაში (36.2 ათასი სული). ღორის სულადობით სამეგრელო-ზემო სვანეთი (45.7 ათასი სული), კახეთი (27.4 ათასი სული) და იმერეთის (28.3 ათასი სული) რეგიონები ლიდერობენ. ცხვრის სულადობის ძირი-თადი წილი კახეთის რეგიონზე მოდის (496.8 ათასი სული), მას მოსდევს ქვემო ქართლი (167.3 ათასი სული) და მცხეთა-მთიანეთი (58.2 ათასი სული). ფრინველის რაოდენობა მაღალია ქვემო ქართლში (3,677.2 ათასი ფრთა), კახეთსა (1,110.1 ათასი ფრთა) და იმერეთში (833.2 ათასი ფრთა).

2018 წელს წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით ხორბლის წარმოება (107.1 ათასი ტონა) 9.4 პროცენტით გაიზარდა, ქერის წარმოება (57.7 ათასი ტონა) – 31.4 პროცენტით, სიმინდის წარმოება (194.2 ათასი ტონა) – 36.3 პროცენტით, კარტოფილის წარმოება – 31.9 პროცენტით და 237.5 ათასი ტონა შეადგინა. ამასთან 2018 წლის განმავლობაში წარმოებულია 142.2 ათასი ტონა ბოსტნეული, რაც 12.9 პროცენტით აღემატება 2017 წლის მაჩვენებელს. 2018 წლის მონაცემების მიხედვით, წინა წელთან შედარებით გაზრდილია საშუალო მოსავლიანობის მაჩვენებლები. ხორბლის საშუალო მოსავლიანობამ 2.54 ტონა/ჰა შეადგინა, ქერის საშუალო მოსავლიანობამ – 2.2 ტონა/ჰა, სიმინდისამ – 2.7 ტონა/ჰა, კარტოფილისამ – 12.5 ტონა/ჰა, ბოსტნეულისამ კი – 8.8 ტონა/ჰა; აქედან კიტრის საშუალო მოსავლია¬ნობაა 12.4 ტონა/ჰა, პომიდვრის – 11.0 ტონა/ჰა, კომბოსტოს – 29.9 ტონა/ჰა, ხახვის – 6.7 ტონა/ჰა, ხოლო ნივრის – 3.3 ტონა/ჰა.

2018 წელს ერთწლიანი კულტურების ნათესმა ფართობმა 207.1 ათასი ჰექტარი შეადგინა, მათ შორის, საშემოდგომო მარცვლოვანი კულტურების ნათესი ფართობია 54.5 ათასი ჰექტარი, ხოლო საგაზაფხულო კულტურების – 152.7 ათასი ჰექტარი. ამავე წელს ქვეყანაში წარმოებულია 93.3 ათასი ტონა თესლოვანი ხილი, რაც 3.6-ჯერ აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს. საანგარიშო პერიოდში, ასევე წარმოებულია 54.2 ათასი ტონა კურკოვანი ხილი (წინა წელთან შედარებით 15.1 პროცენტით მეტი), 23.1 ათასი ტონა კაკლოვანი ხილი (7.2 პროცენტით ნაკლები), 16.0 ათასი ტონა სუბტროპიკული ხილი (23.1 პროცენტით მეტი), 66.3 ათასი ტონა ციტრუსი (13.9 პროცენტით მეტი). აღსანიშნავია, რომ 2018 წელს წარმოებულია 259.9 ათასი ტონა ყურძენი, რაც 43.8 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს.

საქართველოსთვის, სოფლის მეურნეობა კვლავ პრიორიტეტულ სექტორად რჩება მშპ-ში შეტანილი წვლილისა და ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით. სექტორში გენდერულ სხვაობათა შეფასება აჩვენებს, რომ ქალები მამაკაცებზე მეტად არიან ჩართული დაბალშემოსავლიან საქმიანობაში, როგორიც არის სოფლის მეურნეობა. კაცებთან შედარებით ქალების მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში მცირემასშტაბიანია. მნიშვნელოვანია ქალების როლი სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში,

თუმცა ხშირად სოფლად მცხოვრები ქალების მიერ სოფლის მეურნეობაში შეტანილი წვლილი შეუმჩნეველია, ვინაიდან მათი შრომა ძირითად შემთხვევაში ასოცირდება ოჯახურ პასუხისმგებლობასთან და აუნაზღაურებელი რჩება. დასაქმებულ ქალებს კი სოფლის მეურნეობის ყველა სექტორში უფრო ნაკლები ანაზღაურება აქვთ, ვიდრე კაცებს. საშუალოდ, ქართველი ქალები კაცის შემოსავლის 75 პროცენტს გამოიმუშავებენ.

ზოგადი გენდერული სტატისტიკის მიხედვით, კაცებს საქართველოში უფრო მაღალი მენეჯერული პოზიციები უკავიათ და მეტი შემოსავალი აქვთ სოფლის მეურნეობისა და მშენებლობის დარგებში, სადაც განსაკუთრებით ცოტა ქალია ოფიციალურად დასაქმებული.

ამავდროულად, კვლევა ყურადღებას ამახვილებს ქალთა შეზღუდულ წვდომაზე ისეთ რესურსებთან როგორიცაა მიწა და ფინანსები, ასევე ქალთა ლიმიტირებულ ჩართულობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესი. კაცებთან შედარებით ქალებს უფრო ნაკლებად აქვთ წვდომა ინფორმაციასთან, თანამედროვე ტექნოლოგიებთან და სასოფლო-სამეურნეო რესურსებთან.

ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის რესურსების თვალსაზრისით, საქართველო ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ქვეყანაა. საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე 14,000 მ3 მტკნარი ზედაპირული წყალი მოდის მაშინ, როდესაც ევროპის ანალოგიური მაჩვენებელი საშუალოდ მხოლოდ 9,300 მ3-ს შეადგენს. საქართველოს ზედაპირული წყლის რესურსები წარმოდგენილია 26,000-ზე მეტი მდინარითა და 850 ტბით, 43 წყალსაცავით, 734 მყინვარითა და 627 კმ2 საერთო ფართობის მქონე ჭარბტენიანი ტერიტორიებით.

2017 წელს წყლის აღება სოფლის მეურნეობაში 1,798.17 მილიონი კუბ. მეტრია. 2018 წლის მონაცემებით, მდიდარი წყლის რესურსების ფონზე, წყალმომარაგების სისტემაზე (სასმელი წყალი) მიერთებული მოსახლეობის რაოდენობამ 2.45 მილიონი შეადგინა, ანუ საერთო რიცხოვნობის 65.8%. ბოლო წლებში წყალმომარაგების სისტემაზე მიერთებული მოსახლეობის რაოდენობა გაზრდილია, ხოლო წყალმომმარაგებელი საწარმოების მიერ სისტემაში გაშვებული წყლის მოცულობა შემცირებულია. ასევე მცირ-

დება დანაკარგები წყლის ტრანსპორტირებისას. 2018 წელს დანაკარგის მოცულობამ 66.4% შეადგინა.

საქართველო მთიანი ქვეყანაა, დაბლობი ზონა ქვეყნის ტერიტორიის მხოლოდ 46%-ს მოიცავს. დაბლობში მიწის რესურსები ხასიათდება სასოფლო-სამეურნეო ათვისების მაღალი დონით, სავარგულების მაღალი ბუნებრივი ნაყოფიერებით. საქართველოში მიწის რესურსების გამოყენების თვალსაზრისით საქართველოს ტერიტორია შეიძლება დაიყოს სამ ნაწილად: 1. სამიწათმოქმედო ტერიტორია – 15.8%; 2. ბუნებრივ-სამეურნეო ფართობი (ტყე, ბუჩქნარი, სათიბ-საძოვრები) – 70.6%; 3. სოფლის მეურნეობაში გამოუყენებელი მიწა – 13.6%.

საქართველოში ტყეები თითქმის მთლიანად (97.7%) მთის ფერდობებზეა განთავსებული. დასავლეთ საქართველოში ტყეები იწყება ზღვის დონიდან და ფარავს დაბლო¬ბებსა და მთისწინა კალთებს ზღვის დონიდან 500 მეტრ სიმაღლემდე. სატყეო მეურნეობის ძირითადი მიზანია ეროვნული მეურნეობისა და მოსახლეობის მრავალფეროვანი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ტყის პროდუქტებზე ტყის რესურსების გამოულევლად. ეს ამოცანა უნდა წყდებოდეს ტყით დაფარული ფართობების შეუმცირებლად ტყის პროდუქტიულობის შენარჩუნებით, მისი ბუნებისდაცვითი, სანიტარიულ-ჰიგიენური და სხვა სასარგებლო თვისებების დაცვით.

საქართველოს ტყეს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს როგორც მოსახლეობის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისათვის, ისე ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა დარგის განვითარებისათვის. ტყე საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს უზრუნველყოფს სუფთა წყლით. ტყის ეკოსისტემების სიჯანსაღეზეა დამოკიდებული ეკონომიკის სექტორების (სოფლის მეურნეობა, ჰიდროენერგეტიკა და სხვ.) წყლით მომარაგება. ტყე განსაზღვრავს წყლის ხარისხს და ამცირებს წყალმოვარდნებისა და წყალდიდობების საფრთხეს ნალექების ზედაპირული ჩამონადენის რეგულირებით. ის ხელს უშლის ნიადაგის ეროზიის განვითარებას, ამცირებს მეწყრის, ზვავისა და ღვარცოფის განვითარების რისკს და არბილებს მათ ზემოქმედებას. ატმოსფეროდან ნახშირბადის შთანთქმითა და ტყის მასასა და ნიადაგში მისი შეკავებით ტყე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნახშირბადის გლობალურ ციკლში. ტყის

აღნიშნული მარეგულირებელი ფუნქციები მნიშვნელოვანია ჰიდროენერგეტიკისა (ჯანსაღი ტყე უზრუნველყოფს მდინარის წლის სტაბილურ ჩამონადენს, ამცირებს ფსკერულ ნატანს და იცავს წყალსაცავებს ამოვსებისაგან) და სოფლის მეურნეობის (ხდება ნიადაგის ეროზიისგან დაცვა, მავნებლების კონტროლი, სოფლის მეურნეობის კულტურების დამტვერვა და სხვ.) განვითარებისათვის. საქართველოს ტყეს უდიდესი ესთეტიკური და რეკრეაციული მნიშვნელობა აქვს. მას დიდი წვლილი შეაქვს ქვეყნის ტურისტული პოტენციალისა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული შემოსავლების ზრდაში. ტყის ეკოსისტემებზეა დამოკიდებული არაერთი კურორტისა და ტურიზმის სხვადასხვა სახეობის არსებობა და განვითარება.

ბიზნესში, სატყეო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 2017 წელს 870 კაცს შეადგენს (ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა 0.1 პროცენტი). ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება ბოლო წლების განმავლობაში აქტუალურია. მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე. დაბინძურებული ჰაერი იწვევს სხვადასხვა დაავადებას და ადამიანების ნაადრევ სიკვდილს. ჰაერის ზოგიერთი დამაბინძურებელი ზიანს ეკოსისტემებსაც აყენებს. საქართველოში ქიმიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული მონაცემები მწირია. სოფლის მეურნეობაში მოიხმარება შემდეგი აგროქიმიკატები: სასუქები, პესტიციდები, ჰერბიციდები და სხვა. ასევე ფართოდაა გავრცელებული მინერალური სასუქები. საქართველოს სოფლის მეურნეობისთვის ბუნებრივი კატასტროფებიდან გამოწვე¬ული რისკები და დანაკარგები მაღალია.

საქართველოში ნარჩენების მართვის სფეროში სტატისტიკური მონაცემების და სათანადო ინფრასტრუქტურის არარსებობა მნიშვნელოვანი გამოწვევაა გონივრული პოლიტიკის დაგეგმვისათვის. 2018 წლის მდგომარეობით, საქართველოში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მხოლოდ 3 მოქმედი ნაგავსაყრელია (ერთი კერძო და 2 სახელმწიფო საკუთრებაში არსებული. გაცემულია ერთი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება აჭარის არ ევროსტანდარტების შესაბამისი ნაგავსაყრელის ასაშენებლად). თითქმის ყველა სოფელს აქვს ერთი ან მეტი მცირე ზომის სტიქიური ნაგავსაყრელი. ხშირ შემთხვევაში, ისინი განთავსებულია მდინარეების ნაპირებზე ან მოსახლეობასთან ახლოს და, შესაბამი-

სად, საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოს. საერთო ჯამში საქართველოში სახელმწიფო მმართველობაში აღირიცხება 57 ოფიციალური არასახიფათო ნარჩენების/მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელი, მათგან 23 დახურულია, ხოლო 30 მოქმედი ნაგავსაყრელი ოპერირებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული შესაბამისობაში მოყვანის გეგმის შესაბამისად. ბევრად მეტი რაოდენობისაა მცირე ზომის სტიქიური ნაგავსაყრელები.

დაცული ტერიტორიების სისტემა ემსახურება ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტებისა და ცოცხალი ორგანიზმების დაცვასა და აღდგენას, საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველებისა და მცენარეების გენოფონდის დაცვას, უნიკალური და იშვიათი ორგანული თუ არაორგანული ბუნებრივი წარმონაქმნების შენარჩუნებას, ეროზიული, ღვარცოფის, წყალდიდობა-წყალმოვარდნის, ზვავის, მეწყრის აქტიური გავლენის ზონაში მოხვედრილი ტერიტორიების, აგრეთვე, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ფორმირების, გადინებისა და განტვირთვის არეალების დაცვას ანთროპოგენური ზემოქმედებისაგან. საქართველოს დაცული ტერიტორიები წარმოადგენს ვიზიტორებისათვის მიმზიდველ და ხშირად მონახულებად ტერიტორიებს.

ტყეების მდგრადმა მართვამ უნდა უზრუნველყოს მათი ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ფუნქციების შენარჩუნება. საქართველოში, როგორც მთაგორიანი რელიეფის მქონე ქვეყანაში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტყეების დაცვითი ფუნქციების კონსერვაციას, რაშიც შევა ეროზიული, ღვარცოფის, წყალდიდობა-წყალმოვარდნის, ზვავის, მეწყრის აქტიური გავლენის ზონაში მოხვედრილი ტერიტორიების, აგრეთვე ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ფორმირების, გადინებისა და განტვირთვის არეალების დაცვა ანთროპოგენური ზემოქმედებისაგან და სხვა. თუმცა პარალელურად მნიშვნელოვანია ტყეების მართვის ეკონომიკური მოდელების შემუშავებაც, რაც მოსახლეობას უბიძგებს ტყეების მიმართ მომხმარებლური დამოკიდებულება მიმართოს ეკონომიკურად მომგებიანი რესურსის გაფრთხილებისკენ.

კლიმატის ცვლილება და მისი უარყოფითი გავლენა საქართველოს ეკოსისტემებსა და ეკონომიკაზე დიდ საფრთხეს უქმნის ქვეყნის მდგრად განვითარებას. ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, რთული რელიეფი, მრავალფეროვანი მიწის საფარი და სპეციფიკური კლიმატი, რომელიც მოიცავს თითქმის ყველა კლიმატურ ზონას, საქართველოში კლიმატის ცვლილების უარყოფითი შედეგების ფართო სპექტრის გამოვლენის პირობებს ქმნის.

ეკონომიკის სხვადასხვა სექტორების ადაპტაცია და კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შედეგად დამდგარი ზარალისა და ზიანის შემცირება კრიტიკულად მნიშვნელოვანია სიღარიბის შემცირებისა და გარემოს დეგრადაციისგან დაცვისთვის.

კლიმატის ცვლილების შედეგების გამოვლინებამ საქართველოში უკვე მოახდინა უარყოფითი ზემოქმედება ბუნებრივ რესურსებზე, ეკოსისტემებსა და ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორზე, განსაკუთრებით კი სოფლის მეურნეობაზე, რომელიც ბუნებრივად ყველაზე მგრძნობიარეა კლიმატის ცვლილების მიმართ.

2017 წლის 7 ივნისიდან საქართველოსთვის ძალაში შევიდა გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის „პარიზის შეთანხმება“, რომელიც კლიმატის ცვლილების მსოფლიო პოლიტიკაში ახალი ეტაპის დასაწყისად ითვლება და რომლის ძირითადი მიზნებია: 1) კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკების და ეკონომიკის სექტორებზე ნეგატიური ზემოქმედების მნიშვნელოვანი შემცირება, გლობალური საშუალო ტემპერატურის ზრდის 2°ჩ0-მდე შეზღუდვით; 2) ქვეყნების უკეთ ადაპტირება კლიმატის ცვლილებასთან და ქვეყნების დაბალემისიიანი განვითარება იმგვარად, რომ არ შეიზღუდოს საკვების წარმოება.

საქართველოს მთავრობამ 2015 წლის „პარიზის შეთანხმების“ მხარეთა კონფერენციამდე ეროვნულად განსაზღვრული წვლილის (NDC) დოკუმენტის შემუშავებით გამოხატა კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის გლობალურ ძალისხმევასთან შეერთების მზადყოფნა. საქართველოს ეროვნულად განსაზღვრული წვლილის დოკუმენტში ხაზგასმულია სოფლის მეურნეობის სექტორის მნიშვნელობა: “საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკაში. ქართველმა ფერმერებმა უნდა შეასრულონ საკვანძო როლი საზოგადოების ფუნდამენტური საჭიროების – უსაფრთხო, დაცული და ხელმისაწ-

ვდომი საკვების მიწოდების უზრუნველყოფაში. ეს ფაქტი ხაზს უსვამს სოფლის მეურნეობაზე კლიმატის ცვლილების გავლენისა და კვების უსაფრთხოებას შორის არსებული დამოკიდებულების მნიშვნელობას".

კლიმატის ცვლილების მიმართ სოფლის მეურნეობის სექტორის ადაპტაციისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯებია დაგეგმილი. მაგ.: 1. სოფლის მეურნეობაში გვალვებზე, წყალდიდობებზე და სხვა ექსტრემალურ მოვლენებზე სწრაფი რეაგირების გეგმების მომზადება და განხორციელება; 2. ირიგაციის მართვისა და წყლის გამოყენების ინოვაციური მეთოდების დანერგვა და სხვა.

ამჟამად საქართველო ამზადებს „ეროვნულად განსაზღვრული წვლილის" დოკუმენტის განახლებულ ვარიანტს, ვალდებულების სამიზნე მაჩვენებლების მიღწევა დაკავშირებულია ეკონომიკის ყველა ძირითადი სექტორის მდგრად და კლიმატგონივრულ განვითარებასთან, დოკუმენტის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმობა სოფლის მეურნეობის სექტორიდან სათბურის აირების შემცირებასა და სექტორის ადაპტაციის შესაძლებლობების გაძლიერებას.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც ეკონომიკის უსაფრთხოების პრობლემა დროულად არ იქნა აყვანილი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის რანგში. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ მსოფლიო ეკონომიკურ მეცნიერებაში ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემის გამოკვლევას არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. რაც შეეხება განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებს, მათ წინაშე აღნიშნული პრობლემა არ იდგა და, შესაბამისად, არ წარმოებდა კვლევები. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე ყურადღება გამახვილებულდა მხოლოდ საბაზრო რეფორმების დაწყებიდან საკმაო ვადის გასვლის შემდეგ, როდესაც მწვავე კრიზისული ხასიათი მიიღო ეკონომიკის განვითარებამ და მნიშვნელოვნად დაეცა მოსახლეობის ცხოვრების დონე.

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების თეორიულ-გამოყენებითი საფუძვლების შემუშავება, უპირველეს ყოვლისა უნდა განხორციელდეს დამოუკიდებლად, საკუთარი ეროვნული ინტელექტუალური ძალებით. ეს არ არის ის პრობლემა, რომელშიაც სასურველ ეფექტს მოგვცემს საერთაშორისო საფინანსო

ეკონომიკური ინსტიტუტების და უცხოელი ექსპერტების კონ-სულტაციები. და, რა თქმა უნდა, აქ არ იგულისხმება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემე-ბის ირგვლივ დაგროვილი თეორიული და პრაქტიკული გამოცდი-ლების შესწავლა განზოგადება და გამოყენება, თუმცა აქაც საჭიროა დიდი სიფრთხილე და შემოქმედებითი მიდგომა.

ჩვენი აზრით, უპირველეს ყოვლისა, უნდა შემუშავდეს ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია (კონცეფცია), რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს ამავე სახელწოდების პროგ-რამის შემუშავებას და ეს უკანასკნელი უნდა გახდეს ხელისუფ-ლების შესაბამისი სტრუქტურების განხილვის საგანი. ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების სახელმწიფოებრივი სტრატეგია-პროგრამის შემუშავების სამუშაოებში უნდა იქნეს მოზიდული ქვეყნის მოწინავე სამეცნიერო ინტელექტუალური ძალები და შესაბამისი სახელისუფლებო სტრუქტურების მაღალკვალიფიცი-ური სპეციალისტები. ამ ჯგუფის მუშაობას სათავეში უნდა ჩაუდ-გეს ქვეყნის პრეზიდენტი. ეკონომიკური უსაფრთხოების პროგ-რამა, მისი კონფიდენციალური ხასიათიდან გამომდინარე, უნდა დამტკიცდეს ქვეყნის უშიშროების საბჭოს მიერ, ხოლო მისი ზოგადი პრინციპები და მიმართულებები შეიძლება საზოგადოე-ბისთვის გამჭირვალე გახდეს. უპირველს ყოვლისა, ეკონომიკური უსაფრხოების კონცეფციასა და პროგრამაში ცალსახად და მკა-ფიოდ უნდა იქნეს წარმოდგენილი ეკონომიკური უსაფრთხოების არსი. მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმის გამოც, რომ დღემდე აღნიშნული კატეგორიის გაგებაში ერთიანი აზრი არაა ჩამოყალიბებული მკვლევარებსა და სპეციალისტებს შორის და შესაბამისად, რთულდება იმ საფრთხეების ხასიათის ფაქტორების განსაზღვრა, რომელთა საფუძველზე უნდა მოხდეს ეროვნულ ეკონომიკაზე მათი ნეგატიური ბლოკირების მიმართულების ღო-ნისძიებათა კომპლექსის შემუშავება.

ეკონომიკური უსაფრთხოების კატეგორია არ უნდა იქნეს გაიგივებული ეკონომიკური პოლიტიკისა და ქვეყნის უსაფრთხო-ების კატეგორიასთან, რა თქმა უნდა, იგი ორივე მათგანის ორგ-ანული შემადგენელი ნაწილია, მაგრამ მისი ამოცანები და მიმარ-თულებები სპეციფიკურია და სწორედ ეს უკანასკნელი უნდა დაე-დოს საფუძვლად აღნიშნული კატეგორიის განმარტებას. ეკონო-

მიკის მდგრადი განვითარება, ეკონომიკური ზრდის უზრუნველ-ყოფა და ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების ზრდა ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი ამოცანებია და მის შინაარსს განსაზღვრავს. რაც შეეხება ეკონომიკურ უსაფრთხოებას, იგი მართალია ზემოაღ-ნიშნული ამოცანების ხელშემწყობი პირობაა, მაგრამ მას გააჩნია თავისი კონკრეტულად გამოხატული ამოცანები, რომელთა შორის მთავარია ეროვნული ეკონომიკური ინტერესების დაცვა და ქვეყ-ნის საგარეო ეკონომიკურ ფაქტორებთან დამოკიდებულების ხა-რისხის მინუმამდე დაყვანა. თავის მხრივ ეროვნული ეკონომი-კური ინტერესები „ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების" შემადგენლი ნაწილია და მიმართულია საკუთარი ეკონომიკური პოტენციალის პრიორიტეტული გამოყენებისაკენ. პლანეტაზე არ-სებული ყველა ქვეყანა ორიენტირებულია იმ პრიორიტეტების განსაზღვრისა და დაცვისაკენ, რომელიც მაქსიმალურად გამოხა-ტავს თითოეული ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეო-ბის ეროვნულ ინტერესებს პოლიტიკურ, სოციალურ, ტექნიკურ-ტექნოლოგიურ და ეკონომიკურ სფეროებში.

ეროვნული ეკონომიკური ინტერესების დაცვა დაკავშირე-ბულია ეკონომიკური უსაფრთხოების მეორე ძირითად ამოცანას-თან – ქვეყნის საგარეო ეკონომიკურ ფაქტორებთან დამოკიდებუ-ლების ხარისხის შემცირებასთან. მსხვილი მონოპოლისტი ქვეყ-ნების ამოცანაა მათზე მაქსიმალურად დამოკიდებული გახადონ სუსტი და ღარიბი ქვეყნები. უხეში შეცდომა და უვიცობაა იმის მტკიცება, რომ ამ გლობალურ პოლიტიკაში საქართველო გამონაკ-ლისია და ჩვენი ქვეყნის მიმართ არანაირი ეკონომიკური მუქარა არ განხორციელდება.

უნდა აღინიშნოს, რომ მთელ რიგ შემთხვევებში ეკონომი-კური უსაფრთხოების კატეგორია გაიგივებულია ეკონომიკურ მდგომარეობასთან, რაც არაა გამართლებული. რა თქმა უნდა, ამ ორ კატეგორიას შორის არსებობს საკმაოდ მჭიდრო კავშირი, თუმცა ისინი თავიანთი შინაარსით და ამოცანებით ერთმანე-თისგან განსხვავდებიან. ამასთანავე, მდგრადობა და უსაფრთხოება მოცემული ერთიანი სისტემის უმნიშვნელოვანესი მახასიათებლე-ბია. მათი დაპირისპირება არ შეიძლება. თითოეული მათგანი თავისებურად ახასიათებს მოცემულ სისტემას და რაც უფრო მდგრადია ეს სისტემა, მით უფრო მაღალია მისი უსაფრთხოების

ხარისხი. მდგრადობისა და უსაფრთხოებისთვის საერთო დამახასიათებელი ნიშანია განვითარება, თუმცა არა ყველანაირი განვითარება უზრუნველყოფს უსაფრთხოებას ან კიდევ ეწინააღმდეგება სოციალურ ორიენტაციას, ანუ ეკონომიკური ზრდა, რომელსაც თან არ ახლავს ცხოვრების დონის ამაღლება, არ შეიძლება იყოს უსაფრთხო. ასეთ ვითარება, სამწუხაროდ, აშკარად იკვეთება დღევანდელ საქართველოში. კერძოდ, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპს თან არ ახლავს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, რაც გამოწვეულია იმით, რომ წარმოებული ეროვნული შემოსავლის საკმაოდ დიდი ნაწილი ხმარდება საგარეო ვალების დაფარვას.

ეკონომიკური ზრდა ასევე ეკონომიკური მდგრადობის საფუძველია. ეკონომიკის მდგრადობა გამოხატავს ურთიერთდაკავშირებული ელემენტების მყარ, გაწონასწორებულ განვითარებას, მის ისეთ მდგომარეობას, რომლის დროსაც შეუძლებელია გარე და შიდა ფაქტორების ზემოქმედებით მიღებული წონასწორობის დარღვევა დროის გარკვეულ მონაკვეთში. რაც შეეხება ეკონომიკურ უსაფრთხოებას, იგი შეიძლება არ გამოიკვეთოს მდგრადი განვითარების პირობებში. საქმე იმაშია, რომ მდგრადი განვითარების მიღწევა შესაძლებელია იმ ფაქტორების გამოყენების შემთხვევაშიც, რომლებიც გრძელვადიან პერიოდში საფრთხეს უქმნიან ქვეყნის ეროვნულ ეკონომიკას. უსაფრთხოება და მდგრადობა შეიძლება იყოს თავსებადი დროის მოკლე მონაკვეთში, ხოლო შორეულ პერსპექტივაში ქვეყნის ეკონომიკამ შეინარჩუნოს არსებული მდგომარეობა, მაგრამ დაკარგოს უსაფრთხოება.

უკანასკნელ წლებში ეკონომიკური უსაფრთხოების კატეგორიის პარალელურად ბრუნვაში შემოდის მისი ახალი რედაქცია, რომელიც იწოდება „ეროვნულ ეკონომიკურ უსაფრთხოებად“. ფართო გაგებით ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოება ეფუძნება ზოგადეროვნულ პლატფორმას და ნიშნავს ეროვნული ეკონომიკის ისეთ მუდმივ განვითარებას და სრულყოფას, რომელშიც ყველა მათგანს ეძლევა მონაწილეობის მიღების საშუალება. ამასთან, ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოება ითვალისწინებს მსოფლიო გამოცდილების, საერთაშორისო დახმარებებისა და გონიერი პროტექციონიზმის გამოყენებას, რომელიც მიმართული იქნება მხარეთა კანონიერი ინტერესების დავისკენ, აგრეთვე ასეთი

პრეფერენციების გამოყენებას იმ უცხოური ფაქტორების მიმართ, რომლებიც არ ეწინააღეგებიან ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს.

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეპტუალური საფუძვლების შემუშავებისას ცალ-ცალკე უნდა „დაიშალოს“ საგარეო და საშინაო ნეგატიურ ფაქტორთა წრე. ამ უკანასკნელს წინ უნდა უძღოდეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ღრმა მეცნიერული და ობიექტური ეკონომიკური ანალიზი. დღევანდელ ეტაპზე საქართველოს ეკონომიკის წინაშე არსებულ საგარეო მუქარებს შორის წინა პლანზე უნდა იქნეს წამოწეული შემდეგი მომენტები: სწრაფვა იმისაკენ, რომ საქართველო გადაიქცეს ევროპა-აზიის დამაკავშირებელ სატრანსპორტო დერეფნად; ქვეყნის საგარეო ვაჭრობის სტრუქტურაში იმპორტის მაღალი ხვედრითი წილი (იმპორტთან დამოკიდებულების გაძლიერება); ქვეყნის ტერიტორიაზე არაკეთილსინდისიერი ინვესტორების შემოსვლა და დაბალი ხარისხის (ამორტიზებული) ინვესტიციების შემოტანა; სახელმწიფო საგარეო ვალის მოცულობის ზრდა; ეკონომიკური საზღვრების მეტისმეტი გახსნილობა და საქართველოს სახელისუფლებო სტრუქტურების აქტიური მონაწილეობა უცხოეთიდან კორუფციის იმპორტში; მეზობელ ქვეყანასთან (რუსეთის ფედერაცია) პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების დაუბალანსებლობა.

იმ საშინაო ნეგატიურ ფაქტორებს შორის, რომლებიც წარმოადგენენ ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების მიმართ სერიოზულ მუქარას, უნდა გამოიყოს შემდეგი: პოლიტიკური არასტაბილურობა და ეკონომიკის მეტისმეტი პოლიტიზირება; მეცნიერულად არგუმენტირებული ქვეყნის სოციალურ ეკონომიკური განვითარების კომპლექსური პროგრამის შეუმუშავებლობა; სრულყოფილი და სტაბილური საკანონმდებლო ბაზის უქონლობა; ქვეყნის ტეროტორიული მთლიანობის აღუდგენლობა და, შესაბამისად, ლტოლვილთა პრობლემების არსებობა; ეკონომიკის მართვისა და რეგულირების სახელისუფლებო მენეჯმენტის არაპროფესიონალი და გამოუცდელი კადრებით დაკომპლექტება; მართვის სახელისუფლებო ორგანიზაციული სტრუქტურების მოუწესრიგებლობა და სხვა.

აღნიშნული განზოგადებული ნეგატიური პროცესების ხანგრძლივ პერიოდში დაუძლეველობამ გააძლიერა ისეთი მუქარი-

სებური ფაქტორების აღმოცენება, როგორიცაა ქვეყნის საწარმოო პოტენციალის მოძველება და სასურსათო სექტორის უსაფრთხოების სტაგნაცია-განუვითარებლობა.

უსაფრთხოება უმნიშვნელოვანესი ფასეულობაა. მისი უზრუნველყოფის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის არსებობა და ნორმალური განვითარება. უსაფრთხოების უზრუნველყოფა სახელმწიფოს მონოპოლიური უფლება და მოვალეობაა.

ეკონომიკური უსაფრთხოება, თავის მხრივ, მოიცავს გარკვეულ ქვესისტემებს: სანედლეულო უსაფრთხოება; ინდუსტრიული უსაფრთხოება; სასურსათო უსაფრთხოება; ინვესტიციური უსაფრთხოება; ინფორმაციულ-კომუნიკაციური უსაფრთხოება და ა.შ. ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემებიდან მთავარია ეროვნული სოფლის მეურნეობის სასურსათო უსაფრთხოება, რომელიც სასურსათო დამუკიდებლობას ანუ სურსათის ძირითად სახეებზე მოსახლეობის მოთხოვნილების საკუთარი რესურსებით დაკმაყოფილების უნარს გულისხმობს. სოფლის მეურნეობის სასურსათო უსაფრთხოება, უწინარეს ყოვლისა, გულისხმობს სურსათის უკმარისობის თავიდან აცილებას. ამასთან სურსათის უკმარისობა განიხილება როგორც ადამიანთა ფიზიოლოგიური არსებობის საფრთხე. საერთოდ სურსათის უკმარისობა ნიშნავს სურსათის მომარაგების დეფიციტს. სასურსათო უსაფრხოების პირობებში სურსათით მომარაგება უნდა იყოს ისეთ დონეზე, რომელიც უზრუნველყოფს აქტიური და ჯანსაღი ცხოვრების შესაძლებლობას. მაშასადამე, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ფუძემდებლური პირობაა სურსათის ისეთი საკმარისობა, რომელიც შესაძლებლად აქცევს ადამიანთა აქტიურ და ჯანსაღ ცხოვრებას. ამით მიიღწევა ფიზიოლოგიური სასურსათო უსაფრთხოება.

საგულისხმოა, რომ საჭირო ოდენობისა და ასორტიმენტის სურსათით მომარაგება ჯერ კიდევ არასაკმარისი პირობაა სრული სასურსათო უსაფრ-თხოების მისაღწევად. ადამიანის სიცოცხლის დაცვის, მისი სრულფასოვანი ფიზიოლოგიური არსებობის შენარჩუნების პრობლემა გადაიჭრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი შესაძლებელი იქნება არსებული სურსათის ფაქტობრივი მოხმარება. ეს, თავის მხრივ, მოითხოვს ისეთი ეკონომიკური პირობების შექმნას, მოსახლეობის შესაძლებლობებისა და სურსათზე ფაზების

ისეთი დონის უზრუნველყოფას, რომლის დროსაც გარანტირებული იქნება მასზე ხელმისაწვდეომობა.

ხელმისაწვდომობის ცნობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კვებაზე ადამიანის უფლებასთან დაკავშირებით. გამოყოფენ მის ორ ასპექტს – ეკონომიკურსა და ფიზიკურს. ეკონომიკური ხელმისაწვდომობა ვარაუდობს, რომ სურსათის სრულფასოვანი რაციონის შექმნაზე გაწეული ფინანსური დანახარჯები ხასიათდება ისეთი დონით, რომელიც საფრთხის წინაშე არ დააყენებს და არ დაარღვევს სხვა ძირითად მოთხოვნათა დაკმაყოფილებას. ამასთან იგი წარმოადგენს საკმარის კვებაზე ადამიანის უფლების რეალიზების მოთხოვნი¬ლებათა დაკმაყოფილების მაჩვენებელს. ფიზიკური ხელმისწვდომობა ვარაუდობს კვების რაციონის საკმარის ხელმისაწვდომობას ყოველი ადამიანისთვის, ფიზი¬კურად უმწეო იმ პირთა ჩათვლით, როგორებიც არიან ახალშობილი და უმცროსი ასაკის ბავშვები, ხანდაზმულები. ფიზიკური ხელმისაწვდომობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს მასზე ფაქტობრივ ხელმისაწვდომობას. მის მისაღწევად აუცილებელია კვებაზე უფლების შეხამება მისი რეალიზებისათვის საჭირო რესურსებზე საკუთარ ეკონომიკურ ხელმისაწვდომობასთან.

ამრიგად, ადამიანის ფიზიოლოგიური არსებობის საფრთხეებისგან დაცვა, ამ საფრთხის ნეიტრალიზება და დაძლევა შესაძლებელია ეროვნული სოფლის მეურნეობის განვითარების გავლენის შედეგად სურსათის საკმარის დონეზე უზრუნველყოფისა და მასზე ხელმისაწვდომობის სათანადო პირობების შექმნის გზით. სწორედ ეს ორი მთავარი პირობა – საკმარისობა და ხელმისაწვდომობა არის ფიქსირებული საერთაშორისო დოკუმენტების უმრავლესობაში სასურსათო უსაფრთხოების განმარტებისას. ეროვნული სოფლის მეურნეობის სასურსათო უსაფრთოხება უკავშირდება საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოების ძირითად პირობებს. აქაც სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის უმთავრესი ფაქტორებია სურსათის საკმარისობა და ხელმისაწვდომობა. თუმცა ამ შემთხვევაში სასურსათო უსაფრთხოება უფრო ფართოდ უნდა განიმარტოს. ეს, უწინარეს ყოვლისა, დაკავშირებულია იმასთან, რომ სურსათის საკმარისობა და ხელმისაწვდომობა ეროვნულ დონეზე დამოკიდებულია აგრეთვე სახელმწიფოს მიერ შესაბამისი ამოცანების გადაწყვეტაზე. ამიტომ ეროვნული სოფლის მეურნეო-

ბის სასურსათო უსაფრთოხება უნდა გულისხმობდეს აგრეთვე სახელმწიფოს მუდმივ მზადყოფნას, საგანგებო გარემოებებში (საერთაშორისო პოლიტიკური ვითარების გამწვავება, ომები, ეკონომიკური ბლოკადა, ანთროპოგენური თუ ბუნებრივი კატასტროფები და ა.შ) არაორდინალური ზომების მიღებით (საბარათო სისტემის შემოღება და სხვა) შეინარჩუნოს სურსათით საკუთარი მოსახლეების გარანტირებული (უფასოდ ან შეღავათიან ფასებში) უზრუნველყოფის მინიმალური დონე.

სასურსათო უსაფრთხოების ირგვლივ წამოჭრილ პრობლემაში, ამ საკითხების განხილვის ადრეულ ეტაპზე, დომინირებდა კონცეფცია, რომლის თანახმადაც ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ოპტიმალური საშუალება იყო დახმარება და იმპორტი. იმ ხანებში ეროვნული სოფლის მეურნეობის უსაფრთხოების თეორიული თვითუზრუნველყოფა არ იყო აქტუალური თემა, რადგან მსოფლიო სასურსათო ბაზარზე სურსათის მიწოდება შედარებით მრავალფეროვანი არხებით ხდებოდა. მაგრამ შემდგომ, მსოფლიოს მოსახლეობის ზრდამ და ქვეყნების არათანაბარმა განვითარებამ გამოიწვია სასურსათო ბაზრის მონოპოლიზება. ამასთან, სურსათის ძირითად ექსპორტიორებსაც გაუჩნდათ გარკვეული პრობლემები საკუთარი მოსახლეობის გამოკვებაში, რამაც სურსათის მიწოდების არასტაბილური ტენდენცია წარმოქმნა. ამან სურსათის იმპორტზე დამოკიდებულ ქვეყნებს უბიძგა შეექმნათ და აქტიურად განეხორციელებინათ თვითუზრუნველყოფის ეროვნული კონცეფციები.

ეროვნული ეკონომიკური ინტერესების დაცვა დაკავშირებულია ეკონომიკური უსაფრთხოების მეორე ძირითად ამოცანასთან – ქვეყნის საგარეო ეკონომიკურ ფაქტორებთან დამოკიდებულების ხარისხის შემცირებასთან. მსხვილი მონოპოლისტი ქვეყნების ამოცანაა მათზე მაქსიმალურად დამოკიდებული გახადონ სუსტი და ღარიბი ქვეყნები. უხეში შეცდომა და უვიცობაა იმის მტკიცება, რომ ამ გლობალურ პოლიტიკაში საქართველო გამონაკლისია და ჩვენი ქვეყნის მიმართ არანაირი ეკონომიკური მუქარა არ განხორციელდება.

თანამედროვე მსოფლიოში არსებობს ქვეყნები, რომლებმაც უკვე გადაჭრეს სოფლის მეურნეობის პრობლემის წარმოების თეორიული საკითხები სასურსათო უსაფრთხოების საკმარისობის,

ხელმისაწვდომობისა და თვითუზრუნველყოფის თვალსაზრისით, მაგრამ ადამიანის აქტიური და ჯანსაღი ცხოვრების წესისთვის კვლავ მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს კვების პროდუქტების დაბინძურების საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი. სურსათის ვარგისიანობა სულ უფრო აქტუალური თემა ხდება ეკოლოგიური სიტუაციის გამწვავებისა და სოფლის მეურნეობის მზარდი ქიმიზაციის პირობებში.

ეროვნული სოფლის მეურნეობის სასურსათო უსაფრთხოების თეორიული საკითხებია:

1. მოხმარებული სასურსათო პროდუქციის მთელი მოცულების 75-80% უნდა იწარმოებოდეს სამამულო საქონელმწარმოებლის მიერ;

2. მოსახლეობა უნდა მოიხმარდეს ბიოლოგიურად სრულფასოვან პროდუქტებს, კალორიულობის რეკომენდებული დონით – საქართველოს – ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მონაცმებით საქართვე¬ლოში დღეღამური კვების რაციონის ენერგეტიკული ფასეულობა, მოხმარების რაციონალური ნორმის მიხედვით, არანაკლებ 2500 კ.კალ-ს უნდა შეადგენდეს.

3. სასურსათო მარაგების შექმნა უნდა განხორციელდეს მთელი მოხმარებული პროდუქციის მოცულობის 20%-ის დონეზე.

საქართველო დიდი ხანია ჩამოცდა სასურსათო უსაფრთხოების ზღვარს. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება ერთ სულ მოსახლეზე წლითიწლობით მცირდება, ხოლო იმპორტი იზრდება, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება დარღვეულია.

ყველა ქვეყანა ცდილობს წინასწარ დაიჭიროს თადარიგი და საგანგებო სიტუაციებს მომზადებული შეხვდეს, ანუ კრიზისულ სიტუაციებში მინიმალურ დონეზე მაინც შეინარჩუნოს სასურსათო უსაფრთხოება. ეს პირველ რიგში ეხება ისეთ პროდუქტებს, როგორიცაა ხორბალი, ბოსტნეული და ა.შ. ამ მხრივ საყურადღებოა ქვეყანაში მიმდინარე პროცესები. საქსტატის მონაცემებით, 2003 წელთან შედარებით ნათესი ფართობები შემცირდა დაახლოებით ორჯერ, ხორ¬ბლის წარმოება – ოთხჯერ, 2003 წელს იწარმოებოდა 225 ათასი ტონა ხორბალი, ბოლო წლებში იგი 54 ათას ტონამდე შემცირდა, კარტოფილის წარმოება კი შემცირდა ორჯერ, ხილისა –

50%-ით, ყურძნის – 30%-ით, ჩაის – 5-ჯერ, ბოსტნეულის – 10-ჯერ, ხორცის – 2-ჯერ და დღესდღეობით სასურსათო ბაზარზე ხორცის 60% იმპორტირებულია. მცენარეული ცხიმების მთლიან მოცულობაში 85% არის იმპორტირებული, რაც შეეხება ყველაზე მნიშვნელოვანს – ხორბალს, მის იმპორ¬ტზე 92%-ით ვართ დამოკიდებულნი. ზოგადად მთელ სასურსათო პროდუქციაში იმპორტის წილი 76%-ია. ასევე ქვეყანაში დიდი რაოდენობით შემოდის უხარისხო გენმოდიფიცირებული პროდუქცია, რისი შემოწმების საშუალება სახელმწიფოს არ გააჩნია, ვინაიდან საქართველოს ერთადერთი ქვეყანაა, სადაც სურსათის უვნებლობის სამსახურის ფუნქციები შეზღუდულია, რის გამოც როგორც ადგილობრივი, ისე იმპორტირებული პროდუქცია ხშირად ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიში ხდება.

ეროვნული სოფლის მეურნეობის უსაფრთხოების სტრატეგია უნდა დაეფუძნოს სურსათით ქვეყნის თვითუზრუნველყოფის პრინციპს, როგორც სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის მტკიცე ეკონომიკური საფუძვლის უმნიშვნელოვანეს პირობას (საკმარისობისა და ხელმისაწვდომობის პრინციპებთან ერთად). თვითუზრუნველყოფაზე ყურადღების გამახვილება არ გულისხმობს ქვეყნის თვითიზოლაციას, რაც შრომის საერთაშორისო დანაწილების უპირატესობებისა და ბაზრის ხელსაყრელი კონიუქტურის გამოყენებასთან ერთად, ხელს უწყობს ეროვნული სოფლის მეურნეობის სახელმწიფოს სასურსათო უსაფრთხოების დამოუკიდებლობის განმტკიცებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რამაზ აბესაძე, ვახტანგ ბურდული, ლინა დათუნაშვილი, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის რეგულირების პრობლემები, თსუ სამეცნიერო შრომათა კრებული ტ. IV 2011 წ.
2. ამერიკის ეკონომიკა – ზოგადი საფუძვლების მიმოხილვა, ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტო, 2010 წ.

3. ვანიშვილი მ. საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების საშინაო და საგარეო ეკონომიკური ასპექტები: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა. თბილისი, საზოგადოება ცოდნა, 2003 წ.
4. კოღუაშვილი პ. საქართველოს სასურსათო უშიშროება: რეალობა და პროგნოზები. თბილისი, 2004 წ.
5. მესხია ი. ეკონომიკის უსაფრთოების კონცეპტუალური საკითხები. ჟ. "ეკონომიკა", 1996 წ. # 10.
6. Илларионов А. Критерии экономической безопасности Ж. "Вороси экономики". 1998 # 10.
7. Сенгачов В, К. Экономическая безопасниость: геопилитика, глобализация, самосохранение и развитие (книга четвертая). Институт экономики РАН, Москва, ЗАО "финстатинформ", 2002.

Tengiz Kavtaradze,
Lina Datunashvili

THE LEVEL OF AGRICULTURAL DEVELOPMENT IN THE REGIONS OF GEORGIA AND RELEVANT ECONOMIC ISSUES

Summary

The paper examines the level of agricultural development in the regions of Georgia, considering the following factors: population age structure, population density, land fund and protected areas, gross domestic product, and the structure of the economy. A sectoral analysis of agriculture is also provided.

The research reveals that Georgia has long surpassed the threshold of food security risks. According to the data from the National Statistical Service of Georgia (Sakstat), it is clear that the production of key agricultural products per capita has been decreasing year by year, while imports have been increasing. This indicates a disruption in the country's economic security.

Every country strives to prepare for emergencies in advance, to ensure at least a minimum level of food security in times of crisis. This primarily concerns products such as wheat, vegetables, and so on. In this regard, the ongoing processes in Georgia are notable. According to Sakstat data, compared to 2003, cultivated land has decreased by about half, wheat production has decreased fourfold—from 225,000 tons in 2003 to

54,000 tons in recent years—potato production has decreased by half, fruit production by 50%, grape production by 30%, tea production five-fold, vegetable imports tenfold, and meat imports has decreased by half. Today, 60% of the meat in the food market is imported. 85% of the total volume of vegetable oils is imported, and for wheat, we depend on imports by 92%. Overall, imports account for 76% of all food production.

Additionally, a significant quantity of low-quality genetically modified products enters the country, which the government lacks the resources to inspect. Georgia is the only country where the food safety service's functions are limited, meaning that both locally produced and imported products often pose risks to human health.

The national agricultural security strategy should be based on the principle of self-sufficiency in food, which is a crucial condition for strengthening the economic foundation of the country's sovereignty and independence (along with the principles of sufficiency and availability). Emphasizing self-sufficiency does not imply the country's self-isolation; rather, it supports the strengthening of food security independence while leveraging the advantages of international division of labor and favorable market conditions.

მარინე ცუცქირიძე

მიკროეკონომიკური განვითარების საკითხები საქართველოში ინოვაციური ბიზნესის სისტემის ჩამოყალიბების პირობებში

ანოტაცია. *ნაშრომში განხილულია საქართველოში მიკროეკონომიკური განვითარების პროცესის ძირითადი ელემენტები და საბაზრო სისტემების ჩამოყალიბების შესაძლებლობები, გამოკვლეულია მცირე და საშუალო მეწარმეობის ინოვაციურობის ამაღლებისა და მიკროსაწარმოებში თანამედროვე ტექნოლოგიების საწარმოო, მომსახურებისა და საბაზრო პროცესებში გამოყენების საფუძვლები, ამისათვის საჭირო მიკროეკონომიკური სისტემების ფორმირების აქტუალური პრობლემები, საწარმოო და საბაზრო ინტეგრაციული*

ურთიერთობების განვითარებისათვის აუცილებელი ბიზნეს გარემოს გამოყენების მიმართულებები.
საკვანძო სიტყვები: *მიკროეკონომიკა, განვითარება, ინოვაცია, ტექნოლოგია, ბიზნესი.*

შესავალი

მიკროეკონომიკური პოლიტიკის გატარებისათვის აუცილებელ ერთ-ერთ ძირეულ პრობლემას საქართველოს ეკონომიკისათვის თანამედროვე მეწარმეობის სისტემების განვითარება წარმოადგენს. ამ სისტემების ფუნქციონირების პროცესის მოწესრიგება და ევროინტეგრაციულ ურთიერთობებთან შესაბამისობაში მოყვანა საქართველოში, ბიზნესისა და მისი საწარმოო ობიექტების საქმიანობის და საბაზრო არეთა გაფართოებისათვის აუცილებელი წინაპირობაა, ეკონომიკური და სოციალური შედეგების ზრდისა და მეწარმეობის ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი მთავარი საშუალებათაგანია.

მეწარმეობის მიკროსისტემების საბაზრო შესაძლებლობათა გაფართოების მიზნით საქართველოში შეიძლება გამოყენებულ იქნას: ინოვაციური ტექნიკის წარმოებისათვის საჭირო და უახლესი ტექნოლოგიების საფუძველზე ფუნქციონირებადი მცირე და საშუალო საწარმოები; მომსახურების საბაზრო სისტემისათვის აუცილებელი თანამედროვე ინფორმაციული და საკომუნიკაციო საშუალებანი; ბიზნეს გარემოს საქმიანობის წარმართვისათვის საჭირო ფინანსური, ინვესტიციური და სატრანსპორტო-კომუნიკაციური საშუალებანი და მასთან დაკავშირებული სამეწარმეო მიკროსისტემები.

სოციალური და მიკროეკონომიკური უსაფრთხოების მიზნით წარმოქმნილი საწარმოო და მომსახურების სისტემების საქმიანობა მოითხოვს მათი მმართველობითი პროცესების გაუმჯობესებას, ამისათვის მცირე ბიზნესის მონაწილეობას ევროინტეგრაციულ ურთიერთობათა დასამყარებლად საჭირო, თანამედროვე საბაზრო კავშირების განვითარებაში.

მიკროეკონომიკური სისტემების განვითარება საქართველოში

მიკროეკონომიკური განვითარების თანამედროვე პროცესებისათვის ძირითადად დამახასიათებელია ევრომეწარმეობასთან

ინტეგრაციის ვითარების გათვალისწინება და ამისათვის მცირე ბიზნესის საწარმოო და მომსახურების სისტემების ჩამოყალიბება, რაც საქართველოში ბიზნესის განვითარების მიზნით გამოყენებული სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს.

ბიზნესის განვითარებისათვის საჭირო მიკროსაწარმოო, ან მომსახურების მცირე და საშუალო ფირმების საფუძველზე წარმოქმნილი მიკროეკონომიკური სისტემის ფუნქციონირება საქართველოში მნიშვნელოვნად განაპირობებს ინოვაციური ბიზნესის ჩამოყალიბებას, ასევე საფუძველს ქმნის ინოვაციური ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებისათვის მიკროსამრეწველო და მეწარმეობის სხვადასხვა სფეროთა საქმიანობისა და ეფექტიანობის ამაღლებაში.

ევროინტეგრაციაში საქართველოს მონაწილეობისათვის ძირითადია მიკროსამრეწველო სისტემების განვითარება და მათი მოყვანა წარმოების ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან. იგი ევროსაბაზრო და საერთაშორისო საბაზრო გარემოს გაფართოებისათვის აუცილებელ წინაპირობადაც გვევლინება, ამავე დროს იგი ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოებისათვის საჭირო წინაპირობასაც წარმოადგენს. ბიზნესის საქმიანობის ის პროცესები, რომლებიც მიკროეკონომიკური სისტემების განვითარების საფუძველზე ხორციელდება, ძირეულად უკავშირდება ევროინტეგრაციის ვითარებას საქართველოში და ამ მიზნით მიკროსაწარმოო-საბაზრო სისტემების ჩამოყალიბებას. მიკროეკონომიკური სისტემების ძირითადი საწარმოო ელემენტები, რომლებიც ევროინტეგრაციაში მონაწილეობის საფუძვლად შეიძლება იქნას გამოყენებული, ფუნქციონირებენ მცირე და საშუალო ბიზნესის სისტემებში, ან ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებიან. მათი წარმოქმნით და არსებული მიკროსაწარმოო და საბაზრო გარემოს გაუმჯობესებით შესაძლებელია მიკროეკონომიკური განვითარების მიღწევა საქართველოში.

ბიზნესის, კერძოდ, ინოვაციური ბიზნესის განვითარებისათვის საქართველოში, მისი მიკროსაწარმოო სისტემის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი წინაპირობის შექმნაა საჭირო, რომელიც ევროინტეგრაციული პროცესების გავლენით ხორციელდება; მათ მიეკუთვნებიან:

1. ინოვაციური ტექნიკის მწარმოებელი მცირე სამრეწველო ბიზნესის და სასწავლო-სამეცნიერო გაერთიანებების ჩამოყალიბება;
2. მრეწველობის პროდუქციის მწარმოებელი მცირე სამეწარმეო ობიექტების წარმოქმნა;
3. მიკროეკონომიკური პროცესების წარმართვისათვის აუცილებელი საბაზრო და ბიზნეს გარემოს გამოყენებისათვის ევროინტეგრაციულ პროცესებში მონაწილეობა;
4. საბაზრო ურთიერთობათა ეფექტიანად წარმართვის მიზნით, საქართველოში არსებული, მიკროსამრეწველო და მომსახურების მცირე სისტემების გამოყენება;
5. ეკონომიკური უსაფრთხოებისათვის საჭირო მცირე მეწარმეობის საწარმოთა შექმნის პროცესის რაციონალური ორგანიზება და ამისათვის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის გამოყენება ევროსამეწარმეო და ერთობლივ სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიური ურთიერთკავშირების გაფართოება.

აღნიშნული პროცესების რაციონალური მეთოდებით წარმართვა მიკროეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ ერთ-ერთ ძირითად წინაპირობას წარმოადგენს. იგი მიკროსაწარმოო სისტემების ჩამოყალიბებას უდევს საფუძვლად და შემდეგი მიმართულებების საფუძველზე ხორციელდება:

მიკროსამრეწველო საწარმოთა ფორმირების მიზნით სახელმწიფოს ფინანსური და ინვესტიციური პოლიტიკის გამოყენება;

ევროინტეგრაციის მოთხოვნების გათვალისწინება მიკროსამეწარმეო სისტემის ჩამოყალიბებისათვის;

ინოვაციური ბიზნესის მიკროსაწარმოო და მომსახურების ობიექტების წარმოსაქმნელად საქართველოს ეკონომიკური და სოციალური დაცვის პოლიტიკის ძირითადი ელემენტების გამოყენება;

მიკროსამეწარმეო სისტემის ფუნქციონერებისათვის და მისი მმართველობითი პროცესების ეფექტიანად წარმართვისათვის საჭირო, ინფორმაციული და სატრანსპორტო, გადამცემი ინოვაციების გამოყენება და ამით ევროინტეგრაციულ ურთიერთობებში მონაწილეობის მიღწევა;

მიკროეკონომიკური განვითარების მიზნით შემუშავებული უსაფრთხოებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის, ასევე სოციალური დაცვის ღონისძიებათა მიმართ და მცირე მეწარმეობის ობიექტების წარმოქმნისათვის აუცილებელი საწარმოო და ფინანსური ფაქტორების მოქმედებაში მოყვანა;

თანამედროვე ინტეგრაციული და საბაზრო ურთიერთობებისათვის აუცილებელი მეწარმეობის უახლესი, ინოვაციური სისტემების და მათი მმართველობითი მეთოდების შემუშავება და საქართველოში მიკროეკონომიკური პოლიტიკის გატარებისათვის აუცილებელი საწარმოო და ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბება.

აღნიშნულ მიმართულებათა საშუალებით შესაძლებელია საქართველოში მიკროსამეწარმეო პროცესების რაციონალური ორგანიზაცია, მიკროეკონომიკური განვითარების ეფექტიანი მეთოდებით წარმართვა, ასევე მცირე ბიზნესისა და ევრომეწარმეობის სტიმულირება, კერძოდ საბაზრო სტიმულების გამოყენებით ინოვაციების მწარმოებელ სამრეწველო და სამეცნიერო-ტექნოლოგიური ალიანსების ჩამოყალიბება და სხვ.

ამრიგად, საქართველოში თანამედროვე საბაზრო გარდაქმნების გავლენით ჩამოყალიბებული მიკროეკონომიკური სისტემების განვითარების ძირითად საფუძველს წარმოადგენს ევროინტეგრაციის გზით წარმოქმნილ, მცირე საწარმოთა და მომსახურების პროცესების მაორგანიზებელ ღონისძიებათა გატარება საბაზრო პრაქტიკაში, რომელიც წარმოების და ტექნიკური პროგრესის შედეგების ინტეგრაციის პირობებში ევრომეწარმეობის წარმოშობასაც განაპირობებს. ამ მარეგულირებელ და მაორგანიზებელ ღონისძიებათა შორის, რომელიც მიკროეკონომიკური სისტემების ჩამოყალიბებას უდევს საფუძვლად, ძირითადია მცირე ბიზნესის, საწარმოო და მომსახურების სხვადასხვა დარგის საწარმოთა წარმოქმნა და მათი მონაწილეობა ინოვაციური ბიზნესის განვითარებასა და ინოვაციური ტექნიკის და ტექნოლოგიების საწარმოო და საბაზრო პროცესებში გამოყენებისათვის.

ევროინტეგრაციულ ურთიერთობათა გაფართოების მიზნით მიკროეკონომიკურ სისტემათა გამოყენება წარმოადგენს თანამედროვე ევროსაბაზრო და საერთაშორისო საბაზრო ურთიერთობებში, ასევე სამრეწველო, ტექნიკურ და სამეცნიერო გამოკვლევებში სა-

ქართველოს და მისი ეკონომიკური სისტემის წარმატებით მონაწილეობისათვის საჭირო, ერთ-ერთ ძირითად წინაპირობას.

მიკროსამეწარმეო პროცესები ევროინტეგრაციული ურთიერთკავშირების ვითარებაში

ევროინტეგრაციის ვითარებაში მიკროსამეწარმეო სისტემების განვითარების აუცილებლობა ძირითადად დაკავშირებულია მცირე მეწარმეობის ჩამოყალიბებასთან საქართველოში. მცირე მეწარმეობისა და ბიზნესის სისტემების წარმოშობის პროცესი უკავშირდება ინოვაციების წარმოების ათვისებას და ამ მიზნით მეწარმეობის უახლესი დარგების ძირითადი საწარმოო ობიექტების ინტეგრირებას ევროსაბაზრო სივრცის ფარგლებში. ინოვაციების წარმოებათა ათვისება მიკროსამრეწველო საწარმოების საშუალებით მოიცავს: 1. ინოვაციური ტექნიკისა და ტექნოლოგიების შემუშავებასა და დანერგვას, 2. მმართველობითი ინოვაციების გამოყენებას ბიზნესისა და მცირე მეწარმეთა საქმიანობაში, 3. მცირე მეწარმეობის საწარმოო პროფილის დადგენას, 4. საბაზრო სივრცის ორგანიზაციას; 5. ევრომეწარმეობასთან ინტეგრაციული ურთიერთკავშირის ფორმების დადგენას და სხვ.

მიკროეკონომიკური განვითარების პროცესის წარმართვის მიზნებისათვის საქართველოში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევრომეწარმეობასთან ინტეგრაციული ურთიერთკავშირების დამყარება და მისი თანამედროვე ფორმების დადგენა და გამოყენება. რომელთა შორის ძირითადს წარმოადგენს ევროინტეგრაციის საბაზრო ფორმების ჩამოყალიბება და ამ გზით მცირე ბიზნესის და მეწარმეობის საქმიანობის წარმართვა მიკროეკონომიკურ პოლიტიკასთან ურთიერთ შესაბამისობაში. აღნიშნულის მოწესრიგების მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნას მიკროსაწარმოო სისტემები. მათ მიეკუთვნებიან: მიკროსამრეწველო საწარმოები, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ობიექტები, ინფორმაციული და გადამცემი სისტემების საშუალებები და სხვ.

მიკროეკონომიკური განვითარების მიღწევა საქართველოში, მისი ევროინტეგრაციულ და საბაზრო უთიერთობებთან შესაბამისობაში მოყვანა საფუძველს უქმნის ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოების დაცვას პოლიტიკური და საწარმოო ურთიერთობების გაფართოების პროცესში სტაბილურობის მიღწევას. იგი მიკ-

როეკონომიკის ისეთი საწარმოო და მომსახურების დარგების განვითარებითაა შესაძლებელი, როგორიცაა მანქანათმშენებლობა, მერქნის გადამამუშავებელი, მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოები, სატრანსპორტო და ინფორმაციული მომსახურების, ასევე ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისათვის საჭირო მიკროსისტემები და სხვა, სახელმწიფოს ეკონომიკური და თავდაცვის პოლიტიკის გატარებისათვის აუცილებელი სისტემები.

საქართველოს მიკროეკონომიკაში ევროინტეგრაციული ურთიერთობების ჩამოყალიბება და ბიზნესის საქმიანობის არეთა გაფართოება შემდეგი მიმართულებითაა შესაძლებელი:

მცირე ბიზნესის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით მისი ინოვაციურობის ამაღლება და მიკროსაწარმოო პროცესების უზრუნველყოფა ინოვაციური ტექნოლოგიებით;

საბაზრო პროცესებში მიკროწარმოებათა მონაწილეობისათვის საწარმოთა ინტეგრაციულ ურთიერთობებთან ერთად ბიზნეს გარემოს გამოყენება;

მიკროეკონომიკური პოლიტიკის გატარებისათვის აუცილებელი, ევრომეწარმეობის თანამედროვე სისტემების განვითარება;

ბიზნესისა და მისი საწარმოო ობიექტების საქმიანობის მოწესრიგება და მისი ევროინტეგრაციულ ურთიერთობებთან შესაბამისობაში მოყვანა საქართველოში.

აღნიშნულ მიმართულებათა განხორციელებისათვის საქართველოს მიკროეკონომიკურ სისტემათა განვითარების წარმართვა ძირითადად უნდა დაუკავშირდეს: მცირე ბიზნესის ინოვაციურობის პოლიტიკას და მისი დაფინანსების მიზნით სახელმწიფოს პოლიტიკის გატარებას; ასევე მეწარმეობის ისეთი სფეროების ჩამოყალიბებას რომლებიც ევროსაბაზრო ურთიერთობთა გაფართოებას განაპირობებს; ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებას, სამრეწველო ბიზნესის ფუნქციონირების პროცესში და ამით ევრომეწარმეობის ინტეგრაციული ურთიერთკავშირების დამყარებას, რაც მიკროწარმოებათა ტექნოლოგიურ ალიანსებში მონაწილეობას უდევს საფუძვლად.

მიკროეკონომიკური განვითარებისათვის საჭირო მმართველობითი სისტემის ჩამოყალიბების პროცესი საქართველოში მოიცავს როგორც ძირითადი საწარმოო ელემენტების ფორმირებას, ასევე ბიზნესის ობიექტებისა და მცირე მეწარმეობის მართვის

სისტემის ჩამოყალიბების მათი საერთაშორისო საბაზრო და ევროინტეგრაციასთან დამაკავშირებელი მარკეტინგული ელემენტების მმართველობით მეთოდებს. მცირე წარმოებათა მმართველობითი სისტემის საშუალებით ხორციელდება მათი ინტეგრაციული ურთიერთობების წარმოქმნა, საბაზრო და ინოვაციური განვითარების პროცესების რეგულირება, მათ შორის ძირითადს წარმოადგენს მიკროსისტემური რეგულირების მეთოდების გამოყენება თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ევროკავშირთან ურთიერთკავშირისათვის აუცილებელი ინოვაციური ტექნიკის და მართვის ახალი მეთოდების საშუალებით.

ამრიგად, საქართველოში მიკროეკონომიკური განვითარების ძირითად საფუძველს ევროინტეგრაციული ურთიერთობების წარმოშობის აუცილებლობა წარმოადგენს. კერძოდ, მიკრომეწარმეობის სისტემის წარმოქმნა და მისი ევროინტეგრაციის პრინციპებთან შესაბამისობაში განვითარება თანამედროვე საბაზრო ურთიერთობების გაფართოების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

დასკვნა

მიკროეკონომიკური სისტემების ჩამოყალიბებისა და განვითარების თანამედროვე პროცესის ძირითად საფუძველს ევროინტეგრაციისა და ამ მიმართულებით საბაზრო გარდაქმნების განხორციელება წარმოადგენს;

საქართველოს მიკროეკონომიკის განვითარება ევროინტეგრაციული პროცესების გააქტიურების ვითარებაში ძირეულად დამყარებულია მცირე ბიზნესისა და მეწარმეობის ახალი საწარმოო ობიექტების ფორმირებაზე, რაც ინოვაციური ბიზნესის საქმიანობის არეთა გაფართოებას განაპირობებს;

მცირე ბიზნესისა და მეწარმეობის ინოვაციური განვითარების მიზნით მიზანშეწონილია მცირე სამრეწველო საწარმოებისა და მეწარმეობის მცირე ობიექტებს შორის ტექნოლოგიური ალიანსების დამყარება და ამ გზით მათი გამოყენება, რაც მიკროსაწარმოო სისტემების საბაზრო ეფექტიანობის ამაღლებისა და მათი მმართველობის რაციონალურობის მიღწევის საშუალებასაც წარმოადგენს;

ევროინტეგრაციული და საბაზრო ურთიერთკავშირების ჩამოყალიბება ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური უსაფ-

რთხოების მოთხოვნის აუცილებლობას ემყარება, რომლის განხორციელება საქართველოში ძირითადად დამოკიდებულია მიკროეკონომიკის განვითარებაზე, მისი ინოვაციური სისტემების, ბიზნესისა და მეწარმეობის სამრეწველო და მომსახურების ობიექტების ფუნქციონირებაზე, მათ შორის არსებულ მცირე საწარმოთა ინტეგრაციულ ურთიერთობებზე ევროკავშირის სახელმწიფოებთან. აღნიშნული წარმოადგენს ევროსაბაზრო ურთიერთობების განვითარების, მეწარმეობისა და ბიზნესის ახალი მიკროსისტემების ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის აუცილებელ წინამძღვარს.

ლიტერატურა

1. რამაზ აბესაძე ეკონომიკური კლება ეკონომიკური განვითარების თანამდევი პროცესი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული, თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი 2023
2. გიორგი ბერულავა, მარინე ცუცქირიძე, ეკონომიკური უსაფრთხოების და ეკონომიკური მდგრადობის თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები: საერთაშორისო გამოცდილება სამეცნიერო შრომების კრებული ტ. XV, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი 2022
3. მარინე ცუცქირიძე მიკროეკონომიკური სისტემების განვითარებისა და უსაფრთხოების პრობლემები საქართველოში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული, თბ., ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი 2023
4. მენქიუ გრ. , ეკონომიკის პრინციპები, თბილისი, დიოგენე 2000

Marine Tsutskiridze

ISSUES OF MICROECONOMIC DEVELOPMENT IN GEORGIA IN THE CONDITIONS OF FORMATION OF INNOVATIVE BUSINESS SYSTEMS

Summary

The paper discusses the process of development of Georgia's microeconomics in the conditions of innovative business and European integration, presents the issues of the formation of business and entrepreneurial enterprises and their use in establishing European integration relations, as well as the existing directions of the important role of micro-enterprise systems in the current development of market relations, and defines their purpose in the expansion of European market relations.

გიორგი ბრეგვაძე

საქართველოს რეგიონებში მშენებლობის განვითარების პრობლემები და მათთან დაკავშირებული ეკონომიკური საფრთხეები

***ანოტაცია**. საქართველოში მშენებლობა ერთ-ერთი მოწინავე დარგია. მშენებლობა განვითარებადი სექტორია. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ქვეყანამ გაიარა რთული გზა საბჭოთა სისტემიდან თანამედროვე საბაზრო ეკონომიკამდე, რამაც პირდაპირი ასახვა ჰოვა უძრავი ქონების სფეროზე. ქაოსური პრივატიზაციიდან დღემდე ბაზარმა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა. თავდაპირველად არსებული ქაოსური და არარეგულირებული გარემო თანდათანობით ჩამოყალიბდა მოწესრიგებულ სისტემად. დღეს უკვე გვაქვს მკაფიო საკანონმდებლო ბაზა, რეგულაციები და პროფესიული სტანდარტები.*

***საკვანძო სიტყვები:** მშენებლობა, ინფრასტრუქტურა, დასაქმება, პროექტები, სამშენებლო მასალები.*

****

ბოლო ათწლეულების განმავლობაში, განსაკუთრებით თბილისში, შეიმჩნევა მშენებლობის ნამდვილი ბუმი. თუ ადრე მშენებ-

ლობები მიმდინარეობდა ყოველგვარი გეგმარებისა და ინფრასტრუქტურის გათვალისწინების გარეშე, დღეს დეველოპერული კომპანიები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ პროექტების ხარისხს, ენერგოეფექტურობასა და მდგრად განვითარებას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბაზრის განვითარება არ შემოიფარგლება მხოლოდ დედაქალაქით. ბათუმი გახდა მეორე უმსხვილესი ცენტრი უძრავი ქონების განვითარების თვალსაზრისით. ასევე აღსანიშნავია ქუთაისი, გორი და სხვა რეგიონული ცენტრები, სადაც შეიმჩნევა სამშენებლო პროექტების აქტიური ზრდა.

სამშენებლო სექტორი ქვეყანაში ეკონომიკური ზრდისა და განვითარების ერთ-ერთი წარმმართველი ძალაა. 2022-23 წლების მაღალ ეკონომიკურ ზრდაში მშენებლობის სექტორის წილი საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო: 2022 წელს რეალური დამატებული ღირებულება მშენებლობის სექტორში 16%-ით, ხოლო 2023 წელს 17%-ით გაიზარდა, მშენებლობის სექტორის წილმა 2024 წლის მშპ-ში კი თითქმის 8 პროცენტი შეადგინა.

შესაბამისად, სამშენებლო სექტორში ბოლო წლებში გატარებულმა სწორმა პოლიტიკამ და მნიშვნელოვანმა რეფორმებმა განაპირობა სექტორის სწრაფად და ხარისხიანად განვითარება.

2020 წლიდან ბაზრის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო ორგანოს წარმოადგენს ზედამხედველობის სააგენტო, რომლის მიზანია შეზღუდოს საფრთხის შემცველი პროდუქტების ხელმისაწვდომობა, რათა დაცულ იქნეს მოქალაქეთა ჯანმრთელობა, უსაფრთხოება, საკუთრება და გარემო. სამშენებლო სფეროს რეგულაცია 500-ზე მეტ სამშენებლო პროდუქტს მოიცავს და მათი დაფარვა ეტაპობრივად მიმდინარეობს. ამჟამად ზედამხედველობა ხორციელდება 21 დასახელების პროდუქტზე, ამ ჩამონათვალს 2025 წლიდან 101 ახალი პროდუქტი დაემატება.

„სამშენებლო სექტორის ევროპულ მოდელთან დასაახლოებლად, სამინისტრო კოორდინაციას უწევს ევროკოდების დანერგვას, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს კონსტრუქციების ოპტიმალურ უსაფრთხოებას, გამძლეობას და შესაბამისად, მეტად მდგრად მშენებლობას. ევროკოდების მნიშვნელოვანი ნაწილი და მათი ეროვნული დანართები სამოქმედოდ იქნა დაშვებული მთავრობის დადგენილებით. მიმდინარეობს დანარჩენი ევროკოდების ეროვნული პარამეტრების შემუშავება, რომელიც 2025 წლის გან-

მავლობაში მზად იქნება სამოქმედოდ დასაშვებად და განისაზღვრება გარდამავალი პერიოდი ევროკოდების სავალდებულოდ გამოყენებასთან დაკავშირებით.

რეგიონული განვითარების პოლიტიკის განხორციელება გულისხმობს საჯარო ხელისუფლების ორგანოების მიზანმიმართულ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც ეფუძნება ქვეყნის და მისი ტერიტორიების განვითარების პრიორიტეტებს და ამ პრიორიტეტების შესაბამისად კოორდინაციას უწევს დარგების განვითარებას და არსებული რესურსების შედეგზე ორიენტირებულ განაწილებას.

ოფიციალურად დეკლარირებული მონაცემებით, საქართველოში 2024 წლის იანვარ-სექტემბერში გაცემულია 8 841 ნებართვა (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 8.2 პროცენტით მეტი) 8 566.1 ათასი კვ.მ ფართობის შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 34.6 პროცენტით მეტი). ნებართვების 73.8 პროცენტი მოდის ქვეყნის 4 რეგიონზე, კერძოდ, ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების 47.4 პროცენტი მოდის ქ. თბილისზე, 10.1 პროცენტი – ქვემო ქართლის რეგიონზე, 8.2 პროცენტი – მცხეთა-მთიანეთის რეგიონზე და 8.1 პროცენტი – კახეთის რეგიონზე.

ცხრილი 1



ცხრილი 1 შედგენილია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის იანვარ-სექტემბერში ნებართვები გაიცა მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსების, სავაჭრო ობიექტების, სასტუმროების, სამრეწველო საწარმოების, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტებისა და სხვა შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე.

2024 წლის იანვარ-სექტემბერში ექსპლუატაციაში მიღებულია 2 319.7 ათასი კვ.მ ფართობის (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 7.7 პროცენტით მეტი) 2 597 ობიექტი (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 16.2 პროცენტით მეტი). ექსპლუატაციაში მიღებული ობიექტების ნახევარზე მეტი მოდის ქვეყნის 4 რეგიონზე, კერძოდ, 37.2 პროცენტი მოდის ქ. თბილისზე, 13.4 პროცენტი – კახეთის რეგიონზე, 13.1 პროცენტი – მცხეთა-მთიანეთის რეგიონზე და 8.0 პროცენტი – იმერეთის რეგიონზე.

ცხრილი 2

მშენებლობაში პროდუქციის გამოშვება რეგიონების მიხედვით, მლნ.ლ

	2020	2021	2022	2023
საქართველო	9,074.2	9,118.6	11,891.9	13,499.7
თბილისი	6,047.8	5,713.3	7,589.7	8,949.1
აჭარა	1,314.1	1,557.0	1,931.9	1,885.3
გურია	62.6	66.4	81.7	75.8
იმერეთი	524.1	780.2	1,049.9	1,071.5
კახეთი	112.8	105.6	169.8	211.8
მცხეთა-მთიანეთი	105.1	64.5	62.4	100.2
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	35.7	24.9	41.8	38.6
სამეგრელო-ზემო სვანეთი	333.1	262.8	304.0	264.0
სამცხე-ჯავახეთი	181.3	186.4	196.0	206.9
ქვემო ქართლი	241.3	200.3	295.8	371.8
შიდა ქართლი	116.3	157.2	169.0	324.7

ცხრილი 2 შედგენილია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით.

მთლიანად სამშენებლო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობამ 2024 წელს 100000-ს გადააჭარბა.

საქართველოში მშენებლობაში დასაქმებულთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით მოცემულია ცხრილში 3.

ცხრილი 3

მშენებლობაში დასაქმებულთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით

	2020	2021	2022	2023
საქართველო	66,146	64,258	65,489	68,195
თბილისი	38,008	35,203	35610	37,786
აჭარა	10,398	10,543	11015	10,536
გურია	708	794	841	723
იმერეთი	4,891	5,847	6010	6,016
კახეთი	1,503	1,506	1393	1,910
მცხეთა-მთიანეთი	949	845	916	886
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	590	592	755	738
სამეგრელო-ზემო სვანეთი	2,400	1,935	1916	2,341
სამცხე-ჯავახეთი	1,886	2,115	2273	2,569
ქვემო ქართლი	2,835	2,715	2635	2,421
შიდა ქართლი	1,978	2,163	2125	2,269

ცხრილი 3 შედგენილია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით.

საქართველოს პარლამენტში წარდგენილი 2024 წლის ბიუჯეტის პროექტიდან ცნობილი გახდა, რომ 2024 წელს საქართველოში ინფრასტრუქტურული (კაპიტალური) პროექტების განხორციელებაზე 3.7 მილიარდი ლარი უნდა დაიხარჯოს. აქ იგულისხმება როგორც ახალი, ასევე მიმდინარე, ანუ წინა წლებში დაწყებული პროექტები. სულ განხორციელდება 62 პროექტი, რომლებზეც უკვე დახარჯულია 18 მილიარდი ლარი, ხოლო 2024-2027 წლებში გათვალისწინებულია 14 მილიარდი ლარის დახარჯვა. დახარჯული და დასახარჯი თანხის ჯამი 32 მილიარდი ლარია. ეს პროექტები სრულად ან ნაწილობრივ საერთაშორისო დონორების მიერ ფინანსდება.

გაგაცნობთ ყველაზე მსხვილ 10 პროექტს, რომლებზეც 2024 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყველაზე მეტი ფული გამოიყო. მომავალ წელს დასახარჯი 3.7 მილიარდი ლარიდან 62% სწორედ ამ 10 პროექტზე მოდის.

ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროგრამა (წყალ-მომარაგებისა და წყალარინების სექტორი) – 80 მლნ ლარი. პროექტს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ახორციელებს, დამფინანსებელი კი აზიის განვითარების ბანკია (ADB). აღნიშნულ პროექტზე 1.2 მილიარდი ლარი უკვე დაიხარჯა, 2024 წელს – 80 მლნ ლარი, ხოლო 2025 წელს 11 მლნ ლარი უნდა დაიხარჯოს.

აღნიშნული პროექტი მოიცავს:

დაბა გუდაურში წყალარინების 4 გამწმენდი ნაგებობის აშენებას;

მარნეულის მუნიციპალიტეტში წყალარინების 1 გამწმენდი ნაგებობის აშენებას და წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელის მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებს;

ფოთის მუნიციპალიტეტში, წყალარინების სისტემისა და წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მიმდინარე სამუშაოებს.

ინოვაციის, ინკლუზიურობისა და ხარისხის პროექტი – 85 მლნ ლარი. პროექტს „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი“ ახორციელებს, დამფინანსებელი კი მსოფლიო ბანკია (WB). აღნიშნულ პროექტზე უკვე დაიხარჯა 64 მლნ ლარი, 2024 წელს – 85 მლნ ლარი, ხოლო 2025-2027 წლებში დაიხარჯება 46 მლნ ლარი.

ანიშნული პროექტი მოიცავს:

სამტრედია-გრიგოლეთის მონაკვეთის 51-კმ-იანი საავტომობილო გზის და 41 სახიდე გადასასვლელის მოდერნიზაცია-მშენებლობას. აღნიშნულ მონაკვეთზე 2024 წელს 150 მლნ ლარი უნდა დაიხარჯოს;

ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთის 11-კმ-იანი საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-მშენებლობას (რომელიც მოიცავს 17 სახიდე გადასასვლელს და 3 გვირაბს). აღნიშნულ მონაკვეთზე 2024 წელს 120 მლნ ლარი უნდა დაიხარჯოს;

შორაპანი-არგვეთის მონაკვეთის 14-კმ-იანი საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-მშენებლობას (რომელიც მოიცავს 17 სახიდე

გადასასვლელს და 10 გვირაბს). აღნიშნულ მონაკვეთზე 2024 წელს 110 მლნ ლარი უნდა დაიხარჯოს;

ზემო ოსიაური-რიკოთის მონაკვეთის 14-კმ-იანი საავტომობილო გზის (რომელიც მოიცავს 11 სახიდე გადასასვლელს და 5 გვირაბს) მშენებლობას. აღნიშნულ მონაკვეთზე 2024 წელს 95 მლნ ლარი უნდა დაიხარჯოს;

უბისა-შორაპნის მონაკვეთის 13-კმ-იანი საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-მშენებლობას (რომელიც მოიცავს 27 სახიდე გადასასვლელს და 18 გვირაბს). აღნიშნულ მონაკვეთზე 2024 წელს 22 მლნ ლარი უნდა დაიხარჯოს;

ხევი-უბისას მონაკვეთის 12-კმ-იანი საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-მშენებლობას (რომელიც მოიცავს 36 სახიდე გადასასვლელს და 20 გვირაბს). აღნიშნულ მონაკვეთზე 2024 წელს 18 მლნ ლარი უნდა დაიხარჯოს.

განახლებული რეგიონების პროგრამა – 100 მლნ ლარი. პროგრამას „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი“ ახორციელებს, დაფინანსების წყარო კი სახელმწიფო ბიუჯეტის შიდა რესურსებია. აღნიშნულ პროექტზე უკვე დაიხარჯა 600 მლნ ლარი, 2024 წელს – 100 მლნ ლარი, ხოლო 2025 წელს 50 მლნ ლარი უნდა დაიხარჯოს.

აღნიშნული პროექტი მოიცავს:

საქართველოს 63 მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის შენობა-ნაგებობების, დასასვენებელი პარკებისა და სკვერების რეაბილიტაციას, ცენტრალური უბნების ურბანულ განახლებას, ახალი ტურისტული სივრცეების მოწყობას და ა.შ.

ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პროგრამა – 150 მლნ ლარი. პროგრამას „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი“ ახორციელებს, დაფინანსების წყარო კი სახელმწიფო ბიუჯეტის შიდა რესურსებია. აღნიშნულ პროექტზე უკვე დაიხარჯა 200 მლნ ლარი, 2024 წელს – 150 მლნ ლარი, ხოლო 2025-2027 წლებში 1,050 მლნ ლარი უნდა დაიხარჯოს.

აღნიშნული პროექტი მოიცავს:

მუნიციპალიტეტებში ცენტრალური უბნების ურბანულ განახლებას, ტურისტულად მიმზიდველი სივრცეების შექმნა-განვითარებას და სხვადასხვა შენობა-ნაგებობის რეაბილიტაციას გენდერული ასპექტების გათვალისწინებით.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროგრამა – 225 მლნ ლარი. პროგრამას „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი“ ახორციელებს, დაფინანსების წყარო კი სახელმწიფო ბიუჯეტის შიდა რესურსებია. აღნიშნულ პროექტზე უკვე დაიხარჯა 100 მლნ ლარი, 2024 წელს – 225 მლნ ლარი, ხოლო 2025-2027 წლებში 745 მლნ ლარი უნდა დაიხარჯოს.

აღნიშნული პროექტი მოიცავს:

საქართველოს მუნიციპალიტეტებში 330-მდე ახალი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (საბავშვო ბაღის) მშენებლობას და 555-მდე არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების რეაბილიტაციას. მათ შორის, შშმ პირებისთვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურის შექმნას.

რეგიონებში ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერის ღონისძიებების პროგრამა – 250 მლნ ლარი. პროგრამას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ახორციელებს, დაფინანსების წყარო კი სახელმწიფო ბიუჯეტის შიდა რესურსებია. აღნიშნულ პროექტზე უკვე დაიხარჯა 807 მლნ ლარი, 2024 წელს – 250 მლნ ლარი, ხოლო 2025-2027 წლებში 1,352 მლნ ლარი უნდა დაიხარჯოს.

აღნიშნული პროექტი მოიცავს:

ქუთაისში წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელების რეაბილიტირებას;

სამტრედიაში წყალმომარაგების სათავე ნაგებობის აშენებას;

ახალციხის ცენტრალურ უბნებსა და მიმდებარე სოფლებში წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტირებას;

გურჯაანის, საგარეჯოს, დედოფლისწყაროს, ყვარლისა და თელავის მუნიციპალიტეტების სოფლებში წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტირებას;

დაბა სურამში და მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტირებას;

დაბა წაღვერში წყალმიმღებისა და გამწმენდი ნაგებობების აშენებას.

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა – 292 მლნ ლარი. პროგრამას სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების

სააგენტო“ ახორციელებს, დაფინანსების წყარო კი სახელმწიფო ბიუჯეტის შიდა რესურსებია. აღნიშნულ პროექტზე უკვე დაიხარ-ჯა 1.4 მილიარდ ლარამდე, 2024 წელს – 292 მლნ ლარი, ხოლო 2025-2027 წლებში 2 მილიარდ ლარამდე უნდა დაიხარჯოს.

აღნიშნული პროექტი მოიცავს:

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ზოგადსაგანმანათლებ-ლო დაწესებულებების მშენებლობას და რეაბილიტაციას, მათი სხვადასხვა ინვენტარითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფას. უნდა ჩატარდეს 170 სკოლის სრული და 150 სკოლის ნაწილობრი-ვი რეაბილიტაცია;

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში პროფესიული საგანმა-ნათლებლო დაწესებულებების მშენებლობას და რეაბილიტაციას. უნდა აშენდეს 5 ახალი პროფესიული კოლეჯი და 4 სახელოსნო;

3 საგანმანათლებლო რესურსცენტრის რეაბილიტაციას;

3 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სარეაბი-ლიტაციო სამუშაოებს და საჭირო ინვენტარით აღჭურვას. 2 უმაღ-ლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის დამხმარე ნაგებო-ბის აშენებას და 3 სამეცნიერო დაწესებულების სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის მშენებლობა – 295 მლნ ლარი. პროექტს ახორციელებს სსიპ „ევრა-ზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი“, დაფი-ნანსების წყარო კი მსოფლიო ბანკი (WB), აზიის განვითარების ბანკი (ADB) და სახელმწიფო ბიუჯეტის შიდა რესურსებია. აღნიშ-ნულ პროექტზე უკვე დაიხარჯა 366 მლნ ლარი, 2024 წელს – 295 მლნ ლარი, ხოლო 2025-2027 წლებში 180 მლნ ლარი უნდა დაი-ხარჯოს.

აღნიშნული პროექტი მოიცავს:

თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის ბა-კურციხე-წნორის 16-კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობას;

თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის ლოჭინი-საგარეჯოს 30-კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობას;

თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის სა-გარეჯო-ბადიაურის 17-კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობას.

მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის მშე-ნებლობა – 250 მლნ ლარი. პროექტს საქართველოს საავტომობილო

გზების დეპარტამენტი და სსიპ „ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი“ ახორციელებს, დაფინანსების წყარო კი აზიის განვითარების ბანკი (ADB), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) და სახელმწიფო ბიუჯეტის შიდა რესურსებია. აღნიშნულ პროექტზე უკვე დაიხარჯა 925 მლნ ლარი, 2024 წელს – 350 მლნ ლარი, ხოლო 2025-2027 წლებში 602 მლნ ლარი უნდა დაიხარჯოს.

აღნიშნული პროექტი მოიცავს:

მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე 13.7-კმ-იანი საავტომობილო გზისა და 9-კმ-იანი გვირაბის მშენებლობას;

მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის ხანდო-ფასანაურის შემოსავლელი და არშა-სტეფანწმინდა-გველეთის 20-კმ-იანი საავტომობილო გზის მონაკვეთების მშენებლობას.

აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (ავტობანის) მშენებლობა – 515 მლნ ლარი. პროექტს „ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი“ ახორციელებს, დამფინანსებელი კი არის აზიის განვითარების ბანკი (ADB), ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB), მსოფლიო ბანკი (WB) და ევროკავშირი (EU). აღნიშნულ პროექტზე უკვე დაიხარჯა 4 მილიარდ ლარზე მეტი, 2024 წელს – 515 მლნ ლარი, ხოლო 2025-2027 წლებში 170 მლნ ლარი უნდა დაიხარჯოს. ეს თანხა არ მოიცავს ავტობანის დასრულებული მონაკვეთების მშენებლობების ხარჯებს. ეს არის მხოლოდ მიმდინარე სამუშაოების დაფინანსება.

აღნიშნული პროექტი მოიცავს:

სამტრედია-გრიგოლეთის მონაკვეთის 51-კმ-იანი საავტომობილო გზის და 41 სახიდე გადასასვლელის მოდერნიზაცია-მშენებლობას. აღნიშნულ მონაკვეთზე 2024 წელს 150 მლნ ლარი დაიხარჯა;

ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთის 11-კმ-იანი საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-მშენებლობას (რომელიც მოიცავს 17 სახიდე გადასასვლელს და 3 გვირაბს). აღნიშნულ მონაკვეთზე 2024 წელს 120 მლნ ლარი დაიხარჯა;

შორაპანი-არგვეთას მონაკვეთის 14-კმ-იანი საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-მშენებლობას (რომელიც მოიცავს 17 სახიდე

გადასასვლელს და 10 გვირაბს). აღნიშნულ მონაკვეთზე 2024 წელს 110 მლნ ლარი დაიხარჯა;

ზემო ოსიაური-რიკოთის მონაკვეთის 14-კმ-იანი საავტომობილო გზის (რომელიც მოიცავს 11 სახიდე გადასასვლელს და 5 გვირაბს) მშენებლობას. აღნიშნულ მონაკვეთზე 2024 წელს 95 მლნ ლარი დაიხარჯა;

უბისა-შორაპნის მონაკვეთის 13-კმ-იანი საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-მშენებლობას (რომელიც მოიცავს 27 სახიდე გადასასვლელს და 18 გვირაბს). აღნიშნულ მონაკვეთზე 2024 წელს 22 მლნ ლარი დაიხარჯა;

ხევი-უბისას მონაკვეთის 12-კმ-იანი საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-მშენებლობას (რომელიც მოიცავს 36 სახიდე გადასასვლელს და 20 გვირაბს). აღნიშნულ მონაკვეთზე 2024 წელს 18 მლნ ლარი დაიხარჯა.

რაც შეეხება ეკონომიკურ საფრთხეებს მოსალოდნელია მშენებლობის ფასების ზრდა, ვინაიდან ლარის კურსი არასტაბილურია, იზრდება ფასები მიწაზე, შემოდის ახალი რეგულაციები, რომლებიც თავისთავად მოითხოვს ხარჯებს და რაც მთავარია, სამშენებლო მასალებზე მოსალოდნელია ფასების ზრდა. უახლოეს მომავალში უკრაინა-რუსეთის ომის დამთავრების შემდეგ, როდესაც დაიწყება მშენებლობები, შესაძლოა შეიქმნას სამშენებლო მასალებისა და მუშახელის დეფიციტი, ვინაიდან დანგრეული რეგიონების აღსადგენად საჭირო გახდება დიდი რაოდენობით კვალიფიციური მუშახელი და სამშენებლო მასალა. ეს ყველაფერი კი გავლენას იქონიებს არა მარტო საქართველოზე, არამედ მთელ მსოფლიოში მშენებლობის ფასების ზრდაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. https://forbes.ge/10-umskhvilesi-inphrastruqturuli-proeqti-2024-tslis-biujetshi/
2. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მონაცემები.
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მონაცემები.

Giorgi Bregvadze

PROBLEMS OF CONSTRUCTION DEVELOPMENT IN THE REGIONS OF GEORGIA AND THE ECONOMIC THREATS LINKED WITH THEM

Summary

Construction is one of the leading sector in Georgia. Construction is a developing sector. After gaining independence, the country has undergone a difficult transition from the Soviet system to a modern market economy, which directly affected the real estate sector. From chaotic privatization to the present day, the market has undergone a major transformation. Initially, the unregulated and disorderly environment gradually evolved into well-organized system. Today, we have a clear legal framework, regulations, and professional standards.

ქეთევან ქველაძე

საქართველოს რეგიონებში ტურიზმის განვითარების ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემები

ანოტაცია. *ნაშრომი ეძღვნება ქვეყნისათვის ისეთ მეტად აქტუალურ პრობლემას, როგორიცაა საქართველოსა და მის რეგიონებში ტურიზმის განვითარების ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხები. ნაშრომში აღნიშნულია, რომ თანამედროვე პირობებში ნათლად შეიმჩნევა ეკოლოგიური პრობლემების გაუარესების ტენდენცია. დაბინძურებული და დეგრადირებული გარემო ნეგატიურად ზემოქმედებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობაზე მთლიანად და, კერძოდ, ტურიზმსა და მის უსაფრთხოებაზე. ამ დარგის განვითარებას მნიშვნელოვანი როლი აკისრია ქვეყნის რეგიონების ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემების გადაჭრაში. ტურიზმის მდგრადი განვითარების გათვალისწინებით ნაშრომში ასევე ნათქვამია, რომ რთული რელიეფის, გეოლოგიური და კლიმატური პირობების გამო საქართველოში ბოლო წლებში შეიმჩნევა ეკოლოგიური სტიქიური მოვლენების გახშირება, ეს კი დიდ*

საფრთხეს უქმნის ქვეყნის მოსახლეობას, ინფრასტრუქტურას, ეკონომიკას და მის დარგებს, მათ შორის ტურიზმსაც. მათი მართვის საკითხები განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახდა. ნაშრომში შესწავლილია ეკოლოგიური უსაფრთხოების ზოგადი მიმართულებები და ის ძირითადი ეკოლოგიური საფრთხეები, რომლებიც დამახასიათებელია ჩვენი ქვეყნის რეგიონებისათვის, რაც უარყოფითად აისახება ეროვნული ტურიზმის ზოგად მაჩვენებლებზე, მითითებულია მათი აღმოფხვრის ზოგადი გზები. ნაშრომში მოყვანილია საინტერესო ციფრობრივი მასალა დარგის განვითარების კუთხით.

საკვანძო სიტყვები: *ტურიზმი, ეკოლოგიური უსაფრთხოება, ეკოლოგიური საფრთხეები, ტურისტული მიმართულება, გლობალური დათბობა, სტიქია.*

****

ტურიზმი მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და დინამიკურად განვითარებადი სექტორია, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკის ისეთ საკვანძო სექტორებზე, როგორიცაა ტრანსპორტი, კომუნიკაციები, მშენებლობა და სოფლის მეურნეობა, ხელს უწყობს სოციალურ-ეკონომიკური სფეროს განვითარებას, ზრდის მოსახლეობის შემოსავლებს, აუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს, ქმნის სამუშაო ადგილებს, ავითარებს ინფრასტრუქტურას, ზრდის ინვესტიციებს და ა.შ. ტურიზმი ასევე პიონერია ბუნებრივი რესურსების გამოყენებაში, ის პირველია, რომელიც მოიცავს ადრე გამოუყენებელ ბუნებრივ კომპლექსებს და მათ ელემენტებს, მაგალითად, მაღალ მთებს, გამოქვაბულებს, ჩანჩქერებს, ეგზოტიკურ კლდეებს და უნიკალურ პეიზაჟებს. ტურიზმს სრულიად დამსახურებულად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის სისტემაში. ეკონომიკური საქმიანობის სხვა დარგებისგან განსხვავებით, ტურიზმი არ ახორციელებს ბუნებრივი რესურსების მოპოვებას და მათ შემდგომ დამუშავებას, მაგრამ იყენებს ბუნებრივ კომპლექსს (ლანდშაფტს) მთლიანობაში. აქედან გამომდინარე ის ასევე მიზნად უნდა ისახავდეს ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაბალანსებული არსებობის შენარჩუნებას და დაცვას. თუმცა სწრაფ ზრდასთან ერთად ტურიზმი ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი სექტორიცაა და სხვადასხვა საფრთხისა და რისკის

წინაშე დგას. იგი ზოგადად დამოკიდებულია ეკონომიკურ პირობებზე, პოლიტიკურ სტაბილურობაზე, საბაჟო რეგულაციებზე, ვალუტის კურსის ცვლილებებზე, ტურისტულ ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების მასშტაბზე, უკვე არსებული და ახალი ავიახაზების ეფექტურ ფუნქციონირებაზე, ეკოლოგიურ-კლიმატურ და სხვა გლობალურ პირობებზე.

დარგის ექსპერტების აზრით, ტურიზმისთვის მოსალოდნელი სხვადასხვა სახის საფრთხეები შეიძლება დაჯგუფდეს ეკოლოგიურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ საფრთხეებად. ჩვენთვის საინტერესოა ტურიზმის სექტორის ეკოლოგიური უსაფრთხოება, რომელიც განისაზღვრება როგორც ხელმისაწვდომი რესურსების ეფექტური გამოყენება საფრთხეების თავიდან ასაცილებლად, აღმოცენებული ნეგატიური ზემოქმედების წარმატებით დასაძლევად და დარგის სტაბილური ფუნქციონირებისა და განვითარების უზრუნველსაყოფად.

თანამედროვე პირობებში მსოფლიო სერიოზული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა, რაც დაკავშირებულია გარე სამყაროს დაბინძურებასთან ბრძოლასა და ქვეყნების ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან. ნათლად შეიმჩნევა ეკოლოგიური პრობლემების გაუარესების ტენდენცია. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ დაბინძურებული და დეგრადირებული გარემო (გლობალური დათბობა, გარემოს და ატმოსფეროს დაბინძურება, ოზონის შრის რღვევა, კლიმატის ცვლილება, მიწების გაუდაბნოება, ოკეანეში მოდრეიფე პლასტიკის უზარმაზარი კუნძულები, ეკოსისტემის რღვევა, ბიომრავალფეროვნების მკვეთრი შემცირება, სასმელი წყლის დეფიციტი), ნეგატიურად ზემოქმედებს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობაზე მთლიანად და, კერძოდ ტურიზმზე და მის უსაფრთხოებაზე.

ტურიზმში უსაფრთხოება, ისევე როგორც არაერთ სხვა ინდუსტრიაში, დაკავშირებულია ბუნების შენარჩუნებასა და დაცვასთან. უსაფრთხო ბუნებრივი კომპლექსის ობიექტები, რომელიც მიმზიდველია ტურისტებისთვის და ხელს უწყობს მათ ესთეტიკურ კომფორტს და ესთეტიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, შემდეგია:

1) ლანდშაფტი და მისი მახასიათებლები: დედამიწის ულამაზესი მონაკვეთები, ბუნების ძეგლები; ადგილები, რომლებიც

გვთავაზობენ ლამაზ ხედებს (პეიზაჟები); ტურისტული კომპლექსის შენობების არქიტექტურის ჰარმონიული კომბინაცია მიმდებარე ლანდშაფტთან; ვულკანები და სხვ.;

2) სანაპირო ობიექტების (ზღვა, მდინარე, ტბა) თავისებურებები: სანაპირო (მაღალი, მთიანი, კლდოვანი, სწორი, ბრტყელი); კონცხები; ყურეები; ნავსადგურები და ყურეები; პლაჟი უცნაური და ლამაზი არქიტექტურული ნაგებობებით და სხვ.;

3) ტერიტორიის ჰიდროგეოგრაფიული თავისებურებები: წყლის სხვადასხვა წყაროები, როგორიცაა სამკურნალო და თერმული წყაროები; კაშხლები, ტბორები, მდინარეები; ტბები, მდინარის ყურეები და სხვ.;

4) მთიან რაიონებში გეომორფოლოგიური თავისებურებები: ქანების ფორმა, ფერი; ტექტონიკური ან ეროზიული ხეობები და ხევები; კარსტული წარმონაქმნები; დაბლობები, გამოქვაბულები და სხვ.;

5) ფლორა და ფაუნა: ტყეები, ტყიანი ადგილები; ხეობები, ბუნებრივი მდელოები; ადგილობრივ ცხოველთა და ფრინველთა სამყაროს მრავალფეროვნება და თავისებურებები; ბუნებრივი რესურსები და სხვ.

ტურიზმის უსაფრთხოებასა და ბუნებას შორის ურთიერთობა და მისი დაცვა განიხილება სამი მიმართულებით:

1) ბუნების დაცვა ტურიზმის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

2) ბუნების დაცვა ტურიზმის მეშვეობით;

3) ბუნების დაცვა ტურიზმისგან.

1. ნებისმიერი ტიპის ტურისტული საქმიანობა უნდა განხორციელდეს უსაფრთხო გარემოსდაცვითი მოთხოვნების გათვალისწინებით. გადაჭარბებული ტურისტული აქტივობა და ტურისტების დიდი რაოდენობა ძლიერ ზეწოლას ახდენს ბუნებრივ რესურსებზე, მათ შორის ტყეებზე, წყლის რესურსებსა და ველურ ბუნებაზე, რაც იწვევს შეუქცევად უარყოფით ზემოქმედებას ბუნებრივ ობიექტებზე და განაპირობებს ბუნების მდგრადობის გაუარესებას. ეს კი უარყოფითად მოქმედებს ტურიზმის უსაფრთხოებაზე.

2. რაც შეეხება ბუნების დაცვას ტურიზმის მეშვეობით, ტურიზმი, როგორც ბუნებასთან მჭიდრო კონტაქტში მყოფი აქტიური

საქმიანობის სახეობა, ადამიანს უნერგავს ბუნების სიყვარულს და ასტიმულირებს მის დაცვას. ტურიზმს გააჩნია ეფექტური საშუალებების უზარმაზარი რესურსი ბუნების შესანარჩუნებლად, თუმცა ტურიზმმა შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ადგილობრივ მოსახლეობასა და კულტურაზე. ტურისტული ნაკადების ზრდა თუმცა კი იწვევს ბუნებრივი, კულტურული და ისტორიული ტერიტორიების აქტიურ განვითარებას, მაგრამ შეიძლება გაანადგუროს ტრადიციული ცხოვრების წესი და კულტურული მემკვიდრეობა.

ტურიზმი, როგორც საერთაშორისო კომუნიკაციისა და მოწინავე კულტურების, ტექნოლოგიების, ჰუმანიტარული და გარემოსდაცვითი იდეების, ფილოსოფიური მსოფლმხედველობის შეღწევის საშუალება არის ძლიერი ინსტრუმენტი მოსახლეობის გარემოსდაცვითი განათლებისა და ახალი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისათვის, რომელიც ორიენტირებულია ურთიერთობებზე ადამიანსა და ბუნებას შორის.

3. მნიშვნელოვანია ბუნების დაცვა ტურიზმისგან. გაზრდილი ტურისტული აქტივობა იწვევს შეუქცევად ზემოქმედებას გარემოზე, რაც განაპირობებს ბუნების მდგომარეობის გაუარესებას: წყლის დაბინძურება ბუნებრივ წყალსაცავებში; ჰაერის დაბინძურება სატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვიდან; ნარჩენებით დაბინძურება; გარემოსდაცვით ზონაში ტურისტული ინფრასტრუქტურის უკონტროლო განვითარება და ბუნების არასასურველი ცვლილებები; ხმაური, შემადგენლობა და ხმაურის დონე (დასვენების ადგილზე, ტურისტული მომსახურების მიწოდების დროს, სხვადასხვა გასართობი ადგილის საქმიანობიდან); ნიადაგისა და ნიადაგის წყლების დაბინძურება; ტურისტების მიერ ადგილობრივი და ველური ფაუნის განადგურება; ისტორიული ძეგლების განადგურება (ვანდალების მიერ მათზე წარწერების დატოვება და ა.შ.). ამიტომ ნებისმიერი ტიპის ტურისტული საქმიანობა უნდა განხორციელდეს უსაფრთხო გარემოსდაცვითი მოთხოვნების გათვალისწინებით. ტურების შედგენისა და ორგანიზებისას მკაცრად უნდა იქნეს დაცული მიღებული სახელმწიფო და რეგიონული გარემოსდაცვითი რეგულაციები. ზოგადად მსოფლიო დგას კლიმატის ცვლილების საგანგებო მდგომარეობის წინაშე, რომელსაც ახასიათებს სწრაფი დათბობა, ექსტრემალური

ამინდის მოვლენები და ეკოსისტემის კოლაფსი, რაც გამოიხატება სხვადასხვა სტიქიური მოვლენებით: მეწყერები, ღვარცოფები, წყალმოვარდნები, ქარბორბალა, მჟავე წვიმები და სხვ. სპეციალისტებმა ამ სფეროში ადგილობრივ დონეზე უნდა ჩაატარონ გარემოზე შესაძლო ზემოქმედების საკუთარი შეფასება და კვლევა, რათა შეიმუშაონ ტურისტების გარემოზე უსაფრთხო გავლენის წესები. აღსანიშნავია, რომ გარემოს დაცვა უფრო მარტივი და იაფი ღონისძიებაა, ვიდრე მომავალში მიყენებული ზიანის გამოსწორება.

ტურიზმის დარგის განვითარებას მნიშვნელოვანი როლი აკისრია მრავალი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს რეგიონების ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემების გადაჭრაში. ტურიზმის მდგრადი განვითარება მოითხოვს ისეთი სისტემის ფორმირებას, რომელიც საშუალებას მისცემს ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს, მონაწილეობა მიიღოს ეროვნული ტურიზმის ეკოლოგიურ ფაქტორებზე დაფუძნებული სტრატეგიებისა და პოლიტიკის ფორმირებაში. სახელმწიფოს ამ საქმეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი აკისრია. სახელმწიფოს მიერვე ხდება ტურიზმის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება რეგიონების მახასიათებლების გათვალისწინებით, ამ გეგმების კოორდინაცია ეკონომიკური კუთხით. ტურიზმში ჩართულ მხარეებს შორის ურთიერთობას არეგულირებს კანონმდებლობა საფინანსო და საგადასახადო სამსახურებთან ერთად. ტურისტულ ბუმთან და ტურისტული ნაკადის ზრდასთან ერთად ტურისტული ცენტრებისა და რეგიონების ფუნქციონირება დამოკიდებულია კონკრეტულ სასაზღვრო, საბაჟო, სამედიცინო, საპოლიციო, გარემოსდაცვით და სხვა მარეგულირებელ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიმართულია ტურისტული საქმიანობის სტიმულირებისკენ.

საქართველოში ტურისტულ სფეროს არეგულირებს 2023 წლის დეკემბერში მიღებული კანონი ტურიზმის შესახებ, სადაც მე-5 მუხლი ეთმობა ტურიზმის მდგრად განვითარებას. საქართველოს მთავრობა ვალდებულია უზრუნველყოს ტურიზმის მდგრადი განვითარება და უსაფრთხოება, რაც გულისხმობს ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური განვითარების მიზნების მისაღწევად რესურსების იმგვარად მართვას, რომ შენარჩუნებული იყოს ქვეყნის კულტურული თვითმყოფადობა, ბიომრავალ-

ფეროვნება, არსებითი ეკოლოგიური მდგრადობა და უსაფრთხოება.

საქართველოს ეროვნული ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემებიდან აღსანიშნავია შემდეგი: ატმოსფეროში მავნე გამონატყორცნების ზრდა; ნიადაგის დეგრადაცია, ეროზია, მეორეული დაჭაობება და დამლაშება; ტყის საფარის შემცირება, ხანძრები, უკანონო ჭრა-ჩეხვა; რადიოაქტიური და მავნე ნარჩენების ზრდა; ჩამონადენი წყლის ბიოლოგიური გაწმენდის სირთულე; სასმელი წლის დაბინძურება; მდინარეების დაბინძურება აზოტის ნაერთებით, მძიმე მეტალებით; მინერალური რესურსების არარაციონალური გამოყენება; სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება, ავტომობილების გამონაბოლქვი; ბიომრავალფეროვნების შემცირება; პლაჟების გარეცხვა-დაშლა; „მწვანე“ და „წრიული“ ეკონომიკის განვითარების დაბალი დონე და სხვ.

საქართველოს მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხებთან მიმართებით ტურიზმის განვითარებაში საინტერესოა ეკოლოგიური უსაფრთხოების შესაბამისი ინდექსები, რომლებიც თავიანთი არსით წარმოადგენს კომპლექსურ საზომებს. გარემოსდაცვითი ეფექტურობის ინდექსი (EPI–Environmental Performance Index) ითვალისწინებს სახელმწიფოს გარემოსდაცვითი პოლიტიკის მაჩვენებლების რაოდენობრივ შეფასებას. საქართველო ამ მაჩვენებლის მიხედვით 77-ე ადგილზეა 180 ქვეყანას შორის, რაც გაუმჯობესებული მაჩვენებელია წინა წლებთან შედარებით (იხ. ცხრ. 1, ცხრ.2).

ცხრილი 1

საქართველოს გარემოსდაცვითი ეფექტურობის ინდექსი (EPI) წლების მიხედვით

რეგიონი	EPI შეფასება 2024 წელს	EPI შეფასება 2022 წელს	EPI შეფასება 2020 წელს	EPI-ის 10-წლიანი ცვლილებები 2014-2024
საქართველო	47.3	39.1	41.3	6.3

ცხრილი 2

საქართველოს გარემოსდაცვითი ეფექტურობის ინდექსი (EPI) 2024

გარემოსდაცვითი ეფექტურობის ინდექსი EPI 2024 წ	2024		
	ადგილი	EPI შეფასება	EPI-ის 10-წლიანი ცვლილებები 2014-2024
საერთო რეიტინგი	77	47.3	6.3
ეკოსისტემის სიცოცხლისუნარიანობა	83	50.2	4.0
ბიომრავალფეროვნება და ჰაბიტატი	109	44.4	1.7
ტყე	2	85.2	-1.8
მეთევზეობა	68	61.2	-10.3
ჰაერის დაბინძურება	85	73.9	21.6
სოფლის მეურნეობა	177	26.0	2.6
წყლის რესურსები	89	38.5	3.7
გარემოს ეკომდგომარეობა	94	42.9	4.9
ჰაერის ხარისხი	113	34.5	3.4
სანიტარიული და სასმელი წყალი	52	73.5	9.5
მძიმე მეტალები	121	40.5	7.2
ნარჩენების მართვა	63	36.6	1.6
კლიმატის ცვლილება	65	46.0	10.9
კლიმატის ცვლილების შერბილება	65	46.0	10.9

გამოყოფილი სამი კატეგორიიდან საქართველომ შედარებით მაღალი მაჩვენებელი, 83-ე ადგილი დაიკავა „ეკოსისტემის სიცოცხლისუნარიანობაში“ , სადაც ძლიერი რგოლია „ტყეები“, მე-2 ადგილი (131 ქვეყანას შორის). ერთი ჰექტარი ტყე წლის განმავლობაში 50-70 ტონა მტვერს ფილტრავს. ტყე პირდაპირ კავშირშია ატმოსფერული ჰაერის გაჯანსაღებასა და წყლის რესურსების დაცვასთან, რადგან ჟანგბადის შევსება ძირითადად ფოტოსინთეზის გზით ხდება. ერთი ჰექტარი ტყე 10-15-ჯერ მეტ ჟანგბადს გამო-

ყოფს, ვიდრე ნებისმიერი ფოტოსინთეზი. ტყით საქართველოს მთელი ტერიტორიის დაახლოებით 39,9%-ია (2,77 მლნ ჰა) დაფარული. აქედან, არსებული მონაცემებით, დაახლოებით 0,5 მლნ ჰა ე.წ. ხელუხლებელ ტყეებს, 2,2 მლნ ჰა სახეცვლილ ბუნებრივ ტყეებს, ხოლო 0,06 მლნ ჰა ხელოვნურად გაშენებულ ტყეებს უკავია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო განეკუთვნება ტყით მდიდარი ქვეყნების რიცხვს, ტყეების მნიშვნელოვანი ნაწილის საშუალო სიხშირე კრიტიკულ ზღვრამდეა მიყვანილი. აღსანიშნავია, რომ კრიტიკულ ზღვარზე დაბალი სიხშირის მქონე ტყეებს მკვეთრად დაქვეითებული აქვთ დაცვითი ფუნქციის შესრულების უნარი და, ამასთან, მნიშვნელოვანწილად დაკარგული აქვთ თვითაღდგენა-თვითგანახლების უნარი, რაც საშუალო და გრძელვადიან პერიოდში ტყის ეკოსისტემების შეუქცევადი დეგრადაციის მიზეზი შეიძლება გახდეს. ტყეების განადგურების მავნე შედეგებია: კლიმატის ცვლილებები, გამოშრობა და ნიადაგის ეროზია, მეწყერები და აქედან გამოწვეული სოციალური და ეკონომიკური პრობლემები (მაგ., სვანეთისა და აჭარის ტყეები, სადაც ფერდობების ეროზია და მისგან გამოწვეული მეწყერები ტყეების ჭრამაც გამოიწვია). სამწუხაროდ, ამ ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოში უამრავი უნიკალური ჯიშის ხე მოიჭრა და საზღვარგარეთ გაიზიდა. სუსტი რგოლია „სოფლის მეურნეობა“. ის 177-ე ადგილზეა (180 ქვეყანას შორის), რომელმაც ტურიზმის სექტორი უნდა დააკმაყოფილოს ტრადიციული, ადგილობრივი, ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით, რაც დარგის განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. კიდევ ერთი სუსტი რგოლია „ბიომრავალფეროვნება და ჰაბიტატი“ (44.4 ქულა; 109 ადგილი), რაც საკმაოდ საყურადღებო ფაქტია ეკოლოგიური უსაფრთხოების თვალსაზრისით, გამომდინარე იქედან, რომ ქვეყნის ტურიზმის განვითარების პოტენციალის უდიდესი წილი სწორედ ბიომრავალფეროვნებასა და ჰაბიტატზეა დამყარებული. საქართველო, როგორც კავკასიის შემადგენელი ნაწილი, შედის ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) 200 გლობალური ეკორეგიონის შემადგენლობაში. ჩვენს ქვეყანაში ბიომრავალფეროვნებისა და ჰაბიტატების დეგრადაციის, განადგურებისა და მზარდი, არარეგულირებული მოხმარების გამო მცენარეებისა და ცხოველების მრავალი სახეობა მოწყვლადი, გადაშენების პირას მყოფი ან გადაშენების

უკიდურესი საფრთხის წინაშე მყოფია, რომლებიც შეტანილია ბუ-ნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) წითელ ნუსხაში, ასევე შეყვანილია მსოფლიოს ბიომრავალფეროვნების 34 „ცხელ წერტილში“.

საქართველო „გარემოს ეკომდგრადობის“ მიხედვით 42.9 ქულით 94-ე ადგილზეა. ამ კატეგორიაში საკმაოდ არასახარბიელო მაჩვენებელი გვაქვს ჰაერის ხარისხის, მძიმე მეტალებისა და ნარჩენების მართვის რგოლში, რაც საკმაოდ ხელშემშლელი ფაქ-ტორია ტურიზმის სექტორის განვითარებისათვის. გარემოს დაბინ-ძურება ნარჩენებითა და ქიმიური ნივთიერებებით საქართველოში ასევე ერთ-ერთი ეკოლოგიური პრობლემაა. იგი კომპლექსურია და მოიცავს გარემოს დაბინძურებას მოუწესრიგებელი ნაგავსაყრე-ლებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენით. მსოფლიოში ყოველწლიუ-რად დაახლოებით 5 ტრლნ პოლიეთილენის პარკი მოიხმარება, ამათგან საქართველოში – 20 მლნ ყოველდღიურად. ბუნება არ უნ-და დანაგვიანდეს არავითარი ბუნებრივად არახრწნადი პროდუქ-ტით. იგულისხმება ისეთი ნივთები, როგორიცაა: პლასტმასი, რე-ზინი, ცელოფანი, რკინა, შუშა, ქაღალდი, საკვების ნარჩენები, პირადი ჰიგიენის ნივთები და სხვ.; არ შეიძლება ბუნებაში ან წყლის ნებისმიერ რესურსში ქიმიკატების გადაღვრა-დაბინძურება (იგულისხმება სარეცხი ან დასაბანი საშუალებები), განსაკუთ-რებით კი ფოსფორის შემცველი სარეცხი საშუალებები; არ შეიძ-ლება საჭმლის ნარჩენების დატოვება ბუნებაში და მით უმეტეს ცხოველებისთვის); არ არის სასურველი ნაგვისა და ნარჩენების ლიკვიდაცია დაწვის საშუალებით, ასეთ შემთხვევაში ზიანდება ნიადაგი, წვის შედეგად კი გამოიყოფა მომწამლავი აირები. არახრ-წნადი პროდუქტის ბუნებაში დატოვებით, მიწაში ჩაფვლით, დაწვით, გამოუსწორებელ ზიანს ვაყენებთ ცოცხალ ეკოსისტემებს, ნიადაგს, წყალს, ჰაერს, ცხოველთა და ადამიანთა სამყაროს.

მსოფლიო ყოველწლიურად აწარმოებს 2,1 მლრდ ტონა მუ-ნიციპალურ მყარ ნარჩენებს და ეს რიცხვი 2050 წელს 3,8 მლრდ ტონამდე გაიზრდება. დაუმუშავებელი ნარჩენები და დაბინძუ-რებული ჰაერი ხელს უწყობს სხვადასხვა სასიკვდილო და რესპი-რატორული დაავადებების გავრცელებას.

ქვეყანაში ნედლეულის გამოყენებისა და წარმოების ზრდას-თან ერთად იზრდება ნიადაგის, წყლის და ატმოსფერული ჰაერის

ანთროპოგენური გაჭუჭყიანება. ეკონომიკის განვითარებას დიდ ზიანს აყენებს ატმოსფეროში დაგროვილი ნახშირორჟანგის გაზი, სითბური ეფექტები, რომელიც იწვევს კლიმატის ცვლილებებს, ამცირებს ბუნებრივი სამეურნეო რესურსების ოპტიმალური გამოყენების შესაძლებლობებს, მოქმედებს ადამიანთა ჯანმრთელობაზე. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში ქვეყნის მასშტაბით ტრანსპორტის რაოდენობის ზრდის პარალელურად, საზოგადოებრივი დანიშნულების გამწვანებული ტერიტორიები სულ უფრო მცირდება. შესამჩნევი ხდება ღია სივრცეებისა და მწვანე ზონების სიმწირე, განსაკუთრებით დიდი ქალაქების განაშენიანებულ ტერიტორიებზე. საქართველოში ჰაერის დაბინძურების ძირითად წყაროდ ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვი რჩება, კერძოდ, ნახშირორჟანგის გაფრქვევათა 87%; აზოტის ჟანგეულების 70%; გოგირდის დიოქსიდი 50%; აქროლადი ორგანული ნაერთების 40% სწორედ სატრანსპორტო საშუალებებიდან ხვდება ატმოსფერულ ჰაერში. რკინიგზის სექტორში არსებული ხარვეზები კიდევ უფრო ართულებს დეკარბონიზაციას (ნახშირორჟანგის ატმოსფეროში გამოყოფის შეჩერების ან შემცირების პროცესი). შემდეგ უნდა აღინიშნოს ემისიები ნარჩენების გადამუშავებიდან, ელექტროენერგიის წარმოებიდან და გათბობის სისტემებიდან (მათ შორის საყოფაცხოვრებო), ასევე მზარდი ემისიები მშენებლობიდან, წარმოებიდან და სამრეწველო პროცესებიდან. ჰაერის დაბინძურების გლობალური ინდექსის, IQAir-ის მიხედვით, 2023 წელს საქართველო 134 ქვეყანას შორის მე-60 ადგილს იკავებდა 16,4 ქულით, ხოლო ჰაერის დაბინძურების ეროვნული საშუალო მაჩვენებელი ნარინჯისფერ („მგრძნობიარე ჯგუფებისთვის საფრთხის შემცველი“) ნიშნულზე იყო, რაც მიუთითებს, რომ აქ ჰაერის საშუალო დაბინძურება სამჯერ ან მეტჯერ აღემატება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დაწესებულ დასაშვებ სტანდარტს. განსაკუთრებით მძიმეა ჰაერის დაბინძურება ქალაქებში. ჰაერის დაბინძურებამ შესაძლოა გამოიწვიოს საკვები პროდუქტების, კულტურული და ისტორიული ობიექტების დაბინძურება, რაც ამცირებს ეკოსისტემების უნარს, შეასრულოს თავისი ფუნქცია. შედეგად, აუცილებელი ხდება ფულის დახარჯვა მათი აღდგენისთვის ან რემედიაციისთვის (მოცემულ მომენტში შექმნილი პრობლემის გადაჭრის ან შემცირებისათვის ახალი გზების მოძიება).

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ასევე წყლის რესურსების დაცვას დაბინძურებისაგან, რაც მნიშვნელოვანი და ერთ-ერთი აუცილებელი ფაქტორია ტურიზმის უსაფრთხოებისათვის, რომელიც მდინარეებსა და წყალსატევებში დაჭუჭყიანებული და არასაკმარისად გაწმენდილი ჩამდინარე წყლების შერევითაა განპირობებული. წყლის ობიექტებს აბინძურებს საწარმოო ჩამდინარე წყლები ქიმიური, მეტალურგიული მრეწველობიდან, ნავთობი და ნავთობპროდუქტები, რადიოაქტიური ელემენტები, სოფლის მეურნეობაში გამოყენებული სასუქი და შხამქიმიკატები, ფეკალურ-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები და სხვა მრავალი რამ. დაბინძურების შედეგად წყალს ეცვლება გემო და სუნი, მცირდება მასში შემავალი ჟანგბადი, იწამლება წყლის ორგანიზმები და სხვ.

ზღვების ნაპირების ნგრევისა და უკანდახევის პრობლემა დღეს თითქმის ყველა ზღვისპირა ქვეყანას აწუხებს. ეს მეტად არასასურველი პრობლემაა, რომელიც ძირითადად ათასწლეულობით ჩამოყალიბებული პროცესის – ადამიანის არასწორი ქმედებების შედეგია. შავი ზღვის სანაპიროს 315 კმ-იანმა მონაკვეთმა საუკუნეების განმავლობაში უარყოფითი ანთროპოგენური ზემოქმედების ყველა ფორმა განიცადა, რის გამოც შავიზღვისპირეთის სანაპირო ზოლის შენარჩუნება დღესაც აქტუალურ პრობლემად რჩება, მაგ., ჯერ კიდევ 30 წლის წინ კურორტებს: მახინჯაურს, ჩაქვსა და ქობულეთს საკმაოდ განიერი პლაჟები ჰქონდათ, რომლებიც თვალსა და ხელს შუა გაქრა. ყოველივე ეს კი იწვევს ტურისტული ობიექტების ფართობის შემცირებას.

„კლიმატის ცვლილების“ მიხედვით, საქართველო (46,0 ქულით) 180 ქვეყანას შორის 65-ე ადგილზეა, ხოლო „კლიმატის ცვლილების შერბილების“ რგოლში მას 65-ე ადგილი უკავია. საქართველოში გარემოსდაცვითი ეფექტურობის ინდექსის ზოგიერთი გაუმჯობესებული მაჩვენებელის მიუხედავად, ეკოლოგიური უსაფრთხოება უარყოფითი ტენდენციით ხასიათდება.

გლობალური და ლოკალური პრობლემებიდან გამომდინარე, ბოლო წლებში მოგზაურობის მთავარი ტენდენცია ისეთი უსაფრთხო მიმართულების არჩევაა, როგორიცაა ეკოტურიზმი, რომლის განვითარებისათვის საქართველოში ყველანაირი პირობა არსებობს: გეოგრაფიული და ბიოლოგიური მრავალფეროვნება,

მდიდარი უნიკალური ფლორა და ფაუნა; ტერიტორიის სიმცირის მიუხედავად, აქ გავრცელებულია დედამიწის ზედაპირზე არსებული ჰავის თითქმის ყველა ტიპი, რაც წარმოადგენს ეკოტურიზმის განვითარების დიდ პოტენციალს. ქვეყანა ტურისტებს 182 საკურორტო ადგილს სთავაზობს, სადაც უკვე შექმნილია ან იქმნება ეკოტურიზმის შესაბამისი ინფრასტრუქტურა. დღევანდელი მდგომარეობით საქართველოში შექმნილია 14 სახელმწიფო ნაკრძალი, 14 ეროვნული პარკი, 40 ბუნების ძეგლი, 26 აღკვეთილი და 5 დაცული ლანდშაფტი, 1 მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია. ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) კრიტერიუმების მიხედვით, საქართველოში 6 სხვადასხვა კატეგორიის 100 დაცულ ტერიტორიას მთლიანი ფართობის 13% (912 862 ჰა) უკავია. ქვეყანაში დაცული ტერიტორიების 75% ტყეა, 26 ათასზე მეტი – დიდი და პატარა მდინარე, 860 ტბა, 55 ჩანჩქერი, 44 წყალსაცავი, 28 მღვიმე-გამოქვაბული, 2 ათასზე მეტი მინერალური და თერმული წყარო, თერაპიული ტალახის საბადოები, რომელთა ახლოს პოპულარული ბალნეოლოგიური კურორტებია განლაგებული.

საქართველოში ტურისტულ ბაზრებზე შემოთავაზებულია ტურისტული სერვისების შემდეგი ტიპები:

• კულტურული და რელიგიური ტურები (საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას აქვს მდიდარი ისტორია: უძველესი ტაძრები და სამონასტრო კომპლექსები მდებარეობს ქვეყნის ყველა რეგიონში);

• სამთო ტურები (მთები შეადგენს ქვეყნის ტერიტორიის 85%-ს; ჩრდილოეთით მას ესაზღვრება კავკასიონის ქედი შხარას და ყაზბეგის მწვერვალებით, რაც იწვევს მთამსვლელთა როგორც პროფესიონალების, ასევე მოყვარულების ინტერესს);

• სათხილამურო ტურები (ზამთრის სათხილამურო კურორტები – გუდაური, ბაკურიანი, მესტია – გთავაზობთ მომსახურების სრულ პაკეტს);

• ეკოტურები;

• სოფლის და აგროტურიზმის ტურები (სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის მრავალწლიანი გამოცდილების წყალობით, საქართველოს აქვს უზარმაზარი პოტენციალი ამ ტიპის ტურიზმის, განსაკუთრებით ღვინის ტურიზმის განვითარებისთვის);

• სამედიცინო ტურები (საქართველოში არის უნიკალური კურორტები სამკურნალო კლიმატით, წყლით, ტალახით და ა.შ.);

• სათავგადასავლო ტურები და მდინარის კანიონის ტურები;

• სანაპირო საკურორტო ტურები (ამ ტიპის დასვენება კონცენტრირებულია შავი ზღვის სანაპიროს კურორტებზე).

• ბიზნესტურები, მათ შორის სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებისთვის.

უკვე რამდენიმე წელია ჩვენი ქვეყანა განუხრელად ცდილობს წარმატებული ტურისტული ქვეყნების რიგში ჩადგეს და მოწინავე პოზიციები დაიმკვიდროს. ამ მიზნის მისაღწევად 2015 წელს საქართველოს მთავრობამ მსოფლიო ბანკის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით მიიღო „საქართველოში ტურიზმის განვითარების სტრატეგია – 2025“. სტრატეგიის მომზადებაში მონაწილეობდნენ ხელისუფლების, ტურისტული ბიზნესისა და საზოგადოების წარმომადგენლები. კერძოდ, ეროვნული და ადგილობრივი ხელისუფლების, სპეციალურად დაცული ტერიტორიებისა და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ადმინისტრაციების, ინვესტორების, ტუროპერატორების, სასტუმროებისა და საგანმანათლებლო ტურიზმის წარმომადგენლები. ინდუსტრიის განვითარების გეგმა საკმაოდ ამბიციურ მიზნებს ისახავს: 2025 წლისთვის საქართველო უნდა გახდეს ერთ-ერთი წამყვანი ტურისტული ქვეყანა, რომელიც შეძლებს უზრუნველყოს მსოფლიო დონის სერვისი წლის ნებისმიერ დროს. სტრატეგია ითვალისწინებს, რომ 2025 წლისთვის ქვეყანამ მნიშვნელოვნად გაზარდოს შემოსავალი ტურიზმიდან 5,5 მლრდ ლარამდე (2 მლრდ აშშ დოლარი), რაც საფუძველს იძლევა ითქვას, რომ საქართველო უკვე 2024 წელს მსოფლიო ტურიზმის ერთ-ერთი მთავარი მასპინძელი იქნება. ამას მოწმობს შემდეგი მონაცემები (იხ. ცხ. 3):

ცხრილი 3

ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები საქართველოში (მლრდ აშშ დოლარი)

	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
მოგზაურობიდან შემოსავლები	2,7	3,2	3,2	0.5	1,2	3,5	4.1
მოგზაურობიდან შემოსავლები მთლიან	16.6	18.3	18.7	3.4	6.7	14.3	

მშპ-ში							
ტურიზმის წილი მშპ-ში (%)							
	-	7,8	8,4	5,9	6,7	7,0	7,1

2023 წლის საქსტატის ანგარიშის მიხედვით, გასულ წელს ყველაზე მეტი ვიზიტი – 52.3% განხორციელდა დასვენების, გართობისა და რეკრეაციის მიზნით. ამასთან, ვიზიტების უმრავლესობა განხორციელდა თბილისსა და აჭარაში, შესაბამისად, – 3.0 მლნ და 2.7 მლნ ვიზიტი. ვიზიტებისას გაწეული ხარჯები 12.9 მლრდ ლარს გაუტოლდა, რაც 20.5 %-ით მეტია წინა წელთან შედარებით. ვიზიტზე საშუალო ხარჯი, 2022 წელთან შედარებით, 8.1 %-ით შემცირდა და 2,1 მლნ ლარი შეადგინა, ტურიზმის წილმა მშპ-ში კი – 7.1%.

2023 წლის განმავლობაში დაცულ ტერიტორიებს 1,1 მლნ ვიზიტორი ესტუმრა, ზრდამ წინა წელთან შედარებით 19.5% შეადგინა. აქედან უცხოელი ვიზიტორების წილი 58.2%, ქართველი ვიზიტორების წილი კი 41.8%-ია. ყველაზე მეტი ვიზიტორი პრომეთეს მღვიმეს – 231 ათ. (21.4%), მარტვილის კანიონს – 229 ათ. (21.2%) და სათაფლიას – 97 ათ. (9%) ესტუმრა. დაცული ტერიტორიების ტურისტული სერვისებიდან მიღებულმა შემოსავლებმა 11 მლნ ლარი შეადგინა, ზრდა წინა წელთან შედარებით 26.3%-ია. საქართველოს დაცულ ტერიტორიაზე ვიზიტორთა სტატისტიკაზე წარმოდგენას გვიქმნის შემდეგი მონაცემები (იხ. ცხ. 4):

ცხრილი 4

დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა სტატისტიკა
წლების მიხედვით (მლნ.კაცი)

	2020	2021	2022	2023	ცვლილება % 2022-2023
ვიზიტორები სულ	240,268	589,098	902,063	1,078,112	19.5%
უცხოელები	26,432	311,014	488,408	627,497	28.5%
ქართველები	213,836	278,084	413,655	450,615	8.9%

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო ტურისტებს წელიწადის ოთხივე სეზონზე იზიდავს, მათი განაწილება ქვეყნის რეგიონების მიხედვით სეზონურად განსხვავდება.

ზამთრის სეზონზე ტურისტების განსაკუთრებული მიზიდულობის ცენტრებია გუდაურის, ბაკურიანის, მესტიისა და გოდერძის სათხილამურო ტრასები თავისი ინფრასტრუქტურით.

შემოდგომაზე ტურისტებს განსაკუთრებით კახეთი ხიბლავს თავისი ღირსშესანიშნაობებით, სადაც ამ დროს ყურძნის მოსავალს იღებენ და 8 000 წლის ისტორიის მქონე ქართულ ღვინოებს აყენებენ.

ზაფხულში ტურისტების ძირითადი ნაკადი ან შავი ზღვის სანაპიროზე მიდის დასასვენებლად ან მაღალმთიან საქართველოს მიაშურებს.

გაზაფხულზე ულამაზესია ბაკურიანი (ბოტანიკური ბაღი) და სხვა **ალპური ზონის კურორტები,** ბორჯომისა და წაღვერის ხეობები თავიანთი მდიდარი ბუნებით, ალპური ჰავით, წიწვოვანი ტყეებით, რომლებიც ძალიან სასარგებლოა განსაკუთრებით პატარებისთვის**.** ასევე საინტერესოა გაზაფხული აჭარაში დაცული ტერიტორიებით, ისტორიული ძეგლებით, ფრინველებზე დაკვირვებისა და სოფლად ტურიზმის მიმართულებით.

ჩვენი ნაშრომის სათაურიდან გამომდინარე უნდა განვიხილოთ ასევე საქართველოს რეგიონებში ტურიზმის, როგორც დარგის განვითარების ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემები და შეძლებისდაგვარად მათი დაძლევის გზები.

დღეისათვის საქართველოში ყველაზე ტურისტული პოპულარული ობიექტებია: დედაქალაქი <u>თბილისი</u>, <u>მცხეთა</u>, ბათუმი, კახეთი და აჭარა, მაღალმთიანი სვანეთი, ასევე მთიანი თუშეთი, ხევსურეთი და ყაზბეგი. მაღალია ინტერესი აგრეთვე იმერეთის, სამცხე–ჯავახეთის, <u>ქვემო ქართლის</u>, <u>გურიისა</u> და სხვა კუთხეებისადმიც.

საქართველოს რეგიონების ტურისტული პოტენციალის ამაღლების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს საქართველოში ტურისტული რეგიონების ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა: გარემოს დაცვის ხარისხი და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და ჯანმრთე-

ლობასთან. მეტად საყურადღებოა აჭარის რეგიონის საკურორტო ზონისა და მისი დედაქალაქის ბათუმის ზღვისპირა ზოლის მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობა. ბუნებრივია, ბათუმის ზღვის სანაპირო – საპორტო აკვატორიით, ძველი და ახალი ბულვარით, დატვირთული სასტუმროებით და პარკებით, წარმოადგენს ქალაქის ერთ-ერთ განსაკუთრებულ და უმნიშვნელოვანეს ნაწილს, სადაც ტურიზმის განვითარების მხარდაჭერის მიზნით განხორციელებული თუ მიმდინარე სამშენებლო პროექტების შედეგად გადატვირთულია ზღვის სანაპირო ზოლი; შავი ზღვის წყლის სისუფთავე წარმოადგენს, ექსპერტების აზრით, ეკოლოგიური პრობლემების იმ მცირე ჩამონათვალს, რომლის დაძლევაც ჩვენს ქვეყანას ახლო მომავალში აუცილებლად მოუწევს. დღეისათვის სახელმწიფოს თუ სხვადასხვა კერძო ინვესტორების მხრიდან ტურიზმის განვითარებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნით, ერთი მხრივ, ხელი ეწყობა ბათუმში ტურისტების ნაკადის ზრდას, თუმცა, მეორე მხრივ, ბათუმის ზღვის სანაპირო ზონის მიმდებარე ტერიტორიების მაქსიმალურად ათვისება (სასტუმროები და სხვადასხვა სახის გასართობი პარკები) საგრძნობლად ამძიმებს ბათუმის ზღვისპირა ზოლის ეკოლოგიურ მდგომარეობას. ექსპერტების აზრით, ზღვის სანაპირო ზონაში კაპიტალური ნაგებობების მასიური მშენებლობები დაუშვებელია და საშიში. დღეს არა მარტო ბათუმის ბულვარის გასწვრივ, არამედ სარფიდან ანაკლიამდე, ზღვის სანაპირო ზონაში, პლაჟზე გაჩნდა მცირე კაპიტალური ნაგებობები, გასართობი და სავაჭრო ცენტრები, რაც ყოვლად დაუშვებელია. ძლიერი ღელვისას მსგავსი ნაგებობები ინგრევა და იქმნება ეკოლოგიურად დაბინძურებული პლაჟი. ბათუმის ზღვისპირა სანაპირო ზოლის მდგრადობის შენარჩუნებისათვის მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა სახის გასართობი და სავაჭრო ობიექტები მდებარეობდეს ზღვის სანაპირო ზონის მიღმა, პლაჟზე დასაშვებია მხოლოდ სეზონური ასაწყობ-დასაშლელი მსუბუქი კონსტრუქციის ნაგებობების შექმნა. იგივე შეიძლება ითქვას პოპულარული საკურორტო ადგილების შესახებ, როგორიცაა, მაგ., გონიო, კვარიათი, შეკვეთილის ზონა, ურეკი. ურეკი პლაჟის ქვიშის უნიკალური სამკურნალო-გამაჯანსაღებელი თვისებების გამო ითვლება საბავშვო კურორტად, სადაც ზაფხულის სეზონზე დამსვენებლებს შორის დიდია ბავშვების რაოდენობა.

გარდა ამისა, სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ზღვის ზოლის მექანიკური ნარჩენებით დაბინძურება – ზღვაში ჩამდინარე მდინარეების დაბინძურების დონე, რომელთაც ნაგავი პირდაპირ ზღვაში ჩააქვთ. განსაკუთრებით კარგადაა შესამჩნევი ეს გარემოება ზღვის ნაპირის სიახლოვეს, პლაჟებზე. ადმინისტრაციის მიერ ორგანიზებული გაწმენდითი სამუშაოების არაოპერატიულობისა და დაყოვნების შემთხვევაში ეს ნაგავი დღეების განმავლობაში პლაჟზე დაყრილი რჩება. მყარი ნარჩენებით დაბინძურების პოტენციური წყაროა, ერთი მხრივ, მდინარე და, მეორე მხრივ, თავად მჭიდროდ განაშენიანებული კურორტი. მაგ., ურეკი-შეკვეთილის პლაჟი ხეტყის ნარჩენების დიდი რაოდენობით გამოირჩევა. აქ ხეტყის გადამუშავების შედეგად მიღებულ ნარჩენებს, რომელიც ზღვისკენ ტრანსპორტირდება, დინება სანაპიროზე რიყავს. არასაკურორტო სეზონზე მყარი ნარჩენებით დატვირთვამ პლაჟის 50 მ-იან მონაკვეთზე შეადგინა 1585 ერთეული, საიდანაც 94.5% პლასტიკის ნარჩენებია. მონაცემების შედარების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ერთ დღეში დატვირთვა არასაკურორტო სეზონზე, საკურორტოსთან შედარებით, დაახლოებით 4-5-ჯერ ნაკლებია. ბოლო წლებში პლაჟურ ზონაში უკვე აშენებულმა და მშენებარე ნაგებობებმა, საერთო ჯამში, ნეგატიური ზეგავლენა მოახდინა დაახლოებით 3.5 კმ ნაპირზე. ამასთან ერთად ტურისტული ინფრასტრუქტურის ინტენსიური განვითარება არა მარტო ხელს უშლის რეგიონის მდგრად ეკოლოგიურ განვითარებას, არამედ ასევე ანადგურებს რეგიონის ლანდშაფტურ მიმზიდველობას, რამაც შესაძლოა ტურისტების ნაკადის კლება გამოიწვიოს. მით უფრო, რომ ამის გამოცდილება არსებობს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. გამომდინარე აქედან, აუცილებელია ადმინისტრაციული საზღვრების გაფართოების გეგმების შემუშავებისას რეგიონის ეკოლოგიური ლანდშაფტის მაქსიმალური დაცვის აუცილებლობა, სადაც, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია ზღვისპირა სანაპირო ზოლის ტერიტორიაზე სასტუმროთა ქსელის მშენებლობების დაგეგმისას ეკოლოგიური საკითხების მაქსიმალური გათვალისწინება.

მექანიკური ნარჩენებით დაბინძურებასთან ერთად სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ზღვისა და სანაპირო ზოლის ქიმიური დაბინძურება, კერძოდ, აჭარის რეგიონში ბათუმის შავი

ზღვის წყლიანი გარემოს ნავთობითა და ნავთობპროდუქტებით გაჭუჭყიანების შემაშფოთებელი რეალობა. ექსპერტთა აზრით, შავი ზღვის წყლის დაბინძურებამ უკვე კატასტროფული მასშტაბები მიიღო, რაც ახლო მომავალში ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევას გამოიწვევს და შემაშფოთებელია ბათუმის შავი ზღვის ბიოსფეროს მომავლისათვის. შავი ზღვის დაბინძურების შესამცირებლად გამოსავალია ახალი ტექნოლოგიების შემუშავება და დანერგვა, ამაში სახელმწიფოს აქტივობა მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ მის ინტერესებში შედის ახალი ტექნოლოგიების შემუშავებითა და დანერგვით რეგიონის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელის შეუწყობა.

კიდევ ერთი პრობლემაა ნაგავსაყრელები. საყურადღებოა, რომ დასავლეთ საქართველოში მოქმედი თითქმის ყველა ნაგავსაყრელი აშენებულია საბჭოთა პერიოდში. ბუნებრივია, ისინი ვერ აკმაყოფილებენ თანამედროვე გარემოსდაცვით მოთხოვნებს. ამის ძირითადი მიზეზი იყო შეზღუდული ფინანსური რესურსები და აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და ხელმძღვანელობის დეფიციტი. სამწუხაროდ, 63 ოფიციალური მუნიციპალური ნაგავსაყრელის უმრავლესობა ვერ აკმაყოფილებს მინიმალურ სტანდარტებს, ეს შეეხება პერსონალის განათლებას, სათანადო შემოღობვას, მიწისქვეშა წყლების დამცავ ბარიერებსა და ჩამდინარე წყლების შემგროვებელ-გამწმენდ სისტემებს. არალეგალური ნაგავსაყრელები ცალკე პრობლემაა, რომელთა რიცხვი წლებთან ერთად, სამწუხაროდ, იზრდება. შესაბამისად, ჰაერის დაბინძურების ხარისხის მაღალი ნიშნული და კლიმატის ცვლილება უფრო და უფრო სარისკო ხდება. დღესდღეობით საქართველოში ნარჩენების განთავსების სისტემის მთავარ ღერძს მუნიციპალური ნაგავსაყრელები ქმნის.

საქართველოს ტერიტორიის 45% წარმოადგენს ზვავწარმომქმნელ კერას, რომელთაგან 14% მოექცა დაბალი საფრთხის ზონაში, ამდენივე პროცენტი საშუალო საფრთხის ზონას ერგო, ხოლო მაღალი საფრთხის ზონაში აღმოჩნდა ქვეყნის მთლიანი ტერიტორიის 17%.

საქართველოს ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ძალიან მნიშვნელოვანია მეტი ყურადღება მიექცეს თოვლის ზვავების კვლევას და პროცესში თანამედროვე ტექნოლო-

გიების გამოყენებას, ვინაიდან მაღალმთიან რეგიონებში ზამთრის კურორტები ტურისტებისთვის საკმაოდ მიმზიდველია. თოვლის ზვავის საშიშროება ქვეყნის ზოგიერთი მუნიციპალიტეტის ნაწილს თითქმის ათთვიან იზოლაციაში ამყოფებს და მისი ეკოლოგიური უსაფრთხოებისთვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. გარემოს ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, აქ 5000-ზე მეტი იდენტიფიცირებული ზვავშემკრებია.

თოვლის ზვავების წარმოსაქმნელად ისეთ ბუნებრივ ტრიგერ ფაქტორებთან ერთად, როგორიცაა მაგ., კლიმატის ცვლილება, ატმოსფერული ნალექი (თოვლი ან წვიმა), ნაქარი თოვლი, მზის რადიაცია, ტემპერატურის მკვეთრი ცვლილება, მიწისძვრა და სხვ., არსებობს აგრეთვე, ანთროპოგენური ტრიგერ ფაქტორებიც, მაგ., ტურისტული აქტივობები, სამთო-სათხილამური სპორტთან დაკავშირებული აქტივობები, ლაშქრობა, ავტოტრანსპორტითა და სხვადასხვა მექანიზმებით გამოწვეული ვიბრაციები, აფეთქებები და ა.შ.

ყველაზე ზვავსაშიში რეგიონი რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთია (74%), მას მოსდევს მცხეთა-მთიანეთი და აჭარა (66-66%). ტყის საფარს გააჩნია თოვლის ზვავის წარმოქმნის შემაფერხებელი ეფექტი. ფერდობებზე ტყის ჭრა ძალიან სახიფათოა, და, საბოლოო ჯამში, საფრთხეების ზრდის საკმაოდ სერიოზული ხელშემწყობი ფაქტორია. იმ რეგიონებში, სადაც ტყის საფარი ინტენსიურია, ზვავსაშიშროების ნაკლები საფრთხეა. მუდმივად, თითქმის ავტომატურ რეჟიმში, განახლებადი მონაცემები საშუალებას იძლევა ბუნებაში მომხდარი ცვლილებები სწრაფად აისახოს მონაცემთა ბაზაში, დამუშავდეს და მოხდეს ათასობით ზვავშემკრების სწრაფი დარუკება.

ბოლო წლებში კლიმატური ცვლილებები და ტყის ფართობების შემცირება სტიქიური უბედურების – წყალდიდობის, წყალმოვარდნის, მეწყრის, ღვარცოფის –მაპროვოცირებელი ფაქტორი ხდება. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია ისეთ მაღალმთიან ზონებში, როგორიცაა აჭარა-თრიალეთის მხარე (მაღალმთიანი აჭარა და ქვედა იმერეთი) და კავკასიონის სამხრეთ ფერდის რეგიონები (აფხაზეთი, სამეგრელო, რაჭა-ლეჩხუმი-სვანეთი, იმერეთი, შიდა ქართლი და, ნაწილობრივ, კახეთი). ხშირ შემთხვევაში მეწყრული პროცესები პროგნოზირებადია, თუმცა ყველაფრის წინასწარ შეს-

წავლა-პროგნოზირება შეუძლებელია, რადგან ამას ესაჭიროება დიდძალი დაფინანსება, მძლავრი ტექნიკური ბაზა და კარგად მომზადებული პერსონალი. ბოლო დროს საბედისწერო მეწყრული პროცესები განვითარდა რაჭაში, აჭარასა და იმერეთში, რასაც ემსხვერპლა არაერთი ტურისტისა თუ ადგილობრივი მოქალაქის სიცოცხლე. ამიტომ საქართველოში მეწყრული პროცესების პრევენციას გაცილებით მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

რეგიონებში ასევე დაბალია საზოგადოების დაინტერესება ეკოლოგიური პრობლემებით, რაც რეგიონში ტურისტებსა და ახალგაზრდებში ეკოლოგიური თვითშეგნების ამაღლების ხელშემშლელი ფაქტორია.

ამრიგად, რთული რელიეფის, გეოლოგიური და კლიმატური გლობალური პირობების გამო ბუნების სტიქიური მოვლენები საქართველოში გაზრდილია, განმეორებადი – ხშირი, საშიშროების რისკი კი – მაღალი. ბოლო წლებში შეიმჩნევა მათი გახშირება, რისი მიზეზიც არის როგორც კლიმატის ცვლილება, ასევე ადამიანის უარყოფითი ზემოქმედება. ვინაიდან ბუნებრივი სტიქიური პროცესები მაღალ საშიშროებას უქმნის ქვეყნის მოსახლეობას, ინფრასტრუქტურას და ეკონომიკას და მის დარგებს, მათ შორის ტურიზმსაც, მათი მართვის საკითხები განსაკუთრებული ყურადღების საგანს წარმოადგენს. ეკონომიკურ-ეკოლოგიური ზარალისა და ადამიანთა მსხვერპლის მინიმიზაციისთვის მიმდინარეობს მოსალოდნელი სტიქიური მოვლენების შესახებ წინასწარი გაფრთხილების და მონიტორინგული სისტემის ჩამოყალიბება. ტურისტულ ეკოლოგიური უსაფრთხოებისთვის გარემოსდაცვითი მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება ემსახურება გარემოს რაციონალური მართვისა და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის არსებით საკითხებს.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ გლობალური, ბუნებრივი, არასწორი ანთროპოგენული, ასევე ტურისტული საქმიანობის ფაქტორებით განპირობებული ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემები გვევლინება, როგორც ტურიზმისა და ტურისტული სხვადასხვა მიმართულებების განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელშემშლელი ფაქტორი. ამიტომ ბუნებაზე და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირების პოლიტიკა უნდა

იქცეს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობად ქვეყნის განვითარების პროგრამულ მიზნებსა და ამოცანებში, მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით. ქვეყანაში ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემები საკმარისზე მეტია და დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვს, რისთვისაც აუცილებელია მონიტორინგის ორგანიზაცია, გეოგრაფიულ-ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება, დამუშავება და ერთობლივი გადაწყვეტა. საერთაშორისო და ადგილობრივი ტურისტული პროექტების განხორციელებისას საგანგებო მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ტურისტულ ეკოლოგიურ უსაფრთხოებას. ნებისმიერი ტიპის ეკოტურისტული პროდუქტის დაგეგმვისას აუცილებლად გასათვალისწინებელია ძირითადი მოთხოვნები: სიცოცხლის უსაფრთხოება, ტურისტების ჯანმრთელობა, მათი ქონების დაცვის უზრუნველყოფა და გარემოს დაცვა. მნიშვნელოვანია სხვადასხვა ტიპის რესურსის რაციონალურად გამოყენება და ეკოტურისტული პრინციპების დაცვა.

ჩვენი ქვეყნის წინაშე მრავალი ეკოლოგიური გამოწვევაა, ამიტომ საჭიროა ახალი მიდგომები გარემოსდაცვით პოლიტიკასა და სახელმწიფო და ადგილობრივ კანონმდებლობაში: შესწავლილ იქნეს ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს ტურიზმის უსაფრთხოებაზე; განისაზღვროს საფრთხისა და რისკის სახეები და რისკების შემცირების გზები; დაისახოს ტურისტების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები და განისაზღვროს ტურისტული ორგანიზაციებისთვის წაყენებული მოთხოვნები უსაფრთხოების კუთხით; უნდა შემუშავდეს ნარჩენების შეგროვების პროგრამები; ასევე უნდა მოხდეს ტურისტული კომპანიებისთვის სტიმულირების შემოღება, რომელიც ამცირებს ტურიზმის მავნე ზემოქმედებას გარემოზე; ტურისტების ნაკადის რეგულირება პოპულარულ ურბანულ ადგილებში, ადგილობრივ ეკოსისტემაზე ზეწოლის შესამცირებლად; საინფორმაციო-გამაფრთხილებელი პანელების შექმნა ტურისტულ კომლექსებზე; ტურისტებისთვის საინფორმაციო კამპანიის ორგანიზება ტურიზმის კულტურის ცნობიერების განვითარების მიზნით; გარემოსდაცვითი კვლევების დაფინანსება მათი გარემოსდაცვითი პრობლემების უკეთ იდენტიფიცირებისთვის და მათ გადასაჭრელად სტრატეგიების შემუშავება და სხვ.

ტურისტული ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისას განსაზღვრული უნდა იყოს გრძელვადიანი მიზნები, მიმართულებები, ამოცანები და პრინციპები გრემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის ხანგრძლივი მოთხოვნების შესაბამისად, რაც ახალ ჰორიზონტს გახსნის ქვეყნისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პარტნიორობა სუფთა ჰაერისთვის საქართველოში, 22 აპრ. 2024 – *ჰაერის დაბინძურების გლობალური ინდექსის, IQAir*-ის მიხედვით, https://eu4georgia.eu/ka/partnioroba-sufta-haeristvis-sakartveloshi/
2. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების კონტროლი..., 15 დეკ. 2022 https://ge.boell.org/ka/2022/12/15/atmosperuli-haeris-dabindzurebis-kontroli-sakartveloshi-arsebuli-politika-da.
3. 11 მიზეზი თუ რატომ უნდა ეწვიო საქართველოს, https://georgia.travel/ka/რატომ-საქართველო.
4. 2024 Environmental Performance Index - Yale University, The 2024 EPI https://epi.yale.edu › EPI.
5. Georgia | Environmental Performance Index https://epi.yale.edu/country/2024/GEO.
6. ყუფარაძე დ., პატარიძე დ., 2024, დასავლეთ საქართველოს ეკოლოგიური პრობლემები, თსუ, კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტი, თბილისი, 2024, ISBN 978-9941-36-198-2. https://tsu.ge/assets/media/files/48/nashromebi/Dasavlet_Sakartvelos_Ekologiuri_Problemebi.pdf
7. რატომ არის თბილისში ჰაერი ცუდი ან ძალიან ცუდი?, 2023, 1 თებ. https://www.radiotavisupleba.ge/a/რატომ-არის-თბილისში-ჰაერი-ცუდი-ან-ძალიან-ცუდი/32251163.html.
8. შვეიცარიული კომპანია „აიქიუეარის“ ანგარიშის მიხედვით,.., 2024 21 მარტი.

https://1tv.ge/news/shveicariuli-kompania-aiqiuearis-angarishis-mikhedvit-saqartvelos-haeris-dabindzurebis-sashualo-machvenebeli-aqvs/
9. მცენარეთა დაცვა/სექტორის მიმოხილვა, https://eiec.gov.ge/News.aspx/Topics/OverView/9
10. საქართველოს კანონი ტურიზმის შესახებ, თავი I, ზოგადი. 2023, 28 დეკ. https://gnta.ge/wp-content/uploads/2024/01/საქართველოს-კანონი-ტურიზმის-შესახებ..pdf.
11. ქალაქის ეკოლოგიური პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები, 4 ნოე. 2010. https://ge.boell.org › 2010/11/04 › kalakis-ekologiuri-pr...
12. ძირითადი ეკოლოგიური პრობლემები კავკასიის რეგიონში, 26 ივნ. 2012 https://geoecoproblems.wordpress.com › 2012/06/26.
13. Развитие туризма в Грузии: в интересах экономики… https://tourlib.net/statti_tourism/devidze.htm
14. ეკოლოგიური კრიზისი – მსოფლიო და საქართველო. 22/12/2020 https://geoeconomics.ge/?p=12930.
15. საქართველოში თოვლის ზვავების საფრთხის შეფასება დისტანციური ზონდირების გამოყენებით, 2016, https://studentresearch.iliauni.edu.ge/saqarthveloshi-thovlis-zvavebis-saphrthkhis-shephaseba-distantsiuri-zondirebis-gamoqhenebith/
16. საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა 2023, https://gnta.ge/wp-content/uploads/2024/07/GEO.pdf
17. Взаимосвязь охраны природы и безопасности в туризме https://studme.org/400392/turizm/vzaimosvyaz_ohrany_prirody_bezopasnosti_turizme

Ketevan Kveladze

ECOLOGICAL SAFETY PROBLEMS OF TOURISM DEVELOPMENT IN THE REGIONS OF GEORGIA

Summary

Tourism is one of the most important and dynamically developing sectors of the world economy, contributing to the development of the social and economic sphere, increasing the population's income,

improving quality of life, creating jobs, developing infrastructure, increasing investments and so on. However, despite its rapid growth, it is also one of the most vulnerable sectors of the economy, facing various threats and risks.

In modern conditions, there is a clear tendency for environmental problems to worsen. World experience shows that a polluted and degraded environment (global warming, environmental and atmospheric pollution, ozone depletion, climate change, desertification, huge islands of plastic drifting in the oceans, ecosystem destruction, sharp reduction in biodiversity, and drinking water shortages) negatively affects the sustainability of a country's economy as a whole, and particularly impacts tourism and its safety.

In 2015, the Government of Georgia, with the financial and technical support of the World Bank, adopted the "Georgia Tourism Development Strategy - 2025," which aims for the country to significantly increase its tourism revenue by 2025, reaching 5.5 billion lari (2 billion USD). This sets the foundation for Georgia to become one of the key global tourism destinations as early as 2024.

Due to global and local challenges, the main travel trends in recent years have been focused on safe destinations, such as ecotourism, for which Georgia has all the necessary conditions: geographical and biological diversity, rich and unique flora and fauna, and despite its small size, the presence of almost all climate types found on the Earth's surface. This presents great potential for the development of ecotourism.

Currently, the most popular tourist destinations in Georgia include the capital city Tbilisi, Mtskheta, Batumi, Kakheti, and Adjara, as well as the high mountain regions of Svaneti, Tusheti, Khevsureti, and Kazbegi. There is also significant interest in regions like Imereti, Samtskhe-Javakheti, Kvemo Kartli, Guria, and others.

Global, natural, anthropogenic, and environmental safety issues caused by factors such as tourist activity have become significant barriers to the development of tourism and various tourist destinations. Therefore, policies aimed at reducing negative impacts on nature and the environment should become one of the most important goals in the country's development strategies, following the principles of sustainable

development. The state must develop a long-term tourism strategy, considering the unique characteristics of different regions.

Our country faces many environmental challenges, thus requiring new approaches in environmental policy and state and local legislation: the main factors influencing tourism safety should be studied; types of threats and risks should be identified, along with methods for mitigating them; measures should be introduced to ensure tourist safety; the flow of tourists should be regulated in popular urban areas to reduce pressure on local ecosystems; and funding should be provided for environmental research to better identify and solve environmental problems.

მედეა მელაშვილი

სახელმწიფო ბიუჯეტი და მასთან დაკავშირებული ფინანსური საფრთხეები

ანოტაცია. *ნაშრომი განიხილავს დღეისათვის ისეთ საჭირბოროტო საკითხს, როგორიცაა სახელმწიფო ბიუჯეტი და მასთან დაკავშირებული ფინანსური საფრთხეები. ქვეყანაში მთავრობა ადგენს საბიუჯეტო პოლიტიკას, რაც წარმოადგენს მთავრობის ბერკეტს, მოახდინოს გავლენა ეკონომიკაზე. ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროში, ასევე საბიუჯეტო საქმიანობაში შესაძლებელია სხვადასხვა მოულოდნელობების წარმოქმნა, მათგან ზოგი პროგნოზირებადია და ზოგიც არაპროგნოზირებადი. დარგის სპეციალისტები გამოყოფენ აგრეთვე შიდა და გარე საფრთხეებს, რომლებიც ნაშრომში საკმაოდ დაწვრილებითაა განხილული. აქვე აღნიშნულია, რომ საქართველოში საბიუჯეტო სისტემის ფუნქციონირებას არეგულირებს „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“, ხოლო საბიუჯეტო პროცესს კოორდინირებას უწევს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.*

ნაშრომში მოყვანილია ციფრობრივი მონაცემები, ჩამოყალიბებულია შესაბამისი დასკვნები.

საკვანძო სიტყვები: *სახელმწიფო, სახელმწიფო ბიუჯეტი, ფინანსები, ფინანსური უსაფრთხოება, ბიუჯეტის ხარჯები.*

***

სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური და სოციალური ფუნქციების შესასრულებელ მთავარ ინსტრუმენტს საჯარო ფინანსები წარმოადგენს. ფინანსური ურთიერთობების ერთობლიობას, რომელიც წარმოიქმნება სახელმწიფოსა და ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის სახელმწიფოს ფულადი საშუალებების ფონდების შექმნის, განაწილებისა და გამოყენების მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტი ეწოდება. იგი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებს და მიმართულებებს ასახავს, რაც, რა თქმა უნდა, მიმართულია მოქალაქეების კეთილდღეობის ამაღლებისაკენ. ქვეყანაში მოსახლეობის ცხოვრების დონე, შეიძლება ითქვას, რომ მთავრობის გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული, რადგანაც დაკავშირებულია ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, განათლებისა და სხვა მიმართულებების დაფინანსებასთან და სწორედ მთავრობა განსაზღვრავს პრიორიტეტებს და ბიუჯეტის ხარჯების ძირითად მიმართულებებს. შესაბამისად მთავრობა, პრიორიტეტებიდან გამომდინარე, ადგენს საბიუჯეტო პოლიტიკას, რაც წარმოადგენს მთავრობის ბერკეტს, მოახდინოს გავლენა ეკონომიკაზე. მისი ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების წახალისება და მისი კრიზისებისგან დაცვა, სტაბილური ფინანსური სისტემის შექმნა, ეკონომიკისა და სოციალური ინფრასტრუქტურის სტაბილური ფუნქციონირების აუცილებელი პირობების უზრუნველყოფა, რასაც იგი სხვადასხვა პროგრამებისა და ქვეპროგრამების მეშვეობით ახორციელებს.

ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროსა და პროცესში შესაძლებელია სხვადასხვა მოულოდნელობების წარმოქმნა. გამონაკლისი არც საბიუჯეტო საქმიანობაა. იმისთვის, რომ ქვეყანა მზად იყოს რაიმე მოულოდნელობებისაგან თავის დასაცავად, მნიშვნელოვანია ბიუჯეტის სწორი დაგეგმვა, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების განსაზღვრისას ხდება. ესენია: ლიმიტების დადგენა ფულადი სახსრების მიმართულებებსა და მოცულობებზე; გადასახადების ამოღების ეფექტიანად განხორციელება; ბიუჯეტის მიმდინარე ანუ არამწარმოებლური ხარჯების შემცირება; საინვესტიციო პროექტების სტიმულირება; სახელმწიფო ვალის მომსახურებაზე კონტროლი და სხვა.

არსებობს მრავალი რისკის ფაქტორი, საფრთხე და სხვა დესტრუქციული გარემოება, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს სახელმწიფოს საბიუჯეტო პოლიტიკის შედეგებზე. ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია ადგენს ეკონომიკურ სფეროში წარმოქმნილი საფრთხეების ჩამონათვალს, რომელთა მიხედვითაც ეკონომიკურ სფეროში ეროვნული უსაფრთხოების მთავარი სტრატეგიული საფრთხეა მისი დაბალი კონკურენტუნარიანობა; ნედლეულის ექსპორტის არაოპტიმალური მაჩვენებლის შენარჩუნება; პერსპექტიული ტექნოლოგიების არასაკმარისი დანერგვა; ეროვნული ფინანსური სისტემის დაუცველობა უცხოური კაპიტალის არასწორი ქმედებებისგან; მისი საინფორმაციო ინფრასტრუქტურის გაუმართაობა; ეროვნული ბიუჯეტის სისტემის დისბალანსი; ნედლეულის ბაზის გაუარესება, ამოწურვა და მარაგების შემცირება; მუშახელის პროგრესირებადი დეფიციტი; ჩრდილოვანი ეკონომიკის მნიშვნელოვანი წილის შენარჩუნება; ეკონომიკურ და ფინანსურ ურთიერთობებში კორუფციისა და კრიმინალიზაციის მაღალი დონე; რეგიონების არათანაბარი განვითარება და სხვ.

ჩამოთვლილ საფრთხეთაგან შეიძლება იყოს პროგნოზირებადი და არაპროგნოზირებადი საფრთხეები, რომლებიც წარმოიქმნება სხვადასხვა პირობებში. პირველი მათგანი უკვე ცნობილია წარსულის გამოცდილებიდან და სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებით შეიძლება მისი დროულად გამოვლენა და აღმოფხვრა. რაც შეეხება არაპროგნოზირებად საფრთხეებს, ისინი ჩნდება მოულოდნელად და, როგორც წესი, დაკავშირებულია სხვადასხვა სამთავრობო ორგანიზაციების გაუთვალისწინებელ ქმედებებთან, სამართლებრივ სფეროში ცვლილებებთან, სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური სიტუაციის მოულოდნელ დეფორმაციასთან, ფორსმაჟორებთან და ა.შ.

ჩვენთვის საინტერესოა ფისკალური და ფინანსური უსაფრთხოება, როგორც ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ნაწილი. იგი დაკავშირებულია კონკრეტულად გადახდის სისტემასთან და ფისკალურ პოლიტიკასთან. ფინანსური საბიუჯეტო უსაფრთხოება არის ფინანსური სისტემის ისეთი მდგომარეობა, რომელშიც საჭირო ფინანსების არსებობის პირობებში სახელმწიფო ორგანოების და ადგილობრივი ხელისუფლების კომ-

პეტენტური მოქმედებების შედეგად უზრუნველყოფილია მისი განვითარება, მთლიანობა და ერთიანობა, სტაბილურობა, წინააღმდეგობის უნარი შიდა და გარე საფრთხეების მიმართ, დაბალანსებულობა, ფინანსური ურთიერთობის ყველა მონაწილის ინტერესების დაცვა, კონკურენტუნარიანობა, დამოუკიდებლობა და ეფექტურობა.

მეცნიერებაში ყველაზე მეტად გავრცელებულია ეკონომიკურ სფეროში საფრთხეების იდენტიფიცირება მათი წარმოშობის სფეროდან გამომდინარე. ამის საფუძველზე გამოიყოფა შიდა და გარე საფრთხეები.

დარგის ექსპერტების აზრით, შიდა საფრთხეებს განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი, საბიუჯეტო სისტემის მდგომარეობა და მიმდინარე ფისკალური პოლიტიკა. შიდა ფაქტორები დაკავშირებულია სამთავრობო ხელისუფლების საქმიანობასთან, საბაზრო ეკონომიკის მაკროეკონომიკურ და მიკროეკონომიკურ არასტაბილურობასთან. ისინი გამოწვეულია სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების დროს წარმოებული პროცესებით. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ხარისხი და მათი განხორციელების მექანიზმი: საბიუჯეტო და საგადასახადო დისციპლინა, მისი შესაბამისობა ქვეყნის კანონმდებლობასთან; ფედერალურ და რეგიონულ ხელისუფლებას შორის არსებული წინააღმდეგობები, განსაკუთრებით მათი კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის განაწილებასთან დაკავშირებით და ა.შ. მათ მიეკუთვნება:

ეროვნული ეკონომიკური და ბუნებრივი რესურსების არათანაბარი პოტენციალი და განაწილება რეგიონებში;

შიდა სახელმწიფო ვალის მაღალი დონე, მისი შემდგომი ზრდა, საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციებიდან სახელმწიფო გარანტიების უკონტროლო გაცემა, რაც ზრდის სახელმწიფო გადახდისუუნარობის საშიშროებას და საგადასახდელო ბალანსის კრიზისის წარმოქმნას დაგროვილი ვალების ანაზღაურებისას;

რეგიონების არათანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკურად ჩამორჩენილი ტერიტორიების არსებობა, ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის მაჩვენებლის დიდი განსხვავება სხვადასხვა რეგიონში;

რეგიონების ეკონომიკური სტრუქტურის დივერსიფიკაციის განსხვავებული ხარისხი, უმეტესი ტერიტორიების ინფრასტრუქტურის სუსტი განვითარება, რეგიონებში დაგროვილი წარმოების დონის, სამეცნიერო, ტექნიკური და საკადრო პოტენციალის მნიშვნელოვანი დიფერენციაცია, რეგიონული პროდუქციის უმეტესობის დაბალი კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით; უცხოელი მწარმოებლების პოზიციების მკვეთრი გაძლიერება შიდა ბაზარზე;

ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტის გარეშე საქმიანობის განხორციელება რეგიონების ეკონომიკური განვითარების ინტერესების საზიანოდ, ანუ ბიუჯეტის დეფიციტის გადატანა ფედერალური ბიუჯეტიდან ადგილობრივ ბიუჯეტებში, სახელმწიფო შემოსავლების დეცენტრალიზაცია და დისპერსია, რაც საბოლოოდ იწვევს მთელი საბიუჯეტო სისტემის უკონტროლობას;

რეგიონების მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის განსხვავებულობა, კერძოდ, რეგიონებში არასაკმარისად განვითარებული სოციალური ინფრასტრუქტურა, ღარიბთა წილის ზრდა, უმუშევრობის დონის ზრდა, ხელფასების დაბალი დონე, დანაშაულის მაჩვენებლების ზრდა და ა.შ.;

რეგიონებში ეფექტური საინვესტიციო პოლიტიკის არარსებობა, დაბალი საინვესტიციო აქტივობა რეგიონების საინვესტიციო მიმზიდველობის „იმიჯის“ დაქვეითების გამო;

ბიუჯეტის შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების პროცესში წარმოქმნილი სიტუაციური ცვლილებების შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არასრულყოფილება, მაგ., ჯარიმებისა და მისი გამოთვლის მექანიზმის ხარვეზები;

საბიუჯეტო სახსრების ბოროტად გამოყენება, როდესაც ეკონომიკური პოტენციალი იხარჯება სახელმწიფო ვალის მომსახურებაზე, რეალურად კი სახელმწიფო ადმინისტრირებაზე, სახელმწიფო აპარატის შენარჩუნების ხარჯებზე და ა.შ.;

კორუფცია, საჯარო რესურსებზე უფლებების გაუმართლებელი გამოყენება;

საბიუჯეტო შემოსავლების არასტაბილურობა, ბიუჯეტის ხარჯებსა და მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის შესაძლო შეუსაბამობა და სხვ.

რაც შეეხება გარე საფრთხეებს, უპირველეს ყოვლისა, ისინი დაკავშირებულია მსოფლიო ეკონომიკისა და მსოფლიო ფინან-

სური ბაზრების გლობალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესებთან გლობალურ ეკონომიკაში, როგორიცაა საერთაშორისო მონეტარული და ფინანსური ურთიერთობები, საერთაშორისო ვაჭრობა და ა.შ. სპეციალისტები გარე საფრთხეებად აგრეთვე მიიჩნევენ:

მსოფლიო ფასებისა და საგარეო ვაჭრობის პირობების სტრუქტურულ ცვლილებებს გლობალიზაციის პროცესების კონტექსტში;

ცვლილებებს საბიუჯეტო, საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში სახელმწიფოთა დონეზე;

ვალუტის არასტაბილურობას;

ინფლაციური პროცესების გავრცელებას;

ფინანსური ვალის ზრდას, საგარეო კრედიტებზე დამოკიდებულების ზრდას, როდესაც საგარეო ვალი აღემატება სუვერენული სახელმწიფოსთვის მისაღებ კრიტიკულ დონეს;

სხვადასხვა ადგილობრივი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებას წამყვანი ქვეყნებისა და გლობალური ფინანსური ჯგუფების ინტერესების შესაბამისად;

მსოფლიო კაპიტალის ბაზარზე ფინანსური და სამრეწველო კაპიტალის მიგრაციული ნაკადების არასტაბილურობასა და ცვალებადობას;

ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და უცხოელი ინვესტორების მზარდ ფინანსურ გავლენას ეროვნულ ეკონომიკაზე გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში ხელსაყრელი ადგილისთვის ზეწოლის ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით;

გლობალური ეკონომიკური სისტემის მზარდ არასტაბილურობას, გლობალურ ეკონომიკურ კრიზისებს, გლობალური ფინანსური ინსტიტუტების შესაძლო არაეფექტურობას და სხვ.

საქართველოში საბიუჯეტო სისტემის ფუნქციონირებას არეგულირებს „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ფორმირების პრინციპებს, არეგულირებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტების მომზადების, განხილვის, დამტკიცების, ბიუჯეტების შესრულების, ანგარიშგებისა და კონტროლის წესებს, აგრეთვე საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების და ამ ხელისუფლებების ორგანოების მიერ

დაფუძნებული იურიდიული პირების საბიუჯეტო ურთიერთობებსა და პასუხისმგებლობას.

საბიუჯეტო პროცესს კოორდინირებას უწევს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, რომელიც ბიუჯეტის შედგენამდე განსაზღვრავს საშუალოვადიან მაკროეკონომიკურ და ფისკალურ პროგნოზებს და ძირითად მიმართულებებს.

საქართველოს ეკონომიკა ბოლო ათწლეულების განმავლობაში არაერთხელ დადგა სერიოზული გამოწვევების წინაშე. ბოლო პერიოდში საქართველოში ფინანსური რესურსების მობილიზაციის მიზნით არსებითი ხასიათის ეკონომიკური რეფორმები განხორციელდა, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაიზარდა მთლიანი შიდა პოდუქტი ერთ სულზე გაანგარიშებით (იხ. ცხრ. 1).

ცხრილი 1

მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე საქართველოში

წლები	2020	2021	2022	2023
მშპ 1 სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	4300.9	5083.6	6729.9	8120.4

შედეგად, ბოლო ათწლეულში ქვეყანამ დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებიდან საშუალო დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნების რიგში გადაინაცვლა, თუმცა გარკვეული გამოწვევები ისევ დგას ქვეყნის წინაშე. მათი დაძლევისათვის და შედეგად ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარებისათვის ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორად ეფექტური ფისკალური პოლიტიკა განიხილება.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლების განმავლობაში მთავრობის დიდი ძალისხმევის შედეგად საქართველოს ეკონომიკაში პროგნოზირებულთან შედარებით ზრდის გაცილებით მაღალი ეკონომიკური ტენდენციები ჩამოყალიბდა. 2021 წელს რეალურმა ეკონომიკურმა ზრდამ ორნიშნა მაჩვენებელს მიაღწია: მან თავდაპირველად პროგნოზირებული 4,3%-ის ნაცვლად 10,6%, 2022 წლისთვის პროგნოზირებული 6,0%-ის ნაცვლად 10,9% შეადგინა, ხოლო 2023 წელს 7.47%-ს გაუტოლდა (იხ. ცხრ. 2).

ცხრილი 2

რეალური ეკონომიკური ზრდა საქართველოში (2020-2023 წლებში)

წლები	020	021	022	023
რეალური ეკონომუკური ზრდა საქართველოში (%)	6.29	0.64	0.96	.47

საქართველოს ეკონომიკური ზრდის წარმატებული მაჩვენებლების მიუხედავად, ქვეყნის საბიუჯეტო სისტემა საკმაოდ მკაცრი გამოწვევების წინაშე დგას. მაგ., სხვადასხვა საერთაშორისო კვლევების მიხედვით, ნებისმიერი ქვეყნის, მ. შ. საქართველოს საბიუჯეტო სისტემის უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ოპტიმალური ბიუროკრატიული აპარატის არსებობა. მის შენახვაზე გაწეული ყოველწლიურად მზარდი ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტის წარმატებით ფუნქციონირების ერთ-ერთ პრობლემად ანუ საფრთხედ რჩება.

მაგალითად, ზოგიერთი მკვლევარი აქვეყნებს მასალებს, რომლის მიხედვით საქართველო ბოლო პერიოდში ბიუროკრატიული აპარატის შენახვაზე ყოველწლიურად დაახლოებით 2 მლრდ ლარს ხარჯავს. კერძოდ, 2020 წლისათვის ამ ციფრმა 1,6 მლრდ ლარი შეადინა. ეს, რა თქმა უნდა, საკმაოდ მძიმე ტვირთად აწვება ქვეყნის ეკონომიკას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში გარკვეულწილად მაღალმა ეკონომიკურმა მაჩვენებლებმა, პრიორიტეტული მიმართულებების დაფინანსების ზრდასთან ერთად შესაძლებელი გახადა მთავრობის ვალის მაჩვენებლის შემცირება. კერძოდ, 2022 წლისათვის მან 2020 წლის 60,2%-დან 39,8%-მდე დაიწია. შემცირებულია აგრეთვე საქართველოს მთავრობის ხარჯები. მაგ., იგი 2022 წელს - 5.3 მლნ ლარს, ხოლო 2023 წელს 2.5 მლნ ლარს უდრიდა. აქედან საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციული ხარჯები 2022 წლის 52.9 ათასი ლარიდან 2023 წელს 24.1

ათას ლარამდე შემცირდა. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ არის საკმარისი. ჩვენ მიერ ყოველივე ზემოთქმული ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ საბიუჯეტო საფრთხეების თავიდან აცილება ამ სფეროში პირველ რიგში კანონმდებლობის მოწესრიგებამ უნდა უზრუნველყოს. აუცილებელია ბიუჯეტის თითოეულ დარღვევაზე კონკრეტული სანქციების დაწესება, ანუ საბიუჯეტო კანონმდებლობის დარღვევისთვის პასუხისმგებლობის სახეების სიმრავლის აღმოფხვრა, რადგანაც დღეისათვის არსებული სიმრავლე კანონის დაცვის პროცესში ლავირების საშუალებას იძლევა და ვერ მოაქვს სასურველი შედეგი.

აგრეთვე ხაზგასასმელია ფინანსური და საბიუჯეტო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემის ეფექტური მუშაობა, რომელიც დამოკიდებულია, კერძოდ, რეგიონისა და მთლიანად სახელმწიფოს ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებაზე, ამიტომ სახელმწიფომ დროულად უნდა მოახდინოს საფრთხეებს გაჩენის დიაგნოსტიკა და აღმოფხვრას უარყოფითი ფაქტორები იმ მომენტამდე, ვიდრე ისინი დაიწყებენ დამღუპველი გავლენის გატარებას ეკონომიკაზე. ამიტომ ვთვლით, რომ ქვეყანაში თანამედროვე პირობებში ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი ამოცანაა ფინანსური და საბიუჯეტო სისტემის რისკების მონიტორინგისა და დიაგნოსტიკური მექანიზმის შექმნა. ამის გაკეთება შესაძლებელია უცხოური გამოცდილების გათვალისწინებით და შედეგად ზემოთ ჩამოთვლილი საფრთხეების გათვალისწინებით, მათგან ეფექტური თავდაცვის მწყობრი სისტემის ჩამოყალიბება და მისი განხორციელება.

ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის წარმატებით ფუნქციონირების პროცესში შესაძლო პრობლემების გამოვლენა, პრევენციული ღონისძიებების გატარება და მათი აღმოფხვრა ქვეყნის არამარტო საბიუჯეტო სისტემის განვითარების, არამედ მთლიანად ეკონომიკური მდგრადობის უმნიშვნელოვანესი წინაპრობაა. ეს ყოველივე, ჩვენი აზრით, ქვეყნის მთავრობის პრეროგატივას წარმოადგენს და მხოლოდ სახელმწიფოს ხელეწიფება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მედეა მელაშვილი, „სახელმწიფო ბიუჯეტის სტრუქტურა და მასთან დაკავში-რებული ეკონომიკური საფრთხეები“. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერ-სიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტი-ტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. XVI, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომ-ცემლობა, თბილისი, 2023,. გვ. 565-577 ISSN 1987 – 6904.
2. http://ru.solverbook.com/spravochnik/ekonomika/struktura-gosudarstvennogo-byudzheta/Структура государственного бюджета.
3. https://conferenceconomics.tsu.ge/?mcat=0&cat=arq&leng=ge&adgi=1194&title83%98∘ მარინა მუჩიაშვილი, ნინო ხატისაშვილი, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების სტრუქ-ტურის სტატისტიკური ანალიზი.
4. https://idfi.ge/ge/analysis_of_bureaucratic_costs_of_draft_2022_state_budget 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის ბიუროკრატიული ხარჯების ანალიზი სიახლეები, ეკონომიკა და სოციალური პოლიტიკა, აქტუალური თემები, ღია მმართველობა, ანალიზი, 26 ოქტომბერი ,2021.
5. https://www.mof.ge/5603
6. https://forbes.ge/pandemiuri-biujetis-para
7. https://ru.theglobaleconomy.com/Georgia/Economic_growth

Medea Melashvili

STATE BUDGET AND RELATED FINANCIAL THREATS

Summary

Public finances are the main instrument for the state to perform economic and social functions. Based on the government's priorities, it establishes a budgetary policy, which is the government's lever to influence the economy. One of its main tasks is to encourage the country's economic development and protect it from crises, create a stable financial system, and ensure the necessary conditions for the stable functioning of the economy and social infrastructure. In order for

the country to be ready to protect itself from any surprises, it is important to plan the budget correctly.

There are many risk factors, threats, and other destructive circumstances that can affect the results of the state's budgetary policy. The country's national security strategy establishes a list of threats arising in the economic sphere, according to which the main strategic threat to national security in the economic sphere is its low competitiveness; maintaining a suboptimal rate of raw material exports; Insufficient introduction of promising technologies; vulnerability of the national financial system to the wrong actions of foreign capital; malfunction of its information infrastructure; imbalance of the national budget system; deterioration, depletion and reduction of raw material base; progressive shortage of labor; preservation of a significant share of the shadow economy; high level of corruption and criminalization in economic and financial relations; uneven development of regions, etc.

Financial budget security is a state of the financial system in which, in the presence of the necessary finances, as a result of competent actions of state bodies and local authorities, its development, integrity and unity, stability, resistance to internal and external threats, balance, protection of the interests of all participants in financial relations, competitiveness, independence and efficiency are ensured.

The most common in science is the identification of threats in the economic sphere based on their sphere of origin. On this basis, internal and external threats are distinguished.

The functioning of the budget system in Georgia is regulated by the “Budget Code of Georgia”. The budget process is coordinated by the Ministry of Finance of Georgia, which determines medium-term macroeconomic and fiscal forecasts and main directions before drawing up the budget.

Identifying possible problems in the process of successful functioning of the country’s state budget, implementing preventive measures and eliminating them is the most important prerequisite for the development of not only the country’s budget system, but also the economic sustainability of the country as a whole. All this, in our opinion, is the prerogative of the country’s government and is the sole responsibility of the state.

ზურაბ ნოზაძე

საქართველოს რეგიონებში წყლის რესურსების გამოყენების დონე და შესაბამისი ეკონომიკური საფრთხეები

ანოტაცია. *ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს რეგიონებში წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სფეროში სახელმწიფოს მნიშვნელოვანი, გადამწყვეტი როლი.*

მოცემულია ზედაპირული წყლის აღებისა და ჩამდინარე წყლების ჩაშვების ნორმირების ძირითადი მაჩვენებლები, მავნე ნივთიერებების ჩაშვების შემცირების ღონისძიებები, წყლის შემადგენლობისა და თვისებების ისეთი მაჩვენებლების დადგენა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის ჯანმრთელობისათვის კარგი ეკოლოგიური პირობებისა და უსაფრთხო გარემოს შექმნას.

მოცემულია წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის ინტეგრირებული მართვის სისტემის დანერგვის აუცილებლობა, გაანალიზებულია მისი განხორციელების მთავარი მიმართულებები და მაჩვენებლების მთელი სისტემა.

მოცემულია წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის ინტეგრირებული მართვის ძირითადი პრინციპები.

მოცემულია წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის მიერ უზრუნველყოფილი სხვადასხვა კომპონენტების ჩამონათვალი, გაანალიზებულია წყლის რესურსების ჩარჩო დირექტივის მთავარი ფუნქციები და დანიშნულება.

გაანალიზებულია წყალსარგებლობისა და წყალჩაშვების, საკურორტო მიზნებისათვის და სხვადასხვა საქმიანობისათვის ლიცენზირების პირობები, მოცემულია წყლის დაცვისა და გამოყენების სფეროში საკანონმდებლო ბაზის დადგენა და მისი ანალიზი.

გაანალიზებულია ზედაპირული წყლების დაბინძურების თავიდან აცილებისა და მასთან ბრძოლის ძირითადი საშუალებები. საქართველოს რეგიონებში წყლის რესურსების მოხმარების, დაცვისა და მართვის სფეროში იურიდიული პირის უფლება-მოვალეობების განხორციელების მთავარი მიმართულებები.

მოცემულია საქართველოს რეგიონებში მდინარეთა სააუზო მართვის მიზნებისათვის შექმნილი ტერიტორიული ერთეულების ეკოლოგიურ-ეკონომიკური ანალიზი.

****

საქართველოში წყლის რესურსების გამოყენების, დაცვისა და მართვის მარეგულირებელ ჩარჩო კანონს წარმოადგენს კანონი ,,წყლის შესახებ“. წყლის დაცვისა და გამოყენების სახელმწიფო მართვა ხორციელდება აღრიცხვის, მონიტორინგის, ლიცენზირების, კონტროლისა და ზედამხედველობის მეშვეობით. წყლის მართვის მთავარი ინსტრუმენტია წყალმომხმარების ავტორიზაცია. ზედაპირული წყლების აღება და მათში მავნე ნივთიერებების ჩაშვების ნორმირება ხდება იმგვარად, რომ დაცული იყოს ზედაპირული წყლების ხარისხობრივი მდგომარეობი კანონმდებლობით დადგენილი მაჩვენებლები. ზედაპირული წყლების ხარისხის ნორმირების მიზანია წყლის შემადგენლობისა და თვისებების ისეთი მაჩვენებლების დადგენა, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხო გარემოს, შესაბამისი სახის წყალსარგებლობის ხელსაყრელ პირობებს და ასევე წყლის ობიექტების კარგ ეკოლოგიურ სტატუსს.

ზედაპირული წყლის ობიექტების ხარისხობრივ ნორმებზე დაყრდნობით ხდება ამ ობიეტებში დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ლიმიტების განსაზღვრა. ზედაპირული წყლის ობიექტებიდან წყალაღების მაჩვენებლები თანხმდება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე კი აღნიშნული საქმიანობა თანხმდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსთან. მიწისქვეშა წყლების ამოღება არასაყოფაცხოვრებო მიზნებისათვის ლიცენზირებას ექვემდებარება.

წყლის ხარისხისა და წყლის რესურსების მართვის სფეროში საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ვალდებულებებს შორის არის წყლის რესურსების მართვის ძირეულად ახალი, საუზო მართვაზე დაფუძნებული მოდელის დანერგვა, წყლის რესურსების ურბანული ჩამდინარე წყლებით და ნიტრატებით დაბინძურებისაგან დაცვა, სხვა გარემოსდაცვითი ღონისძიებები და წინადადებები.

წყლის რესურსების მართვასთან დაკავშირებული მიზნები არის მდგრადი განვითარების ეროვნულ პრიორიტეტებს შორის პირველ რიგში გამოცხადება, წყლის მდგრადი მართვის და სანიტა-

რიული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა, წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის განხორციელება, და ინ-ტეგირირებული მართვის განხორციელების ხარისხი, წყლის მარ-თვის ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისი, სააუზო სისტე-მების დანერგვა და განხორციელება.

წყალი სასიცოცხლო მნიშნელობის, მრავალფუნქციური გამოყენების ბუნებრივი რესურსია, რომლის არამდგრადმა გამოყე-ნებამ შეიძლება გამოიწვიოს მდინარეში წყლის ხარჯის შემცირება, წყლის ხარისხის დეგრადაცია და შედეგად გამოუსწორებელი ზია-ნი მიაყენოს წყალზე დამოკიდებულ ეკოსისტემას, ასევე შესაძლე-ბელია საფრთხე შეექმნას ადამიანის საჭიროებისათვის წყლის სა-თანადო რაოდენობისა და ხარისხის უზრუნველყოფას. საქართვე-ლოში გამოწვევად რჩება ზეწოლა ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ხარისხობრივ და რაოდენობრივ მაჩვენებელზე, რაც აისა-ხება წყლის რესურსების დაბინძურებით და გრძელვადიან პერს-პექტივაში წყლის რესურსების შემცირებით, იწვევს რისკს და საფ-რთხის ქვეშ აყენებს წყლის რესურსების ხელმისაწვდომობას.

გარემოსდაცვითი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნის საფუძველზე მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლის რე-სურსების მდგრადი მართვის უზრუნველსაყოფად წყალშემცველი ჰორიზონტების უსისტემო ექსპლუატაციის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილია ჭაბურღილების სახელმწიფო აღრიცხვის წესის დად-გენა შესაბამისი ნორმატიული აქტით.

განახლებადი წყლის რესურსებზე ზეწოლის პრევენციის მიზნით იგეგმება სასმელი და სარწყავი წყალმომარაგების სექ-ტორში ამორტიზებული წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია და სხვა ტექნიკური სამუშაოები, რაც შეამცირებს წყლის დანაკარ-გებს.

წყლის რესურსების რაციონალური მოხმარების ხელშეწყობა გულისხმობს, ერთი მხრივ, წყლის რაოდენობის მართვის ეფექტუ-რი მექანიზმების დანერგვას, ხოლო, მეორე მხრივ, წყლის რესურ-სების რაციონალური მოხმარების ხელშეწყობას ინფრასტრუქტუ-რისა და ტექნოლოგიების საშუალებით. წყლის რაოდენობის ეფექ-ტური მართვის უზრუნველსაყოფად ინერგება წყლის მართვის ეკონომიკური ინსტრუმენტი, როგორიცაა მოსაკრებელი.

წყლის რესურსების დაცვისა და მდგრადი გამოყენების უზრუნველსაყოფად, წყლის რესურსების მართვის სფეროში განისაზღვრა ერთი მთავარი მიზანი: წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის სისტემის დანერგვა.

- ინტეგრირებული მართვის სისტემა გულისხმობს წლის რესურსების მართვის კომპლექსურ სისტემას, რომელიც მოიცავს მართვის ყველა მნიშვნელოვან კომპონენტს, კერძოდ, სამართლებრივი (ინსტიტუციური) საფუძვლების შექმნას და წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის სისტემის - მდინარეთა სააუზო მართვა-დანერგვას; წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის დაგეგმვას (განხორციელების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფას); ეკოლოგიური სტატუსის მიხედვით წყლის ობიექტების კლასიფიკაციას; ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ჩამდინარე წყლით დაბინძურების საკითხის მოწესრიგებას, წყლის რესურსების მართვის ეკონომიკური მექანიზმების ამოქმედებას; წყლის რესურსებით სარგებლობის სრულყოფილი მონიტორინგის სისტემის შექმნას. წყალაღებისა და წყლის რესურსების გამოყენების აღრიცხვის სისტემის გაუმჯობესება ხდება კანონმდებლობის შესაბამისად.

- წყლის რესურსების ინტეგირირებული მართვა არის პროცესი, რომელიც მიმართულია კოორდინირებული განვითარების უზრუნველსაყოფად და წყლის, მიწისა და მასთან დაკავშირებული რესურსების რაციონალურად გამოყენებაზე, რაც მიიღწევა ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის მაქსიმიზაციის ხარჯზე სიცოცხლისათვის აუცილებელ ეკოლოგიურ სისტემაზე ზიანის მიუყენებლად.

- წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის ძირითად პრინციპებს წარმოადგენს:

1. წყლის რესურსების მართვა მდინარეთა წყალშემკრები აუზების დონეზე და არა ადმინისტრაციული საზღვრებით.

2. წყლის რესურსები და მიწები, სადაც ფორმირდება მდინარის აუზი, რომელიც უნდა იყოს ინტეგრირებული და მათი გამოყენების დაგეგმვა და მართვა უნდა იყოს კომპლექსური.

3. სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური ფაქტორები უნდა განიხილებოდეს ერთიანად, ინტეგრირებული წყლის რესურსების მართვად ჩარჩოებში.

4. ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები, ასევე ეკოსისტემები განხილული უნდა იქნეს ერთობლივად ინტეგრირებული წყლის რესურსების მართვის ჩარჩოებში.

5. წყლის რესურსებზე ეფექტური გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

6. წყლის რესურსების მდგრად მართვაზე გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელი პირობაა გამჭვირვალობა და ანგარიშგება.

- წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა უზურნველყოფს:

1. სხვადასხვა წყალმოსარგებლეთა (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა, კომუნალური მეურნეობა და სხვა) საქმიანობის კოორდინაციას და ინტერესების გათვალისწინებას.

2. მდინარეთა ზედა და ქვედა დინებაში განლაგებული წყალმოსარგებლეთა ინტერესების გათვალისწინებას.

3. ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების, ზღვის სანაპირო წყლების, აგრეთვე მიმდებარე ტერიტორიების მართვის ერთიანი სისტემების ჩამოყალიბებას.

4. დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის და მოსახლეობის ფართო ფენების მონაწილეობას მათი წინადადებების გათვალისწინებით.

წყლის რესურსების ჩარჩო დირექტივა

ერთგვაროვანი მონიტორინგის სისტემების ფორმირება და წყლის სფეროში მონაცემთა ინტეგრირებული ინფორმაციული სისტემის შექმნა.

წყლის ობიექტების დამცავი ზოლების (ზონების) აღრიცხვა და ამ ტერიტორიაზე საქმიანობათა ზუსტი რეგლამენტაცია.

სასმელი წყლის ხარისხის გაუმჯობესება და მისი შესაბამისობა ერთიან ევროპულ მოთხოვნებთან.

წყალმომარაგების, წყალარინებისა და წყლის გამწმენდი საწარმოების მიერ გაწეულ მომსახურებაზე ეკონომიკური და ასევე სოციალური თვალსაზრისით ოპტიმალური ტარიფების დაწესება.

ზედაპირული წყლების ხარისხის დეგრადაციის აღკვეთა. ზედაპირული წყლის ობიექტების დაცვა, გაუმჯობესება და

აღდგენა. წყლის სათანადო მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა და ჩამდინარე წყლებით გამოწვეული დაბინძურებისა და სახიფათო ნივთიერებათა ჩაშვების შემცირება.

მიწისქვეშა გრუნტის წყლების დაცვა, ხარისხის გაუმჯობესება და აღდგენა. მიწისქვეშა წყლების დაბინძურებისა და დეგრადაციის აღკვეთა. მიწისქვეშა წყლების მოხმარებასა და თვითაღდგენას შორის ბალანსის უზრუნველყოფა.

წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის მეთოდების დანერგვა მდინარეთა წყალშემკრები აუზების დონეზე.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული წყალი სახელმწიფო საკუთრებაა და გაიცემა მხოლოდ სარგებლობისათვის. კანონი კრძალავს ყოველგვარი სახის ქმედებას, რომელიც პირდაპირ და ფარული ფორმით ხელყოფს წყლის სახელმწიფო საკუთრების უფლებას. წყლის სახელმწიფო უფლების დარღვევა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით შესაბამისი ჯარიმებით ისჯება.

წყალსარგებლობა საქართველოში ფასიანია. წყალსარგებლობისათვის გაიცემა საქართველოს წყლის სახელმწიფო ფონდის ობიექტები, კერძოდ, საქართველოს ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები: მდინარეები, ტბები, წყალსაცავები, ბუნებრივი და ხელოვნური ზედაპირული წყალსატევები, არხებისა და ტბორების წყლები, მიწისქვეშა წყლები (მათ შორის წყაროები და კონტინენტური შელფის წყლები); მყინვარები და თოვლის მუდმივი საფარი, ჭაობები, საქართველოს ტერიტორიული წყლები. ამასთან განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობის ან განსაკუთრებული სამეცნიერო თუ კულტურული ღირებულების წყლების ობიექტებით სარგებლობა შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ იკრძალებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

წყალსარგებლობის ლიცენზიის მოპოვება აუცილებელია ზედაპირული წყლის ობიექტებიდან წყლის აღებისათვის, წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლების ჩაშვებისათვის, მიწისქვეშა წყლებით სარგებლობისათვის, საკურორტო და სპორტული მიზნებისათვის, წყლის ობიექტებზე ხეტყის დასაცურებლად, სამონადირეო მეურნეობის შესაქმნელად, სათევზე მეურნეობისათვის და სხვა.

წყლის რესურსების დაცვის ღონისძიებათა დაგეგმვისა და განხორციელების დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს წყლის ობიექტების დაცვა დაბინძურების, დანაგვიანების, დაშრეტისა და სხვა ისეთი უარყოფითი ზემოქმედებისაგან, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს მოსახლეობის ჯანმრთელობას, შეამციროს თევზის მარაგი, გააუარესოს წყალმომარაგების პირობები და გამოიწვიოს წყლის ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური თვისებების გაუარესება, ბუნებრივი თვითგაწმენდის უნარის დაქვეითება, წყლის ჰიდროლოგიური და ჰიდროგეოლოგიური რეჟიმის დარღვევა.

წყლის დაცვისა და გამოყენების სფეროში კანონმდებლობით წესდება:

წყლის მდგომარეობის ხარისხობრივი ნორმები, ანუ წყალში ადამიანის ჯანმრთელობისა და ბუნებრივი გარემოსათვის მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციისა და მიკროორგანიზმების რაოდენობათა ზღვრულად დასაშვები ნორმები;

წყლის ობიექტებში მავნე ნივთიერებათა ემისიის (ჩაშვების) ზღვრულად დასაშვები ნორმები; წყლის ობიექტებში სამრეწველო, საყოფაცხოვრებო, კომუნალური და სხვა ჩამდინარე წყლების ჩაშვების ნორმები, რომელიც დგინდება დაბინძურების ყველა კონკრეტული წყაროსათვის მისი ტექნოლოგიური თავისებურებებისა და ადგილმდებარეობის ფონური დაბინძურების გათვალისწინებით იმდაგვარად, რომ ემისიური ნივთიერებებისა და მიკროორგანიზმების კონცენტრაციამ ადგილზე არ გადააჭარბოს ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის დონეს.

წყლის ობიექტების დატვირთვის ნორმები, ანუ წყლის ობიექტებიდან წყლის ამოღების კვოტები, რომლებიც მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით დგინდება დამტკიცებული წყლის გამოყენებისა და დაცვის გენერალური, სააუზო და კომპლექსური სქემების და წყალსამეურნეო ბალანსების საფუძველზე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

გარდა ამისა კანონით განსაზღვრულია გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების აღრიცხვა, ანგარიშგება და შეფასება, რაც გულისხმობს გარემოს მდგომარეობისა და ბუნებრივი რესურსების კადასტრების შედგენას, სტატისტიკის წარმოებას, ინვენტარიზაციას, პასპორტიზაციასა და კარტოგრაფირებას.

განსაზღვრულია ზედაპირული წყლის დაბინძურების თავიდან აცილებისა და მასთან ბრძოლის ძირითადი საშუალებები: წყლის ობიექტებში წყლის ხარისხის ნორმირება; ზედაპირულ წყლებში დამაბინძურებული ნივთიერებების ჩაშვების რეგლამენტირება, სამეურნეო საქმიანობის რეგლამენტირება, რომელიც ზეგავლენას ახდენს წყლების მდგომარეობაზე; წყალდაცვითი ღონისძიებების დაგეგმვა; ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების, მასალებისა და ნივთიერებების, აგრეთვე საწარმოების მშენებლობის (რეკონსტრუქციის) პროექტების ეკოლოგიური ექსპერტიზა; კონტროლი წერტილოვანი და დიფუზიური წყაროებიდან დამაბინძურებელი ნივთიერებების ჩაშვების დადგენილი პირობების შესრულებაზე; ზედაპირული წყლების მონიტორინგი; წყლის დაბინძურების შესამცირებლად ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება; პასუხისმგებლობა წყალდამცავი მოთხოვნებისა და წესების დარღვევისათვის.

დგინდება წყალსატევების წყლის ხარისხის ნორმები წყალსარგებლობის ცალკეული კატეგორიების მიხედვით (სასმელ-სამეურნეო, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და თევზსამეურნეო წყალსარგებლობა). ამისათვის მოცემულია ზედაპირული წყლების შემადგენლობის და თვისებების დადგენილი ნორმატივები, გარდა ამისა ჩამდინარე წყლების თითეული წერტილისათვის დგინდება დამაბინძურებელ ნივთიერებათა ჩაშვების ზღვრულად დასაშვები ნორმატივები.

- წყლის დაცვაზე სახელმწიფო კონტროლს და მონიტორინგს ახორციელებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. წყლის დაცვის რეჟიმის დარღვევა, წყლის სხვადასხვა სახის დაბინძურება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით ისჯება შესაბამისი ჯარიმებით. საქართველოს რეგიონებში წყლის რესურსების მოხმარების დაგეგმვასა და შესაბამისი გეგმის მიხედვით მდინარეთა აუზების მართვას ახორციელებენ საჯარო სამართლის იურიდიული პირები, რომლებმაც ასევე უნდა უზრუნველყონ ზედაპირული წყლების ინვენტარიზაცია; ყველა სახის წყალმოსარგებლეთა ინვენტარიზაცია; ზედაპირული წყლების ობიექტების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონიტორინგის ქსელის შექმნა და მონიტორინგის წარმოება; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინის-

ტროს მიერ გაცემული წყალარინებისა და წყალჩაშვების ნებართ-ვების რეგისტრაცია; გაცემული ნებართვების მონიტორინგი; ნე-ბართვის პირობების შესრულების კონტროლი; მდინარის აუზის დაცვა არალეგალური საქმიანობისაგან; წყალდიდობისა და გვა-ლვებისაგან დაცვის გეგმების შემუშავება და განხორციელება, ნა-პირდაცვითი სამუშაოების წარმოება. საჯარო სამართლის იური-დიული პირების საქმიანობის სახელმწიფო კონტროლს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო ახორციელებს.

თავის მხრივ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორ-განოები ახორციელებენ მათ საკუთრებაში არსებული წყლის რესურსების მართვას. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგა-ნოების საკუთრებას წარმოადგენს ადგილობრივი მნიშვნელობის ჯგუფში შემავალი წყლის რესურსები და შესაბამისად ადგილობ-რივი თვითმმართველობის ორგანოები მათ საკუთრებაში არსე-ბული წყლის რესურსებს თავადვე მართავენ. ისინი განსაზღვრავენ წყლის რესურსების მართვის წესს; ზედამხედველობას უწევენ წყლის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის ღონისძიებებს; აღკვეთენ წყლის რესურების უნებართვო სარგებლობასა და წყლის ობიექტებზე თვითნებურ სამეურნეო საქმიანობას; ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიაზე ახორციელებენ წყლის დაცვისა და გამოყენების კონტროლს, აღრიცხვას, მისი გამოყენების რეგისტრირებას და სხვა.

სპეციალურ წყალსარგებლობაზე გაიცემა ორი სახის ნებართვა: ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალაღების ნებარ-თვა და ზედაპირული წყლის ობიექტში წყალჩაშვების ნებართვა. ამასთან წყალაღების ან წყალჩაშვების ნებართვის მისაღებად მოქმედი კანონმდებლობით შესაძლოა საჭირო გახდეს დამატე-ბითი დოკუმენტაცია, როგორიცაა მაგალითად, განმარტებითი ბა-რათი წყალსარგებლობის სახეობაზე და პარამეტრები; შესაბამისი გარემოსდაცვითი ტერიტორიული ორგანოს დასკვნა; საწარმოს ჩამდინარე წყლებთან ერთად ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვებულ დამაბინურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ნორმატივები.

წყლის რესურსების მართვის პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებას წყლის რესურსების სააუზო მართვის ჩანერგვა და

შესაბამისი სამართლებრივი და ინსტიტუციური საფუძვლების გაძლიერება წარმოადგენს.

საქართველოს რეგიონებში საუზო მართვის მიზნებისათვის შექმნილია შემდეგი საუზო ერთეულები:

ალაზანი-იორის საუზო უბანი;

მტკვრის საუზო უბანი;

ხრამი-დებადას საუზო უბანი;

ენგური-რიონის საუზო უბანი;

ჭოროხი-აჭარისწყალის საუზო უბანი;

ბზიფი-კოდორის საუზო უბანი.

<u>ალაზანი-იორის საუზო უბნის</u> აღნიშნული საზღვრები მოიცავს კახეთის რეგიონის – თელავის ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის, ყვარლის, მცხეთა-მთიანეთის, თიანეთის მუნიციპალიტეტებს. ალაზანი-იორის საუზო უბნის ძირითადი მდინარეებია: ალაზანი, იორი, ილტო, სტორი, ჩელთი, ლოპოტა, დურუჯი, თურდო, ხოდაშნის-ხევი, კაბალი, ადედი, ვაშლიანი, გომბორი, ოლე. ამ აუზში საშუალო და დიდი მდინარეების საერთო სიგრძე 680 კილომეტრია (საქართველოს ტერიტორიაზე), მთავარი ტბებისა და წყალსაცავების (ძირითადად სიონის წყალსაცავი) ზედაპირის საერთო ფართობი კი – 12კმ^2.

რაც შეეხება დაცულ ტერიტორიებს, ალაზანი-იორის საუზო უბანი მოიცავს ალგეთის ეროვნულ პარკს, ბაწარა-ბაბანეურის, ვაშლოვნის, თუშეთის დაცულ ტერიტორიებს, მა-რიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალს, ყაზბეგის ეროვნულ პარკს და ჭაჭურას აღკვეთილს.

ალაზანი-იორის საუზო უბნის საერთო მოსახლეობა შეადგენს 328051 (აქედან ქალაქის მოსახლეობა – 74376, სოფლის – 253675) ადამიანს. რაც შეეხება ეკონომიკურ საქმიანობას, აქ ყველაზე მეტი წვლილი შეაქვთ მრეწველობის, საბითუმო და საცალო ვაჭრობისა და მშენებლობის სექტორებს. აქ მოქმედებს 3223 კომპანია, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა შეადგენს მცირე ბიზნესს (98%). ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით კომპანიების პროცენტული წილი სექტორების მიხედვით ასე გამოიყურება: საბითუმო და საცალო ვაჭრობა – 56%; მრეწველობა – 14%; მშენებლობა – 6%. ამ აუზში დასაქმებული მოსახლეობის ნახევარზე

მეტი დასაქმებულია მცირე ბიზნესში (55%), მოსახლეობის 33% კი – საშუალო საწარმოებში. სექტორებს შორის დასაქმების განაწილების მიხედვით მოსახლეობის 27% დაკავებულია მრეწველობის სექტორში, 21% – საბითუმო და საცალო ვაჭრობის სექტორში, 11% – მშენებლობის სექტორში.

<u>**მტკვრის სააუზო უბნის**</u> საზღვრები მოიცავს ქ. თბილისს, სამცხე-ჯავახეთის (ადიგენი, ახალციხე, ასპინძა, ახალქალაქი, ნინოწმინდა და ბორჯომი), შიდა ქართლის (ხაშური, გორი, კასპი), ქვემო ქართლის (გარდაბანი, თიანეთი, თეთრიწყარო), მცხეთა-მთიანეთის (დუშეთი, სტეფანწმინდა და მცხეთა; ამ სააუზო უბანში მდებარეობს ცხინვალის რეგიონის ოკუპირებული ტერიტორიაც) რეგიონებს.

მტკვრის სააუზო უბნის ძირითადი მდინარეებია: მტკვარი, ფარავანი, ფოცხოვი, ქვაბლიანი, ბორჯომულა, დიდი ლიახვი, პატარა ლიახვი, მეჯუდა, ლეხური, აღმოსავლეთ ფრონე, კავთურა, ქსანი, არაგვი, ალგეთი, თერგი, ბაიდარა, სნოს წყალი, ჩიხერი, ბროლისწყალი.

მტკვრის სააუზო უბანში საშუალო და დიდი მდინარეების საერთო სიგრძე შეადგენს 930 კილომეტრს (საქართველოს ტერიტორიაზე), ხოლო მთავარი ტბებისა (ბაზალეთისა და ლისის ტბები) და წყალსაცავების (ჟინვალის, სამგორის, საღამოს ტბის, ფარავნის ტბის, ხოზაფინის ტბისა და ჯანდარის ტბის) ზედაპირის საერთო ფართობი – 106კმ^2-ს. რაც შეეხება დაცულ ტერიტორიებს, მტკვრის აუზის უბანში შედის ბორჯომი-ხარაგაულის პარკი, თბილისის ეროვნული პარკი, ყაზბეგის ეროვნული პარკი, ჯავახეთის დაცული ტერიტორია და ლიახვის ნაკრძალი.

მტკვრის სააუზო უბნის საერთო მოსახლეობა არის 1820487 (აქედან ქალაქის მოსახლეობა 1381808, სოფლის – 438679) ადამიანი. ეკონომიკურ საქმიანობაში ყველაზე მეტი წვლილი შეაქვს საბითუმო და საცალო ვაჭრობის, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სექტორს.

მტკვრის სააუზო უბანში მოქმედებს 43958 კომპანია, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა დაკავებულია მცირე ბიზნესით (დაახლოებით 97%). ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით კომპანიების პროცენტული წილი სექტორების მიხედვით ასე გამოიყურება: საბითუმო და საცალო ვაჭრობა – 43%, უძრავი ქო-

ნება – 16%, მრეწველობა – 6%. სააუზო უბნის ტერიტორიაზე მოსახლეობის 41% დასაქმებულია მცირე ბიზნესში, 37% – მსხვილ კომპანიებში. სექტორებს შორის დასაქმების განაწილების მიხედვით, 12% დაკავებულია მრეწველობის სექტორში; 24% – საბითუმო და საცალო ვაჭრობის სექტორში; 12% – უძრავი ქონების სექტორში.

<u>ხრამი-დებედას სააუზო უბნის</u> ფართობია 5202კმ^2. ხრამი-დებედას საზღვრები მოიცავს სამცხე-ჯავახეთის რეგიონს; ბორჯომის და ქვემო-ქართლის – წალკის, დმანისის, ბოლნისის, მარნეულის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებს.

ხრამი-დებედას სააუზო უბნის ძირითადი მდინარეებია: ქცია-ხრამი, კორსუჩაი, შავწყალა, ასლანის წყალი, შულავერი, მაშავერა, მოშევანი, ბოლნისი და დებედა. საშუალო და დიდი მდინარეების საერთო სიგრძეა 266 კმ. (საქართველოს ტერიტორიაზე). სააუზო უბნის ტერიტორიაზე მთავარი ტბებისა და წყალსაცავების (ტაბაწყურის ტბა და წალკის წყალსაცავი) ზედაპირის საერთო ფართობია 479კმ^2 .

რაც შეეხება დაცულ ტერიტორიებს, ხრამი-დებედას სააუზო უბანში შედის ბორჯომი-ხარაგაულის ეროვნული პარკი.

ხრამი-დებედას სააუზო უბნის საერთო მოსახლეობა შეადგენს 221207 (აქედან ქალაქის მოსახლეობა – 54890, სოფლად მცხოვრებთა რაოდენობა – 166317) ადამიანს.

ხრამი-დებედას სააუზო უბანში მოქმედებს 2330 კომპანია, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა დაკავებულია მცირე ბიზნესით (98%). ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით კომპანიების პროცენტული წილი სექტორების მიხედვით ასე გამოიყურება; საბითუმო და საცალო ვაჭრობა – 52%, მრეწველობა – 13%; უძრავი ქონება – 8%. სააუზო უბნის ტერიტორიაზე დასაქმებული მოსახლეობის 45% დაკავებულია მცირე ბიზნესებში, 31% – მსხვილ კომპანიებში. სექტორებს შორის დასაქმების განაწილების მიხედვით 31% დასაქმებულია მრეწველობის სექტორში 15% – საბითუმო და საცალო ვაჭრობის სექტორში, 7% – სამთო მრეწველობის სექტორში.

<u>ენგური-რიონის სააუზო უბანის</u> ფართობია 22416კმ$^{2.}$ სააუზო უბნის საზღვრები მოიცავს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონს (მესტიის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მარტვილის, ზუგდიდის,

ხობის, სენაკისა და აბაშის მუნიციპალიტეტები), ქ. ფოთს, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონს (ონის, ამბროლაურის, ლენტეხის და ცაგერის მუნიციპალიტეტები), ქ. ქუთაისს, გურიის რეგიონს (ლანჩხუთის, ოზურგეთის და ჩოხატაურის მუნიცი-პალიტეტები) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქობულე-თის მუნიციპალიტეტს.

ენგური-რიონის სააუზო უბნის ძირითადი მდინარეებია: ენგური, მულხრა, მაგანა, ნენსკრა, თხეიში, ჯუმი, რიონი, ყვირილა, ძირულა, ჩხერიმელა, ხანისწყალი, წაბლისწყალი, გუბისწყალი, ცხენისწყალი, ჯონოულა, ნოღელა, ტეხური, ცივი, ხობი, ჭანის-წყალი, ფიჩორი, სუფრა, გუბაზეული, ნატანები, ჩოლოქი, ბჟუჟი. აუზის საშუალო და დიდი მდინარეების საერთო სიგრძეა 1481 კილომეტრი (საქართველოს ტერიტორიაზე). ამ სააუზო უბნის მთავარი ტბებისა და წყალსაცავების (ენგურის წყალსაცავი და პალიასტომის ტბა) ზედაპირის საერთო ფართობია 564კმ^2. რაც შეეხება დაცულ ტერიტორიებს, სააუზო უბნის ტერიტორიულ ერთეულში შედის ბორჯომი-ხარაგაულის ეროვნული პარკი, იმე-რეთის გამოქვაბულის დაცული ტერიტორია, კოლხეთის ეროვნუ-ლი პარკი, მტირალას ეროვნული პარკი, ქობულეთის დაცული ტერიტორია, სამეგრელოსა და ოკაცის ნაკრძალები.

ენგური-რიონის სააუზო უბნის საერთო მოსახლეობა შეადგენს 1084880 (აქედან ქალაქის მოსახლეობა – 455386, სოფლის – 629494) ადამიანს.

ენგური-რიონის სააუზო უბანში მოქმედებს 15220 კომპანია, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა დაკავებულია მცირე ბიზნესით (99%). ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით კომპანიის პროცენტული წილი სექტორების მიხედვით ასე გამოიყურება: საბითუმო და საცალო ვაჭრობა – 52%; მრეწველობა – 12%; მშე-ნებლობა – 8%; სააუზო უბნის ტერიტორიაზე დასაქმებული მოსახ-ლეობის 57% დაკავებულია მცირე ბიზნესში, 23% – მსხვილ კომპა-ნიებში. სექტორებს შორის დასაქმების განაწილების მიხედვით 23% დასაქმებულია მრეწველობის სექტორში, 16% – საბითუმო და საცალო ვაჭრობის სექტორში, 11% – ჯანმრთელობისა და სოცია-ლური დაცვის სექტორში.

<u>ჭოროხი-აჭარისწყლის სააუზო უბნის</u> ფართობია 2483კმ^2. სააუზო უბნის საზღვრები მოიცავს სამეგრელო-ზემო აჭარის

ავტონომიური რესპუბლიკის, ხელვაჩაურის, ქედის, ქობულეთის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებს და ქ. ბათუმს.

ჭოროხი-აჭარისწყლის სააუზო უბნის ძირითადი მდინარეებია: ჭოროხი, აჭარისწყალი, სხალთა, ჩირუხისწყალი, მაჭახელა, ყოროლისწყალი, კინტრიში, ჩაქვისწყალი და აჭყვა. ამ სააუზო უბნის საშუალო და დიდი მდინარეების საერთო სიგრძე არის 1416 კილომეტრი (საქართველოს ტერიტორიაზე). ჭოროხი-აჭარისწყლის სააუზო უბნის საერთო მოსახლეობა შეადგენს 259159 (აქედან ქალაქის მოსახლეობა – 156153, სოფლის – 103006) ადამიანს.

ჭოროხი-აჭარისწყლის სააუზო უბანის ტერიტორიულ ერთეულში მოქცეულია კინტრიშის დაცული ტერიტორია, მაჭახელას ეროვნული პარკი, მტირალას ეროვნული პარკი და ქობულეთის დაცული ტერიტორია. ამ სააუზო უბანში მოქმედებს 6028 კომპანია, რომელთა აბსოლიტური უმრავლესობა დაკავებულია მცირე ბიზნესით (98%). ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით კომპანიის პროცენტული წილი სექტორების მიხედვით ასე გამოიყურება: საბითუმო და საცალო ვაჭრობა – 48%; სასტუმროები და რესტორნები – 10%, მშენებლობა – 9%; სააუზო უბნის ტერიტორიაზე დასაქმებული მოსახლეობის 52% დაკავებულია მცირე ბიზნესში, 25% – მსხვილ კომპანიებში. სექტორებს შორის დასაქმების განაწილების მიხედვით 19% დასაქმებულია მშენებლობის სექტორში, 17% – საბითუმო და საცალო ვაჭრობის სექტორში, 15% – მრეწველობის სექტორში.

<u>ბზიფი-კოდორის სააუზო უბანი</u> მდებარეობს საქართველოში, ულამაზეს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, საქართველოს განუყოფელ ტერიტორიაზე.

მთავარი მდინარეებია: ბზიფი, კოდორი, ფსოუ და უნიკალური ტბა – რიწა.

Zurab Nozadze

LEVEL OF WATER RESOURCES USE IN THE REGIONS OF GEORGIA AND RELEVANT ECONOMIC THREATS

Summary

The paper analyzes the important, decisive role of the state in the field of water resources use and protection in the regions of Georgia.

The main indicators for surface water abstraction and wastewater discharge are provided, along with measures to reduce the discharge of harmful substances and the determination of water composition and property indicators that ensure a safe environment for human health and a good ecological condition.

The need to introduce an integrated water resources management system is discussed, with analysis of its main directions and the complete system of indicators.

The main principles of integrated water resources management for use and protection are outlined.

A list of various components ensured by integrated water resources management is provided, along with an analysis of the main functions and purposes of the Water Framework Directive.

თეიმურაზ გოგოხია

ფირმის ფინანსურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და საფრთხეები

ანოტაცია. *ნაშრომში განხილულია ფირმის ფინანსური უსაფრთხოების, როგორც მისი ეკონომიკური უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილის, არსი, მისი მნიშვნელობა ფირმის საქმიანობაში, მათ შორის ფირმის სტრატეგიის შემუშავებასა და რეალიზაციაში.*

აღწერილია ფირმის ფინანსურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საფრთხეები და რისკები.

მოყვანილია ფირმის ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველყოფის შეფასების კრიტერიუმები, ინდიკატორები და მეთოდები.

ამასთან, განსაზღვრულია ფირმის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობეისების გზები მისი ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და გაძლიერების (მათ შორის შესაბამისი რისკების შემცირებისა და საფრთხეების განეიტრალების) ჭრილში.
საკვანძო სიტყვები: *ფინანსური უსაფრთხოება, ფირმა, რისკები, საფრთხეები.*

შესავალი

განვითარების თანამდეროვე ეტაპზე რთულად პროგნოზირებადი, სწრაფად ცვალებადი, სხვადასხვა საფრთხისა და რისკის მომასწავებელი ეკონომიკური გარემო მოითხოვს ეკონომიკურ სუბიექტებისგან თავისი სტაბილური ფუნქციონირებისა და განვითარებისთვის უსაფრთხოების საკითხების გადაწყვეტას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უსაფრთხოების უზრუნველყოფა ისეთი ეკონომიკური სუბიექტისთვის, როგორიცაა ფირმა.

ამ ვითარებაში ფირმებს სჭირდებათ თავისი საქმიანობისთვის ეკონომიკური (მათ შორის ფინანსური) უსაფრთხოების სტრატეგიული გეგმების შემუშავება და ამ გეგმების მანევრული ოპერატიულ-ტაქტიკური განხორციელება სხვადასხვა რისკებისა და საფრთხეების გათვალისწინებით.

ჩვენი სტატია ეძღვნება ფირმის ფინანსურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკებისა და საფრთხეების განხილვას ფირმის ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავებისა და რეალიზაციის ჭრილში.

ფირმის ფინანსური უსაფრთხოების არსი

სპეციალურ ეკონომიკურ ლიტერატურაში ფართოდ არის გავრცელებული შეხედულება ფირმის ეკონომიკური უსაფრთხოების შესახებ, რომლის თანახმად ეს უკანასკნელი წარმოადგენს ფირმის ისეთ მდგომარეობას, როდესაც მას გააჩნია მის ხელთ არსებული რესურსებისა და გარემოში ახლად აღმოცენებადი შესაძლებლობების ეფექტიანად გამოყენების უნარი, საფრთხეების თავიდან ასაცილებლად და ამით კონკურენტული უპირატესობების მისაღწევად და შესანარჩუნებლად [*Ianioglo A., Polajeva T.,* 2016].

აქ უნდა იყოს აღნიშნული, რომ მძაფრი კონკურენციული ბრძოლის პირობებში ფირმის მხედველობის არედან გამორჩენილი და, შესაბამისად, არ გამოყენებული შესაძლებლობები განაპირობებს იმ კონკურენტებისგან საფრთხეების წარმოქმნას, რომლებიც შეამჩნევენ და გამოიყენებენ ამ შესაძლებლობებს და ამით მიაღწევენ კონკურენტულ უპირატესობას.

ამასთან, ფირმის ეკონომიკური უსაფრთხოების ფუნქციურ კომპონენტებად მიიჩნევენ ერთმანეთისგან შინაარსით მნიშვნელოვნად განსხვავებულ ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა: ფინანსური, ინტელექტუალური და საკადრო, პოლიტიკურ-სამართლებრივი, ეკოლოგიური, ინფორმაციული, ძალოვანი. შესაბამისად, ფირმის ფინანსური უსაფრთხოება განიხილება როგორც ეკონომიკური უსაფრთხოების განუყოფელი ნაწილი [*Ризатдинова А.Р. и др.,* 2023].

ფინანსური უსაფრთხოების არსი მდგომარეობს ეკონომიკური სუბიექტების უნარში, დამოუკიდებლად შეიმუშაონ და განახორციელონ ფინანსური სტრატეგია, რომელიც დააკმაყოფილებს საწარმოს ყველა მოთხოვნას, მიზანს და ამოცანებს კონკურენტულ გარემოში [*Абрютина М.С.,* 2018].

შესაბამისად, ფირმის უმაღლესმა ხელმძღვანელობამ უნდა პერიოდულად ახდენდეს ფინანსური უსაფრთხოების დონის შეფასებას, რათა დროულად მიიღოს სათანადო სამმართველო გადაწყვეტილებები თავისი საქმიანობის ეფექტიანობის ასამაღლებლად და სამართავი პროცესების გასაუმჯობესებლად სხვადასხვა საფრთხეების თავიდან აცილების ან ამ საფრთხეებით გამოწვეული ნეგატიური შედეგების განეიტრალების გზით.

ფირმის ფინანსური უსაფრთხოება ასახავს მისი ფინანსური მდგრადობის საბოლოო მდგომარეობას, რომელიც განაპირობებს ფირმის სტრატეგიის რეალიზაციის შესაძლებლობას და გარე და შიდა საფრთხეების მიმართ გამძლეობას.

ფინანსური უსაფრთხოების მნიშვნელობა ხასიათდება თვით ფინანსების როლით ფირმაში და იმ მნიშვნელოვანი გავლენით, რომელსაც ახდენს ფინანსური სისტემა ფირმის ეკონომიკურ განვითარებაზე [*Ризатдинова А.Р. и др.,* 2023].

ფინანსური უსაფრთხოება წარმოადგენს საკმარისი მოცულობით ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობას ფინანსური

უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფარგლებში მთელი რიგი ამოცანების გადასაჭრელად და აუცილებელი ფინანსური „ზურგის“ შესაქმნელად [*Гордиенко Д.В.,* 2017].

ამრიგად, ფირმის ფინანსური უსაფრთხოება არის მისი გარკვეული ფინანსური მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება მისი უნარით გაუძლოს არსებულ და წარმოშობილ საფრთხეებს მისი ფინანსური ინტერესების დაცვის მიზნით, ანუ ფირმის მიერ მიღწეული ფინანსური მდგომარეობის ისეთი დონე, როდესაც მის ფინანსურ ინტერესებს არ ემუქრება საფრთხე[19].

აღსანიშნავია, რომ შესაბამის ეკონომიკურ ლიტერატურაში ფირმის ეკონომიკური (მათ შორის ფინანსური) უსაფრთხოების უზრუნველყოფა განიხილება როგორც ფირმის ძალზე რთული და კომპლექსური საქმიანობა, რომელიც მიმართულია ფირმის როგორც შიდა, ისე გარე არეალში აღმოცენებადი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაზე ან მათ მიერ გამოწვეული ზარალის განეიტრალებაზე.

ფირმის ფინანსურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საფრთხეები და რისკები

როგორც ცნობილია, საწარმოს ფინანსური უსაფრთხოების ეფექტიანი სისტემის ფორმირების წინაპირობაა საფრთხეების იდენტიფიცირება. საწარმოს მთელი ფინანსური უსაფრთხოების სისტემის აგების ეფექტურობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სრულად არის განსაზღვრული ფინანსური ინტერესების მიმართ საფრთხეების შემადგენლობა, რამდენად ზუსტად არის შეფასებული მათი წარმოქმნის შესაძლებლობა, ინტენსივობის დონე და მათ მიერ გამოწვეული შესაძლო ზიანი. საწარმოს ფინანსურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით საფრთხე არის იმ პირობებისა და ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც ხელს უწყობენ ფინანსური ურთიერთობების სფეროში საწარმოს ინტერესებისთვის ზიანის მიყენების შესაძლებლობას [*Ризатдинова А.Р. и др.,* 2023].

საწარმოს ფინანსური ინტერესების დამაზიანებელი საფრთხეები და რისკები მრავალფეროვანია.

---

[19] **Discovered О финансах и не только** [Электронный ресурс] - Финансовая безопасность – URL: https://discovered.com.ua/glossary/finansovaya-bezopasnost/

სპეციალურ ეკონომიკურ ლიტერატურაში ფართოდ არის გავრცელებული ფინანსურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საფრთხეების სხვადასხვა ტიპის კლასიფიკაცია.

ო. ბადაევას და *ე. ცუპკოს* კლასიფიკაციის მიხედვით საწარმოს დონეზე ფინანსური უსაფრთხოებისთვის საფრთხეები დაყოფილია საწარმოს ფინანსურ უსაფრთხოებაზე ზემოქმედების დონეების მიხედვით, კერძოდ:

1) პირველი დონის საფრთხეები, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენს ფინანსურ უსაფრთხოებაზე;

2) მეორე დონის საფრთხეები, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ უსაფრთხოებაზე ეკონომიკური უსაფრთხოებაზე ზემოქმედების გზით;

3) მესამე დონის საფრთხეები, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ უსაფრთხოებაზე საწარმოს ზოგად უსაფრთხოებაზე ზემოქმედების მეშვეობით.

მკვლევართა აზრით, ფინანსური ინტერესების მიმართ საფრთხეების აღნიშნული კლასიფიკაცია საშუალებას იძლევა, მიზანმიმართულად ჩამოყალიბდეს მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის ფინანსური უსაფრთხოების მართვის ღონისძიებათა კომპლექსი [*Бадаева О.Н, Цупко Е.В.,* 2017].

სხვა კლასიფიკაციის მიხედვით, ფინანსური უსაფრთხოების საფრთხეები დაყოფილია საწარმოს გარე და შიდა ფაქტორებად (საფრთხეებად), რომლებსაც შეუძლიათ პოტენციურად (მომავალში) ან რეალურად (მიმდინარე პერიოდში) ზეგავლენა მოახდინონ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე და მიაყენონ შესაბამისი ეკონომიკური ზიანი.

გარე საფრთხეები (მაგალითად, კონკურენტების მიერ საწარმოს აქციებისა და ვალდებულებების შესყიდვა, მაკროეკონომიკური კრიზისები, პოლიტიკური არასტაბილურობა, კანონმდებლობის ხარვეზები და ა.შ.) პრაქტიკულად ვერ კონტროლდება საწარმოს მიერ და ამ უკანასკნელზე არ არის დამოკიდებული.

შიდა საფრთხეები (მაგალითად, შეცდომები სტრატეგიულ დაგეგმარებაში, დაბალი მომგებიანობა, არაკომპეტენტური საფასო პოლიტიკა, სადაზღვევო კაპიტალის ნაკლებობა და ა.შ.) საწარმოს საქმიანობას უკავშირდება, კონტროლდება საწარმოს მიერ და ამ უკანასკნელისგან მოითხოვს მაქსიმალურ ყურადღებას.

მკვლევარების შეხედულებით, როგორც გარე, ისე შიდა საფრთხეები უნდა გახდეს მაქსიმალურად კონტროლირებადი საწარმოს მხრიდან (მისი კომპეტენციისა და შესაძლებლობებიდან გამომდინარე), უნდა გახდეს შესაძლებელი მათი მუდმივ რეჟიმში გაზომვა, მონიტორინგი და შეფასება მათზე დროული და ადეკვატური რეაგირებისთვის [*Батталова А.А, Ефимова Н.А.,* 2023].

ასევე აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ნიშანთვისების მიხედვით გამოყოფენ სხვადასხვა ტიპის ფინანსურ რისკებს, მაგალითად: ფინანსური სტაბილურობის შემცირების რისკი, გადახდისუუნარობის რისკი, საინვესტიციო რისკი, ინფლაციური რისკი, საპროცენტო განაკვეთის რისკი, სავალუტო რისკი, სადეპოზიტო რისკი, საკრედიტო რისკი, საგადასახადო რისკი, ინოვაციური ფინანსური რისკი, კრიმინოგენური რისკი და სხვა სახის რისკები [*Гаврилюк Т.Ю.,* 2013].

ფირმის ფინანსური უსაფრთხოება მიმართული უნდა იყოს ფინანსურ ინტერესებზე ზეგავლენის მომხდენი საფრთხეების იდენტიფიცირებასა და თავიდან აცილებაზე, აგრეთვე ამ საფრთხეებით გამოწვეული უარყოფითი შედეგების შერბილებაზე.

ფირმის ეკონომიკური უსაფრთხოების ფინანსური კომპონენტი უნდა წარმოადგენდეს ყოვლისმომცველი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც მიზნად დაისახავს მისი ფინანსური ინტერესების დაცვას, ფინანსური ინფორმაციის გაჟონვის თავიდან აცილებას და კომერციული საიდუმლოების შენახვას, რაც საბოლოო ჯამში დაიცავს ფირმას მატერიალური ზიანის მიყენებისაგან, სტაბილური განვითარებისა და ნორმალური ფუნქციონირების შეფერხებისაგან [*Батталова А.А, Ефимова Н.А.,* 2023].

ეკონომიკურ ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ორგანიზაციის (მათ შორის ფირმის) ეკონომიკური (მათ შორის ფინანსური) უსაფრთხოება არის მისი საერთო საქმიანობის ისეთი სისტემა, რომელიც საფრთხეებისა და რისკების განეიტრალებისა და შემცირების გზით განაპირობებს მისი (ორგანიზაციის) ფუნქციონირების ყველა რგოლის ეფექტიან მუშაობას, ხელს უწყობს მისი ძირითადი მიზნების **(მაგალითი იხ. ნახ. 1)** მიღწევას, უზრუნველყოფს მართვის სისტემის სტაბილურ და საიმედო განვითარებას და ა.შ.

ნახ. 1. საწარმოს ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი მიზნები[20]



ფირმის ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველყოფის შეფასების მეთოდოლოგია

ფინანსური უსაფრთხოების დონის ანალიზის და შეფასების მთავარი მიზანია განვსაზღვროთ მთელი რიგი პარამეტრები,

[20] [*Батталова А.А, Ефимова Н.А.,* 2023].

რომლებიც წარმოადგენენ საწარმოს ფინანსური მდგომარეობის მახასიათებლებს, მის მოგებასა და ზარალს, აქტივებისა და ვალდებულებების სტრუქტურას, დებიტორებთან და კრედიტორებთან ანგარიშსწორებას და სხვ.

ასეთი ანალიზის მიზანია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე მიმართული სამუშაოების ჩატარება. ანალიზი ასევე იძლევა არსებული პრობლემების იდენტიფიცირების საშუალებას, რათა მათზე მიაპყროს კომპანიის ხელმძღვანელობის ყურადღება [*Рябцев Н.Н.,* 2017].

ამჟამად საწარმოების ფინანსური უსაფრთხოების დონის განსაზღვრის და შეფასების ბევრი მიდგომა და მეთოდი არსებობს.

მათ შორის ფართოდ გავრცელებულია შემდეგი:

1. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების მეთოდი (ფინანსური კოეფიციენტების გამოყენებით);

2. ფინანსური უსაფრთხოების შეფასება, როდესაც განისაზღვრება საბრუნავი (საკუთარი და ნასესხები) სახსრების საკმარისი მოცულობა ფირმის საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის განსახორციელებლად;

3. ფინანსური საფრთხეების შეფასების მეთოდი (განისაზღვრება საწარმოს ფინანსურ უსაფრთხოებაზე საფრთხის შედეგებით მიყენებული ზიანი);

4. ინდიკატორული მეთოდი (ინდიკატორთა განსაზღვრული მნიშვნელობების ზღვრიდან გადახრის გამოთვლა);

5. ინტეგრალური მეთოდი (ინტეგრალური მაჩვენებლის გამოთვლა) და სხვა.

ხაზგასასმელია, რომ ფინანსური უსაფრთხოების დონის შესაფასებლად ხშირად გამოიყენება სხვადასხვა ტიპის ინდიკატორთა და პარამეტრთა ნაკრები **(იხ. ცხრილი 1).**

ცხრილი 1. საწარმოს ფინანსური უსაფრთხოების ინდიკატორები[21]

რაოდენობრივი ინდიკატორები	**თვისებრივი პარამეტრები**
1. გადახდისუნარიანობის ინდიკატორები 2. ფინანსური მდგრადობის ინდიკატორები 3. ბიზნესის აქტივობის ინდიკატორები 4. რენტალობის ინდიკატორები 5. საწარმოს განვითარების ინდიკატორები	1. ტექნიკური აღჭურვილობის დონე 2. პერსონალის დენადობის დონე 3. კონკურენციის დონე 4. საინვესტიციო აქტივობისა და მიმზიდველობის დონე 5. კრედიტუნარიანობის დონე 6. რეზერვების არსებობა 7. ბაზრის, ინდუსტრიის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა 8. ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების დონე, ფინანსური დაგეგმვის არსებობა

ამ ინდიკატორების და პარამეტრების გამოყენება შესაძ-ლებელია საწარმოს განვითარების ნებისმიერ ეტაპზე, ასევე - საწარმოს განვითარების პერსპექტივების გამოსათვლელად.

როგორც აკადემიური წრეების, ისე ბიზნესსფეროს წარ-მომადგენელთა შეხედულებების მიხედვით საწარმოს ფინანსური უსაფრთხოების შეფასებისას მნიშვნელოვანია ინდიკატორების ნაკრების (და არა ცალკეული უნივერსალური ინდიკატორის) შემუშავება და გამოყენება, თუმცა აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში ეს ნაკრები ხშირად განსხვავებული ინდიკატორებით არის წარმოდგენილი.

[21] [*Бадаева О.Н, Цупко Е.В.,* 2017].

ამჟამად არ არის შემუშავებული საწარმოს ფინანსური უსაფრთხოების შეფასების ყოვლისმომცველი ანალიზისა და შეფასების ერთიანი და საყოველთაოდ აღიარებული მეთოდოლოგია.

თუმცა, პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა მეთოდოლოგიური რეკომენდაციები, ინდიკატორების სხვადასხვა ნაკრები, შეფასების სხვადასხვა კოეფიციენტი და კრიტერიუმი [*Ризатдинова А.Р. и др.,* 2023].

ფირმის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობეისების გზები

ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით ფირმამ უნდა შეძლოს შეიმუშაოს სათანადო ღონისძიებებათა სისტემა და მოახდინოს მისი რეალიზაცია მისი ფინანსური ინტერესების მიმართ შესაძლო საფრთხეებისა და რისკების თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად მაინც.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის გარემოპირობების ძალზე სწრაფი და ნაკლებად პროგნოზირებადი ცვალებადობა ფირმებისგან მოითხოვს ამ გარემოპირობების მუდმივ მონიტორინგს და შეფასებას დროული რეაგირების მიზნით ზემოთ აღნიშნული საფრთხეებისა და რისკების მაქსიმალურად გასანეიტრალებლად.

მით უმეტეს, რომ ფირმის საქმიანობაზე გარემოპირობების ცვლილებების და ამით წარმოქმნილ საფრთხეებისა და რისკების შესაძლო ზემოქმედების შესაფასებლად საჭირო, ზუსტი და დროული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას ეკონომიკური (მათ შორის ფინანსური) უსაფრთხოების უზრუნველყოფის ეფექტიანი სტრატეგიის შემუშავებაში. ამ ინფორმაციის საფუძველზე, ერთი მხრივ, სიღრმისეულად უნდა იქნას შესწავლილი, გაანალიზებული და დადგენილი მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების შესაძლო გავლენის ფინანსური შედეგები, ხოლო მეორე მხრივ - შემუშავებული ამ საფრთხეებისა და რისკების მიმართ დაბალანსებული ადეკვატური საპასუხო რეაგირების ღონისძიებათა სისტემა, მათ შორის მათ (საფრთხეებისა და რისკების) ლიკვიდაციაზე საჭირო შესაბამისი ხარჯების გაღების დონის მიხედვით [*ჰაჰავა გ.,* 1998].

ამასთან, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ზოგადად ფირმაში დანერგილი ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემის მთავარი მიზანია გარე და შიდა არეალის ფაქტორების (საფრთხეებისა და რისკების) ნეგატიური გავლენისაგან ფირმის ინტერესებისა (მათ შორის ფინანსური) და მისი საქმიანობის ისეთი რგოლების დაცვა, როგორიცაა: პერსონალი, მატერიალური და არამატერიალური რესურსები, ფინანსური აქტივები, საბაზრო პოზიცია, იმიჯი და სხვ. [*Перова Д.А.,* 2020], ფირმაში ეკონომიკური (მათ შორის ფინანსური) უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემის შემუშავებისა და დანერგვის აუცილებლობა უდავო ხდება.

ამასთან, მართებულად მიგვაჩნია *ო. დრაგანის* მოსაზრება ფირმის უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავებასა და რეალიზაციაში მეთოდოლოგიური პრინციპების გამოყენების შესახებ [*Драган О.А.,* 2015] მცირედი დაზუსტებით, რომლის მიხედვით ფირმის ეკონომიკური (მათ შორის ფინანსური) უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგია უნდა ეფუძნებოდეს, უპირველეს ყოვლისა, ამ უსაფრთხოების დონის უწყვეტ გაზომვას, მონიტორინგს და შეფასებას, შესაბამისი ფინანსური როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი ინდიკატორებისა და პარამეტრების ნაკრების საფუძველზე:

1. შესაძლო საფრთხეებისა და რისკების წინასწარი განჭვრეტის მიზნით (ანუ „პრევენციის“ პრინციპი);
2. აღმოცენებული საფრთხეებისა და რისკების განეიტრალების ან მინიმიზაციის მიზნით (ანუ „ნიველირების, ელიმინიაციის, შემცირების“ პრინციპი);
3. ყურადღების მიღმა დარჩენილი (დროულად არგამოვლენილი) საფრთხეებით და რისკებით გამოწვეული მიყენებული (მომხდარი) ზიანის/ზარალის დაფარვის მიზნით (ანუ „კომპენსაციის“ პრინციპი).

დასკვნა

ფირმის ფინანსური უსაფრთხოების, როგორც ეკონომიკური უსაფრთხოების კომპონენტის, უზრუნველყოფის სტრატეგიის შემუშავებასა და რეალიზაციის ჭრილში ფინანსურ უსაფრთხოე-

ბასთან დაკავშირებიული რისკებისა და საფრთხეების განხილვის შედეგად შესაძლოა გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

- ფირმის ფინანსური უსაფრთხოების სტრატეგია უნდა ეფუძნებოდეს მისი ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველყოფის დონის უწყვეტი გაზომვის, მონიტორინგისა და შეფასების განხორციელებას შესაბამისი, წინასწარ განსაზღვრული ფინანსური (როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი) ინდიკატორებისა და პარამეტრების ნაკრების საფუძველზე;
- ფირმის ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგიის შემუშავება უნდა იყოს ორიენტირებული შემდეგი მიზნების მიღწევაზე: ფინანსურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებიული შესაძლო საფრთხეებისა და რისკების წინასწარი განჭვრეტა; ფინანსურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებიული აღმოცენებული საფრთხეებისა და რისკების განეიტრალება ან მინიმიზაცია; ყურადღების მიღმა დარჩენილი (დროულად არგამოვლენილი) ფინანსურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებიული საფრთხეებით და რისკებით გამოწვეული მიყენებული (მომხდარი) ზიანის/ზარალის დაფარვა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ოდიშარია კ., ოდიშარია ს., მაღლაკელიძე ნ. (2019). საწარმოს ინფორმაციული უსაფრთხოება, როგორც მისი ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი უმთავრესი მდგენელი. // *Transactions. Georgian Technical University. AUTOMATED CONTROL SYSTEMS* - No 1(28).
2. პაპავა გ. (1998). *სამრეწველო ფირმის ორგანიზაცია და მართვა.* თბილისი (ორტომეული).
3. Dokiienko L. (2021). Financial Security of the Enterprise: An Alternative Approach to Evaluation and Management. // *Business, Management and Economics Engineering*. Volume 19, Issue 2: 303–336 - https://doi.org/10.3846/bmee.2021.14255.
4. Ianioglo A., Polajeva T. (2016). Origin and Definition of the Category of Economic Security of Enterprise. // *9th International Scientific Conference "Business and Management 2016"*, May 12–13. Vilnius, LITHUANIA. http://dx.doi.org/10.3846/bm.2016.46.
5. იკონენკო ., ჰალინა ., ონდარუკ ., იკოლცჰუკ . ანდ ზარკო . (2024). შტრატეგიც ანაგემენტ ოფ ინანციალ ანდ

ცონომიც შეცურიტყ: ოდერნ ჩჰალლენგეს ანდ თჰრეატს ინ ა ყ-პერდყნამიც ხტერნალ ნვირონმენტ. // *Iნტერნატიონალ ყოურნალ ოფ ღელიგიონ*, Vოლუმე: 5, უმბერ 9, პპ. 1038 – 1046 Iშშ : 2633-352X (რინტ); Iშშ : 2633-3538 (ნლინე). იჯორ.ცო.უკ. I: ჰტტპს://დოი.ორგ/10.61707/სკქ77ც82.

6. Sylkin, O., Shtangret, A., Ogirko, O., Melnikov, A. (2018). Assessing the Financial Security of the Engineering Enterprises as Preconditions of Application of Anti-Crisis Management: Practical Aspect. *Business and Economic Horizons*, 14(4):
7. Абрютина М.С. (2018). *Анализ финансово-экономической деятельности предприятия*. М.: Дело и Сервис.
8. Бадаева О.Н, Цупко Е.В. (2017). Оценка финансовой безопасности малых и средних предприятий // *Российское предпринимательство*. №14 (236). – С. 71-83.
9. Батталова А.А, Ефимова Н.А. (2023). Угрозы финансовой безопасности предприятия в современных условиях хозяйствования // *Экономика и управление: научно-практический журнал.* № 6. С. 105–109. DOI: 10.34773/EU.2023.6.18.
10. Батова И.Б. (2019). Классификация рисков и причины возникновения // *Международный студенческий научный вестник*. №1.
11. Бахвалова Е.А. (2020). Факторы и условия обеспечения финансовой безопасности предприятия // *Фундаментальные и прикладные исследования в современном мире*. №28. С. 161–164.
12. Бланк И.А. (2009). *Управление финансовой безопасностью предприятия* / 2-е изд., К.: Эльга.
13. Бородина Е.А. (2014). Финансовая устойчивость как основа обеспечения экономической безопасности предприятия // *Экономика и современный менеджмент: теория и практика.* №44. С. 128–132.
14. Бредникова Т. Б. (2018). *Анализ и диагностика финансово-хозяйственной деятельности предприятия: учебное пособие* / М.: ИНФРА-М, 400 с.
15. Гаврилюк Т. Ю. (2013). Финансовые риски в системе управления финансовой безопасностью предприятия // *Молодой ученый*. №3. - С. 204-207. - URL https://moluch.ru/archive/50/6422/
16. Гордиенко Д.В. (2017). Перспективы повышения уровня экономической безопасности России // Национальные интересы: приоритеты и безопасность. №15 (72).

17. Десятниченко Д.Ю., Десятниченко О.Ю., Остапенко В.В. (2018). Угрозы финансовой безопасности устойчивого функционирования предприятия // *Экономика и бизнес: теория и практика.* №4. URL: https://cyberleninka.ru/article/n/ugrozy-finansovoy-bezopasnosti-ustoychivogo-funktsionirovaniya-predpriyatiya
18. Драган О.А. (2015). Стратегия экономической безопасности предприятия: содержательный и таксономический аспект. // *Зовнішня торгівля: економіка, фінанси, право.* Науковий журнал. Серія: Економічні науки. №3 (80).
19. Ендовицкая А.В. (2015). Финансовая устойчивость как фактор экономической безопасности предприятия / А.В. Ендовицкая, Т.А. Волкова // *Вестник ВГУИТ*. №3(65). С. 258–262.
20. Измайлова Э.Т. (2020). Риски и угрозы финансовой безопасности предприятия // *Академическая публицистика*. №2. С. 31–37.
21. Касперович С.А., Дербинская Е.А. (2016). Экономическая безопасность предприятия: сущность, цели и направления обеспечения. // *Труды БГТУ*, № 7, С. 278-282.
22. Максимова О. (2019). Как снизить финансовые риски или что такое финансовый риск и как с ним бороться // *Современный капитал*. №2. – С. 21-22.
23. Перова Д.А. (2020). Понятие и сущность экономической безопасности предприятия, С. 243-247. // В сб.: *Экономическая безопасность: правовые, экономические, экологические аспекты.* Сборник научных трудов 5-й Международной научно-практической конференции, 4 апреля 2020 года. Юго-Зап. гос. ун-т., Курск: Юго-Зап. гос. ун-т.
24. Пшеничкина М.В. (2022). Факторы и условия обеспечения финансовой устойчивости коммерческих организаций // *Экономика и социум*. № 3-1(94). С. 428–435.
25. Э.Ф. Мухамадиева, В.М. Минеева, Н.Г. Ираева [и др.] (2023). Оценка рисков и угроз экономической безопасности предприятия / // *Евразийский юридический журнал.* №2. С. 450–452. DOI: 10.46320/2073-4506-2023-2-177-450-452.
26. Ризатдинова А.Р., Исавнин А.Г., Москвин Н.Г. (2023). *Финансовая безопасность как составляющая часть экономической безопасности предприятия*: монография. Казанский (Приволжский) фед. ун-т - Курск: Изд-во ЗАО «Университетская книга».

27. Рябцев Н.Н. (2017). *Бизнес-безопасность*. М.: Дашков и К°, 2017. – 380 с.
28. Сабитова З.М. (2022). Анализ финансовой устойчивости предприятия в целях обеспечения финансовой безопасности предприятия (на примере АО «БЭТО») // *Вестник науки*. №1(46). С. 87–93.
29. Селютина Е.О. (2020). Теоретические аспекты экономической безопасности предприятия, С. 264-266. // В сб.: *Экономическая безопасность: правовые, экономические, экологические аспекты.* Сборник научных трудов 5-й Международной научно-практической конференции, 4 апреля 2020 года. Юго-Зап. гос. ун-т., Курск: Юго-Зап. гос. ун-т.
30. Скворцов М.А. (2022). Основные методики оценки экономической безопасности предприятия // *Московский экономический журнал*. №9. С. 850–857.
31. Трохина С.Д. (2019). Управление финансовыми рисками предприятия / С.Д. Трохина, В.А. Ильина, Т.Ф. Морозова // *Финансовый менеджмент*. №1. – С. 3-4.
32. Шеремет А.Д. (2018). *Финансы предприятий: учебник* / А.Д. Шеремет, Р.С. Сайфулин. М.: ИНФРА-М, 589 с.
33. Гаврилюк Т.Ю. (2013). Финансовые риски в системе управления финансовой безопасностью предприятия. // «Молодой учёный», № 3 (50), Март.

Teimuraz Gogokhia

RISKS AND THREATS RELATED TO THE FINANCIAL SECURITY OF A FIRM

Summary

The paper discusses the essence of the financial security of a firm as a component of its economic security, its importance in the firm's activities, including the development and implementation of the firm's strategy.

The threats and risks related to the financial security of a firm are described in the article.

The criteria, indicators and methods for assessing the financial security of a firm are given.

In addition, ways to improve the financial condition of a firm are determined in terms of ensuring and strengthening its financial security (including reducing relevant risks and neutralizing threats).

Keywords: *financial security, firm, risks, threats.*

ციცინო თეთრაული

საქართველოს რეგიონებში მიწის რესურსების გამოყენების დონე და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური საფრთხეები

ანოტაცია. *მიწა უნიკალური ბუნებრივი რესურსია. ნაშრომში განხილულია საქართველოს ნიადაგის ტიპები და სტრუქტურა, საქართველოს რეგიონებში მიწის რესურსების გამოყენების დონე. გაშუქებულია ის თავისებურებები, რომლებიც თითოეული რეგიონს გააჩნია აგრარულ სფეროში. გაანალიზებულია მიწის რესურსებზე მოქმედი საფრთხეები და ეროზიის საწინააღმდეგო პრევენციული ზომების გატარების აუცილებლობა, რათა თავიდან ავიცილოთ ნიადაგის გამოფიტვა და დეგრადაცია. დახასიათებულია ის პოტენციალი, რომელიც გააჩნია ქვეყანას აგრარულ სფეროში, რათა შეამციროს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე, განსაკუთრებით კი ხორბალზე, იმპორტდამოკიდებულება, რომელიც სტრატეგიული მნიშვნელობის მატარებელი მარცვლეული კულტურაა. მითითებულია ახალი კვალიფიციური კადრების მომზადების აუცილებლობა, რომლის სიმცირესაც განიცდის აგრარული სექტორი.*

საკვანძო სიტყვები: *მიწის ეროზია, "ჯიბუცები", სასურსათო უსაფრთხოება, მეწყერი, მიწის მონიტორინგი.*

****

საქართველო იმ უძველეს გზაჯვარედინზე მდებარეობს, რომელიც აკავშირებდა და აკავშირებს ჩრდილოეთისა და სამხრეთის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნების, სწორედ საქართველოზე გადიოდა ევროპა-აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო მაგისტრალი – ძველი აბრეშუმის გზა. საქართველოს ტერიტორიის ფართობი ისტორიის განმავლობაში იცვლებოდა, ამჟამად კი 69 800 კმ^2-ია. იგი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ შავი ზღვის ნაპირებიდან თითქმის მინგეჩაურის წყალსაცავამდეა გადაჭიმული. საქართველოს რელიეფი მრავალფეროვანია, რელიეფის ჩამოყალიბება, ჩვენი ქვეყნის ტეტრიტორიაზე მრავალი მილიონი წლის განმავლობაში ხდებოდა და ახლაც გრძელდება. საქართველო მთიანი ქვეყანაა. მისი საშ. სიმაღლე ზღვის დონიდან

1230 მეტრია, საქართველოს ტერიტორიაზე მთებს უჭირავს მთელი ტერიტორიის ნახევარზე მეტი – 54%, გორაკ-ბორცვებისა და მთისწინების – 33%, ხოლო დაბლობების – 13%. საქართველოს მთიანი რელიეფი აგრარული სფეროს განვითარებისთვის სპეციფიკურ მიდგომას საჭიროებს, ჩვენი ქვეყნის ბუნება ნამდვილად უნიკალურია, მდიდარი ბუნებრივი ლანდშაფტებით: მყინვარები, მთა-გორები, ტყეები, ვაკეები, ჭაობები და ა.შ. აღნიშნულმა გარემოებამ ხელი შეუწყო ტურიზმის განვითარებას. საქართველოს ნიადაგები მრავალფეროვანია (34 ტიპია გავრცელებული). მთა-მდელო კორდიანი, კორდიან-ტორფიანი და პრიმიტიული ნიადაგები, სამხრეთ მთიანეთის შავმიწები, კორდიანი მთა-მდელოს ნიადაგები: ყომრალი ნიადაგები, ტყის ყავისფერი ნიადაგები, სხვადასხვა ქანებზე განვითარებული კოორდიან-კარბონატული ნიადაგები, გამოფიტული და კარბონატული მთის შავმიწები, მცირე საშუალო სისქის შავმიწები, რუხი ყავისფერი ნიადაგები, დამლაშებული ნიადაგები, წითელმიწა და ყვითელმიწა ნიადაგები: ეწერი და ეწერ-ლებანი, ჭაობის, ნეშომპალა-სულფატური (გაჯიანი), ბიცობიანი და დამლაშებული ნიადაგები; ალევიური კარბონატული და უკარბონატო ნიადაგები, აღმოსავლეთ საქართველოს მდელოს კარბონატული ნიადაგები; სუსტად განვითარებული მცირე სისქის სხვადასხვა ტიპის პრიმიტიული ნიადაგი. საქართველოს მიწის რესურსები ხასიათდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მაღალი ბუნებრივი ნაყოფიერებით. მთიანი რელიეფის გამო საქართველოში სავარგულების ათვისება ვერტიკალური ზონალობის პრინციპს ექვემდებარება, რის გამოც ბარში ათვისებული ტერიტორიების მასშტაბი უფრო დიდია, ვიდრე მთიანეთში. რელიეფის გამო მთიან რეგიონებში გართულებულია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენება და ხშირად სარგებლობენ ცოცხალი გამწევი ძალით (ხარი, კამეჩი), ამასთანავე სავარგულები წვრილკონტურებიანია, მიწების დიდი ნაწილი კი – ფრაგმენტირებული, ამიტომ მნიშვნელოვანია მათი კონსოლიდაცია შეძლებისდაგვარად.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა მცირემიწიანია, გვაქვს ბუნებრივად ნაყოფიერი მიწები. ყომრალი ნიადაგები, მთა-მდელოს შავმიწისებრი ნიადაგები, შავმიწები, ყავისფერი ნიადაგები, ჰუმუსის მაღალი შემცველობის გამო ნაყოფიერებით გამოირჩევა.

საქართველოში ეროზიის შედეგად ყოველწლიურად ათასობით ჰექტარი მიწა ნადგურდება. ეროზია ლათინური სიტყვაა და "გამოჭმას" ნიშნავს, იგი თვალით უხილავი ნელი პროცესია და შენელებული მოქმედების ნაღმივითაა. ნაყოფიერი ნიადაგის ჰერესის 10-12 სმ წარმოქმნას ათეული წლები და საუკუნეები სჭირდება, ხოლო მისი განადგურება-დეგრადაცია ადამიანს თავისი არაგონივრული საქმიანობით რამდენიმე წელში შეუძლია. მიწის დეგრადაციის ეროზიის მიზეზებია: 1) წყლისმიერი ეროზია; 2) ქარისმიერი ეროზია; 3) პერმანენტული კულტივაცია (ქიმიური სასუქების შეტანა); 4) გადაჭარბებული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა; 5) ტყის მასივების შემცირება; 6) დამლაშება; 7) გადაძოვება; 8) დაჭაობება; 9) მეწყერი; 10) ღვარცოფი; 11) მიწისძვრა და ა.შ. ადამიანს ლომის წილი მიუძღვის მიწის დეგრადაციისა და ეროზიული პროცესების გაღრმავებაში. კაცობრიობა საუკუნეების განმავლობაში ეწევა მიწის ექსპლუატაციას, ჩეხავს ტყეებს, შეაქვს მიწაში ქიმიური სასუქები, მოიპოვებს წიაღისეულს და ა.შ. ბუნებას სძალავს ყველაფერს, რისი გამოძალვაც შეუძლია. მდგრადი განვითარების კონცეფცია პირველ რიგში გულისხმობს ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, რათა მომავალ თაობებსაც ჰქონდეთ შესაძლებლობა დაიკმაყოფილონ თავიანთი მოთხოვნილებები. ამას ისიც ერთვის, რომ მოსახლეობა მრავლდება და შესაბამისად ბუნებრივი რესურსები მცირდება. ერთი აღმოსავლური გამოთქმისა არ იყოს: "როცა მოჭრით ყველა ხეს, როცა დაიჭერთ ყველა თევზს, მაშინ მხვდებით, რომ ფული არ იჭმება". კაცობრიობა უკვე ეკოლოგიური კატასტროფის წინაშეა. მეცნიერთა გარკვეული ჯგუფის აზრით, კაცობრიობამ უკვე ამოწურა დედამიწის გამტარუნარიანობის ლიმიტი. წითელი ხაზები გადაკვეთილია. გლობალური დათბობა, რაც ასევე ადამიანთა დამსახურებაა (ჭარბი სათბური აირების გატყორცნა და გაზრდილი სამრეწველო ინდუსტრიები), კიდევ უფრო მეტი გამოწვევების წინაშე აყენებს კაცობრიობას. ტყე ძვირფასი და შეუცვლელი ბუნებრივი რესურსია. იგი პირდაპირ კავშირშია ნიადაგთწარმომქმნელ პროცესებთან. დედამიწაზე ტყეებს ხმელეთის 1/3 უკავია. ჩვენი პლანეტის თითოეული მცხოვრებზე 1 ჰა-ზე ნაკლები ტყე მოდის. საქართველოს ეს მაჩვენებელი 0,5 ჰა-ია. არცთუ ისე შორეულ წარსულში საქართველოს ტერიტორიის ნახევარი ტყეებს ეკავა. ისტორიული

წყაროებით განადგურდა 600 ათასი ჰა ტყე, ხოლო 461 ათასი ჰა ბაღი გამეჩხერებული და დეგრადირებულია. საქართველოს ტყის ფონდი 2 მილიონ 980 ათასი ჰექტარია. 90-იანი წლების სამოქალაქო ომის დროს გაიჩეხა ტყეების მნიშვნელოვანი ნაწილი, ადამიანები შეშას გასათბობად იყენებდნენ. წინა ხელისუფლების დროს იჩეხებოდა ტყეები და მორების სახით იყიდებოდა უცხოეთში. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს განადგურდა ტყის მასივები. ახლანდელმა მთავრობამ "ტყის კოდექსით" გაამკაცრა ხეების უკანონოდ მოჭრაზე პასუხისმგებლობა, მომზადდა რეინჯერთა კვალიფიციური კადრები. ასევე მთავრობამ მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა ტყის კოდექსში და, მე-15 მუხლის თანახმად, საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას უფლება მისცა, რომ მის ირგვლივ მდებარე 20 ჰექტარი ტყის ფართობი საკუთრებაში დაარეგისტრიროს, მოუაროს და გაუფრთხილდეს ჩვენს ბუნებრივ სიმდიდრეს. სრულიად საქართველოს სამოქალაქო მართლმადიდებლური ეკლესიის ეპარქიები საქართველოს ყველა რეგიონშია. ესენია: 1) მცხეთა-თბილისის; 2) ალავერდის; 3) ახალქალაქისა და კუმურდოს; 4) ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის; 5) ბათუმისა და ქობულეთის; 6) ბოდბის; 7) ბოლნისის; 8) ბორჯომისა და ბაკურიანის; 9) გურჯაანისა და ველისციხის; 10) დმანისის; 11) ვანისა და ბაღდათის; 12) ზუგდიდისა და ცაიშის; 13) თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის; 14) მანგლისისა და წალკის; 15) მარგვეთის; 16) მესტიისა და ზემო სვანეთის; 17) ნეკრესისა და ჰერეთის; 18) ნიკორწმინდის; 19) ნინოწმინდისა და საგარეჯოს; 20) ნიქოზისა და ცხინვალის; 21) რუსთავისა და მარნეულის; 22) სამთავისისა და გორის; 23) სენაკსა და ჩხოროწყუს; 24) სტეფანწმინდისა და ხევის; 25) სხალთის; 26) ტყიბულისა და თერჯოლის; 27) ურბანისისა და რუისის; 28) ფოთისა და ხობის; 29) ქუთაისგაენათის; 30) შემოქმედის; 31) ცაგერისა და ლენტეხის; 32) ცხუმაფხაზეთის; 33) წილკანისა და დუშეთის; 34) ჭიათურისა და საჩხერის; 35) ჭყონდიდის; 36) ხონისა და სამტრედიის. ამ ეკლესია მონასტრების გარშემო არსებულ ტყეებს თუ სათანადოდ მიეხედება და სახელმწიფოდანაც იქნება დახმარება სათანადო სპეციალისტების ჩართვისა საპატრიარქოსთან ერთად, ჩვენი ტყეების მნიშვნელოვანი ნაწილი იქნება დაცული და შენარჩუნებული, ქართველების ყოველთვის ესმოდათ ტყის უდიდესი მნიშვნელობა.

მაგალითად, თამარ მეფის 1189 წლის სიგელში მოხსენიებულია "ტყის მცველნი". ამასვე ადასტურებს ხალხური ლექსი: "ტყე შეუნახე შვილებსა, მამა ხარ, შენი ვალია".

2004 წელს ქვეყანაში გაუქმდა მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი, რაც უდიდესი შეცდომა იყო. XX საუკუნის 90-იან წლებში დარღვევებით ჩატარდა მიწის პრივატიზაცია, სოფლის-მეურნეობა და აგრარული სექტორი არამომგებიან სფეროდ იყო გამოცხადებული. მოხდა ისიც, რომ გლეხებს ვაზი ააჩეხინეს და საზამთრო დაათესინეს. ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო ტურიზმის განვითარებაზე, თუმცა ფაქტია, რომ პანდემიის პერიოდში ერთ-ერთი პირველი სფერო, რომელიც მყისვე ჩამოიშალა, იყო ტურიზმი. სოფლის-მეურნეობა და აგრარული სექტორი სასიცოცხლოდ აუცილებელია და არც ფუნქციონირება შეუწყვეტია. მიწა გვაძლევს სარჩო-საბადებელს, მისგან გვაქვს "პური, ჩვენი არსობისა". არასწორი აგრარული პოლიტიკის გამო საქართველო დღემდე რჩება ხორბლის იმპორტზე თითქმის 96%-ით დამოკიდებულ ქვეყნად. ეს მაშინ, როდესაც ოდითგანვე საქართველო "ხორბლისა და ღვინის ქვეყანა იყო". არა მარტო ხორბალზე, არამედ სხვა პროდუქტებზეც იმპორტდამოკიდებულ ქვეყნად ვრჩებით. პანდემიის დროს, როცა რუსეთმა გარკვეული დროით შეაჩერა ხორბლის ექსპორტი, მთავრობას მოუწია ხორბლისა და ფქვილის სუბსიდირება. საჭიროა ხორბლის ნათესების გაზრდა, მსოფლიოში არსებული გეოპოლიტიკური დაძაბულობიდან გამომდინარე კიდევ უფრო მწვავდება სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ, მოსახლეობაც მცირეა, გვაქვს ბუნებრივად ნაყოფიერი მიწები, ამიტომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მესამედს მაინც უნდა ვაკმაყოფილებდეთ ხორბლით. მთავრობამ მეტი ძალისხმევა უნდა გამოიჩინოს მარცვლეული კულტურების მიმართ, განსაკუთრებით კი – ხორბლის მიმართ. ჩვენ გვაქვს ხორბლის უნიკალური ჯიშები, რომლებიც მსოფლიოშია ცნობილი, გვყავს სათანადო სპეციალისტები, ხორციელდება ჯიშთა გამოცდა. გასულ წელს დაიწყო მიწის საყოველთაო აღწერა. ჩვენ ჯერ კიდევ არ გაგვაჩნია ზუსტი მონაცემები სასოფლო-სამეურნეო მიწის რაოდენობისა და დანიშნულების, ასევე სავარგულების ეროზირებული მიწის ფართობისა და ეროზიის სახეობების (წყლისმიერი, ქარისმიერი, გადაძოვება და ა.შ.) შესახებ; ვერ ვატარებთ მიწის

მონიტორინგს. ყველა განვითარებულ ქვეყანაში მიწის მონიტორინგის ობიექტს წარმოადგენს როგორც სასოფლო, ასევე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, მიუხედავად მათი საკუთრების ფორმისა. ქვეყნის ტერიტორიულ-სივრცითი მოწყობა არის მიწის მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკვანძო ინსტრუმენტი მისი სოციალური, ტერიტორიული და ეკონომიკური განვითარებისათვის საჭირო გრძელვადიანი მდგრადი განვითარების ჩარჩოს შესაქმნელად. მიწის რესურსებთან დაკავშირებული საკითხები მრავალასპექტიანია და კომპლექსური ხასიათის. რეგიონული დონეზე მთავარი ამოცანაა ტერიტორიულ-სივრცითი მოწყობის საერთო რეგიონული სტრატეგიის შემუშავება და კოორდინაცია, რომელიც 15-20 წელზე უნდა იყოს გათვლილი. სამუშაო პროცესი რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე დაინტერესებული მხარეების ინტენსიური ჩართულობით უნდა წარიმართოს. რეგიონული ადმინისტრაცია ვალდებულია აგრეთვე ინფორმაციული დახმარება გაუწიოს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლობას ეროვნული და რეგიონული პრიორიტეტების, დაცული ტერიტორიების, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების დაგეგმვასა და განხორციელებაში, უზრუნველყოს მოსახლეობის ჩართულობა მათთან ინტენსიური საჯარო კონსულტაციებით და დისკუსიებით.

ქვემო ქართლის რეგიონი საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. ადმინისტრაციული ცენტრია რუსთავი. რეგიონის შემადგენლობაში 6 მუნიციპალიტეტია: თეთრიწყარო, დმანისი, წალკა, გარდაბანი, მარნეული, ბოლნისი. ფართობი 65 28 კვ. კმ-ია. ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ორი უძველესი კრისტალური მასივია – ხრამისა და ლოქის. ვულკანური წარმოშობისაა მოსაზღვრე ჯავახეთის სამსარის ქედები, აგრეთვე წალკის, დმანისისა და გომარეთის პლატოები.

ქვემო ქართლის რეგიონის ნიადაგსაფარი საკმაოდ მრავალფეროვანი ტიპის ნიადაგით არის წარმოდგენილი. ზღვის დონიდან 1000-1800 მ-ზე არსებულ ტყის ფერდობზე ძირითადად მცირე და საშუალო სისქის ყომრალი ნიადაგებია გავრცელებული, ვულკანურ პლატოზე, ზ.დ. 1200 მ-ზე მაღლა – მთის შავმიწა ნიადაგები, ხოლო შედარებით დაბლა – ყავისფერი ნიადაგები. ზ.დ. 1800-2000 მ-ზე მაღლა გაბატონებულია მთა-ტყე-მდელოს ნიადაგები. რე-

გიონის ტერიტორიაზე ლოკალური გაგრძელებით აგრეთვე გამოირჩევა ალევიური და ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები. ყავისფერი ნიადაგები გავრცელებულია მთა-ტყეთა ზონის ქვედა ნაწილში, ზღვის დონიდან 700-1200 მ-ის ფარგლებში, ინტენსიური მიწათმოქმედების ზოლში. რეგიონის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში გავრცელებულია ნეშომპალა კარბონატული ნიადაგები. ციცაბო ფერდობებზე და თხემებზე ჭარბობს მცირე სისქის ზუსტად განვითარებული ხირხატიანი, ხშირად ძლიერ გადარეცხილი ნიადაგები, ზედაპირზე გაშიშვლებული კირქვებით. ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები გამოირჩევა მაღალი ნაყოფიერებით და საუკეთესოა მევენახეობის განვითარებისათვის. ქვემო ქართლის რეგიონში არის მრავალფეროვანი სპექტრი როგორც ნიადაგების, ისე ვერტიკალური ზონალობის, რაც სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი განვითარების საშუალებას იძლევა. რეგიონი მშრალი სუბტროპიკული კლიმატით ხასიათდება. სიმაღლის მატებასთან ერად ჰაერის ტემპერატურა კლებულობს, ნალექების რაოდენობა კი მატულობს. ქვემო ქართლში ბარის ველის, დაბალმთის ტყის, საშუალო მთის ტყის, მთის სტეპისა და მდელოს სტეპის ზომიერად მშრალი ლანდშაფტებია.

რეგიონში 8 დაბაა: კოჯორი, დიდი ლილო, კაზრეთი, მანგლისი, თამარისი, შაუმიანი, ბედიანი, თრიალეთი და 338 სოფელი. სოფლის მოსახლეობა ქალაქისას ჭარბობს მოსახლეობის 40% აზერბაიჯანელია, ისინი კომპაქტურად არიან ჩასახლებული. სოფლის მეურნეობას ქვემო ქართლის რეგიონის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს და რეგიონში წარმოებული დ. ღ-ში მისი წილი 19%-ია. სოფლის მეურნეობის დარგებიდან განვითარებულია მეხილეობა, მევენახეობა, მებოსტნეობა; ტექნიკური კულტურებიდან – თამბაქო, ეთერზეთოვანები; ფეხს იკიდებს მარცვლეულის წარმოება, განვითარებულია მეცხოველეობა. სოფლის მეურნეობაში დასაქმებული რეგიონის მოსახლეობის 29% შეადგენს სოფლის მოსახლეობის 47,8%-ს, ანუ 148000 ადამიანს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი თვითდასაქმებულთა კატეგორიას განეკუთვნებიან და თავიანთ ოჯახურ მეურნეობაში საქმიანობენ, დედაქალაქთან და მეზობელ სახელმწიფოებთან სიახლოვის გამო საკმაოდ წარმატებით ახერხებენ საადრეო კარტოფილით, ბოსტნეულითა და მეცხოველეობის სხვადასხვა პროდუქტებით ბაზრის

ათვისებას. მიწის რესურსების სათანადო გამოყენება (რასაც ხელს უწყობს კლიმატური პირობები) ხელსაყრელია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისათვის. მოსავალის მიღება შეუძლიათ წელიწადში 2–3-ჯერ, რასაც განაპირობებს ქვემო ქართლის რეგიონის მაღალი კონკურენტუნარიანობა სხვა რეგიონებთან შედარებით. ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებიდან აქ განსაკუთრებით უხვმოსავლიანია კარტოფილი და მწვანილი. რეგიონის მთლიანი სავარგულებიდან (392462 ჰა) ათვისებულ კერძო სავარგულებს 28,6% (112444 ჰა) უკავია, აქედან სახნავს – 24% (93269 ჰა), ხოლო 3,5% (13578 ჰა) გამოუყენებელია. დარჩენილი მიწის ფართობების 50% ძირითადად სათიბ-საძოვრებად გამოიყენება.

შიდა ქართლის რეგიონის შემადგენლობაში შედის ხაშურის, ქარელის, გორისა და კასპის მუნიციპალიტეტები, აგრეთვე ქ. ცხინვალი, ყორნისისა და ჯავის მუნიციპალიტეტები. ადმინისტრაციული ცენტრია გორი, ფართობი – 6200 კვ.კმ. რეგიონი რელიეფურად ვაკისა და მთიან ნაწილებად იყოფა. მთიანი ნაწილი წარმოდგენილია კავკასიონის მთავარი ქედითა და მისი განშტოებებით აგრეთვე თრიალეთის ქედის ჩრდილო ფერდობებით. შიდა ქართლის ვაკეს მთელ სიგრძეზე მდინარე მტკვარი მისი ძირითადი შენაკადებით კვეთს, მათ ძირითადად სარწყავად იყენებენ, რისთვისაც შექმნილია ტირიფონის, ტაშისკარის, მუხრანისა და სხვა არხების ქსელი. შიდა ქართლის ტბებიდან აღსანიშნავია ერწოს, ყელის, ნადარბაზევისა და კახისის ტბები, მათ დიდი ტურისტულ-რეკრიაციური მნიშვნელობა აქვს. შიდა ქართლის რეგიონში გვხვდება შემდეგი ნიადაგები: 1) ალევიურ-კარბონატული; 2) მთა-მდელოს, კორდიანი; 3) მთა-მდელოს პრიმიტიული; 4) მთა-მდელოს შავმიწისებრი; 5) მთა-მდელოს კორდიან-ტორფიანი; 6) მდელოს ყავისფერი; 7) მდელოს შავი-ბიცობიანი დამლაშებული; 8) მდელოს შავი; 9) ნეშომპალა-კარბონატული; 10) ნეშომპალა-კარბონატული დეგრადირებული; 11) შავი კარბონატული; 12) ძლიერ ჩამორეცხილი ნიადაგი და ქანების გაშიშვლება; 13) ყავისფერი; 14) ყავისფერი გამოფიტული; 15) ყავისფერი კარბონატული; 16) ყომრალი-გაუწერებული; 17) ყომრალი მჟავე; 18) ყვითელი-ყომრალი რეგიონის ტერიტორიაზე მოსახლეობის უმეტესობა ბარში, მდინარეთა ხეობებსა და სატრანსპორტო მაგისტრალების გასწვრივ ცხოვრობს. შიდა ქართლი გამოირჩევა მრავალფეროვანი

სოფლის მეურნეობით. განვითარებულია მეხილეობა, ასევე მარცვლეული კულტურებისა და ბოსტნეულის წარმოება, ფუნქციონირებს საკონსერვო და ხილის გადამამუშავებელი ქარხანა, შიდა ქართლის რეგიონი განსაკუთრებით ცნობილია თავისი ხეხილის ბაღებით. აქაური ხილი გამოირჩევა არომატთა ხარისხით და მაღალი საექსპორტო დანიშნულება აქვს. საქართველოს მასშტაბით რეგიონში ხილის მოსავლის დაახლოებით მეოთხედი იწარმოება. შიდა ქართლში კარგი პირობებია ტურიზმისა და რეკრეაციული ზონის განვითარებისათვის. აქ მრავალი ღირსშესანიშნაობაა. მათ შორის აღსანიშნავია ატენის სიონი, ყინწვისისა და სამთავისის ეკლესიები, უფლისციხე, რკონის მონასტერი და სხვა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით ქარელის მუნიციპალიტეტში ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზია განიცადა 8,677 ჰა-მა, ხოლო გორის მუნიციპალიტეტში – 14,157 ჰა-მა, ქარელში დამლაშებულია – 450 ჰა, ხოლო გორში – 233 ჰა ნიადაგი. ამის შესახებ შიდა ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგიაშია აღნიშნული და მოიცავს 2014-2024 წლამდე არსებით პერიოდს. ამავე კვლევის მიხედვით კვერნაკის ქედის ორივე ფერდობზე საძოვრები საშუალოდ ეროზირებულია ცხვრის მიერ გადაძოვების გამო, ზოგან შეიმჩნევა ნიადაგის ეროზიაც, ატენის ხეობაში კი შეიმჩნევა ტყის საზღვრების ცვლილებები. მკვლევრები აღნიშნავენ, რომ შიდა ქართლში შეიმჩნევა გაუდაბნოების პროცესის გააქტიურება, სადაც ბოლო 20 წლის განმავლობაში ქარსაცავი ზოლების განადგურებისა და ნალექების დეფიციტის პირობებში, მომატებული ტემპერატურის ფონზე გაძლიერდა ქარისმიერი ეროზიის პროცესი.

რეგიონში ნიადაგის ძირითადი პრობლემა ეროზიული პროცესებია, რაც იწვევს მეწყრებს, ღვარცოფებს და ა.შ. კარგად განვითარებული ჰიდროგრაფიული ქსელი, მთიან ადგილებში რელიეფის ჰორიზონტალური და ვერტიკალური დანაწევრების მაღალი მაჩვენებელი, ფერდობების დახრილობა, ეროზიისადმი დამყოლი ქანების ფართო გავრცელება, მცენარეული საფარის განადგურება წარმოადგენს მთავარ ფაქტორს ეროზიის ფართომასშტაბიანი განვითარებისათვის. მდინარეების ეროზიული მოქმედება რეგიონში არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბუნებრივი ფაქტორი, მიწის რესურსებთან დაკავშირებით. ფერდობების და

ფლატეების ძირების გამორეცხვა იწვევს მათ დამეწყვრას (კნოლევი, მეტეხი, შაქშაქეთი, ბრეთი). ღვარცოფები ვითარდება თრიალეთის ქედის ყველა მდინარის აუზში, დაწყებული მდინარე მტკვრის დიდი შენაკადებიდან (მდ. ძამა, თუძამი, ტანა) მათი უფრო პატარა შენაკადების ჩათვლით და დამთავრებული ხევებით და დროებითი პატარა ხრამებით. ღვარცოფების მიერ გამოტანილი მასალა რეგიონში ხშირად ანგრევს საირიგაციო სისტემებს, გზებს, ხიდებს, ჯებირებს, შენობა-ნაგებობებს, ანადგურებს და ფარავს სასოფლო-სამეურნეო ნათესებს და სავარგულებს, ხშირად იღუპება შინაური პირუტყვი, ფრინველი და, რაც ყველაზე მთავარია, ფიქსირდება ადამიანთა მსხვერპლი. მეწყრები ფართოდაა გავრცელებული რეგიონის სამხრეთ და დასავლეთ ნაწილებში – ხაშურის, ქარელისა და კასპის რაიონებში. მეწყრებმა ძლიერ დააზარალა და დღემდე საშიშროების ზონებშია ამ რაიონების მრავალი ათეული დასახლებული პუნქტი.

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში 8 მუნიციპალიტეტია: მესტია, ზუგდიდი, წალენჯიხა, ხობი, სენაკი, ჩხოროწყუ, აბაშა, მარტვილი და ქალაქი ფოთი. ადმინისტრაციული ცენტრია ზუგდიდი. რეგიონის ბუნებრივი პირობები საკმაოდ მრავალფეროვანია, იგი შავი ზღვიდან კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედამდე ვრცელდება და რელიეფურად ვაკისა და მთიან ნაწილებად იყოფა. კოლხეთის დაბლობის ჩრდილო განშტოებებითაა წარმოდგენილი ვაკე ტერიტორია, რომელსაც ოდიშის პლატო აკრავს და გორაკ-ბორცვები კარსტულ მასივებში გადადის. ეგრისის ქედის ჩრდილოეთით ზემო სვანეთია, აქ მდებარეობს საქართველოს უმაღლესი მწვერვალი შხარა (ზ. დ. 5068 მ). სვანეთის ქედზე მდებარე ზაგაროს უღელტეხილით ზემო სვანეთი ქვემო სვანეთს უკავშირდება, მწვერვალი უშბა მსოფლიოს 100 რთულად დასაპყრობ მწვერვალთა სიაშია შეტანილი. რეგიონში ვაკე-დაბლობებსა და გორაკ-ბორცვებზე სუბტროპიკული მეხილეობაა განვითარებული. სახნავი მიწები ძირითადად სამეგრელოშია, სათიბ-საძოვრები კი – ზემო სვანეთში. სამეგრელო-ზემო სვანეთი ტრადიციული მესაქონლეობის მხარეა. სამეგრელო-ზემო სვანეთი მრავალფეროვანი ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის მქონე რეგიონია. აქ არის მრავალი სხვადასხვა პროფილის კურორტი: მენჯი, ლებარდე, მალთაყვა, ცაიში, სქური და ა.შ. სამეგრელოს

რბილი და ნოტიო ჰავა ხელსაყრელია ციტრუსების მოსაყვანად როგორც სოფლის, ისე ქალაქის მოსახლეობის საკარმიდამო მეურნეობაში. მესტია ზემო სვანეთის ადმინისტრაციული და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრია. იგი ქართული ხუროთმოძღვრებისა და ეთნოგრაფიის ძეგლია. აქ კარგადაა შემონახული სვანური კოშკები და საკულტო ნაგებობები. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ასეულობით უღელტეხილი და ბუნებრივი ღირსშესანიშნაობაა, როგორიცაა: დადიანების სასახლე, რუხის ციხე, ცაიშის მონასტერი. ჩანჩქერი "ჟუჟი", ქუაქანცალა და სხვა. უშგული ერთ-ერთი ყველაზე მაღლა მდებარე დასახლებულ ადგილად ითვლება ევროპაში.

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი ხასიათდება ძლიერი დანაწევრებული რელიეფით, დიდი შეფარდებითი სიმაღლეებითა და ღრმა ხეობებით. რეგიონის ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნების გამო მისი ნიადაგური საფარი საკმაოდ ჭრელია და სხვადასხვა ტიპის ნიადაგებით არის წარმოდგენილი. რეგიონის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი შეადგენს 268 000 ჰა-ს. სოფლის კომლების უმრავლესობას საკუთრებაში 1,25 ჰა-ზე ნაკლები სავარგული აქვს. მიწის ფონდში სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მოდის 39,2%; ბუჩქნარებზე – 3,5%; ჭაობებზე – 2,0%; წყლით, არხებით და გზებით დაკავებულ ტერიტორიაზე – 7,3%; შენობა-ნაგებობებზე – 2,1%, ხოლო დანარჩენ გამოუყენებელ მიწებზე – 8,3%. **კოლხეთის დაბლობზე** გავრცელებულია ტორფი და ჭაობიანი ტყეები.

რეგიონი მდიდარია ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობის მქონე ბუნებრივი წიაღისეულით, ასევე ჰიდრორესურსებით.

რეგიონის მდებარეობა განაპირობებს როგორც სამელიორაციო, ისე სარწყავი სისტემების საჭიროებას. 1,9 ათასი ჰა მიწაა სარეაბილიტაციო ხობის მუნიციპალიტეტში, ხოლო 4,5 ათასი ჰა მიწა – სენაკის მუნიციპალიტეტში. წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ურწყავი მიწების ფართობი 3000 ჰა-ს შეადგენს.

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ერთ-ერთი პრობლემაა აუთვისებელი სავარგულები, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული და მიტოვებული გაბუჩქებული-გაუხეშებული-გასარევლიანებული ფართობები, აუთვისებელი მიწის ფართობები სულ

შეადგენს 14,8 ათას ჰა-ს, მთლიანი სავარგულების 5,5%-ს. აქედან დეგრადირებულია 5000-ჰა-ზე მეტი, გაველურებული ჩაისა და ტუნგოს ფართობები. დეგრადირებული სავარგულების ათვისება რეგიონის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდის მნიშვნელოვან პოტენციალს შეიცავს, რაც სახელმწიფოს აქტიური ძალისხმევით უნდა განხორციელდეს.

რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონის შემადგენლობაშია: რაჭა (ონისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტი), ლეჩხუმი (ცაგერის მუნიციპალიტეტი) და ქვემო სვანეთი (ლენტეხის მუნიციპალიტეტი). ფართობი – 4954 კვ.კმ, ადმინისტრაციული ცენტრი – ამბროლაური. რეგიონის რელიეფში მაღალი ქედები და ქვაბულებია წარმოდგენილი, ტერიტორიის ნახევარზე მეტი ტყის მასივებს უჭირავს. დიდი ფართობი უკავია საძოვრებს, რაც ხელს უწყობს მეცხოველეობის განვითარებას. რეგიონში აშენებენ ვენახს, ხილს, თითქმის ყველგან მოჰყავთ სიმინდი, ბაღჩეული და ბოსტნეული კულტურები. რეგიონის ეკონომიკის წამყვანი დარგია მევენახეობა, რასაც რეგიონის მოსახლეობა უძველესი დროიდან მისდევს. აქაური ვაზის ჯიშები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება არომატით, ფერით და გემოთი. მათგან საქვეყნოდ ცნობილი ნახევრადტკბილი და სუფრის სამარკო ღვინოები მზადდება: "ხვანჭკარა", "ბარაკონი", უსახელოური, თეთრა ტვიში. რეგიონის ეკონომიკის საფუძველია სოფლის მეურნეობა, სახნავ მიწებს მთელი ტერიტორიის 7% უკავია, მრავალწლიან კულტურებს – 3%.

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი ტიპური მთიანი მხარეა. 5000 მ-ის ქვემოთ განლაგებულია ტერიტორიის მხოლოდ 2,2%, ამიტომ ვაკე-რელიეფს რეგიონში უმნიშვნელო ფართობი უკავია. ზამთარი რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში მკაცრი და ხანგრძლივია. რეგიონში 256 დასახლებული პუნქტია, მათ შორის 3 დაბასა (კვაისა, ლენტეხი, ხარისთვალა) და 3 ქალაქში (ამბროლაური, ონი, ცაგერი) მოსახლეობის 20% ცხოვრობს, დანარჩენი კი – სოფლად. ეს რეგიონი ყველაზე ნაკლებად ურბანიზებული მხარეა ქვეყანაში. სოფლების უმრავლესობა პატარაა, დეპოპულაციის გამო ხშირად გვხვდება დაცარიელებული და გაუკაცრიელებული სოფლები.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის შემადგენლობაშია ისტორი-

ული პროვინციები – ხევი, ხევსურეთი, ფშავი და მთიულეთი, მცხეთის, თიანეთის, დუშეთის, ყაზბეგისა და ახალგორის მუნიციპალიტეტები. ფართობი – 6785 კვ.კმ. რელიეფურად ბარის ნაწილი მიეკუთვნება შიდა ქართლის ვაკეს. მთიან ნაწილში კავკასიონის მთავარი ქედის განშტოებებია გუდამაყრის, ალევის, ქართლისა და კახეთის ქედები. რეგიონის ჰავას და ბუნებრივ ლანდშაფტებს მკვეთრად გამოხატული სიმაღლებრივი სარტყლურობა ახასიათებს. ხევის მთავარი არტერიაა მდინარე თერგი. აღსანიშნავია ულამაზესი დარიალის ხეობა, სიონის წყალსაცავი, რომელიც სიონთან მდინარე იორის გადაკვეთით შეიქმნა, წყალსაცავს რეკრეაციული დანიშნულება აქვს. იგი ერთ-ერთი ნაკლებად ურბანიზებული რეგიონია ქვეყანაში. მის შემადგენლობაშია 285 დასახლებული პუნქტი, 2 ქალაქი (მცხეთა, დუშეთი) და 7 სააგარაკო დასახლება: თიანეთი, ფასანაური, ჟინვალი, სტეფანწმინდა, ახალგორი, რიონი და ზაჰესი. მცხეთა-მთიანეთი სოფლის მეურნეობის რეგიონია. განვითარებულია მემარცვლეობა, მებოსტნეობა, მეხილეობა. რეგიონის ძირითადი და ტრადიციული დარგია მეცხოველეობა, განსაკუთრებით მეცხვარეობა. რეგიონში უნიკალური პირობებია ტურიზმის, ალპინიზმის, საკურორტო მეურნეობის განვითარებისათვის (გუდაური, სიონი, ფასანაური). მაღალმთიან სოფლებში საშუალოდ 5-10 კაცი ცხოვრობს, დაცლილია არაერთი სოფელი.

დუშეთის მუნიციპალიტეტში ტერიტორიის დიდი ნაწილი უკავია ყომრალსა და ტყის ყავისფერ ნიადაგებს, ბაზალეთის პლატოზე მცირედ გავრცელებულია შავმიწა ნიადაგები, შემაღლებულ ადგილებში საშუალო და მცირე სისქის ტყის ყომრალი ნიადაგებია ჩამოყალიბებული, ალაგ-ალაგ არის ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგებიც. ტყის ზონის ნიადაგებს ზემოთ ცვლის კორდიანტორფიანი ნიადაგები, ჰიდროგრაფიული ქსელი მჭიდროა და წარმოდგენილია მდინარეებით, ტბებით, მყინვარებითა და მიწისქვეშა წყლებით. დუშეთის მუნიციპალიტეტში მდებარე ტბებიდან აღსანიშნავია ბაზალეთისა და აბუდელაურის ტბები. ბაზალეთი საკურორტო-ტურისტული და რეკრეაციული ადგილია.

თიანეთის მუნიციპალიტეტის საშუალო მაღალმთიანი ტერიტორია 906,3 კმ^2-ია, მისი დიდი ნაწილი მაღლობებისა და

მთისწინებს უკავია, მცირე ნაწილი კი – ჩადაბლებებს. არსებობს თიანეთისა და ერწოს ქვაბულები. თიანეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გვხვდება სხვადასხვა ტიპის ნიადაგები. მაღალ ადგილებში (ქედების კალთებზე) ჩამოყალიბებულია ტყის გაეწერებული და ყომრალი ნიადაგები, რომელსაც უფრო მაღლა კორდიანი და კორდიან ტორფიანი მთის მდელოს ნიადაგი ცვლის. მუნიციპალიტეტის დაბალ ადგილებში გავრცელებულია ტყის ყავისფერი ნიადაგები, ერწოსა და თიანეთის ქვაბულებში და სიონის ქვაბულის ფსკერზე – ალევიური ნიადაგები. მდინარე იორის შენაკადებია შემდეგი მდინარეები: ქუსნო, საგამი, ხაშრულა და ხათახურა. მდინარეების საერთო სიგრძე დაახლოებით 420 კმ-ია. ივრის აუზში მკაფიოდ არის გამოხატული კლიმატის კონტინენტურობა და ამით იგი გამორჩეულია საქართველოს სხვა მდინარეთა აუზებისაგან. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორია (საერთო ფართობი – 1081,7 კმ^2) მაღალმთიანია, რელიეფი ძირითადად – კლდოვანი და ძნელად მისადგომი. განვითარებულია ეროზიული, ვულკანური და ძველმყინვარული რელიეფის ფორმები, სპორადულად გვხვდება კარსტიც. ტერიტორიის უდიდესი ნაწილი უკავია მთა-მთელოს კორდიან და პრიმიტიულ ნიადაგებს. ტყის ღია ყომრალი ნიადაგები გვხვდება მდინარე თერგისა და მის რამდენიმე შენაკადის ხეობაში. მდინარეთა ხეობების ძირებზე არის ასევე ალევიური ნიადაგი, მაღალმთიან ადგილებში ნიადაგი ტყის საფარს მოკლებულია. მთა-მდელოს კორდიანი ნიადაგი ვრცელდება ზღვის დონიდან 1100-2600 მ-მდე. ქალაქი მცხეთა და მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორია არის 805,5 კვ. კმ. რელიეფი დაბალმთიანია, მუხრან-საგურამოს ვაკეზე გავრცელებულია მდელოს ალევიური, კარბონატული და მდელოს ყავისფერი ნიადაგები. მდელოს ყავისფერი ნიადაგია აგრეთვე მტკვრის-პირის ვაკეზე და თრიალეთის ქედის მთისწინეთში. ფართოდ არის გავრცელებული ტყის ყავისფერი ნიადაგი ქართლის, სხალტბის, საგურამოსა და თრიალეთის ქედებზე. მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მრავალი ღირსშესანიშნაობაა: ქალაქი-მუზეუმი მცხეთა, ანანური, ზედაზნისა და შიომღვიმის მონასტრები, გერგეთის სამება, შატილი, მუცო, გუდაზი, ბარისახო, ხახმატი. ხალხური არქიტექტურის შედევრია კლდეზე შეფენილი სოფელი შატილი, რომელიც ერთდროულად საცხოვრებელიც იყო და ციხე-სიმაგრეც.

მცხეთის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში მრავალი ისტორიული, არქეოლოგიური და კულტურული ობიექტი მდებარეობს, მ. შ. სვეტიცხოვლისა და მცხეთის ჯვრის კომპლექსები, ბებრის ციხე, სამთავროს ველის კომპლექსი, არმაზის ციხე, პომპეუსის ხიდი და სხვა. მცხეთა, როგორც ქალაქი-მუზეუმი, იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი. მას მეორე იერუსალიმსაც უწოდებენ.

გურიის რეგიონი დასავლეთ საქართველოში შავი ზღვის პირას მდებარეობს. მისი ფართობია 2033 კვ.კმ. ადმინისტრაციული ცენტრია ოზურგეთი. გაგრის რეგიონი მოიცავს: ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებს. გურია ბუნებრივი პირობების მიხედვით ბარისა და მთის ნაწილად იყოფა. კოლხეთის დაბლობის ნაწილი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ექცევა, რომლის დიდი ნაწილი (რეგიონის ტერიტორიის 48%) უკავია ტყეს (81,2 ათასი ჰა).

კახეთის რეგიონი მოიცავს შიდა კახეთს (ახმეტის, თელავის, ყვარლის, გურჯაანის, ლაგოდეხის, მუნიციპალიტეტები) და გარე კახეთს (საგარეჯოს მუნიციპალიტეტი და გურჯაანის მუნიციპალიტეტის ნაწილი); ქიზიყს (სიღნაღისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი). მისი ფართობია 11310 კვ. კმ., ადმინისტრაციული ცენტრი – თელავი. კახეთი რელიეფურად წარმოდგენილია ვაკე და მთიანი ტერიტორიებით. გარე კახეთში ზაფხულის ტემპერატურა ყველგან მაღალია, ელდარის ვაკე საქართველოს ყველაზე მშრალი რეგიონია. კახეთის რეგიონი ტყეებით მდიდარია, ანუ ტერიტორიის 32% ტყეს უკავია, რომელსაც ნიადაგდაცვითი, წყალშენახვითი, საკურორტო მნიშვნელობა აქვს. კახეთში 276 სოფელია, მოსახლეობის 75,2% სოფელში ცხოვრობს, 24,8% – ქალაქში.

კახეთი სასოფლო-სამეურნეო რეგიონია, რომლის ძირითადი დარგია მევენახეობა, ვაზის გავრცელებულ ჯიშებს შორის წამყვანია რქაწითელი, მწვანე, საფერავი და სხვა. მათგან მიიღება მსოფლიოში ცნობილი თეთრი და წითელი მშრალი სამარკო ღვინოები: "წინანდალი", "გურჯაანი", "ნაფარეული", "მუკუზანი", "საფერავი" და ა.შ. მოჰყავთ ასევე მარცვლეული კულტურები, ხილი, ბოსტნეული. რეგიონის ეკონომიკაში წამყვანია კვების მრეწველობა, კერძოდ, ღვინის, ეთერზეთების, საკონსერვო და თამბაქოს

წარმოება. მდინარე ალაზანს და იორს უდიდესი საირიგაციო მნიშვნელობა აქვს კახეთის რეგიონისთვის. მათზე შექმნილია სარწყავი სისტემები, როგორიცაა ალაზნისა და ზემო ალაზნის არხები, აგრეთვე სამგორის არხი. რეგიონის ეკონომიკურ წინსვლას ხელი შეუწყო მთელი რიგი პროექტების განხორციელებამ ტურიზმის სფეროში (სიღნაღისა და ყვარლის ტურისტული ზონები). რეგიონის აგროტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი გააჩნია. კახეთში მრავალი ღირსშესანიშნაობაა: ალავერდის, შუამთის, ბოდბის, დავით გარეჯის, ნეკრესისა და სხვა ეკლესია-მონასტრები; ასევე ერეკლე მეფის სასახლე თელავში, ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი წინანდალში. თელავი მრავალფუნქციური ქალაქია, რომელიც 1801 წელს გამოცხადდა ქალაქად, მისი მშვენებაა ბატონის ციხე მოედნითა და ერეკლე მეორის ძეგლით.

კახეთში ხშირია ისეთი სტიქიური მოვლენები, როგორებიცაა ღვარცოფი, სეტყვა, გვალვა. სეტყვა წელიწადში საშუალოდ 2-ჯერ მოდის და დიდ ზიანს აყენებს როგორც მევენახეობას, ასევე მთლიანად სოფლის მეურნეობას. კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელმა კახეთის რეგიონში მიწის რესურსებისა და სოფლის მეურნეობის კუთხით არსებული პრობლემების შესასწავლად ჩაატარა კვლევა, რის შედეგადაც გამოვლინდა ძირითადი პრობლემები: მიწის ეროზია, ტყეების გაჩეხვა, ნიადაგის მასობრივი დაჭაობება, სათესლე მასალისა და ტექნიკის დეფიციტი. ასევე აღმოჩნდა, რომ არაერთ სოფელში მოშლილია სარწყავი და სადრენაჟო სისტემები, ზოგან პრობლემურია სასმელი წყლის მიწოდებაც. ასოციაციის კვლევით სოფლებში არ არსებობს ან მწყობრიდანაა გამოსული სადრენაჟო სისტემები, ხოლო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში (სოფლები: ფიროსმანი, ქვემო ქედი, სამთაწყარო) რეაბილიტაციას საჭიროებს სარწყავი სისტემები. ამასთან ყველგან ჩასატარებელია ნაპირსამაგრი სამუშაოები. კიდევ ერთ საჭირბოროტო საკითხს წარმოადგენს ადიდებულ მდინარეთა პრობლემა. ასოციაციის კვლევით, იმის გამო რომ მდინარეთა კალაპოტები გაწმენდილი არ არის და არც ნაპირებია გამაგრებული, მათი ყოველი ადიდება სერიოზულად აზიანებს რეგიონს, ტბორავს ნაკვეთებს და სავარგულებს. ხშირად იხოცება ფრინველიც და მოსახლეობას წყალი სახლებშიც უვარდება. განსაკუთრებული პრობლემები ახლავს საზღვრისპირა

რეგიონებში მდინარეების ადიდებას, რომლებიც იცვლიან კალაპოტს და შესაბამისად ცვლიან საზღვარსაც, რაც იწვევს ტერიტორიების დაკარგვას.

აჭარის რეგიონის ფართობი 2900 კვ.კმ-ია. მისი რელიეფი რთული და მრავალფეროვანია. მისი უმეტესი ნაწილი მთებს, მთისწინებსა და ღრმა ხეობებს უკავია. შავი ზღვა, როგორც მთლიანად საქართველოს, ისე აჭარის უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი სიმდიდრეა. აჭარა მოიცავს ქ. ბათუმსა და ქედის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებს. აჭარა მდიდარი ბუნებრივი ლანდშაფტით ხასიათდება. აქ წარმოდგენილია მთის ტყეები, კოლხური ქვეტყეები, ალპური და სუბალპური მდელოები. მათ დაცვას ემსახურება მტირალას ეროვნული პარკი, ქობულეთისა კონტრიშის ნაკრძალები. აჭარა აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთ ულამაზესი საკურორტო და რეკრეაციული მხარეა, მის ტერიტორიაზე მდებარეობს ბუნებისა და კულტურის ისეთი ობიექტები, როგორებიცაა; ბათუმის ბოტანიკური ბაღი, გონიოს ციხე, სხალთის ეკლესია, ციხისძირის ბამბუკის ჭალა, შეკვეთილის დენდროლოგიური პარკი. ცნობილი კურორტებია: ქობულეთი, მწვანე კონცხი, ციხისძირი, მახინჯაური და ა.შ.

აჭარა ქვეყანაში ციტრუსების მთავარი მწარმოებელია, წამყვანი ადგილი კი უკავია მანდარინს. აჭარაში სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის 3 ზონაა გამოყოფილი. სანაპირო ზონაში მისდევენ მეციტრუსეობას და მეჩაიეობას, შიდა აჭარაში – მესიმინდეობასა და მეთამბაქოებას, მაღალმთიან აჭარაში კი – ძირითადად მესაქონლეობას. აჭარაში ციტრუსების პლანტაციები ძირითადად ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში, ყინვისა და ქარისაგან დაცულ გორაკ-ბორცვებზეა განთავსებული (ზღვის დონიდან 350-400 მ-ზე). მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია ხეტყის მრეწველობა. აჭარაში დიდი ფართობები უკავია ბამბუკის პლანტაციებს, რითაც ავეჯს ამზადებენ.

აჭარის ნიადაგური საფარი განსაკუთრებული ნაირგვაროვნებით ხასიათდება, მისი ანალოგი თითქმის არ გვხვდება საქართველოს სხვა რეგიონებში. ზღვისპირა რაიონებში ფართოდ არის გავრცელებული ტიპური წითელი მიწები. იგი წარმოადგენს სუბტროპიკული კულტურების (ჩაი, ციტრუსი, ტუნგო, დაფნა და სხვა) განვითარებისთვის საუკეთესო გარემოს. სიმაღლის მიხედ-

ვით წითელმიწები გადადის ყვითელ-ყომრალ ნიადაგებში, შემდეგ კი ტყის ყომრალ ნიადაგში, რომელიც შედარებით ფართოდაა გავრცელებული. ყომრალი ნიადაგები წიფლის ტყეების ქვეშ ხასიათდება ტიპური თვისებებით. წიფლნარ-მუქწიწვოვანი და მუქწიწვოვანი ტყეების ნიადაგებში შეიმჩნევა გაეწერების ნიშნები. აჭარის მაღალმთიანეთში გავრცელებულია მთა-ტყე-მდელოსა და მთა-მდელოს ნიადაგები, ხოლო შქერის ქვეშ და დადაბლებული რელიეფის პირობებში გვხვდება კორდიან-ტორფიანი ნიადაგები. კახაბრისა ქობულეთის დაბლობებზე გავრცელებულია ალევიალური ნიადაგები, დადაბლებულ ტერიტორიებზე, განსაკუთრებით ისპანის ჭაობში (ქობულეთი) კი – ტორფიან-ჭაობიანი და ლამიან-ჭაობიანი ნიადაგები.

აფხაზეთის რეგიონი მთაგორიანი მხარეა, ტერიტორიის 75% მთებსა და მთისწინებს უკავია. აფხაზეთის მთელი ტერიტორიის ნახევარზე მეტი ზ.დ-დან 500 მ-ზე მაღლა მდებარეობს აფხაზეთის ბუნებრივი პირობები მრავალფეროვანია. სანაპირო ზონა წარმოდგენილია ვაკე და გორაკ-ბორცვიანი მთისწინებით. სანაპირო ზოლსა და მიმდებარე ბორცვიან მთისწინეთში კოლხური პოლიდომინანტური ტყეებია გავრცელებული, მთის ფერდობებზე კი – მუხნარ-რცხილნარი, წიფლნარი და ფიჭვის კორომები.

აფხაზეთის ზღვისპირა ვაკე-დაბლობებზე ალევიური და ჭაობიანი ნიადაგები ჭარბობს. ჭარბტენიან ვაკე-დაბლობებზე ჭაობიანი და ტორფიან-ჭაობიანი ნიადაგებია, რომლებიც ტიპურად გამოხატულია გალის რაიონის ზღვისპირა ზოლში. უკეთ დრენირებულ დამრეც ვაკე-დაბლობებზე ეწერი და ალუვიური კარბოტანული ნიადაგებია გაბატონებული. გორაკ-ბორცვიან მთისწინეთში ვულკანოგენური ქანების გამოფიტვის პროდუქტებზე ყვითელმიწები და წითელმიწებია, კირქვების მერგელების გამოფიტვის პროდუქტებზე – ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები. ეს ნიადაგები ხელსაყრელია ჩაის, ციტრუსების, ვაზისა და სხვა კულტურებისათვის.

აფხაზეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი ტყის ნიადაგს უკავია. ის ქვედა, კირქვებით აგებულ ზონაში წარმოდგენილია ნეშომპალა-კარბონატული, ხოლო არაკირქვულ ზონაში – საშუალო და მცირე სისქის ტყის ყომრალი ნიადაგით. ზედა ზონაში ტყის ზედა სარტყელის კარბონატული ან ღია და გაეწერებული

ტყის ყომრალი ნიადაგებია, სუბალპურ ზონაში – კორდიანი და კორდიან-ტორფიანი მთის მდელოს ნიადაგები, ხოლო ალპური მდელოების ზონაში – პრიმიტიული, მცირე სისქის კორდიან-ტორ-ფიანი მთის მდელოს ნიადაგები. მცირე უბნების სახით თითქმის ყველა ზონაში გვხვდება ძლიერ ჩამორეცხილი და სუსტად განვითარებული ნიადაგები. აფხაზეთში მრავალი ღირსშესანიშ-ნაობაა: ახალი ათონის მღვიმე და მონასტერი, დრანდის, ბედიისა და ილორის ეკლესიები, რიწის ტბა, რომელიც ყველაზე ღრმაა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ სამხრეთ კავკასიაში.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის რელიეფში ჭარბობს ვულ-კანური ფორმები, რომელთაც მიეკუთვნება ჯავახეთისა და სამსრის ქედები, ახალქალაქის ვულკანური პლატო. ახალციხის ქვაბულის (ზ.დ. 400-1500 მ) რელიეფი ტერასული საფეხურებითაა წარმოდგენილი. რეგიონი მოიცავს 3 ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციას: სამცხე (ადიგენის, ახალციხისა და ასპინძის მუნიცი-პალიტეტები), ჯავახეთი (ახალქალაქის, ნინოწმინდისა და ასპინ-ძის მუნიციპალიტეტის ნაწილი) და თიორი (ბორჯომის მუნიციპა-ლიტეტი). ადმინისტრაციული ცენტრია ახალციხე. სამცხე-ჯავა-ხეთი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მრავალეროვანი რეგიო-ნია, ქართველების გარდა აქ ცხოვრობენ აზერბაიჯანელები, სომხები, ბერძნები, რუსები, ოსები. სამცხე-ჯავახეთი ძირითადად სასოფლო-სამეურნეო რეგიონია. მოჰყავთ კარტოფილი, ყურძენი, ბოსტნეული, ბაღჩეული და ერთწლიანი მარცვლოვანი კულტურე-ბი, რეგიონში სასოფლო-სამეურნეო მიწების თითქმის ნახევარი საძოვრებს უკავია. შესაბამისად განვითარებულია მეცხოველეობა. სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული აქაური მოსახლეობის უდიდესი ნაწილი. რეგიონში სოფლის მეურნეობა ძირითადად შინამეურნეობებისა და კომერციული მეურნეობების სახითაა წარ-მოდგენილი. პროდუქციის წარმოების 85%-ზე მეტი მცირე ზომის შინამეურნეობებშია თავმოყრილი. შინამეურნეობების 68% სოფ-ლის მეურნეობის პროდუქტებს ძირითადად საკუთარი მოხმარე-ბისთვის აწარმოებს, ხოლო დანარჩენი 22%-ისთვის სოფლის მეურნეობა შემოსავლის წყაროა. მეცხოველეობა რეგიონის, გან-საკუთრებით ჯავახეთის ეკონომიკის ძირითადი დარგია. სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ტერიტორიის თითქმის 2/3 სასოფლო-სამეუ-რნეო სავარგულებს უკავია. სამცხეში ამ მიწებზე მთელი ფარ-

თობის 53,4% მოდის, ჯავახეთში – 83,3%. ორივე მხარის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნახევარზე მეტი საძოვრებია. განსაკუთრებით დიდია მათი ფართობი მეცხოველობის წამყვან მუნიციპალიტეტებში: ასპინძაში, ნინოწმინდაში, ახალქალაქში. სიდიდით მეორე, ყველაზე მსხვილი სავარგულის სახეობაა სახნავი მიწა, დანარჩენი ფართობი სათიბს, დაუმუშავებელი მიწებს და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებულ ფართობებს უკავია. 90-იანი წლების ეკონომიკური და ენერგეტიკული კრიზისის პერიოდში რეგიონში განადგურდა და დეგრადაცია განიცადა ტყეების მნიშვნელოვანმა ნაწილმა. სამცხე-ჯავახეთის საზაფხულო საძოვრებზე ხშირად მიერეკებიან ცხოველებს ბარის რაიონებიდან. მეცხოველეობის ინტენსიფიკაცია და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობის გაზრდა არა მხოლოდ საძოვრების შემდგომ დეგრადაციას გამოიწვევს, არამედ გამოყოფილი საძოვრების გარეთ უკონტროლო ძოვების გამო ტყეებსა და სხვა ღირებულ ლანდშაფტებზეც იქონიებს ზემოქმედებას. გადაძოვება რეგიონის მთავარი პრობლემაა, მიწის რესურსებთან დაკავშირებით. საძოვრების როტაციის (მონაცვლეობა) სისტემის დანერგვა და მონიტორინგი მათი გადარჩენისა და დაცვის ერთადერთი გზაა. ამ მეთოდის გამოყენებით ნიადაგის ეროზია პირველი წლის განმავლობაში დაახლოებით 16%-ით შემცირდება, ხოლო მომდევნო წელს 5 წლის განმავლობაში – 6%-ით, საკვების მოცულობა კი 20%-ით გაიზრდება. აღნიშნული ღონისძიება მნიშვნელოვნად შეამცირებს გადაძოვების ხარისხს. ძველად მესხეთ-ჯავახეთში იმდენი ხორბალი მოჰყავდათ, რომ უცხოეთშიც კი გაჰქონდათ. XII საუკუნეში თამარ მეფის ეპოქაში მესხეთი საქართველოსთვის ნამდვილი ბეღელი იყო.

ასევე საჭირბოროტო საკითხია აგრარულ სფეროში შესაბამისი კადრების სიმცირე. მიწის დაცვის დეპარტამენტის გაუქმებას მოჰყვა სოფლის მეურნეობის დარგის საგანმანათლებლო დაწესებულებების გაუქმება ან ისე შეცვლა, რომ მათ ფაქტობრივად დაკარგეს ფუნქციები (საბაშვილის სახელობის ნიადაგთმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის, მცენარეთა დაცვისა მიწათმოქმედების სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის, აგრარული უნივერსიტეტი, გაუქმდა წინამძღვრიანთკარის სოფლის მეურნეობის ტექნიკუმი). ქვეყანა განიცდის აგრო-

ნომთა, გეოლოგთა, გეომორფოლოგთა, სეისმოლოგთა, მეტყევეთა, მიწათმზომელთა, ინჟინერ-მექანიკოსთა, ეკოლოგთა და ა.შ. კადრების სიმცირეს. ჩვენი ქვეყნის აგრარული სფეროს განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს უცხოური გამოცდილების გათვალისწინებას. მაგ., ისრაელმა "კიბუცების" მოდელის დანერგვით უდაბნო მიწა წალკოტად გადააქცია. მთავრობის მხარდაჭერით თუ საქართველოშიც განვახორციელებთ აღნიშნულ მოდელს (საპილოტე პროგრამას მაინც), ჩვენი ქვეყნის აგრარული სფერო მნიშვნელოვნად განვითარდება. ამ პროგრამაში შეიძლება ჩავრთოთ სოციალურად დაუცველი შრომისუნარიანი ადამიანები. "კიბუცების" მოდელს დიდი ხანია იწონებს და მხარს უჭერს საქართველოს კათალიკოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე. ასევე ამ მოდელს დადებითად აფასებდა ჩვენი კოლეგა, გამოჩენილი მეცნიერი, პროფესორი თინა ჩხეიძე. სოფლის-მეურნეობა წარმოუდგენელია წყლის გარეშე. საქართველო ჰიდრორესურსებით მდიდარი ქვეყანაა. თბილისში განხორციელდა სამელიორაციო ინფრასტრუქტურა მდ. მტკვრის ორივე ნაპირზე. დედაქალაქის მოსახლეობამ დიდი ხანია მილიონს გადააჭარბა და შიდა მიგრაციის გამო "თავკომბალა" ქალაქად გადაიქცა. ურბანულმა პროცესებმა კი თანდათან "გადაყლაპა" თბილისის შემოგარენი. იქ, სადაც ადამიანებს წლების წინ ჰქონდათ ნაკვეთები და საგარაკე კოტეჯები, დღეს უკვე ბეტონის კორპუსებია წამოჭიმული. სოფელი გლდანი, მუხიანი, დიღომი, ფონიჭალა, დიდი დიღომი და ა.შ. თანდათან ქალაქის ნაწილად გადაიქცა. მთავრობამ 2016 წელს მიიღო კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ. ამ კანონის თანახმად მაღალმთიანი მოსახლეობა სარგებლობს დამატებითი სოციალური და საგადასახადო შეღავათებით. აღნიშნული კანონი ხელს უწყობს მაღალმთიან რეგიონებში მოსახლეობის ადგილზე დამაგრებას და ამ რეგიონებიდან წასული მოსახლეობის დაბრუნებას მამაპაპისეულ კარმიდამოში. მიწის რესურსებთან დაკავშირებული პრობლემები კომპლექსური ხასიათისაა, ერთ-ერთი ყველაზე საჭირბოროტო საკითხია მოსახლეობის გაზრდილი ემიგრაცია. დაცარიელდა და დაიცალა 1- ან 2-კომლიანი სოფლები. შრომისუნარიანი ახალგაზრდა თაობის ქვეყნიდან გადინება იწვევს პოპულაციის შემცირებას. გაეროს მონაცემებით, საქართველო მომაკვდავი ერების სიაშია

შეყვანილი. 2050 წლისთვის ქართველები შეიძლება ჩვენს ქვეყანაში ეროვნულ უმცირესობაში აღმოვჩნდეთ. მიწას პატრონი სჭირდება. თუ დემოგრაფიული პრობლემები არ მოგვარდა ქვეყანაში, თუ ქვეყნიდან წასული ჩვენი ემიგრანტები არ დაბრუნდნენ სამშობლოში არ მიხედეს საკუთარ მიწა-წყალს, აგრარული სფეროს პრობლემები კიდევ უფრო გაღრმავდება.

დასკვნა

თანამედროვე მსოფლიოში ძნელად მოიძებნება განვითარებული ქვეყანა, სადაც არ კეთდება მიწის ყოველწლიური ბალანსი, ანუ არ კონტროლდებოდეს მიწის რესურსების მოძრაობა (დინამიკა), ეკონომიკურ-სოციალური თვალსაზრისით არ ანალიზდებოდეს მიწის კატეგორიებში მომხდარი რაოდენობრივი ცვლილებები და არ ისახებოდეს ქმედითი ღონისძიებები მიწის რესურსების რაციონალური მართვის მიზნით. ევროკავშირს გააჩნია სამაგალითო აგრარული პოლიტიკა, მიწის უწყვეტი მონიტორინგი, ფერმერების სუფსიდირება, ნიადაგის კონსერვაცია და ა.შ. საქართველოს დღემდე არ გააჩნია მიწის სრულყოფილი სახელმწიფო კადასტრი, რომელიც მიწის რაოდენობრივ აღრიცხვასთან ერთად მოიცავს მის ეკონომიკურ შეფასებას და ხარისხობრივი ნიშნით აღრიცხვას, რომელიც პასუხს გასცემდა კითხვას, რამდენად ღირებულია ესა თუ ის ნაკვეთი. მიწის ანალიზი ძვირადღირებული პროცესია. გლეხებს არა აქვთ ამის საშუალება, ამიტომ სახელმწიფომ ნაწილობრივ მაინც უნდა მოახერხოს აღნიშნული პროცესის სუფსიდირება.

საქართველოს თავისუფლად შეუძლია გახდეს ბიოპროდუქტების მწარმოებელი ქვეყანა, იაფი პროდუქტების ეპოქა დასრულდა. მსოფლიო ბაზარზე ყოველწლიურად იზრდება ბიოპროდუქტების ფასი. ჩვენი სასურსათო ბაზარი კი გაჯერებულია თურქეთიდან, ირანიდან და სხვა სახელმწიფოებიდან შემოტანილი გენმოდიფიცირებული პროდუქტებით. ჩვენი ქვეყნის რეგიონებში მიწის რესურსებთან დაკავშირებული საერთო პრობლემებია: მიწის ეროზია (წყლისმიერი, ქარისმიერი), დამლაშება, გადაძოვება (განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში), დამეწყრილი ტერიტორიები, ტყის ფონდის შემცირება, მოსახლეობის ემიგრაცია (დაცლილი სოფლები), ადამიანური კაპიტალის შემცირება, ირიგაციული პრობლემები, სადრენაჟე სისტემების გაუ-

მართაობა, ქარსაცავი ზოლების არარსებობა, აგრარულ სფეროში კვალიფიციური კადრების "შიმშილი", მიწის უწყვეტი მონიტორინგის არარსებობა, ხორბლის ნათესების სიმცირე და ა.შ. ჩვენს ქვეყანას ნამდვილად გააჩნია პოტენციალი იმისა, რომ გახდეს მაღალგანვითარებული აგრარული ქვეყანა. მიწის რესურსების ეფექტიანად და რაციონალურად გამოყენებისთვის აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ისეთ საკვანძო ელემენტებს, როგორიცაა მიწის კონსოლიდაცია, მიწათმოწყობა, მიწის რესურსების გამოყენების პროგნოზირება და დაგეგმვა რეგიონების თავისებურებების გათვალისწინებით, მიწის უწყვეტი მონიტორინგი, მიწის დეგრადაციისა და ეროზიის წინააღმდეგ პრევენციული ზომების გატარება, როგორიცაა ბიოსასუქების გამოყენება, ქარსაცავი ზოლების გაკეთება, ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება, გატყიანება, მიწების კონსოლიდაცია, დატერასება, საძოვრების მონიტორინგი და როტაცია, ახალი კვალიფიციური კადრების მომზადება, აგრარულ სფეროში ისრაელის კიბუცების მოდელის, საპილოტე პროგრამის განხორციელება, 107 სარეაბილიტაციო პროექტი. ბევრ სოფელში მოგვარდა გასარწყავიანების პრობლემა, თუმცა გასაკეთებელი კიდევ ბევრია. ჩვენი სპეციფიკური რელიეფის გამო მთიან რეგიონებში გასარწყავიანება პრობლემად რჩება. საქართველოში ბევრია სტიქიური ბუნებრივი მოვლენები, როგორიცაა: მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, გვალვა, სეტყვა, წყალდიდობა, ზვავი და ა.შ. საქართველო 7-9 ბალიანი მიწისძვრების რისკის ზონაშია მოქცეული, ხოლო ტერიტორიის 70% (მილიონ ჰექტარზე მეტი) დამეწყრილია. ქვეყანაში სულ 53000 მეწყრული უბანია. მეწყერსაშიშ ზონაში ასეულობით ოჯახი ცხოვრობს. დამეწყვრასთან ბრძოლის ეფექტიანი საშუალებაა მთის კალთების გატყიანება და საინჟინრო ნაგებობებით გამაგრება, მიწისქვეშა წყლების დრენაჟის მოწყობა და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. ორგანული ქიმიის როგორც მოდელი ტექნოლოგიის გამოყენების თავისებურებები ეკონომიკაში. თსუ, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომების კრებული, ტ. XI. თსუ, პაატა გუგუშვილის

სახელობის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბ., 2018.
2. თეთრაული ც. მიწის რესურსების დაცვის ეკონომიკური პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებში. თსუ, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომების კრებული, ტ. XII. თსუ, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბ., 2010.
3. ი. ნ. ჰარარი, საპიენსი – კაცობრიობის მოკლე ისტორია, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. 2010.

Tsitsino Tetrauli

THE LEVEL OF LAND RESOURCE UTILIZATION IN GEORGIAN REGIONS AND THE ECONOMIC THREATS RELATED TO IT

Summary

The land is a unique natural resource. The paper discusses the types and structure of soils in Georgia as well as the level of land resource utilization in the regions of Georgia. It covers the characteristics that each region has in the agricultural sector. The impact of threats on land resources and the necessity of implementing anti-erosion preventive measures have been analyzed in order to prevent soil depletion and degradation. The potential that the country has in the agricultural sector has been described, In order to reduce import dependency on agricultural products, especially on wheat which is a key cereal crop of strategic significance. It has been noted that there is a need to prepare new qualified staff, which is in short supply in the agricultural sector.

ნინო ჟორჟიკაშვილი

რეგიონებში უმუშევრობისა და სიღარიბის დონე და არსებული ეკონომიკური საფრთხეები

ანოტაცია. *მსოფლიოში არსებული სოციალური და ეკონომიკური პრობლემების უმრავლესობის მიზეზი და საწყისი სიღარიბე და უმუშევრობაა. ღარიბი ადამიანი ან ოჯახი მოკლებულია საბაზო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობას. სიღარიბედ მიიჩნევა უუნარობისა და უსახსრობის გამო ცხოვრების იმ წესიდან ჩამოშორება, რომელსაც სასურველად მიიჩნევს კონკრეტული საზოგადოება დროის გარკვეულ პერიოდში. აქვე აღსანიშნავია, რომ სიღარიბის ცნების ცალსახა განმარტება არ არსებობს, რადგან ის უპირატესად შედარებითი ხასიათისა. სიღარიბეს მრავალი გამომწვევი მიზეზი აქვს, მაგრამ მისი გამომწვევი ძირითადად არის უმუშევრობა, სოციალური დისტანცირება, ასევე მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მაღალი დაუცველობა სხვადასხვა კატასტროფებისგან, დაავადებებისგან და სხვა მიზეზებისგან, რაც მათ ხელს უშლის იყვნენ პროდუქტიულები. სიღარიბის პრობლემა მჭიდროდ არის დაკავშირებული უმუშევრობასთან, უმუშევრობა თავის მხრივ არა მხოლოდ მოქალაქეებისთვის, არამედ სახელმწიფოსთვისაც დიდ გამოწვევას წარმოადგენს, ვინაიდან ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტი სწორედ სამუშაო ადგილების გაზრდა და უმუშევრობის შემცირებაა. შრომის ბაზრის დამახასიათებელი თავისებურებები, როგორიცაა სამუშაო ადგილების მცირე რაოდენობა, დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობები, მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული დისბალანსი, ნაკლები ელასტიკურობა, დაბალი ანაზღაურება და ხანგრძლივ უმუშევართა მაღალი წილი უარყოფით გავლენას ახდენს შრომის ბაზრის ფუნქციონირებაზე, რაც შესაბამისად აისახება უმუშევრობის გამომწვევ მთავარ მიზეზებში, ესენია: შეზღუდული მოთხოვნა სამუშაო ძალაზე, შრომის დაბალი ანაზღაურება, შრომის დისკრიმინაციული პირობები, პროფესიული მომზადების დაბალი ხარისხი, სამუშაოს მოძიებისა და საკუთარი თავის წარმოჩენის უნარ-ჩვევების ნაკლებობა, სამუშაოს მაძიებელთა პასიურობა, სპეციალობით სამუშაოს შოვნის სირთულე.*

საკვანძო სიტყვები: *სიღარიბე, უმუშევრობა, კეთილდღეობა, ეკონომიკური საფრთხეები.*

სიღარიბე და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური საფრთხეები

ტერმინი სიღარიბე ისეთ მდგომარეობას აღნიშნავს, როდესაც უთანასწორობა იმდენად არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ზოგიერთ ადამიანს, რომ არსებული დანაკლისების გამო იგი საბაზისო სტანდარტების ზღვარს ქვემოთ ექცევა. ინდივიდი ან შინამეურნეობა განიხილება ღარიბად, თუ მისი რესურსები დადგენილ მონეტარულ ზღვარზე, მაგალითად, სიღარიბის ზღვარზე, დაბალია. სიღარიბის ზღვარი განისაზღვრება როგორც „შინამეურნეობის მინიმალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი ყველა სახის საქონლისა და მომსახურების მთლიანი ღირებულება“[UN Woman; 2023]. ამრიგად, სიღარიბე გადაჯაჭვულია უთანასწორობასთან, მაგრამ მას მხოლოდ არათანაბარი შემოსავალი არ განაპირობებს. სიღარიბის გასაზომად და მისი კონცეპტუალიზაციისთვის, წმინდად მონეტარული პარამეტრებიდან დაწყებული არამონეტარულით დამთავრებული, სხვადასხვა მიდგომა გაჩნდა, როგორიცაა, მაგალითად, შესაძლებლობების სიმწირე და სოციალური გარიყულობა.

სიღარიბე ფარდობითი ცნებაა და ზოგადად კეთილდღეობის ნაკლებობას ნიშნავს. კეთილდღეობა სიცოცხლის არსის შეცნობისა და რეალიზაციის ხარისხია. სიღარიბე არის კეთილდღეობის ნაკლებობა. ერთი შეხედვით უმარტივესი დეფინიციაა, მაგრამ ძალიან რთულია იმის განმარტება, თუ რა არის კეთილდღეობა და რას ნიშნავს კეთილდღეობის „ნაკლებობა“. როდესაც ინდივიდის კეთილდღეობას განვიხილავთ, ცხადია, რომ იგი კონკრეტული ადამიანის მოთხოვნილებებს და ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობებს ასახავს. მასშტაბების ზრდასთან ერთად იზრდება კეთილდღეობის შეფასების სირთულე და შემადგენელი ელემენტების მრავალფეროვნება.

შეიძლება განვიხილოთ სიღარიბის გამოვლინების 5 ძირითადი ტიპი:

1. **ფიზიოლოგიური სიღარიბე** – როდესაც პრიორიტეტი კვებაა და ეს იმდენად ძირითადი პრიორიტეტია, რომ ყველა სხვა პრობლემა უკანა პლანზე გადადის;
2. **საშემოსავლო სიღარიბე** – როდესაც საკვები ენერგიის მიღების პრობლემა მეტ-ნაკლებად მოგვარებულია და დგება ცხოვრების ხარისხის პრობლემა: დღეში 2200 კკალ. საკვები ენერგიის მიღება აუცილებელია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ არის საკმარისი. ახლა უკვე მნიშვნელოვანია ის, თუ რისგან შედგება ეს 2200 კკალ. ენერგია და, გარდა კვებისა, აქვს თუ არა პიროვნებას მინიმალურად აუცილებელი არასასურსათო საქონლისა და მომსახურების მიღების შესაძლებლობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აქვს თუ არა პიროვნებას ისეთი შემოსავალი, რომელიც უზრუნველყოფს სასურველი დიეტის კომპოზიციას და მინიმალურ არასასურსათო ხარჯებს;
3. **დეპრივაციული (არამონეტარული) სიღარიბე** – როდესაც საკვები და მინიმალური არასასურსათო საქონლითა და მომსახურებით უზრუნველყოფის პრობლემა მეტ-ნაკლებად მოგვარებულია, მაგრამ ჰორიზონტზე ახალი ორიენტირები იკვეთება, რომლებიც განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა მომსახურებისა და საქონლის მისაწვდომობას გულისხმობს. ამდენად, დეპრივაციული სიღარიბე უფრო მაღალი რეგისტრის სიღარიბეა, ვიდრე წინა ორი საფეხური;
4. **სტრუქტურული სიღარიბე** – თავის თავში მოიცავს როგორც ინფრასტრუქტურაზე წვდომის ნაკლებობით გამოწვეულ, ისე კანონმდებლობის არასრულყოფილებასთან დაკავშირებულ სიღარიბეს. გარდა ამისა, სტრუქტურული სიღარიბის მნიშვნელოვანი შემადგენელი შეიძლება იყოს ტექნოლოგიურ პროგრესზე მიდევნების ან ჩამორჩენის საკითხიც. ამდენად, სტრუქტურული სიღარიბე უკვე განვითარებაზე ორიენტირების საზომად შეიძლება განვიხილოთ და ეს უფრო მაღალი რეგისტრის სიღარიბეა, ვიდრე წინა სამი საფეხური;
5. **მენტალური სიღარიბე** – წარმოადგენს ადამიანის ცნობიერებიდან მომდინარე სოციალური ქცევის მოდელს, რომელიც ეყრდნობა მის სუბიექტურ განცდას, რომ ის ღარიბია (თუმცა მოხმარების დონისა და ხარისხის მიხედვით ის შეიძლება

სულაც არ იყოს ღარიბი) და საჭიროებს დახმარებას (სახელმწიფოს, ნათესავების თუ მეგობრების მხრიდან).

სიღარიბე უაღრესად ფარდობითი ცნებაა და ზომვადი და არაზომვადი ფაქტორების მთელ რიგს შეიცავს. ამასთან, იგი სრულიად კონკრეტულ სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ საფრთხეებს შეიცავს:

- სიღარიბე და უთანაბრობა არსებითად აფერხებს სოციალურ განვითარებას – საზოგადოების ნაწილი ვერ მონაწილეობს სოციალურ ცხოვრებაში, ვერ ახერხებს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას, ვერ ახერხებს ინვესტიციას ადამიანურ კაპიტალში, რაც არსებითად აფერხებს სოციუმის ჰარმონიულ განვითარებას. განსაკუთრებით ნეგატიურია ქრონიკული სიღარიბის ზეგავლენა, ვინაიდან სოციალური რეგრესი სიღარიბეში ხანგრძლივი ცხოვრების გარდაუვალი შედეგია;
- სიღარიბე და უთანაბრობა არსებითად აფერხებს ეკონომიკურ განვითარებას - მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა სიღარიბის დონის უკუპროპორციულია და რაც უფრო მაღალია სიღარიბე და უთანაბრობა, მით უფრო დაბალია მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი, რაც ავტომატურად ნიშნავს მოთხოვნის დაბალ დონეს და, შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია;
- სიღარიბე და უთანაბრობა არსებითად აფერხებს პოლიტიკურ განვითარებას – რაც უფრო მაღალია სიღარიბე და უთანაბრობა, მით უფრო დაქსაქსული, პოლარიზებული და გაუცხოებულია საზოგადოება; მით უფრო ქაოსური და ურთიერთსაპირისპიროა ინტერესთა ჯგუფები, რაც არსებითად ართულებს პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევის შესაძლებლობას;
- სიღარიბე და უთანაბრობა ზრდის საზოგადოების შიგნით დაპირისპირების მუხტს და აქედან გამომდინარე, სოციალური აფეთქების რისკს შეიცავს. რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სიღარიბის რაღაც მაჩვენებლის პირობებში აუცილებლად მოხდება სოციალური აფეთქება, მაგრამ ის ქმნის საზოგადოების შიდა დაპირისპირებისათვის ერთობ ნაყოფიერ ნიადაგს, რაც არსებითად უიოლებს საქმეს შიდა საზოგადოებრივი დაპირისპირების მოსურნე ინტერესთა ჯგუფებს.

სიღარიბეზე მოქმედებს ოთხი ყველაზე ძლიერი და ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად:

1. რაოდენობრივი ფაქტორები:

- მისამართული სოციალური დახმარება – განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისამართული სოციალური დახმარების ზეგავლენა სიღარიბის დონეზე, ვინაიდან სიღარიბის შემცირება ამ ტიპის სოციალური დახმარების პირდაპირი ამოცანაა. ამდენად, ძალზე საინტერესოა, როგორ ართმევს თავს ამ რთულ ამოცანას პროექტი სახელწოდებით ,,მისამართული სოციალური დახმარება“;
- პენსია – თავისი შინაარსით იგი არ წარმოადგენს სახელმწიფო სოციალურ გასაცემელს, მაგრამ ფაქტობრივად პენსიას საქართველოში უფრო სოციალური დატვირთვა აქვს, ვიდრე ეკონომიკური, მით უმეტეს, რომ ქვეყანაში ჯერ კიდევ არ მოქმედებს ცივილიზებული დაგროვებითი საპენსიო სისტემა. ამდენად, პენსიაც შეიძლება განვიხილოთ, როგორც სახელმწიფო სოციალური გასაცემელი.

2. თვისებრივი ფაქტორები:

- უმუშევრობა – წინამდებარე ანგარიშში სიღარიბეზე უმუშევრობის ზეგავლენის შესასწავლად მხოლოდ ემპირიული ანალიზით შემოვიფარგლეთ, ანუ შევადარეთ სიღარიბის დონე შინამეურნეობებში, სადაც არის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) კრიტერიუმით ერთი უმუშევარი წევრი მაინც და სადაც ასეთი წევრი არ არის;
- დასაქმება – აქაც მხოლოდ სიღარიბეზე დასაქმების ზეგავლენის გამარტივებული ანალიზით შემოვიფარგლეთ, ანუ შევადარეთ სიღარიბის დონე შინამეურნეობებში, სადაც არის ერთი მაინც შსო-ის კრიტერიუმით დასაქმებული წევრი და სადაც ასეთი წევრი არ არის.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სიღარიბის პრობლემა განსაკუთრებით ვლინდება გენდერულ ჭრილში. ქალთა არაპროპორციული დატვირთვა აუნაზღაურებელი საოჯახო საქმიანობით უარყოფითად აისახება სამუშაო ძალაში ქალთა მონაწილეობაზე. საქართველოში ქალები სამჯერ მეტ დროს ხარჯავენ საოჯახო

საქმიანობაზე, ვიდრე კაცები. ეკონომიკური არააქტიურობა, შესაბამისი სოციალური დაცვის სისტემების არარსებობის პირობებში, არააქტიურ მოსახლეობაში სიღარიბის რისკს ზრდის. როდესაც საქმე ღარიბ ქალებს ეხება, აუნაზღაურებელი შრომა მათ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს. საქართველოში ქალები ყოველთვიურად 34.2 პროცენტით ნაკლებს გამოიმუშავებენ, ვიდრე კაცები, ამას გარდა, არასტანდარტული შრომითი პირობებით დასაქმება, როგორიცაა ნახევარ განაკვეთზე მუშაობა, ბევრად მაღალია ქალებში [World Bank; 2021]. საქართველოში იმ ოჯახების სიღარიბის ალბათობა, სადაც ოჯახის მარჩენალი ქალია, უფრო მაღალია იმ ოჯახებთან შედარებით, სადაც ოჯახის მარჩენალ კაცია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქალების სიღარიბე მჭიდრო კავშირშია მათ ოჯახურ მდგომარეობასთან. ოჯახებში, სადაც ყველა სრულწლოვანი წევრიც ქალია, 39.3 პროცენტი აბსოლუტურ სიღარიბეში ცხოვრობს, იმ ოჯახებთან შედარებით, სადაც ყველა სრულწლოვანი წევრი კაცია [UN Woman; 2023].

2023 წელს საქართველოში სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი (აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი) 3.8 პროცენტული პუნქტით შემცირდა და შეადგინა 11.8% (იხ. გრაფ. 1). კერძოდ, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი ქალაქის ტიპის დასახლებაში 2.9 პროცენტული პუნქტით შემცირდა და შეადგინა 9.4%, ხოლო სოფლის ტიპს დასახლებაში 5 პროცენტული პუნქტით შემცირდა და შეადგინა 15.6%. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში სიღარიბის აბსოლუტური ზღვარი 2 მაჩვენებლით გამოითვლება: ყველა სახის საქონლისა და მომსახურების ჯამური ღირებულება, რომელიც აუცილებელია ოჯახის მინიმალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, და სიღარიბის საერთაშორისო ზღვარს ქვემოთ მყოფი ადამიანების რაოდენობა, რაც მსოფლიო ბანკის თანახმად, დღეში 2.15 აშშ დოლარს შეადგენს (იხ. გრაფ. 2). 2023 წელს სიღარიბის აბსოლუტური მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით შემცირებულია მოსახლეობის ყველა ასაკობრივ ჯგუფში, კერძოდ 18 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში მაჩვენებელმა შეადგინა 16% (შემცირდა 4.3 პროცენტული პუნქტით), 18-64 ასაკობრივ ჯგუფში –11.5% (შემცირდა 3.8 პროცენტული პუნქტით), 65 წლის და უფროს ასაკობრივ ჯგუფში – 8% (შემცირდა 2.5 პროცენტული პუნქტით). ამასთან

აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი ქალებისათვის შემცირებულია 3.9 პროცენტული პუნქტით და შეადგინა 11.5%, ხოლო კაცებისათვის შემცირებულია 2.5 პროცენტული პუნქტით და შეადგინა 12.2% [სტატისტიკის ეროვნული სამსახური; 2024].

გრაფიკი 1

სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი, %

	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი, %	23.5	21.6	22.0	21.9	20.1	19.5	21.3	17.5	15.6	11.8

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, „სიღარიბე და ჯინის კოეფიციენტი“, 2024.

გრაფიკი 2

სიღარიბის საერთაშორისო ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი, %



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, „სიღარიბე და ჯინის კოეფიციენტი“, 2024.

უმუშევრობა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური საფრთხეები

როგორც ზემოთ განვიხილეთ, სიღარიბის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი არის უმუშევრობა. მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში უმუშევრობით გამოწვეული სოციალური და ეკონომიკური შე-

დეგები განიხილება ისეთ მნიშვნელოვან გლობალურ პრობლემებთან ერთად, როგორიცაა სიღარიბე და სოციალური სტაბილურობა. საქართველოში უმუშევრობა ერთ-ერთ მწვავე სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას და აქტუალურ გამოწვევას წარმოადგენს. იგი გვევლინება ქვეყანაში სიღარიბის განმაპირობებელ მთავარ ფაქტორად. უმუშევრობა მაღალია როგორც ქალაქად, ისე სოფლად. უმუშევრობას და განსაკუთრებით ქრონიკულ უმუშევრობას საზოგადოებისათვის მოაქვს საკმაოდ ნეგატიური სოციალური და ეკონომიკური შედეგები, რაც ადეკვატურ ასახვას პოულობს მოსახლეობის ცხოვრების დონესა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესზე. ამიტომ საერთაშორისო პრაქტიკაში სერიოზულ ყურადღებას უთმობენ ამ ნეგატიური სოციალური და ეკონომიკური შედეგების შეფასებას. შედარებით ადვილად ფასდება უმუშევრობის ეკონომიკური შედეგები, ხოლო სოციალური შედეგები, რომელიც რთული გასამიჯნია და ატარებს კომპლექსურ ხასიათს, სრულყოფილად ვერ ფასდება. უმუშევრობის უარყოფითი შედეგები და მისი გავლენის ხარისხი სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე, სოციალური მდგომარეობის კონკრეტულ პარამეტრებზე. უმუშევრობის ეკონომიკური დანაკარგების გამოთვლა საკმაოდ პირობითია და მხოლოდ ზოგად წარმოდგენას იძლევა უმუშევრობის ნეგატიურ შედეგებზე. ცალკეული პიროვნებისათვის უმუშევრობა დაკავშირებულია მატერიალურ პრობლემებთან – მცირე შემოსავლებთან ან მის გარეშე დარჩენასთან. გარდა ამისა, უმუშევარი ადამიანი სოციალურ იზოლაციაშიც ექცევა და კარგავს საკუთარი მდგომარეობის უკეთესობისაკენ შეცვლის იმედს. უიმედობის გრძნობა უფრო მეტად იზრდება ახალი სამუშაოს წარუმატებელ ძიებაში. თუ ეს პროცესი დიდხანს გრძელდება, უმუშევარი საერთოდ გადის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის შემადგენლობიდან.

უმუშევრობის უარყოფითი სოციალური შედეგები ვლინდება საზოგადოებისათვის ისეთ არასასურველ მოვლენებში, როგორიცაა ქორწინების შემცირება ან განქორწინების ზრდა. ქორწინებების შემცირება, ბუნებრივია, ოჯახებში იწვევს ბავშვთა რაოდენობის შემცირებას და უარყოფითად აისახება საერთო დემოგრაფიულ სიტუაციაზე. უმუშევრობა თავის უარყოფით კვალს ტოვებს მო-

სახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე; მატულობს სისხლის მიმოქცევის სისტემის, საჭმლის მომნელებელი ორგანოების, სუნთქვის ორგანოების დაავადებებით გარდაცვლილთა რაოდენობა, რაც სხვა მიზეზებთან ერთად, არასრულფასოვან კვებას, ნერვულ დაძაბულობას, უიმედობას და სხვა არაჯანსაღ მოვლენებს უკავშირდება.

უმუშევრობა როგორც მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნებისათვის, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს საქართველოსთვისაც. უმუშევრობის მაღალი დონე საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს, შესაბამისად უმუშევრობის დონის შემცირება მომდევნო წლებში ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ამასთან, კერძო სექტორის შემდგომი განვითარება და ზრდა წარმოადგენს უმუშევრობის შემცირების ყველაზე ეფექტიან მექანიზმს. იმისათვის, რომ უმუშევრობის შემცირებისა და დასაქმების ზრდის მიმართულებით ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკა განხორციელდეს, მნიშვნელოვანია განხორციელდეს უმუშევრობისა და დასაქმების კომპონენტების ანალიზი როგორც მიწოდების მიმართულებით (იგულისხმება შრომის ბაზრის ასიმეტრიულობა, მობილობის დაბალი ხარისხი, დაბალი პროდუქტიულობა და არაადეკვატური კვალიფიკაციის არსებობა), ასევე მოთხოვნის მიმართულებით (მოიცავს კერძო სექტორის არასაკმარის დივერსიფიცირებულობას, სექტორებს შორის არათანაბარ განვითარებას და სამეწარმეო და ბიზნესსაქმიანობის გეოგრაფიული კონცენტრაციის საკითხებს).

უნდა აღინიშნოს, რომ 2023 წელს საქართველოში უმუშევრობის დონე 2022 წელთან შედარებით 0.9 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 16.4 პროცენტი შეადგინა, რაც მნიშვნელოვნად ნაკლებია წინა წლების მაჩვენებლებზე (იხ. გრაფიკი 3).

გრაფიკი 3

უმუშევრობის დონე საქართველოში (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, „სამუშაო ძალის მაჩვენებლები (დასაქმება და უმუშევრობა)“, 2024.

უმუშევრობის მაჩვენებლის გაუმჯობესება განპირობებულია როგორც დასაქმების მაჩვენებლის გაუმჯობესებით, ასევე სამუშაო ძალის შემცირებით. კერძოდ, 2023 წელს დასაქმებული იყო 1,33 მილიონი კაცი, რაც 2014 წლის მაჩვენებელს 6%-ით (79.6 ათასი კაცით მეტი) აღემატება. სამუშაო ძალის მოცულობა 2023 წელს იყო 1.596 მილიონი კაცი, რაც 2014 წელთან შედარებით 2%-ით (32.7 ათასი კაცით ნაკლები) არის შემცირებული [ინფორმაციის თავისუფლების განვითარების კომიტეტი; 2024]. კერძოდ, საქსტატის მონაცემებით 2023 წელს სახელმწიფო სექტორში დასაქმებული იყო 320.5 ათასი კაცი, რაც 2014 წელთან შედარებით 25 პროცენტიანი ზრდაა. კერძო სექტორში (დაქირავებით დასაქმებულები და თვითდასაქმებულები) დასაქმებული იყო 1,01 მილიონი კაცი, რაც 2014 წლის მაჩვენებელს მხოლოდ 2%-ით აღემატება. კერძო სექტორში ყველაზე მეტი ადამიანი დასაქმებული იყო 2016 წელს, ხოლო ყველაზე ცოტა – 2021 წელს, რაც განპირობებული იყო პანდემიით. 2023 წელს კერძო სექტორში დასაქმების მაჩვენებელი დაახლოებით დაუბრუნდა პანდემიამდელ ნიშნულს. არასახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა მაჩვენებლები მოიცავს როგორც კერძო სექტორში დაქირავებით დასაქმებულებს, ასევე თვითდასაქმებულებს, რომლებიც საქმიანობენ გარკვეული მოგების მიღების მიზნით. 2023 წელს 10 წლის წინანდელ მაჩვენებელთან შედარებით, დაქირავებით დასაქმებულთა რიცხვი გაზრდილია

12%-ით, ხოლო თვითდასაქმებულთა მაჩვენებელი შემცირებულია 9%-ით (იხ. გრაფ. 4). უნდა აღინიშნოს, რომ 2022-2023 წლებში უცხო ქვეყნის მოქალაქეების საქართველოში გაზრდილ მიგრაციასთან ერთად, მნიშვნელოვნად გაიზარდა მათ მიერ კომპანიების რეგისტრაციის მაჩვენებელი. უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ ბიზნესსაქმიანობის დაწყება გარკვეულწილად დადებითად აისახება საქართველოში დასაქმების მაჩვენებელზეც. მაგალითად, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების კომიტეტის (IDFI) კვლევის მიხედვით, მხოლოდ რუსეთის მოქალაქეებმა 2022-2024 (1 ივნისამდე) წლებში 30,295 კომპანია დაარეგისტრირეს, რომელთა 90% ინდმეწარმედ არის რეგისტრირებული. ქვეყანაში ინდემეწარმეთა რიცხვის ზრდა, თავის მხრივ აისახება თვითდასაქმებულთა მაჩვენებელზე. 2024 წლის II კვარტალში, როდესაც დაფიქსირდა უმუშევრობის ისტორიული მინიმუმი 13.7%, დასაქმებულთა რიცხვი უმეტესწილად გაიზარდა თვითდასაქმებულთა ხარჯზე (+10%).

გრაფიკი 4

დასაქმებულთა განაწილება საკუთრების ფორმების მიხედვით საქართველოში (ათასი კაცი)



წყარო: ინფორმაციის თავისუფლების განვითარების კომიტეტი, „რის ხარჯზე მცირდება უმუშევრობის მაჩვენებელი?“, 2024.

ძირითადი მიგნებები სამუშაო ძალასა და უმუშევრობასთან დაკავშირებით 2014-2023 წლებში:

- 2014-2023 წლებში უმუშევრობის მაჩვენებლის შემცირება ძირითადად განპირობებულია სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდით (+24%) და სამუშაო ძალის შემცი-

რებით (-2%). კერძო სექტორში (თვითდასაქმებულთა ჩათვლით) დასაქმებულთა ზრდა მხოლოდ 2%-ია;

- 2014-2023 წლებში კერძო სექტორში ყველაზე მეტი ადამიანი დასაქმებული იყო 2016 წელს (1.022.6 ათასი კაცი), ხოლო ყველაზე ცოტა – 2021 წელს (916 ათასი კაცი), რაც განპირობებული იყო პანდემიით;
- 2023 წელს 10 წლის წინანდელ მაჩვენებელთან შედარებით, კერძო სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა რიცხვი გაზრდილია 12%-ით, ხოლო თვითდასაქმებულთა მაჩვენებელი შემცირებულია 9%-ით;
- 2014-2023 წლებში ემიგრაციის შედეგად, საქართველოს მოქალაქეების პოტენციური სამუშაო ძალა ქვეყანაში შემცირდა 197.2 ათასი კაცით, რაც დაბალანსდა მიგრანტი უცხო ქვეყნის 202 ათასი 15 წელს ზევით ასაკის მოქალაქით.

ბოლო პერიოდის განმავლობაში უმუშევრობა შემცირებულია როგორც ქალაქსა და სოფლად, ასევე რეგიონების ჭრილში. კერძოდ, 2023 წელს უმუშევრობის დონე ქალაქის ტიპის დასახლებებში წინა წელთან შედარებით შემცირებულია 0.8 პროცეტუული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში – 1.1 პროცენტული პუნქტით (იხ. გრაფ. 5). წინა წელთან შედარებით 2023 წელს უმუშევრობის დონე ყველაზე მეტად შემცირებულია რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთის, აჭარისა და თბილისის რეგიონებში, შესაბამისად 7.7, 6.2 და 2.0 პროცენტული პუნქტით (იხ. გრაფ. 6).

გრაფიკი 5

უმუშევრობის დონე ქალაქ-სოფლის მიხედვით (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, „სამუშაო ძალის მაჩვენებლები (დასაქმება და უმუშევრობა)“, 2024.

გრაფიკი 6

უმუშევრობის დონე რეგიონების მიხედვით (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, „სამუშაო ძალის მაჩვენებლები (დასაქმება და უმუშევრობა)“, 2024.

უმუშევრობის დონე საკმაოდ მაღალია ახალგაზრდა მოსახლეობაში. 2023 წელს უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალი იყო 15-19 წლის ასაკობრივ ჯგუფში (44.6 %), ხოლო ყველაზე დაბალი – ტრადიციულად 65+ ასაკობრივ ჯგუფში (4.3 %), რის უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს შესაბამის ასაკობრივ ჯგუფში აქტიურობის დაბალი მაჩვენებელი (იხ. გრაფიკი 7).

გრაფიკი 7

უმუშევრობის დონე ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, „სამუშაო ძალის მაჩვენებლები (დასაქმება და უმუშევრობა)“, 2024.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო აქტიურ ნაბიჯებს დგამს ახალგაზრდების უმუშევრობის შემცირების კუთხით. კერძოდ,

- საქართველოს ხელისუფლებამ შრომის ბაზარზე სახელმწიფო პოლიტიკის, შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარება და დასაქმების ხელშეწყობის პროგრამების შემუშავება ორგანიზებული სახით 2012 წლიდან დაიწყო. ხელისუფლების ძირითად მიზანს შრომის ბაზარზე სამუშაოს მაძიებლების კონკურენტუნარიანობის ამაღლება (პროფესიული მომზადება, პროფესიული გადამზადება, საკვანძო კომპეტენციების განვითარება და სტაჟირება) და ამ გზით სამუშაოს მაძიებელთა დასაქმების ხელშეწყობა წარმოადგენს;
- 2018 წელს მიღებულმა კანონმა პროფესიული განათლების შესახებ მთავრობას საშუალება მისცა, განევითარებინა პროფესიული განათლების სტრატეგია, რომელიც ეროვნულ დონეზე აკეთებს აქცენტს პროფესიული განათლების განვითარების პრიორიტეტებზე. პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების შესახებ მთავრობის დადგენილება განსაზღვრავს პროფესიული განათლების მსურველთა დაფინანსების შესაძლებლობებს, რაც ხელისუფლების მიერ დაინტერესებული პირებისთვის პროგრამით სარგებლობაზე ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს.
- სახელმწიფოს, ასევე, შემუშავებული აქვს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგია და მისი რეალიზაციის სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს არაერთ აქტივობას დასაქმების ხელშეწყობის კუთხით, მათ შორისაა პროფესიული ორიენტაციისა და კონსულტირების სისტემის განვითარება, დასაქმებულთა და უმუშევართა აღრიცხვის სისტემის დანერგვა, სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდების სტატისტიკური კვლევების განხორციელება და სხვ.
- 2020 წელს ასევე შეიქმნა სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო, რომლის საქმიანობაც მიზნად ისახავს მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობას და შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის გატარებას, მათ შორის, საზღვარგარეთ ლეგალური დასაქმების შესაძლებლობის შექმნით.
- დასაქმების ხელშეწყობის 2022 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ხორციელდება დასაქმებულ ბენეფიციართა შრო-

მის ანაზღაურების სუბსიდირება სამუშაოს მაძიებელი ახალგაზრდების, შშმ/სსსმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით. სახელმწიფო უზრუნველყოფს შრომის ანაზღაურების 50%-იანი თანადაფინანსებას, არაუმეტეს 3 თვისა 560 ლარის ფარგლებში.

დასკვნა

სიღარიბე მრავალმხრივი და სტრუქტურული ფენომენია, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს საზოგადოების ყველა სექტორს, მათ შორის შრომის ბაზარს, ოჯახებს, სოციალური დაცვის სისტემებსა და პოლიტიკურ ცხოვრებას. სიღარიბე განსხვავებულად მოქმედებს კაცებსა და ქალებზე და განსაკუთრებით გავრცელებულია იმ ოჯახებში, რომლებიც ფინანსურად ქალ ოჯახის წევრზე არიან დამოკიდებული, ისევე როგორც ეს ხდება საქართველოში მცხოვრებ სხვა მოწყვლად ჯგუფებში. ეს კი ქალების ეკონომიკური გაძლიერებისთვის ინტერსექციური და კომპლექსური მიდგომების საჭიროებას აჩენს. საქართველოში ქალებსა და კაცებს სიღარიბეში ცხოვრების უმეტესად თანაბარი ალბათობა აქვთ, თუმცა სიღარიბის მიზეზები და შედეგები ქალებისა და კაცების შემთხვევაში არსებითად განსხვავებულია. ქალებს აუნაზღაურებელი შრომის მძიმე ტვირთის ტარება უწევთ, რაც შრომის ბაზარზე მათი ჩართულობის შესაძლებლობებს ამცირებს. სიღარიბის პრობლემა მჭიდროდ არის დაკავშირებული უმუშევრობასთან და მის ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზს წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ უმუშევრობა ბოლო პერიოდში მკვეთრად შემცირდა როგორც რეგიონულ, ასევე ასაკობრივ და გენდერულ ჭრილში, რაც განპირობებულია სახელმწიფოს მხრიდან აქტიური ღონისძიებების გატარებით, უმუშევრობის შემცირების მიმართულებით. მომავალში საჭიროა კიდევ უფრო ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, როგორიცაა სამუშაო ძალის სტრუქტურის თვისებრივად განსხვავებული კვლევა, ფარული უმუშევრობის გამოვლენის მექანიზმის შემუშავება, საკადრო პოლიტიკის გადამზადების პროგრამები და ა.შ, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს უმუშევრობისა და სიღარიბის შემცირებას ქვეყანაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების კომიტეტი, „რის ხარჯზე მცირდება უმუშევრობის მაჩვენებელი?“, 2024, გვ. 3-5.
2. მიქიაშვილი ნ., „სიღარიბე როგორც სოციალაური პრობლემა და მისი შეფასების სირთულეები“, 2022, გვ.2.
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, „სიღარიბე და ჯინის კოეფიციენტი“, 2024, გვ.1.
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, „სამუშაო ძალის მაჩვენებლები (დასაქმება და უმუშევრობა)“, 2024, გვ. 2-7.
5. Georgian Foundation for Strategic and International Studies, მერაბ კაკულია, ნოდარ კაპანაძე, ლალი ქურხული; “ქრონიკული სიღარიბე და შემოსავლების უთანაბრობა საქართველოში“, 2017, გვ. 4-7.
6. UN Woman, “ქალები და სიღარიბე საქართველოში“, 2023, გვ,1-7.
7. World Bank, „Country Gender Assessment: Georgia“, 2021, გვ. 4-5.

Nino Zhorzhikashvili

THE LEVEL OF UNEMPLOYMENT AND POVERTY IN THE REGIONS AND THE EXISTING ECONOMIC THREATS

Summary

Poverty and unemployment are the root cause of most of the social and economic problems in the world. A poor person or family lacks the ability to meet basic needs. Poverty is considered to be a departure from the way of life that is considered desirable by a particular society in a certain period of time due to inability and lack of money. It should be noted here that there is no unequivocal definition of the concept of poverty, because it is predominantly relative in nature. Poverty has many causes, but its main causes are unemployment, social distancing, as well as the high vulnerability of a certain part of the population to various disasters, diseases and other reasons that prevent them from being productive. The problem of poverty is closely related to unemployment, unemployment is a big challenge not only for citizens,

but also for the state, since one of the priorities of economic policy is to increase jobs and reduce unemployment. The characteristic features of the labor market, such as a small number of jobs, limited employment opportunities, an imbalance between demand and supply, less elasticity, low wages and a high share of long-term unemployed, have a negative impact on the functioning of the labor market, which is reflected in the main causes of unemployment, namely: limited demand for labor force, low wages, discriminatory working conditions, low quality of professional training, lack of job search and self-presentation skills, passivity of job seekers, difficulty in finding a specialized job.

Key words: poverty, unemployment, prosperity, economic threats

ლია დვალიშვილი

საქართველოს რეგიონებში მინერალური რესურსები, მათი გამოყენების დონე და შესაბამისი ეკონომიკური საფრთხეები

ანოტაცია: ნაშრომში გაანალიზებულია თუ როგორ უკავშირდება *ქვეყნის ბუნებრივი რესურსები მის წინსვლას და განვითარებას. შესაბამისად, ამ ქვეყნის შედარებით უპირატესობას სხვა ქვეყნებთან მიმართებით.*

აღნიშნულია, რომ მინერალური რესურსებით მიღებული ენერგია ჯერ კიდევ დომინანტია მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში. მიმოხილულია თუ როგორ იზრდება მინერალურ რესურსებზე მოთხოვნა გლობალური მოსახლეობის გაფართოებასთან ერთად, განსაკუთრებით თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში.

განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ჩვენის ქვეყნის ცალკეული რეგიონის მრავალფეროვანი და უნიკალური მინერალური რესურსების თაობაზე, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის მეურნეობის ძირითადი დარგების განვითარებას.

გამოკვეთილია მთელი რიგი გამოწვევები და საფრთხეები, რაც თან ახლავს ცალკეული დარგების განვითარებას ჩვენს ქვეყანაში.

მითითებულია, რომ მინერალური რესურსების სოციალურად, ეკოლოგიურად და ეკონომიკურად მდგრადი მართვა არის ჩვენი ქვეყნის უსაფრთხო განვითარების საფუძველი,რაც უფრო აქტუალურად იწვევს უფრო მეტი ყურადღების დათმობას არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის, ასევე საერთაშორისო გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ჯგუფების მხრიდან.
საკვანძო სიტყვები: *მინერალური რესურსები, სამთო მრეწველობა, მინერალური ნედლეული, სასარგებლო წიაღისეული.*

***

მსოფლიო მეურნეობის ბუნებრივ საფუძველს ბუნებრივი რესურსები შეადგენს. მათ რიცხვს მიეკუთვნება ყველაფერი, რაც ბუნების მიერ არის შექმნილი. ადამიანი გარდაქმნის ბუნებრივ რესურსებს თავისთვის აუცილებელ პროდუქტებად და ანაწილებს მათ საბაზრო მექანიზმების საფუძველზე. თავისი ისტორიის განმავლობაში იგი მუდმივად რთავს თავის საქმიანობაში სულ ახალ-ახალ წიაღისეულს. თუკი ჩვენი ერის დამდეგამდე კაცობრიობა იყენებდა დაახლოებით 20 ქიმიურ ელემენტს, XVIII ს-ში კი 30-ს, ახლა იგი 150-ზე მეტია. წარმოებაში პრაქტიკულად ჩართულია ყველა ელემენტი, რაც არსებობს დედამიწის ქერქში.

ბუნებრივი რესურსები ყველა პროდუქტისა და ნაწარმის პირველადი შემადგენელი ნაწილია. თანამედროვე ტექნოლოგიების შესაქმნელად ისეთი სახის ბუნებრივი რესურსები გამოიყენება, როგორებიცაა ლითიუმი, ურანი, ქვანახშირი, ნავთობი, იშვიათი მიწამეტალები თუ სხვა. ზოგადად, ინდუსტრიების მთავარი დასაყრდენი სწორედ ზემოთ აღნიშნული ბუნებრივი რესურსებია.

გარკვეული ბუნებრივი რესურსებით მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნის უზრუნველყოფა იწვევს მათ შედარებით უპირატესობას სხვა ქვეყნებთან მიმართებით და უზრუნველყოფს იმ საქონლით ვაჭრობის მომგებიანობას,რომლის წარმოება ამ რესურსებზეა დამოკიდებული. მსოფლიო ბაზრებზე მოთხოვნის მქონე რესურსების რაოდენობა წარმოების მასშტაბებზეა დამოკიდებული.

ქვეყნები ბუნებრივ რესურსებს სხვადასხვა მოცულობით ფლობენ. მარაგების რაოდენობა ხშირად სახელმწიფოთა ფართობზე, მათ გეოგრაფიულ მდებარეობაზე თუ მომპოვებელ პრიო-

რიტეტებზეა დამოკიდებული. მაგალითად, რუსეთი ბუნებრივ რესურსებს ყველაზე დიდი რაოდენობით სწორედ იმ მიზეზით ფლობს, რომ ფართობით მსოფლიოში უდიდესი სახელმწიფოა. ასევე, ცნობილია, რომ ახლო აღმოსავლეთი ნავთობითა და ბუნებრივი აირით მდიდარი რეგიონია, შესაბამისად, ამ რეგიონის ქვეყნებს აღნიშნული წიაღისეულის დიდი მარაგები აქვს.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანას აქვს რესურსებზე დაფუძნებული ეკონომიკა. ამ რესურსების სოციალურად, ეკოლოგიურად და ეკონომიკურად მდგრადი მართვა არის ამ ქვეყნების უსაფრთხო განვითარების საფუძველი.

მინერალური რესურსი არის ეკონომიკური ინტერესის მქონე მყარი მასალის კონცენტრაცია ან გამოვლინება დედამიწის ქერქში ან მის ზედაპირზე ისეთი ფორმით, თვისებებით, ხარისხით და რაოდენობით, რომ არსებობს მისი მოპოვების შესაძლო ეკონომიკური გონივრული პერსპექტივები.

მინერალური რესურსები გეოლოგიური კვლევის შედეგად დედამიწის წიაღში აღმოჩენილი სამრეწველო გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი მინერალებისა და ლითონების მთლიანობაა, რომელიც უზრუნველყოფს ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და თავდაცვით უსაფრთხოებას. ეს არის სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ერთობლიობა რაიონის, ქვეყნის, ქვეყანათა ჯგუფის, კონტინენტის, მთლიანად მსოფლიო წიაღში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ისეთი შედეგების გათვალისწინებით, როგორიცაა საბადოების სიღრმის გაზრდა, გამდიდრების ეფექტურობის გაზრდა და სხვ. სასარგებლო წიაღისეულის — დედამიწის ქერქის მინერალური წარმონაქმნების ქიმიური შემადგენლობა და ფიზიკური თვისებები შესაძლებელს ხდის მათ გამოყენებას მატერიალური წარმოების სფეროში როგორც მყარი (ნახშირი, მადანი და სხვ.), ისე თხევადი (ნავთობი, მინერალური წყლები) და აიროვანი (ბუნებრივი საწვავი და ინერტული აირები) სახით. მინერალური რესურსების გამოყენება იწვევს მათ ამოწურვას და ამცირებს იმ რაოდენობას, რომელთა გამოყენება შესაძლებელია მომავალში. მინერალური რესურსების მარაგების ამოწურვამ შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკური ზრდის შენელება.

მინერალური რესურსის მდებარეობა, რაოდენობა, თვისებები, ხარისხი, უწყვეტობა და სხვა გეოლოგიური მახასიათებლები

ცნობილია, შეფასებულია ან ინტერპრეტირებულია კონკრეტული გეოლოგიური მტკიცებულებებისა და ცოდნის საფუძველზე, მათ შორის ნიმუშების აღების გზით.

მსოფლიოში მინერალური რესურსები განთავსებულია მეტად არათანაბრად. ამ რესურსების ფლობა ჩვეულებრივ, ეკონომიკურ კეთილდღეობასთან ასოცირდება. ერთი მხრივ, ის შემოსავლისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის წყაროა, მაგრამ ამავდროულად მან შესაძლოა გრძელვადიანი ზიანი მოუტანოს ადგილობრივ მოსახლეობას და გარემოს.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას თან ახლავს საწვავის, ენერგიისა და სხვა სახის მინერალური ნედლეულის მოხმარების მუდმივი ზრდა. წიაღისეულიდან მოპოვებული მინერალური ნედლეული და მათი დამუშავების პროდუქტები უზრუნველყოფს ენერგიის მნიშვნელოვან ნაწილს, მძიმე მრეწველობის-პროდუქტების 90 %-ს და ყველა სამომხმარებლო საქონლის დაახლოებით მეხუთედს. ჩვენი პლანეტის მინერალური საწვავის მთლიანი გეოლოგიური (პროგნოზირებული) მარაგი აღემატება 12,5 ტრლნ ტონას, საიდანაც 60 %-ზე მეტი არის ქვანახშირი, დაახლოებით 12% – ნავთობი და 15 % – ბუნებრივი გაზი, ხოლო დანარჩენი – ფიქალი, ტორფი და სხვა საწვავი. ამასთან მსოფლიოს მოსახლეობა ყოველწლიურად მოიხმარს დაახლოებით 32 მლრდ ტონა მინერალურ რესურსს, რომლის ღირებულება დაახლოებით 1 123 მლრდ-ს შეადგენს (5).

მინერალური საწვავი ყველაზე მნიშვნელოვანი ენერგეტიკული რესურსია. დღეს უფრო მეტი ენერგიის ფორმირების წყარო არსებობს, ვიდრე ოდესმე, იქნება ეს არაგანახლებადი რესურსებიდან (ქვანახშირი, ნავთობი, გაზი) მიღებული ენერგია, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში გამოიყენებოდა, თუ განახლებადი ენერგიის წყაროებიდან, როგორიცაა ბიოსაწვავი, ქარი და მზის ენერგია, რომელიც სულ უფრო მეტად იმყარებს პოზიციებს. მინერალური რესურსებით მიღებული ენერგია ჯერ კიდევ დომინანტია მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში.

მინერალური რესურსები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდისა და თანამედროვე საზოგადოების ფუნქციონირებისთვის. მინერალებზე მოთხოვნა იზრდება, რადგან გლობალური მოსახლეობა ფართოვდება და მინერალები გამოიყენება

უფრო ფართო სპექტრში, განსაკუთრებით ახალი ტექნოლოგიების გამოყენებასთან მიმართებით. მინერალური რესურსები წარმოადგენს სამრეწველო ინდუსტრიის ბაზას და ისეთი დარგების ფუნქციონირების საფუძველს, როგორებიცაა: ქიმიური, შავი და ფერადი მეტალურგია, სამშენებლო, მანქანათმშენებლობა, კვებისა და მსუბუქი მრეწველობა, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ სამთო მრეწველობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნების განვითარებაში, მას თან ახლავს მთელი რიგი გამოწვევები და საფრთხეები, რომელთაგან აღსანიშნავია ენერგეტიკული ხარჯების ზრდა, სოციალური და გეოპოლიტიკური რისკები, რესურსებისა და ინფრასტრუქტურის დეფიციტი, შრომის უფლებების დარღვევა, სოციალური კონფლიქტები, გარემოს განადგურება და სხვა. ეს ყველაფერი თავის მხრივ, აძლიერებს განსაკუთრებულ ზეწოლას სამთო მრეწველობაზე, რათა გაკონტროლდეს სამუშაოთა ღირებულება, გაუმჯობესდეს პროცესების ეფექტურობა და უსაფრთხოება.

მინერალური რესურსები ქმნის ადამიანთა არსებობის მნიშვნელოვან საფუძველს და განსაზღვრავს მსოფლიო ცივილიზაციის მომავალს მრავალი მიმართულებით. აღსანიშნავია,რომ ბოლო 60 წლის განმავლობაში მსოფლიოში წარმოებული და გამოყენებულია უფრო მეტი მინერალური ნედლეული, ვიდრე მთელი კაცობრიობის ისტორიაში.

მინერალურ-სანედლეულო ბაზის დამახასიათებელი ყველაზე მნიშვნელოვანი პარამეტრია მისი უნარი, უზრუნველყოს მსოფლიო რეგიონული თუ ეროვნული ეკონომიკის მდგრადი ფუნქციონირება, სადაც ამ პარამეტრის ცვლილებების პროგნოზი უახლოეს მომავალში შესაძლებელს ხდის შეფასდეს ნედლეულის მიწოდება მომავალი წლებისთვის.

სამთო მეცნიერებათა მსოფლიო აკადემიის საქმიანობა სამთო დარგში გეოლოგიის მიმართულებით არსებული პრაქტიკის გაზიარებასა და სხვადასხვა კომპლექსური პროექტებისა და საკითხების გადაჭრისკენ არის მიმართული. ჩვენს ქვეყანაში სამთო-მომპოვებელი ტექნოლოგიებისა და მეცნიერებების განვითარების მიმართულები არსებულმა დიდმა ისტორიამ ხელი შეუწყო საქართველოში სამთო მეცნიერებათა აკადემიის ჩამოყალიბებას (16).

სპეციალისტთა აზრით, აკადემიის შექმნა ხელს შეუწყობს სამთო-გეოლოგიურ საქმიანობაში ჩართული ყველა ინსტიტუტის გაერთიანებას, ერთმანეთთან აზრთა და გამოცდილებათა გაცვლას, ტექნოლოგიურ, დამუშავების, გეოლოგიურ თუ სამეცნიერო შესწავლის ნაწილში პრაქტიკის, რჩევებისა და კონსულტაციების გაზიარებას.

ჩვენი ეროვნული ეკონომიკის მდგრადი ფუნქციონირების ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი მინერალურ რესურსებთან მიმართებით არის ამ რესურსების მოპოვება-გამოყენებით მისი რაციონალურად, გეგმაზომიერად და მდგრადად მოპოვება სათანადო რეგულირებისა და კონტროლის მექანიზმების გამოყენებით, რაც ხელს უწყობს რესურსების ერთდროულად ამოწურვის თავიდან აცილებას, გარემოს დაბინძურების შემცირებას და, შესაბამისად, გარემოსა და ადამიანისთვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენებას.

.საქართველო გამოირჩევა წიაღისეული მადნების მრავალფეროვნებით. მართალია, საქართველოში მინერალური მადნები უხვად არ მოიპოვება, თუმცა ისეთ ნედლეულს, როგორიცაა: ნავთობი, ნახშირი, მანგანუმი, ფერადი და იშვიათი ლითონები, ასევე ქიმიური ნედლეული და ინერტული მასალები კომერციული გამოყენება აქვს. მიუხედავად მათი ეკონომიკური მნიშვნელობისა, მოპოვებითი დარგები გამჭირვალობისა და ანგარიშვალდებულების არასაკმარისი დონით ხასიათდება. საზოგადოებას და განსაკუთრებით ადგილობრივ მოსახლეობას, რომლებზეც მოპოვებითი დარგები უშუალოდ ზემოქმედებენ, უფლება აქვთ სრულად ფლობდნენ ინფორმაციას მოპოვებითი დარგების საქმიანობის წესზე, იმ სტანდარტებზე, რომელთა მიხედვითაც ისინი იმართებიან, ასევე საზოგადოების კეთილდღეობაში მათ ეკონომიკურ წვლილზე და იმ სარგებელზე, რასაც ადგილობრივი მოსახლეობა იღებს ან უნდა იღებდეს.

მინერალებისა და ლითონების მოპოვებასა და დამუშავებას ისეთივე გრძელი ისტორია აქვს, როგორიც კაცობრიობის განვითარებას. საქართველოს ტერიტორიაზე გეოლოგიური სამუშაოები 1850-იანი წლებიდან მიმდინარეობს.

2008 წლიდან დაიწყო საქართველოს მინერალურ-რესურსული ერთიან გეომონაცემთა ელექტრონული ბაზის შექმნა. 20

ათასამდე გეოლოგიური ანგარიში შესაბამისი ტექსტური და გრაფიკული ნაწილებით გაციფრულებულია (17).

საქართველოს გეოლოგიური თავისებურება და მდებარეობა ევრაზიულ და აფრო-არაბულ ფილათა შესაყარზე წიაღისეული საბადოების მრავალფეროვნებას განაპირობებს. საქართველო მდიდარია როგორც ლითონური (მადნეული წიაღისეული: შავი, ფერადი და იშვიათი ლითონების მადნები), ისე არალითონური (არამადნეული წიაღისეული: თაბაშირი, ბარიტი, ფოსფორი, ტორფი, გოგირდი, მარილები, საშენი მასალები, ძვირფასი და სანახელავო ქვები და სხვ.), ასევე საწვავი რესურსებით (ნავთობი, ბუნებრივი აირი, ქვანახშირი) და მინერალური, თერმული და მტკნარი მიწისქვეშა წყლებით. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო მტკნარი მიწისქვეშა წყლის რესურსული პოტენციალით 2,5-ჯერ აღემატება მსოფლიო მაჩვენებელს 1 სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით (6).

კავკასია მეტალოგენური თვალსაზრისით ერთ-ერთი მდიდარ რეგიონადაა მიჩნეული. კავკასია, შავი ზღვა და კასპიის ზღვის რეგიონი წარმოადგენს ტეთისური და ევრაზიული მადანგამოვლინებების გლობალური სარტყლის ნაწილს. სპილენძის, რკინის, ტყვიის, თუთიისა და სხვა ძირითადი ლითონების საბადოების გარდა, საქართველოში, კავკასიონზე და მცირე კავკასიონზე ძვირფასი ლითონების გამადნების რამდენიმე ზონა არსებობს. აქ ფიქსირებულ სხვადასხვა გეოლოგიურ ეპოქაში ფორმულირებულია როგორც პირველადი, ისე ქვიშრობული ოქროს გამოვლინებები. საქართველოს ყველაზე დიდი ფერადი ლითონების საბადოები, თავისი ცალკეული მადანგამოვლინებებით, მდებარეობს სვანეთსა და რაჭაში, ხოლო მცირე კავკასიონზე – ბოლნისის მადნიან რაიონში (10).

საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილია სასარგებლო წიაღისეულის მრავალი გამოვლინება და საბადო, რომელთაგან სამრეწველო მნიშვნელობა აქვს ნავთობის, ნახშირის, მანგანუმის, ფერადი და იშვიათი ლითონების, სამთო-ქიმიური ნედლეულის, ინერტული მასალისა და სხვა საბადოებს. მინერალური რესურსების დიდი საბადოები საქართველოში აღმოჩენილი არ არის. აქ მინერალური რესურსები ძირითადად საშუალო და მცირე ზომის საბადოებსა და გამოვლინებებშია განაწილებული.

საქართველოს, თავისი ტერიტორიის სიმცირის მიუხედავად, მეტად მრავალფეროვანი და უნიკალური ბუნებრივი რესურსები გააჩნია, თუმცა მათი საერთო პოტენციალით ჩვენი ქვეყანა არ მიეკუთვნება რესურსებით მდიდარ ქვეყნებს. ნებისმიერი ქვეყნის წიაღისეული სიმდიდრეებიდან მნიშვნელოვანია სათბობ-ენერგეტიკული რესურსები: ნავთობი, ქვანახშირი, ბუნებრივი აირი და ტორფი. მინერალური რესურსები საქართველოს ერთ-ერთი სიმდიდრეა და მნიშვნელოვან ეკონომიკურ აქტივს წარმოადგენს ქვეყნის განვითარებაში. საქართველოში სამთო-გადამამუშავებელი ეკონომიკური საქმიანობა საკმაოდ მასშტაბურია.

მინერალური რესურსების, ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიმდიდრის მრავალი გამოვლინება და საბადოა ცნობილი საქართველოს ცალკეული რეგიონის მიხედვით, რომელიც არა მარტო ქვეყნის მეურნეობის ძირითადი დარგების განვითარების ქვაკუთხედია, არამედ ზოგიერთი მათგანი მსოფლიო ბაზარზე მაღალი კონკურენტუნარიანობის გამო საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულ მინერალურ რესურსებს შორის გვხვდება, კერძოდ, მანგანუმი, ოქრო, სპილენძი და ცეოლითი. ქვეყნის უნიკალური მინერალური რესურსები რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

აფხაზეთი

ავადჰარის მინერალური წყარო, გაგრის, სოხუმის, კინდღის თერმული წყლები, ტყვარჩელის ქვანახშირი, ავადჰარისა და ახეის ვერცხლისწყალი, ადანგე-მარუხის სპილენძი, აიბგას გაბრო, ოთხარის მოსაპირკეთებელი კირქვა, აფშარის ბარიტი, ტყვარჩელის დოლომიტი.

სამეგრელო-ზემო სვანეთი

მესტიის, სკურის, ლეგბადეს მინერალური წყლები, ლეგელას მინერალური წყაროები, ცაიშის თერმული წყლები, მენჯის მინერალური წყაროები, ანაკლიის ტორფი, ენგურის ოქროს წიაღისეული, ჭუბერის და დიზის მარმარილო, ხაიშის ბარიტი.

გურია

გრიგოლეთისა და იმნათის ტორფი, სუფსის ნავთობი, ნაბეღლავის მინერალური წყარო, ურეკის რკინა, მთისპირის ბენტონიტური თიხა.

აჭარა

ქობულეთის ტორფი, მერისის სპილენძი, ცეცხლაურის საა-გურე თიხა.

რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი

ლებარდეს მინერალური წყაროები, მუაშის მინერალური წყარო, უწერისა და შოვის მინერალური წყაროები, რცხმელურას ტყვია-თუთია, ცანას და ლუხუმის დარიშხანი, კოდისძირის ვერ-ცხლისწყალი, ზოფხითოს, კვარძახეთის, კინტრიშის დარიშხანი, ზესხოს სპილენძი, კარობის მოლიბდენი, შქმერის მანგანუმი, კვაი-სის ტყვია-თუთია, კვაიშურის დიაბაზი, მუხლი-წესისა და ბაჯი-ხევის თაბაშირი, ლეჩხუმის ფოსფორიტი, ჩორდის ბარიტი, ჯვა-რისის კაოლინური თიხა.

იმერეთი

წყალტუბოს თერმული წყლები, ქვ. სიმონეთის თერმული წყლები, საირმისა და ზვარეს მინერალური წყლები, ტყიბულ-შაო-რის ქვანახშირი, ჭიათურის მანგანუმი, აჯამეთის მანგანუმი, ყვირილის მანგანუმი, კურსების ტეშენიტი, მოწამეთის კირქვა, ეკ-ლარის მოსაპირკეთებელი კირქვა, ტყიბულის სააგურე თიხა, რქვიას გრანიტი, ითავაზის კვარცის ქვიშები, შროშის მარმარილო, შროშის საკერამიკო თიხა, ქროლის კვარცის ქვიშები, მოლითის მარმარილო, ქუთაისის ბარიტი, გუმბრინის ბენტონიტური თი-ხები, ტყიბულის აქატი (გიშერი), ქუთაისის ფოსფორიტი, აჯამე-თის ქალცედონი.

სამცხე-ჯავახეთი

აბასთუმნისა და ბორჯომის თერმული წყლები, ბორჯომის მინერალური წყლები, ყვიბისის და ციხისჯვრის თერმული წყლე-ბი, წაღვერის მინერალური წყლები, ახალციხის მურა ნახშირი, ურაველის მინერალური წყლები, ასპინძის თერმული წყლები, ვარძიის თერმული წყლები, წყალთბილას თაბაშირი, ბაკურიანის ანდეზიტი, ჭობარეთის მარმარილო, ხიზაბავრას ბაზალტი, ახალ-ციხის აქატი, არალის ბენტონიტური თიხა, ქისათიბის დიატო-მიტი.

შიდა ქართლი

ჯავის მინერალური წყლები, ძამის რკინა, ღართის სპილენ-ძი, უწლევის დიაბაზი, ჩორჩანის ტალკი, აბანოს დოლომიტი, თეძამის ცეოლითი, კასპის საცემენტე მასალა, სააგურე თიხა.

მცხეთა-მთიანეთი

კობისა და შატილის მინერალური წყაროები, კობის ანდეზიტი, ყაზბეგის დიაბაზი, ძეგვის კირქვა, დევდორაკის სპილენძი, ძეგვის ცეოლითი.

ქვემო ქართლი

თბილისის თერმული წყლები, დას. რუსთავის ნავთობი, რუსთავის ბუნებრივი აირი, თელეთის ნავთობი, ნორიო-მარტყოფი-საცხენისის ნავთობი, ხრამის ოქრო, მადნეულისა და დამბლუდის სპილენძი, ფოლადაურის რკინა, წითელსოფლის სპილენძი, ბეშთაშენის ბაზალტი, თეთრიწყაროს ბაზალტი, სადახლოს მოსაპირკეთებელი კირქვა, სადახლოს მარმარილო, ბოლნისის ტუფი, ყარადაღის ბაზალტი, მარნეულის გაჯი, გარდაბნის სააგურე თიხა, დავითგარეჯის ბარიტი.

კახეთი

უჯარმის თერმული წყლები, პატარძეულის ნავთობი, ახტალის სამკურნალო ტალახი, მირზაანის ნავთობი, ტარიბანის ნავთობი, პატარა შირაქის ნავთობი, სტორის ნავთობი, ლოპოტის მარმარილო, ალაზნის სააგურე თიხა, საგარეჯოს სააგურე თიხა, ტარიბანას გაჯი, აზამბურის მირაბილიტი (18).

ბოლო მონაცემებით საქართველოს მყარი მინერალური რესურსების ფონდი მოიცავს 960 საბადოს, რომელთაგან განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე საბადოთა რიცხვს მიეკუთვნება ლოთონთა საბადოებიდან – ჭიათურის მანგანუმისა და მადნეულის (ბოლნისის მადნიანი რაიონის) პოლიმეტალური საბადოები. ამავე რანგის საბადოებად შეიძლება ჩაითვალოს არამადნიანი საბადოებიდან ცეოლითშემცველი (ძეგვი, თეძამი, ახალციხე და სხვა) საბადოები და სამშენებლო-მოსაპირკეთებელი მასალები. ყველაზე ძველი და მასშტაბური სამთო-მომპოვებელი ეკონომიკური საქმიანობა ჭიათურის მანგანუმს უკავშირდება, რომელიც დღესაც გრძელდება. მე-19 საუკუნის ბოლოს მსოფლიოს მანგანუმზე მოთხოვნის დაახლოებით 50%-ს სწორედ საქართველო უზრუნველყოფდა, სხვა ქვეყნებში (ბრაზილია, სამხრეთ აფრიკა და ინდოეთი) საბადოების აღმოჩენის შემდეგ კონკურენცია გაიზარდა და მაჩვენებელი შემცირდა. მიუხედავად გაზრდილი კონკურენციისა, საქართველოში მოპოვებულ მანგანუმზე მოთხოვნა დღესაც მაღალია, ქვეყნის ექსპორტის საგულისხმო მოცულობა ფეროშენადნობებზე მოდის და ჭიათურის მუნიციპალიტეტის დასაქმე-

ბისა თუ შემოსავლების უმთავრესი წყაროც აღნიშნულ საქმიანობას უკავშირდება. მანგანუმის მარაგების უდიდესი ნაწილი კვლავინდებურად ჭიათურის მუნიციპალიტეტზე მოდის (86%), შემდეგ _ ზესტაფონის მუნიციპალიტეტზე (11%) და მცირე რაოდენობა _ თერჯოლისა (2%) და ონის მუნიციპალიტეტებზე (1%). მთლიანობაში, მანგანუმის მადნის რაოდენობა საქართველოს ტერიტორიაზე 229031 ათ. ტონითაა განსაზღვრული. მინერალური რესურსების ფონდში რიცხული საბადოებიდან (დამტკიცებული მარაგები) ოქროს რაოდენობა 30 530 კგ-ია, ვერცხლის კი _ 217 580 კგ. ფონდში რიცხული საბადოების რაოდენობა და მოცულობა სრულად არის განსაზღვრული (1).

2021 წლის მონაცემების საფუძველზე სასარგებლო წიაღისეულის საბადოსა და გამოვლინების რაოდენობა 1500- ზე მეტი იყო.

ნავთობისა და გაზის საბადოების ძებნა-ძიებისა და მოპოვების ამჟამინდელ, მეცნიერულ მეთოდებს და ტექნოლოგიებს საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, საფუძველი დაედო XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან. საქართველოში დარგის განვითარება უკავშირდება ნავთობის ეროვნულ კომპანია „საქნავთობს“, რომელმაც 1929 წლიდან დაიწყო ფუნქციონირება და რომლის უფლებამონაცვლეც ამჟამად არის სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“. გასული საუკუნის 70-იან და 80-იან წლებში თბილისის შემოგარენში აღმოჩენილმა მაღალი მახასიათებლების მქონე საბადოებმა (სამგორი-პატარძეული-ნინოწმინდა-თელეთი, სამგორის სამხრეთი თაღი) ნავთობის წლიური მოპოვება მკვეთრად გაზარდა. საქართველოში დღეს ექსპლოატაციაში არსებულ საბადოებში ნავთობის მარაგი არასაკმარისია, რის გამოც ქვეყანა მის იმპორტს აწარმოებს.

ნავთობის დაზვერილი მარაგი საქართველოში მხოლოდ 13 მლნ ტონას შეადგენს, თუმცა მაღალია მისი ხარისხი. სავარაუდო რეზერვი 580 მლნ ტონაა, აქედან 200 მლნ ტონას ვარაუდობენ დასავლეთ საქართველოში, შავი ზღვის სანაპიროზე და მის შელფზე, 380 მლნ. ტონას კი – ხმელეთზე. ძალზე პერსპექტიულად ითვლება ტარიბანის ნავთობის საბადო, სადაც წინასწარი გათვლებით ერთი მილიარდი ბარელი ნავთობის მარაგია (18).

დღეისათვის საქართველოს სახმელეთო ტერიტორიაზე აღ-მოჩენილია და დამუშავებაში იმყოფება ნავთობის 15 და გაზ-კონ-დენსატის 1 საბადო. ჯამურად ამ საბადოებიდან მოპოვებულია 28 მლნ ტონაზე მეტი ნავთობი და 3 მლრდ მკ-ზე მეტი გაზი. ძებნა-ძიებისა და მოპოვების სამუშაოებს ასრულებენ საერთაშორისო ტენდერებით შერჩეული ინვესტორი კომპანიები. დღეისთვის სა-ქართველოს სახელმწიფოსა და ინვესტორ კომპანიებს შორის გა-ფორმებულია 24 ხელშეკრულება, რომელთა ფარგლებშიც „საქარ-თველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ გარდა, მოქმედებს 7 ნავთობკომპანია (11).

„ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ GOGC მონაცემებით, 2022 წელს საქართველოში 39,1 ათ. ტონა სასაქონლო ნავთობი მოიპოვეს. 2021 წელს მოპოვებულმა ნავთობის მოცულობამ 35,3 ათ.ტონა შეადგინა. „ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ GOGC მონაცემებით, მოპოვებული ნავთობიდან 22,06 ათ. ტონა ინვეს-ტორების, 17,04 ათ. ტონა კი სახელმწიფოს წილი იყო. შედარების-თვის, საქართველოში მოპოვებული ნავთობის რაოდენობა იმაზე 40-ჯერ მცირეა, ვიდრე მას ქვეყანა გადამუშავებული სახით ყიდულობს. ნავთობისა და გაზის კორპორაციის მონაცემებით, ნავთობის მოპოვება 2009 წლის შემდეგ ყოველწლიურად მცირ-დება. შედარებისთვის, აზერბაიჯანში დღეში 3-ჯერ მეტ ნავ-თობს მოიპოვებენ, ვიდრე საქართველოში ერთ წელიწადში. ს-აქართველოში ამ კუთხით მაქსიმალური მაჩვენებლები მე-20 საუკუნის 80-იან წლებში დაფიქსირდა. მაშინ მოპოვება 3 მი-ლიონ ტონაზე მეტი იყო.

რაც შეეხება საქართველოში სასაქონლო გაზის მოპოვების მაჩვენებელს, 2022 წელს ამ მაჩვენებელმა 14 მლნ მ3/წ შეადგინა, აქედან 10 მლნ $მ^3$/წ – ინვესტორების, ხოლო 4 მლნ $მ^3$/წ სა-ხელმწიფოს წილი იყო. ცნობისთვის, საქართველოში ნავთობის მოპოვება რეკორდულ ნიშნულზე 2009 წელს დაფიქსირდა, ხო-ლო გაზის მოპოვების პიკური მაჩვენებელი 2021 წელს იყო (14).

ქვანახშირის მრეწველობას საქართველოში თითქმის ორი საუკუნის ისტორია აქვს. პირველი ინფორმაცია ტყიბულის მიდა-მოებში არსებული ქვანახშირის შესახებ XIX საუკუნის 20-იან წლებს მიეკუთვნება, თუმცა მისი შესწავლა გაცილებით გვიან დაიწყო. XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან კი ცნობილი ხდება

ტყვარჩელის ქვანახშირის საბადო. ჩვენს ქვეყანაში ცნობილია ორი ტიპის ნახშირის საბადო: ქვანახშირისა და მურა ნახშირის, რომლებიც გვხვდება ტყიბული-შაორის, ტყვარჩელისა და ახალციხის ტერიტორიებზე. ვარაუდობენ, რომ ნახშირის რესურსების სარწმუნო მარაგები საქართველოში 500 მლნ ტონას აღწევს. არასაკმარისი რესურსული პოტენციალის გამო ჩვენი ქვეყანა ეწევა ქვანახშირის იმპორტს იმ კომპანიებისთვის, რომლებიც ამ ნედლეულით საქმიანობენ, კერძოდ, მეტალურგიული და ცემენტის მწარმოებელი კომპანიები. ქვეყანაში ყველაზე მსხვილი მომპოვებელი არის „საქნახშირი“, სადაც ბოლო წლებში შეინიშნება ქვანახშირის მოპოვების მკვეთრი ვარდნა. ეს თავის მხრივ განაპირობა ტრაგიკული შემთხვევების გამო მოპოვების სამუშაოების შეზღუდვამ კომპანიაში.

დღეისთვის საქართველოში ქვანახშირის არსებული რეზერვი 450 მლნ ტონაა, რომელიც შეიძლება კიდევ 700 მილიონი ტონით გაიზარდოს. სამწუხაროდ, ქვანახშირის უმეტესი ნაწილი შედარებით დაბალი ხარისხისაა. ნავთობის თანმხლები ბუნებრივი აირის მოპოვება წარმოებს სამგორ-პატარძეულსა და თელეთის საბადოებზე. აღსანიშნავია, რომ შავი ზღვის საქართველოს შელფურ ზონაში ბუნებრივი აირის მარაგი 1,8 მლრდ კუბ. მ-ია. მანგანუმს ჭიათურასა და საჩხერეში მოიპოვებენ. იგი შავი მეტალურგიის განვითარებისთვის მეტად საჭირო ნედლეულია. პერსპექტიული თვალსაზრისით, საყურადღებოა ჩხარი-აჯამეთის საბადო ქუთაისისა და თერჯოლის მიდამოებში, აგრეთვე შქმერის, აგარისა და ჯავის საბადოები. სულ საქართველოში გამოვლენილი მანგანუმის სავარაუდო მარაგი 0,5 მლრდ ტონას შეადგენს. რკინის მადნის საბადოებიდან ყველაზე მძლავრია ფოლადაურის საბადო და მაგნეტიტური ქვიშები გურიის ზღვისპირა ზოლში. აქ რკინის მარაგი 150-200 მლნ ტონაა. აღსანიშნავია, აგრეთვე, ძამის საბადო, რომლის მარაგი 20 მლნ ტონას შეადგენს. საქართველოში ფერადი ლითონების საბადოებია: სპილენძ-ტყვია-თუთიის (მადნეული), ტყვია-თუთიის (კვაისა) და დარიშხნის (ცანის და ლუხუნის).

ბარიტი გამოიყენება მედიცინასა და ქიმიურ მრეწველობაში ბარიუმის პრეპარატებისა და მინერალური საღებავების დასამზადებლად. მშენებლობასა და ქიმიურ მრეწველობაში ფართოდ გა-

მოიყენება ანდეზიტი (მარაგი13 მლნ კუბ.მ). სოფლის მეურნეობაში სასუქად და გაზის მრეწველობაში გამწმენდ საშუალებად წარმატებით იყენებენ ცეოლითებს.

ნავთობ-ქიმიური მრეწველობის უმნიშვნელოვანესი ნედლეულია ბენტონიტური თიხები. საქართველოში მისი სავარაუდო მარაგი 180 მლნ ტონამდეა. იგი გამოიყენება ლითონჩამოსასხმელ საწარმოებში, როგორც საყალიბე მასალა, ასევე როგორც ნავთობის, ცხიმებისა და ღვინის გამწმენდი საშუალება.

ტალკი და სერპენტინიტი ხაშურის მუნიციპალიტეტსა და ძირულას მასივის ტერიტორიაზე მოიპოვება. მათ რუბეროიდის წარმოებასა და სოფლის მეურნეობაში იყენებენ. საქართველოში მოიპოვებენ მოსაპირკეთებელ ქვებს: აქატს (ახალციხის მუნიციპალიტეტი), საიუველირო აქატს (მარნეულის მუნიციპალიტეტი), ობსიდიანს (ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი). მათ ზუსტი ხელსაწყოების, საათების წარმოებასა და საიუველირო საქმეში იყენებენ.

საქართველოს მინერალურ რესურსებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მინერალურ წყლებს. ზოგიერთი მათგანი (ბორჯომი, წყალტუბო და სხვა) მსოფლიო მნიშვნელობისაა. ჩვენში მინერალური წყლების გამოვლინების ორი ძირითადი რეგიონია, კერძოდ, კავკასიონის სამხრეთ კალთებისა და მცირე კავკასიონის. საქართველოში 730-ზე მეტი სახეობის მინერალური წყალი მოიპოვება, რომლებიც ბალნეოლოგიური მიზნით და სამრეწველო ჩამოსხმისთვის გამოიყენება. ჯერჯერობით, მინერალური წყაროების უმრავლესობა არასაკმარისადაა შესწავლილი.

საქართველოს ექსპორტის წამყვან სასაქონლო ჯგუფებში მინერალური რესურსები ლიდერობს. აღსანიშნავია ექსპორტის დიდი მოცულობა 2021 წელს. სიდიდით პირველ ათეულში მოხვედრილი მინერალური რესურსების ჯამური წილი მთელ ექსპორტში 35,2%-ს (დაახლოებით 1,5 მლრდ აშშ დოლარი) შეადგენდა. მათ შორის საქართველოს ექსპორტის წამყვან სასაქონლო ჯგუფებში პირველ ადგილს სპილენძის მადნები და კონცენტრატები (815,5 აშშ დოლარი; 19,2%), მეორეს კი ფეროშენადნობები (477,4 მლნ აშშ დოლარი; 11,2%) იკავებდა. პირველ ათეულში მოხვდა ასევე მინერალური და მტკნარი წყლების (141,8 მლნ აშშ დოლარი;

3,3%) და დაუმუშავებელი ან ნახევრადდამუშავებული ოქროს (64,2 მლნ აშშ დოლარი; 1,5%) სასაქონლო ჯგუფებიც (1).

მინერალური რესურსების მოპოვებითი ეკონომიკური საქმიანობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის არა მარტო საგადამხდელო ბალანსის ფორმირებაში, ასევე უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობების ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობისთვის საჭირო შემოსავლებსა და დასაქმებას.

2023 წლის მონაცემების საფუძველზე სამთო-მოპოვებით მრეწველობასა და კარიერების დამუშავებაზე დასაქმებულ პირთა საშუალო წლიურმა რიცხოვნობამ 12.9 ათ. კაცი შეადგინა, ანუ მრეწველობაში დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 9.1 %. გამოშვებული პროდუქციის მოცულობა კი 1 469,6 მლნ. ლარით განისაზღვრა (6).

საქართველოს კავკასიონის მთავარ ქედზე განთავსებულია იშვიათი ლითონების: ვერცხლისწყლის, ვოლფრამისა და მოლიბდენის მცირე საბადოები და გამოვლინებები. დარიშხანისა და ოქრო-სტიბიუმის საბადოებს დიდი მნიშვნელობა აქვთ. დარიშხანის მოპოვება ამჟამად არ მიმდინარეობს. ყოფილი სამრეწველო ტერიტორიები ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ურავსა და ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფ. ცანაში დარიშხნის ინდუსტრიული ნარჩენების გამო მნიშვნელოვანი დაბინძურების კერას წარმოადგენს.

ლითონების, მათ შორის, ოქროს და ვერცხლის მოპოვება ინტენსიურად მიმდინარეობს ბოლნისის მუნიციპალიტეტის ოქრო-სპილენძ-ბარიტ-პოლიმეტალურ საბადოებზე.

2018-2021 წლებში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების 2 125 ლიცენზია გაიცა. აქედან ლიცენზიების დაახლოებით ნახევარი გაცემულია მყარი მინერალური რესურსების მოპოვებაზე.

ტორფის საბადოები, ძირითადად, კოლხეთის დაბლობზეა წარმოდგენილი. აქ ტორფიან ფენებს დაკავებული აქვს 20 ათასი ჰა, ხოლო მისი მარაგი 60 მლნ ტონას აღემატება. მისი გამოყენება შეიძლება ქიმიურ მრეწველობაში და საწვავად. საქართველოში მას სოფლის მეურნეობაში სასუქად იყენებენ.

წიაღისეულის მოპოვებას უდიდესი გავლენა აქვს გარემოზე. ფართომასშტაბიან მოპოვებით საქმიანობას, ჩვეულებრივ უკავშირდება დიდ ტერიტორიებზე ტყეების გაჩეხვა და მცენარეული სა-

ფარის განადგურება. მოპოვება საგრძნობლად ცვლის ლანდშაფტს და გავლენას ახდენს ბიომრავალფეროვნებაზე. ხდება მიწისქვეშა, ზედაპირული წყლებისა და ნიადაგის დაბინძურება. იცვლება სოციალური გარემო. შეცვლილი სოციალური და ბუნებრივი გარემო პირობები ზემოქმედებას ახდენს ადგილობრივ მოსახლეობაზე. იქმნება კონფლიქტური სიტუაციები, კერძოდ, როდესაც მოპოვებითი საქმიანობა იკავებს სოფლის მეურნეობისთვის გამოსადეგ ტერიტორიას ან ხდება სასმელი და სარწყავი წყლის დაბინძურება. აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ მინერალური რესურსების, განსაკუთრებით კი მძიმე მეტალების მოპოვებამ შესაძლებელია ზიანი მიაყენოს არა მარტო ადგილობრივ მოსახლეობას, ასევე ახლომდებარე ეკოსისტემებს და ტრანსსასაზღვრო ეფექტიც კი შეიძინოს.

განსაკუთრებით საყურადღებოა იმ წიაღისეულის მოპოვების კონტროლი, რითაც შესაძლებელია დაბინძურების მასშტაბური გავრცელება ჰაერის, წყლის, საკვები პროდუქტების თუ სხვა საშუალებებით. ფერადი, იშვიათი, მძიმე ლითონებისა და ქვანახშირის მოპოვება/დამუშავების რიგი მეთოდები აფეთქებასა თუ ძლიერი ტოქსიკური ნივთიერებების გამოყენებას უკავშირდება, წარმოქმნილი ნარჩენების მართვა კი კომპლექსური გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარებას საჭიროებს. თავიდან უნდა იქნას აცილებული დიდი რაოდენობით საფრთხის შემცველი ნარჩენებისა და ტოქსიკური ნივთიერებების ე.წ. კუდსაცავებში დაგროვება. დროულად უნდა მოხდეს მათი გაუვნებელყოფა და კონტროლი, რითაც მაქსიმალურად შემცირდება ახალი დაბინძურების კერების წარმოქმნა. მნიშვნელოვანია, ასევე, რესურსდამზოგი და სუფთა ტექნოლოგიების დანერგვა და სპეციალური გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარება, რაც დაბინძურებული ტერიტორიების მაქსიმალურად ლოკალიზებისა და აღდგენა-რემედიაციის საშუალებას მოგვცემს.

ყველაზე კარგად ორგანიზებული საბადოების შემთხვევაშიც კი ხდება გარკვეული სახის უარყოფითი ზემოქმედება, თუმცა შესაძლებელია ამ ზეგავლენის მინიმუმამდე დაყვანა, თუ მომპოვებელი კომპანიები იმუშავებენ საუკეთესო სტანდარტების შესაბამისად. სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში, მომპოვებელი კომპანიების პასუხისმგებლობის საკითხი არ არის სათანადოდ გამყარე-

ბული ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებით ან არ არსებობს საკმარისი კონტროლი კანონის მოთხოვნების შესრულებაზე. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობის ინ-ფორმირება იმის თაობაზე, თუ რა სახის მოპოვებითი საქმიანობა მიმდინარეობს ან იგეგმება მათი საცხოვრებელი ადგილის მახ-ლობლად, როგორია ამ საქმიანობის ზეგავლენა გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე, რა ვალდებულებები აქვთ მომპოვე-ბელ კომპანიებს მათ წინაშე, რა სამართლებრივი პრობლემებისა და საფრთხეების წინაშე შეიძლება აღმოჩნდნენ და სხვ. ყოველივე აღნიშნულის უზრუნველსაყოფად არსებობს სპეციალური ინსტ-რუმენტი – გარემოზე ზემოქმედებების შეფასება (გზშ).

XXI საუკუნეში სამთო მოპოვებამ მდგრადი განვითარე-ბისკენ სწრაფვისას უნდა უზრუნველყოს თანამშრომლებისთვის უსაფრთხო სამუშაო გარემო. უსაფრთხოების პრობლემა მთავარი გამოწვევაა სამთო ინდუსტრიისათვის.

მინერალური რესურსების მოპოვებისას გასათვალისწინე-ბელ ფაქტორებს შორის უმთავრესია მდგრადი პრაქტიკის გამო-ყენება, რამაც უნდა განაპირობოს ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელო-ვნად გაჯანსაღება და ზრდა. საქართველოში ამ სფეროს მართვის საკითხი რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით და შესა-ბამისი საკანონმდებლო აქტებით.

საქართველოს კანონმდებლობა „წიაღის შესახებ“ მოიცავს საქართველოს კანონს და მისგან გამომდინარე სხვა საკანონმდებ-ლო აქტებს, რომლებიც არეგულირებენ წიაღის, ნებისმიერი სახის სასარგებლო წიაღისეულის, მიწისქვეშა ბუნებრივი სიცარიელების შესწავლასა და გამოყენებას, მომპოვებელ და გადამამუშავებელ წარმოებათა ნარჩენების გამოყენების, შენახვისა და დაცვის, აგრეთვე, მიწისქვეშა ნაგებობების მშენებლობისა და ექსპლოა-ტაციის პროცესში წარმოქმნილ ურთიერთობებს. წიაღის დაცვა და წიაღით სარგებლობის უსაფრთხოების მოთხოვნები სხვა ყვე-ლა დანარჩენ მოთხოვნასთან ერთად სრულად არის განსაზღვ-რული აღნიშნული კანონმდებლობით. საქართველოში ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობასთან დაკავშირებული საკით-ხები განსხვავებული მოდელით იმართება და შესაბამისად, ამ საკითხებს ცალკე არეგულირებს საქართველოს კანონი „ნავთობი-სა და გაზის შესახებ.“

მინერალური რესურსების მოპოვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი უნდა გახდეს გარემოსა და ადგილობრივ მოსახლეობაზე რეალური ზრუნვა სამთო საქმიანობით გამოწვეული პრობლემებისა და დისკომფორტის გამო.

წიაღის მართვის სისტემური გაჯანსაღებისთვის მნიშვნელოვანია ძირეული რეფორმების განხორციელება, რომელიც დაკავშირებულია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავებასთან, სამართლებრივი ჩარჩოსა და განახლებული კანონმდებლობის ფორმირებასთან (კერძოდ, საქართველოს მთავრობის მიერ 2019 წელს მიღებული წიაღის სექტორის სტრატეგიის შესაბამისი, განახლებული კანონმდებლობის შემუშავება), გაუმჯობესებული რეგულირების მოდელის შექმნასა და ადამიანური შესაძლებლობების განვითარებასთან.

როგორც აღვნიშნეთ, ქვეყნის რესურსებზე დაფუძნებული ეკონომიკის სოციალურად, ეკოლოგიურად და ეკონომიურად მდგრადი მართვა არის ქვეყნის უსაფრთხო განვითარების საფუძველი. რესურსებზე დამოკიდებულებისას ყოველთვის გასათვალისწინებელია მკვლევართა შეხედულება იმის თაობაზე ,რომ დედამიწა არის ჩაკეტილი და წრიული სისტემა შეზღუდული რესურსებით. ეკონომიკური მოდელი, რომლის არსია რესურსების ეფექტიანი გამოყენებისკენ სწრაფვა მოხმარების შემცირების, გრძელვადიანი გამოყენების, პირველხარისხოვანი პროდუქტებისა და მათი შემადგენელი კომპონენტების წრიული გამოყენების სხვაგვარად აღდგენის გზით, შესაძლებელია მდგრადი განვითარების ერთ-ერთ მოდელად იქცეს. აქ მთავარი კონცეფცია მიმართულია ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე. მინერალური რესურსების რაციონალური გამოყენების აუცილებელი პირობაა – მოპოვება და გადამუშავება მაქსიმალურად მდგრადად წარიმართოს.

თანამედროვე ეტაპზე ქვეყნებს სჭირდება მინერალები და ლითონები,რათა უზრუნველყონ წრიული ნახშირბადის ეკონომიკა. მინერალები განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიების, ელექტროსატრანსპორტო საშუალებების,მწვანე შენობების, მზის პანელების, ქარის ტურბინებისა და ბატარეების სასიცოცხლო მნიშვნელობის კომპონენტებია, რაც მოითხოვს ეკოლოგიურად მგრძნობიარე მასალების დიდ რაოდენობას. აქედან გამომდინარე, მინერა-

ლებსა და ლითონებზე გლობალური მოთხოვნა გაიზრდება თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. მაღალი ხარისხის წიაღისეულის მნიშვნელოვანი საბადოების ძიებაში სამთო სექტორი სულ უფრო უყურებს რეგიონებს, რომლებსაც მიმზიდველი რესურსები გააჩნია. მიუხედავად ტერიტორიის სიმცირისა, ამ რეგიონებს შორის მოისაზრება ჩვენი ქვეყანაც თავისი მოკრძალებული რესურსებით.

სამთო მოპოვება ჩვენი ქვეყნისთვის სამრეწველო ინდუსტრიის ბაზაა. ცხადია, მინერალური რესურსები ღირებულია ჩვენი ქვეყნისთვის, რადგან მათი მოპოვება აუცილებელია საქონლისა და მომსახურების წარმოებისთვის. თუმცა ეს საქმიანობა გადაჯაჭვული უნდა იყოს მდგრადი განვითარების მიზნებთან, კერძოდ, უზრუნველყოს, რომ დღევანდელ და მომავალ თაობებს ჰქონდეთ რესურსები ან ალტერნატიული საშუალებები საკვების, წყლისა და ენერგიის ძირითადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. მინერალური რესურსების ექსპლოატაციის საერთაშორისოდ კოორდინირებულმა მენეჯმენტმა, დღესდღეობით არსებული გამოწვევების პირობებში, რომლებიც განსაკუთრებულ ზეწოლას ახდენს სამთო მრეწველობაზე, უნდა უზრუნველყოს დარგში არსებული ყველა გამოწვევისა და პრობლემის მოგვარება, მათ შორის სამთო სფეროს უსაფრთხოება. სამთო საქმიანობის მომავალი დამოკიდებულია კარგი სამთო პრაქტიკის დაცვაზე, რათა ყველგან შენარჩუნდეს გარემო, კომპანიების ეფექტიანი სოციალური პასუხისმგებლობით ხელი შეეწყოს საზოგადოების ცხოვრების ხარისხის ამაღლებას და ქვეყნის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. 2018-2021 წლების გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენება.
2. მწვანე ალტერნატივა. საქართველოს მინერალური რესურსების მმართველობის აქტუალური საკითხები.
3. გუროვა ი. მსოფლიო ეკონომიკა თბ. 2014.
4. .ვეშაპიძე შ., გრიშიკაშვილი ა., ლეკაშვილი ე.,ასლამაზიშვილი ნ. მსოფლიო ეკონომიკა. თბ. 2008.

5. ლობჟანიძე გ. მინერალური რესურსების გლობალური ბიზნესის ტენდენციები და პერსპექტივები. ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული. თბ. 2022.
6. www.geostat.ge
7. https://mepa.gov.ge
8. https://matsne.gov.ge
9. https://ka.wikipedia.org/
10. https://richmetalsgroup.com
11. https://www.gogc.ge
12. https://forbes.ge
13. https://flexbooks.ck12.org/
14. https://www.businessinsider.ge/ka/sakartveloshi-2022-tsels-mopovebuli-navtobisa-da-gazis-motsuloba-tsnobilia
15. https://idfi.ge/ge/extractive_industries_transparency_initiative_in_georgia
16. https://old.business-partner.ge/biznesi/samto-metsnierebata-msoflio-akademiis-tsevrebis-viziti-aremjishi
17. https://www.namr.gov.ge
18. http://tamarenuqi.blogspot.com/p/blog-page_16.html

Lia Dvalishvili

MINERAL RESOURCES IN THE REGIONS OF GEORGIA, THEIR LEVELS OF EXPLOITATION AND THE RELEVANT ECONOMIC THREATS

Summary

Mineral resources are vital for economic growth and the functioning of modern society. The demand for minerals is increasing as the global population expands and minerals are used in a wider range of applications, especially with the use of new technologies. Although the

mining industry plays an important role in the development of countries, it is accompanied by a number of challenges and threats, which, in turn, increase special pressure on the mining industry to control the cost of work and improve the efficiency and safety of processes.

Mineral resources form an important basis for human existence and determine the future of world civilization in many directions. It is worth noting that over the past 60 years, more raw materials of minerals have been produced and used in the world than in the entire history of mankind.

Despite the small size of its territory, Georgia has very diverse and unique natural resources, although, in terms of their total potential, our country does not belong to resource-rich countries. Mineral resources are an important economic asset in the development of the country. Many manifestations and deposits of mineral resources, one of the most important wealth of the country, are known according to individual regions of Georgia, which are not only the cornerstone of the development of the main sectors of the country's economy but some of them are found among the mineral resources involved in international trade due to their high competitiveness in the world market. In particular: manganese, gold, copper, and zeolite.

Economic activity involving the extraction of mineral resources plays an important role not only in the formation of the country's balance of payments but also provides the income and employment necessary for the viability of the economy of local governments. The extraction of minerals has a huge impact on the environment. Large-scale extraction activities are usually associated with deforestation and the destruction of vegetation cover over large areas. Extraction significantly changes the landscape and affects biodiversity. Pollution of groundwater, surface water, and soil occurs. The social environment changes. It is imperative to consider that the extraction of mineral resources, especially heavy metals, can harm not only the local population but also nearby ecosystems and even have transboundary effects.

Among the factors to be considered when extracting mineral resources, the most important is the use of sustainable practices, which should lead to a significant recovery and growth of the country's economy.

In Georgia, the issue of managing this area is regulated by the Constitution of Georgia and relevant legislative acts. Mining is the basis of the industrial industry of our country. It is clear that mineral resources are valuable for our country since their extraction is necessary for the production of goods and services. However, this activity must be intertwined with the goals of sustainable development, in particular, ensuring that current and future generations have resources or alternative means to meet their basic needs for food, water, and energy. Internationally coordinated management of mineral resource exploitation, in the context of current challenges that put particular pressure on the mining industry, should ensure the resolution of all challenges and problems in the sector, including mining safety. The future of mining depends on the observance of good mining practices in order to preserve the environment everywhere, to contribute to the improvement of the quality of life of society and the socio-economic development of the country's regions through effective corporate social responsibility.

ა ვ ტ ო რ ე ბ ი

1	**აბესაძე რამაზი**	ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი
2	**ბერიშვილი ხათუნა**	ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
3	**ბერულავა გიორგი**	ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
4	**ბიბილაშვილი ნანა**	ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
5	**ბრეგვაძე გიორგი**	ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
6	**ბურდული ვახტანგი**	ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
7	**გოგოხია თეიმურაზი**	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
8	**დავლაშერიძე ნატა**	ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
9	**დათუნაშვილი ლინა**	ეკონომიკის დოქტორი, დოცენტი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამ-

		შრომელი
10	**დვალიშვილი ლია**	თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
11	**თაფლაძე თამარი**	თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
12	**თეთრაული ციცინო**	თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
13	**თოთლაძე ლია**	ეკონომიკის დოქტორი, თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამ-შრომელი
14	**კაკულია ეთერი**	ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
15	**კვარაცხელია მურმანი**	ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტო-რი, პროფესორი, თსუ პაატა გუგუშვი-ლის ეკონომიკის ინსტიტუტის მთა-ვარი მეცნიერი თანამშრომელი
16	**კურატაშვილი ქრისტინე (ქეთევან)**	თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
17	**ლაზარაშვილი თეა**	ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, დირექტორის მოადგილე
18	**მელაშვილი მედეა**	თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
19	**ნოზაძე ზურაბი**	თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
20	**პაპავა ვლადიმერი**	ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტო-რი, პროფესორი, საქართველოს მეცნი-ერებათა ეროვნული აკადემიის აკადე-მიკოსი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკო-ნომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნი-ერი თანამშრომელი

21	ჟორჟიკაშვილი ნინო	თსუ, დოქტორანტი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
22	ქავთარაძე თენგიზი	ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
23	ქველაძე ქეთევანი	ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
24	ქისტაური ნუნუ	ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
25	ცუცქირიძე მარინე	ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
26	წერეთელი ზურაბი	თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
27	ხუსკივაძე მამუკა	ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
28	ჯავახიშვილი რევაზი	ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

A U T H O R S

1	**ABESADZE RAMAZ**	– Director of P. Gugushvili Institute of Economics of TSU, Doctor of Economic Sciences, Professor
2	**BERISHVILI KHATUNA**	– Doctor of Economics, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
3	**BERULAVA GEORGE**	– Doctor of Economic Sciencies, Professor, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU, Chief Research Fellow
4	**BIBILASHVILI NANA**	– Doctor of Economics, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
5	**BREGVADZE GIORGI**	– Doctor of Economics, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
6	**BURDULI VAKHTANG**	– Doctor of Economic Sciences, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU, Chief Research Fellow
7	**DATUNASHVILI LINA**	– Doctor of Economics, Docent, Chief Research Fellow of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
8	**DAVLASHERIDZE NATA**	– Doctor of Economics, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
9	**DVALISHVILI LIA**	– Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
10	**GOGOKHIA TEIMURAZ**	– Doctor of Business Administration, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
11	**JAVAKHISHVILI REVAZ**	– Doctor of Economics, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU, Chief Research Fellow
12	**KAKULIA ETER**	– Doctor of Economics, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU

13	**KAVTARADZE TENGIZ**	Doctor of Economics, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
14	**KHUSKIVADZE MAMUKA**	– Doctor of Economics, Chief Research Fellow of P. Gugushvili Institute of Economics of TSU, Chief Research Fellow
15	**KISTAURI NUNU**	– Doctor of Economics, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
16	**KURATASHVILI QRISTINE (KETEVAN)**	– Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
17	**KVARATSKHELIA MURMAN**	– Doctor of Economic Sciences, Chief Research Fellow of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
18	**KVELADZE KETEVAN**	– Doctor of Economics, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
19	**LAZARASHVILI TEA**	– Doctor of Economics, Chief Research Fellow of P. Gugushvili Institute of Economics of TSU, Director Deputy of P. Gugushvili Institute of Economics of TSU, Chief Research Fellow
20	**MELASHVILI MEDEA**	– Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
21	**NOZADZE ZURAB**	– Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
22	**PAPAVA VLADIMER**	– Chief Research Fellow of P. Gugushvili Institute of Economics of TSU, Academician of National Academy of Georgia, Doctor of Economic Sciences, Professor
23	**TAPLADZE TAMAR**	– Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
24	**TETRAULI TSITSINO**	– Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
25	**TOTLADZE LIA**	– Doctor of Economics, Chief Research Fellow of P. Gugushvili Institute of Economics of TSU, Chief Research Fellow

26	**TSERETELI ZURAB**	– Director Deputy of P. Gugushvili Institute of Economics of TSU, Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
27	**TSUTSKIRIDZE MARINE**	– Doctor of Economics, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
28	**ZHORZHIKASHVILI NINO**	– Doctor of Economics, Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU

ს ა რ ჩ ე ვ ი

ვლადიმერ პაპავა - 70	5
ფინასიტყვაობა	10
სამეცნიერო ნაშრომები	
რამაზ აბესაძე, ეთერი კაკულია, წანა ბიბილაშვილი საქართველოს ფინანსური სისტემა და ფინანსური საფრთხეები	14
რამაზ აბესაძე, თამარ თაფლაძე, ქრისტინე კურატაშვილი საქართველოს მონეტარული პოლიტიკა და მასთან კავშირებული საფრთხეები	26
ვლადიმერ პაპავა ინფლაციის თარგეთირება და მასთან დაკავშირებული ფინანსური საფრთხეები: საქართველოს გამოწვევები	44
გიორგი ბერულავა საქართველოში ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობის მიკროეკონომიკური საფრთხეები და მათი დაძლევის გზები	60
ვახტანგ ბურდული რეგიონებში ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების მდგომარეობა და არსებული ეკონომიკური სირთულეები	98
მურმან კვარაცხელია საგადასახადო სისტემა და მასთან დაკავშირებული ფინანსური საფრთხეები	142
რევაზ ჯავახიშვილი საქართველოს საგარეო ვალი და ფინანსური უსაფრთხოების პრობლემები	151

თეა ლაზარაშვილი საქართველოს საპენსიო ფონდი და მასთან დაკავშირებული ფინანსური საფრთხეები	**175**
ლია თოთლაძე **ციფრული ტრანსფორმაციის საერთაშორისო პროგრამები** საქართველოში და მათ განხორციელებასთან დაკავშირებული ფინანსური საფრთხეები	**200**
მამუკა ხუსკივაძე საქართველოს რეგიონების ეკოლოგიური საფრთხეები და მათი დაძლევის ძირითადი მიმართულებები	**224**
ნუნუ ქისტაური საქართველოში საერთაშორისო ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებული ფინანსური უსაფრთხოების პრობლემები	**258**
ხათუნა ბერიშვილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა საქართველოს ფინანსურ უსაფრთხოებაზე	**270**
ნატალია დავლაშერიძე ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე ფინანსური კრიზისების გავლენის შესახებ ეკონომიკაში ნობელის ლაურეატების შრომებში	**286**
ზურაბ წერეთელი თანამედროვე ტექნოლოგიები ფინანსურ სექტორში და მასთან დაკავშირებული ფინანსური საფრთხეები	**303**
თენგიზ ქავთარაძე, ლინა დათუნაშვილი საქართველოს რეგიონებში სოფლის მეურნეობის განვითარების დონე და შესაბამისი ეკონომიკური საფრთხეები	**331**

მარინე ცუცქირიძე მიკროეკონომიკური განვითარების საკითხები საქართველოში ინოვაციური ბიზნესის სისტემის ჩამოყალიბების პირობებში	**357**
გიორგი ბრეგვაძე საქართველოს რეგიონებში მშენებლობის განვითარების პრობლემები და მათთან დაკავშირებული ეკონომიკური საფრთხეები	**366**
ქეთევან ქველაძე საქართველოს რეგიონებში ტურიზმის განვითარების ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემები	**377**
მედეა მელაშვილი სახელმწიფო ბიუჯეტი და მასთან დაკავშირებული ფინანსური საფრთხეები	**402**
ზურაბ ნოზაძე საქართველოს რეგიონებში წყლის რესურსების გამოყენების დონე და შესაბამისი ეკონომიკური საფრთხეები	**413**
თეიმურაზ გოგოხია ფირმის ფინანსურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და საფრთხეები	**427**
ციცინო თეთრაული საქართველოს რეგიონებში მიწის რესურსების გამოყენების დონე და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური საფრთხეები	**442**
ნინო ჟორჟიკაშვილი რეგიონებში უმუშევრობისა და სიღარიბის დონე და არსებული ეკონომიკური საფრთხეები	**466**

ლია დვალიშვილი საქართველოს რეგიონებში მინერალური რესურსები, მათი გამოყენების დონე და შესაბამისი ეკონომიკური საფრთხეები	**482**
ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ	**504**

C O N T E N T S

VLADIMER PAPAVA –70	**5**
PREFACE	**10**
SCIENTIFIC WORKS	
Ramaz Abesadze , Eteri kakulia, Nana Bibilashvili FINANCIAL SYSTEM OF GEORGIA AND FINANCIAL THREATS	**14**
Ramaz Abesadze, Tamar Tapladze, Kristine Kuratashvili GEORGIAN MONETARY POLICY AND THREATS RELATED TO IT	**26**
Vladimer Papava INFLATION TARGETING AND RELATED FINANCIAL THREATS: CHALLENGES FOR GEORGIA	**44**
Giorgi Berulava MICROECONOMIC THREATS OF LIMITED ACCESS TO FINANCE IN GEORGIA AND WAYS TO OVERCOME THEM	**60**
Vakhtang Burduli THE STATE OF INNOVATIVE ECONOMIC FORMATION IN THE REGIONS AND EXISTING ECONOMIC DIFFICULTIES	**98**
Murman Kvaratskhelia TAX SYSTEM AND RELATED FINANCIAL THREATS	**142**
Revaz Javakhishvili GEORGIA'S FOREIGN DEBT AND FINANCIAL SECURITY PROBLEMS	**151**
Tea Lazarashvili GEORGIAN PENSION FUND AND RELATED FINANCIAL THREATS	**175**

Lia Totladze INTERNATIONAL DIGITAL TRANSFORMATION PROGRAMS IN GEORGIA AND FINANCIAL RISKS ASSOCIATED WITH THEIR IMPLEMENTATION	**200**
Mamuka Khuskivadze ECOLOGICAL THREATS IN THE REGIONS OF GEORGIA AND MAIN DIRECTIONS FOR OVERCOMING THEM	**224**
Nunu Kistauri FINANCIAL SECURITY PROBLEMS ASSOCIATED WITH THE DEVELOPMENT OF INTERNATIONAL TOURISM IN GEORGIA	**258**
Khatuna Berishvili THE IMPACT OF FOREIGN DIRECT INVESTMENT ON GEORGIA'S FINANCIAL SECURITY	**270**
Natalia Davlasheridze THE IMPACT OF FINANCIAL CRISES ON THE ECONOMIC SECURITY OF THE COUNTRY IN THE WORKS OF NOBEL LAUREATES IN ECONOMICS	**286**
Zurab Tsereteli MODERN TECHNOLOGIES IN THE FINANCIAL SECTOR AND RELATED FINANCIAL THREATS	**303**
Tengiz Kavtaradze, Lina Datunashvili THE LEVEL OF AGRICULTURAL DEVELOPMENT IN THE REGIONS OF GEORGIA AND RELEVANT ECONOMIC ISSUES	**331**
Marine Tsutskiridze ISSUES OF MICROECONOMIC DEVELOPMENT IN GEORGIA IN THE CONDITIONS OF FORMATION OF INNOVATIVE BUSINESS SYSTEMS	**357**

George Bregvadze PROBLEMS OF CONSTRUCTION DEVELOPMENT IN THE REGIONS OF GEORGIA AND THE ECONOMIC THREATS LINKED WITH THEM	**366**
Ketevan Kveladze ECOLOGICAL SAFETY PROBLEMS OF TOURISM DEVELOPMENT IN THE REGIONS OF GEORGIA	**377**
Medea Melashvili STATE BUDGET AND RELATED FINANCIAL THREATS	**402**
Zurab Nozadze LEVEL OF WATER RESOURCES USE IN THE REGIONS OF GEORGIA AND RELEVANT ECONOMIC THREATS	**413**
Teimuraz Gogokhia RISKS AND THREATS RELATED TO THE FINANCIAL SECURITY OF A FIRM	**427**
Tsitsino Tetrauli THE LEVEL OF LAND RESOURCE UTILIZATION IN GEORGIAN REGIONS AND THE ECONOMIC THREATS RELATED TO IT	**442**
Nino Zhorzhikashvili THE LEVEL OF UNEMPLOYMENT AND POVERTY IN THE REGIONS AND THE EXISTING ECONOMIC THREATS	**466**
Lia Dvalishvili MINERAL RESOURCES IN THE REGIONS OF GEORGIA, THEIR LEVELS OF EXPLOITATION AND THE RELEVANT ECONOMIC THREATS	**482**
AUTHORS	**504**

დაიბეჭდა თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის
ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო-საგამომცემლო
საბჭოს გადაწყვეტილებით

გამომცემლობის რედაქტორი ნელი ქაფიანიძე

თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის
ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა
თბილისი, გ. ქიქოძის № 14
99 68 53, 93 22 60
ელ-ფოსტა: economics–institute@yahoo.com

დაიბეჭდა 2022 წელს თსუ გამომცემლობის სტამბაში
0128 თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 1
1 Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi 0128
t. 995 (32) 2251432, 995 (32) 2252736
www.press.tsu.ge